

ლევან მენაბდე

ქ ვ ე ლ ი
ართული გვარლობის
კ ე რ ე ბ ი

II

„ძველი ქართული მწერლობის კერების“ პირველ ტომში, რომელიც ორ ნაკვეთად გამოქვეყნდა 1962 წელს, მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კერების ისტორია.

მეორე ტომში მომხილულია საზღვარგარეთ — ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთში — აღმოცენებული ქართული მწერლობის კერების ისტორია. ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია დგას, მაგრამ მონოგრაფიულად შესწავილი არ ყოფილა. წინამდებარე შრომა ჩვენი ლიტერატურათმოდნობის ამ ხარეების შევსების ცდას წარმოადგენს.

წიგნი განუთვნილია ფილოლოგებს, ისტორიკოსებსა და სავტოლო ქართული კულტურით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

В первом томе «Очагов древнегрузинской литературы», вышедшем в 1962 году в двух частях, изложена история очагов, существовавших на территории Грузии.

Во втором томе обозревается история очагов древнегрузинской литературы, возникших и функционировавших за пределами Грузии — на Западе и Ближнем Востоке. Данная проблема давно стала в науке актуальной, однако пока еще нет ее монографического освещения.

Предлагаемая работа является попыткой восполнить этот пробел в нашем литературоведении.

Книга рассчитана на филологов, историков, а также на круг читателей, интересующихся историей грузинской литературы.

Volume One of "Seats of Ancient Georgian Literature", published in two parts in 1962, presents the history of the seats existing in Georgian territory.

Volume Two reviews the history of the centres of Old Georgian literature that originated and functioned beyond the borders of Georgia—in the West and the Middle East. Although study of the problem is long overdue it has not been hitherto elucidated monographically.

The present study is an attempt at filling this gap in the Georgian history of literature.

Prospective readership: philologists, historians and all those interested in the history of Georgian literature.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

1962 წელს გამოქვეყნდა ჩვენი „ძველი ქართული მწერლობის კერების“ პირველი ტომი (ორ ნაკვეთად), რომელშიც მიმოხილულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კერების ისტორია.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ „ძველი ქართული მწერლობის კერების“ მეორე ტომს, რომელიც გვაცნობს საზღვარგარეთ — ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთში — აღმოცენებული ქართული კოლონიების თავგადასავალს, იქაური ქართველი მოღვაწეების მწიგნობრულ-ლიტერატურულ საქმიანობას. მასში წარმოჩენილია უცხოეთში არსებული არაერთი კერა. სადაც ვითარდებოდა ქართული ლიტერატურული აზროვნება და იქმნებოდა ახალი ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა მნიშვნელოვანი ძეგლები და მზადდებოდა ძვირფასი ხელნაწერები, ფართოვდებოდა ქართველთა გონებრივი ჰორიზონტი და მდიდრდებოდა ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძური.

ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთელი კერების მნიშვნელობა საქმამოდ ცნობილი და აღიარებულია. „ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებული ჰრა ერთი და ორი [სავანე] დღესაც ჰღაღადებს ათონის მთაზედ, სინაზედ, სირიაში. იერუსალიმის ახლო-მახლო, რომ ქართველთა თავგამომეტებით და დიდის მხნეობით უღვაწინათ თავის ქვეყნის გარეთაც“ (ი. ჭავჭავაძე).

ი. ჭავჭავიძე იწერდა: „საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო. იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი ჯანთლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი რაც-ც იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა. ახდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდეს: საუკეთესო თხზულებანი ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულდებული იყო ხოლმე“.

ამ სიტყვებში ისე ამომწურავადაა დახასიათებული და წარმოჩენილი ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთელი კერების მნიშვნელობა და როლი ეროვნულ კულტურის განვითარებაში, რომ ძნელია რამე დაეუმატოთ. მართლაც, ამ

* ი. ჭავჭავიძე ილი, ქართველი ერის ისტორია, II³, თბ., 1965, გვ. 339—340, 345.

კერძობის შემწეობით ქართველობა თვალს ადევნებდა იმდროინდელი განათლებული მწიგნობრული წიგნების საქმიანობას^{*}. ეცნობოდა მათ წარმატებას, ითვისებდა და თარგმნიდა ყოველივე კარგსა და საყურადღებოს, ქმნიდა წინაპირობას ეროვნული ლიტერატურის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის.

წინამდებარე ნაშრომში ვცადეთ, შეძლებისდაგვარად, გვეჩვენებინა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში არსებულ ქართულ საკანებს ჩვენი კულტურისათვის. ჩვენი ეროვნული მწერლობისათვის. ადგილობრივი ლიტერატურული ძალების ორიგინალურ-შემოქმედებითი მუშაობისათვის.

მოდწეული მასალის სიმცირის გამო ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთი საზღვარგარეთელი კერის ისტორიას არასრული სახით ვიძლევი. მართალია, ვგრძნობთ გარკვეულ უხერხელობას. მაგრამ უცნობი მასალების გამოვლენის ღონისი გაუმართლებლად მივიჩნით.

ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთელი კერების ცნობილი მკვლევარია ა. ცაგარელი წერდა, რომ ახლო აღმოსავლეთში მოღვაწე ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სრული სურათის აღდგენა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როდესაც გამოქვეყნდება ქართველ მეფეთა შეწირულების სიგელები. აღმოსავლეთის პატრიარქთა მიმოწერა ქართველ მეფეებსა და სამღვდელთაგან, იერუსალიმის, სინისა და კონსტანტინოპოლის არქივების საბუთები, უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები, ნარკვევები ქართველების ნაგებობათა ხუროთმოძღვრებასა და ფერწერაზე და ა. შ.

არ შეიძლება არ დავეთანხმეთ ლეწომოსილ მეცნიერს. მეტიც, მისი აზრი თამამად შეიძლება გავაგრძელოთ დასავლეთში მოღვაწე ქართველებზე, იქაურ ქართულ საკანებზე, მაგრამ ზემოდასახელებული მასალების სრული სახით გამოქვეყნება არცთუ ისე ახლო მომავლის საქმეა. ამიტომ გავითვალისწინეთ მკითხველი საზოგადოებრიობის მოთხოვნილება და ჩვენთვის ხელმისაწვდომი ძველი წყაროებისა და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით მოკლედ გადმოვეცით ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთელი კერების ისტორია, ზოგადად მიმოვიხილეთ ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთში.

წიგნზე გულმოდგინე მუშაობისათვის გვსურს მადლობით მოვიხსენიოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-გამომცემლობის კოლექტივი, რომელსაც არაფერი დაუშურებია, რათა ჩვენი ნაშრომი შედარებით კარგი სახით გამოსულიყო.

დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ მეცნიერ რედაქტორს პროფ. ა. ურუშაძეს საყურადღებო შენიშვნებისა და მითითებისათვის.

მადლობით უნდა მოვიხსენიოთ თამარ ხეთერელი, რომელიც წიგნზე მუშაობისას განსაკუთრებულ დახმარებას გვიწვედა: მან გაამზადა წიგნი სასტამბოდ, მანვე გაიზიარა კორექტურის კითხვის მთელი სიმძიმე, ხოლო მის მიერ შედგენილმა საძიებელმა შესაძლებლობა მოგვცა ზოგიერთი საკუთარი სახელის დაწერილობა დაგვეხუსტებინა.

^{*} ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 305.

ქველი ქართული მწერლობის კვიები
საზღვარგაეთ

კველი ქართული მწერლობის კერები ახლო აღმოსავლეთში

შ ე ს ა ვ ა ლ ი

I

ქართველებს ადრეული ხანიდანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან. ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის ბევრი უდაბნო ქართველ მოღვაწეთა საყვარელ და საიმედო თავშესაფრად იქცა. ჩვენმა წინაპრებმა უკვე IV—V საუკუნეებში მიაშურეს დასახელებული ქვეყნების სავანეებს, ხოლო შემდეგ ზოგიერთ ადგილას მრავალმხრივი კულტურულ-აღმშენებლობითი და მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობაც გააჩალეს. ქართველთა სამოღვაწეო პუნქტებში, — პალესტინისა და სირიის ეკლესია-მონასტრებში, — საუკუნეების მანძილზე ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება, იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა უცხოური ძეგლები, მრავლდებოდა ხელნაწერები, მდიდრდებოდა ეროვნული წერილობითი კულტურის საგანძური.

ეგვიპტეში უკვე IV საუკუნეში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე ევაგრე პონტოელი¹, ხოლო V საუკუნეში იქაურ უდაბნოში ქართული ბაზილიკაც აშენდა. ამ ეკლესიის ნანგრევები ახლახან გამოვლინდა (თებეს ნეკროპოლში) და ძველი წერილობითი წყაროების ჩვენება მატერიალური კულტურის ძეგლითაც დადასტურდა².

კიდევ უფრო მრავლად ჩანან ქართველები პალესტინაში—იერუსალიმსა და მის ახლოს არსებულ სავანეებში. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ქართულ ეკლესიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის ეკლესიასთან. მართალია, ქართული ეკლესიის აღმოცენებას ზოგჯერ საბერძნეთს, სირიასა და სომხეთს უკავშირებდნენ, მაგრამ მეცნიერული კვლევა-ძიებით დადგინდა, რომ ქართული ეკლესია იერუსალიმური წარმოშობისაა³. ამას ამოწმებს და ადასტურებს ქართულ წერილობით ძეგლებში შემონახული ზოგიერთი ტრადიციული გადმოცემა (ქართველთა განმანათლებლის იერუსალიმიდან მოსვლა, ქართველ მეფეთა ზრუნვა იერუსალიმის დაცვაზე, ქართველ მოღვაწეთა ხშირი მოგზაურობა პალესტინაში იქაურ სიძველეთა მოსახილველად და ა. შ.), ქართლის კათალიკოსის კირიონის (VI ს.)

ცნობა ჩვენს ქვეყანაში იერუსალიმური წარმომავლობის ქრისტიანობის გავრცელების შესახებ⁴, უძველესი ქართული ტაძრების შინაგანი მოწყობილობა, ქართლის ეკლესიის საკურობებისათვის მირონის იერუსალიმიდან შემოტანა, რაც სერგის პატრიარქობამდე (843—859) გრძელდებოდა, ქართველთა საღვთისმსახურო პრაქტიკაში იერუსალიმური წარმომავლობის ლიტურგიკული ხასიათის ძეგლების გამოყენება და ამის გამო მცხეთასა და მის მიდამოებში იერუსალიმის ტოპოგრაფიული პირის შექმნა. როგორც ცნობილია, ქართლის დედაქალაქში, აგრეთვე მის ახლომახლო მრავალ პუნქტსა თუ ტაძარს ეწოდა იერუსალიმური წარმომავლობის სახელი — ბეთლემი, გეთსიმანია, გოლგოთა⁵, ბეთანია⁶, თაბორი⁷ და სხვ. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ იერუსალიმის სამხრეთ ნაწილში, სიონის მთაზე, აგებული ბაზილიკა ისე აღიბეჭდა ქართველთა ცნობიერებაში, რომ ამ ტიპის შენობებს ჩვენში სიონის სახელწოდება დაუმკვიდრდათ. სიონი თითქმის ტექნიკურ ტერმინად იქცა და ყველა ბაზილიკაზე გავრცელდა⁸. ცნობილია, მაგალითად, სიონი თბილისისა, ბოლნისისა, ატეხისა, სამშვილდისა, ხევისა და ა. შ. ძველ ნაგებობათა გავლენით რამდენიმე სოფელს ღვთაებზე შემორჩა სიონის სახელწოდება (ყაზბეგის, თიანეთისა და მარნეულის რაიონებში)⁹.

ამრიგად, ქართველთა ლტოლვა პალესტინისაკენ ნაწილობრივ ქართლის ეკლესიის იერუსალიმურმა წარმომავლობამ განაპირობა. ბუნებრივია, პალესტინისაკენ ლტოლვას აძლიერებდა ინტერესი ქრისტიანობის კერისადმი, ინტერესი ბიბლიური ავთენტიკურობისადმი; იერუსალიმისა და მის მიდამოებში ბევრი რამ იყო დაკავშირებული ბიბლიურ მოთხრობებთან და საუკუნეთა მანძილზე იზიდავდა ყველა ქვეყნის ქრისტიან მორწმუნეებს, მათ შორის ქართველებსაც¹⁰. ყოველივე ამას ერთობა კიდევ ერთი გარემოება: ქრისტიან მოღვაწეთა სწრაფვა უღაბნოებისაკენ, მონასტრებისაკენ.

აღამიანებს ადრევე გაუჩნდათ მისწრაფება მისტიკისადმი, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენდა ლტოლვას ღვთაებისადმი, სურვილს მასთან შერწყმისა. ასეთმა სულისკეთებამ განაპირობა ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფა, ასკეტიზმის აღმოცენება და განვითარება. მისტიკურ-ასკეტური მიდრეკილება შესამჩნევნი იყო წინაქრისტიანულ სამყაროშიც, — ბერძენთა, ეგვიპტელთა და სხვათა შორის, — და შემდგომ — სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა შორისაც.

მისტიკურ-ასკეტურმა მიდრეკილებამ განსაკუთრებით იჩინა თავი ქრისტიანულ საზოგადოებაში — აღმოცენდა და სწრაფი ტემპით განვითარდა ბერმონაზვნობა. ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელთა აზრით, ბერმონაზვნობა იყო ყველაზე სრულყოფილი სახე ქრისტიანული მოღვაწეობისა და ყველაზე მეტად შეეფერებოდა ქრისტიანობის იდეალებს¹¹. ამიტომაც ქრისტიანთა დიდი ტალღა მიაწყდა უღაბნოებს, გამოქვაბულებს. ბერმონაზვნობა თანდათან გაძლიერდა, თითქმის ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში იქცა სერიოზულ ძალად და არსებით როლს ასრულებდა როგორც ეკლესიის, ისე სახელმწიფოს ცხოვრებაში¹².

ქრისტიანული საზოგადოებრიობის ცხოვრებისა და აზროვნების ასეთი მი-

მართულება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჩვენს წინაპრებს. ისინიც მალე ჩაებნენ ბერმონაზვნურ ცხოვრებაში, მაგრამ, რადგან ადრეულ ხანაში, — IV—V საუკუნეებში, — ჩვენსი მონასტერი არ არსებობდა, მათ მიაშურეს უცხო მხარეს — ეგვიპტეს. პალესტინას, სირიას და ა. შ.¹³

ასე რომ, ქართველთა ლტოლვა პალესტინისკენ განაპირობა, ერთი მხრივ, ქართლის ეკლესიის აღმოსავლურმა (იერუსალიმურმა) წარმომავლობამ და ქართველთა ინტერესმა ბიბლიური ადგილებისადმი, მეორე მხრივ. ქართველთა სწრაფვამ ბერმონაზვნური ცხოვრებისაკენ. უკანასკნელმა მომენტმა განაპირობა ქართველი მოღვაწეების დამკვიდრება სირიის უდაბნოებშიც. ამ საკითხზე მსჯელობისას ზოგჯერ აღნიშნავდნენ, რომ ქართლის ეკლესია IV საუკუნიდან ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდა და ამით იყო შეპირობებული ქართველთა დაახლოება სირიასთან¹⁴. ეს არაა სწორი. მართალია, ზოგიერთი ძველი ავტორი ქართველთა შორის ქრისტიანული იერარქიული ორგანიზაციის მომწყობად ანტიოქიის პატრიარქს ასახელებს, მაგალითად, ნიკონ შავმთელი (XI ს.)¹⁵, ეფრემ მცირე (XI ს.)¹⁶, არსენ ბერი (XI ს.)¹⁷, მაკარი ანტიოქელი (XVII ს.)¹⁸ და სხვ., ხოლო ასეთმა ვერსიამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ქართლის ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოზე დამოკიდებულების შესახებ აზრის გავრცელებას, მაგრამ დღეს გარკვეულია, რომ ეს შეცდომაა, ქართლის ეკლესია IV—VI საუკუნეებში ანტიოქიაზე დამოკიდებული არ ყოფილა. არავითარი ძველი საბუთი ამ საკითხზე არ მოგვეპოვება. ხოლო ის თქმულებები, რომლებიც ევსტათი ანტიოქელისა და ვახტანგ გორგასლის დროის (V ს.) შესახებაა შემონახული „ქართლის ცხოვრების“ კრებულში¹⁹ მხოლოდ მერმინდელი კავშირის გამოძახილია. მართალია, სომხურ ეკლესიასთან დაშორების შემდეგ ქართლის ეკლესია VII საუკუნეში დაქვემდებარა ანტიოქიის საპატრიარქოს, მაგრამ ეს დამოკიდებულება თავიდანვე ნომინალური ხასიათისა იყო. ხოლო XI საუკუნეში, როდესაც საქართველო გაძლიერდა, საბოლოოდ შეწყდა²⁰. საგულისხმოა, როდესაც ქართველებს ანტიოქიის სახაზებში მრავალფეროვანი კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა ჰქონდათ გაჩაღებული, ქართული ეკლესია ანტიოქიის პატრიარქს აღარც ნომინალურად ექვემდებარებოდა. აღნიშნული გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველთა მომრავლებას სირიის სავანეებში ხელი შეუწყო არა ქართული ეკლესიისა და ანტიოქიის საპატრიარქოს ურთიერთობამ, არამედ ქართველ მოღვაწეთა მისტიურ-ასკეტურმა მიდრეკილებამ და სწრაფვამ ბერმონაზვნური ცხოვრებისაკენ.

უკანასკნელად იაიცი უნდა აღვხიშნოთ. რომ საუკუნეთა მანძილზე ახლო აღმოსავლეთი წარმოადგენდა ქრისტიანული მწერლობის მძლავრ ცენტრს და გამოჩენილ მწიგნობართა სემოღვაწეო ასპარეზს. იერუსალიმი, საბაწმიდა, პალავრა. სინა, ანტიოქია, შავი მთა — ამ მწერლობის სახელგანთქმული ცენტრებია. ქართველი მოღვაწეები. — იჩენდნენ რა დიდ ინტერესს ქრისტიანული მწერლობისადმი, — ბუნებრივია. განსაკუთრებით ეტანებოდნენ ამ მწერლობის ცენტრებს. მათ

ჯერ სხვათა საფგომებს მიაშურეს, ხოლო შემდეგ ქართული კოლონიები დააარსეს. საკუთარი საგანები შექმნეს და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაც გააჩაღეს. ამის შედეგად გვიანი ხანის ქართველ მოღვაწეებს ახლო აღმოსავლეთისაკენ იზიდავდა არა მხოლოდ მსოფლიო ქრისტიანული მწერლობა, არამედ წინამორბედ თანამემამულეთა მიერ შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობაც.

ზემოთქმულის ვათვალისწინებით შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: ქართველთა ლტოლვა ახლო აღმოსავლეთისაკენ განაპირობა ა) ქართული ეკლესიის აღმოსავლურმა (იერუსალიმურმა) წარმომავლობამ; ბ) ქართველთა ინტერესმა ქრისტიანობის კერისადმი, ბიბლიური ადგილებისადმი; გ) ქართველ მოღვაწეთა მისტიკურ-ასკეტურმა მიდრეკილებამ და სწრაფვამ ბერმონაზვნური ცხოვრებისაკენ; დ) ქართველთა დაინტერესებამ ქრისტიანული მწერლობით და ამ მწერლობის ცენტრებით.

II

ახლო აღმოსავლეთში არსებულ საგანებზე, ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებზე და იქ ქართველთა მიერ გაჩაღებულ ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაზე მრავალი საინტერესო ცნობაა დაცული ძველ ქართულ წყაროებში — საისტორიო ნაწარმოებებში, ავთოგრაფიულ თხზულებებში, მწიგნობართა მიერ დამზადებულ ხელნაწერებში, ალაპებსა და სულთა მატრიანებში, ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ეპისტოლეებში, სიველ-გუჯრებში და ა. შ. მათი მნიშვნელობა ჩვენი საკითხის კვლევისათვის განუსაზღვრელია. თითოეული კერის ისტორიის ჩვენებისა თუ იქაური მწიგნობრული წრის დახასიათებისას მეტწილად დასახლებულ წყაროებს ვეყარებით. ამდენად მათზე საგანგებო შეჩერება ამჟამად საჭიროდ აღარ მიგვაჩნია.

ქართველთა მოღვაწეობა ახლო აღმოსავლეთში საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა. მათი სამონასტრო კოლონიზაცია, აღმშენებლობითი საქმიანობა, ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა და სხვა კულტურულ წრებთან ურთიერთობა ერთობ შესამჩნევი იყო და უცხოელთა ყურადღებასაც იპყრობდა. ამის შედეგად ცნობები ახლო აღმოსავლეთში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ უხვად შემოგვინახეს არაქართველთა ავტორებმაც. აქ შეიძლება მოვიხსენიოთ რუსი მოღვაწენი: დანიელ წინამძღვარი, იგნატი სმოლენსკელი, ვ. პოზნიაკოვი, ვ. გაგარა, ა. სუხანოვი, ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკი და ა. შ.²¹ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე დასავლელთა თუ აღმოსავლელი მოგზაურები, დიპლომატიური მოღვაწენი, მემკვიდრეები და სხვ. მაგალითად, იოანე რუფუსი, ანტონინე მარტვირი, ზეგულფი, იბნ შადადი, კირაოს განძაკეცი, ალ-უმარი, ალ-მაკრიზი, ალ-კალკაშანდი, ი. ტუხერა, ბ. ბრაილენბახი, ლ. ჩუდი, ს. შვაიგერი, ნ. რაძივილი და ა. შ.

დასახელებულ პირთა ცნობების შეფასებასა და ავტორიანობის ჩვენებას აქ არ შევეუდგებით. მკითხველთა ყურადღებას გაეამახვილებთ მხოლოდ ქართველ მწიგნობარ-მოგზაურთა ჩახაწერებზე, ხოლო შემდეგ მოკლედ მიმოვიხილავთ ახლო აღმოსავლეთის ქართულ საეპისკოპოსოს შესწავლის ისტორიას და წარმოვაჩინთ ცალკეულ მეცნიერთა ღვაწლს ამ პრობლემის დამუშავებაში.

1757—1758 წლებში პალესტინაში იყო ცნობილი ქართველი მწერალი ტ. გაბაშვილი (გარდ. 1764 წ.). მან დაგვიტოვა მოგზაურობის ვრცელი აღწერილობა—უაღრესად მნიშვნელოვანი მხატვრულ-ლიტერატურული ძეგლი, რომელშიც უხვადაა მოცემული ავტორის შთაბეჭდილებანი, მეცნიერული დაკვირვებანი, ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობები.

ტ. გაბაშვილმა გაიცნო იერუსალიმისა და მისი მიდამოების ქართული სიძველენი. დაათვალიერა და აღწერა იქაური ეკლესია-მონასტრები, გამოიყება წერილობითი წყაროები, ისარგებლა ეპიგრაფიკული ძეგლებით, შეკრიბა და ჩაიწერა გადმოცემები, გადმოაღებინა ფრესკები. ყოველივე ამით მან გადალახა პილიგრამული თსულებების ჩარჩოები და შექმნა ნაწარმოები. რომელიც არა მხოლოდ ავტორის პოლიტიკურ-დიპლომატიურ მიზნებს ავლენს, არამედ ახლო აღმოსავლეთში ქართველთა მოღვაწეობის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობასაც წარმოაჩენს. მ.ს. „მიმოსლვა“ შეიცავს მდიდარ მასალას როგორც ავტორის მსოფლმხედველობისა და ინტერესთა სფეროს შესასწავლად. ისე, — რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, — ძვირფას ცნობებს ახლო აღმოსავლეთში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ. იგი იერუსალიმის ქართველთა კოლონიის პირველი ისტორიკოსია, ხოლო მისი ნაწარმოები — ამ კოლონიის ისტორიის შესწავლისათვის დიდად ფასეული პირველწყარო²².

ტ. გაბაშვილი იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელსაც იერუსალიმით მისი სანახები ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით აინტერესებდა და რომელმაც ამ თვალსაზრისით შეისწავლა და აღწერა კიდევ ქართველთა მოღვაწეობის ისტორია პალესტინის ცენტრში²³.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ახლო აღმოსავლეთი მოიარა და იქაური სიძველენი გაიცნო მწერალ-მოგზაურმა ი. გედევანიშვილმა (1737—1821). თავის წიგნში („მიმოსლვა“) მან მოიხსენია ბევრი ისეთი საეპისკოპოსო, სადაც ოდესღაც ქართველნი მოღვაწეობდნენ და სადაც ქართველთა ნაკვალავი ჯერ კიდევ ჩანდა. სახელობრი. მოინახულა იერუსალიმისა და მისი შემოგარენის საეპისკოპოსოები (გოლგოთა. გეთსიმანა. ბეთლემი, საბაშვილი. ჯარი...)²⁴, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველთა მოღვაწეობაზე, ქართულ სიძველეებზე თითქმის არავითარი ცნობა არ შემოგვიწინა. გამონაკლისს წარმოადგენს ჯვრის ტაძარი, მაგრამ მოგზაური მასშტაბზე ძუნწ ცნობას გვაწვდის (მონასტერში „დახატულ არიან მეფენი საქართველოსანი და დადიანი. საშუალ ეკკლესიისა არს დაწერილი: „ვღვეთ კეთილად“ და შემდგომი“)²⁵. შედარებით სრულად აღწერა მან სინის მთის საეპისკოპოსო²⁶. მაგრამ ქართველთა შესახებ არც ამჯერად თქვა რამე. ძნელი წარმოსადგენია, რომ ი. გედე-

ვანიშვილმა ვერსად ნახა ქართული წარწერები (გარდა ჯვრისა), ქართული ხელნაწერები. ქართველია მოღვაწეობის ნაკვალი. მეორე მხრივ, ასევე ძნელი ასახსნელია მისი დუმილი.

1820 წელს ახლო აღმოსავლეთის ქართული სიძველენი გაიცნო, შეისწავლა და აღწერა მთარგმნელმა და დრამატურგმა გ. ავალიშვილმა (1769—1850). მის ჩანაწერებში ვხვდებით საინტერესო ცნობებს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, აგრეთვე სხვა საგანების (გოლგოთის, აბრამის ტაძრის, იაკობის მონასტრის, იოანე ლეთისმეტყველის ეკლესიის) შესახებ²⁷. იგი ზოგჯერ გულისტყვივლით აღნიშნავდა ქართულ საგანეთა სხვათა მიერ მიტაცებას²⁸.

გ. ავალიშვილმა ნახა ქართველთა სხვა სამოღვაწეო ადგილებიც (ბეთლემი, საბაწმიდა, აღდგომის ეკლესია, გეთსიმანია და სხვ.), მაგრამ ქართველთა საქმიანობაზე ან დასახელებულ ადგილებში შემონახულ ქართულ სიძველეებზე არას წერს. მიუხედავად ამისა, გ. ავალიშვილის „მგზავრობაჲ თბილისით იერუსალიმისადმი და უკუნქცევაჲ იერუსალიმით თბილისისადმივე“ საყურადღებო წყაროს წარმოადგენს.

ახლო აღმოსავლეთში ქართველთა მოღვაწეობის შესწავლის მიზნით გარკვეული მუშაობა ჩატარეს ცნობილმა სწავლულებმა ა. მურავიოვმა და პ. იოსელიანმა.

ა. მურავიოვმა (1806—1874) 1830 წელს იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში, ინახულა და მოკლედ აღწერა ქართველთა სამოღვაწეო კერები—საბაწმიდა, ბეთლემი, გოლგოთა, ჯვარი და ა. შ. ჩაიწერა გადმოცემა ჯვრის მონასტრზე. ნახა იქ ქართული ხელნაწერებიც: გამოაქვეყნა თარგმანი მოზრდილი ნაწყვეტისა ტ. გაბაშვილის წიგნიდან და რუს მკითხველებს მიაწოდა ვრცელი ცნობები ქართველთა იერუსალიმში მოღვაწეობის შესახებ²⁹.

პ. იოსელიანმა (1809—1875) გამოსცა და საყურადღებო შენიშვნებით შეამკო ტ. გაბაშვილისა და ი. გედევანიშვილის მოგზაურობათა წიგნები (1852 წ.); თავის მრავალრიცხოვან შრომებში³⁰ არაერთხელ განიხილა სინის მთის, ჯვრის თუ სხვა ქართულ საგანეთა ისტორიის ცალკეული საკითხები, მაგრამ არცთუ იშვიათად ლეგენდარული ცნობა ისტორიულ ჭეშმარიტებად გამოაცხადა, რის გამოც მისი შრომებით სარგებლობისას სიფრთხილე გვმართებს.

1845 წელს იერუსალიმის ქართულ სიძველეთა ნაწილი გაიცნო და აღწერა არქეოლოგმა და ლექსიკოგრაფმა ნ. ჩუბინაშვილმა (1790—1847). მის მიერ შედგენილმა აღწერილობამ ჯვრის მონასტრისა და იქაური ხელნაწერებისა საქმოდ გვიან იხილა მზის სინათლე — იგი რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაიბეჭდა³¹, ამიტომაც თავის დროზე შესაბამისი აღიარება ვერ პოვა და მეცნიერებას დროული სამსახური ვერ გაუწია, მაგრამ გამოქვეყნების შემდეგ კი მალე მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება. ნ. ჩუბინაშვილმა შემოგვიანახა საინტერესო ცნობები ჯვრის ფრესკების, წარწერების, ხელნაწერებისა და სხვა სიძველეთა შესახებ. მის ზოგიერთ ცნობას დღესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ნ. ჩუბინაშვილის მიერ შე-

ნიშნული და გადმოღებული ზოგიერთი წარწერა შემდეგ გაუჩინარდა. ასე რომ, მისმა გადმონაწერმა პირველწყაროს მნიშვნელობა მიიღო.

1846 წელს ტ. გაბაშვილისეული აღწერილობა იერუსალიმის ქართული სიძველეებისა თავის „ქრისტიანობაში“ დაბეჭდა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ცნობილმა წარმომადგენელმა დ. ჩუბინაშვილმა (1814—1891)³².

ტ. გაბაშვილის თხზულებით დიდად იყო დავალებული გამოჩენილი ქართველი მეცნიერი თ. ბაგრატიონი (1782—1846), რომელმაც ძველი წყაროების საფუძველზე შეადგინა საინტერესო „მოთხრობა“, რომელიც, თავის მხრივ, ნათლად ავლენს სწავლული ბატონიშვილის დაინტერესებას ახლო აღმოსავლეთში ქართველთა მოღვაწეობით³³. იგი ასახელებდა პალესტინის ქართველ მოღვაწეებს, ქართულ სავანეებს და მოკლედ წარმოაჩენდა ქართველთა სამონასტრო კოლონიზაციის ისტორიის ცალკეულ მომენტებს. მართალია, მის ნაწერში ზღაპრული ელემენტები გვხვდება და ფაქტობრივი შეცდომაც, მაგრამ მაინც საყურადღებოა, როგორც მკითხველთათვის პალესტინის ქართულ სიძველეთა შეახებ საინტერესო მასალის მიწოდების ცდა. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ტ. გაბაშვილის, ი. გედევანიშვილისა თუ სხვათა ჩანაწერები სრულად გამოცემული არ იყო.

ახლო აღმოსავლეთში ქართველთა მოღვაწეობის ნაკვალევის გამოვლენაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რუს მეცლევარს პ. უსპენსკის (1804—1885). მან დაათვალიერა იერუსალიმი და მისი სანახები³⁴, განსაკუთრებული გულისყურით შეისწავლა სინა. იგი ორჯერ იყო (1845 წ., 1850 წ.) სინაზე და დაგვიტოვა ვრცელი აღწერილობა როგორც თავისი მოგზაურობისა, ისე სინის მთაზე დატული სიძველეებისა³⁵. მის წიგნებში ბევრი საყურადღებო ცნობა გვხვდება ქართველთა მოღვაწეობაზე.

პ. უსპენსკიმ ახლო აღმოსავლეთიდან წამოიღო რამდენიმე ძვირფასი ქართული ხელნაწერი. მაგალითად, ქილ-ეტრატის იადგარი (H № 2123), პალავრული კრებული (H № 2124) და სხვ. ამით მან დიდებული განძი გადავიჩინა. მანვე მიაწოდა მკითხველებს ახლო აღმოსავლეთის სავანეთა მრავალი სურათი³⁶. ფრიად საინტერესოა მის მიერ გადმოღებული ქართული წარწერები, რომლებიც პ. იოსელიანის შენიშვნებით გამოქვეყნდა³⁷. უკანასკნელად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებითად პ. უსპენსკის დახმარებით მიიღო მკითხველმა რუსული თარგმანი დოსითეოს პატრიარქის (1669—1709) წერილებისა, რომლებშიც არაერთი მნიშვნელოვანი ცნობა გვხვდება ახლო აღმოსავლეთის ქართული კერების შესახებ³⁸.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ გამოჩენილი მეცნიერი მ. ბროსე (1802—1880), რომელმაც ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა ტ. გაბაშვილისეული აღწერილობა იერუსალიმის ქართულ სიძველეთა და დაურთო მას საინტერესო შენიშვნები³⁹. ასეთივე შენიშვნები გვხვდება მ. ბროსეს სხვა შრომებსა და პუბლიკაციებშიც⁴⁰. განსაკუთრებით ყურადღასა ღირსია, რომ მ. ბროსე იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც აღწე-

რა ახლო აღმოსავლეთის ქართული კულტურის კერებიდან მომდინარე ხელნაწერები⁴¹.

აღმოსავლური წარმომავლობის რამდენიმე ქართული ხელნაწერის (H №№ 1661, 1662, 1664, 1791 და სხვ.) შესახებ ცნობები გამოაქვეყნა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემაც (1826—1890)⁴². მანვე დაბეჭდა რამდენიმე შენიშვნა ახლო აღმოსავლეთში ქართველთა მოღვაწეობაზე⁴³ და სპეციალური წერილი (ჯვრის ტაძარზე). რომელშიც საგანგებოდ მსჯელობდა ახლო აღმოსავლეთის ქართული კოლონიების შესწავლის აუცილებლობაზე⁴⁴.

გასული საუკუნის 80-იან წლებში დ. ბაქრაძე უნდა გამგზავრებულყო ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო იძულებული გახდა „პალესტინის მართლმადიდებლური საზოგადოების“ წინადადებაზე უარი განეცხადებინა⁴⁵. მის ნაცვლად გაემგზავრა ქართული წერილობითი ძეგლების თავდადებული მოპირნახულე ა. ცაგარელი (1844—1929).

ა. ცაგარელი იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც სპეციალურად ქართველოლოგიური მიზნებით ეწვია ახლო აღმოსავლეთს. ამასთანავე, იგი იყო საერთოდ პირველი მეცნიერი. რომელიც წმინდა ქართველოლოგიური მიზნებით გაეცნო იქაურ სიძველეებს. აღნიშნულის გამო მისი მოგზაურობა განსაკუთრებულ ნაყოფიერი იყო.

ა. ცაგარელმა 1883 წელს მოინახულა და დაათვალიერა, გაიკნო და შეისწავლა ბევრი საგანე (საბაწმიდა, ბეთლემი და ა.შ.), საგანგებო კვლევებითი მუშაობა ჩაატარა ჯვრის მონასტერსა და სინის მთაზე. მან გადმოიღო ქართული წარწერები და ფრესკები, სარდაფებსა და სენაკებში დაძებნა და აღწერა ხელნაწერები, შეკრიბა გადმოცემები, ძველ ქართულ წყაროებსა და უცხოელთა ჩანაწერებში მოძებნა ცნობები ახლო აღმოსავლეთში ქართველთა კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ, მოგვცა მოკლე ისტორია ქართულ საეანეებში გაჩაღებული შემოქმედებითი მუშაობისა, გაარკვია საბაწმიდის, სინის მთის, ჯვრის მონასტრისა და სხვა საეანეთა როლი ქართული კულტურის ისტორიაში. ა. ცაგარლის ღამსახურება ახლო აღმოსავლეთის ქართული მწიგნობრულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიის შესწავლაში ერთობ დიდი და საპატიოა⁴⁶.

ახლო აღმოსავლეთის ქართული კერების შესწავლაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერების ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორც იყენენ მ. ჯანაშვილი (1855—1934), თ. ჟორდანიანი (1852—1916) და ა. ხახანაშვილი (1866—1912).

მ. ჯანაშვილმა აღწერა აღმოსავლური წარმომავლობის რამდენიმე ქართული ხელნაწერი (A №№ 142, 845 და სხვ.)⁴⁷ და თავის შრომებში უხვად შეიტანა ცნობები ახლო აღმოსავლეთის ქართულ საეანეებზე⁴⁸; თ. ჟორდანიანმა აღწერა ქვნი საკითხისათვის საინტერესო ზოგიერთი ხელნაწერი (A №№ 142, 484 და სხვ.), შენიშვნებითა და დამატებითი ცნობებით გამოაქვეყნა პალესტინიდან გ. ავალიშვილისა თუ სხვათა მიერ გამოტანილი ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები, რომლებიც

შეიცავენ საინტერესო ცნობებს სირია-პალესტინის ქართულ სავანეებზე⁴⁹, 1893 წელს დაბეჭდა მოზრდილი წერილი „მოკლე ცნობანი ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში და ხმლით აღება იერუსალიმის ქალაქისა ქართველთაგან 1527 წელს“⁵⁰, ხოლო 1897 წელს დასტამბა აღწერილობა გოლგოთის სენიაქსარისა, „პროხორუს ცხოვრება“ და სხვა საინტერესო მასალები⁵¹; ა. ხახანაშვილმა აღწერა პალესტინური წარმომავლობის ზოგიერთი ხელნაწერი⁵² და თავის კაპიტალურ ნაშრომში შეიტანა სპეციალური ნაკვეთი „Центры просвещения в древней Иверии“, რომელშიც მოგვცა მოკლე მიმოხილვა საბაწმინდის, სინის, ჯვრის, შავი მთისა და სხვა ქართული სავანეებისა⁵³.

1899 წელს იერუსალიმისა და მისი მიდამოების ქართული კერები (საბაწმიდა, ბეთლემი, ჯვარი და სხვ.) დაათვალიერა და ზოგიერთი საინტერესო ცნობა მოგვაცოცხლა პ. კონჭოშვილმა (1836—1909)⁵⁴. ახლო აღმოსავლეთის ქართული სავანეების ისტორიის საკითხებს ხშირად იხილავდა თავის სამეცნიერო-პოპულარულ შრომებში კ. საძაგლიშვილი (1855—1918)⁵⁵.

ქართველთა მიერ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმა მეცნიერული შესწავლა დაიწყო ჩვენი საუკუნის დამდნეიდან, როდესაც იქაურ მწიგნობრულ კერებს ეწვივნენ დიდი ქართველი მეცნიერები ნ. მარი (1864—1934) და ი. ჯავახიშვილი (1876—1940). ათონის ქართულ მონასტერში მუშაობის შემდეგ ნ. მარისათვის ცხადი გახდა, რომ ძველი ქართული წერილობითი კულტურის საფუძვლიანი შესწავლისათვის აუცილებელი იყო ახლო აღმოსავლეთის ქართულ ხელნაწერთა კალექციების გაცნობა. ამიტომ მიაშურა მან ინტერესით სინასა და იერუსალიმს, სადაც დიდის გულისყურით გაიცნო ქართული სიძველენი. ასეთივე ინტერესით მუშაობდა სინაზე ი. ჯავახიშვილიც. მაგზაურობის აღწერილობა და მოპოვებული მასალის მოკლე დახასიათება საზოგადოებას მიაწოდა ნ. მარმა⁵⁶. მისმა წინასწარმა ანგარიშმა დიდი გამოხმაურება პოვა და უცხოელთაც კი აგრძნობინა ქართული კულტურის სიდიადე და მნიშვნელობა (ა. ჰარნაკი).

ნ. მარმა და ი. ჯავახიშვილმა მოიპოვეს და ვრცლად აღწერეს ადრე უცნობი ბევრი ხელნაწერი, დააზუსტეს და შეავესეს არსებული აღწერილობანი, გამოავლინეს არაერთი უცნობი ქართველი მწიგნობარი და ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულება, გამოსაცემად მოამზადეს და შემდგომ გამოაქვეყნეს რამდენიმე დიდებული ძეგლი. სამწუხაროდ, ნ. მარმა გვიან განიზრახა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის გამოცემა. ისე გვიან, რომ სიცოცხლეში აღარ დასცალდა მისი ვანხორციელება; იგი მხოლოდ 1940 წელს დაიბეჭდა⁵⁷. ი. ჯავახიშვილი, ჩანს, ელოდა მასწავლებლის შრომის პუბლიკაციას. ამის გამო მისი აღწერილობის გამოცემაც დაგვიანდა⁵⁸. უფრო მეტი დაგვიანებით გამოვიდა ნ. მარის მიერ შედგენილი აღწერილობა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერებისა⁵⁹. მიუხედავად იმისა, რომ ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის მიერ

შედგენილი აღწერილობანი რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გამოქვეყნდა, მათ მანც დიდად შეუწყვეს ხელი ქართული მეცნიერების განვითარებას, რადგან მათ აღრეც იყენებდნენ როგორც შემდგენლები, ისე სხვა მკვლევარნიც⁶⁰.

ახლო აღმოსავლეთში დაცულ ქართულ სიძველეებს ინტერესით ეცნობოდა და სწავლობდა ვ. ბენეშევიჩი (1874—1943). იგი სამჭერ იყო სინის მთაზე (1907 წ., 1908 წ., 1911 წ.), დროდადრო აქვეყნებდა მოკლე ანგარიშებს და ქართულ მასალებზეც მსჯელობდა⁶¹. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მრავალწლოვანი შრომის შედეგი — „Памятники Синая археологические и палеографические“, რომელშიც გვხვდება ცნობები ქართველ მოღვაწეებზე, ქართულ ხელნაწერებზე, ქართულ ხატებზე და სხვ.⁶² ვ. ბენეშევიჩი 1911 წელს იყო იერუსალიმშიც⁶³. იერუსალიმელ ქართველთა მოღვაწეობაზე ბევრი საინტერესო ცნობა გვხვდება რ. ჟანენის შრომაში, რომელიც ქართულადაც ითარგმნა⁶⁴.

ახლო აღმოსავლეთის ქართულ კერებსა და იქაურ მოღვაწეებს დიდი ადგილი დაუთმო თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველსავე გამოცემაში ქართული ფილოლოგიის პატრიარქმა კ. კეკელიძემ (1879—1962)⁶⁵. იქ თავმოყრილი და დალაგებული იყო ცნობები ქართული კულტურის კერების შესახებ, საგანგებოდ იყო გამოყოფილი და დახასიათებული საბაწმიდა, პალაერა, სინა, ჯვარი და შავი მთა, ნაჩვენები იყო საზღვარგარეთული ქართული კოლონიების როლი და დამსახურება ქართული მწერლობის ზრდა-განვითარების საქმეში. აღნიშნული ნაკვეთი ახალი მასალით იყვებოდა და მდიდრდებოდა კ. კეკელიძის კაპიტალური ნაშრომის შემდგომ გამოცემებში⁶⁶. ახლო აღმოსავლეთის ქართული საგანმანათლებლო კერების ისტორიის საკითხებს მკვლევარი განიხილავდა სხვა შრომებშიც⁶⁷.

ახლო აღმოსავლეთში მოღვაწე ქართველებზე საყურადღებო ცნობებია პ. ინგოროყვას „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვაში“⁶⁸.

ჩვენი საკითხის კვლევაში წვლილი შეიტანეს უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგებმაც — პ. პეტერსმა (1870—1950), რ. ბლეიკმა (1886—1950), გ. ფერაძემ (1899—1940) და სხვ. სახელდობრ, პ. პეტერსმა აღწერა ჯვრის მოზრდილი ხელნაწერი — პროხოვრეს მრავალთავი⁶⁹ და ვრცელი ნარკვევი უძღვნა შავ მთას⁶⁹; რ. ბლეიკმა აღწერა იერუსალიმის ქართული ხელნაწერები⁷⁰, ხოლო 1927 წელს გაიცნო სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაც⁷¹, მანვე აღწერა ვაშინგტონში დაცული იერუსალიმური ქართული ხელნაწერი⁷²; გ. ფერაძემ გამოაქვეყნა საინტერესო მასალები იერუსალიმის ქართულ კოლონიაზე. მისი მოზრდილი ნაშრომი ყურადღებას იმსახურებს მასალის სიუხვითა და მრავალფეროვნებით⁷³. გ. ფერაძემ ვენის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში იპოვა და აღწერა ჯვრის მოასტრისეული ხელნაწერები⁷⁴; რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნეს ჩვეის საკითხზე მ. თარხნიშვილმა (1897—1958)⁷⁵ და კ. სალიამ⁷⁶.

აღმოსავლური წარმომავლობის მრავალი ქართული ხელნაწერი (Q №№ 37, 84; S № 1276; H №№ 1661, 1662, 1664, 1741, 1791, 2211 და სხვ.) აღწერა

ე. მეტრეველმა⁷⁷. სპეციალური გამოკვლევებითა⁷⁸ და პუბლიკაციებით⁷⁹ მან დიდად წასწია წინ ახლო აღმოსავლეთის ქართული სამწერლობო ცენტრების შესწავლის საქმე. მრავალი საკითხი, რომელიც ადრე ცილობას იწვევდა, ე. მეტრეველმა დამაჭერებლად გააჩვენა და ნათელი მოპოვანა ქართველ კოლონისტთა კულტურულ-აღმშენებლობითი და ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ბევრ მხარეს.

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა იერუსალიმსა და სინის მთაზე მუშაობა ამერიკის კონგრესის (ვაშინგტონი) ბიბლიოთეკის სამეცნიერო ექსპედიციისა (1949—1950 წწ.). რომელმაც გადაიღო იქაური ქართული ხელნაწერების მიკროფილმები⁸⁰. ამის შედეგად ბევრი ხელნაწერის მიკროფილმი თუ ფოტოპირი ახლა თბილისში გვაქვს⁸¹.

დიდი მუშაობა ჩაატარა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა შესწავლის მიზნით ბელგიელმა ქართველოლოგმა ე. გარიტმა, რომელიც ადგილზე ხელმძღვანელობდა ხელნაწერთა ფირზე გადაღებას. მან დაბეჭდა რამდენიმე წერილი სინის ექსპედიციაზე⁸² და ცალკე წიგნადაც⁸³ გამოსცა სინის მთის ზოგიერთი ხელნაწერის აღწერილობა.

მეცნიერული საზოგადოებრიობის ინტერესი ახლო აღმოსავლეთის ქართული კერებისადმი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც თითქმის დადასტურდა ფსევდოლიონისე არეობაგელის ქართველობა (შ. ნუტუბიძე, ე. პონიგმანი), გამოვლინდა უძველესი ქართული წარწერები პალესტინაში (ვ. კობო, მ. თარხნიშვილი, გ. წერეთელი), მოპოვებულ იქნა რუსთველის იერუსალიმური პორტრეტი (ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი). საყურადღებო შრომები გამოაქვეყნეს ა. შანიძემ, გ. წერეთელმა, პ. ინგოროყვამ, ა. ბარამიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა და სხვ. ზოგიერთი ახალი ცნობა მოიპოვა იერუსალიმის უკანასკნელმა ექსპედიციამაც (ი. რურუა, გ. პატარაია, გ. მელქაძე).

ახლო აღმოსავლეთის ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების შესწავლას დიდად შეუწყვეს ხელი აღმოსავლეთიდან მომდინარე ხელნაწერების აღწერით თუ მათში შემონახული ძეგლების პუბლიკაციებით ი. ყიფშიძემ⁸⁴, დ. ყიფშიძემ⁸⁵, ა. შანიძემ⁸⁶, ილ. აბულაძემ⁸⁷, ს. ყუბანეიშვილმა⁸⁸, ი. იმნაიშვილმა⁸⁹ და სხვ. ახლო აღმოსავლეთიდან მომდინარე ცალკეული ხელნაწერები აღწერეს აგრეთვე ე. თაყაიშვილმა⁹⁰, ქ. შარაშიძემ (H № 1348; A № 1347), ე. ნიკოლაძემ (K №№ 25, 76, 181), ლ. მეფარიშვილმა (H №№ 2123, 2124, 2211, 2336—2339), თ. ენუქიძემ (S № 383), ქ. ლორთქიფანიძემ⁹¹, ი. ლოლაშვილმა⁹², რ. ორბელმა⁹³, საზღვარგარეთელმა ქართველოლოგებმა—ო. უორდროპმა⁹⁴, ი. იედლიჩკამ⁹⁵, ი. ასფალგამ⁹⁶ და სხვ.

ახლო აღმოსავლეთის სავანეებში ქართველთა მოღვაწეობაზე საუბარია ჩვენს ზოგიერთ შრომაშიც⁹⁷.

ქართველთა მოღვაწეობის დასაწყისი კალისტინაში

ასევე მოღვაწეობა პალესტინაში IV საუკუნიდან იწყება. განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია მან უკვე IV—VI საუკუნეებში, რაც საფიქრებელს ხდის, რომ ასევე პალესტინელ ქრისტიანებს ადრევე იზიდავდა.

პალესტინის ბერმონაზვნობის ისტორიას, — უკეთ მის დასაწყისს, — უკავშირებენ ხარიტონისა (იხ. ქვემოთ) და ილარიოს დიდის (291—371) სახელებს. ილარიონი¹ ქ. ლაზის მიდამოებიდან იყო, სწავლობდა ლაზაში, შემდეგ ალექსანდრიაში. გაეცნო² დაემოწა ეგვიპტის ბერმონაზონთა მოთავეს ანტონ დიდს (250—356). ეს საესებით ბუნებრივი იყო. ანტონის საქმიანობამ საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა, მის გაცნობას ყველა მოღვაწე ცდილობდა — ათანასი ალექსანდრიელიდან (295—373) დაწყებული რიგით მოწესმდე. ანტონის გავლენით ეგვიპტეში გაჩაღდა არა მხოლოდ მამათა, არამედ დედათა ასკეტური მოღვაწეობაც. აი, ამ ანტონს დაემოწა ილარიონი და შემდეგ სამშობლოში დანერგა მისი ტრადიციები³. მისი თაოსნობით პალესტინაში გაიშალა ბერმონაზვნური ცხოვრება. ილარიონს ბევრი თაყვანისმცემელი და მიმბაძველი გამოუჩნდა. ანტონის გარდაცვალების შემდეგ ილარიონმა კვლავ ეგვიპტეს მიაშურა და იქ პირა განსასვენებელი, ხოლო მის მშობლიურ ქვეყანაში უფრო მეტი ძალით გაიშალა ასკეტური მოღვაწეობა. ბერმონაზონთა სადგომებით აივსო მთელი პალესტინა, ერთიმეორის მიყოლებით აღმოცენდა რამდენიმე ლავრა: ხარიტონისა, ექვთიმესი, თეოდოსისა, საბა განწმენდილისა და სხვ.

დასახელებულთაგან უადრესია ხარიტონის ლავრა (პალავრა), სადაც ქართველები ძველთაგანვე მოღვაწეობდნენ. რადგან ხარიტონის ლავრა შემდგომ ხანაში ქართულ მწიგნობრულ-ლიტერატურულ კერას წარმოადგენდა, ამიტომ მას ქვემოთ საგანგებოდ დავუბრუნდებით. ამჯერად რამდენიმე სიტყვას ვიტყვით სხვა სავანეებზე.

ექვთიმე (376—473)⁴ თავდაპირველად ხარიტონის მიერ დაარსებულ ერთ-ერთ ლავრაში მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ სათავეში ჩაუდგა ახალ სავანეს იერუსალიმის ახლოს. მის სადგომს ხალხი მრავლად მიეტანა, მაგრამ იქ ქართველთა ცხოვრებაზე არავითარი ცნობა არაა მოღწეული. ასე რომ, ექვთიმეს ლავრაში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ვერას ვიტყვით. ამ თვალსაზრისით უფრო საინტერესოა თეოდოსის ლავრა.

თეოდოსი (423—529)⁵ იერუსალიმის ახლოს, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ათორღე კალამეტრის დაშორებით დააარსა ლავრა, რომელიც ადრევე იქცა პალესტინის ერთ-ერთ საყოველთაო სავანედ, სადაც მოღვაწეობდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ამ საკითხზე საინტერესო ცნობები აქვს შემონახული თეოდოსი კინოზიარქის, — ან ძველი ქართული ტერმინოლოგიით კრებულთმთავრის, — ბიოგრაფის. მისი მოწმობით, თეოდოსის ლავრაში ერთი ეკლესია სპეციალურად ქართველებისათვის იყო განკუთვნილი, რაც, რასაკვირვე-

ლია, ქართველთა მომრავლებას მოწმობს. აგიოგრაფი მოგვითხრობს, რომ თეოდოსიმ ააგო რამდენიმე ეკლესია. „ერთში მამათა სიმრავლე ბერძნულ ენაზე სწირავს ღმერთს მსხუერპლსა ქებისასა, მეორეში ბესთა ნათესავი თავისი საკუთარი ენით აღავლენს უზენაესისადმი ვედრებას, მესამეში სომხები, გალობის დიდად მოყუარულნი, თავისი ენით წარსთქუამენ მას წინაშე ზოგადისა შეუთვისა. ასე რომ, ამ ეკლესიებში შვდგზის დღეთა შინა სრულდება წესი ფსალმუნებისა. ხოლო კრებასა შინა წმიდისა ზიარებისასა, სამხრად, წაკითხვამდე სახარებისა, თითოეული მათგანი თავის ეკლესიაში ასრულებდა მსახურებას, შემდეგ კი ყველანი თავს იყრიდნენ ბერძნეთა დიდს ეკლესიაში და იქ ეზიარებოდნენ“⁵.

ბესი არაა თრაკიის ტომი, როგორც ზოგიერთ მკვლევარს ეგონა. ის ქართველთა სახელია; მაგრამ ბესში იგულისხმება არა იბერი, როგორც გასულ საუკუნეში აცხადებდნენ⁶, ან კიდეც თუში, მესხი თუ აფხაზი⁷, არამედ, — როგორც ეს დამაჯერებლად დაადასტურა კ. კეკელიძემ, — ლაზი. ლაზები შედიოდნენ კონსტანტინოპოლზე დამოკიდებულ ფასის (ფასიდის) მიტროპოლიაში, მათი მწიგნობრული ენა, როქელზეც ისინი პალესტინაში ღვთისმსახურებას ასრულებდნენ, აუცილებლად ქართული იყო⁸.

ამრიგად, 530 წლის ახლოს დაწერილი თხზულების, — „თეოდოსის ცხოვრების“, — მოწმობით, ქართველები იმხანად უკვე მოღვაწეობდნენ პალესტინის სავანეებში. კერძოდ. მათ საკუთარი ეკლესიაც კი ჰქონდათ თეოდოსის ლავრაში და იქ მშობლიურ ენაზე ეწეოდნენ ღვთისმსახურებას. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა ლტოლვა პალესტინისაკენ ადრევე შესამჩნევი იყო, პალესტინის სამონასტრო კოლონიზაცია მათ ადრე დაიწყო, ყოველ შემთხვევაში, V საუკუნეში მაინც. საგულისხმოა, რომ ქართველი მოღვაწენი არა მხოლოდ სხვათა სავანეებში ცხოვრობდნენ, არამედ ენერგიულად ზრუნავდნენ ქართული მონასტრების დაარსებაზეც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პეტრე ქართველის (411—491) მრავალმხრივი და ფრიად ნაყოფიერი საქმიანობა⁹.

პეტრე ქართლის მეფის ვარაზ-ბაკურის (უცხო წყაროებით — ბუზმარიოსის) ვაჟი, სახელგანთქმული მეფის ბაკურის შვილიშვილი იყო. ერისკაცობაში მას მურვანი (მურვანოსი) ერქვა (უცხო წყაროებით — ნაბარნუგიოსი). 12 წლის უფლისწული მძევლად წარგზავნეს კონსტანტინოპოლს, თეოდოსი მცირის (408—450) კარზე, სადაც კარგა ხანი დაყო და საკმაოდ გაიწაფა მწიგნობრობაში. შემდეგ იგი თავის აღმზრდელსა და თანამზრახველთან — იონანე (მითრიდატე) ლაზთან ერთად პალესტინას გაიქცა და ბერად შედგა; ღვთისმოსავლობით მორწმუნეთა ყურადღება მიიპყრო და ქ. მაიუმის ეპისკოპოსის პატივიც მოიპოვა.

პეტრე ქართველი ფრიად სახელგანთქმული მწერალი ყოფილა, მისი სახელით ზოგიერთი პირი თავისი ნაწერების გავრცელებასაც კი ცდილობდა¹⁰; ერთი ცნობით, თ. ბაგრატიონის ბიბლიოთეკაში თითქოს ყოფილა პეტრეს მიერ თარგმნილი „სტიხნი გრიგორი ღვთისმეტყველისანი“¹¹; დღეს ბერს დამტკიცებულად

მიანია, რომ პეტრე ქართველის დაწერილია ფილოსოფიურ-თეოლოგიური შრომების კრებული — Corpus Areopagiticum¹².

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის აღმშენებლობითი საქმიანობა, რომელიც პეტრეს გაუწევია პალესტინაში — იერუსალიმსა და მის შემოგარენში. სათანადო ცნობებს საქაოდ ვაპოულობთ პეტრე ქართველის ბიოგრაფიაში¹³. როგორც ირაკლეა, პეტრე და მისი აღმზარდელი იოანე ლაზი გულმოდგინედ ზრუნავდნენ თავიანთ თანამემამულეებზე და მათთვის აგებდნენ სავანეებს. იერუსალიმში მათ „აღაშენეს სახლი სასტუმროდ და განუსუენებდეს მომავალთა ძმთა ქართველთა“; „მერმე წარვიდეს უდაბნოდ და შეკრიბნეს ძმანი მრავლად და აღაშენეს მონასტერი“; მათვე იერუსალიმის ახლოს, „იორდანის პირსა, ადგილსა უდაბნოსა“ ააგეს მონასტერი; პეტრემ მონასტერი ააშენა იერუსალიმშიც: „სრულყო შენებაა წმიდისა მის ეკლესიისა და მონასტრისა და შეკრიბნა მას შინა ძმანი მრავალნი, ყოველნივე მოღვაწენი; და განუჩინა მათ წესი და კანონი და დაუდგინა მათ წინამძღურად კაცი ღმერთმემოსილი და წმიდაა. და ჰრქვან მონასტერსა მას ქართველთა მონასტერი“; პეტრე და იოანე შემდეგ წავიდნენ „ეგვიპტელ, გამოარჩიეს ადგილი და აღაშენეს ეკლესია და გარემო მონასტერი“ და ა. შ.

ამრიგად, წყაროების ჩვენებით, პეტრეს აუგია მონასტრები იერუსალიმში, იორდანის პირას — უდაბნოში, ეგვიპტეში. თუ გავითვალისწინებთ პეტრე ქართველის ბიოგრაფიულ ცნობებს, რომელთა მიხედვით პეტრეს მოღვაწეობა პალესტინაში V საუკუნის ოცდაათიან წლებში იწყება¹⁴, მაშინ დაახლოებით შეიძლება ქართული სავანეების მშენებლობაც დაეთარილოთ. საფიქრებელია, იერუსალიმის ქართული მონასტერი¹⁵. — ისე, როგორც იორდანის უდაბნოს ქართული სავანე, — V საუკუნის პირველ ნახევარშია აგებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია მსჯელობის საგნად იქცა ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის (VI ს.) თხზულება „შენობათათვის“, რომელშიც აღნიშნულია, რომ იუსტინიანე დიდმა (527—565) „განაახლა იბერთა მოხასტერი იერუსალიმში და ლაზთა მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში“¹⁶. ცხადია, თუ ქართველთა სავანეებს VI საუკუნეში აღდგომა-განახლება დასჭირდა, მათი აგება V საუკუნეში მაინც უნდა ვივარაუდოთ. ითვალისწინებდნენ რა ამას, პროკოპის მიერ მოხსენიებულ იბერთა მოხასტერს პეტრეს აგებულად მიიჩნევდნენ¹⁷, ხოლო ლაზთა მონასტერი იორდანის უდაბნოში ეგულებოდა¹⁸. სპეციალისტების ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმაც, რომ ხარიტონის მიერ იერიქონში დაარსებულ ლავრას დერ-აბუ ალასი, ალ-ლასი ან ლაზთა მონასტერი ეწოდებოდა¹⁹. სამიბელ: საკათხს ნათელი მოჰქვინა უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილმა მასალამ.

იერუსალიმის სამხრეთით, სულ რაღაც რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობს ბეთლემი, რომელსაც ნაზარეთის დასავლეთით მდებარე ბეთლემისაგან განსასხვავებლად ჩვეულებრივ „პურიასტანის ბეთლემს“ უწოდებენ (რუთი, I, 2; მათე, II, 15; ლუკა, II, 4; S № 300, 90r; S № 425, 28v; S № 166, გვ. 287; S № 3065,

21r; S № 3627, 111r; S № 4931, 298r; S № 4934, 102r; ლეონტი მროველი, გ. ავალიშვილი და ახვ.). ტრადიცია ბეთლემს მიიჩნევს ქრისტეს დაბადების ადგილად. IV საუკუნეში იმპერატორმა კონსტანტინემ (306—337), — ზოგი ცნობით, დედამისმა ელენემ, — იქ ააგო ბაზილიკა — ქრისტიანული სამყაროს უძველესი ტაძარი²⁰. ბეთლემში შემდეგ ხანაში ქართველებსაც ჰქონდათ თავიანთი სამწირველო²¹.

აი, ამ ბეთლემის მახლობლად, უდაბნოში, ბირ ელ-ყუთის მიდამოებში, ხირბეთ სიიარ ელ-ლანამის ჩრდილო-დასავლეთით, ფართო ტაფობის ფერდობზე იტალიელმა არქეოლოგმა ვ. კორბომ გათხარა კვადრატული ფორმის ნაგებობა, რომლის ჩრდილოეთ მხარეს გამოჩნდა ეკლესია. მის სამხრეთით იყო ეკტერი, რომლის იატაკი, — ისე, როგორც ეკლესიისა, — მოზაიკით ყოფილა მოჭედილი. ახლად გამოვლენილმა ხუროთმოძღვრულმა ძეგლმა შემოგვიჩვენა ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები და რამდენადმე შუქი მოაფინა პეტრე ქართველის მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეს. ერთი მხრივ, გამოვლინდა ქართლის სამეფოს ეკონომიკური ძლიერების დამადასტურებელი ნაგებობა, მეორე მხრივ, კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ქართველების წვლილი პალესტინის სამონასტრო კოლონიზაციაში²². გათხრების შედეგად მიკვლეული წარწერების საფუძველზე დადგინდა, რომ ქართული საეანე აგებული ყოფილა IV საუკუნის ცნობილი მოღვაწის თეოდორე ტირონის სახელზე. ეს პირი დიდი პატივით სარგებლობდა იერუსალიმის ეკლესიაში, იქ მისი ტაძარიც კი არსებობდა²³. ასეთივე პატივით სარგებლობდა თეოდორე ქართველთა შორისაც²⁴.

თეოდორეს გარდა წარწერებში იხსენიებიან ბაკური, ბურზნი, მარუანი და ანტონი. სპეციალური ძიების შედეგად მოხერხდა როგორც წარწერების, ისე თვით ძეგლის დათარიღება, გაშუქდა მრავალი კულტურულ-ისტორიული საკითხი. აღრევე აღინიშნა, რომ დამოწმებული სახელები ქართულ სამყაროში სშირად გვხვდება, ხოლო შემდეგ თანდათანობით გაიკვცა ცალკეულ პირთა ვინაობაც.

ბაკური, — პეტრე ქართველის პაპა, — სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწე, ჩინებული სარდალი და ცნობილი მოაზროვნეა; ბურზნი — (ბურზენ მიპრ → ბურზ მიპრ → ბუზ მიპრ →) ბუზმირია (გ. წერეთელი), ხოლო ბუზმირი ან ბუზმარიოსი, როგორც აღვნიშნეთ, პეტრეს მამაა; მარუანი ან მირვანი პეტრე ქართველის ერისკაცობისდროინდელი სახელია.

თეოდორეს ტაძრის წარწერათა საფუძველზე დადგინდა, რომ საქმე გვაქვს პეტრე ქართველის მიერ დაარსებულ მონასტერთან²⁵. სხვაგვარად გაუგებარიც იქნებოდა საეანის წარწერებში პეტრესა და მისი წინაპრების მოხსენიება. მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი. ვ. კორბომ გამოავლინა სათავსოები — ყურძნის საწურის და ზეთის სახდელი, რაც, — მისი დაკვირვებით, — ქართველთა მონასტერს განასხვავებდა სხვათაგან. პეტრე ქართველის ბიოგრაფიიდან კა ცნობილია, რომ პეტრეს მიერ დაარსებულ საეანეებში იყო როგორც „საფქვლე და საპურე“, ისე „საზეთე და საღვწე“²⁶. ეს კიდევ უფრო საფიქრებელს ხდის, რომ ახლად გათხ-

რილი სავანე პეტრეს მიერ დაარსებული მონასტერია, რომელიც VI საუკუნეში აუსტინიანემ განაახლა²⁷. ლაზთა მონასტერი კი მას უთუოდ იმიტომ ეწოდა, რომ მისი აგების ინიციატორი პეტრესთან ერთად მისი აღმზრდელი იოანე ლაზი იყო.

ამრიგად, ლაზთა მონასტრის გათხრა და წარწერების გამოფერვა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. ერთი მხრივ, მოპოვებულ იქნა უძველესი ქართული წარწერები, მეორე მხრივ, ერთობ გაფართოვდა ჩვენი წარმოდგენა ქართველთა მოღვაწეობაზე პალესტინაში. ქართულწარწერებიანმა ნაგებობამ ნათელყო პეტრე ქართველის კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის ეროვნული მიზანდასახულობა. დადასტურდა, რომ პეტრე ქართველი შორეულ პალესტინაშიც ენერგიულად ზრუნავდა თავის თანამემამულეებზე და ქართულ დამწერლობას პროპაგანდას უწყევდა.

პეტრე ქართველის მიერ V საუკუნის პირველ ნახევარში აგებული ტაძარი შემდეგ მოზაიკით შეამკო მამა ანტონმა, როგორც ამას საგანგებოდ გვაუწყებს ერთ-ერთი წარწერა. ეს ის ანტონ ქართველია, რომელიც „მართას ცხოვრებაში“ იხსენიება. იგი დაახლოებით 532—552 წლებში ჩანს პალესტინაში და ქართული მონასტრის მოზაიკაც ამ ხანით თარიღდება²⁸.

V საუკუნის პირველ ნახევარში იერუსალიმის სანახებში ლაზთა მონასტრის აღმოცენება ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ბუნებრივი შედეგი იყო. მართალია, საკმაოდ დამკვიდრებული აზრით, ლაზიკაში ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ რელიგიად 523 წელს²⁹ გამოცხადდა, მაგრამ ისიც კარგადაა ცნობილი, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტეს მოძღვრება ადრეულ ხანაშივე გავრცელდა. დღეს აღარაა საკამათო, რომ შავი ზღვის პირას არსებული ბერძნული კოლონიებიდან ქრისტიანობა ადრევე იკავავდა გზას ადგილობრივი მოსახლეობისაკენ. 523 წელზე გაცილებით ადრე ქრისტიანობის გავრცელებას დასავლეთ საქართველოში მოწმობს ნიკეის კრებაზე (325 წ.) ბიქვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილეს დასწრება³⁰, „დანიელ მესვეტის ცხოვრების“ ცნობები³¹, გელასი კვიზიკელისა (V ს.) და პრისკე პანიონელის (V ს.) ჩვენებანი და ა. შ.³² ასე რომ, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა ადრევე გავრცელდა და იერუსალიმის მიდამოებში ლაზთა მონასტრის დაარსება V საუკუნის პირველ ნახევარში სრულებით არ არის მოულოდნელი და გაუგებარი.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, პეტრე არის ერთ-ერთი პირველი ქართველი პილიგრიმი პალესტინაში, მის მიერ აგებული შენობები—ქართველთა პირველი ეროვნული თავშესაფარი ახლო აღმოსავლეთში. პეტრეს მიერ დაარსებული ქართული საავანე გახდა საფუძველი იერუსალიმის ქართული კოლონიისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იზრდებოდა და მტკიცდებოდა საქართველოდან მისული მოღვაწეებით³³. მომდევნო ხანაში ქართველთა ლტოლვა ახლო აღმოსავლეთისაკენ კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა:

როგორც აღენიშნეთ, IV—V საუკუნეებში იერუსალიმის ახლოს აღმოცენდა რამდენიმე ლავრა, სადაც თავი მოიყარეს ქრისტიანი ხალხების წარმომადგენლებმა (ბერძენებმა, სირიელებმა, სომხებმა...). ამ ლავრებს მიაშურეს ქართველმა მოღვაწეებმა და ზოგიერთი მათგანი (საბაწმიდა, პალავრა) ქართულ მწიგნობრულ-ლიტერატურულ კერადაც კი აქციეს. ქვემოთ ამ კერებზე ვისაუბრებთ.

ს ა ბ ა წ მ ი ღ ა

ქართული კულტურის ისტორიისათვის საბას ლავრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სამეცნიერო ლიტერატურაში სწორადაა აღნიშნული, რომ „საბას ლავრა იყო უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს უძველესი საზღვარგარეთული ცენტრი ქართული კულტურისა და მწერლობისა, სადაც VIII—X საუკუნეებში დღედა ქართველების ნამდვილი ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება“¹.

საბას ლავრა მდებარეობს იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 13—15 კილომეტრზე. მას ჩვენი წინაპრები ჩვეულებრივ საბაწმიდას² უწოდებდნენ. ასეთი სახელი სავანემ დამაარსებლის პატივსაცემად მიიღო.

საბა განწმეხდილი (439—532) საკმაოდ ცნობილი პირია³. მისი ზიოგრაფის—კირილე სკვითოპოლელის (VI ს.) ცნობით, საბა კაპადოკიიდან იყო. ადრევე შეიყვარა ღვთისმსახურება და შეუდგა ბერთა სადგომების დაარსებას. მისი თაოსნობით აღმოცენდა რამდენიმე ლავრა (დიდი ლავრა, ახალი ლავრა, შვიდპირი) და მონასტერი (კასტელი, ქუაბი, სქოლარი, ზანოი). საბას ძირითადი სადგომი იყო დიდი ლავრა, რომელმაც დამაარსებლას სახელი მიიღო. საბამ იქვე დააარსა „ქსენადუქი (სასტუმრო) და სასნეულოა“⁴.

დიდი ლავრა, — ან საბას ლავრა, — 433 თუ, ზოგი ცნობით, 484 წელს დაარსდა. ის ერთობ ძნელად საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა. პირქუში სალი კლდეები, თვალჩაუწყვდნელი უფსკრულები და საშიში ნაპრალები, ხრიოკი და უწყლო უდაბნო თითქოს შეუძლებლად ხდიდა იქ ადამიანის ცხოვრებას, მაგრამ ბერმონაზვნობა სწორედ ასეთ ადგილებს ეტანებოდა და საბას სავანეშიც მომრავლდნენ ბერები, რომლებიც მეტწილად ქვაბებში ცხოვრობდნენ და ერთიმეორის მიყოლებით აგებდნენ ეკლესიებს. მალე სავანე შეეზარდა კლდეს და იუსტიანიანე დიდმა ზღუდე-გალავანიც შემოავლო⁵.

საბას ლავრაში რამდენიმე ასეული ბერი მოღვაწეობდა. იქ იყვნენ ბერძენები, სირიელები, სომხები... მალე გაჩნდნენ იქ ქართველი მოღვაწენიც. ამ საკათხზე საინტერესო ცნობა აქვს კირილე სკვითოპოლელს. მისი სიტყვით, ორიგენის მიმდევრებმა „მრავალთა მართლმადიდებელთა მამათა სცეს და ბრძოლა ადღგინეს ღმრთისმსახურთა ზედა. მაშინ ბესთა (ქართველთა, ლაზთა—ლ. მ.), იორდანესა მყოფთა, შური ღმრთისაჲ აღიშურეს და აღმოვიდეს ქალაქად წმიდად შეწყენად ქრისტიანეთა; და რომელნი-იგი ჰბრძოდეს ქრისტიანეთა მართლმადიდებელთა,

განცხადებული ბრძოლაჲ ყვეს ბესთა მათ ზედა და სხუათა მართლმადიდებელთა. და ესენი შეცკვეს ქსენადუქსა დიდისა ლაერისასა; და მიუტდეს მყის მბრძოლნი იგი დიდითა გულისწყრომითა და უნდა, რაჲთამცა მამანი წარწყმიდნეს. და ვითარცა ქსენადუქისა კარნი დაქშულნი პოვნეს, სარკუმელნი ქვითა დაღეწნეს და შინა მყოფთა მათ ქვითა ესროდეს. და ვითარცა დიდად შეაუტრევეს მამათა, ერთმან კინმე, თოდულოს სახელით, ბესი მონაზონი, შეწყულობილთა მათგანი, ამას პოვა ნიჩაბი და აღიღო იგი და ქსენადუქით გამოვიდა; ხოლო მბრძოლნი იგი იყვნეს ვითარ სამას ოდენ, და ამას მარტომან ყოველნი გახაზნივნა. ხოლო უხეთქნა არავის, ხოლო ამას უხეთქნეს მათ ქვითა, და დაეცა. და შემდგომად მცირედთა დღეთა აღესრულა“⁶.

მოტანილი ცნობა მრავალმხრივია საყურადღებო. ერთი მხრივ, დადასტურებულია ქართველთა მიღვაწეობა იორდანის უდაბნოში, მეორე მხრივ, აღნიშნულია პალესტინაში მოსახლე ქართველთა მონაწილეობა ორიგენისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში⁶. ამ ცნობით ცხადი ხდება, რომ საბაწმიდას ქართველები ადრევე ეწვივნენ, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. სულ მალე, — 53? წლისათვის, — ქართველები ისე მომრავლდნენ საბაწმიდაში, რომ თავიანთი ეკლესია ჰქონდათ და ზოგიერთ საეკლესიო წიგნს დედაენაზე კათხულობდნენ. ამას დამაჯერებლად წარმოაჩენს ერთი ბერძნული დოკუმენტი. სახელდობრ, (საბას ანდერძი. კარგა ხანია ცნობილია, რომ საბა განწმენდილმა თავის მომდევნო წინამძღვარს სიკვილის წინ დაუტოვა ანდერძი, რომელშიც ერთი მუხლი ასეა კითხება: „არც იბერიელებსა და არც ასურებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ თავიანთ ეკლესიებში ეამის წირვა შეასრულონ; მათ, ამ ეკლესიებში შეეკრებილთ, ნებაჲქმდევათ წართქვას ეამნი და სამხრისაჲ. წარკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე, ხოლო ამის შემდეგ ისინი უნდა შეიკრიბნენ კათოლიკე ეკლესიაში და ყველა ძმასთან ერთად ეზიარნენ საღმრთოთა, უხრწნელთა და ცხოველყოფელთა საიდუმლოთა“⁷. დამოწმებულ მუხლში საცხებით გარკვევითაა საუბარი ქართველთა ეკლესიაზე და იქ ქართული წიგნების კითხვაზე. საბას ანდერძი ნათელყოფს, რომ საბაწმიდაში ქართველებს ჰქონდათ თავიანთი ეკლესია. სხვა ცნობებიდანაც ჩანს, რომ მათ თავიანთი ეკლესია და გამოქვაბულიც ჰქონდათ („ქუაბი ქართველთაჲ“)⁸. რასაკვირველია, საბას ლაერა ქართული სავანე არ ყოფილა; ის იყო დიდი მონასტერი, რომელშიც მოღვაწეობდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის ქართველებიც.

მომდევნო ხანაში მდგომარეობა საკმაოდ გართულდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პალესტინა ირან-ბიზანტიის პოლიტიკურ ინტერესთა შეჯახების შედეგად საბრძოლო ასპარეზად იქცა. თუ ადრე პალესტინა ბიზანტიის იმპერიის სფეროში შედიოდა, 614 წელს ირანელებმა დაიპყრეს, ხოლო 637 წლიდან არაბთა ხელთ აღმოჩნდა. 969 წლიდან იერუსალიმსა და მის შემოგარენს ეგვიპტელები, ხოლო 1071 წლიდან თურქ-სელჩუკები დაეუფლნენ. მაჰმადიანთა მპყრობელობამ და თვითნებობამ, რასაკვირველია, სათანადო გავლენა მოახდინა საბაწმიდის

მკვიდრთა ცხოვრებასა და კულტურულ-მწიგნობრულ საქმიანობაზე. ამ პერიოდ-ში საბაწმიდა რამდენჯერმე დაარბიეს (614 წ., 796 წ. და ა. შ.), მაგრამ, მიუხედავად ძნელბედობისა, ბერმონაზვნური ცხოვრება კვლავ გრძელდებოდა და ქართველებიც არ წყვეტდნენ კავშირს ამ სავანესთან. ბევრი ქართველი იქ ხანგრძლივად ცხოვრობდა და შემოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდა (იხ. ქვემოთ), ზოგიერთი მოღვაწე კი არ ერიდებოდა მოგზაურობის სიძნელეს, დროებით მიდიოდა საბას მიერ დაარსებულ სავანეში და ერთხანს ატარებდა იქაურ მოწესეთა წრეში. მაგალითად, IX საუკუნეში საბაწმიდაში მივიდა და იქ რამდენიმე წელს დარჩა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ილარიონ ქართველი. მისი ცხოვრების აღმწერის ცნობით, ილარიონი „მიიწია მდინარედ წმიდად იორდანედ და განიბანა წყლითა მით წმიდითა და მოილოცნა ყოველნი იგი მონასტერნი, რომელნი შენ იყენეს უდაბნოთა მათ შინა წმიდათა. და მიიწია ვიდრე ლავრადმდე დიდისა საბაჲსა. და დაყო ყოველთა მათ უდაბნოთა შინა შვიდი წელი ლუაწლითა და შრომითა“. იგი „იყოფებოდა უდაბნოთა მათ შინა იორდანიათა... და უმეტესად დიდსა მას ლავრასა შამისა საბაჲსსა“⁹.

XI საუკუნეში საბაწმიდას მიაშურა გიორგი-პროხორემ, ჯვრის მონასტრის დამაარსებელმა; „წარვიდა წმიდად ქალაქად იერუსალმმდ და დაემკვდრა წმიდისა საბაჲს ლავრასა და დაყვება მას შინა წელი მრავალნი“¹⁰.

ქართველთა პოლიტიკობა საბაწმიდაში გრძელდებოდა გვიან ხანამდე. 1567 წელს იქ იყო ფ. შაქარაშვილი¹¹, XVIII საუკუნის 80-იან წლებში—ი. გედევანიშვილი¹², 1820 წელს—გ. ავალიშვილი¹³, 1899 წელს—პ. კანკოშვილი¹⁴ და ა. შ.¹⁵ სხვათა შორის, ი. გედევანიშვილი ასე ახასიათებდა საბაწმიდას: „მონასტერი კეთილი და ეკლესია დიდად შემკული და მშუენიერია, ზღუდე შემოვლიბული ქუთკირისა, სასახლე და ეკლესიანი და კელიანი ქუთკირისანი“¹⁶. გ. ავალიშვილმა, მართალია, ნახა „ტაძარსა შინა ორი ზომცროჲ ოთალი ძეშლად წერილთა წიგნთა მიერ საცხეჲ პირად-პირადთა ენათა ზედა“, მაგრამ, სამწუხაროდ, გულდასმით არ გადაათვალიერა ძველი ფოლიანტები და არ დაძებნა ქართული ძეგლები. დასახელებულმა პირებმა, — ისე, როგორც ზოგიერთმა სხვა მოღვაწემ (დანიელ წინამძღვარმა, ა. მურავიოვმა, ა. ნოროვმა, ნ. კონდაკოვმა და ა. შ.). — საბაწმიდაში ქართველთა ხაკვალევი ვერ შეინიშნეს. ყოველ შემთხვევაში, მათ არაფერი აქვთ ნათქვამი ქართულ სიძველეთა შესახებ. შედარებით შედგვიანი იყო პ. უსპენსკის მისვლა საბაწმიდაში¹⁷. მან გასული საუკუნის შუა წლებში მოინახულა ეს სავანე და წამოაღო იქიდან ძვირფასი ქართული ხელნაწერი—კილ-ეტრატის იადგარი (H № 2123). მეტი შედეგი გამოიღო ა. ცაგარლის მოგზაურობამ (1883 წ.). მკვლევარმა, მართალია, საბაწმიდაში მხოლოდ ერთი ქართული ხელნაწერი ნახა და ისიც გვიანი ხანისა (XV ს.), მაგრამ სხვაგან დაცული საბაწმიდური ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე აღნიშნული სავანე მიიჩნია ქართული მწერლობის უძველეს საზღვარგარეთულ კერად¹⁸.

რუსთველის საიუბილეო დღესასწაულის მზადების პერიოდში საბაწმიდას

ეწვია ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი (მწერალი ი. რურუა, რეჟისორი გ. პატარაია, ოპერატორი გ. მელქაძე), რომლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თავისი შთაბეჭდილება ასე გადმოგვცა: „საკმაოდ დიდი მანძილის გავლა, ცხელი და უჟაცრიელი უდაბნოს გადალახვა მოგვიხდა, რათა საბაწმინდის განთქმულ ლავრაში მივსულიყავით. კომფორტაბელური თანამედროვე მანქანის რბილ საეარძელზე გადაწოლილ მგზავრსაც კი უტირის მზით გაეარავრებული სივრცის გადალახვა. როგორ უნდა გაჭირვებოდათ იმათ, რომლებიც შორეული კავკასიონის კალთებიდან მოემართებოდნენ აქეთკენ სამოღვაწეოდ, ათასი საფრთხისა და განსაცდელის პირობებში.“

პირველი, რამაც ლავრის ნახვისას ჩვენ გაგვაოცა, იყო ვარძიასთან მსგავსება. ისეთივე ხეობა, ოღონდ უკვე ამომშრალი მდინარისა, ისეთივე კირქვოვანი კლდე მრავალი გამოქვაბულით, რომელსაც ხეობის მოპირდაპირე მხრიდან დასცქერის ლავრის მრავალსართულიანი ანსამბლი. ვნახეთ კლდეში ჩაშენებული ეკლესია, რომელსაც დღემდე ქართულს უწოდებენ¹⁹.

საბაწმიდაში ადრეული ხანიდან მოღვაწეობდა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა მწიგნობართა მრავალრიცხოვანი ჯგუფი, იქ იქმნებოდა ქრისტიანული მწერლობის შედეგები. საქმარისია მოვიგონოთ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, ცნობილი მწერალი იოანე დამასკელი (გარდ. 749 წ.), რომელმაც იქ გაატარა თავისი ცხოვრების ბოლო წლები, იქ შექმნა დიდებული ძეგლები და საეანის ბინადრებსაც გაუღვივა ინტერესი მწიგნობრობისადმი (სხვათა შორის, იოანე დამასკელის ლიტერატურულ საქმიანობაზე საბაწმიდაში საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება „იოანეს ცხოვრების“ ქართულ ვერსიაში, რომელიც ეფრემ მცირის კალამს ეკუთვნის)²⁰. იქ მოღვაწეობდნენ სხვა გამოჩენილი ბერძენი პოეტი-მელოდოსებიც. სწორედ მათი თაოსნობით მოხდა გარდატეხა ბიზანტიის ჰიმნოგრაფიასა და მუსიკაში, გატარდა დიდი რეფორმა—პროზაული ჰიმნები შეცვალა რიტმულმა გალობამ; ბიზანტიის ჰიმნოგრაფიის ისტორიაში იწყო ახალი ხანა, რომელსაც ს. ბაწმიდურს უწოდებენ.

საბაწმიდაში ძირითადად ბერძნულ ენაზე იწერებოდა ახალი თხზულებანი, მაგრამ თანდათან გაიშალა მღვთაობა სირიულსა და სომხურ ენებზეც. VIII—IX საუკუნეებში განვითარდა არაბულ-ქრისტიანული მწიგნობრობაც²¹. ბუნებრივია, ყოველივე ეს გავლენას ახდენდა იმ ქართველებზე, რომლებმაც არაბთა მოძღვრების გამო სამშობლოში შეწყვიტეს შექმედებითი საქმიანობა, მიაშურეს პალესტინას, დამკვიდრდნენ საბაწმიდაში და შექმნეს იქ (VIII საუკუნეიდან) უმნიშვნელოვანესი კერა ქართული მწიგნობრობისა. საბაწმიდელ ქართველ მოღვაწეებს შემოქმედებით ცეცხლს მატებდა, ერთი მხრივ. სურვილი და მოთხოვნილება მშობლიურ ენაზე წერისა, მეორე მხრივ, კულტურულ-ლიტერატურული გარემოცვა²².

ჩვენთვის ცნობილი მასალებით, ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლებით საბაწმიდა არის ქართველთა მწიგნობრული საქმიანობის უძველესი კერა უცხო-

ეთში. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბაწმიდა ქართული მწერლობის აკენად მივიჩნიოთ; ქართული მწერლობა საბას ლავრის დაარსების ჟამს უკვე მაღალ საფეხურზე იდგა (მოვიგოხოთ იაკობ ტურტაველი); ადრინდელი ქართული წერილობითი ძეგლები საკუთრივ საქართველოში შეიქმნა—ადგილობრივ მწიგნობრულ-საგანმანათლებლო კერებში. მაშინ ჩვენში ჯერ კიდევ არ იქნებოდა შემოქმედებით მუშაჯაა ისეთი მოზღვავება, რომ შესაძლებელი გამხდარიყო უცხოეთში მათი მრავლად გაგზავნა იქაურ სავანეებში სამოღვაწეოდ. ასე რომ, საბაწმიდაში კი არ აღმოცენდა ქართული მწერლობა, არამედ იქ მან შემდგომი განვითარება პოვა²³.

საბაწმიდელ ქართველ მოღვაწეებზე საუბრის დაწყებამდე რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ ბიბლიური წიგნების საბაწმიდურ რედაქციასა და საბაწმიდურ ტიპიკონზე.

ქართულ ენაზე ადრევე შემუშავდა ოთხთავის საბაწმიდური რედაქცია, რომელიც იხსენიება გიორგი ათონელის (1009—1065) ცნობილ ანდერძში: „ჩუენნი ყოველჲი სახარებანი პირველითგან წმიდაჲ თარგმნილნიჲა და კეთილად—ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა“. როგორც ჩანს, გიორგის დროს არსებობდა სახარების ორი რედაქცია: ხანმეტური და საბაწმიდური. თავის დროზე აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა ტერმინი ხანმეტი. მკვლევარნი მას მიიჩნევდნენ კომენტარად (მ. ბროსე), დანართად (დ. ბაქრაძე), სრულ სახარებად (ა. ცაგარელი), გეოგრაფიულ პუნქტად (თ. ჟორდანი), მუხლმეტად (ნ. მარი), ძველად, დრომეტად (თ. ჟორდანი, კ. კეკელიძე) და ა. შ. ა. შანიძემ გაარკვია, რომ ხანმეტურია სახარების ის რედაქცია, რომელსაც ახასიათებდა ასო ხ-ანის გამოყენება პრეფიქსის სახით ზმნებსა და შედარებით ფორმებში²⁴.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მეორე ტერმინმა. მკვლევართა უმრავლესობამ, — საცხებით მართებულად, — საბაწმიდურად მიიჩნია ოთხთავის საბას ლავრაში შემუშავებული რედაქცია, მაგრამ გაძნელდა დადგენა იმისა, თუ რას წარმოადგენდა იგი შინაარსობრივად და ფორმით.

ი. ჭავჭავაძის აზრით, რადგან გიორგი ათონელს სახარების ადრინდელ და უძველეს რედაქციათა შორის ხანმეტის შემდგომ საბაწმიდური აქვს დასახელებული, ამიტომ შესაძლებელია ეს ხანმეტისა და შატერდის ხელნაწერის შუა მომხდარი რედაქცია, რომლითაც უკანასკნელის ტექსტი ზოგიერთ შემთხვევაში პირველისაგან გასხვავდება, სწორედ საბაწმიდური რედაქცია იყოს²⁵.

ს. კაკაბაძეს საბაწმიდურ რედაქციად მიაჩნდა ბერძნულთან შეთანხმებული სახარების ტექსტი²⁶.

კ. კეკელიძე რამდენჯერმე შეეხო საცილობელ ტერმინს. ადრე (1912 წ.) იგი საბაწმიდურ რედაქციას არ მიიჩნევდა მაინცდამაინც საბას ლავრაში შექმნილად. ეს რედაქცია შექმუშავდა საბაწმიდის ტიპიკონიათვის და საბაწმიდური მხოლოდ იმიტომ ეწოდა. თუ ადრე „იერუსალიმის განჩინების“ გამოყენებისას ხანმეტური რედაქციის ოთხთავი იხმარებოდა, მას შემდეგ, რაც „იერუსალიმის განჩინებამ“ დაქარგა თავისი მნიშვნელობა და საბაწმიდური ტიპიკონი გავრცელდა, შესაბამი-

სად მოხდა ოთხთავის რედაქციის შეცვლა²⁷. შემდგომ ხანაში გველევარმა ჩვენ-
თვის საინტერესო რედაქცია მიიჩნია საბაწმიდაში შექმნილად და სცადა მისი რაო-
ბის გარკვევა. მისი აზრით, გიორგი ათონელს მხედველობაში ჰქონდა ლექციონა-
რული ან გამოკრებილი სახარება, რომელშიც ტექსტი დალაგებული იყო არა ოთხ-
თავად, არამედ საეკლესიო-საწელიწდო საკითხავებად²⁸. უკანასკნელად კი კეკელი-
ძემ დაასკვნა: ოთხთავის საბაწმიდური რედაქცია შემუშავდა საბას ლავრაში IX
საუკუნედან; ხანმეტურისაგან იგი გამოირჩეოდა არა ტექსტობრივად, არამედ
ფონეტიკურად (მასში ხ-ანგან აღარ იხმარებოდა)²⁹.

დაახლოებით ასეთ აზრს ავითარებს ა. შანიძეც. მისი შეხედულებით, VIII—
IX საუკუნეებში საბაწმიდაში გაჩაღდა ანტიხანმეტური მოძრაობა. გატარდა ქარ-
თული სალიტერატურო ენის რეფორმა. დაგმოხილ იქნა ძველი, დრომოქმული
ფორმები, ხანმეტურის საპირისპიროდ შეიქმნა საბაწმიდური რედაქცია— ენობ-
რივად განსხვავებული, ხ-ანდაკლებული³⁰. ამ კონცეფციით, რეფორმამდელია
ხანმეტი ლექციონარი, ოთხთავის ხანმეტური რედაქცია და ა. შ., რეფორმის
შემდეგდროინდელია ოთხთავის საბაწმიდური რედაქცია, 864 წლის მრავალთავი
და სხვა ძეგლები; საბაწმიდურია ის ოთხთავები, რომელთაც ხანმეტობა არ ახასია-
თებთ (ადიშისა, ოპიზისა, ჯრუჭისა, პარხლისა, ტბეთისა...)³¹.

გიორგი ათონელი საბაწმიდურ ოთხთავს იხსენიებდა და ჩვენი საუბარიც
ოთხთავით შემოიფარგლა, მაგრამ საბაწმიდური ეწოდებოდა არა მხოლოდ ოთხ-
თავს, არამედ უთუოდ ბიბლიის სხვა წიგნებსაც, რომელთა თარგმნა-გავრცელება
საბას ლავრასთან იყო დაკავშირებული. რასაკვირველია. შეცდომაა მტკიცება იმი-
სა, თითქოს ათონის ლიტერატურული სკოლის მოღვაწეებმა, — შექმნეს რა ახა-
ლი რედაქცია დაბადებისა, — საბაწმიდლებს დააწვევინეს აღრინდელი რედაქ-
ცია³². გაუგებრობის მიზეზი ვამხდარა ცნობილი მინაწერი მცხეთის ბიბლიაზნე:
„ღმერთო წარწყმიდე, ვინც დაბადების წიგნი დააწვევინა საბას!“³³ დღეს უკვე
გარკვეულია, რომ ამ მინაწერში იგულისხმება არა საბაწმიდური რედაქცია, არა-
მედ ბიბლიის ის ტექსტი, რომელზეც რედაქტორულ მუშაობას ეწეოდა სულხან-
საბა ორბელიანი (1658—1725)³⁴.

საქართველოში გავრცელდა არა მხოლოდ საბაწმიდაში შემუშავებული რე-
დაქცია ბიბლიური წიგნებისა, არამედ იქ შემუშავებული ტიპიკონიც.

აღრეულ, წინათონურ, პერიოდში ქართული ლეთისმსახურება აღმოსავლურ
ტრადიციებს შეიცავდა და პალესტინის ლიტურგიკულ წესთან იყო დაკავშირებუ-
ლი. ქართული ეკლესია პალესტინისაგან სწავლობდა და იღებდა საღვთისმსახუ-
რო წესებს. ამიტომაც ადრე ჩვენში იხმარებოდა ქრისტეს საფლავზე შემუშავებუ-
ლი იერუსალიმის რედაქციის ტიპიკონი— „ვანჩისება და განწესება მოძღუ-რ-
თა მიერ მართლმორწმუნეთაჲ, რომელსა ჰყოფენ იერუსალმს“³⁵. „რომელიც ქარ-
თულად ითარგმნა არა უკვიანეს VIII საუკუნისა. ამ ტიპიკონის გამოყენება არ
ნიშნავს, რომ ქართველები სხვა ტიპიკონს არ იცნობდნენ. გიორგი მერჩულიის
(X ს.) ცნობით, გრიგოლ ხანძთელმა (759—861) „იერუსალმს წარმავალი ვინმე

პოვა მეგობარი თვის და მას დაჰვედრა საბაწმიდისა წესისა დაწერა და წარმოცემაჲ“. 826 წლის ახლოს დაბრუნდა გრიგოლის მეგობარი და „მოართუა საბაწმიდისა განგებაჲ... ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ეამსა განაწესა წესი თვისისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ“³⁵. ასე რომ, საქართველოში უკვე IX საუკუნეში იცნობდნენ და იყენებდნენ საბას ტიპიკონს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ გაბატონებული არ ყოფილა. შემდეგ ხანაში ჩვენში ფეხი მოიკიდა დასავლურმა, კონსტანტინოპოლურმა, საღვთისმსახურთა პრაქტიკამ (ეკეთიმე ათონელის მიერ თარგმნილი მცირე სეინაქსარი, გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი დიდი სეინაქსარი), ხოლო დავით აღმაშენებლის (1089—1125) დროს სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტრიდან შემოსულა და პირველად შიომღვიმეში დაამკვიდრებულა ახალი რედაქცია ტიპიკონისა — „ტიპიკონი საეკლესიოჲსა წესისაჲ კეთილგანგებულისა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა საბაჲს ლავრისაჲ, რომელი-ესე ესრეთვე იქმნების სხუათაჲცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა“³⁶. ეს უკანასკნელი მთელ მართლმადიდებლურ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო და ბუნებრივად საქართველოშიც დამკვიდრდა და გაბატონდა. საბაწმიდური ტიპიკონის ჩვენში გადმოწერვა ნათელყოფს მკვიდრო ურთიერთობას საქართველოსა და საბაწმიდის საგანეს შორის.

საბაწმიდის ქართულ სამწერლობო კერაში მოღვაწეობდა მრავალი ქართველი მწიგნობარი (მარტვირი საბაწმიდელი, სეითი, მაკარი ლეთეთელი, პიმენ კახი, ამონა, ბასილ საბაწმიდელი, გიორგი თბილელი, არსენი, იოანე-ზოსიმე, სვიმეონ მგალობელი, მიქაელ ჩიხუარელი და სხვ.). მოკლედ შევეხებით მათ საქმიანობას.

მარტვირი საბაწმიდელი VI—VII საუკუნეთა მოღვაწე უნდა იყოს. მას მიეწერება ასკეტურ-მისტიკური შინაარსის თხზულებაჲ „თქმული წმიდისა მარტვირი მონაზონისაჲ სინანულისათჲს და სიმდაბლისა“³⁷. ერთი ხელნაწერის ჩვენებით, „მარტვირი საბაწმიდელი იყო ქართველი“³⁸. ამის მიხედვით მკვლევარნი მარტვირის ქართველ მწერლად, ხოლო მის თხზულებას ორიგინალურ ნაწარმოებად აცხადებდნენ³⁹. უკანასკნელად დასახელებული ძეგლი ექსცერპტულ თარგმანად მიიჩნეის, ხოლო დედნის ავტორად აღიარეს ეპასკოპოსი მარტვირი საპლონა⁴⁰—სირიელი მწერალი VII საუკუნისა⁴¹, მაგრამ ეს საკითხი კვლავ საცილობელია, ზოგიერთი მომენტი ეკვს იწვევს და დამატებით საბუთს მოითხოვს. დღეს ცნობილი მასალებით მარტვირი საბაწმიდელი. — ქართველი მოღვაწე, — ორიგინალურ შემოქმედად თუ არა, მთარგმნელ-გადმომკეთებლად მაინც უნდა მივიჩნიოთ⁴².

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ გამოჩენილ საბაწმიდელ მოღვაწეზე — იოანე მოსხზე, რომელსაც ზოგჯერ ქართველად მიიჩნევდნენ.

იოანე მოსხი VI საუკუნის მეორე ნახევრისა და VII საუკუნის პირველი ნახევრის მწერალია. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა საბას ლავრაში, სინის მთაზე და სხვ. მის კალამს ეკუთვნის საკმაოდ ცნობილი თხზულება, რომლის სათაური ქართულ ტექსტში ასე ჩითხება „ამას წიგნსა ეწოდების სამოთხე, — რომელსა

შინა წერილ არიან საქმეები და განგებანი წმიდათა მამათანი და ქრისტეს მოყუარეთა ღვთისნი, რომელი აუწყებთ ყოველთა სათნოებათა სარგებელად კაცთა და ბოროტის მოქმედლათვისცა, რომელთა არა ეშინოდა ღმრთისა, — აღწერა ამა იოვანე, მოძღუარმახ სოფრონი იერუსალემელ პატრიარქისამან⁴³. ესაა ასკეტების ცხოვრებიდან აღებული საინტერესო ეპიზოდების კრებული, რომელიც შუა საუკუნეებში იდი პოპულარობით სარგებლობდა ქრისტიანულ სამყაროში.

ქართული მკითხველებსა ყურადღება მიიპყრო არა მხოლოდ „სამოთხე“, არამედ მისი ავტორის ვინაობამაც. იოანე მოსხი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიიჩნევს ქართველ ავტორად და „სამოთხისა“ გარდა მას „ბალავარიანისც“ მიაკუთვნეს⁴⁴. თუ აღვრე ეს შემთხვევით გამოთქმული აზრი იყო და მოახსისა და მესხის მგავსებას ეკყარებოდა. ჩვენს ხანაში ამის მეცნიერული დასაბუთება მოიწადინა შ. ნუცუბიძემ. მისი მტყიცებით. ორენოვანმა ქართველმა მოღვაწემ იოანე მოსხმა (მესხმა) „სამოთხე“ დაწერა ქართულად და ბერძნულად. მკვლევარმა იოანესვე მიაკუთვნა „ბალავარიანისც“⁴⁵.

ამ მოსაზრების შეწყნარება, — იოანე მოსხის მესხად მიჩნევა, „სამოთხისა“ თუ „ბალავარიანის“ VII საუკუნის ძეგლებად გამოცხადება და მათი ქართულ ორიგინალურ ქმნილებებად აღიარება, — შეუძლებელი აღმოჩნდა. ჯერ ერთი, „სამოთხის“ ენობრივი თვალსაზრისით შესწავლამ ნათელი, რომ იგი VIII—IX საუკუნეებზე აღრინდელი არ უნდა იყოს. ამასთანავე იგი დამოკიდებული ჩანს არაბულ ტექსტზე, რომელიც, თავის მხრივ, ბერძნულიდან მომდინარეობს (ილ. აბულაძე)⁴⁶; მეორე—ენობრივი მაჩვენებლებით, პირველ რიგში ლექსიკასა და შემდეგ გრამატიკული წყობის მხრივ, „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქცია გვიანდელია, ყოველ შემთხვევაში, არა უადრეს IX—X საუკუნეებისა⁴⁷ და მომდინარეობს არაბულ-ქრისტიანული რედაქციიდან⁴⁸; მესამე—მოსხი არაა აუცილებლად მესხი. ის, — როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ, — შეიძლება იყოს ზედწოდება — მანიშნებელი იმისა, რომ იოანეს მამას ერქვა მოსხი⁴⁹. ყოველივე აღნიშნული არ გვაძლევს საფუძველსა და უფლებას, რომ იოანე მოსხი ქართველ მოღვაწედ მივიჩნიოთ.

ქრონოლოგიური რიგის მიხედვით ამჯერად უნდა მოვიხსენიოთ უცნობი ქართველი მოღვაწე, რომელმაც დაახლოებით VIII საუკუნის პირველ ნახევარში ბერძნულიდან თარგმნა „საბა განწმენდილის ცხოვრების“ კიმენური რედაქცია („ცხოვრება ნეტარისა ჩუენისა საბასის“)⁵⁰. როგორც ჩანს, იგი სულ ბრწყინვალედ ვერ ფლობდა ბერძნულს, რის გამო თარგმანი ხაწილობრივ არაზუსტი და ბუნდოვანია⁵¹, მაგრამ მას, როგორც საბაწმიდელ მოღვაწეს, ამოძრავებდა გარკვეული სურვილი; მის მიზანს წარმოადგენდა თანამემამულეთათვის სახელოვანი ლავრის დამაარსებლის — საბას თავგადასავლის გაცნობა. ქართველმა მწიგნობარმა მიზანს მიაღწია: ქართველ მკითხველს გააცნო და შეაყვარა საბას ცხოვრება და ერთგვარი გავლენაც მოახდინა შემდეგდროინდელ ქართულ მწერლობაზე.

ნაყოფიერი მწერალი ყოფილა სეითი (სეთი), რომელსაც VIII საუკუნის მეორე ნახევრისა და IX საუკუნის პირველი ნახევრის საბაწმიდელ მოღვაწედ მიიჩნევენ. ერთ მოზრდილ აგიოგრაფიულ კრებულში (Sin. № 11), რომელშიც რამდენიმე თხზულებაა შესული, საგანგებოდაა აღნიშნული: „ითარგმნა იტრუსალემს ჯელითა სეთ თარგმანისაჲთა“⁵². ამის მიხედვით სეითს მიაწერენ თარგმნას კიმენური რედაქციის ტექსტებისა, რომელთაგან ზოგი გამოკვეყნებულია (იხ. პალავრა). საფიქრებელია, სეითმა აგიოგრაფიული თხზულებანი ძირითადად ბერძნული ენიდან თარგმნა, ზოგიერთი კი შეიძლება არაბულიდან⁵³. ამასთანავე, მან არა მხოლოდ ძეგლები თარგმნა, არამედ (სხვებთან ერთად) საფუძველი ჩაუყარა იმ აგიოგრაფიულ კრებულს, რომელიც მოღვაწეთა „წამება-ცხოვრების“ კიმენური რედაქციის ტექსტებს შეიცავს⁵⁴.

საბას ლავრაში დამზადებულ ხელნაწერთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 864 წლის მრავალთავი, რომელიც უძველესი (პირველი) ქართული ჯარილიანი ხელნაწერია (Sin. №№ 32, 33, 57)⁵⁵. მის დამზადებაში მონაწილეობა მიუღიათ მაკარი ლეთეთელს, პიმენ კახს, ამონასა და სხვ. კრებულის გადაწერის ინიციატორი და ერთ-ერთი მთავარი გადამწერი მაკარია. მასვე ეკუთვნის საინტერესო ანდერძი, რომელიც შუქს ჰფენს კრებულის ისტორიას. ანდერძის ერთი ადგილი ასე იკითხება: „მე, მაკარი ლეთეთელი, ძმ გიორგი გრძელისაჲ, ცოდვილი ფრიად, ღირს მყო ღმერთმან შესაქმედ წმიდისა ამის წიგნისა მრავალთავისა თანაწვენითა ძმისა ჩუენისა სულიერად პიმენ კახისაჲთა და ჯელთწერითა დედის ძმისწულისა ჩემისა ამონა ვახთანგ მოძარღულისა ძისაჲთა... დაიწერა ესე წიგნი იერუსალემს, ლავრასა დიდსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა... დასაბამითგან წელთა ხჯამ [= 6468 — 5604 = 864], ქრონიკონი იყო პდ [= 844 + 780 = 864]“⁵⁶.

მაკარი ქართლიდან იყო, სოფელ ლეთეთიდან. გიორგი შერჩულის ცნობით, იგი, — „კაცი შუენიერი, კეთილი მონაზონი, სრული სიბრძნითა“⁵⁷, — გრიგოლ ხანძთელის მოწაფე იყო და შორეულ პალესტინაში მოღვაწეობის ეჟსაც არ წყვეტდა კავშირს თავის განსწავლულ მოძღვართან⁵⁸. გრიგოლ ხანძთელისა და მაკარი ლეთეთელის ურთიერთობა ნათელყოფს, რომ საბაწმიდელ ქართველებს მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ სამშობლოსთან⁵⁹.

მაკარი ლეთეთელისა და მისი თანამოღვაწეების მიერ შედგენილ კრებულში, — რომელიც ნაკლები სახითაა მოღწეული, — წარმოდგენილია 18 ავტორის 50 თხზულება. მასში შესულია გრიგოლ ნეოკესარიელის, ეპიფანე კვიპრელის, ეფრემ ასურის, კირილე იერუსალიმელის, მელეტი ანტიოქელის, იოანე ოქროპირისა და სხვათა ნაწარმოებები, რომლებიც იმ დროს (864 წ.) უკვე ყოფილა ქართულ ენაზე. საფიქრებელია, ეს თხზულებანი პალესტინის ქართულ საეპარქიებში და უპირატესად საბას ლავრაში ითარგმნა VII—VIII საუკუნეებში. ბევრი თხზულება ძველი ქართული მხატვრული პროზის ნამდვილი შედევრია, ჰომილეტიკური ძეგლების ცალკეული ადგილები გალექსილია. ძველ ხელნაწერთაგან სინური მრავალ-

თავი არის უძველესი თარიღიანი ხელნაწერი, რომელიც გვაწვდის მასალებს ადრინდელი ქართული ლექსის შესახებ⁶⁰.

კრებული საყურადღებოა ენობრივი თვალსაზრისითაც (მდიდარი ლექსიკა, გრამატიკული წყობა, თავისებური ორთოგრაფია...). ის „ნათლად გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც ქართულ სალიტერატურო ენას გაუვლია სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში. ხანმეტობის ხანიდან (V—VI სს.) მეცხრე საუკუნის სამოციან წლებამდე“ (ა. შანიძე). უცილობელია, ხანმეტობის ხანიდან სინურ მრავალთავამდე დიდი მუშაობა ჩატარდა ენობრივი ნორმების სრულყოფის მიმართულებით. ეს მუშაობა ტარდებოდა ძველი ქართული მწერლობის კერებში, კერძოდ, ნაყოფიერად ტარდებოდა იგი საბაწმიდაში⁶¹.

მრავალთავის ზოგიერთი ნაკვეთი ადრეც გამოქვეყნდა (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ილ. აბულაძე, ი. იმნაიშვილი...), მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და როგორც კი ჩვენამდე მოაღწია მთლიანმა მასალამ (მიკროფილმისა და ფოტოპირის სახით), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ კრებული სრული სახით დაბეჭდა⁶². ძვირფასი კრებულის ან დიდებულ გამოცემას უცხოელებიც კი აღტაცებით შეხვდნენ⁶³.

864 წლის მრავალთავი გადაწერისთანავე სინის მთაზე მოხვდა (მაკარი ლეთეთელმა შესწირა იქაურ ქართულ კოლონიას) და ახლაც იქაა დაცული. ამიტომ დაუშკვიდრდა მას სინური მრავალთავის სახელწოდება, თორემ, როგორც აღვნიშნეთ, ის საბას ლავრაში გადაიწერა და ამდენად უფრო სწორი იქნებოდა მისთვის საბაწმიდური მრავალთავი გვეწოდებინა.

საბაწმიდის ქართველ მწიგნობართა წრის ერთ-ერთი ადრინდელი წარმომადგენელია ჰიმნოგრაფი ბასილი, რომელიც უკანასკნელ წლებში გამოვლინდა როგორც მწერალი. სინის მთის ერთ ქართულ ხელნაწერში ნ. მარმა იბოვა და გამოაქვეყნა საბა განწმენდილის საგალობელი „ძუელნი ქართულნი“⁶⁴, რომლის კიდურწერილობა „ბასილი“ შენიშნა პ. ინგოროყვამ. ამავე მკვლევარმა ბასილი მიიჩნია საბაწმიდელ ქართველ მწერლად და რადგან მისი საგალობლები X საუკუნის კრებულში გვხვდება, მისი მოღვაწეობა ადრინდელ ხანას მიაკუთვნა (V—VIII სს.)⁶⁵. მართალია, ბასილის მოღვაწეობის ზუსტი დათარიღება ძნელია, მაგრამ უცილობელია, რომ იგი X საუკუნის უწინარესი ხანის მწერალია (შეიძლება VIII—IX საუკუნეებისა). მის მიერ საბას საგალობლების შეთხზვა იმის მაჩვენებელია, რომ ქართველი მოღვაწენი დიდ ინტერესს იჩენდნენ ლავრის დამაარსებლის მიმართ, არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ სხვაენოვანი ტექსტების თარგმნით და თვითაც წერდნენ საბას სადიდებელს⁶⁶.

ბასილის ორიგინალურ-შემოქმედებითი მუშაობის შედეგი — საბას საგალობელი საბაწმიდაში ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების მაღალ დონეს მოწმობს.

IX—X საუკუნეებში საბაწმიდაში მოღვაწეობდა გიორგი თბილელი. მისი დამზადებულია ერთი მოზრდილი ხელნაწერი, რომელშიც ეფერემ ასურის „სწავ-

ლანია“ მოცემული. გიორგი თბილელი საქმაოდ დახელოვნებული კალიგრაფი ყოფილა, მისი ნაწერი ლამაზია და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. დასახელებული კრებული (Sin. № 97)⁶⁷, როგორც გიორგის ანდერძიდან ჩანს, გადაწერილია საბაწმიდაში (სხვათა შორის, ანდერძიანი ფურცელი, რომელიც 1883 წელს სინაზე ნახა ა. ცაგარელმა, ი. ჯავახიშვილს 1902 წელს ადგილზე აღარ დახვდა. იგი უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა ბირმინგემში, სელი ოუქის კოლეჯის ბიბლიოთეკის ა. მინგანას კოლექციაში)⁶⁸. კრებულში შესულია ეფრემ ასურის 25 ნაწარმოები. მათგან ერთი გამოაქვეყნა (ამ ხელნაწერის მიხედვით) ი. ჯავახიშვილმა⁶⁹, თექვსმეტი—ი. იმნაიშვილმა⁷⁰. ეს არაა შემთხვევითი: ხელნაწერის ენა წარმოადგენს ძველი ქართულის კლასიკურ ნიმუშს. მასში დაცულია სრული არქაიზმი ლექსიკაში, ორთოგრაფიაში, ფონეტიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში (ი. იმნაიშვილი).

დაახლოებით ამავე პერიოდში მოღვაწეობდა საბას ლავრაში ქართველი მწიგნობარი არსენი, რომელსაც 907 წელს დაუმზადებია ჩვენთვის უცნობი ხელნაწერი, რომლის ერთი ფურცელი ნ. მარშა იპოვა სხვა ხელნაწერში⁷¹.

ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის ნაკლუღვანი სახით მოღწევაა ამის მიზეზი, რომ ჩვენ ვიცოდით X საუკუნის საბაწმიდელი ქართველი მოღვაწის სახელი—არსენი, მაგრამ არ ვიცნობდით მის მიერ გადაწერილ წიგნს. მეორე მხრივ, მოღწეულია ერთი დიდებული კრებული, რომელშიც შესულია იოანე ოქროპირის, მარტვირი მონაზვნის, იოანე მოსხისა და სხვათა ნაწარმოებები (Sin. № 36)⁷², მაგრამ უცნობია მისი გადამწერი. ა. ცაგარელმა სინაზე ყოფნის დროს ხელნაწერის უკანასკნელ ფურცელზე ამოიკითხა: „მე, გლახკმან სულითა და ჯორცითა, ღირს ვიქმენ დაწერად წმიდისა ამის წიგნისა ჩემ მიერ ლავრასა შინა წმიდა საბაჲსსა, თანაშეწევნითა სულიერისა შკლისა ჩემისა ტიმოთე-საჲთა... განსრულდა წიგნი ესე... დაიწერა პატრიარქობასა ლეონისასა და საბაწმიდას მამასახლისობასა იოანე რაკისასა, დასაბამითგან წელნი იყენეს ხექვ [= 6528 — 5604 = 924], ქრონიკონი იყო რმე [= 145 + 780 = 925]“⁷³. ანდერძიანი ფურცელი ი. ჯავახიშვილსა (1902 წ.) და ე. გარიტს (1950 წ.) აღარ დახვდათ. ასე რომ, ა. ცაგარლის ცნობის შემოწმება არ მოხერხდა. ა. ცაგარლის მიერ გამოქვეყნებულ ანდერძში კი კრებულის გადამწერის სახელი არ ჩანს. ამ კრებულის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ი. ჯავახიშვილმა საგანგებოდ გადმოიწერა გამოსაცემად ეფრემ ასურის რამდენიმე თხზულება, რომელთაგან ზოგი მეცნიერის სიცოცხლეში გამოქვეყნდა⁷⁴, ხოლო ზოგი — მისი გარდაცვალების შემდეგ⁷⁵.

მრავალმხრივი მუშაობა გააჩაღა საბაწმიდაში ცნობილმა ქართველმა მწერალმა იოანე-ზოსიმემ (X ს.). მან შეადგინა ორიგინალური თუ ნახევრად ორიგინალური კალენდარულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები, რომლებშიც ნათლად შეინიშნება ეროვნული ტენდენციები, დაამზადა ნუსხები და ა. შ. ხელნაწერებზე დართულ ანდერძ-მინაწერებში იოანე-ზოსიმე არაერთ საყურადღებო ცნობას გვაწვდის. მან

თი გამოყენებით ნაწილობრივ ხერხდება დახასიათება იმ ლიტერატურული მუშაობისა, რომელიც იოანე-ზოსიმეს საბაწმიდაში ჩაუტარებია. სახელდობრ, ამ ცნობებით, იოანე-ზოსიმეს (სხვებთან ერთად) საბაწმიდაში დაუმზადებია რამდენიმე ძვირფასი ხელნაწერი: 949—965 წლებში ლიტურგიკული კრებული, რომლის ძირითადი ნაწილი სინის მთაზეა (Sin. № 34)⁷⁶. ხოლო ფრაგმენტები ლენინგრადსა⁷⁷ და ლაიფციგში⁷⁸, 954 წელს—„მცირე იადგარი“⁷⁹. კ. კეკელიძეს, გარდა ამ ხელნაწერებისა. შინაარსითა და შედგენილობის მიხედვით საბაწმიდაში გადაწერილად მიაჩნდა⁸⁰ „იადგარი საწელიწდო“ (Sin. № 1)⁸⁰.

დასახელებულ ხელნაწერებში შესულია იოანე-ზოსიმეს ორიგინალური თუ ნახევრად ორიგინალური შრომები — სხვადასხვა თხზულებათაგან გამოკრებილი, თემატურად დალაგებული და სისტემაში მოყვანილი კრებულები. ასეთია. მაგალითად, პასქალისტური შრომა: „ცნობისათვის და უწყებებისა ქეშმარიტად, რომელი მოგუთხობა ჩუენ მოძღუართა მიერ განსაზღვრული გამოძიებისათვის ყამთა და წელთა. თთუეთა და დღეთა, მცხრალისათვის და დღის საძიებელისა, შკდეთელისათვის და ნაყისა და მთუარისა ზედანადებისა და ხუთეულისათვის და ექუსეულისათვის“⁸¹. ანდერძში ხელნაწერისა, რომელშიც დასახელებული ძეგლია წარმოდგენილი, აღნიშნულია, რომ იგი დამზადებულია იოანე-ზოსიმეს მიერ საბას ლავრაში, „ქრონიკონსა რათ [= 69+780 = 949]“⁸².

გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს იოანე-ზოსიმეს „კრებაჲ თთუეთაჲ წელიწდისათაჲ“, რომელიც რამდენჯერმე დაიბეჭდა⁸³. ესაა მოზრდილი კალენდარი, რომელიც იოანე-ზოსიმეს შეუდგენია ოთხი დედნის საფუძველზე. როგორც თვით გვაუწყებს, გამოუყენებია მას იერუსალიმური, კონსტანტინოპოლური და საბაწმიდური კალენდრები და „იერუსალიმის განჩინება“; უსარგებლია ქართული მასალებითაც, რის საფუძველზე კალენდარში შეუტანია ხსენება ნინოსი, აბოსი, არჩილისა და სხვა მოღვაწეებისა.

იოანე-ზოსიმეს კალენდარი შეიცავს მრავალ საინტერესო ცნობას პალესტინის ბერმონაზვნური ცხოვრებისა და საეკლესიო ორგანიზაციის შესახებ. მასში შემონახულია ძვირფასი მასალა აღმოსავლეთის ბეკრი საეპისკოპოსოსა და იქაურ ბინადართა შესახებ. სოლიდური ნაწილი ეთმობათ საბა განწმენდილსა და საბაწმიდელებს. თავისი შინაარსითა და შედგენილობით იოანე-ზოსიმეს დასახელებულმა შრომამ არა მხოლოდ ქართული სიძველეების შემსწავლელთა ყურადღება მიიპყრო, არამედ ზოგადქრისტიანული კულტურის მკვლევარნიც დაინტერესა.

ფრიად მნიშვნელოვანია „სავალობელნი იადგარნი, რომელსა შინა წერა ლ არიან დღესასწაულნი ყოველნი, ახალნი და ძუელნი სრულიად, და ყამნი იბ [= 12]—ნი სრულიად, ქართულად და საბაწმიდეურად და ქრონიკონი სრულიად ყოვლითავე და სხუაჲ მრავალი განგებაჲ“, რომელიც იოანე-ზოსიმეს „ხუმსსა და თუალმორიდებითსა დაუჩხრეკია საუღაბნოდ მეცნიერისა კაციისათვის“⁸⁴.

აღნიშნულ კრებულზე იოანე-ზოსიმეს გულმოდგინედ უმუშავია და მასში ზეკრი რედაქციული ცვლილება შეუტანია, ამასთანავე, ქართული ელემენტიც წარ-

მოუჩენია. ყურადსადებია მისი ცდა ძველი ტექსტების გადარჩენა-შენახვისა: ახალი რედაქციის საგალობლებთან ერთად იგი იძლეოდა ძველი რედაქციის ნიმუშებსაც (საერთოდ საბაწმიდელი მოღვაწენი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების შედგენისას ყოველთვის ითვალისწინებდნენ ქართული ლიტურგიკული პრაქტიკის მოთხოვნილებას). სხვათა შორის, ზემოდასახელებულ კრებულშია (Sin. № 34) ლექსი, რომელიც მხოლოდ ამ ხელნაწერთაა ცნობილი და რამდენჯერმეა გამოქვეყნებული⁸⁵. იგი ბოლოს ერთვის საგალობელთა კრებულს და გვაცნობს მუშაობას ჰიმნების "შეკრებაზე. მასში შაირის ჩანასახიც შეინიშნება⁸⁶.

ცალკე უხდა მოვისხენიოთ იოანე-ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისა“⁸⁷, რომელიც ხელნაწერებში პირველად გვხვდება 979 წელს (Sin. № 38). ორი წლის შემდეგ იგი იოანე-ზოსიმემ დაურთო 864 წლის ცნობილ მრავალთავს, ხოლო ოდნავ გვიან კიდევ გაიმეორა მესამე ხელნაწერში (Sin. № 6)⁸⁸. ჩვენთვის საინტერესო ტექსტი ხელნაწერებში სხვადასხვა სათაურითაა წარმოდგენილი: „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ (979 წ.), „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ (981 წ.), „ქართულისა ენისათვის“ (982 წ.). პ. ინგოროყვამ აღნიშნული ძეგლი იპოვა ლენინგრადში დაცულ ხელნაწერში, რომელიც 949—965 წლებშია დამზადებული. მისი აზრით, თხზულება დაწერილია კლარჯეთში გიორგი მერჩულის ან მისი სკოლის ჰიმნოგრაფის მიერ, ხოლო იოანე-ზოსიმემ მხოლოდ გადამწერია⁸⁹. მეცხიერის მსჯელობა მეტწილად აღბათობას ემყარება და ვარაუდების სფეროთი იფარგლება, რაც, რასაკვირველია, საკმარისი არ არის იოანე-ზოსიმეს ავტორობის უარსაყოფად და ძეგლის კლარჯეთის ჰიმნოგრაფიული სკოლისათვის მისაკუთვნებლად⁹⁰. მართალია, თხზულება მაჩვენებელია ქართველთა ერთიანი თეოთმეგნების გაღვივებისა და ამბლებისა. ვამსკვალულია პატრიოტული გრძნობით⁹¹, ხოლო ეს დამახასიათებელია კლარჯეთში შექმნილი ლიტერატურული ძეგლებისათვის, მაგრამ პატრიოტული მგზნებარება არც საბაწმიდელთ აკლდათ. კერძოდ იოანე-ზოსიმე. რომელმაც რამდენიმე ხელნაწერში მოათავა „ქება და“, თავის არაერთ თხზულებაში ავლენს მამულიშვილურ გრძნობებს.

საბაწმიდანივე გადაწერა იოანე-ზოსიმემ სხვა ძეგლებიც. მათგან აღსანიშნავია „ქალანდად. თქმული ეზრა წინადაწარმეტყუელისა“ — ქართულად თარგმნილი ერთ-ერთი უძველესი ასტროლოგიური სტატია⁹²: დასდებენი, რომელთა ანდერძში (954 წ.) იგი თავის სახელს კრიპტოგრაფიულადაც გვამცნობს⁹³ და ა. შ.⁹⁴

X საუკუნეში საბაწმიდაში მოღვაწეობდნენ სხვა ქართველი მწიგნობრებიც. მაგალითად, ამბაკომ თორმანელელი, რომელმაც გადაწერა ჟამისწირვა და სახარება-სამოციქულოს საკითხავები (Sin. № 53)⁹⁵, სვიმეონ მგალობელი, რომელმაც თეოდორე პალავრელის დავალებით დაამზადა საგალობელთა კრებული (Sin. № 40)⁹⁶ და სხვ.⁹⁷

XI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა საბაწმიდაში მიქაელ ჩიხუარელი, რომელმაც ჯვრის მონასტრის დამაარსებლის გიორგი-პროხორეს დავალებით

ბითა და მიქაელ დვალის დახმარებით 1038 წელს გადაწერა იოანეს თავის თარგმანება იოანე ოქროპირისა⁹⁸. ცნობებს ხელნაწერის დამზადების ინიციატორზე. გადაწერაზე, გადაწერის თარიღსა და ადგილზე ეპოულობთ ვრცელ ანდერძში, რომელიდანაც მოვიტანთ პატარა ნაწყვეტს: „დაიწერა ჯელითა... მიქაელ ჩიხუარელისაჲთა ლავრასა ლიფსა წმიდისა მამისა... საბაჲსსა, ბრძანებითა შავშემოსილისა წმიდისა მამისა და მოძღუერისა ჩუენისა გიორგი ჯვარელისაჲთა, მეფობასა ბერძენთა ზედა მიხაელისასა, ხოლო ქართველთა ზედა ბაგრატ კუროპალატისასა... ქრისტე, შეიწყალე მღუდელი მიქაელ დვალი, რომელმან გარდაწერასა ამის წიგნისასა ფრიად იღუაწა... ოდეს დაიწერა და განსრულდა, ქრონიკონი იყო სსწ [= 258 + 780 = 1038]“⁹⁹. აღნიშნული ხელნაწერი გიორგი-პროხოვემ შესწირა ჯვრის მონასტერს, იქიდან 1820 წელს წამოიღო გ. ავალიშვილმა. ამჟამად ინახება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (M № 13)¹⁰⁰.

XI საუკუნეში, 1052 წელს, საბას ლავრაში („ჯერკ“სს“) მღვდელმა იოანემ (დიმიტრის თანამოღვაწეობით) გადაწერა „წიგნი საგალობელი წმიდათა მარხვითაჲ“, რომელშიც იოანე მინჩხის საგალობლებიცაა შეტანილი (Sin. № 5)¹⁰¹; აღნიშნული ხელნაწერი დამზადებულია იოანე გოლგოთელის ინიციატივით. შეუმოსავს იგი ნისტერონს. ხელნაწერი შემდეგ ხელთ ჰქონდათ მოძღვარ ჩიხოარელს (ჩიხუარელს), რომელმაც გიორგი მორკნეველს გადასცა. ამ უკანასკნელმა კი საბაწმიდის ქართულ ეკლესიას შესწირა.

დასახელებული ხელნაწერი, — როგორც აღვნიშნეთ, — გადაწერილია „ჯერკ“სს“ — ე. ი. ჯერაკუმბას. იქვე („ჯერაკუმბას მონასტერსა წმიდისა საბაჲსსა“) გადაუწერია იოანე ყიას „ქებაჲ და დიდებაჲ, შესხმაჲ და გალობაჲ... ღმრთისმშობელისა“ მაქსიმე აღმსარებლისა (H № 1664)¹⁰².

რას აიშნავს ჯერაკუმბა და საღ მღვდარეობდა იგი? უკანასკნელად მოტანილი ანდერძიდან ნათლად ჩანს, რომ ჯერაკუმბა საბას მონასტერში ყოფილა. ამის საფუძველზე დ. ბაქრაძე ჯერაკუმბას საბაწმიდაში ათავსებდა¹⁰³. ეს სავეებით სწორია.

ჯერაკუმბა ძველ ქართულ ენაში ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: იგი იყო სახუროთმოძღვრო ტერმინი¹⁰⁴, და ნიშნავდა „მოხუცთა თავშესაფარსა“. ბერძნული *γρηγοριανός* არაბელის მეშვეობით შემოსულა ქართულში¹⁰⁵.

საბა განწმენდილის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მონასტრის დამაარსებელმა შექმნა არა მხოლოდ ეკლესია და სენაკები, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასტუმრო და სასწავლოც¹⁰⁶. ბუნებრივია, ამ დიდ ლავრაში მოხუცთა თავშესაფარი — ჯერაკუმბაც ყოფილიყო. როგორც ჩანს, ქართველი მწიგნობრები ჯერაკუმბაშიც განაგრძობდნენ მუშაობას.

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველთა მოღვაწეობას საბას ლავრაში ადგილი ჰქონდა XI საუკუნეშიც, მაგრამ იგი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. არაბთა მოძალებისა და მონასტრის ხშირი დარბევის

გამო იქ დარჩენა თანდათან გაძნელდა, ხოლო შემდეგ შეუძლებელი გახდა. ქართველმა მოღვაწეებმა სხვა სავანეს მიაშურეს და ხელნაწერი წიგნებიც ახალ სადგომებში გადაიტანეს¹⁰⁷.

რასაკვირველია, საბაწმიდელ ქართველ მწიგნობართა საქმიანობა მხოლოდ ზემოაღნიშნულით არ განისაზღვრება. სამწუხაროდ, პირდაპირი ხასიათის ცნობები ნაკლებადაა მოღწეული და ჩვენც მხოლოდ ზემოთქმულით შემოვიფარგლეთ, მაგრამ საკამათო არ უნდა იყოს, რომ გარდა დასახელებულისა საბას ლავრაში დაიწერა თუ ითარგმნა არაერთი თხზულება, დამზადა არაერთი ხელნაწერი. საფიქრებელია, საბაწმიდაში ითარგმნა „სწავლაჲ წმიდისა სტეფანე მძოვრისაჲ საბაწმიდელისაჲ, რომელი ზღუდას ზედა ვიდოდა“¹⁰⁸, სტეფანე მანსურის—საბაწმიდელის „თხრობაჲ წამებისაჲ წმიდათა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს ბარბაროსთაგან, — რომელ არიან სარკინოზნი, — ლავრასა შინა წმიდასა მამისა ჩუენისა საბაჲსა“¹⁰⁹, ანტიოქე სტრატიგის „წარტყუენვაჲ იერუსალჴმისაჲ“¹¹⁰, „ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდათა მამათაჲ სტეფანჴსი და ნიკონისი“, რომელსაც სათანადო ცნობაც ახლავს („ითარგმნა ცხოვრებაჲ ესე წმიდათა მამათაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲს ლავრასა“) ¹¹¹, ამონიოსის „ცხოვრებაჲ წმიდათა და ნეტართა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს მთასა სინასა და რაითს ბარბაროსთაგან“¹¹², გამოჩენილ მწერალთა „სწავლანი“¹¹³ და ა.შ.

წიგნები ითარგმნებოდა ძირითადად ბერძნული ენიდან, ზოგჯერ არაბულიდანაც. მაგალითად, სტეფანე მანსურისა და ანტიოქე სტრატიგის თხზულებანი ითარგმნა არაბულიდან. არაბულიდანვე უნდა იყოს ხათარგმნი (IX—X სს.) ბასილ საბაწმიდელის ცნობილი ნაწარმოები — „წამებაჲ მიქაელ საბაწმიდელისაჲ“¹¹⁴, რომელიც საბაწმიდის ქებასაც შეიცავს და ძველი ქართული ლექსის ერთ-ერთ საყურადღებო ნიმუშსაც წარმოადგენს¹¹⁵. შესაძლებელია, საბაწმიდაში იყოს დამზადებული კილ-ეტრატის იადგარი, რომელიც საბას ლავრიდან წამოიღო პ. უსპენსკიმ და ახლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (H № 2123)¹¹⁶. მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის კარგა ხანია ცნობილია. თუ ეს კრებული მართლაც საბაწმიდაში შეიქმნა, მაშინ საბაწმიდელთა წვლილი ეროვნული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში ერთობ დიდი ყოფილა¹¹⁷.

კ ა ლ ა მ რ ა

პალავრის ადგილმდებარეობა სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანს უცნობი იყო. ა. ხახააშვილი საერთოდ თავს იკავებდა ამ საკითხზე მსჯელობისაგან¹, მ. ბროსეს პალავრა ტაოში ეგულებოდა², თ. ყორღანია კი მას ქართლში არსებულ მონასტრად მიიჩნევდა³. ამ შემთხვევაში მისთვის ამოსავალი იყო მ. ბროსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ შემონახული ცნობა⁴, რომლის წყა-

როს მელქისედეკ კათალიკოსის (X—XI სს.) „დაწერილი“ წარმოადგენდა⁵. შედარებით უკეთესი პოზიცია დაიჭირა დ. ბაქრაძემ. გაითვალისწინა რა ზოგიერთ ძველ ქართულ სელნაწერში შემოხახული ცნობები, მან პალავრა პალესტინის სავახედ მიიჩნია, მაგრამ ზუსტი და კონკრეტული ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოახერხა⁶.

პალავრა მართლაც პალესტინაშია, იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სულ რაღაც 10—12 კილომეტრის დაშორებით. სავანის დამაარსებლის პატივსაცემად მას უწოდებდნენ აგრეთვე ხარიტონის ლავრას ან ხარიტონწმიდას.

ხარიტონი (ვარდ. 350 წ. ახლოს) გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე იყო⁷. სამონასტრო მშენებლობა დაიწყო IV საუკუნის დამდეგს. პირველად ლავრა დააარსა იერუსალიმის ახლოს (ფარანი), მაგრამ ბერთა კრებულის გაზრდის გამო სხვა ადგილას გადასახლდა (იერიქონში). რადგან იქაც მომრავლდნენ მოწიესენი, მან იწყო ადვილის ძებნა ახალი სავანისათვის; შეარჩია ძალზე მკაცრი და ველური ადგილი და იქ დააარსა ლავრა, რომელსაც სირიულად სუკას უწოდებდნენ, ხოლო ბერძნულად ძველ ლავრას (Παλαιά λαύρα). აღნიშნული სავანე, — ძველი ლავრა, პალავრა ან ხარიტონის ლავრა, — ხშირად იხსენიება ძველ ქართულ ტექსტებში. იგი ზოგჯერ უბრალოდ იხსენიება — პალავრა (Sin. № 11), ზოგჯერ კი ასე: „ლავრაჲ ძუელი მამისა ხარიტონ მოღუწისაჲ“ (H № 2124), „ძუელი ლავრაჲ“ (A № 59), „საყოფელი ხარიტონისი, პალავრა. ძუელი მონასტერი“ (H № 1662), „პალავრა, რომელ არს ხარიტონწმიდაჲ“ (Jer. № 32). იქაური მოღვაწენი ჩვეულებრივ პალავრელებად იწოდებოდნენ. მაგალითად, სტეფანე პალავრელი (H № 1741), თეოდორე პალავრელი (Sin. № 40) და სხვ.⁸

როდის მივიდნენ პირველი ქართველები ხარიტონის სავანეში, ჭერჯერობით უცნობია, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ პალავრა X—XI საუკუნეებში ყოფილა ქართველ მოღვაწეთა მნიშვნელოვანი მწიგნობრულ-ლიტერატურული კერა, სადაც შექმნილა არაერთი საყურადღებო კრებული.

XII საუკუნის დამდეგს ხარიტონის ლავრა დაუთვალეირებია რუს მოღვაწეს დანიელს, რომელიც 1106—1108 წლებში მოგზაურობდა პალესტინაში და ინტერესით ეცნობოდა იერუსალიმისა თუ მისი მიდამოების სიძველეებს. მის ჩანაწერებში არაერთი საყურადღებო ცნობაა პალავრის შესახებ⁹, მაგრამ ქართველებზე არაფერი გვხვდება, რადგან ქართული სიძველენი დანიელს არ უნახავს. ვასული საუკუნის შუა წლებში ხარიტონის მონასტრის ნანგრევები დაათვალიერა პ. უსპენსკიმ¹⁰. აღმოსავლეთის ქრისტიანულ სიძველეთა საუკეთესო მკოდნეს სავანის ადგილმდებარეობამ საბაწმიდა მოაგონა, ხოლო საცოდავი ნანგრევების ხილვამ სევდა მოჰგვარა. სამწუხაროდ, ქართველთა მოღვაწეობის კვალი ვეღარც მან შენიშნა¹¹.

ასე რომ, ჩვენ საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ პალავრელ ქართველთა მოღვაწეობაზე მხოლოდ და მხოლოდ X—XI საუკუნეთა მასალების მიხედვით. ამ ხანაში კი პალავრაში მოღვაწეობდა რამდენიმე ქართველი მწიგნობარი (იოანე სა-

ფარელი, პავლე პალავრელი, თეოდორე პალავრელი, გრიგოლ ხარბიტონწმიდელი, სტეფანე პალავრელი და სხვ.) და წარმოებდა ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა.

დასახელებულ მოღვაწეთაგან პირველად უნდა მოვიხსენიოთ იოანე საფარელი, რომელმაც 968 წელს გადაწერა გიორგი ალექსანდრიელის (619—630) „ცხოვრებაჲ წმიდისა და ნეტარისა და მოძღურისა ყოვლისა სოფლისა და ვარსკულაისა მის განთადისაჲ, მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისაჲ კონსტანტინეპოლელ მამათმთავრისაჲ“ (H № 2124)¹². აღნიშნული ხელნაწერი სინის მთიდან წამოიღო პ. უსპენსკიმ, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში ნახა და აღწერა ა. ცაგარელმა. ამჟამად ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ბიზანტიის გამორჩენილი მოღვაწის იოანე ოქროპირის (IV—V სს.) „ცხოვრებაჲ“ ქართულად ეფრემ მცირის თარგმანითაცაა ცნობილი, მაგრამ იოანე საფარელის მიერ გადაწერილი ტექსტი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მასში შემონახულია გიორგი ალექსანდრიელის თხზულების უფრო ადრინდელი თარგმანი, რომელიც საკმაოდ განსხვავდება ეფრემისეულისაგან¹³. ამასთანავე, მისი დედანი — ბერძნული ტექსტი ჭერჯერობით მიკვლეული არ არის.

ხელნაწერის დამამზადებელი ერთ ადგილას წერდა: „მე ... მწერალი ამისი იოანე საფარელი და სულიერნი ძმანი ჩემნი იოანე, ზაქარია, კე, კე და კე ლოცვასა წმიდასა მოგვცესენით... და რომელ დამეკლოს. შემინდვეთ ღმრთისათვის, დიდსა სწრაფასა და უძღურებასა შინა დაეწერე სიყუარულითა ძმისა ჩემისა მიქაელისითა“¹⁴. დამოწმებული ანდერძით ვიგებთ პალავრაში ქართველთა ჭგუფის ყოფნას და იოანე საფარელის ახლო ურთიერთობას მიქაელთან, რომელიც ფანასკერტელი ხუცესი ყოფილა. ხელნაწერს შემოუნახავს საინტერესო ცნობები როგორც დამზადების ადგილის, ისე თარიღის შესახებ: „დაიწერა ესე წმიდაჲ წიგნი იოანე ოქროპირისაჲ ლავრასა შინა ძუელსა მამისა ჩუენისა ხარბიტონ მოლუაწისა და მოწამისასა. დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ხფობ [= 6572—5604 = 968]. ქრონიკონი იყო რჰჰ [= 188 + 780 = 968]“¹⁵. ნათლად ჩანს, რომ ხელნაწერი დამზადებულია არა სინის მთაზე, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ¹⁶, არამედ ხარბიტონის ლავრაში, ე. ი. პალავრაში¹⁷.

მიქაელ ფანასკერტელის მიერ მოგებული ხელნაწერი მრავალმხრივაა საყუარადლებო. ინტერესს იწვევს არა მხოლოდ მასში წარმოდგენილი ტექსტი, არამედ მისი გაფორმებაც (საზედაო ასოები, იოანე ოქროპირის გამობატვლება და სხვ.). ამასთანავე, იგი ერთ-ერთი უძველესია ნუსხურით შესრულებულ ხელნაწერთა შორის¹⁸.

X საუკუნეშივე მოღვაწეობდა პალავრაში გადაწერილი პავლე. მის სახელთანაა დაკავშირებული მოზრდილი აგიოგრაფიული კრებული, რომელიც ამჟამად სინის მთაზე ინახება (Sin. № 11)¹⁹. მას ათარიღებდნენ X (ე. კეკელიძე, ვ. გარიტი)²⁰ ან X—XI საუკუნეებით (ა. ცაგარელი, კ. კეკელიძე)²¹. უკანასკნელად ხელ-

ნაწერი გულდასმით შესწავლა ი. იმნაიშვილმა და ვერცლად დაახასიათა მისი ორ-
თოგრაფია და ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი. მისი დასკვნით, ენობრივი
ფორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის ვაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს თარ-
გმნილი, ისე ღიდა მისი ორთოგრაფიული და გრამატიკული არქაიზმი. კრებულში
წარმოდგენილი ტექსტები VIII საუკუნეში მიიწა უნდა იყოს ნათარგმნი თუ უფ-
რო ადრე არა. გადაწერილი შეიძლება იყოს X საუკუნეში²².

დასახელებული კრებული უაღრესად საინტერესო შედგენილობისაა. მისი
ზოგიერთი ნაკვეთი უკვე გამოქვეყნებულია. მაგალითად, კ. კეკელიძემ გამოსცა
„წამება წმიდათა და კეთილად მძლეთა მოწამეთა გურია, სამონა აბიზოსე-
თი“²³, ი. იმნაიშვილმა — „წამება წმიდისა პანტელეიმონისი“, „საკუთრელება-
ნი წმიდისა ნიკოლას მთავარებისკაპოსისანი“, „წამება წმიდისა პეტრე ალექ-
სანდრიელ მამათმთავრისაჲ“, „პოვნაჲ წმიდათა ანანიასისი, აზარიასისი, მისა-
ელისი“, „ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა მარინასისი“, „წამება წმიდისა ანასტა-
სიასისი“, „წამება წმიდისა ფოკასისი“, „წამება წმიდათა ორმოც და ხუთთაჲ“²⁴
უ. ვარიტა ლათინური თარგმანითურთ გამოსცა „პოვნაჲ წმიდათა ანანიასისი,
აზარიასისი, მისაელისი“ და „წამება წმიდისა მოწამისა პროკოპისი“²⁵. გარდა
გამოქვეყნებულისა კრებულში შესულია სხვა მრავალი საყურადღებო ძეგლიც.
ზოგიერთი ტექსტის მთარგმნელად მიიჩნევენ VIII საუკუნის მეორე ნახევრისა და
IX საუკუნის პირველი ნახევრის მწიგნობარს, საბაწმიდელ მოღვაწეს სეითს(სეთს)²⁶.
ხელნაწერს შემოუნახავს ცნობა როგორც მთარგმნელის, ისე გადამწერის შესახებ:
„ითარგმნა იმრუსალემს კელითა სეთ თარგმანისაჲთა და დაიწერა პალავრას ქე-
ლითა პავლსითა“²⁷. ეს ცნობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს პავლეა მთელი
კრებულის გადამწერი. მასთან ერთად კრებულის გადამწერაში მონაწილეობდნენ
დავითი და იოანე „მწარედ ცოდვილი“²⁸, რომელიც მიქაელ დეკანოზთან ერთად
იხსენიება.

პალავრელი ქართველი მოღვაწენი X საუკუნისა არა მხოლოდ თვით ამრავ-
ლებდნენ ხელნაწერებს და საკუთარი შრომით ამდიდრებდნენ ეროვნულ მწერლო-
ბას. არამედ სხვა სავანეთა მკვიდრთაც აბამდნენ ამ საქმეში და ავალბდნენ ახალი
ნუსხების გადამწერას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თეოდორე პალავრელის
თაონობით დამზადებული კრებული საგალობლებისა (Sin. № 40)²⁹, რომელსაც
შემოუნახავს ასეთი ანდერძი: „ეგე იადგარანი დაჩხრეკილანი თე პალავრელმან
დაყუდებულმან დამაწერინა ცოდვილსა მე, სემეონს მ[ც]კალობელსა და აწ
გევედრებით... ყოველთა, რომელნი იმსახურებდეთ იადგართა ამათ, რაჲთა მო-
გვკსენნეთ... დაიწერნეს საბაწმიდას შინა“³⁰. აღნიშნული იადგარი თეოდორე
პალავრელის დავალებით დაუმზადებია საბაწმიდის მოღვაწეს სემეონ მგა-
ლობელს³¹.

დამოწმებული ანდერძი ცხადყოფს პალავრელ ქართველთა ახლო ურთიერთო-
ბას სხვა სავანეთა ქართველ მწიგნობრებთან. პალავრელი ქართველი მოღვაწენი,

როგორც ჩანს, ახლობელ მონასტრებში დაბინავებულ თანამემამულეებსაც ავალეზდნენ ქართულ ხელნაწერთა გამრავლებას.

XI საუკუნეში პალავრაში კვლავ გრძელდებოდა ქართველთა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ამ საუკუნის შუა წლებში იქ მოღვაწეობდა ზიზილი-ფილი გრიგოლი. მისი მოგებულია კრებული (H № 1662)³², რომელშიც შესულია ცნობილ მოღვაწეთა (იოანე ოქროპირის, ეფრემ ასურისა და სხვ.) სიტყვები. ხელნაწერს შემოუნახავს ანდერძი: „მე, გლახაკიან და ფრიად ცოდვილმან გრიგოლ ხარიტონწმიდელმან, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი... დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი საყოფელსა შინა წმიდისა მამისა ხარიტონისსა, პალავრას, ძეულსა მონასტერსა, ქელთა ფრიად ცოდვილისაჲთა, ქრონიკონსა სჲ| = 260 + 780 = 1040|“³³. აღნიშნული ხელნაწერი გრიგოლმა შემდეგ იერუსალიმის ქალთა სავანეს — დერტავს შესწირა. სათანადო მინაწერში ვკითხულობთ: „მე, ბერმან გრიგოლ, შევწირე წმიდაჲ ესე წიგნი ... მონასტერსა დედათასა დერტავს“³⁴.

დერტავის სავანე, როგორც ქართველი ქალების ადგილსამყოფელი და ქულტურულ-საგანმანათლებლო კერა, კარგა ხანია ცნობილია. მას სპეციალური გამოკვლევა უძღვნა კ. კეკელიძემ. მან გამოიყენა ერთი ხელნაწერი (Jer. № 33), რომელიც ცხადყოფდა დერტაველ მოღვაწეთა საქმიანობას. გრიგოლოს ზემოციტირებული ანდერძით დამატებით ვეცნობით პალავრელი და დერტაველი ქართველების ურთიერთობას. როგორც ჩანს, პალავრის ბინადარი ენერგიულად ზრუნავდნენ თავიანთი თანამემამულე ქალების წიგნსაცავის გამდიდრებაზე³⁵.

XI საუკუნის შუა წლებშივე მოღვაწეობდა პალავრაში ხუცესი სტეფანე. მის სახელთანაა დაკავშირებული ოთხთავის საყურადღებო ხელნაწერი (H № 1741)³⁶. რომელსაც შემოუნახავს მომგებლის. ანდერძი: „სახელითა ღმრთისაჲთა და მადლითა და სარწმუნოებითა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა მცხეთისაჲთა მე, გლახაკი სტეფანე, ხუცესი პალავრელი, მნათუყოფილი, ყოველთა მოწესეთა ნარჩევი, მიწაჲ და მტუერი, შვილი მცხეთისაჲ³⁷, ღირს-ყო ღმერთმან... მოვიწიე წმიდასა ქალაქსა იერუსალიმსა, აღდგომასა უფლისა ჩუენისა... და წმიდასა გოლგოთასა და მოვილოკენ ყოველნი წმიდანი ადვილნი მისნი მოწყალებითა ქრისტესითა და დამაწესეს მწირველად ქართლისა კათალიკოზისა ოქროპირისა³⁸... და მოვიგე წმიდაჲ ესე ოთხთავი... ქრონიკონი იყო სჲ| = 268 + 780 = 1048|“³⁹.

პალავრელ ქართველებს X—XI საუკუნეებში ისეთი ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარებიათ, რომ ამ სავანის სახელს მათ სამშობლომდე მოუღწევია და საზოგადოებრიობის ყურადღება მიუპყრია. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი ქართველი იქ წასვლასა და მოღვაწეობაზე ოცნებობდა. აქ შეიძლება დავიმოწმოთ ხახულის მოღვაწე დავით თბილელი (XI ს.), რომელმაც გადაწერა იოანე ოქროპირის თარგმანება სახარების ერთი თავისა (Jer. № 32)⁴⁰. აღნიშნული ხელნაწერი მან დაამზადა პალავრისათვის, რადგან, როგორც მასი ანდერძ-მინაწერიდან ჩანს, იქ მოღვაწეობაზე ოცნებობდა. იგი საგანგებოდ აღნიშნავდა: ხელნაწერი „შევწირე პალავრას. რომელ არს ხარიტონწმიდაჲ. უკუეთუ ენებოს ღმრთისა;

თვთ მე, ანუ მიქაელ, ძმამან ჩემმან, მიადწიოს, და უკუეთუ ჩუენ არა ღირს ვიქმნნეთ ამას საწადელსა, ვისცა მიხუდეს და მას წმინდა ადვილსა გამოაჯუას ესე მციორელი ნაწრომი ჩუენი და ესე ანდერძი ჩუენი შეცვალოს... კრული არს“⁴¹.

გადავიდა თუ არა დავითი პალავრას, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მისი ხელნაწერი უკანასკნელად იერუსალიმის ქართული სავანის—ჯვრის მონასტრის საკუთრება გამხდარა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ამოწმებს ტაო-კლარჯეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქართული სავანეების ურთიერთობასა და კავშირს.

ამრიგად, პალავრის ქართველი მოღვაწენი ამზადებდნენ ძველი ქართული ტექსტების საყურადღებო ნუსხებს და სხვა სავანეთა მკვიდრ თანამემამულეებსაც ავალებდნენ კრებულების გადაწერას. ისინი ზრუნავდნენ საკუთარ წიგნსაცავზე, მაგრამ ყურადღებას არც სხვა ქართულ სავანეებს აკლებდნენ (საგულისხმოა, რომ პალავრელთა ზოგიერთი ხელნაწერი სინის მთაზეა. ჩანს, სინის მთისაკენ დაძრულმა მოღვაწეთა ტალღამ თან წაიღო წიგნსაცავიც)⁴². ყოველივე აღნიშნული საფუძველს გვაძლევს პალავრა მივიჩნიოთ ქართულ მწიგნობრულ-ლიტერატურულ კერად (X—XI სს.)⁴³.

ს ი ნ ა

სინის მთა ქართველთა უშორესი სამოღვაწეო პუნქტია ახლო აღმოსავლეთში. იგი აღმართულია არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით — სინის ნახევარკუნძულის სამხრეთ სექტორში. თავად სინის ნახევარკუნძული, რომელიც მოქცეულია არაბეთის ნახევარკუნძულსა და აფრიკას შორის, წარმოადგენს სამკუთხედს: ჩრდილოეთით მას ეკვრის ხმელთაშუა ზღვა, სამხრეთ-დასავლეთით სუეცის უბე, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — აქაბის უბე. ამჟამად იგი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაშია (1967 წელს იარაღით დაიპყრო ისრაელის მხედროვნა და მხოლოდ ახლანან დაუბრუნდა ეგვიპტეს).

სინის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში აღმართულია მაღალი მთები: სინისა, ეპისტიმოასი, ზერბალისა, ეკატერინესი და სხვ. უმაღლესია ეკატერინეს მთა (2637 მ.). აი. ამ მთიანეთში, სინისა და ეპისტიმოის მთებს შუა პლატოზე. უფრო ზუსტად — სინის მთის კალთაზე, 1528 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ეკატერინეს მონასტერი, რომელმაც მრავალი მოღვაწე მიიზიდა. მიუხედავად იმისა, რომ სინის მთის ბუნება ერთობ მკაცრია, — ზამთარი იქ პირდაპირ აუტანელია, — ქრისტიანი ხალხების მრავალი წარმომადგენელი იქაურ სავანეს აფარებდა თავს და არ უფრთხოდა არც ბუნებრივ-კლიმატური პირობების სისასტიკეს და არც არაბი ბედუინების ძალადობას. ამის ახსნა ადვილია: ბიბლიური გადმოცემით, სინის მთა წმინდა ადვილს წარმოადგენდა, იქ თითქოს ღმერთი გამოეცხადა ებრაელთა წინამძღოლს — მოსე წინასწარმეტყველს. ძველ აღთქმაში მოთხრობილია, რომ მოსემ ეგვიპტიდან ლტოლვილი ებრაელები მიიყვანა „უდაბნოსა მას სინაჲსასა“. ხოლო თვით ავიდა მთაზე, სადაც გამოეცხადა ღმერთი, რო-

მელმაც უქადაგა ათი მცნება (გამოსლვათაჲ, XIX—XXX და შმდ.). ბუნებრივია, მოსეს მიერ ღვთის ხილვა მორწმუნე საზოგადოებრიობამ სასწაულად მიიჩნია, ხოლო სინის მთა — წმინდა ადგილად (გარდა ამისა, იმავე წყაროთი ქორეზის მთაზე ყოფილა ილია წინასწარმეტყველიც — მეფეთა წიგნი მესამე, XIX, 8). ქართველი მოლვაწენი კარგად იცნობდნენ ბიბლიურ ვადმოცემას სინის მთაზე და ხშირად იხსენიებდნენ კიდეც მას (მაგალითად, იოანე-ზოსიმე, გრიგოლ სინელი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და სხვ.)². აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი ქართველი მოლვაწენი იხსენიებდნენ რა სინას, სხვადასხვაგვარად წერდნენ ამ სახელს ნათესაობით ბრუნვაში. ერთნი წერდნენ: სინის მთა³, სინის მონასტერი⁴, სინის მამასახლისი⁵, სინის მთის წინამძღვარი⁶, სინის მთავარეპისკოპოსი⁷ და ა. შ., მაგრამ გვხვდება განსხვავებული ფორმებიც: უდაბნო სინაჲსა (გამოსლვათაჲ, XIX, 1, 2), მთა სინაჲსა⁸ და სხვ. გ. ავალისშვილი ასეთ ფორმას ირჩევდა: სინა-მთის⁹. ჩვენი მეცნიერების დიდი უმრავლესობა ასე წერს: სინას მთა. მართალია, ორიოდ მეკლევარმა სწორი ფორმა იხმარა (სინის მთა), მაგრამ ამით არა შეცვლილა რა, არასწორი ფორმა კვლავ გაბატონებულია. მიუხედავად ამისა. ჩვენ მაინც მართებული ფორმა ვირჩიეთ.

პირველი ქრისტიანები სინის მთაზე უკვე მესამე საუკუნეში მივიდნენ. მალე მათ აღექსანდრიდიდან მიიტანეს წმინდა ეკატერინეს ნაწილები და დაასვენეს იმ მთაზე, რომელსაც დღემდე ეკატერინეს მთა ეწოდება. შემდეგ იქ ბერები მომრავლდნენ და, ვადმოცემით, კონსტანტინე დიდის დედამ — ელენემ ეგვიპტის პრეფექტს ააგებინა პატარა ტაძარი. იმის მიუხედავად, რომ თავდამსხმელებმა რამდენჯერმე დაარბიეს სინა და ამოწყვეტეს ბერმონაზონნი¹⁰, იქაური კრებული მანინი იზრდებოდა. სინელ მოლვაწეებს დიდი დახმარება აღმოუჩინა იუსტინიანემ მან 527—557 წლებში ააგო მოზრდილი ტაძარი, რომელიც ციხე-სიმაგრეს ჰგავდა და შედარებით უკეთ იცავდა იქაურ მოწესეებს¹¹. მანვე დააარსა იქ საეპისკოპოსო. სინის ეპისკოპოსი იმავე დროს წინამძღვარიც იყო. საგულისხმოა, რომ სინის ეპისკოპოსი არასოდეს არც ერთ პატრიარქს არ ემორჩილებოდა¹².

ყველა მოგზაური თუ მეცნიერი. რომელიც კი სინას სწევია. ერთხმად აღნიშნავს მთავარი ტაძრის ახლო-მახლო ეკლესია-სამწირველოების სიმრავლეს¹³. ეს კი საფიქრებელს ხდის, რომ იქ ბერმონაზონთა დიდი კრებული მოლვაწეობდა, და მართლაც. სინის მონასტერში მოლვაწეობდნენ ბერძნები, სირიელები, ქრისტიანი არაბები, სომხები... მალე იქ ქართველებიც გაჩნდნენ.

VI საუკუნის მოგზაურის ანტონინე მარტიერის თხზულებაში, რომელიც 570 წლის ახლოსაა დაწერილი, აღნიშნულია, რომ ანტონინეს სინის მთის მონასტერში უნახავს ბესურად მოლაპარაკე მოლვაწე¹⁴. ეს პირი ჯერ კიდეც აღრე მიიჩნიეს ქართველად, მხოლოდ ბესს იბერთან აიგივებდნენ¹⁵. როგორც აღვნიშნეთ, კ. კეკელიძის მტკაცებით, ბესი არის არა იბერი, არამედ ლაზი, მაგრამ ამჯერად ეს არაა არსებითი. მთავარი ისაა, რომ VI საუკუნეში სინის მთის საეპისკოპოსო უკვე ჩანს ქარ-

თველი მოღვაწე. სხვათა შორის, ლაზების ადრე მისვლას სინის მთაზე ადვილობ-
რივი გადმოცემაც აღსტურებს¹⁶.

სინის მთის ძველ მოღვაწეთა შესახებ საინტერესო ცნობები აქვთ შემონახული
იქაურ მწიგნობრებს. მათ ჩანაწერებში ვხვდებით მასალებს ქართველთა შესახებ-
ბაც. მაგალითად. ერთი ავტორის ცნობით, სინის მთის ახლოს ყოფილა ლევილი,
რომელიც აწესდებოდა. იქ ცხოვრობდა და ასკეტურ მოღვაწეობას ეწე-
ოდა ქართველი ბერი მიქაელი, რომელსაც ახლდა მოწაფე ეესტათი¹⁷. თუ ეს ცნო-
ბა სწორია, მაშინ სინაზე ქართველთა მოღვაწეობა VI საუკუნეში დადგენილ ფაქ-
ტად უნდა მივიჩნიოთ. გაუგებარია ა. ცაგარლის პოზიცია. მან პ. უსპენსკის შრო-
მიდან აიღო და გამოიყენა აღნიშნული ცნობა, მაგრამ მიქაელისა და ეესტათის მოღ-
ვაწეობა რატომღაც VII—VIII საუკუნეებით დაათარიდა¹⁸. ვფიქრობთ, პ. უს-
პენსკის შრომა ასეთი ვარაუდისათვის საფუძველს არ იძლევა. ჩვენთვის საინტე-
რესო ცნობა მკვლევარს განხილული აქვს იმ თავში, რომელიც ეთმობა 527—624
წლების ამბებს; ამასთანავე. მას იყენებს VI—VII საუკუნეთა მიჯნის სინელ
მოღვაწეთა დასახასიათებლად. ასე რომ, მიქაელისა და ეესტათის მოღვაწე-
ობა თუ VI საუკუნით არა, VII საუკუნის პირველი წლებით მაინც უნდა დავა-
თარიღოთ¹⁹.

თუ თავს მოვუყრით ყოველივე ზემოთქმულს, ქართველ მოღვაწეთა სინის
მთაზე მისვლის დათარიღება VI საუკუნით შეუძლებელი არ უნდა იყოს. რასაკვირ-
ველია, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ VI—VII საუკუნეებში ქართველებს სინაზე
თავიანთი კოლონია ჰქონდათ, ამას ვერც VIII საუკუნეზე ვიტყვი. მსჯელობა
ქართველ მოღვაწეთა ჯგუფების სინის მთაზე დამკვიდრებისა და იქ ქართული კო-
ლონიის დაარსების შესახებ შეგვიძლია დავიწყოთ მხოლოდ IX საუკუნიდან, რო-
დესაც არაბთა მუდმივი თავდასხმებით შეწუხებულმა ჩვენმა წინაპრებმა ნაწილობ-
რივ დატოვეს პალესტინის სავანეები და შორეულ მხარეს, შედარებით საიმედო
თავშესაფარს მიაშურეს, სინის მთაზე დამკვიდრდნენ და იქ განაგრძეს იძულებით
შეწყვეტილი კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა (სინის მთა, — ვითარცა
რამდენადმე შორეული პუნქტი, — არაბთა ძალმომრეობას იმდენად არ განიც-
დიდა, მტრის შემოსევისაგან შედარებით დაცული იყო). განსაკუთრებულ წარმა-
ტებას სინის ქართველთა სათვისტომომ და იქაურმა კულტურულ-საგანმანათლებ-
ლო მუშაობამ მიაღწია X საუკუნეში, როდესაც ქართველებს საკუთარი ეკლესიე-
ბიც კი ჰქონდათ სინის მთის მონასტერში.

სინის მთის ქართველთა ეკლესია რამდენიმე ხელნაწერში იხსენიება²⁰. ასე რომ,
მისი არსებობა უცილობელი ფაქტია, მაგრამ კამათს იწვევს ეკლესიათა რიცხვი-
და არც ის ჩანს ნათლად, თუ ვის სახელზე იყო აშენებული ესა თუ ის ნაგებობა.
ა. ცაგარელმა სინის მთის ერთი ხელნაწერის ანდერძში ასეთი წინადადება წაიკი-
თხა: „სინას მონასტერსა წმიდისა გიორგის მთავარმოწამისსა ჩუენ ქართველთა-
სა...“²¹, ხოლო სხვა ხელნაწერში ასეთი ფრაზა შენიშნა: „სინას წმიდა ეკლესიასა.
ქართველთასა წმიდისა იოანესსა...“²² ამის მიხედვით იგი ასკვნიდა, რომ სინის-

მთაზე არსებობდა ქართული ეკლესიები იოანე ღვთისმეტყველისა და წმინდა გიორგისა²². ამ აზრს სხვებიც იწყნარებდნენ²⁴. სამწუხაროდ, ხელნაწერის ანდერძი, რომელშიც იოანეს ქართული ეკლესია იხსენიებოდა, აღარ ჩანს. შემდეგდროინდელ მეცნიერებს ამ ანდერძის შემცველი ფურცელი ამოხეული თუ ამოჭრილი დახვდათ²⁵. ასე რომ, ა. ცაგარლის ცნობის შესამოწმებელი მასალა ხელთ არ გვაქვს. მაგრამ ა. ცაგარელი რამდენიმე ადგილას მსჯელობდა ამ საკითხზე და ამ ეკლესიების გვიანდელ ისტორიასაც გვაცნობდა, რაც სარწმუნოს ხდის მის განცხადებას; თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ. რომ მისი მითითება გიორგისა და იოანეს ეკლესიების შესახებ წყაროებზე, — სინის მთის ქართულ ხელნაწერებზე, — ყოველთვის ზუსტი არაა და გაუგებრობასაც იწვევს.

სინაზე მყოფი მოგზაურები და მეცნიერები ადრეული ხანისა საკუთრივ ქართულ ეკლესიებზე არაფერს წერენ²⁶. პირველი მკვლევარი, რომელიც შედარებით ვრცლად შეჩერდა ამ საკითხზე, იყო პ. უსპენსკია. მისი ცნობით, სინის მონასტერში ქართველებს ჰქონდათ ოთხი ეკლესია: ილიას ეკლესია ქორების მთაზე²⁷, ღვთისმშობლისა — დავითისეული, იმავე მთის კალთაზე, პეტრე-პავლესი — ქორებისა და ეკატერინეს მთებს შუა და სევასტიელ მოწამეთა — ლეჯის ველზე²⁸. სამწუხაროდ, პ. უსპენსკის საბუთები არ წარმოუდგენია. როგორც მისი ჩანაწერებიდან ჩანს, მკვლევარს არც ჰქონია საბუთი; მას ვერაფერი უნახავს ვერც სინის მონასტრის ხელნაწერებში, ვერც სხვა წყაროებში. ასე რომ, მისი აზრი ქართულ ეკლესიებზე მეტწილად ვარაუდს წარმოადგენს.

ა. ცაგარელმა დაათვალიერა ზოგიერთი დასახლებული ეკლესია და, მართალია, იქ ვერაფერი პოვა საყურადღებო, — ვერ ნახა ვერც ქართული წარწერა, ვერც ქართული ხელნაწერი, — კრიტიკული განხილვის გარეშე გაიძეორა პ. უსპენსკის სიტყვები²⁹. თუ ზემოთქმულსაც გავითვალისწინებთ, მაშინ ა. ცაგარლის ვარაუდით სინის მთაზე 6 ქართული ეკლესია ყოფილა, ეს კი არაფრით არ დასტურდება. სხვათა შორის, ა. ცაგარელს „ძველი ლავრა ხარიტონ მოლუაწისა“ სინაზე ეგულებოდა³⁰. არც ეს არაა სწორი. „ძველი ლავრა“ ან პალავრა, როგორც აღვნიშნეთ, იერუსალიმის ახლოს მდებარეობდა.

შენიშვნას იწვევს ნ. მარის პოზიციაც. მკვლევარი კატეგორიული ტონით წერდა — სევასტიელ მოწამეთა ეკლესია ქართველთა აშენებულაო³¹. ამ შემთხვევაში იგი ემყარებოდა პ. უსპენსკის, ხოლო ამ უკანასკნელს არავითარი საბუთი არ ჰქონდა და არც დაბეჯითებით წერდა რამეს. იგი მორიდებით შენიშნავდა: დასახლებული ეკლესია აგებულა ან არაბ-სირიელ ბერთა მიერ IX საუკუნეში, ან ქართველთა მეფის დავითის მიერ³². ასეთი მორიდებული ვარაუდი კატეგორიული განცხადების საფუძველს არ უნდა იძლეოდეს.

ამრიგად, სინის მთაზე რამდენიმე ქართული ეკლესიის არსებობა საეჭვო არ უნდა იყოს, მაგრამ მათი რიცხვი და სახელი კვლავ გაურკვეველია.

ქართულ მასალებში იხსენიება ერთი მონასტერი „მაყულოვანსა შინა“. კერძოდ, ერთი ხელნაწერის ჩვენებით, იგი 973 წელს „შემიოსა მონასტერსა შინა მა-

ყულოვანსა³². სინის მთის სულთა მატიანეში გვხვდება „მაყაოვანისა ღეთისმშობელი“³⁴. ი. გედევანიშვილი ერთგან წერდა: „ეკლესიასა, ადგილსა მას მაყლოვანსა, სადა ცეცხლი ეკიდებოდა და არა შეიწუებოდა, ვითარცა იხილა მოსე წინასწარმეტყუელმან, არს ტრაპეზი წმინდა და ეკლესია დაფენილი“³⁵. პ. კონკოშვილის ცნობით. ელენე დედოფალმა ააგო ტაძარი ადგილსა „დაუწველისა მაყვალისა“³⁶.

რას ნიშნავს „მაყულოვანი“ ან „მაყაოვანის ღეთისმშობელი“? ბიბლიური გადმოცემით, როდესაც მოსე „მწყსიდა ცხოვართა იოთორ სიამარისა თვისისათა და მოვიდა მთასა მას ღმრთისასა ქორებს, ეჩუენა მას ანგელოზი ცეცხლითა ალინაჲთა მაყულოვანით გამო, და იხილა, ვითარმედ მაყულოვანსა ალატყდების ცეცხლი და მაყუალი იგი არა შეიწუების. თქუა მოსე: „წარვიდე და ვიხილო ხილვაჲ ესე დიდი, რამეთუ მაყუალი არა დაიწუების“. ვითარცა იხილა ღმერთმან, რამეთუ მოვალს ხილვად, უწოდა მას უფალმან მაყულოვანით გამო და ჰრქუა: „მოსე, მოსე!“ ხოლო მან ჰრქუა: „რაჲ არს?“ ხოლო უფალმან ჰრქუა: „ნუ მოეახლები აქა, წარიკადენ ჯამლნი ფერკთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა შენ სდგა. ქუეყანაჲ წმიდა არს“ (გამოსლვათაჲ. III. 1—5). გადმოცემით, ელენე დედოფალმა სწორედ იქ ააგო პატარა ეკლესია ღეთისმშობლის სახელზე, ხოლო შემდეგ იქვე ააგო მოზრდილი ტაძარი იუსტინიანემ. მაგრამ არა მის ადგილას, არამედ მის ახლოს. ისე, რომ ელენესეული ნაგებობა იუსტინიანეს ბაზილიკაში მოექცა³⁷. როგორც ჩანს, ქართველები ამ სავანეშიც მოღვაწეობდნენ.

სინის მთაზე ერთ-ერთი ქართული ტაძრის აგება დაკავშირებულია დავით აღმაშენებლის სახელთან. მემატიანეთა ცნობით, დავითი უშურველად ეხმარებოდა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სავანეებს. მისი ყურადღება და მზრუნველობა არც სინის მთას მოჰკლებია, მემატიანე დაბეჭდვით აღნიშნავს, რომ დავითმა „მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა“³⁸. „ქართლის ცხოვრების“ ჩვენთვის საინტერესო ადგილი ძველ სომხურ თარგმანში ასე იკითხება: დავითმა „სინას მთაზე ააშენა მონასტერი და მრავალ განძს ათასობითა და ათიათასობით უგზავნიდა ყოველწლიურად; [უგზავნიდა] აგრეთვე წიგნებსა და სიწმიდეთა სამსახურებელს, რომლებიც ვის შეუძლია დასთვალოს?!“³⁹

რასაკვირველია, დავითს კარგად ესმოდა, რომ სინის მთაზე ტაძრების მშენებლობას არა „მარტო წმინდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ ამავე დროს ეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და დასავლეთის ქრისტიან ხალხთა შორის საქართველოს პოლიტიკურ სახელგანთქმულობასაც უწყობდა ხელს“ და საერთაშორისო სფეროში საქართველოს დიდი ხვედრითი წონის გამოხატულება იყო⁴⁰.

სინის მთის ქართულ კოლონიას დავით აღმაშენებლის⁴¹ მომდევნო ქართველი მეფეებიც გულუხვად ეხმარებოდნენ. მაგალითად, თამარი „წარავლენდის სარწ-

მუნათა თვსთა და დავედრის ესრეთ: „იწყეთ ალექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბიისა, სინისა მთისა“, და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიქითხვიდის“⁴².

ძველი წყაროებით ცნობილია, რომ სინის მთის ტაძრებს ხშირად არბევდნენ, ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ ეგვიპტელი მეომრები, მოთარეშე ბედუნიები, დიდად ვნებდა ხშირი მიწისძვრაც, მაგრამ სხვადასხვა ქრისტიანული ქვეყნების დახმარება-შეწირულება ქმნიდა იმის საფუძველს და პირობას, რომ ძველ სავანეს გაეხანგრძლივებინა თავისი არსებობა⁴³. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის დახმარება, რომელსაც სინის მთის ქართული კოლონია სამშობლოდან იღებდა. რასაკვირველია, ეს დახმარება მხოლოდ დავით აღმაშენებლისა და თამარის შეწირულებით არ ამოიწურებოდა. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა „მოსაცხენებელი და მატინე პატრიარქისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინისაჲ“, რომელიც ჭერ კიდევ ა. ცაგარელმა მიიჩნია საუკეთესო საბუთად იმისა, რომ სინის მთის ქართველ მოღვაწეებს ინტენსიური კავშირი ჰქონდათ სამშობლოსთან⁴⁴.

დასახელებული ძეგლი—სინის მთის ქართველთა მონასტრის სულთა მატინე⁴⁵. — როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ, — დასაწყისში შეიცავს ვედრებას მონასტრის კრებულისადმი, რათა არ მოიშალოს ქვემოჩამოთვლილ პირთა მოხსენიება. შემდეგ მოცემულია ნაკვეთები: „მოცხენებისათვის და განსვენებისათვის“ და დასახელებული არიან ის პირები (ხშირ შემთხვევაში ქრონოლოგიური. ნათესაური და წოდებრივი პრინციპით), რომლებმაც თავიანთი დახმარება-შეწირულებით ან საერთოდ მრავალხრივი საქმიანობით მოხსენიება დაიმსახურეს⁴⁶. იქ იხსენიებიან მეფეები (მირიანი, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ, დავით აღმაშენებელი, დიმიტრი და ა. შ.), ღვთაებები (თამარი, რუსუდანი, მართა, ბორენა, ბურღუხანი და ა. შ.), ღიღებულები (ათაბაგები, დადიანები, გურიელები, ციციშვილები...), კათალიკოსები (ოქროპირი, ნიკოლოზი...), საქართველოში (გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, პიმენ მაწყვერელი, გერასიმე საფარელი, ნიკოლოზ გარეჯელი, ანტონ იმხნელი...) თუ მის ფარგლებს გარეთ (პროხორე ჭყარელი, იოანე აღდგომელი...), მოღვაწე საეკლესიო პირები. ცალკე ნაკვეთი ეთმობა ჯვრის მამებს.

რასაკვირველია, ჩვენ შორს ვართ იმისგან, რომ სულთა მატინეში მოხსენიებულ ყველა პირს სინის მონასტრისათვის დახმარების აღმოჩენა მივაწეროთ (ასეთი აზრის უარსაყოფად მარტო მირიანისა და ვახტანგ გორგასლის მოგონება კმარა). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, სულთა მატინეში მოხსენიებული ბევრი პირი სინის ქართულ კოლონიას დაეხმარა და მატინეში სახელის შეტანა ამით დაიმსახურა.

სინის მონასტრის მრავალ ქვეყანაში ჰქონდა მეტოქეები და სოფლები⁴⁷. მეტოქე ჰქონდა მას თბილისშიც⁴⁸, ხოლო მამულები ქართლში, სოფ. მეღვრეისში⁴⁹. დროთა ვითარებაში, რაიმე მიზეზის გამო, ეს მამულები თუ სხვის ხელში

აღმოჩნდებოდა, სინელები ცდილობდნენ მის დაბრუნებასა და შენარჩუნებას (მაგალითად, 1665 წელს ქართლში ჩამოვიდა სინის მთავარეპისკოპოსი ანანია⁵⁰, რომელმაც ქართლის მეფის დახმარებით დაიბრუნა დაკარგული მიწა-წყალი⁵¹).

ამრიგად, სინის მთის ქართულ კოლონიას საუკუნეთა მანძილზე ეხმარებოდნენ საქართველოს მეფეები თუ ცალკეული პირები. თავის მხრივ, სინელი მოღვაწენი ღიდად აფასებდნენ თანამემამულეთა ზრუნვას და ყოველთვის მაღლიერების გრძნობით იხსენიებდნენ თანამომქმეთ. საგულისხმოა, რომ ისინი შორეულ მხარეშიც არ ივიწყებდნენ მშობლიურ მიწა-წყალსა და მშობელ ხალხს. თავიანთ სენაკებსა და ეკლესიებში ისინი ლოცულობდნენ არა მხოლოდ სინის „მამასახლისისა და ყოვლისა კრებულისა მათისა მშვიდობით დაცვისათჳს“;⁵² მათ საზრუნავს „ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტიანენი და უფროჲს ყოველთასა ყოველნი ქართველნი“ წარმოადგენდნენ⁵³. მართალია, სინელი ქართველები უპიარეტესად მათ თანამოღვაწეებზე თუ მომდევნო ხანის მოწესეებზე ფიქრობდნენ, მათ კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ, მაგრამ ამით არ იფარგლებოდნენ. რაოდენ საგულისხმო და მრავლისმთქმელია, რომ სინელი ქართველები „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემიქცევისა, ტყუეთა მოქცევისა, ყამთა დაწყნარებისა და ქრისტიანობისა დამტკიცებისათჳს“ ლოცულობდნენ⁵⁴. მათ მამულიშვილურ გრძნობათა საჩვენებლად და თანამომქმეებზე ზრუნვის საილუსტრაციოდ უნდა დავიმოწმოთ სინაზე ქართველთა ერთი ნაკადის მოღვაწეობის დასასრულის ხანის მინაწერი:

„თუ აქ ქ[ა]რთვე[ლ]ი არ იყოსა(!) და ოდესცა მოვიდეს, ვინ ა ამასა სახლბსა(!) შიგა იყო კიდე გან მორიდიოს(!) და ღიადი დ[=4] ქურქელ დ[=] გასა ჩაფლ[ლ]ი საღნე, ერთსა ან[ლ] შიგა დ[=] 4], ღეროს შგა დ[=] 4] და ოთ ქ[რ]ბი სპლძისაჲ და სხუაჲ ღიადი“⁵⁵.

ჩამოხეულია

როგორც ჩანს, ქართველი ბერები მაღავდნენ სამეურნეო ინვეტარს, ღვინის ქურქელს, ქვაბებს და ადგენდნენ საგანგებო დოკუმენტს იმ მიზნით, რომ ყოველივე ემცნოთ იმ ქართველებისათვის, რომლებიც მომავალში დასადგურდებოდნენ მათ სავანეში.

ქართველი მოღვაწენი XV საუკუნიდან აღარ ჩანან სინის მთაზე. მაჰმადიანთა მომძლავრებისა და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დაუძლეობის შედეგად სამშობლოდან დახმარებამ იკლო, ქართული კოლონია დასუსტდა; ახალი მწიგნობრული კერების დაწინაურების შედეგად მისი მნიშვნელობა დაეცა. ამან გამოიწვია ქართული სათვისტომოს გადაშენება. მიუხედავად ამისა, თითო-ორიოლა ქართველ მოღვაწეს სინაზე შემდგომ ხანაშიც ვხედავთ. მაგალითად, XVI საუკუნის დამდეგს მწეკაბუკ ათაბაგმა სინას წარგზავნა თავისი ძმის ქაიხოსროს აღზრდილი ამბროსი „მრავლითა საქონლითა“⁵⁶; 1747 წელს სინაზე იყო მროველი

მღვდელმთავარი ქრისტეფორე თუმანიშვილი⁵⁷; იმავე საუკუნის ოთხმოციან წლებში — ი. გედევანიშვილი. მოვიტანთ ამონაწერს მისი წიგნიდან: „მიველ სინის მთასა, რომელიცა კალთასა მთისასა დაშენებულ არს წმინდის ეკატერინეს მონასტერი. ზღუდე იგი მონასტრისა აღშენებულ არს იუსტინიანე კუისრიასავან, თვინიერ კარისა.

მიველ რა მახლობელ ზღუდისა მის, გარდაბოცხედ აქლემით. მონაზმა ვინმე ბერმან მის მონასტრისამან საარკმლით გარდმოძმახა: აიოს პროთოილუმენოს, რომლისა მეტოქიდამა ხარო? გონებდა მონაზონი თვსაღ მონასტრისა ძმათაგანსა. ხოლო მე ვუპასუხე: არა ვარ პროთოილუმენი, მე ვარ პროსკინიმატი (ესე იგი თაყუანისმცემელი).

შემოჰკრბენ მამანი და ძმანი, გარდამოუშუეს თოკი და დაუჯექ. დაატრიალეს სუეტი ერთი. ესრეთ ეხუეოდა თოკი სუეტსა მას და აღუყუანებულ ვიქმენ. სიმაღლე ამის ზღუდისა არის ფრიაღ მაღალი, არა რომელიმე კიბე არ შეჰსწუდების⁵⁸.

ი. გედევანიშვილი ოთხ თვეს დარჩა მონასტერში, კარვად გაიცნო იქაურობა, მოკლედ აღწერა კიდევ იქაური სიძველენი⁵⁹. სხვათა შორის, სიძველეთა გაცნობისას ძლივს გადაურჩა არაბთა რაზმს (როგორც ჩანს, არაბ ბედუინთა ძალადობა. გვიან ხანამდე გრძელდებოდა და სინელები იძულებული იყვნენ ჩაკეტილიყვნენ მონასტერში, კარი დაეხშობთ და მლოცველები საკმაოდ ორიგინალური წესით მიეღოთ). სამწუხაროდ, ი. გედევანიშვილი არაფერს წერს ქართულ სიძველეებზე. ნუთუ მას არც ხელნაწერი უნახავს, არც ხატი, არც გადმოცემა სძენია?! კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ სინის მთაზე ვერ მივიდა ტ. გაბაშვილი, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა იქაურობის გაცნობისა⁶⁰. ის ხომ ნამდვილად აღწერდა სინის მთის ქართულ სიძველეებს!

1780 წელს სინის მთაზე ყოფილა ერეკლე მეორის (1744—1798) კარის ხუცესი ქრისტეფორე კეყერაშვილი, მაგრამ ცნობები არც მას დაუტოვებია⁶¹.

XIX საუკუნის შუა წლებიდან იწყება სინის მთის ქართულ სიძველეთა მეცნიერული შესწავლა. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით პ. უსპენსკის, ა. ცაგარელს, ნ. მარს, ი. ჯავახიშვილსა და ე. გარიტს.

პ. უსპენსკის შრომებში, რომლებიც ჩვენ რამდენჯერმე დავიმოწმეთ, გვხვდება ცნობები როგორც სინის მთის ქართულ ეკლესიებსა და ხატებზე⁶², ისე ხელნაწერებზეც. მეკლევარმა 1845 წელს ნახა სინაზე, ხოლო 1850 წელს წამოიღო კიდევ იქიდან მოზრდილი კრებული (ბერძნულ ენაზე), რომელშიც, მისი ცნობით, მოთავსებული იყო ექვთიმე ათონელის წერილი (ლექსად) ბიზანტიის იმპერატორისადმი⁶³. 1850 წელს მან დაათვალიერა ქართული ხელნაწერები, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ქართულ ფსალმუნს პაპირუსზე და მისი ორი ფურცელი წამოიღო კიდევ (ამჟამად ეს ფურცლები ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება)⁶⁴. იქიდანვე წამოიღო მან პალავრული კრებულიც. (H. № 2124).

1883 წელს სინას ეწვია ა. ცაგარელი. სწორად ა. ცაგარელი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია და წარმოაჩინა სინა როგორც ძველი ქართული სულიერი კულტურის დიდებული ქერა. ა. ცაგარელი ზამთრის სუხსიან დღეებში ათვალეირებდა და სწავლობდა სინას ქართულ ხელნაწერებს, ეძებდა მათ სენაკებსა და სარდაფებში, ძველი ეკლესიების ნანგრევებში. იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ პირობებში სწავლობდა ა. ცაგარელი ძველ ხელნაწერებს, საკმარისია მოვიგონოთ მისი სიტყვები: „ზამთარი სინაზე საზოგადოდ მკაცრია და არ არის ხელსაყრელი დრო მონასტერში მეცადინეობისათვის. ჩემს იქ ყოფნის დროსაც ძალიან ციოდა: გარეთ და ოთახებში თითქმის ყოველთვის ნოლს ქვევით იყო, რადგანაც არ მოიპოვება არც შუშა, არც ბუხარი; კარები და ფანჯრები ცუდად იხურება, იატაკი ქვისაა და თანაც სამი დღის განმავლობაში ქარბუქი იყო და თოვლი მოდიოდა, ყველაფერი ირყეოდა და შხიოდა მონასტერში, ქარი ზუზუნებდა, ზარებს აქეთ-იქეთ ძლიერ აქანებდა და რეკავდა“⁶⁵. აი, ასეთ ვითარებაში აღწერა ა. ცაგარელმა სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია და ეს აღწერილობა შემდეგ ორჯერ გამოაქვეყნა⁶⁶. მის კატალოგში აღწერილია 93 ხელნაწერი. მათგან ერთი პეტერბურგში ინახებოდა (№ 72, აწ H № 2124). ასე რომ, ა. ცაგარელმა სინაზე ნახა და აღწერა 92 ხელნაწერი. მათგან ახლა ხუთი გრაცშია (№№ 2, 9, 29, 31, 69), ერთი პრინსტონში (№ 93), ცხრა ხელნაწერის ადგილსამყოფელი გაურკვეველია (№№ 22, 34, 36, 40, 51, 62, 66, 81, 92). დანარჩენი დღესაც სინას მთაზეა.

ა. ცაგარელმა არა მხოლოდ აღწერა სინური ხელნაწერები და კატალოგი გამოაქვეყნა, — თუმცა ამითაც უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ მეცნიერებას, — არამედ შენიშნა და გამოყო სინას მთის მწიგნობრულ-ლიტერატურული კერის შემოქმედებითი მუშაობის განსაკუთრებით ნაყოფიერი პერიოდი—X საუკუნე. მან სწორად დაასკვნა, რომ ამ პერიოდისაა სინას კოლექციის უძვირფასესი ხელნაწერები — მაჩვენებელი ქართველ მოღვაწეთა მჩქეფარე ლიტერატურული ცხოვრების ძალისა და მნიშვნელობისა. ხელნაწერთა ანდერძების საფუძველზე მანვე დაასახელა სინას მთის გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი და მოკლედ დაახასიათა მათი საქმიანობა⁶⁷.

ახალი ეტაპი სინას მთის ქართული კოლონიის ლიტერატურული პროდუქციის შესწავლაში იწყება მას შემდეგ. რაც სინას ეწვივნენ ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი (1902 წ.). „გამთენიიდან შუალამემდე ისხდნენ ქართველი მეცნიერები მონასტრის ბნელ საკანში და ჭრაქის მბუუტავ სხივზე მთრთოლარე თითებით ეხებოდნენ სრულიად უცნობი ევებერთელა ქართული ხელნაწერების ჩანაცრულ ფურცლებს, გამალებით იწერდნენ და ამზადებდნენ დღის სინათლეზე გამოსატანად“⁶⁸.

ნ. მარმა სინას მთაზე აღწერა 44 ხელნაწერი (№№ 32, 33, 41—44, 46, 47, 49—54, 56—71, 81—83, 85, 86, 88—96). მათგან ა. ცაგარლის კატალოგში არ ჩანდა 12 (№№ 41, 49, 53, 54, 56, 58, 59, 88, 90, 92, 94, 96). ე. გარიტმა

ექვსს დაუძებნა შესატყვისი ა. ცაგარლის კატალოგში (№№ 56/47, 58/16, 59/45, 88/23, 90/39, 94/27). ასე რომ, ა. ცაგარლის კატალოგში ვერ დაიძებნა ნ. მარის მიერ აღწერილი 6 ხელნაწერი (№№ 41, 49, 53, 54, 92, 96). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. გარიტის მიერ დაძებნილი ზოგიერთი შესატყვისი დაქვევებს იწვევს (მაგალითად, №№ 56/47, 58/16) და დამატებით საბუთიანობას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ე. გარიტის მიერ დაძებნილი შესატყვისები ცხრილში მაინც დავტოვეთ (იხ. ქვემოთ).

ი. ჭავჭავიძემ სინის მთაზე 44 ქართული ხელნაწერი აღწერა (№№ 1—22, 25, 26, 29—31, 34—40, 72—80, 97). მათგან ა. ცაგარლის კატალოგში არ ჩანდა 15 (№№ 1—3, 7, 9, 10, 14, 17—19, 21, 25, 26, 72, 74). შემდეგ შესაძლებელი გახდა მათი შესატყვისების დაძებნა (№№ 1/63, 3/65, 7/46, 9/18, 14/41, 17/59, 18/58, 19/10, 25/74, 26/61, 72/25, 74/15). ასე რომ, ა. ცაგარლის კატალოგში ჭერჭერობით ვერ დაიძებნა ი. ჭავჭავიძელის მიერ აღწერილი 3 ხელნაწერი (№№ 2, 10, 21). მართალია, ე. გარიტის მიერ დაძებნილი ზოგიერთი შესატყვისი საექვოა (მაგალითად, №№ 3/65, 18/58, 26/61, 72/25), მაგრამ ცხრილში მაინც შევიტანეთ, რადგან ე. გარიტს ზოგიერთი თანხედენილი დეტალი კარგად აქვს შენიშნული და არაა გამორიცხული, რომ სიმართლე მის მხარეზე იყოს.

ცალკე უნდა აღვნიშნოს ის დიდი ღვაწლი, რომელიც ნ. მარსა და ი. ჭავჭავიძელს მიუძღვით სინაზე დაცული ქართული ორიგინალური თუ თარგმნილი ძეგლების პუბლიკაციაში. სახელდობრ, ნ. მარმა გამოაქვეყნა „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“, იოანე მინჩხის საგალობელი, ფილიპეს ლექსი, ნინოს საგალობელი, „წამება წმიდისა მოწამისა პროკოპისი“ და სხვ.⁶⁹ ი. ჭავჭავიძემ — იოანე მინჩხის ჰიმნები, „წამება წმიდისა ბიკტორისი და სტეფანია ნეტარისა დედაკაცისაჲ“, „წამება წმიდისა იგნატი ანტიოქელ პატრიარქისაჲ“, „ქრება თთუეთაჲ წელიწდისათაჲ“, „მოსაქსენებელი და მათიანე პატრიარქისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინისაჲ“, ეფრემ ასურის სწავლანი, ანტონის ეპისტოლე, აპოკრიფები და სხვ.⁷⁰ დასახელებულ ძეგლთა უმრავლესობა პირველად დაიბეჭდა. საგულისხმოა, რომ ნ. მარისა და ი. ჭავჭავიძელის მიერ დამზადებული პირების მიხედვით სხვა მეცნიერებშიც აქვეყნებდნენ სინურ ტექსტებს. მაგალითად, კ. კეკელიძემ დაბეჭდა „ცხორება წმიდათა და ნეტართა მამათა, რომელნი მოსრნეს მთასა სინასა და რათოს ბარბაროსთაგან“⁷¹, ს. ჯანაშიამ — „ცხორება წმიდისა მამისა ჩუენისა საბა ასურისაჲ“⁷² და სხვ.

1927 წ. სინის მთაზე იყო რ. ბლეიკი⁷³. მისი ცნობით, ადგილზე არ აღმოჩნდა ა. ცაგარლის მიერ აღწერილი 12 ხელნაწერი (№№ 1, 2, 9, 28, 29, 40, 65, 66, 69, 81, 92, 93)⁷⁴. დასახელებულთაგან 10 1902 წელსაც არ ჩანდა (№№ 1, 2, 9, 29, 40, 66, 69, 81, 92, 93), — ამათგან ერთი (№ 1) ე. გარიტმა დაძებ-

წა სინაზე, — ხოლო ორი (№№ 28, 65) 1902 წელსაც იქ იყო და ე. გარიტმაც იქვე ნახა (1950 წ.). ზოგიერთი ხელნაწერი 1902 წელს უკვე აღარ იყო სინაზე, ვერც გვიან ნახა ე. გარიტმა. საეჭვოა, რომ ისინი რ. ბლეიკს ენახა; უბრალოდ დანაწილსი ვერ შენიშნა (№№ 22, 31, 34, 36, 51, 62).

უკანასკნელად სინის მთაზე იყო ე. გარიტი (1950 წ.). მან აღწერა 38 ხელნაწერი (№№ 6, 8, 11, 15, 16, 19, 22, 25, 29 — 33, 35, 36, 38, 39, 42 — 44, 46, 50 — 52, 57, 58, 60, 62, 68, 71, 78 — 81, 85, 86, 91, 97)⁷⁶. ყველა მათგანი აღწერილი იყო ჯერ ა. ტავარლის, ხოლო შემდეგ ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის მიერ.

ე. გარიტის ცნობით, სინაზეა 85 ქართული ხელნაწერი (1 პაპირუსზე, 54 ეტრატზე, 30 ქალაღზე). მართალია, დანომრილია 98 ხელნაწერი (№ 1—98), მაგრამ რვა ნომერი თავისუფალია (№№ 23, 24, 27, 28, 45, 48, 55, 84), ერთი ხელნაწერი კი სომხურია (№ 87). ორ ხელნაწერს სამ-სამი ნომერი აქვს — დაშლილია ნაწილებად და ცალ-ცალკეა დანომრილი (№№ 32, 33, 57; №№ 31, 58, 60). ასე რომ, სინის მთაზე ამჟამად მართლაც 85 ხელნაწერია (98—8—1—2—2=85).

ე. გარიტის დამსახურება სინის მთის ქართული კოლონიის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლაში მხოლოდ ხელნაწერების აღწერით არ ამოიწურება. მკვლევარმა კრიტიკულად დაადგინა და მეცნიერულად გამოსცა სინურ ხელნაწერებში შემონახული ბევრი ძეგლი. მრავალთაგან დაევასხელებთ რამდენიმეს: ანტონის ეპისტოლენი, სებერთანოს გაბალონელის თქმული, „წამებაჲ წმიდისა მოწამისა პროკოპისი“, „სწავლაჲ წმიდისა სტეფანე მძოვრისაჲ საბაწმიდელისაჲ, რომელი ზღუასა ზედა ვილოდა“, „ქსენებაჲ წმიდისა მოწამისა ორენტისი და ძმათა მისთა ექუსთაჲ“, „ეპისტოლჳ ნეტარისა მამისა არსენისი“, სამოციქულო, იოანე-ზოსიმეს „კრებაჲ თთუეთაჲ წელიწდისათაჲ“ და სხვ.⁷⁸

აქვე ვიძლევიტ ცხრილებს, რომლებშიც შეთანხმებულია სხვადასხვა მეცნიერის მიერ სინის მთაზე აღწერილ ქართულ ხელნაწერთა ნომრები და ნაჩვენებია სინის მთიდან წამოღებულ ხელნაწერთა დღევანდელი ადგილსამყოფელი. პირველ ცხრილში ძირითადად მიჩნეულია ა. ტავარლისეული ნუმერაცია ხელნაწერებისა და მასთანაა შეპირისპირებულ-შეთანხმებული ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის ნუმერაცია. ცხრილი წარმოაჩენს რ. ბლეიკისა და ე. გარიტის მუშაობასაც. მეორე ცხრილში ძირითადად მიჩნეულია ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის ნუმერაცია, რომელიც, როგორც ე. გარიტის მასალებიდან ჩანს, დღემდე ძალაშია სინის მთაზე.

ა. ცაგარელი	ნ. მარი	ი. ჭავჭავაძე	რ. ბლუცი	ე. გარიტი	ახალი აღმოსავლეთი
1	2	3	4	5	6
1	—(?)	—(?)	—(?)	[98]	(2 ფ. ლენინგრაფში)
2	—	—	—	—	გრატი
3	42	—	—	42	
4	—	29	—	29	
5	—	22	—	22	
6	86	—	—	86	
7	—	16	—	16	
8	—	15	—	15	
9	—	—	—	—	გრატი
10	—	19	—	19	(1 ფ. ბირმინგემში, 1 ფ. პარიზში)
11	—	30	—	30	
12	—	38	—	38	
13	63	—	—	—	(1 ფ. გრაცში)
14	81	—	—	81	
15	—	74	—	—	
16	58,60	31	—	58,31,60	
17	—	39	—	39	
18	9	—	—	—	
19	—	34	—	—	
20	61	—	—	—	
21	83	—	—	—	
22	—	—	(—)	—	?
23	88	—	—	—	
24	—	75	—	—	
25	—	72(?)	—	—	
26	69	—	—	—	
27	94	—	—	—	
28	95	—	=(?)	—	
29	—	—	—	—	გრატი
30	—	37	—	—	
31	—	—	(—)	—	გრატი
32	—	76	—	—	(6 ფ. პრაღაში)
33	89	—	—	—	
34	—	—	(—)	—	?
35	—	12	—	—	(1 ფ. ბირმინგემში)
36	—	—	(—)	—	?
37	66	—	—	—	(1 ფ. ბირმინგემში)
38	—	73	—	—	
39	90	—	—	—	
40	—	—	—	—	?
41	—	14	—	—	
42	64	—	—	—	
43	—	4	—	—	
44	65	—	—	—	
45	59	—	—	—	
46	—	7	—	—	
47	56(?)	—	—	—	
48	93	—	—	—	
49	91	—	—	91	

1	2	3	4	5	6
50		11		11	
51	—	—	(—)	—	?
52	62			62	
53	47				(1 ფ. ბირმინგემშია)
54		77			
55	67				
56		5			
57	70				
58		18(?)			
59		17			
60		13			
61		26(?)			
62	—	—	(—)	—	?
63		1			
64		20			
65		3(?)	=(?)		?
66	—	—	—	—	
67		40			
68	82				
69	—	—	—	—	გრაცი
70	52			52	
71		6		6	
72	=	=	=	=	თბილისი
73	46			46	
74		25		25	(1 ფ. ბირმინგემშია)
75	43			43	
76		8		8	
77	71			71	
78		97		97	(1 ფ. ბირმინგემშია)
79	44			44	
80		35		35	(2 ფ. გრაციშია)
81	—	—	—	—	?
82		36		36	
83	32,33			32(57)33	
84	50			50	
85	51			51	
86	57			(32)57(33)	
87		80		80	
88		79		79	
89		78		78	
90	85			85	
91	68			68	
92	—	—	—	—	?
93	—	—	—	—	პრინსტონი (1 ფ. ბირმინგემშია, რამდენიმე გეტინგენში)

პირობითი ნიშნები: —ა. ცაგარლის შემდგომ სინაზე აღარ ჩანს.

—(?) ა. ცაგარლის შემდგომ სინაზე აღარ ჩანდა, მაგრამ ე. გარიტმა ნახა ??

[98] ე. გარიტს უნახავს, მაგრამ არ აღუწერია.

(—) რ. ბლეის ამ ხელნაწერის ნახვა არ შეეძლო, მაგრამ არც უნახაობას აღნიშნავს.

=(?) რ. ბლეის ვერ უნახავს, მაგრამ სინაზე ყოფილა.

? ადგილსამყოფელი უცნობია.

72 (?) შესატყვისი შეიძლება სწორად არ იყოს დამუშავებული.

= ა. ცაგარლის დროსაც არ იყო სინაზე. ბუნებრივია, რომ სხვებმაც ვერ ნახეს იქ.

32(57)33 ა. ცაგარლის მიერ აღწერილ ერთ ხელნაწერს სამი ნომერი აქვს.

ცხრილი № 2

ბ. ქაეახიშვილი	ნ. მარი	ე. ვარიტი	ა. ცუგარელი	1	2	3	4
1			63				
2			=	-	-	-	-
3			65(?)		49		=
4			43		50	50	84
5			56		51	51	85
6		6	71		52	52	70
7			46		53		=
8		8	76		54		=
9			18	-	-	-	-
10			=		56		47(?)
11		11	50		57	(32)57(33)	86
12			35		58	58(31,60)	16(?)
13			60		59		45
14			41		60	58(31,60)	16
15		15	8		61		20
16		16	7		62	62	52
17		59			63		13
18			58(?)		64		42
19		19	10		65		44
20			64		66		37
21			=		67		55
22		22	5		68	68	91
-	-	-	-		69		26
-	-	-	-		70		57
25		25	74		71	71	77
26			61(?)	72			25(?)
-	-	-	-	73			38
-	-	-	-	74			15
29		29	4	75			24
30		30	11	76			32
31		(58)31(60)	16	77			54
	32	32(57,33)	83	78		78	89
	33	(32,57)33	83	79		79	88
94			19	80		80	87
35		35	80		81	81	14
36		36	82		82		68
37			30		83		21
38		38	12	-	-	-	-
39		39	17		85	85	90
40			67		86	86	6
	41		=	+	+	+	+
42		42	3		88		23
43		43	75		89		33
44		44	79		90		39
-		-	-				-
	46	46	73				
	47		53				

1	2	3	4
	91	91	49
	92		=
	93		48
	94		27

1	2	3	4
	95		28
	96		=
97		97	78
		[98]	1

პირობითი ნიშნები:

— ნომერი გამოტოვებულია.

= 6. მარსა თუ ი: ჭავჭავიძის მიერ აღწერილი ხელნაწერი ა. ცაგარის კატალოგში ვერ დაიძებნა.

65(?) შესატყვისი შეიძლება სწორად არ იყოს დაძებნილი.

+ არაქართული ხელნაწერი.

31—(58)31(60) ერთ ხელნაწერს სამი ნომერი აქვს.

[98] ე. გარბის უნახავს, მაგრამ არ აღუწერია.

სინის მთის ქართულ სიძველეთა შემსწავლელებმა გაიცნეს და აღწერეს ქართული კოლონიის უაღრესად მდიდარი წიგნსაცავი, რომელიც გოაცებას იწვევს თავისი მრავალფეროვნებით⁷⁸. მათვე გამოავლინეს სინის მთის ქართველ მოღვაწეთა მალალ წიგნიერ კულტურაზე მეტყველი საყურადღებო ფაქტიც — ნათელყვეს, რომ X საუკუნეში სინელ ქართველებს არა მხოლოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ, არამედ ხელნაწერი წიგნების ნუსხა თუ ერთგვარი კატალოგიც კი. ნ. მარმა იპოვა სხვა ხელნაწერში ჩადებული ერთი ეტრატის ფურცელი, რომელზეც აღმოჩნდა საინტერესო ტექსტი — სინის მთის ქართული სავანის ბიბლიოთეკის კატალოგის ნაწილი. მასში დასახელებულია: „დავითი ე[=6], იედეგარი ე[=5], კელთა ბანანი გ[=3], კურთხეგანი დ[=4], ეამისწირვანი დ[=4], კრებანი დ[=4], ეფრემი ბ[=2], მრავალთავი ა[=1], სმუ... საა (?!) ა[=1], ანტონისი ა[=1], სუმეუნისი ბ[=2], მოწამეთა გ[=3], ქართლიაა მოქცევაა ა[=1], წურილი წიგნი მ[=8], მოციქულთა ა[=1], მამათაა დიდი წიგნი ა[=1]. ერთი დიდი კანონი, სახარებაა ა[=1], პავლე ა[=1], გეორგისი ა[=1], საკითხავი ა[=1]“⁷⁹. ეს ფრაგმენტული ცნობა ნათელყოფს სინის წიგნსაცავის მრავალფეროვნებას. რასაკვირველია, აქ წარმოდგენილი 21 დასახელების 52 ეგზემპლარით არ შემოიფარგლებოდა სინელთა წიგნადი ფონდი, მაგრამ ეს ნაწყვეტიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ჩვენი წინაპრების წიგნიერებაზე.

სინის მთის ერთი ქართველი მოღვაწის ანდერძიდან ირკვევა, რომ იქაურ ქართველებს წიგნებისათვის სპეციალური ოთახიც ჰქონდათ გამოყოფილი. მსურველს შეეძლო იქ ესარგებლა წიგნით, მაგრამ გამოტანა კი აკრძალული იყო. ანდერძის ჩვენთვის საინტერესო ადგილი ასე იკითხება: „ვინცა ესე წიგნი ქართველთა ეკლესიით გამოიღოს, ანუ სხუასა ეკლესიასა წაიღოს, ანუ გალმა გაიღოს, ანუ სენაკსა შინა დაიდვას, ანუ ეკლესიისა სენაკსა შინა დამალოს, კრულმა არს ცათა შინა ... ისხნენ საწიგნეთა ზედა, ვის ონდენ(!), იემარსნ, ვის არა — მშვდობაა მის თანა“⁸⁰.

მეორე ქართველი მწიგნობრის ანდერძით ვეცნობით კერძო ბიბლიოთეკის არსებობის საინტერესო ფაქტსაც. სახელდობრ, ბასილ მჩხრეველი წერდა: „უკუეთუ შემდგომად ჩემისა სიკუდილისა ჩემისა(!) ცატი ქართველი სწავლული შემოვიდეს აქა, რომელ იქმარებდეს, ვითა რაჲცა მას ეამსა წიგნი ჩემი იპოოს, ყოველი მას მიეცეს უნაკლულად და ვგრეთვე მან სხუათა დაუტეოს. და უკუეთუ ამათ ორთა ჩემთა ბერთაგანი ცოცხალ იყოს, მათ იზრუნონ. და თუ არავინ იყოს მათგანი და არცა ვინ აქა შემოვიდეს სწავლული, ვისცა ღმერთმან არწმუნოს, განყიდნენ და ფასი გლახაკთა განუყოს და მღლეღთა, რამეთუ მადლითა ღმრთისაჲთა მონასტერნი სავსენია წიგნითა და არა სადა უწყი ნაკლულევანი“⁸¹. ეს სიტყვები ბასილ ხუცესმონაზონს დაუწერია „ქუაბსა შინა და სამოლუაწეთსა ნეტარისა კვირეკსსა“. ჩანს, სინაზე, კვირიკეს „ქუაბში“, ყოფილა კერძო ბიბლიოთეკა.

სინის მთის ქართული წიგნსაცავი მხოლოდ ადგილზე დამზადებული ხელნაწერებით არ მდიდრდებოდა, მას ხშირად ემატებოდა წიგნები პალესტინის ქართული კერებიდან. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სინის ქართული ხელნაწერების კოლექციაში დაცულია როგორც საკუთრივ სინის მთაზე დამზადებული ხელნაწერები, ისე სხვა ქართული სავანეებიდან შესული წიგნებიც. ცნობილია, მაგალითად, სინის მთის ქართული კოლექციის ხელნაწერები, რომლებიც იქაურ წიგნად ფონდს შეემატა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან (Sin. №№ 16, 17), გეთსიმანიიდან (Sin. №№ 13, 89), კაპპათიდან (Sin. № 91), გოლგოთიდან (Sin. № 78), კალიპოსიდან (Sin. № 71), პალაერიდან (H № 2124; Sin. №№ 11, 40) და ა. შ. განსაკუთრებით ბევრი წიგნი შეემატა სინას საბას ლავრიდან (Sin. №№ 5, 26; 32, 33, 57; 36, 40, 97 და სხვ.). საკმარისია დაეცასხელოთ ცნობილი მრავალთავი 864 წლისა და იოანე-ზოსიმეს მიერ დამზადებული ხელნაწერები.

როგორც ჩანს, სინელ ქართველებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სხვა სავანეებში მოსახლე თანამემამულეებთან. პალესტინის ბევრი სავანის მოღვაწე ქართველი სწვევია სინას და შეუუსია-გაუმდიდრებია მისი წიგნსაცავი. შეგვიძლია დავიმოწმოთ რამდენიმე ფაქტი. მაგალითად, ცნობილია ერთი პარაკლიტონი (Sin. № 13), რომელიც გეთსიმანიიში დაუმზადებიათ 1044 წელს. ხელნაწერს შემოუნახავს საგულისხმო მინაწერი: „მე, პეტრე, შევედ მთასა წმიდასა სინას, მოვიხილე და ესე პარაკლიტონი არა იყო მუნ. შამოვედ მენით და დავწერე ჩემითა სიგლახაკითა და აწ შეეწირე წმიდასა მთასა სინას“⁸².

დამოწმებული მინაწერი, ერთი მხრივ, ადასტურებს გეთსიმანიელ ქართველთა ურთიერთობას სინის მთასთან, კერძოდ, გეთსიმანიელთა მისვლას სინაზე, მეორე მხრივ, ცხადყოფს მათ ზრუნვას სინის მთის ქართული წიგნსაცავის გაზრდა-გამდიდრებაზე. რადგან პეტრე გეთსიმანიელს სინის მთის ქართულ ხელნაწერთა შორის პარაკლიტონი ვერ უპოვია, თავის სავანეში დაბრუნებისთანავე დაუმზადებია სათანადო ნუსხა და სინისთვის შეუწირავს.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გაბრიელ საყვარელის მიერ 1061 წელს გადაწერილი და შემოსილი პარაკლიტონი (Sin. № 17) შესწირეს „სინას, ძმათა ჩუენ-

თა ქართველთა ეკლესიასა“⁸³. სულ ნათელი არაა, გაბრეილია შემწირველი, თუ სხვა პირი, მაგრამ ერთი მანც ცხადია: ჯვარსა და სინას შორის გავშირ-ურთიერ-თობა ყოფილა.

სინის მთის ქართულ სავანესთან იერუსალიმელი ქართველების ურთიერთობას ნათლად ამოწმებს აგრეთვე ერთი მოზრდილი კრებული (Sin. № 69), რომელშიც მრავალ საგალობელთან ერთად გვხვდება ნინოს, აბოს, ილარიონ ქართველის, ექვთიმე ათონელისა და სხვა მოღვაწეთა საგალობლებიც. როგორც ანდერძიდან ჩანს, იერუსალიმელი ქართველები მისულან სინას და აღნიშნული საგალობლები იქ ვერ უხილავთ. და აი, იერუსალიმელმა მოღვაწემ — იოსებ ხუცესმონაზონმა გაამზადა წიგნი და „სინას, მონასტერსა წმიდისა გიორგის მთავარმოწამისსა“ შესწირა⁸⁴.

სინის მთაზე დაცულ ერთ ხელნაწერს (Sin. № 71), რომელშიც შემონახულია მრავალი საყურადღებო ძეგლი („წამებაჲ წმიდისა პანტელეიმონისი“, „წამებაჲ წმიდისა დიმიტრისი“, „ცხოვრებაჲ და წამებაჲ ანტონი რაჯახისაჲ“ და სხვ.), აქვს ასეთი მინაწერი: „მე, პ... გავგზავნე ესე წიგნი სინას, ქართველთა ეკლესიასა, კელითა იოანე ხუცისაჲთა, სალოცველად ბერისა ჩემისა გაბრიელისათჳს“⁸⁵. მინაწერიდან ჩანს, რომ დასახელებულ პირს ხელნაწერი სინისთვის შეუწირავს. თუ ხელნაწერი გვიანდელია, ყოველ შემთხვევაში, XIII საუკუნისა⁸⁶ მანც, მამონ დამოწმებული მინაწერი (ხადყოფს აღნიშნულ ხანაში სინაზე ქართული ეკლესიის არსებობას და მის წიგნად ფონდზე ქართველთა ზრუნვას.

რასაკვირველია, სხვა სავანეთა მოღვაწეებს სინის მთისთვის ყველა წიგნი მხოლოდ იქაური ბიბლიოთეკის გამდიდრების მიზნით არ შეუწირავთ. როგორც აღვნიშნეთ, არაბთა მძლავრობისა და ქრისტიანთა შევიწროების შედეგად პალესტინის სავანეთა ბევრმა ქართველმა ბინადარმა შორეულ მხარეს მიამუშრა, უკეთესი თავშესაფარი პოვა და თავისი ხელნაწერებიც იქ მიიტანა. სხვათა შორის, აქ არა მხოლოდ ერთი კერის წიგნების მეორე სავანის ბიბლიოთეკაში გადატანასთან გვაქვს საქმე, არამედ უფრო დიდმნიშვნელოვან მოვლენასთან. ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ მწიგნობართა ახლად მისულმა ჯგუფმა სინის მონასტერში განაგრძო უნებლიეთ შეწყვეტილი კულტურულ-სავანმანათლებლო საქმიანობა. ამდენად სინის ქართული სამწერლო კერა პალესტინის ქართული სავანეების (მეტწილად საბაწმიდის) ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება.

სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია ძირითადად ახლაც ადგილზეა, ნაწილი კი ინახება თბილისში (H № 2124), ლენინგრადში⁸⁷, გრაცში⁸⁸, ამერიკასა⁸⁹ და სხვ.⁹⁰ როგორც აღვნიშნეთ, არ ჩანს ა. ცაგარლის მიერ აღწერილი რამდენიმე ხელნაწერი (№№ 22, 34, 36, 40, 51, 62, 66, 81, 92). სინის მთიდან ვაკჭონდათ არა მხოლოდ ძვირფასი ხელნაწერები, არამედ ზოგჯერ ცალკეული ფურცლებიც. სინური ხელნაწერების ფურცლები დაცულია ლენინგრადში⁹¹, გრაცში⁹², პრალაში⁹³, ბირმინგემში⁹⁴, პარიზში⁹⁵ და სხვ. ამ ფრაგმენტ-

ტების გაცნობა საფიქრებელს ხდის, რომ დაინტერესებული პირები ძველი ხელნაწერებიდან წმირად ხევდნენ ისეთ ფურცლებს, რომლებზეც ანდერძ-მინაწერები იყო მოთავსებული (მაგალითად, ბირმინგემში დაკულ ფურცლებზე შემონახულია გიორგი თბილელისა და იოანე-ზოსიმეს ანდერძები). საგულისხმოა, რომ ა. ცაგარლის მიერ სინის მთაზე ნახული და აღწერილი ხელნაწერები შემდეგ სხვებმაც შეისწავლეს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ველარ ნახეს ის ფურცლები, რომლებზეც საინტერესო ანდერძ-მინაწერები იყო შესრულებული: ჩანდა მხოლოდ ფურცლების ამოხვეისა თუ ამოჭრის ნაკვალები⁹⁶.

სინის მთის ქართული სათვისტომო წარმომადგენლები (ძწიგნობრება, ხელნაწერთა მომგებელი, შემწირველი და სხვ.) ცდილობდნენ რა იქაური წიგნსაცავის გამდიდრებას, ზრუნავდნენ ხელნაწერთა დაკვაზეც. ისინი საგანგებო ანდერძებსა თუ მინაწერებს ურთავდნენ ქართულ წიგნებს და წყველა-კრულვას უთვლიდნენ ყველას, ვინც შეეცდებოდა ხელნაწერების მითვისებას ან დაზიანებას. „ნუმცავის კელეწიფების ამისი სინაწმილით გამოკუებაჲ“, „უტუეთუ ვინზე იკადროს და კელუოს ამის წიგნისა წარლებაჲ ამის წმიდისა ადგილისაგან, შემცაჩუენებულ არს იგი“, — ვკითხულობთ სინურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში⁹⁷.

როგორც აღვნიშნეთ, თითო-ოროლა ქართველი სინის მთაზე უკვე VI საუკუნეიდან ჩანს, მაგრამ ქართული სათვისტომო იქ მხოლოდ IX საუკუნეში დაარსდა. ამიტომ საუბარი სინელ მოღვაწეებსა და სინის ქართულ წიგნსაცავზე შეგვიძლია დავიწყეთ მხოლოდ IX საუკუნის მეორე ნახევრიდან, სახელდობრ, 864 წლის ახლო ხანიდან. ზემოთ მოვიხსენიეთ მაკარი ლეთეთელისა და მისი თანამოღვაწეების მიერ საბაწმიდაში დამზადებული მრავალთავი (864 წ.). იგი მაკარიმ გადაწერის-თანავე შესწირა „წმიდათ-წმიდასა მთასა სინასა“⁹⁸. ეს სახელგანთქმული მრავალთავი პირველი წიგნია, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ სინის მთის ქართული საგანის ბიბლიოთეკიდან. რადგან უადრესი არაფერია ცნობილი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით ამ ხანაში იწყება ქართველთა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა სინაზე⁹⁹ და მაკარისაც შესანიშნავი ძღვენი მიუერთმევია ახლად ფეხადგმული კერისათვის.

მაკარი ლეთეთელი ერთადერთი შემწირველი არ ყოფილა. ახალ საგანეს სხვებმაც შესწირეს წიგნები. აქ უნდა მოვიხსენიოთ X საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე მიქაელ ფანასკერტელი. იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ყოფილა, ტაოდან, სადაც თავის დროზე საკმაოდ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა „დიდშენი, მავარი“ ციხე, ტაოელ ერისთავთა ადგილსამყოფელი — ფანასკერტი¹⁰⁰. ერთხანს ვგონებ პალავრაში მოღვაწეობდა, ან, ყოველ შემთხვევაში, კავშირი ჰქონდა იქაურ მწიგნობრებთან. როგორც აღვნიშნეთ, მისი დავალებით იოანე საფარელს პალავრაში დაუმზადებია (968 წ.) საყურადღებო ხელნაწერი (H № 2124). იგი შემდეგ მიქაელმა სინის მთას შესწირა. სათანადო მინაწერში ვკითხულობთ: „მე, მიქაელ ხუციქმან ფანასკერტელმან... გულსვიდგინე მოგებაჲ ამის წიგნისაჲ და დაეაწერიე სულიერსა ძმასა ჩემსა ივანე საფარელსა... და შეესწირე

წმიდასა მთასა სინასა, სადაცა მე თვთ მკვდრ ვიყავ“¹⁰¹. მართალია, სულ ნათლად არ ჩანს ხელნაწერის დამზადების პროცესში მიქაელი პალავრაშია, ე. ი. პალავრელი მოღვაწეა. თუ სინის მთაზე და იქიდან უკვეთს მისთვის საინტერესო ნუსხას, მაგრამ ხელნაწერის შეწირვისას რომ ის სინაზე და იქაურ მწიგნობართა წრეში ტრიალებს, ეს უცილობელია.

ასევე X საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეებად ჩანან იოანე კუმურდოელი, თეოდორე წყუდელელი და გრიგოლ მომგებელი.

იოანე კუმურდოელი საკმაოდ ცნობილი პირია. 964 წელს მისი თაოსნობით აშენდა კუმურდოს სახელგანთქმული ტაძარი. შემდეგ იგი სინის მთაზე ცხოვრობდა და ნაყოფიერად მონაწილეობდა იქაურ კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში. „სვიმეონ სალოსის ცხოვრების“ იმ ხელნაწერში, რომელიც გრაცში ინახება, საგანგებოდაა აღნიშნული მისი ღვაწლი. „მე, თეოდორე წყუდელელმან გავასრულე წმიდისა მთისა სინისათჳს“, — გვამცნობს გადამწერი და თან დასძენს, რომ „შექმნაჲ კელ-ჰყო“ იოანე კუმურდოელმა¹⁰². იოანე უნდა იყოს მომგებელი, გადამწერი კი თეოდორე წყუდელელია.

თეოდორე პალავრელის თაოსნობით საბაწმიდაში დამზადებული კრებული (Sin. № 40), რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, შემდეგ სინის მთაზე მოხვედრილა და ვინმე გრიგოლს მოუგია. ამ საქმეში მას იოანე კუმურდოელი დახმარებია. გრიგოლი გვამცნობს: „მე, გლახაკი და ცოდვილი გრიგოლ... ღირს-მყო ღმერთმან წმიდასა ამას მთასა შემოსლვად... მუნ მოვიგენ წმიდანი ესე იადგარნი გამოკრებულნი სასწავლელად ჩემდა უცბისა... რომელმან ამათი შრომაჲ თავს იღვა და მომიგნა, იოანე კუმურდოელი, ქრისტემან შეიწყალენ“¹⁰³.

ამრიგად, იოანე კუმურდოელის სახელთანაა დაკავშირებული ორი ხელნაწერი. მათგან პირველი, რომელიც თეოდორე წყუდელელმა გადაწერა, 981 წელს შეკაზმა იოანე-ზოსიმემ. ე. ი. ის 981 წლის წინაა გადაწერილი.

სინის მთაზე მოღვაწეობდნენ არა მხოლოდ კალიგრაფები თუ ხელნაწერთა მომგებლები, არამედ შემოქმედნიც. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქართული ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იოანე მინჩხი¹⁰⁴. მისი ხსენება ძველ ქართულ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება. სახელდობრ, მისი ჰიმნები შემონახულია სინის მთისა და იერუსალიმის რამდენსაჲ ხელნაწერში¹⁰⁵, აგრეთვე მიქაელ მორტეკილის (X ს.) კრებულში (S № 425)¹⁰⁶ და სხვ. ერთი ხელნაწერის ცნობით, წმინდა გიორგის საგალობელნი „კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერებთან მინჩხისადა“¹⁰⁷. ამის მიხედვით ასკენიან, რომ მინჩხი გიორგი მეფის თანამედროვეა. ეს გიორგი უნდა იყოს აფხაზთა მეფე გიორგი, რომელიც დასავლეთ საქართველოს განაგებდა X საუკუნის პირველ ნახევარში. ამის მიხედვით იოანე მინჩხის მოღვაწეობაც ამ ხანით თარიღდება. რადგან იოანე მინჩხის ჰიმნების უმრავლესობა სინის მთის ხელნაწერებშია შემონახული, მინჩხს პირობით სინის მთის მოღვაწედ მიიჩნევენ (კ. კეკელიძე). ზოგჯერ ითვალისწინებენ რა ჰიმნოგრაფის სახელისა და ზედწოდების დაწვრილობას, მას საერო.

პირად, ჰყონდიდის სანახების მგვიდრად აღიარებენ (პ. ინგოროყვა)¹⁰⁸. იოანე მინჩხის ერისკაცობის დამადასტურებელი სარწმუნო საბუთი ჯერ არავის წარმოუდგენია, ხოლო ხელნაწერებში ზოგჯერ მისი იოვანედ მოხსენიება არაფერს მოწმობს, რადგან, როგორც ცნობილია, იოანედ იწოდებოდა არაერთი ერისკაცი და იოვანედ — არაერთი საეკლესიო მოღვაწე. ასე რომ, ამით საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია¹⁰⁹; ჯერჯერობით ცნობილი მასალებით იოანე მინჩხი პირობით კვლავ სინის მთის ქართული სამწერლობო კერის წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ.

სინის მთაზე განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა იოანე-ზოსიმეს შემოქმედებითი ნიჭი. ზემოთ ვნახეთ, თუ რა მრავალმხრივ მუშაობას ეწოდა იოანე-ზოსიმე საბას ლავრაში 949—956 წლებში. როგორც ჩანს, შემდეგ ის სინის მთაზე გადავიდა და იქ განაგრძო კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა; სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია საქმაო სისრულით გვაცნობს მის მუშაობას. სახელდობრ, იოანე-ზოსიმემ 977 წელს, — „უამსა ოდენ ბოროტად მოხუცებულებისათა“, — „ბრძანებითა პატიოსნისა მღვდელისა კკრიკე, წმიდისა მთისა სინაწმიდისა დეკანოზისაჲთა“ გადაწერა „სახარებანი საციცკრონი წმიდათა კკრიკეთანი“ (Sin. № 47). გადამწერი მკითხველთა წინაშე ბოდიშობდა იმის გამო, რომ „პირველ სხვთა დედებითა ეჩხრიკა მოცთომილად“ და მხოლოდ ახალი ტექსტის მიღების შემდეგ გაუსწორებია შეცდომები; 978 წელს „ღიად ხაშმმან და ბრმამან. და ღიად ულონომან“, „თანაშეწევნითა ძმათა გიორგისითა და კკრიკესითა და მოძღურისა გაბრიელისითა“ გადაწერა სახარება (Sin. № 15); 979 წელს — კრებული (Sin. № 38), რომელშიც შესულია სახარების ორი თავი, „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისა“, „კალანდაჲ, თქმული ეზრა წინამდწარმეტყუელისაჲ“ და სხვ. იოანე-ზოსიმე აქაც უჩიოდა თავის ჯანმრთელობას: „დავჩხრიკე... დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულებისა ჩემისათა, ღიად ხაშმმან და ბრმამანო“. იგი ეტრატის უქონლობასაც აღნიშნავდა და იმასაც დასძენდა, რომ „დღეაჲ წურილად წერილი იყო“; იმავე წელს გადაუწერია მას მამათა სწავლანი (Sin. № 81 ა. ცაგარლით); 982 წელს „ბრძანებითა პატიოსნისა მღვდელისა კკრიკე, წმიდისა მთისა სინაწმიდისა დეკანოზისაჲთა და თანაშეწევნითა გიორგი პატიოსნისა მღვდელისაჲთა“ ჯანმრთელობაშერყეულმა და მხედველობადაქვეითებულმა იოანე-ზოსიმემ გადაწერა „განგებანი და განწესებანი მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალჱმს“ (Sin. № 37);¹¹⁰ 982—983 წლებშია დამზადებული ის კრებული (Sin. № 6), რომელშიც იოანე-ზოსიმემ სვიმეონ მესვეტის, საბა ასურისა და სხვათა „წამება-ცხოვრებასთან“ ერთად შეიტანა თავისი სადიდებელი ქართული ენისა; 985 წელს იოანე-ზოსიმემ გადაწერა იაკობის ჟამისწირვა (Sin. № 31 ა. ცაგარლით), რომლის ძირითადი ნაწილი ახლა გრაცის უნივერსიტეტში ინახება¹¹¹, ხოლო 6 ფურცელი — პრალაში¹¹², 986 წელს — „საკითხავი პოენისათჳს... ჯუარისა“ (Sin. № 92 ა. ცაგარლით)¹¹³ და სხვ.

დასახელებული ხელნაწერები იოანე-ზოსიმემ სინაზე დაამზადა ან დაჩხრიკა, — როგორც ხშირად თვით აცხადებდა, — 974—987 წლებში. ცნობილია იოანე-ზოსიმეს მიერ დაშვადებული კიდევ რამდენიმე ხელნაწერი. მაგრამ მათი დაწერის თარიღის დაზუსტება არ ხერხდება. საერთოდ კი სავარაუდებელია, რომ მათ დაწერასაც აღნიშნულ წლებში, თუ მათ ახლოს ჰქონდა ადგილი.

იოანე-ზოსიმე არა მხოლოდ კრებულებს ადგენდა და ხელნაწერებს ამრავლებდა, არამედ ხშირად ძველი თუ ახალი ნუსხების შემოსვავზეც ზრუნავდა. ცნობილია არაერთი ხელნაწერი, რომელიც მან სინის მთაზე შემოსა. მაგალითად, 973 წელს შემოსა ასკეტიკური კრებული (Sin. № 35), 977 წელს — სახარების საკითხავები (Sin. № 47), 980 წელს — „სემიონ მესევეტის ცხოვრება“ (Sin. № 46), 981 წელს — „სემიონ სალოსის ცხოვრება“ (Sin. № 69 ა. ცაგარლით) და სინური მრავალთავი 864 წლისა, რომელსაც ასეთი წინაწერიც დაურთო: „შეიმოსა მესამედ წმიდაჲ ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა ზროხისაჲთა სინაწმიდას ჴელითა იოანე ზროხა კაცისა¹¹⁴, ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა, დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულებსა ჩემისათა ბრძანებითა და ფრიად მოსწრაფედ მოლუაწებითა მიქაელ და მიქაელ პატრიოსანთა მღვდელთაჲთა“; 982 წელს შემოსა „განგებანი და განწესებანი მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალმისს“ (Sin. № 37), 983 წელს — „მამათა ცხოვრება“ (Sin. № 52), 986 წელს — „საკითხავი პოენისათჳს... ჟუარისა“ (Sin. № 92 ა. ცაგარლით) და მრავალი სხვა¹¹⁵.

ამრიგად, იოანე-ზოსიმე სინის მთის ჭართული მწიგნობრულ-საგანმანათლებლო კერის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

X საუკუნის მეორე ნახევრის. კერძოდ, 974—986 წლების სინური ხელნაწერებში ხშირად იხსენიება ქართველი ბიბლიოფილი მიქაელი¹¹⁶. აღსანიშნავია, რომ რამდენჯერმე ერთსა და იმავე ანდერძში ორი მიქაელი იხსენიება¹¹⁷, რაც საფიქრებელს ხდის. რომ აღნიშნულ ხანაში სინაზე რამდენიმე პირი მოღვაწეობდა ასეთი სახელით. ხელნაწერებში გვხვდება მიქაელ დეკანოზი სინაწმიდისა (974—983 წწ.), მიქაელ კათაპონელი (983 წ.)¹¹⁸, მიქაელ გლაზაკი, მიქაელ მჩხრეველი და ა. შ. დავიმოწმებთ ხელნაწერთა ჩვენებას.

974 წელს „ბრძანებითა პატრიოსნისა მღვდლისა მიქაელ დეკანოზისაჲთა“ იოანემ გადაწერა სამოციქულო (Sin. № 39)¹¹⁹. 982—983 წლებში მიქაელის თაოსნობით დაშვადდა მოზრდილი კრებული (Sin. № 6)¹²⁰, რომლის ანდერძებში (იოანე ზოსიმესი) რამდენჯერმე იხსენიება „მიქაელ მომგებელი ამის წმიდისა წიგნისაჲ“, „მიქაელ დეკანოზი სინაწმიდისაჲ მომგებელი ამის წმიდისა წიგნისაჲ“, „მიქაელ პატრიოსანი მღვდელი, რომელი მიზეზ ექმნა წმიდისა ამის წიგნისა აღმართებასა“ და ა. შ. საუკუნისნაშა. რომ მიქაელი კალიგრაფებს ავალებდა რა ხელნაწერების დაშვადებას, თვით ურჩევდა გადასაწერ მასალას, ამარაგებდა ეტრატით და ა. შ. მომგებლის მიზანდასახულობასა და საქმიანობაზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის მიქაელისადმი მიმართული სიტყვები გადამწერისაჲ „ძმაო და უფა-

ლო ჩემო მიქაელ! რომელი გებრძანა, დამიწვრია. მარიამ მეგაკტელისაჲ არა ვპოვე, სხუაჲ ვერაჲ ვიცოდე, რაჲმცა დავწერე. რვეულნი, რომელ დარჩის, საკითხავები დავწერე. შემინდვე, არაჲ მქონდა. ესე მე აღრე დავწერე, განა არავენი ვპოვე, ვისმცა მოვეცე. აჲ კკრიკესლა წარმომიცემიან, ღმერთმან მოიწიენ. თუ რას მაწერიებდე, მიხარიათ, ეტრატი გიზლო“¹²¹.

ზემოთ მოვიხსენიეთ ერთი აგიოგრაფიული კრებული (Sin. № 11)¹²², რომლის ნაწილი (361r—400r) იოანეს გადაწერილია. მასთან ერთად ანდერძში მიქაელ დეკანოზიც იხსენიება. მართალია, მიქაელის როლი ნათლად არ ჩანს, მაგრამ ხელნაწერი ადასტურებს იოანესა და მიქაელ დეკანოზის ახლო ურთიერთობას.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ სახელგანთქმული ხანმეტი ლექციონარი, რომელიც VII საუკუნის მეორე ნახევარში დაუმზადებიათ პალესტინაში და შემდეგ მიუტანიათ სინაზე, სადაც იგი ნახა და აღწერა ა. ცაგარელმა¹²³. ამჟამად იგი გრაციის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია. იქიდან მიღებული ფოტოპირის მიხედვით შეისწავლა და გამოსცა ა. შანიძემ¹²⁴ ა. ცაგარლის შემდეგ კარგა ხანს ალარაგის უნახავს ხელნაწერის მესამედ შემოსველის იოანე-ზოსიმეს ანდერძი, რომელშიც მიქაელ კათამონელი იხსენიება. იგი რამდენიმე წლის წინ აღმოჩნდა ბირმინგემში. ანდერძი ასე იკითხება: „სახელითა ღმრთისაჲთა შეიმოსა ზესამედ ესე წიგნი სინაწმიდას ჳელითა იოვანე ფრიად ცოდვილისაჲთა, ბრძანებითა და მოლუაწებით მიქაელ პათროსნისა მღღელისა კათამონელისაჲთა, დღეთა ოდენ უგუხურად და ბოროტად მოხუცებულებისა ჩუენისათა... ქრონიკონი იყო ქართულად სე[= 203+780=983]“¹²⁵.

ა. შანიძემ მართებულად შენიშნა, რომ 983 წლისათვის ხანმეტ ტექსტს დრო მოკმეული ჰქონდა, მისი შემცველი ეტრატი საპალიმფესტე მასალად თუ გამოდგებოდა. მაგრამ მიქაელ კათამონელმა იცოდა მისი ფასი და მნიშვნელობა, ამიტომაც აკინძვინა და გადაგვირჩინა დასახელებული ხელნაწერი.

არანაკლებ საინტერესოა იაკობის ჟამისწირვის ის ხელნაწერი (Sin. № 31 ა. ცაგარლით), რომელიც 985 წელს გადაუწერია იოანე-ზოსიმეს. მას ერთვის ანდერძი: „ამის ჟამისწირვისა დედასა მრავალი განგებაჲ და ლოცვები და სიტყუები აქლდა თავითგან ვიდრე დასასრულამდე, ვითა მე ვიცოდე მოძღუართაგან და ჩემთა ჟამისწირვათა შინა ეწერა, და ვერ დიად ჩემისა გულისაჲ იყო. ხოლო ვინ მაწერიებდა, მევედრებოდა ფრიად, რაჲთა რაჲ მაგას შინა სწერია, იგიაჲ ოდენ დამიწერეო. აჲ იგიაჲ ოდენ დამიჩხრეკია... ოდეს ესე ჟამისწირვაჲ დაიწერა სინაწმიდას ჳელითა იოვანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა... ქრონიკონი იყო სე[= 205+780=985]“¹²⁶.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ხელნაწერის დამზადების ინიციატორი ზემოხსენებული მიქაელ კათამონელი უნდა იყოს; ესმოდა რა ძველი ტექსტის მნიშვნელობა, მისი ზუსტი პირის დამზადებას მოითხოვდათ¹²⁷. ეს მოსაზრება უთუოდ ანგარიშგასაწევია.

არის თუ არა „პატიოსანი მღვდელი მიქაელ დეკანოზი“ და „მიქაელ პატიოსანი მღვდელი კათამონელი“ ერთი და იგივე პიროვნება, ძნელი სათქმელია („პატიოსანი მღვდელი“ საქმეს ვერ შევლოს, ასე სხვა პირებიც იხსენიებოდნენ. მაგალითად, „პატიოსანი მღვდელი კვრიკე“, „პატიოსანი მღვდელი ეზრა დაუფლებული“ და სხვ.). საფიქრებელია, მიქაელ დეკანოზი კათამონელი ერთი პიროვნება იყოს, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ აქ ორ მოღვაწესთან გვექონდეს საქმე. აქვე აღვნიშნავთ, რომ სულ ნათლად არ ჩანს ვინაა ის მიქაელი, რომელსაც 983 წელს მოუვია კვირიკეს მიერ გადაწერილი და იოანე-ზოსიმეს მიერ შემოსილი „მამათა ცხოვრება“ (Sin. № 52)¹²⁸, ან ის გადამწერი მიქაელი, — „გლახაკი და მწარედ ცოდვილი“, — რომელმაც სინას შესწირა დავითნი (Sin. № 42)¹²⁹, ან „მიქაელ მხზრეკელი“, რომელსაც მგონი სახარების საკითხავეები გადაუწერია (Sin. № 63)¹³⁰, ან მიქაელ ღრღულელი, რომელმაც გაბრიელთან ერთად შესწირა სინას (978 წ.) „სვიმეონ მესვეტის ცხოვრება“ (Sin. № 46)¹³¹.

სინის მთის ხელნაწერებში 974—987 წლებში ხშირად გვხვდება სახელი კვირიკესი¹³². ეს უკანასკნელი იოანე-ზოსიმეს ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრია. საგულისხმოა, რომ ერთსა და იმავე ხელნაწერის ანდერძებში ზოგჯერ კვირიკე ორჯერ იხსენიება¹³³. ჩანს, ერთსა და იმავე ხანაში სინის ქართველთა შორის რამდენიმე კვირიკე ყოფილა. ხელნაწერებში ვხვდებით კვირიკე მიძნაძორელს, კვირიკე სოხასტრელს, კვირიკე დეკანოზს და ა. შ.

ხელნაწერთა ანდერძ-მიხნაწერებიდან ვგებულობთ, რომ 977 წელს, „უამსა ოდენ ბოროტად მოხუცებულებისათა... ბრძანებითა პატიოსნისა მღვდელისა კვრიკე, წმიდისა მთისა სინაწმიდისა დეკანოზისაჲთა“ იოანე-ზოსიმემ გადაწერა სახარების საკითხავეები (Sin. № 47)¹³⁴; იმავე წელს კვირიკე სოხასტრელმა, რომელიც ახალი მისული იყო სინის მთაზე, „ძმასა მისსა სულიერსა კვრიკეს მიძნაძორელსა და თუაჲსა ხუცესსა, რომელი იყო დეკანოზად მთასა წმიდასა სინასა მღვდელი პატიოსანი“ გადაუწერა სამოციქულო (Sin. № 58, 31, 60)¹³⁵; 979 წელს „კვრიკე, წმიდა მთისა, მთისა სინაწმიდისა დეკანოზმან, მიძნაძორელმან და თუაჲსა ხუცისა მოწაფემან“ იოანე-ზოსიმესა და ეზრა ქობულეანისძეს გადააწერინა და სინას შესწირა სახარება (Sin. №№ 30, 38)¹³⁶. სხვათა შორის, ამ ორად გაყოფილი ხელნაწერის მიხნაწერში კვირიკეს ჩამოთვლილი აქვს მის მიერ სინისათვის შეწირული წიგნები: „ესე წმიდაჲ ოთხთავი სახარებაჲ, და წმიდაჲ პავლჲ, და წმიდათა მოციქულთაჲ, და იადგარი ახალი და კურთხევანი“¹³⁷. ცნობილია ამ მიხნაწერში დასახელებული წიგნები: ოთხთავი (Sin. №№ 30, 38) და „წმიდაჲ პავლჲ და წმიდათა მოციქულთაჲ“ (Sin. № 58, 31, 60). იადგარი შეიძლება იყოს ერთ-ერთი იმ იადგართაგანი, რომელიც კვირიკემ გადააწერინა იოანეს (Sin. №№ 64, 65)¹³⁸.

კვირიკე შემდგომ წლებშიც განაგრძობდა ხელნაწერებზე ზრუნვას; 982 წელს იოანე-ზოსიმეს გადააწერინა „განგებანი და განწყებანი მოძღუართა მიერ მართლ-მორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალჲმს“ (Sin. № 37)¹³⁹, 985 წელს—„წე-

სი სიწმიდის განახლებისა“ (Sin. № 31 ა. ცაგარლით)¹⁴⁰, 987 წელს იოანეს გადააწერინა „მცირე იაღგარი“ (Sin. № 20)¹⁴¹.

კვირიკე მიძნაძორელი (დეკანოზი), როგოც ჩანს, ხელნაწერთა მომგებელი იყო, კვირიკე სოხასტრელი კი გადააწერა. კვირიკეს გადააწერია „მამათა ცხოვრება“ (Sin. № 52)¹⁴², იოანე ოქროპირის „სწავლანი“ (Sin. № 50)¹⁴³ და სხვ. ვგონებ მას იხსენიებს იოანე-ზოსიმე თავის თანაშემწეთა შორის (987 წ.)¹⁴⁴.

იოანე-ზოსიმეს თანამედროვე და თანამოღვაწე მწიგნობრები არიან აგრეთვე გაბრიელი, გიორგი, ბასილი, ეზრა ქობულეანისძე და სხვ.

გაბრიელის ხსენებას ვხვდებით იოანე-ზოსიმეს ანდერძებში 974—986 წლებში¹⁴⁵. იოანე-ზოსიმე მას მოძღვრად იხსენიებდა, ხოლო ერთგზის იმასაც გვამცნობდა, რომ ოთხთავი (Sin. № 15) დაუჩხრეკა „თანაშემწენითა მოძღურისა გაბრიელისითა“.

ასევე მოძღვრად და დამხმარედ, შემწედ დასახელებული ოთხთავისა და კიდევ ერთი ხელნაწერის დამზადებაში იხსენიებდა იოანე-ზოსიმე „პატიოსან მღვდელს გიორგის“, რომელიც ხელნაწერებში 954—986 წლებში გვხვდება¹⁴⁶.

იოანე-ზოსიმეს ანდერძებში ორჯერ (974 წ., 986 წ.) იხსენიება ბერი ბასილი¹⁴⁷. შეიძლება ეს იყოს ის ბასილ ხუცესმონაზონი, რომელმაც „ქუბასა შინა და სამოღვაწეოსა ნეტარისა კვირიკისა“ გადაწერა საგალობელთა კრებული (Sin. № 67)¹⁴⁸.

იოანე-ზოსიმეს ანდერძებში (978—979 წლებში) იხსენიება ვინმე ეზრა¹⁴⁹. იგი უნდა იყოს ის „ეზრა დაუღლებული, პატიოსანი მღვდელი“, რომელსაც 979 წელს კვირიკე მიძნაძორელმა გადააწერინა სახარების ნაწილი — მათესა და მარკოზის თავები (Sin. № 30)¹⁵⁰. აქ იგი ეზრა ქობულეანისძედ იხსენიება. მისი ნამუშევარი გამორჩევა სილამაზითა და შემკულობით. ცნობილია ექვთიმე დიდის საგალობელი, რომელიც ეზრას სახელითაა შემონახული მიქაელ მოღრეკილის კრებულში (S № 425)¹⁵¹. ეგვევ ტექსტი გვხვდება ჭერის მონასტრის ხელნაწერშიც (Jer. № 42). მის შესაძლო ავტორად მეცნიერებაში მიჩნეული იყო ეზრა „ღირსი, ანჩელი მამათმავარი ეპისკოპოსი, დიდებულთა აზნაურთა დაფანჩულთა შვილი“ (გიორგი მერჩულე). ც. ჭლამაიამ გამოთქვა ვარაუდი, რომ საგალობლის ავტორი შეიძლება ეზრა ქობულეანისძე იყოს¹⁵².

ამრიგად, X საუკუნეში სინის მთის ქართულ კოლონიაში ნაყოფიერ მწიგნობრულ-ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ მიქაელ ფანასკერტელი, იოანე კუმურდოელი, თეოდორე წყუღელელი, იოანე მინჩხი, იოანე-ზოსიმე, მიქაელ კათამონელი, კვირიკე მიძნაძორელი, ეზრა ქობულეანისძე და სხვ. არსებითად ამ დროს იქცა სინის სავანე ქართული სულიერი კულტურის დიდ კერად.

სინის მთის ქართული კოლონია მუშაობას განაგრძობდა XI საუკუნეშიც. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე მწიგნობარი და რამდენიმე ხელნაწერი ამ ხანიდან. მართალია, თავისი ძალითა და მასშტაბით ეს ხანა იოანე-ზოსიმეს მოღვაწეობის პერიოდს ვერ შეედრება, მაგრამ გარკვეულ ინტერესს მაინც იწვევს.

XI საუკუნის მოღვაწეთაგან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ იოანე სინელი, რომელსაც გადაუწერია ისაკ ასურის „სწავლანი“ და სხვა ძეგლები (Sin. № 80)¹⁵³. შეიძლება მისივე გადაწერილი იყოს სახარება (Sin. № 81)¹⁵⁴. ამ უკანასკნელის გადამწერი თავს გვაცნობს იოანე მჩხრეკელად, ცოდვილ მონაზვნად.

XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა მიქაელ „უცბად მჩხრეკალი“, რომელსაც 1074 წელს გადაუწერია სახარება (Sin. № 19)¹⁵⁵. მის ანდერძებში იხსენიებიან მისი თანამედროვე სინელი ქართველი მოღვაწენი (დავით მოძღვარი, მოსე, სვიმონი, გრიგოლი და სხვ.). როგორც ჩანს, მიქაელი გულმოდგინედ მუშაობდა ხელნაწერზე. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა მისი მორიდებული განცხადება: „ახალ თარგმნისაგან დაგვეწერია და დედად დიად მართალი არს. ამათ ძუელთა სახარებათა ზოგ-ზოგი სიტყუაჲ არ ეწამების“. მიუხედავად ამისა, „უცბად ჩხრეკისა და დაკლებისათჳს“ იგი მიტევენასა და შენდობას ითხოვდა.

ამვე ხანის მოღვაწე უნდა იყოს გიორგი მანაველი, რომელიც მივიდა რა სინას, შესწირა მას „ეკქეთიმე დიდის ცხოვრება“ (Sin. № 43)¹⁵⁶.

სინის მთის ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებით კიდევ ვეცნობით ზოგიერთ მოღვაწეს, მწერალსა თუ მომგებელს. შეგვიძლია დავასახელოთ, მაგალითად, გრიგოლ მღვდელი, რომელსაც გადაუწერია „მამათა ცხოვრება“ (Sin. № 6)¹⁵⁷; აქვე უნდა დავასახელოთ გიორგი (X ს.), რომელმაც გადაწერა „თარგმანებაჲ წმიდათა სახარებათა“ (Sin. № 44)¹⁵⁸. საგულისხმოა, რომ დასახელებულ ხელნაწერში მოთავსებულია ცნობილი ქართველი მქადაგებლის იოანე ბოლნელის (X ს.) ნაწარმოებები, რაც იმას მოწმობს, რომ იოანე ბოლნელის ქადაგებანი აღრევე სწრაფი ტემპით გავრცელებულა და შორეულ სინამდევ კი მიუღწევია¹⁵⁹; მომდევნო ხანის მოღვაწე უნდა იყოს მათე, რომელმაც გადაწერა ანდრია კრიტიელის, იოანე მინჩხისა და სხვათა თხზულებანი (Sin. № 75)¹⁶⁰ თეოდორე მწერალთან ერთად. აქვე უნდა მოვიხსენიოთ თეოდორე სამოთხელი, რომელმაც იოანესთან ერთად გადაწერა სვინაქსარი (Sin. № 4)¹⁶¹, იოანე გოდორაელი, რომელმაც გადაწერა კრებული (Sin. № 67)¹⁶², იოანე ოქროპირის თხზულებათა გადამწერი ჭოჭიკეული (Sin. № 51)¹⁶³ და სხვ.¹⁶⁴ მაგრამ ამ მწიგნობრებსა და ხელნაწერებზე საგანგებო მსჯელობა ძნელია, რადგან ყოველთვის ნათლად არ ჩანს მათი სინის მთის ქართული საგანისადმი კუთვნილება და არც ქრონოლოგიაა სულ გარკვეული. ის ფაქტი, რომ ესა თუ ის ხელნაწერი სინის მთის წიგნსაცავს ეკუთვნოდა ან თუნდაც ახლაც იქაა, კიდევ არ ნიშნავს და არ მოასწავებს მის სინურ წარმომავლობას (ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სინის წიგნსაცავში სხვა საგანებში დამზადებული ხელნაწერებიც ინახებოდა), ხელის მიხედვით ხელნაწერის დათარიღება ყოველთვის ზუსტი არაა. ასე რომ, უკანასკნელად ჩამოთვლილი ზოგიერთი მწიგნობრის (თეოდორე სამოთხელის, იოანე გოდორაელის, ჭოჭიკეულის და სხვ.) სინელ მოღვაწედ მისაჩნევად დამატებითი საბუთიანობაა საჭირო.

გვიანი ხანის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა ელია ყოფილი ელისე ჩიდა-

ნისძე. მისი მინაწერი არაერთ ძველ ხელნაწერს შემოუნახავს.¹⁶⁵ მაგრამ ის არა მხოლოდ უბრალო მოწვევა იყო, არამედ მწიგნობარიც. სახელდობრ, იგი მონაწილეობდა წიგნების გამრავლებაში. მას გადაუწერია სინის მთია ერთი მოზრდილი კრებულის (Sin. № 76) ნაწილი¹⁶⁶.

ცალკე უნდა დავასახელოთ „მოსაკსენებელი და მატიაზე პატიოსნისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინისაჲ“, ¹⁶⁷ რომელი აც ასეთი ანდერძი ახლავს „ამა მატიაისა კელითა მწერელსა ჩიდანის ძესა ელიაყოფილსა ელისზე შეუნდოს ღმერთმან“¹⁶⁸. ამ ძეგლის მნიშვნელობა ძალზე დიდია და ამიტომაც დავესესხეთ მას სინის მთის ქართული კოლონიის ისტორიაზე მსჯელობისას. აღსანიშნავია, რომ ქართულ სულთა მატიაზეთა შორას იგი უძველესია. მისი ძირითადი ფუნა ელიაყოფილ ელისზე ჩიდანისძეს გადაუწერია¹⁶⁹.

სინის მთის ქართველ მოღვაწეებს კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ არაბულ-ქრისტიანულ სამყაროსთან¹⁷⁰. ქართულ-არაბულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას თვალნათლივ ადასტურებს რამდენიმე ფაქტი. სახელდობრ, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციას შემოუნახავს კვადი არაბული დამწერლობისა. ჩანს, არაბულ სამყაროში მოხვედრილმა ქართველებმა შეისწავლეს როგორც არაბული ენა, ისე დამწერლობაც; სინის მთის ქართულ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება არაბული მინაწერები, რომელთა ავტორები ზოგჯერ აღნიშნავენ ხელნაწერის სინის მონასტრისადმი კუთვნილებას, ხშირად კი წყევლა-კრულვას უთვლიდნენ მის მიმტაცებელთ¹⁷¹; ცნობილია ქართული ხელნაწერები რვეულების არაბული ნუმერაციით (სიტყვებით)¹⁷²; მოღწეულია არაბული ანბანი ქართველთათვის — თითოეული არაბული ასო განმარტებულია, ახსნილია ქართული შესატყვისით¹⁷³; გვხვდება არაბული ხელნაწერები რვეულებისა თუ ფურცლების ქართული ნუმერაციით, რაც საფიქრებელს ხდის ქართველთა მონაწილეობას არაბულ-ქრისტიანულ მწიგნობრობაში¹⁷⁴.

ქართველ მოღვაწეებს მკვიდრო კონტაქტი და ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ქრისტიანი ხალხების წარმომადგენლებთან, სხვაენოვან ქრისტიანულ ლიტერატურასთან, რასაც თვალნათლივ მოწმობს თარგმანების სიმრავლე. არაა ინტერესს მოკლებული ის ფაქტიც, რომ ქართულ ხელნაწერებს აქვთ ბერძნული პაგინაცია, ხოლო ბერძნულს — ქართული, ქართული ტექსტების სათაურები თუ ცალკეული სიტყვები დაწერილია ბერძნული ასოებით (ან პირუკუ) და ა. შ.¹⁷⁵

ზ ვ ა რ ი

XI საუკუნის შუა წლებში პალესტინაში მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა, შეიქმნა ერთგვარი პირობები სამონასტრო ცხოვრებისათვის. იმ დროისათვის ქართველი მოღვაწენი მრავლად იყვნენ იერუსალიმისა თუ მისი შემოგარენის ეკლესია-მონასტრებში, მაგრამ არ არსებობდა მძლავრი ცენტრი, რომელიც უხელ-

მქვანელებდა პალესტინის სავანეებში გაფანტულ ქართველობას. სათავეში ჩა-
უდგებოდა და ორგანიზებულად წარმართავდა მის კულტურულ-სავანმანათლებ-
ლო საქმიანობას. ასეთი ცენტრის არარსებობა მწვავედ იგრძნობოდა, მით უფრო,
რომ საჭირო იყო წინაპრების ღვაწლის წარმოჩენა და ქართველთა უფლებების
დაცვა ე. წ. წმინდა ადგილებზე. ამასთანავე, საქართველოს პოლიტიკურმა აღმავ-
ლობამ განაპირობა ქართველ მეფე-დიდებულთა მეტი ყურადღება პალესტინისა
და იქ მოღვაწე ქართველთა ბედისადმი. ყოველივე ამან მოამწიფა საკითხი ახალი
სავანის დაარსებისა და, მართლაც, იერუსალიმის ახლოს აშენდა ჯვრის¹ მონასტე-
რი, სადაც თავი მოიყარა ქართველთა დიდმა ჯგუფმა. იგი იქცა პალესტინელი ქარ-
თველების მთავარ შესაჯრებ პუნქტად და პილიგრიმთა საიმედო თავშესაფრად,
იერუსალიმისა და მისი სანახების სავანეებში მოსახლე ქართველთა რელიგიური
და კულტურული მოღვაწეობის ცენტრად, მწიგნობრულ-შემოქმედებითი მუშა-
ობის მნიშვნელოვან კერად².

ჯვრის მონასტერი ადრე იერუსალიმიდან ოდნავ მოშორებით იდგა, სამხრეთ-
დასავლეთ მხარეს³, ახლა კი ქალაქის გაზრდის შედეგად მის ტერიტორიაზეა, ახალ
კვარტალთა შუაგულში, ზეთისხილის ბაღნარში⁴.

„ჯვრის მონასტერი არის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშ-
ნავი ძეგლი პალესტინაში. იგი არსებითად მთელი ციხე-ქალაქია, რომელიც
მადლი ზღუდით არის შემოვლებული. ზღუდის შიგნით მოთავსებულია მეტად
რთულ ნაგებობათა კომპლექსი სამ და ოთხ სართულად, მრავალრიცხოვანი სა-
თავსებით, რომელთა რაოდენობა ღღესაც ორასს სამოცდაათს აღწევს. მონასტრის
ბოლოთად ტაძარს უკირავს ფართობი 27, 5 მ X 15, 2 მ ზომისა (418 კვ. მეტრი).
იგი წარმოადგენს ოთხ სვეტზე დაყრდნობილ თალებს და ბოლოვდება გუმბათით.
სვეტების განიხ დაახლოებით 1,42 X 1,43 სანტ. მონასტერი ერთ ღროს მთლიან-
ნად დაფარული ყოფილა ფრესკებით“⁵.

ადგილი, სადაც ჯვრის მონასტერი აშენდა, მიჩნეული იყო წმინდა ადგილად,
რადგან ცნობილი გადმოცემით, რომელიც სხვადასხვა ვარიანტითაა გავრცელებ-
ული ქრისტიანულ სამყაროში, იქაური ხისგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც აც-
ვეს ქრისტე. ეს გადმოცემა იერუსალიმელ ქართველთა წრეში ადრევე გავრცე-
ლებულა. ამას მოწმობს ჯვრის მონასტრის დამაარსებლის მინაწერი (1038 წ.)
ერთ ხელნაწერზე: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პრო-
ხორე, სახელად ოდენ მღვდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომლითა შემძლებელ
ვიქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდასა ამას ცხოველს-
მყოფელისა ჭუარისა ადგილსა“⁶. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ესაა უძველესი
წერილობითი ცნობა ქართულ წყაროებში. შემდეგ ხანაში გადმოცემა ჯვრის მონ-
ასტრის ადგილზე (სხვადასხვა ვარიანტით) არაერთი ქართველის ჩანაწერებში
გვხვდება⁷. დასავლურ წყაროებში იგი ცნობილია XII საუკუნიდან⁸. კარგად იც-
ნობენ მას სლავი მოღვაწენი⁹. საგულისხმოა, რომ ამ გადმოცემამ ჩვენს დრომ-
ღეც მოაღწია¹⁰. უცილობელია, ამ გადმოცემამ შეუწყო ხელი ჯვრის მონასტრის

პოპულარობას; იგი პალესტინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიწმინდედ ითვლებოდა და მრავლად იზიდავდა პილიგრიმებს, რომელთა ჩანაწერებში უხვად ვხვდებით ცნობებს პალესტინელ ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობაზე¹¹.

ჭერის მონასტრის ადგილზე გავრცელებული გადმოცემა და ცნობები ახალი ქართული სავანის დაარსების ისტორიაზე შედარებით სრული სახით შემოგვინახა ტ. გაბაშვილმა. მის „მიმოსლვაში“ ვკითხულობთ: „უკეთუ გენებოს ცნობად, თუ ქართველნი ვითარ იპყრობდნენ იერუსალიმს, ესრეთ ვპოვენით მუნ წერილთა შინა. რამეთუ პირველი ქრისტიანი ქმნილი მეფე საქართველოსა შირიან ხოსრო-იანი ნინოს მიერ წარმოვლენილ არს, მეფე კოსტანტინე უხილავს და იერუსალიმად მისრულ არს და ჯვარისა მონასტრის ადგილი მას უშოენია. რამეთუ ესე არს ადგილი იგი, რამეთუ ლოთ სამი ხე—სარო, ფიჭვი და ნაძვი—დანერგა სასწაულად, უკეთუ მიეტეოს ცოდვა იგი, და სამივე ერთ ხე დიდ აღმოჯდა. ამისა შემდგომად მოსჭრა იგი სოლომონ შენებასა ტაძრისასა, არამედ უქმად გამოჩნდა საქმარება მისი მუნ, და მღებარე იყო საჯდომად კაცთა გარე. ხოლო ჯვარცმასა უფლისასა, ვანგებთა ზენათათა მას ზედა აცვეს უფალი. რამეთუ მონაკვეთი ხისა მის ძირი ქვეშე წმიდისა ტრაპეზისა დღესამომდე ჩანს. ხოლო ამისა შემდგომად სულიერი ვინმე მონაზონი შავთელი, სახელად პროხორე, მოსრულ არს მონასტერსა და ლავრასა წმიდისა საბასასა დაყუდებულა. და მეფესა საქართველოსასა ბაგრატ კურაპალატს საფასე დიდძალი წარმოუცემია ღირსისა პროხორესათვის, რათაჲცა ჯვარის მონასტერი აღაშენა, და მას აღუშენებია ჯვარის მონასტერი შესაკრებელად ქართველთათვის. შირიან ხოსროიანის მოსლვის შემდგომად მოსრულ არს დიდად სახელოვანი საქართველოთ მეფე ვახტანგ გორგასლან. რამეთუ მღებარე არს წერილთა შინა მუნ, ვითარმედ სულთანი მისირ-ეგვიპტისა ევედრა მეფესა ქართველთასა ვახტანგს გურგასლანს, რათა წარმოვიდეს ლაშქრითა და იერუსალიმს ფრანგნი რომელნიცა იპყრობდნენ, განდევნოს და თვით დაიპყრას. ამისთვის მოვიდა სპითა დიდითა და განიოტნა ფრანგნი და თვით დაიპყრა იერუსალიმი და აღაშენა მონასტერნი მრავალნი. და მეგვიპტელთაგან მას მისცემია, და მრავალ ეამს ქერით იერუსალიმი და პალესტინე, და მრავალი მონასტერი აღუშენებიათ. და მცველნი ქალაქისა იერუსალიმისანი და მკედარნი, რომელიცა ვახტანგს განუწესებია მუნ, მუნ დასახლებულან, ენა შეცვლიათ არაბულად. და იგინი ქართველნი არიან გარემოს იერუსალიმისა არაბნი და ევფრათას არაბნიცა, აწ არაბნი იერუსალიმელნი ქართველნი არიან“¹².

ტ. გაბაშვილის თხრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს როგორც ზოგიერთი წერილობითი წყარო, ისე იერუსალიმის ქართულ კოლონიაში გავრცელებული გადმოცემა, მრავალმხრივია საყურადღებო. მის მონაცემებზე ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით, ამჯერად მხოლოდ ჯერის დაარსების საკითხზე გვაქმავილებთ ყურადღებას.

ტ. გაბაშვილის ცნობით, ჯერის მონასტრისათვის ადგილი შირიან მეფემ (IV ს.) იშოვა, ხოლო ტაძარი იქ პროხორემ ააგო. მის თხრობაში აღრევა და ნათლად

არ ჩანს ვახტანგ გორგასლის ურთიერთობა ჯვართან. ეს ფაქტობრივ-ქრონოლოგიური შეუსაბამობა შენიშნა თ. ბაგრატიონმა. მან რამდენადმე შეასწორა. და აზუსტა, შეავსო და განავრცო ტ. გაბაშვილის ცნობები და თავისი აზრი ასე ჩამოაყალიბა: მირიანმა იშოვა ადგილი მონასტრისათვის, მანვე ააგო მცირე ეკლესია; ვახტანგ გორგასალმა განავრცო ჯვარი, ხოლო ბაგრატ მესამის (975—1014) დროს პროხორემ განაახლა ტაძარი¹³.

ტ. გაბაშვილისა და თ. ბაგრატიონის ცნობები სხვადასხვა ვარიანტით და ზოგჯერ ახალი მასალებით შევსებულ-გავრცობილი წლების მანძილზე შეორდებოდა ჩვენს სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში. თუ თავს მოვუყრით სხვადასხვა დროს გამოთქმულ აზრებს ჯვრის მონასტრის დაარსების თარიღზე, ძირითადი შეხედულებანი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. მირიან მეფემ იშოვა ადგილი მონასტრის ასაგებად¹⁴;

2. მირიანმა იშოვა ადგილი, მანვე ააგო ჯვრის ტაძარი¹⁵;

3. მირიანის მიერ აგებული ტაძარი განავრცო და კეთილმოაწყო ვახტანგ გორგასალმა¹⁶;

4. ჯვრის ტაძარი ააგო ვახტანგ გორგასალმა¹⁷;

5. ჯვრის ტაძარი ვახტანგ გორგასლის შემწეობით ააგო პეტრე ქართველმა¹⁸;

6. ჯვრის ძველი ტაძარი განაახლა პროხორემ XI საუკუნეში¹⁹;

7. ჯვრის ტაძარი ააგო პროხორემ XI საუკუნეში²⁰.

ზოგჯერ საბუთისა და კომენტარის გარეშე აღნიშნავდნენ, ჯვრის მონასტერი V საუკუნეში აშენდა²¹, ზოგჯერ მის აგებად ქართველ მეფესა თუ მთავარს ტიტანს ასახელებდნენ²², ხოლო განახლებას იუსტინიანეს მიაწერდნენ²³. იყო ცდა ჯვრის VII²⁴ თუ X²⁵ საუკუნით დათარიღებისა.

რამდენად სწორია ტ. გაბაშვილისა და სხვათა ცნობები? რა ვითარებაა ძველ წყაროებში? რა მასალა გვაქვს ხელთ ჯვრის მონასტრის დასათარიღებლად? რამდენად სანდო და სარწმუნოა ეს მასალა?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავითვალისწინოთ და გავაანალიზოთ მთელი ის იკონოგრაფიული, ლიტერატურული თუ სხვა მასალა, რომელშიც რამე ცნობა მოიპოვება ჩვენს საკითხზე.

ჯვრის მონასტრისათვის ადგილის მოპოვებისა და იქ ქართული სავანის აშენების შესახებ არსებული გადმოცემის ანარეკლი შეინიშნება ჯვრის ტაძრის ფრესკებსა და წარწერებშიც. მართალია, ამჟამად აღარც ფრესკები ჩანს და აღარც მათი წარწერები²⁶, მაგრამ თვითმხილველთა ჩანაწერებით ნაწილობრივ მაინც ხერხდება ადრინდელი ვითარების გათვალისწინება.

ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის კედელზე დახატული ყოფილა სამი ქართველი მეფე. ამ მხატვრობისა და საერთოდ მონასტრის მონატულობის შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა ტ. გაბაშვილმა. მისი თაოსნობითვე მოხდა ამ მხატვრობის ფიქსაცია. ტ. გაბაშვილმა არა მხოლოდ ნახა მეფეთა სურათები, არამედ მათი ზუსტი პირებიც გადმოაღებინა და ჩაურთო თავის ავტოგრაფულ ხელნა-

წერში (Q № 80, 104r—106r). „ესე სამნი საქართველოს მეფენი ვითა იქა ეხატნეს, ეგრეთვე აქა დავახატინეთ“, — გვაუწყებს იგი. მეფეთა სურათების პირებს აქვთ წარწერები: „ლირსი მირიან, პირველი კეთილმოღოწმუნე მეფე საქართველოსა, ხოსროიანი“; „ბაგრატ კურაპალატი, მეფე საქართველოსა, დავითიანი, აღმაშენებელი ქუთათისისა საყდრისა“; „სახელმანი დიდი ჯელმწიფე ვახტანგ გორგასლან, მპყრობელი და მეფე საქართველოსა და იერუსალიმისა, ხოსროიანი“.

მორიგ ავტოგრაფულ ნუსხაში, რომელიც საქართველოშია დამზადებული, ტ. გაბაშვილმა მეფეთა სურათები გაიმეორა, რიგი უცვლელად დატოვა. მხოლოდ წარწერები რამდენადმე განავრცო. სახელდობრ, აღნიშნა, რომ მირიანი არის „აღმაშენებელი სამთავროსა“, ბაგრატი — „ჯვარის მონასტრისა იმერუსალემს და მთაწმიდას ქართველთ მონასტრისა“, ვახტანგი — მცხეთისა (S № 3244, 114r—116r)²⁷.

ტ. გაბაშვილს მეფეთა ისეთი რიგი აქვს წარმოდგენილი (მირიანი — ბაგრატი—ვახტანგი), რომ არ შეიძლება არ მოგვაგონდეს „მიმოსლვის“ ის ნაკვეთი, რომელიც ზემოთ საკმაოდ სრულად დავიმოწმეთ. იქაც ჯერ მირიანზეა საუბარი, ხოლო შემდეგ ბაგრატსა და ვახტანგ გორგასალზე. შეიძლებოდა აქ რამე საერთო წყარო გვევარაუდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ტიმოთეს რიგი სურათებისა სულ ზუსტი არაა. სხვა მოგზაურთა ცნობებით, ჯვრის მონასტრის კედელზე მეფეები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით იყვნენ წარმოდგენილი. მაგალითად, ნ. ჩუბინაშვილი წერდა: „დასავლეთიდან შემოსავალს დიდს კარებს შიგნიდან, ჩრდილოეთის მხარეს, დახატულ არიან სამნი მეფენი მოხუცებულნი გვირგვინ-შარავანდებითა და პორფირებითა: 1. მირიან, 2. ვახტანგ გორგასლან, 3. ბაგრატ კურაპალატი“²⁸. ასეთსავე რიგს წარმოგვიდგენს ა. ცაგარელი²⁹. საგულისხმოა, რომ „მიმოსლვაში“ ტ. გაბაშვილი გვაცნობს ჯვრის მონასტრის მხატვრობას და ჯერ მირიანს გვისახელებს, ხოლო შემდეგ ვახტანგ გორგასალსა და ბაგრატს³⁰.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის კედელზე გამოსახული ყოფილა სამი ქართველი მეფე — მირიანი, ვახტანგი, ბაგრატ, მაგრამ ამ მხატვრობიდან ნათლად არ ჩანს, თუ რა კავშირში არიან ეს მეფეები ჯვართან, რატომ მოათავსეს მათი პორტრეტული გამოსახულებანი ამ ნაგებობის საპატიო ადგილას. მხატვრობის მიხედვით დაბეჭდვით ვერც იმას ვიტყვით, ამ მეფეებს რამე დეაწლი მიუძღვით ჯვრის მონასტრის დაფუძნებაში, თუ ისინი გამოსახული არიან ვითარცა თავისდათავად გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი. რა აზრი ჩააქსოვა ქართველმა შემოქმედმა ამ მხატვრობაში, ჩვენთვის სულ გარკვეული არაა. შეიძლება ეს აზრი გასაგები გამხდარიყო, მეფეთა პორტრეტების წარწერების წაკითხვა რომ იყოს შესაძლებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს ხერხდება.

ა. ცაგარლის ცნობით, ქართველ მეფეთა გამოსახულების ზემოთ იყო ქართული წარწერა, რომელიც დაზიანების გამო მხოლოდ ნაწილობრივ იკითხებოდა: „ქ. მირიან... კონსტანტინე... მეფემ ეს ჯვარი... მოვიდეს... და დიპირა იერუსალიმი და ააშენა ესე ჯვარი“³¹.

ა. ცაგარლის გადმონაწერი ტექსტი თ. ჟორდანიამ თავისებურად შეავსო და გამართა. „ქ. მირიან [მეფეს წმიდამან] კონსტანტინე [დიდმა, იმპერატორმა უბოძა] ეს ჭვარი. [შემდეგ] მოვიდეს [სპარსნი და დაიპყრეს] იერუსალიმი. მაშინ მეფე ქართველთა მხედრობით წარმოემართა] და დაიქირა იერუსალიმი და აღაშენა ესე ჭვარი“³².

ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის საკურთხეველის, დაზიანებული წარწერა ა. ცაგარელმა ასე გადმოიწერა: „ესე წმიდა და ყოვლად პატროსანი მონასტერი... მადლითა და შეწვენითა... სალს (პავლეს? პროხოვრეს?) აღუშენებია“³³. თ. ჟორდანიამ ეს წარწერაც განავრცო და შეავსო: „ესე წმიდა და ყოვლად პატროსანი მონასტერი [ჯუარისაჲ] მადლითა და შეწვენითა [ღმრთისაჲთა მეფესა ვახტანგ გორგა] სალს აღუშენებია“³⁴.

რასაკვირველია, ძნელია შევიწყნაროთ თ. ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული ტექსტი, რადგან მკვლევარი თავისუფლად ეკიდება რამდენიმე შემორჩენილ სიტყვას, მაგრამ პირველ წარწერაში ჯვრის მონასტრის შესახებ გავრცელებული გადმოცემის ანარეკლთან რომ გვაქვს საქმე, ეს საკამათო არ უნდა იყოს. წარწერის შემსრულებელი მირიანისა და კონსტანტინეს სახელების წერისას უთუოდ ძველი გადმოცემით ხელმძღვანელობდა.

ამრიგად, ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის მხატვრობა (წარწერებითურთ) სავანის დაარსების თარიღსა და დამაარსებელზე გარკვეულ ცნობას არ გვაწვდის. იქ მხოლოდ ძველი გადმოცემის გამოძახილი შეინიშნება. ამ მასალით მირიან მეფის როლის გარკვევა ჯვრის სავანის ისტორიაში შეუძლებელი ჩანს. საგულისხმოა, რომ მირიანის მიერ ჯვრის მონასტრისათვის აღგილის მოპოვება მოხსენიებული არაა არც ერთ ძველ წყაროში: არც საისტორიო-აგიოგრაფიულ თხზულებებში, არც ჯვრის მონასტრის აღაპებში, არც სინის მთის სულთა მატრიანეში, არც ჯვრის მონასტრის მშენებლისადმი მიძღვნილ სპეციალურ სვინაქსარულ ცხოვრებაში, სადაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი მისი მოხსენიება. ასე რომ, ჩვენს ხელთ მხოლოდ გადმოცემაა, რომელიც არეკლილია ჯვრის მხატვრობაში, წარწერებში, ტ. გაბაშვილის „მიმოსლვაში“.

აღნიშნული გადმოცემით, პირველმა ქართველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა კონსტანტინე დიდის წყალობით მიიღო მიწის ნაკვეთი ჯვრის ტაძრისათვის (ამჯერად არაა არსებითი, თუ ვინ მეფობდა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებისას, ან ვინ იყო იმ დროს კეისრად — ეს საკითხი კარგა ხანია ცილობას იწვევს³⁵; ჩვენთვის საინტერესოა, თუ რას ემყარება ეს გადმოცემა, რა შეიძლებოდა გამხდარიყო საფუძველად ასეთი გადმოცემის შემუშავებისათვის).

რასაკვირველია, მირიანის დაკავშირება ჯვართან შემთხვევითი არაა. არც მირიანის დაკავშირება კონსტანტინე დიდთან მოულოდნელი და უჩვეულო. ძველ წყაროებში არაერთგანაა აღნიშნული, რომ მირიანი და კონსტანტინე თანამედროვენი იყვნენ და რომ მირიანმა თხოვნითაც კი მიმართა კონსტანტინეს. მაგალითად,

„მოქცევაჲ ქართლისაჲთ“ (IX ს.), ქრისტიანობის მიღების შემდეგ მირიანმა „წარაელინნა მოციქულნი და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთად, მეფისა კონსტანტინესაჲ, თხოვად მღდელთა. ხოლო მოციქულნი იგი მსწრაფლ მიიწიენეს წინაჲთ მეფისაჲ“. მალე კონსტანტინემ წარმოგზავნა „ეპისკოპოსი იოვანე და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი, და ხატი მაცხოვრისაჲ, და ძელი ცხოვრებისაჲ და სხუაჲ წიგნები ელენე დედოფლისაჲ ნინოჲსთჲს“³⁶.

ლეონტი მროველიც (XI ს.) ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის, მხოლოდ დასძენს, რომ კონსტანტინემ მირიანს „მონიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერკნი დამსჭუალულ იყვნეს უფლისანი და სამსჭულნი კელთანნი“³⁷.

დამოწმებულ ტექსტებში ერთადაა მოხსენიებული მირიანი, ნინო, კონსტანტინე, „ძელი ცხოვრებისაჲ“; აღნიშნულია, რომ ეს უკანასკნელი მირიანმა მიიღო მას შემდეგ, რაც მან ნინოს რჩევით მიმართა კონსტანტინეს. ამ ცნობებში ბევრი რამაა ისეთი, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო ერთგვარ საფუძველად ჩვენთვის საინტერესო გადმოცემის შექმნისათვის.

როგორ დაუკავშირდა მირიანი ჯვრის ტაძარს, რის საფუძველზე შემუშავდა გადმოცემა, რომელიც მირიანს ჯვრის ტაძრისათვის მიწის ნაკვეთის მომპოვებლად მიიჩნევს?

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი აპოკრიფული კითხვა-მიგება, რომლის ერთი ადგილი ასე იკითხება:

„კითხვაჲ: რაჲ არს იგი რომელი იტყჳს: რაჲამს ამაღლდა უფალი საროსა, ფიქუსა და ნაძუსა ზედა.

მიგებაჲ: ვითარცა გვისწავიეს წერილისაგან, ოდეს იგი დავითს კილობანი სჯელისაჲ მოაქუნდა სახლითა ამინადაბისითა იერუსალიმად, სამნი მორჩენი უპყრნეს კელთა: ერთი საროჲსა, ერთი ფიქუსა და ერთი ნაძუსაჲ დიაკეულთა მათთჲს, რომელნი ზრვიდეს კილობანსა მას. და ვითარცა მოიწია ადგილსა რომელსაჲმე ერთსა, სამნივე ერთობით დაჰნერგნა და საღმრთოთა წამისყოფითა ერთად შეერთნეს და აღიზარდნეს და იქმნეს ხე მაღალ და შუენიერ. ოდეს სოლომონისა ტაძარსა აშენებდეს, მაშინ მოჰკუეთეს ხე იგი ტაძრისათჲს. განგებულებით დარჩა ტაძარსა მშნაჲ და რაჲამს მოიწიაჲ ვნებაჲ ქრისტესი, მაშინ განკუეთეს და მას ზედა ჯუარსა აცუეს უფალი ღმერთი ჩუენი“³⁸. ამ აპოკრიფთა სხვა ვარიანტში დამატებით ნათქვამია, რომ დასახელებული „მორჩენი“ ლიბანის მთიდან იყო მიტანილი.

დამოწმებული აპოკრიფული თხზულება არა მხოლოდ ქრისტეს ჯვრის ისტორიას ეხმაურება და ამდენად ზოგ რამეს გვაცნობს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბიბლიურ-ლეგენდარული წარსულიდან, არამედ ერთგვარ კავშირშია ქართლის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების ცალკეულ მომენტებსა და მირიანის საეკლესიო-სააღმშენებლო საქმიანობასთან.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ იხსენიებს „ნაძესა მას ლიბანით მოღებულსა და მცხეთას აღმადლებულსა“. ან „ლიბანით მოსრულსა და მცხეთას დანერგულსა“. მისივე ცნობით, როდესაც სვეტიცხოვლის შენება იწყეს, „მოჰკუთეთეს ნაძე რვი და შემზადეს სუეტად და ძირთა მისთა ზედა დადევს საფუძველი ეკლესიისაჲ“³⁹.

ამრიგად, გავრცელებული აპოკრიფთა და გვიანდელი ჩანაწერებით იერუსალიმის ჯვრის მონასტერი აშენდა იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ლიბანის მთიდან მიტანილი ნაძვი ხარობდა. ასევე სვეტიცხოველი. — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ცნობით, — აშენდა ლიბანიდან მოტანილი და მცხეთას დარგული ნაძვის ადგილას. ასე რომ, — როგორც მართებულად შენიშნა კ. კეკელიძემ⁴⁰, — იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და სვეტიცხოვლის აგების ისტორია ერთმანეთს ეხმარება, აქ არსებითად მსგავს გადმოცემებთან გვაქვს საქმე.

საფიქრებელია, თავდაპირველად შეიქმნა და გავრცელდა აპოკრიფული მოთხრობა იერუსალიმის ახლოს ნაძვის ხის მოჭრისა და მისგან ჯვრის დამზადების შესახებ. ამის შემდეგ აღნიშნული ადგილი დიდებით შეიმოსა და მისი ზღაპრული ისტორია თაობიდან თაობას გადაეცა. პოპულარულმა აპოკრიფმა გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე, კერძოდ, ამ აპოკრიფით სარგებლობდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ავტორი სვეტიცხოვლის აშენების ისტორიის გადმოცემისა და მირიანის მოღვაწეობის აღწერისას⁴¹. თავის მხრივ, „საფიქრებელია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ჩამოყალიბებულმა სვეტიცხოვლის აშენების ისტორიამ, რომელიც უშუალოდ მირიანის მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული, ხელი შეუწყო ჯვრის მონასტრის ირგვლივ გადმოცემის ჩამოყალიბებას და ამ გადმოცემის აგრეთვე მირიანის სახელთან დაკავშირებას“⁴².

მირიანის მიერ ჯვრის მონასტრისათვის ადგილის შოვნის შესახებ არსებული გადმოცემის შექმნა-გავრცელებისა და გადამუშავების გზა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: პალესტინა → ქართლი → პალესტინა. გადმოცემის უკანასკნელი ვარიანტის გაჩენასა და ჯვრის მონასტერთან მირიანის დაკავშირებას, ალბათ, ამ სავანის მშენებლობის პროცესში ჰქონდა ადგილი.

ამრიგად, ჯვრის მონასტერთან მირიან მეფის დასაკავშირებლად კონკრეტული ისტორიული საბუთი არ არსებობს. მსჯელობა მირიანის მიერ ჯვრის მონასტრისათვის მიწის ნაკვეთის მოპოვებისა (ტ. გაბაშვილი, თ. ბაგრატიონი, პ. იოსელიანი, მ. ჭანაშვილი და სხვ.)⁴³ თუ მის მიერ ჯვრის ტაძრის აგების შესახებ (თ. ბაგრატიონი, მ. ჭანაშვილი, პ. კარბელაშვილი და სხვ.) მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია და მხოლოდ ძველი გადმოცემის გამეორებას წარმოადგენს. ასე რომ, ჩვენ არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება იმისთვის. რომ ჯვრის სავანე IV საუკუნეში დაარსებულად მივიჩნიოთ.

რამდენიმე სიტყვა ვახტანგ გორგასალზე. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი ავტორი ვახტანგს მიიჩნევდა ადრე აშენებული (IV ს.) ჯვრის ტაძრის კეთილმომწყობად (თ. ბაგრატიონი, მ. ჭანაშვილი), ხოლო ზოგი — ტაძრის ამგებად (თ. ჟორ-

დანია, შ. ნუტუბიძე)⁴⁴. ასეთი ვარაუდისათვის ერთგვარი საფუძველი შექმნა ფოლკლორული (იერუსალიმში გავრცელებული გადმოცემა), იკონოგრაფიული (ჯვრის ტაძრის მონასტულობა) და წერილობითი („ქართლის ცხოვრება“) წყაროების ჩვენება⁴⁵. იერუსალიმში გავრცელებული გადმოცემა, როგორც აღვნიშნეთ, ჩაწერილი აქვს ტ. გაბაშვილს. მისი „მიმოსლვის“ აღონდელ რედაქციაში იკითხებოდა: „მირიან ხოსროიანისა შემდგომად მოსრულ არს დიდი სახელოვანი მეფე საქართველოსა ვახტანგ გურგასლან ხოსროიანი. რამეთუ სპარსთა მეფეთაგან მას მიუღია იერუსალიმი და სრულიად პალესტინე და მრავალი მონასტერი აღუშენებიათ და მრავალ ჟამს ჰქრიათ“⁴⁶. ჩანს, ასეთი ცნობა ტ. გაბაშვილმა მიიღო ჯვრის მონასტერში და უცვლელად შეიტანა თავის წიგნში. ამ ცნობის სისწორე მას არ აუკვებდა და ამიტომაც არ ერიდებოდა მის გამეორებას. თითქმის ყველგან, სადაც ეს იგი ვახტანგ გურგასალს იხსენიებდა, საგანგებოდ აღნიშნავდა სახელოვანი მეფის მიერ იერუსალიმის დაპყრობას⁴⁷.

იერუსალიმში ჩაწერილი ცნობის მოწოდებისა ტ. გაბაშვილი კონკრეტულად არას გვაუწყებდა მის წყაროებზე. მართალია, ჯვრის მონასტერზე თხრობის დაწყებისას იგი ზოგადად შენიშნავდა „წერილ არს ესრეთ“, მაგრამ ნათლად არ ჩანს, ეს მთელ თხრობას ეხება, თუ მირიანის მიერ ჯვრისათვის აღგილის მოპოვებას. საფიქრებელი კია, რომ ტ. გაბაშვილი მთელ თავის თხრობას წერილობით მასალაზე დაფუძნებულად წარმოგიდგენს. ჩვენ არ ვიცით ზუსტად, რა წერილობითი წყარო ჰქონდა მას, რით სარგებლობდა, მაგრამ ერთი საკამათო არ უნდა იყოს: ტ. გაბაშვილისათვის ერთგვარ საფუძველს იერუსალიმში გავრცელებული გადმოცემა წარმოადგენდა. მაგრამ, რადგან იერუსალიმში გავრცელებულ ცნობებში არ ჩანდა, თუ რად დაუმკვიდრა სპარსთა მეფემ იერუსალიმი ვახტანგ გურგასალს, რით დაიმსახურა მან ასეთი პატივი, საქართველოში დაბრუნებულმა ტ. გაბაშვილმა დაძებნა დამატებითი მასალა, გამოიყენა ადგილობრივი წყაროები და „მიმოსლვის“ ზემოციტირებულ ადგილს ასეთი მინაწერი დაურთო: „რამეთუ მდებარე არს წერილთა შინა მუნ, ვითარმედ სულთანი მისირ-ეგვიპტისა ევედრა მეფესა ქართველთასა ვახტანგ გურგასლანს, რათა წარმოვიდეს ლაშქრითა და იერუსალიმს ფრანგნი რომელნიცა იპყრობდენ, განდევნოს და თვით დაიპყრას. ამისთვის მოვიდა სპითა დიდითა და განიოტნა ფრანგნი და თვით დაიპყრა იერუსალიმი და აღაშენა მონასტერნი მრავალნი“⁴⁸.

ასეთი ცნობების შემცველი მასალა ტ. გაბაშვილს იერუსალიმში რომ ენახა, იგი ამას უთუოდ პალესტინაში დამზადებულ ხელნაწერში შეიტანდა. ეს მასალა მან სამშობლოში მოიპოვა. თუ რა წყარო ჰქონდა მას ხელთ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ამჟამად კი გვინდა შევნიშნოთ, რომ ციტირებული მინაწერი ერთობ საეჭვო და საკამათოა. ვახტანგ გურგასალს ურთიერთობა ეგვიპტის სულთანთან, ფრანგთა მიერ იერუსალიმის დაპყრობა V საუკუნეში და ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრობა — ყალბი და ნატყუარია. მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, უხერხული წინააღმდეგობა მაინც შეინიშნება: ჯერ ეწერა ვახტანგს „სპარსთა მე-

ფესაგან მიუღია იერუსალიმი და სრულიად პალესტინე“, მინაწერში კი ეგვიპტელებმა იჩინეს თავი. ეს შეუსაბამობა შენიშნა ტ. გაბაშვილმა და ძირითად ტექსტში ცვლილება შეიტანა — სპარსთა ნაცვლად მეგვიპტელები ჩაწერა. ამით მან ძირითადი ტექსტი და მინაწერი შეათანხმა, მაგრამ ქრონოლოგიურ შეუსაბამობას თავი ვერ დააღწია.

გვიან ხანაში, საქართველოს გარეთ გადაწერილ „მიმოსლვაში“, ზემოდამოწმებული მინაწერი ტექსტში შევიდა. ავტორმა ახლა უკეთ შენიშნა შეუსაბამობა და შესწორება მოიწადინა, ტექსტს გასწორებ მიაწერა: „ვახტანგ სპარსთაგან მიიღო იერუსალიმი. მისი რისა — ნაცილია“⁴⁹. ამით მან ვახტანგ გორგასალი დაამოწრა ეგვიპტის სულთანს და კვლავ სპარსთა მეფეს დაუკავშირა. მაგრამ შეცდომებით აღსავსე ტექსტს ვერაფერი უშველა; მართალია, ნატყუარად მიიჩნია ცნობა ვახტანგ გორგასლის ეგვიპტის სულთანთან ურთიერთობისა და მისი მოწოდებით იერუსალიმზე გალაშქრების შესახებ, მაგრამ აღრინდელ ავტოგრაფში შესული მინაწერი გადავიდა სხვა ხელნაწერებში, რის შედეგად გავრცელდა აზრი ვახტანგ გორგასლის მიერ იერუსალიმის აღებისა და იქ ქართული მონასტრების, მათ შორის ჭვრის მონასტრის, დაარსების შესახებ.

ამრიგად, იერუსალიმში გავრცელებული ტრადიცია და საქართველოში მოპოვებული მასალა გახდა საფუძველი ტ. გაბაშვილისათვის, ხოლო მისმა „მიმოსლვაში“, — ჭვრის მონასტრის მხატვრობასთან ერთად, — შექმნა საფუძველი შორს მიმავალი დასკვნებისათვის. საინტერესოა გაირკვეს, თუ რამ შეუწყო ხელი, რამ განაპირობა იერუსალიმში ასეთი ტრადიციის შემუშავება. საფიქრებელია, ჭვრის მონასტრის მშენებლებისა თუ მომდევნო ხანის მოღვაწეთათვის ცნობილი იყო ქართველი მემკვიდრის ჭუანჭავის (XI ს.) თხრობა ვახტანგ გორგასლის იერუსალიმში მგზავრობის შესახებ. ჭუანჭავი ერთგან აღნიშნავს, რომ ვახტანგ გორგასლის მცდელობით სპარსელთა და ბერძენთა შორის მშვიდობა ჩამოვარდა. „მოიღო სპარსთა მეფემან ქარტა და დაწერა კელითა თვისითა წიგნი ბერძენთა მეფისა სიყუარულისა, და ჩინება საზღვართა. და სიკილიისა უკუცემისათეს მისცა ფილისტიმი საზღვრითა იერუსალემისათა. და თქუა, ვითარმედ: „ქალაქი სჯულისა თქუენისა არს იერუსალემი“. აქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ იერუსალიმი სპარსთა მეფემ ბერძენებს დაუმკვიდრა და არა ვახტანგს. ჭუანჭავისავე ცნობით, ხვასრომ ვახტანგიც გულუხვად დააჩილოვავა“⁵⁰.

ოდნავ ქვემოთ ჭუანჭავი გვაუწყებს, რომ „ვახტანგს ევედრნეს დედა და დაამისი ხუარანძე, რათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალემს. წარიტანნა და წარვიდეს ვახტანგ მეფე და ხუასრო ვზასა აღარბადაგანისასა; და მუნით წარვიდეს ვახტანგ და დედა და დაამისი იერუსალემს და ხუასრო ელოდა ანტიოქიას. შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოილოცნეს ყოველნი აღგილნი წმიდანი, და შეევედრნეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს ანტიოქიას“⁵¹.

უკანასკნელად ჭუანჭავი იმასაც გვამცნობს, რომ ვახტანგს „პირველად გამო-

უქსნია იერუსალიმში, წმიდა ქალაქი და შემდგომად ყოველი საქრისტიანო დაუქსნია მოოხრებისაგან“⁵².

ჯუანშერის თხზულებაში სამი ცნობაა საინტერესო: ვახტანგისა და მისი ახლობლების იერუსალიმის გამგზავრება იქაურ სიწმიდეთა მოსახილველად, სპარსთა მეფის მიერ ბერძენთათვის იერუსალიმის დაპყვიდრება, ვახტანგის მიერ იერუსალიმის დახსნა „მოოხრებისაგან“. რამდენად სანდოა ეს ცნობები?

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა გარკვეული ჯუანშერის ცნობების ღირებულება. ი. ჯავახიშვილი მრავალი წლის წინ აღნიშნავდა, რომ ჯუანშერის თხზულებას ზღაპრული ელფერი ადევს; „ისეთი კილოთი არის გამსჭვალული და იმგვარი დაუჯერებელი ცნობებით არის აღსავსე, რომ ზღაპარს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილ ისტორიას“. იგი დამძიმებულია ქრონოლოგიური და ფაქტობრივი შეცდომებით და „ვახტანგის დროის ისტორიისათვის, ზოგიერთი მცირეოდენი ცნობის გარდა, თითქმის გამოუღებარია და საყურადღებოა მხოლოდ როგორც დამახასიათებელი იმისა, თუ რა ცნობები და წარმოდგენა ჰქონიათ XI საუკუნეში განათლებულ ქართველ წრეებს ვახტანგ გორგასლის პიროვნებასა და მეფობაზე“⁵³. აღნიშნულის გამო ჯუანშერის ზემოციტირებული ცნობების შეწყნარება შეუძლებელია.

ცნობა ვახტანგისა და მისი ახლობლების იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ უნდა წარმოადგენდეს IV—V საუკუნეებში ქართველთა პალესტინაში პილიგრიმოზის ანარეკლსა და გამოძახილს. ჩანს, ისე გავრცელებული ყოფილა პალესტინის სიძველეთა მოხილვა, რომ ქართველმა საზოგადოებრიობამ ვახტანგ გორგასლიც კი მიიჩნია ერთ-ერთ პილიგრიმად⁵⁴.

გადმოცემა სპარსთა მეფის მიერ იერუსალიმის ვახტანგისათვის დამკვიდრების შესახებ შეიძლება მომდინარეობდეს ჯუანშერის ცნობის არასწორი გაგებიდან (ჯუანშერით, როგორც აღვნიშნეთ. სპარსთა მეფემ იერუსალიმი დაუპყვიდრა არა ვახტანგს, არამედ ბერძენთა მეფეს)⁵⁵.

რაც შეეხება ტ. ვაბაშვილის ცნობას ვახტანგ გორგასლის მიერ იერუსალიმის აღების შესახებ, ეს ხომ სულ ზღაპარია. ტ. ვაბაშვილმა პალესტინაში მოისმინა გადმოცემა ქართველთა იერუსალიმში ლაშქრობის შესახებ (გადმოცემა, რომლის საფუძველი, თავის მხრივ, უნდა ყოფილიყო „ქართლის ცხოვრების“ ცნობა ვახტანგის პილიგრიმოზის შესახებ, აგრეთვე ჯუანშერის თხრობის არასწორი გაგება). ჯვარში მან ნახა ვახტანგის ფრესკა და იგი ამ გადმოცემის დამადასტურებელნიშნად მიიჩნია. საქართველოში დაბრუნებულმა ქართულ საისტორიო წყაროებში (რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ) დაძებნა მასალები მისთვის საინტერესო საკითხებზე, იპოვა ცნობები ქართველი მეფეებისა (ვახტანგ მესამის, გიორგი მეცხრის, ლევანისა) და სხვათა ლაშქრობის შესახებ, გააერთიანა და შეაჯვარა სხვადასხვა ეპოქის მოვლენები, ანგარიში აღარ გაუწია ქრონოლოგიურ შეუსაბამობას, ფაქტების აღრევას, სინამდვილის დამახინჯებას⁵⁶.

ამრიგად, საფიქრებელია, რომ იერუსალიმში გავრცელებული ტრადიციისათვის ამოსავალი იყო ჭუნაშერის ცნობები, ხოლო ისინი, როგორც ვნახეთ, კონკრეტულ-რეალურს არაფერს შეიცავენ. ჭუნაშერის ცნობების პერიფრაზი ზეპირი გზით გავრცელდა იერუსალიმში, დამკვიდრდა ტრადიცია, რომელიც აისახა იკონოგრაფიაში (ჯვრის მონასტრის მხატვრობა). მემორიულ ლიტერატურაში („მომოსლვა“) და ა. შ. არავითარი საფუძველი ჯვრის მონასტრის V საუკუნით დასაბუთებულად არ არსებობს. ვახტანგ გორგასალი არც მშენებელია მისი და არც კეთილმომწყობი თუ რესტავრატორი. სახელოვანი ქართველი მეფისათვის ასეთი მისიის დაკისრება და ასეთი პატივის მიპყრობა არაფრით არაა გამართლებული და დასაბუთებული. ჩვენ ვერც იმ აზრს შევიწყნარებთ, რომ თითქოს ჯვრის ტაძარი ვახტანგ გორგასლის შემწეობით ააგო პეტრე ქართველმა (თ. ყორღანია)⁵⁷. პეტრემ რომ იერუსალიმში ტაძარი ააგო, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ამ ტაძრის ჯვრის მონასტრად მიჩნევა ყოვლად დაუშვებელია. ზემოთ უკვე დავიმოწმეთ პეტრეს ბიოგრაფის ცნობა ქართველი უფლისწულის მიერ იერუსალიმში მონასტრის დაარსების შესახებ, აგრეთვე იოანე რუფუსის ცნობა პეტრეს მიერ იერუსალიმში, სიონის ეკლესიის ზემოთ, დავითის კოშკთან ქართული ტაძრის აგების შესახებ⁵⁸, ხოლო ჯვრის მონასტერი, როგორც აღვნიშნეთ, მდებარეობდა არა იერუსალიმში, არამედ მის დასავლეთით.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ. უფლებას გვაძლევს კატეგორიულად უარყოთ ჯვრის მონასტრის IV—V საუკუნეებით დათარიღების ცდები. აქ აღარაფერს ვიტყვით შემთხვევით გამოთქმულ შენედულებებზე ჯვრის მონასტრის VII თუ X საუკუნით დათარიღების შესახებ. ისინი არ ემყარებოდნენ ძვირების შედეგად მოპოვებულ მასალებს და მხოლოდ ზოგად განცხადებებს წარმოადგენდნენ. ზედმეტად მიგვაჩნია განხილვა იმ თვალსაზრისისა, რომელიც ჯვრის ტაძრის ამგებად ქართველ მეფესა თუ მთავარს ტატიანს მიიჩნევდა. ქვემოთ ვნახავთ, რომ ტატიანი სხვა არავინაა, თუ არა ცნობილი მოღვაწე ლევან დადიანი (1611—1657). ასე რომ, ჩვენ ისლა დაგვრჩენია, XI საუკუნეში ჩატარებული მშენებლობის მაუწყებელი მასალები განვიხილოთ. სახელდობრ, შევჩერდეთ ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა „პროხორეს ცხოვრება“, „გიორგი ათონელის ცხოვრება“, ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები, სინის მთის სულთა მატიაზე და ა. შ., რომლებიც ჯვრის მონასტრის მშენებლად შავშელ მოღვაწეს გიორგი-პროხორეს მიიჩნევენ. დასახელებული წყაროებიდან ცნობათა სისრულით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და შედარებით ყველაზე სარწმუნო წყაროს წარმოადგენს „პროხორეს ცხოვრება“⁵⁹. მისი ცნობით, პროხორე იყო „ნათესავით ქართველი, ქუეყანით შავშეთით“. ადრევე წავიდა კლარჯეთს და წყაროსთავის მონასტერში დამკვიდრდა, თავის ძმასთან. როდესაც სათანადოდ გაიწაფა, დიაკვნად აკურთხეს, შემდეგ „შემოსა სახე მონაზონებისაჲ“ და „აკურთხეს ხუცად“. მომდევნო ხანაში მას პალესტინაში ვხედავთ, საბას ლავრაში, სადაც გაატარა „წელიწადი მრავალი“. შემდგომ „მახლობელად იერუსალჴმს, დასავლით კერძო... აღაშენა და განასრუ-

ლა და შეამკო ეკლესიაა ყოვლითა სამკაულითა“, შემოიკრიბა მოღვაწენი, რომელთაც განუჩინა წესი და კანონი „მსგავსადვე წმიდისა საბაძს ლავრისა“. მანვე იერუსალიმში ააშენა ქსენოდუქი (სასტუმრო). როდესაც „სრულ-ყო ესე ყოველი“, დაუძღურდა, სიბერე ეწია. დატოვა „ჭუარისა მონასტერი“ — ერთ-ერთი მოწაფე (გიორგი) დაადგინა მამასახლისად, ხოლო თვით ორი მოწაფითურთ წაიდა „უდაბნოსა არნონს“, სადაც „შემდგომად მცირედისა ჟამისა“, 1066 წელს. გარდაიცვალა⁶⁰.

ჯვრის მონასტრის დიდი ტაძრის მშენებლადა დასახლებული პროხორე „გიორგი ათონელის ცხოვრებაშიც“. აგიოგრაფის სიტყვით, ბაგრატ IV (1027—1072) დედამ — მარიამ დედოფალმა იერუსალიმს წასვლა განიზრახა. მივიდა ანტიოქიაში. პატრიარქმა და მისმა თანამზრახველებმა დაასვენეს: „არა კეთილ არს. აღმოსავალისა მეფეთა დედა რაჯთამცა სასარკინოზეთს წარვიდა, ვინაჲთჯან ცოდვთა ჩუენთაგან იგინი უფლებენ ქუეყანასა მას“. შეწუხებულმა დედოფალმა გიორგი წარგზავნა იერუსალიმს და „საფასე“ გაატანა. მართალია, გიორგი ათონელს „შეუძნდა საქმე ესე, ვინაჲთჯან წმიდათა წიგნთა თარგმნისაგან დაეხრწოდ“, მაგრამ უარი ვერ ჰკადრა დედოფალს, „ალილო საფასე იგი წასაგებულად განმზადებული“ და ეწვია იერუსალიმს, „წმიდანი იგი ადგილნი მოილოცნა“ და „საფასე იგი ნაკლულეგანთა და უღონოთა უხუებით განუყო“. როგორც ჩანს, იმ დროს მიმდინარეობდა ჯვრის ტაძრის მშენებლობა: „მამაჲ პროხორე მაშინ ოდენ ჭუარისა მონასტერსა აშენებდა“, გიორგი ათონელი ეწვია და დაეხმარა („საფასითა ფრიად შეეწია“)⁶¹.

პროხორე „ჯვრის აღმშენებლად“ იხსენიება სინის მთის სულთა მატეანეშიც⁶². იგი. — როგორც მოსალოდნელი იყო, — პატივით იხსენიება ჯვრის მონასტრის აღაპებშიც. მართალია, იქ საგანგებოდა არაა აღნიშნული, რომ პროხორე ჯვრის აღმშენებელია, მაგრამ ეს არც იყო საჭირო. მთავარია ის, რომ „პროხორეს ცხოვრება“ არის პირველი ქართველი მოღვაწის „ცხოვრება“ შეტანილი იერუსალიმის სვინაქსარში (Jer. № 24—25), ხოლო მისი აღაპი — პირველი აღაპი ჩაწერილი იმავე სვინაქსარში. ყოველივე ეს საფიქრებელს ხდის, რომ სვინაქსარი Jer. № 24—25 საგანგებოდ გადმოწერა, რათა მასში შეეტანათ ჯვრის აღმშენებლის აღაპი და საფუძველი დადებოდა ჯვრის მონასტრის პირველ საღაპე წიგნს⁶³.

გაოკვეულ ინტერესს იწვევს ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერთა ჩვენებაც. რ. ჟანენის ცნობით, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში საუბარია პროხორეს მიერ ტაძრის განახლებაზე და არა აშენებაზე, რის გამოც პროხორე უნდა მივიჩნიოთ ჯვრის საეპისკოპოსოს აღმდგენელ-განმაახლებლად და არა დამაარსებლად⁶⁴. ამთავითვე უნდა განვატყუდოთ, რომ ეს ცნობა სწორი არაა; ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში პროხორეს მიეწერება ჯვრის მონასტრის დაარსება და არა აღდგენა. საკმარისია გავიცნოთ რამდენიმე ხელნაწერის ჩვენება, რომ ცხადი გახდეს რ. ჟანენის მსჯელობის უსაფუძვლობა.

თავდაპირველად დავიმოწმებთ პროხოურს სიტყვებს: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხოური, სახელად ოდენ მღდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდასა ამას ცხოველსმყოფელისა ჭუარისა ადგილსა“⁶⁵; „ღირს მყო ღმერთმან მე, გლახაკი პროხოური დაწერად ამის სულთა განმანათლებელისა წმიდათა მოწამეთა წიგნისა და გავასრულე და შევემოსე და დავდეგ ნებითა ღუთისაათა და შეწევნითა ყოვლითა წმიდათა ჩემ მიერ აღშენებულსა ეკლესიასა წმიდისა ჭუარისასა“⁶⁶.

პროხოურს მიერ ჯვრის მონასტრის დაარსებაზე ცნობებს გვაწვდიან სხვა ქართველი მწიგნობრებიც. დავიმოწმებთ მათ სიტყვებსაც: „დაიწერა და განსრულდა წმიდაა ესე წიგნი იერუსალიმს, მონასტერსა წმიდისა ჭუარისასა, წმიდისა მამისა ჩუენისა პროხოურს აღშენებულსა“ (მიქაელ დვალი); ხელნაწერი შეეწირეთ „ჯვარს, რომელი აღეშენა კელითა... პროხოურსითა“ (გაბრიელ და იოანე ივანწმიდელ-საფარელნი); „ქრისტე... აღიდგნ სულითა მოძლუარი და მამაა ჩუენი გიორგი და ყოველნი შვილნი მათნი სულიერნი, რომელნი შემოგუქრიბნა წმიდასა ამას ადგილსა, რომელი დიდითა შრომითა მიჰმადლა ღმერთმან და აღაშენა ყოველთა სულთა შესავედრებლად“ (შავე იოანე); პროხოურემ „შუენიერად და კეთილად აღაშენა მონასტერი ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჭუარისა“ (იოანე დვალი) და ა. შ.

ამრიგად, ყველა წყარო, რომელიც საგანგებოდ დავიმოწმეთ („პროხოურს ცხოვრება“, „გიორგი ათონელის ცხოვრება“, ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები და სხვ.), ჯვრის მონასტრის მშენებლად გიორგი-პროხოურს მიიჩნევენ და ჩვენ არავითარი საფუძველი არ გავგაჩნია იმისათვის, რომ ამ წყაროთა ჩვენებაში ეჭვი შევიტანოთ. ასე რომ. სავსებით მართალი არიან ის მკვლევარნი, რომელნიც ჯვრის საეპისკოპოსოსად XI საუკუნისა მოღვაწეს გიორგი-პროხოურს აღიარებენ. საქირთა დავაზუსტოთ და დავაკონკრეტოთ ჯვრის სავანის დაფუძნების თარიღი. გავარკვეოთ, როდის დაიწყო და როდის დაამთავრა პროხოურემ ტაძრის მშენებლობა.

ჯვრის მონასტრის მშენებლობის დაწყებას მკვლევარნი XI საუკუნის პირველ მეოთხედში სდებენ. „მონასტრის აშენება პროხოურს დაუწყია ექვთიმე მთაწმიდელის ბრძანებით, მამასადამე, მეთერთმეტე საუკუნის პირველი მეოთხედის გასულს მაინც. მონასტერი შენდებოდა 1025 წლიდან“ (კ. კეკელიძე);⁶⁷ „მთაწმიდელთა (ფეფთვიმე მთაწმიდელის) ინიციატივითა და ბაგრატ IV-ის ეკონომიური მხარდაჭერით იერუსალიმის მახლობლად XI საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო ჯვრის მონასტრის მშენებლობა“ (ე. მეტრეველი)⁶⁸: „მონასტრის მშენებლობა იმ სახით, როგორც ის შემდეგ იყო ცნობილი, დაიწყო XI საუკუნის პირველ მეოთხედში საბაწმიდელმა მოღვაწემ გიორგი-პროხოურე შავშელმა, ცნობილი ათონელი მოღვაწეების ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების ინიციატივითა და მეფე ბაგრატ მეოთხის დახმარებით“ (ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი)⁶⁹.

როგორც დამოწმებული ციტატებიდან ჩანს, მეკლევარნი პროზორეს უკავშირებენ ექვთიმე ათონელს (955—1028), მას მიიჩნევენ ჯერის მონასტრის მშენებლობის ინიციატორად და მშენებლობასაც ამის მიხედვით ათარილებენ. რა შუაშია ექვთიმე ათონელი? რა კავშირშია იგი პროზორესთან ან ჯერის მშენებლობასთან?

აღსანიშნავია, რომ ჯერის მონასტრის მშენებლობის ინიციატორად და გიორგი-პროზორეს აღმზრდელად ექვთიმე ათონელს სხვა მეკლევარნიც მიიჩნევენ. პირველად ეს აზრი ა. ცაგარელმა გამოთქვა⁷⁰: შემდეგ იგი უწყომანოდ მიიღო და გაიმეორა ბევრმა მეცნიერმა⁷¹. რამდენად სწორია ექვთიმეს მიჩნევა პროზორეს აღმზრდელად? რა მასალა მოგვეპოვება ამ საკითხზე?

პროზორეს აღმზრდელად თუ მოძღვრად წყაროებში რამდენიმე პირია დასახელებული (არსენი, იოანე, ექვთიმე). განვიხილოთ წყაროთა ჩვენება.

პროზორეს ბიოგრაფის ცნობით, წყაროსთვის საგანეში პროზორე „დაემოწაფა მოძღუარსა სულიერსა, რომელსა ეწოდა არსენი და მის მიერ შეიმოსა სახე მონაზონებისაჲ“. ამავე არსენის ხსენება გვხვდება პროზორეს ანდერძ-მინაწერებშიც. მაგალითად, შეიძლება დავიმოწმოთ პროზორეს შემდეგი მინაწერი: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროზორე, სახელად ოდენ მღვდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომელთა შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღმწებად წმიდასა ამას ცხოველსმყოფელისა ჭუარისა ადგილსა და თანა მოვებად წმიდათა ამათ წიგნთა თარგმანთა სახარებისათა... სალოცველად ღვთიე შემკობილისა, ყოველთა მნათობისა, წმიდისა მამისა, მოძღურისა ჩემისა სულღიდებულისა არსენის სულისათვს და... სულსა მშობელთა ჩემთასა იოვანესა და... სულიერთა ძმათა ჩემთათვს, და ყოველთა სულიერთა შჯლთა ჩემთათვს იოვანე, და არსენი, და მიქელისტვს, რომელმან დაწერა ესე“⁷².

ანალოგიური მინაწერი იპოვა ნ. მარმა ჯერის მონასტრის სახარების თარგმანების ერთ-ერთ ფურცელზე, მხოლოდ იქ მინაწერის უკანასკნელი სტრიქონები რამდენადმე განსხვავებული სახით იყო წარმოდგენილი: „... სალოცველად სულისა ჩემისა და ღმერთშემოსილისა წმიდისა მამისა და მოძღურისა ჩემისა არსენის სულისათვს, და ღმერთშემოსილისა მოძღურისა ჩემისა იოვანე სინელისათვს და მშობელთა ჩემთა სულისათვს — იოვანე⁷³ა და რიანუშისსა“⁷³.

როგორც ვხედავთ, დამოწმებულ სიტყვებში პროზორე არსენთან ერთად მოძღვრად იოანე სინელსაც იხსენიებს. არ ჩანს, რომ პროზორეს მოძღვარი არსენი ცნობილი მოღვაწე არსენ ნინოწმიდელი იყოს, როგორც ეს ა. ცაგარელს ეგონა⁷⁴, არც ერთ წყაროში. რომელიც უზემოთ დავიმოწმეთ, პროზორეს მოძღვარი ნინოწმიდელად არ იხსენიება. მართალია, ქრონოლოგიური თვალსაზრისით თითქოს აქ შეუძლებელი არაფერი ჩანს, მაგრამ დასკვნაიათვის რეალური საფუძველი არ იძებნება⁷⁵. ვარკვევით ვერც იოანე სინელზე ვიტყვით რამეს. ვარაუდი იოანე სინელის საბაწმიდაში მოღვაწეობისა და იქ პროზორესთან ურთიერთობის შესახებ, სარწმუნოდ არ გვეჩვენება⁷⁵.

დაუბრუნდეთ ექვთიმე ათონელის საკითხს. ეფიქრობთ; არა გვაქვს არავინ

თარი საფუძველი იმისათვის, რომ ექვთიმე ათონელი გიორგი-პროხორეს მასწავლებლად და ჯვრის მშენებლობის ინიციატორად მივიჩნიოთ, რადგან არც ექვთიმეს ბიოგრაფი, რომელიც ზუსტად და დეტალურად გადმოგვცემს ექვთიმეს თავგადასავალს, და არც სხვა წყარო არავითარ ცნობას არ გვაწვდის ექვთიმეს პროხორესთან ან ჯვართან ურთიერთობის შესახებ. საფიქრებელია, მკვლევართა შეცდომა გამოიწვია ერთი ხელნაწერის ცნობამ: ჯვარი ააშენა „მამამან პროხორჲ, ბრძანებითა და მოღვაწეებითა კურთხეულისა კაცისა, მამისა ეფთჳმენითა“⁷⁶. ეს ექვთიმე უნდა იყოს არა ათონელი, არამედ წყაროსთაველი მოღვაწე, ექვთიმე გრძელნი⁷⁷.

ექვთიმე ათონელის საკითხი იმიტომ იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს, რომ, როგორც ვნახეთ, მას უკავშირებენ ჯვრის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის წამოწყების თარიღსაც. მაგრამ, რადგან ეს საკითხი იხსნება, დამოწმებულ დათარიღებასაც საფუძველი ეცლება. საჭიროა დათარიღებისათვის სხვა საბუთების დაძებნა.

ყურადღებას იპყრობს ძველ ხელნაწერებში შემონახული რამდენიმე ცნობა, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება ჯვრის მონასტრის მშენებლობის მიახლოებით დათარიღება.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ პროხორეს ერთი მინაწერი, რომელიც ზემოთ რამდენჯერმე დავიმოწმეთ (იხ., მაგალითად, გვ. 70). იგი საფიქრებელს ხდის, რომ 1038 წელს ჯვრის ტაძრის მშენებლობა უკვე მიმდინარეობდა; საინტერესოა ჩვენება იმ ცნობილი ხელნაწერისა, რომელიც ამჟამად ლონდონშია დაცული (Addit. № 11281). მისი გადამწერის — შავი იოანეს ანდერძით საფიქრებელი ხდება, რომ 1042 წლისთვის მთავარი ტაძრის მშენებლობა დამთავრებული იყო⁷⁸; ვფიქრობთ, ამასვე უნდა ამოწმებდეს იოანე დვალის ანდერძი 1055 წლისა⁷⁹, თორემ მონასტრის სხვა ნაგებობათა მშენებლობა, როგორც ვნახეთ, გიორგი ათონელის იერუსალიმში ყოფნისას, ე. ი. 1056 წელსაც⁸⁰ გრძელდებოდა; „პროხორეს ცხოვრებით“, პროხორეს ჯვრის საეკლესიო ყოფნისას დასრულდა მონასტრის მშენებლობა (მან „აღაშენაო და განასრულა და შეამკო ეკლესიაჲ ყოვლითა სამკაულითა“). 1065 წლიდან პროხორე ჯვარში არ ჩანს, ე. ი. მონასტრის მშენებლობა 1056—1065 წლებში დამთავრებულია.

ამრიგად, გიორგი-პროხორემ XI საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო ჯვრის მონასტრის მშენებლობა, ხოლო დაამთავრა იგი 50-იანი წლების მიწურულსა თუ 60-იანი წლების დამდეგს.

ახლად დაარსებულ საეკლესიო მალე თავი მოიყარა ქართველ მოწესეთა მრავალი ცხოვანმა ჯგუფმა. მათ შორის ბევრი მწიგნობარი იყო. ზოგიერთი მათგანი ადრე სხვაგან მოღვაწეობდა, ახლა ჯვარში გადასახლდა და იქ გააგრძელა მწიგნობრულ-ლიტურატურული საქმიანობა. ჯვარში გაჩაღდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც მეტწილად ხელნაწერთა გამრავლებასა და კრებულების შედგენაში გამოიხატებოდა⁸¹.

ჯერის მონასტერში წამოწყებული მრავალმხრივი შემოქმედებითი მუშაობის მოთავე პროზორე იყო. იგი იყო ნაყოფიერი მწიგნობარი, ხელნაწერთა ჯამრავლების ინიციატორი, თანამოღვაწეთა შორის სამუშაოს განმანაწილებელი და ა. შ.

პროზორემ გარს შემოიკრიბა მწიგნობრები (იოანე დვალი, მიქაელ დვალი, შავი იოანე და სხვ.), ლიტერატურულ საქმიანობაში ჩააბა არა მხოლოდ ჯერის ბინადარნი, არამედ სხვა საგანეთა ქართველი მოღვაწენიც. მაგალითად, 1038 წელს საბას ლავრაში მიქაელ ჩიხუარელს, რომელიც მიქაელ დვალის შემწეობით მუშაობდა, დაამზადებინა ერთი საყურადღებო ხელნაწერი. გადამწერის ანდერძით, რომელიც ჩვენ საბაწმიდაზე საუბრისას უკვე დავიმოწმეთ, ცხადი ხდება, რომ იგი გადაწერილია „ბრძანებითა შავმემოსილისა წმიდისა მამისა... გიორგი ჯვარელი-სადათა“⁸². საგულისხმოა, რომ გიორგი-პროზორე აქ ჯვარელად იწოდება, რაც საფიქრებელს ხდის, რომ იმ დროს ჯვარი, — როგორც ქართული საგანე, — უკვე არსებობდა. ამასვე ადასტურებს პროზორეს მინაწერი მაუწყებელი იმისა, რომ აღნიშნული ხელნაწერი მან შესწირა მის მიერვე აშენებულ ჯვარს⁸³. ზემოთ ვნახეთ, რომ 1038 წელს ჯვარი დასრულებული არ იყო, მისი მშენებლობა კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა, მაგრამ ეს მიქაელ ჩიხუარელისა და პროზორეს სიტყვებს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ იმას მოწმობს, რომ ამ დროს ჯერის მშენებლობა წამოწყებული იყო და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პროზორე უკვე საფუძველს უყრიდა მის წიგნსაცავს, ზრუნავდა ახალი ხელნაწერების დამზადებაზე და საბაწმიდელებსაც კი აძლევდა დავალებას.

კიდევ უფრო ნაყოფიერად მუშაობდნენ პროზორეს თანამოღვაწენი, რომლებიც მის დავალებას ჯერის მონასტერში ასრულებდნენ. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავიმოწმოთ მოზრდილი კრებული, რომელშიც შესულია გრივოლ ლეთისმეტყველის, ბასილ დიდისა და სხვათა თხზულებანი (Jer. № 14)⁸⁴. მისი ანდერძი ასე იკითხება: „დაიწერა და გასრულდა წმიდაჲ ესე წიგნი... მონასტრისათჳს ჟუარისა, რომელი აღაშენა წმიდამან მამამან პროზორც, ბრძანებითა და მოღუაწებითა კერთხელისა კაცისა, მამისა ეფთჳმესითა... ჳელითა უღირსისა ბერისა იოანე დვალისადათა და შვილისა ჩემისა კერთხელისა მიქაელისითა“⁸⁵. ოდნავ ქვემოთ იგივე იოანე დვალი გვამცნობა, რომ ხელნაწერი დამზადდა 1055 წელს.

პროზორეს დავალებითვე იოანე დვალმა დაამზადა თვენი დეკემბერ-თებერვლისა (Jer. № 36 ა. ცაგარლით). შემონახულია მისი ანდერძი, რომელიც გვაწვდის რამდენსამე საინტერესო ცნობას: „განსრულდა ესეცა წიგნი სამი თთჳშ დეკემბერი, იანვარი და თებერვალი ბრძანებითა და მოღუაწებითა ლმერთმემოსილისა მამისა და მოძღურისა გიორგი-პროზორესითა... ლოცჳსა მომიჳსენეთ ცოდვილი უცბად მჩხრეკელი იოანე დვალი... შეიმოსა ჳელითა კერთხელისა მისა ნისთერეონისითა“⁸⁶.

როგორც მოტანილი ანდერძიდან ჩანს, ხელნაწერის მომგებელი გიორგი-პროზორეა, გადამწერი — იოანე დვალი, შემმოსველი — ნისთერეონი. აღნიშ-

ნული ხელნაწერის მნიშვნელობა ერთობ დიდია. საინტერესოა მისი ისტორიაც. პირველი ცნობა მასზე გამოაქვეყნა ა. ცაგარელმა⁸⁷. ნ. მარმა და რ. ბლეიკმა ხელნაწერი იერუსალიმში ველარ ნახეს (ჩანს, 1883 წლის შემდეგ იგი გაიტანეს იერუსალიმიდან). შემდეგ ევროპაში ნახა ე. თაყაიშვილმა⁸⁸, უფრო გვიან მოხვდა ვაშინგტონში. ცნობები მის შესახებ გამოაქვეყნა რ. ბლეიკმა⁸⁹. დ. ლანგის დახმარებით მიკროფილმი მიიღო, ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი შეისწავლა და სათანადოდ შეაფასა ე. კეკელიძემ⁹⁰. მეცნიერის დასკვნით, ხელნაწერი წარმოადგენს ნაწილს ქართული ჰიმნოგრაფიული თვენის დღემდე უცნობი რედაქციისა, რომელიც გარდაამავალი საფეხურია IX—X სს. იადგარებიდან გიორგი ათონელის თვენის რედაქციამდე (ამავე რედაქციისა მარტ-აგვისტოს ტექსტები, რომლებიც დაცულია ჯვრის მონასტრისავე ხელნაწერებში — H №№ 2336, 2337, 2339; Jer. № 42). როგორც ჩანს, ეს უცნობი რედაქცია აწესრიგებდა საღვთისმსახურო პრაქტიკას ჯვრის მონასტერში პროხორეს გარდაცვალებამდე. მართალია, როგორც გიორგი ათონელის ბიოგრაფი გვამცნობს, პროხორეს ადრევე ჰქონდა სურვილი ჯვრის მონასტერში ახალი წიგნების დამკვიდრებისა, მაგრამ მაშინ ეს არ მოხერხდა, რადგან გიორგი ათონელს თავისი სამუშაო დამთავრებული არ ჰქონდა. გიორგი მცირის ცნობით, პროხორე გიორგი ათონელს „უვედრებოდა, რაათა პირველა ნაყოფი წმიდათა წიგნთა მისთაჲ ცხოველსმყოფელსა ჯუარსა მიაჩიჳოს, რომელი იგი დაღატათუ მაშინ ვერ იქმნა, ხოლო უკუნაჲსკნელ შემდგომად პროხორეს მიცვალებისა მოწაფეთა მისთა ნებაჲ მისი აღასრულეს და სათუფონი და მარხვანი წმიდასა მას მონასტერსა დასხნეს“⁹¹.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პროხორე მონასტრის დაარსებისთანავე ზრუნავდა არა მხოლოდ ცალკეულ თხზულებათა გადაწერაზე, ახალი ხელნაწერების დაშვადებაზე, არამედ პალესტინის გამოჩენილ მოღვაწეთა „ცხოვრებათა“ კრებულის შედგენაზე. სწორედ მისი თაოსნობით გაჩნდა „პალესტინის პატრიოკის“ ქართული ნუსხა, რომელიც ლონდონშია დაცული (Addit. № 11281)⁹². მასში შემავალი აგიოგრაფიული ძეგლები გამოაქვეყნეს ა. ხახანაშვილმა („ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდათა მამათაჲ სტეფანსისი და ნიკონისი“)⁹³, ე. კეკელიძემ („ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდისა იოვანე ურჰაელისა“, „ცხოვრებაჲ და განგებაჲ იოვანე ეპისკოპოსისა შეყენებულისაჲ, რომელი დაყუდებულ იყო ლავრასა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსა“, „ცხოვრებაჲ ნეტარისა ჩუენისა საბაჲსი“)⁹⁴, ე. გარტიმა („ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა კკრიაკოზისი პალავრას, რომელი მარტოდმყოფ იყო — დიდისა მამისა ჩუენისა წმიდისა ეფთჳმის მოწაფე“⁹⁵, „ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა უდაბნოჲსა მთიებისა და მონაზონთა მოძღუარისა ეფრემისი“⁹⁶). ვ. იმნაიშვილმა 1970 წელს დაბეჭდა ერთი თხზულების ტექსტი⁹⁷, ხოლო 1975 წელს ვრცელი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოაქვეყნა აღნიშნულ ხელნაწერში დაცული ყველა თხზულება (მათგან შვიდი პირველად)⁹⁸. ამ უკანასკნელმა პუბლიკაციამ კიდევ უფრო სრულად და დამაჭრებლად წარმოაჩინა ლონდონის ხელნაწერის ღირსება და მნიშვნელობა.

როგორც ხელნაწერის შემონახული ანდერძ-მინაწერებიდან ირკვევა, იგი დაუმზადებია შავ იოანეს „ზრძანებითა და ლოცვითა წმიდისა მამისა, სულიერისა მოძღურისა პროხოვისითა“. გადამწერი გვაუწყებს: „გაეასრულე და შეემოსე და დავდე წმიდას ამას ადვილსა ჭუარისასა, რომლისა შენებასა თანა ვშავდებოდე“. ჩანს, ხელნაწერი მან ჯერის მშენებლობის პროცესში დამაზადა. ხელნაწერის დამზადების ზუსტი თარიღის დადგენა ძნელდება, მაგრამ ააგულისხმობა, რომ შავი იოანე თანამედროვედ იხსენიებს იმპერატორ მიხეილს. ეს უკანასკნელი უნდა იყოს ან მიხეილ IV (1034—1041) ან მიხეილ V (1041—1042). ეს გარემოება საფიქრებელს ხდის, რომ შავი იოანე ამ კრებულზე მუშაობდა 1034—1042 წლებში, — ე. ი. მაშინ, როდესაც გიორგი-პროხოვე მონასტერს აშენებდა.

ასეთივე ინტერესით ეკიდებოდა პროხოვე ჰიმნოგრაფიულ კრებულებსაც. საგულისხმოა მისი მინაწერი პარაკლიტონზე (Jen. № 48): „მე, გლახაკან პროხოვე, მოვიგე წმიდანნი ესე წიგნი სულთა განმანათლებლნი პარაკლიტონი და შეექმენ ორ თავად სისუბუქისათვის, რამეთუ პირველ აღმწერელსა ამისა რვანივე კმანი ერთად შეემოსნეს და მე გავეყე და ორ წიგნად შეექმენ და დავსხენ წმიდასა ეკლესიასა ჭუარისასა“⁹⁹. როგორც ჩანს, პროხოვე ზრუნავდა არა მხოლოდ ძველი ტექსტების შემცველი ხელნაწერების გამრავლებაზე, არამედ ხელნაწერთა ფორმაზეც. ვგონებ, მისივე მოგებული უნდა იყოს თვენი (Jen. № 42)¹⁰⁰, რომელიც „ახალი საწელიწდო იადგარის“ ტიპის კრებულს წარმოადგენს¹⁰¹.

პროხოვე მის მიერ დამზადებულსა თუ მოგებულ ხელნაწერს ჯვარს სწირავდა და ამით საფუძველს უყრიდა იქაურ წიგნსაცავს. მისი თანამედროვენი საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ პროხოვემ „ჯუარსა შინა დასხნა ყოველნივე შეუნიერნი და კეთილნი წიგნი საღმრთონი“¹⁰².

როგორც ჩანს. პროხოვე თვითაც იღებდა უშუალო მონაწილეობას ხელნაწერთა დამზადებაში.

ინგლისში (ბოლღეს წიგნსაცავში) ინახება მოზრდილი კრებული, რომელშიც ჯერ წარმოდგენილია მამათა „ცხოვრება-წამებანი“ („წამებაჲ წმიდისა კონონისი და ძისა მისისაჲ“, „წამებაჲ წმიდისა მიქელისი, რომელი იყო ლავრასა დიდსა წმიდისა მამისა ჩუენისა საბამსსა“, „წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი“ და სხვ.), ხოლო შემდეგ დედათა („ცხოვრებაჲ წმიდისა და ნეტარისა დედისა თეოდორაჲსი“, „ცხოვრებაჲ წმიდისა და ნეტარისა დედისა მარიამ მეგკატეღლისაჲ“, „ცხოვრებაჲ წმიდისა პელაგიაჲსი“, „ცხოვრებაჲ ნეტარისა დედისა ნსიუმესი“ და სხვ.)¹⁰³. მართალია, აქა-იქ არის აღრევა, მაგრამ ძირითადად მაინც ჯერ მამათა, ხოლო შემდეგ დედათა შესახები ტექსტებია. მეორე ნაკვეთის წინ ერთგვარ გამყოფად იკითხება: „ცხოვრებანი წმიდათა და სანატრელთა მოწესეთა და მოღუაწეთა დედათანი“¹⁰⁴. აგიოგრაფიულ კრებულთა ნაწილებად დაყოფა, პირველად პატერიკის, ხოლო შემდეგ მატერიკის წარმოდგენა უჩვეულო არ ყოფილა ჩვენში¹⁰⁵. დასახელებული ხელნაწერიც ამ ტიპის კრებულს წარმოადგენს. მის

ანდერძ-მინაწერებში მამა და მოძღვარი გიორგი-პროხორე რამდენჯერმე იხსენიება. ვანსაკუთრებით საინტერესოა ერთი ანდერძი, რომელიც ზემოთაც დავიმოწმეთ: „ღირს მყო ღმერთმან მე, გლახაკი პროხორე დაწერად ამის სულთა განმანათლებელისა წმიდათა მოწამეთა წიგნისა და ვავასრულე და შევემოსე და დავდე ნებითა ღუთისაჲთა და შეწევითა ყოველთა წმიდაჲთა ჩემ მიერ აღმშენებულსა ეკლესიასა წმიდისა ჭუარისასა“¹⁰⁶. დამოწმებული ანდერძით პროხორე დამწერად და შემომოსვლადაც კი გვევლინება¹⁰⁷. პროხორეს გადაწერილად მიიჩნევენ მრავალთაგანს იმ ფურცლებს, რომლებიც დაცულია ლაიფციგში¹⁰⁸. ინგლისსა და გერმანიაში შემონახული მასალა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჭერის მონასტრის დამაარსებელი არა მარტო ხელნაწერთა მომგებელი და იქაური წიგნსაცავის დამფუძნებელი იყო, არამედ გაწაფული კალიგრაფიც.

ამრიგად, ჭერის მონასტერში ვახშირდა ხელნაწერთა გამრავლება. გარდა დასახელებულისა, ცნობილია კიდევ რამდენიმე ხელნაწერი, რომელიც ჭვარში დამზადდა პროხორეს სიცოცხლეში. შეიძლება დავიმოწმოთ. მაგალითად, გაბრიელ საყვარელის მიერ 1061 წელს „მონასტერსა წმიდისა ჭუარისასა, მამობასა გიორგისასა“ გადაწერილი პარაკლიტონი (Sin. № 17)¹⁰⁹, მის მიერვე გადაწერილი (1062 წ.) ოთხთავი (Sin. № 16)¹¹⁰, რომელიც „სალოცველად სულისა მოძღურისა გიორგი-პროხორესსა და მამისა გიორგისა“ მოუგია ჭერის დეკანოზს დანიელს¹¹¹, და სხვ.

ხელნაწერთა გამრავლება და ზოგჯერ ორიგინალურ-შემოქმედებითი საქმიანობაც შეინიშნება პროხორეს გარდაცვალების შემდგომ ხანაშიც. მაგალითად, მიქაელ დვალმა, რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ როგორც ხელნაწერთა (M №№ 13; Jer. № 14) დამზადების მონაწილე, პროხორესა გარდაცვალებიან შემდეგ გადაწერა ეამნი (Jer. № 143).¹¹²

XI საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწე უნდა იყოს ის უცნობი ქართველი მწიგნობარი, რომლის კალამს ეკუთვნის ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებული „პროხორეს ცხოვრება“. ამ ძეგლის მნიშვნელობა პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიისა და იერუსალიმელ ქართველთა კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის შესასწავლად ძალზე დიდია. არსებითად იგია უპირველესი და უსრულესი წყარო ჭერის მონასტრის აღმშენებლის — პროხორეს ბიოგრაფიის შესასწავლად. მართალია, როგორც ვნახეთ, ცნობები პროხორეზე სხვა წყაროებშიც გვხვდება, მაგრამ სვინაქსარული „ცხოვრების“ მნიშვნელობა განსაკუთრებულია. არსად, არც ერთ წყაროში ასე დწვრილებით არაა მოცემული პროხორეს ბიოგრაფია. ასე რომ, უცნობი ავტორის ნაწარმოები მრავალმხრივ საყურადღებო პირველწყაროა. ამ თხზულებას ათარიღებენ 1066—1155 (დ. ყიფშიძე)¹¹³, XI საუკუნის 70—80-იანი (ე. მეტრეველი)¹¹⁴, 1066—1070 წლებით (ე. გაბიძაშვილი)¹¹⁵. ეს უკანასკნელი ვარაუდი უფრო შესაწყნარებელი ჩანს. დაწერილია იგი არა საქართველოში¹¹⁶, ან არნონის უდაბნოში¹¹⁷, არამედ, — როგორც ე. გაბიძაშვილმა გაარკვია, — ჭერის მონასტერში¹¹⁸.

XI საუკუნის მეორე ნახევარში, 1066 წლის ახლოს, ჯვრის მონასტერში დამზადდა სვინაქსარი Jer. № 24—25, რომელიც ცნობილია როგორც ალაპებით, ისე ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარული „წამება-ცხოვრების“ ტექსტებით. იგი გადაწერილია ჯვრის კრებულისათვის; მასში ადრევე შეიტანეს „პროხოზრეს ცხოვრება“ და პირველი ალაპი. შემდეგ იგი მონასტრის საალაპე წიგნად იქცა¹¹⁹. გვიან ხანაში (XIV ს.) მასში შეიტანეს სხვა ქართველ მოღვაწეთა — ლუკასა და ნიკოლოზის სვინაქსარული „წამებანიც“¹²⁰.

ახლად აღმოცენებულ სავანეში ინტენსიურად გაშლილი მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად პროხოზრეს მიერ დაარსებული წიგნსაცავი სწრაფად გაიზარდა. საგულისხმოა, რომ იგი მდიდრდებოდა არა მხოლოდ ადგილზე, — ჯვრის სავანეში, — გიორგი-პროხოზრეს, იოანე დვალის, შავი იოანესა და სხვათა მიერ დამზადებული ხელნაწერებით, არამედ სხვა ქართულ კერებში გადაწერილი წიგნებითაც. ჯვრის მონასტრის შესწირეს ხელნაწერები კალიპოსელებმა¹²¹, საქართველოში მოღვაწე მწიგნობრებმა¹²² და სხვ.¹²³ ჯვრის ხელნაწერთა კოლექცია ამჟამად ძირითადად იერუსალიმშია, ნაწილი კი ინახება სინის მთაზე (Sin. №№ 16, 17), თბილისში (A № 1347; H №№ 1661, 2336, 2337, 2339; Q № 84), ქუთაისში (K № 25), ლენინგრადში (P № 3, M № 13, K № 4, E № 16, H № 18), ვენაში¹²⁴, პარიზში¹²⁵, ლონდონში (Addit. № 11281), ოქსფორდში¹²⁶, ვაშინგტონში¹²⁷ და სხვ.

ამრიგად, ჯვრის მონასტერი დაარსებისთანავე იქცა ქართველ მწიგნობართა მნიშვნელოვან საკრებულოდ, ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის კერად. ჯვევ პროხოზრეს წინამძღვრობის პერიოდში გაჩაღდა იქ ლიტერატურული საქმიანობა, რომელიც წარმატებით გრძელდებოდა მრავალი წლის მანძილზე, რასაც თვალნათლივ წარმოაჩენს და ადასტურებს იქაურ ხელნაწერთა კოლექცია. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც შესამჩნევია, რომ იერუსალიმელ ქართველთა შემოქმედებითი მუშაობა რამდენადმე შეზღუდული იყო. ჯვრის სავანე ძირითადად კალიგრაფთა კერას წარმოადგენდა; ის ადრინდელ ქართულ სავანეებს, რასაკვირველია, საგრძნობლად ჩამორჩებოდა. საერთოდ პალესტინელ ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა ძველებური (VIII—X სს.) მასშტაბისა და გაქანებისა აღარ იყო. ქვემოთ ვნახავთ, რომ გიორგი-პროხოზრეს მომდევნო ხანაში იერუსალიმელი ქართველები ეკონომიკურად და უფლებრივად ძლიერდებიან, სავანეთა რიცხვი იზრდება და მწიგნობრები განაგრძობენ ლიტერატურულ საქმიანობას, მაგრამ პალესტინის ქართულ კოლონიას მაინც აღარ ძალუძს ძველი დიდების შენარჩუნება. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, მაჰმადიანურ გარემოცვაში მომწყვედეული იერუსალიმის მოწყვეტა ბიზანტიის კულტურული ცენტრებისაგან, მეორე მხრივ, ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის გაცხოველება, რასაც შედეგად მოჰყვა საკუთრივ ბიზანტიის ტერიტორიაზე, თუ მისი გავლენის სფეროში ქართული სავანეების აღმოცენება და იქ ქართველთა შემოქმედებითი ცენტრების გადანაცვლება¹²⁸.

მიუხედავად იმისა, რომ პალესტინის, კერძოდ, იერუსალიმის ქართულ კოლონიას აღარ ჰქონდა ძველებური დიდი კულტურული მნიშვნელობა, ქართველ მოღვაწეთა სწრაფვა იქაური სავანეებისაკენ მაინც შესამჩნევი იყო. საგულისხმოა, რომ მგზავრობის საშუალება, პოლიტიკური არეულობა და გაუთავებელი ბრძოლა, რასაც ადგილი ჰქონდა მრავალი წლის მანძილზე, ვერ აფრთხობდა ქართველ პილიგრიმებს. ვერ ანელებდა ქართველთა ინტერესს იერუსალიმისადმი.

პროხოროს მომდევნო ხანაში იერუსალიმელ ქრისტიანთა მდგომარეობა შეიცვალა. ახლო აღმოსავლეთში მომძლავრდნენ თურქ-სელჩუკები, რომელთაც დაიმორჩილეს მთელი რიგი კულტურული ხალხები შუა აზიიდან ვიდრე პალესტინამდე¹²⁹. მათ ეგვიპტის სახალიფოს წარათვის სირია-პალესტინაც¹³⁰. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს თურქ-სელჩუკებმა მელოქ-შაჰის (1072—1092) დროს: 1071 წელს დაიკავეს იერუსალიმი, 1084 წელს — ანტიოქია, 1087 წელს — ედესა. ქრისტიანთა მდგომარეობა სირია-პალესტინაში საერთოდ და კერძოდ — იერუსალიმში გაუარესდა. ქრისტიანულ სავანეთა არსებობა საკმაოდ გაძნელდა¹³¹. მაჰმადიანთა ნიერ დაწესებულმა სასტიკმა რეჟიმმა აღაშფოთა ქრისტიანული საზოგადოებრიობა, იერუსალიმის ბედმა შეაშფოთა დასავლეთი ევროპა. აღმოსავლეთში დაიწყო სამხედრო-კალონიზატორული ლაშქრობა, რომელიც ჯვაროსანთა ლაშქრობის სახელითაა ცნობილი. რასაკვირველია, მისი გამომწვევი მიზეზი მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანთაგან განთავისუფლების სურვილი და კათოლიკურ ეკლესიის მიერ გაღვივებული ფანატიზმი არ იყო, იგი იმდროინდელი ევროპის მეტად რთულ სოციალ-ეკონომიკურ ვითარებაში მდგომარეობდა¹³².

დასავლეთ ევროპაში X—XI საუკუნეებიდან მკვეთრად იჩინა თავი კალონიზატორულმა ტენდენციამ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალი მიწების დაპყრობას; ძველის გადანაწილებას. შექმნილმა ვითარებამ დასავლეთი ევროპა ახლო აღმოსავლეთისაკენ მოახდინა და მას მაჰმადიანთა პყრობილებაში მყოფი მიწების განთავისუფლებისა და ამ მიწების მიტაცების სურვილი გაუღვიძა. თუ მსხვილ ფეოდალებს ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიის ხელში ჩაგდებისა და ზღაპრული სიმდიდრის მოპოვების სურვილი იზიდავდათ, ქალაქებს სავაჭრო ინტერესი ამოძრავებდათ, ხოლო გლეხებს თავისუფლების მოპოვების იმედი აღაფრთოვანებდათ. ეკლესიამ ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანთაგან განთავისუფლება ღვთის სასურველ საქმედ გამოაცხადა. და აი, დაიწყო დიდი მოძრაობა, დაიძრა ხალხმრავალი ტალღა¹³³.

1096 წელს დაიწყო ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა.

1098 წელს მაჰმადიანთაგან განთავისუფლდა ედესა, დაარსდა ედესის საგრაფო. იმავე წელს შეიქმნა ანტიოქიის სამთავრო, რომელსაც განაგებდა ბოჰემუნდ ტარენტელი.

1099 წელს ჯვაროსნებმა გააფთრებული ბრძოლებით აიღეს იერუსალიმი. ამას მოჰყვა მაჰმადიანთა შეუწყალბელი ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა, რამაც ახლო აღმოსავლეთის მთელი მოსახლეობა აღაშფოთა¹³⁴. შეიქმნა იერუსალიმის სამეფო,

რომელიც მოიცავდა პალესტინასა და სირიის ნაწილს; ნომინალურად მას ემორჩილებოდა სამი ვასალური სახელმწიფო (ტრიპოლის საგრაფო, ანტიოქიის სამთაფრო, ედესის საგრაფო). ახალ სამეფოს სათავეში ჩაუდგა გოტფრიდ ბულონელი (1099—1100).

იერუსალიმის სამეფო დასავლეთ ევროპის მძლავრ კოლონიას წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთში. იქ დამკვიდრებულ ჯვაროსანთა შორის მრავლად იყვნენ ფრანგები, რის გამოც გაბატონებულ დამპყრობლებს ხშირად ფრანკებს უწოდებდნენ.

იერუსალიმის სამეფოში შეიქმნა სასულიერო-რაინდული ხასიათის ორდენები: ტრამპლიერების ანუ ტაძრის რაინდებისა (1118 წ.), იოანიტების ანუ ჰოსპიტალიერებისა, ტევტონური (XII ს. დამლევს) და ა. შ. ორდენის წევრებმა იკასრეს იერუსალიმელ ქრისტიანთათვის დახმარების აღმოჩენა¹³⁵. ისინი, — თვლიდნენ რა თავს ქვეყნის ბატონ-პატრონებად, — დაუფლნენ იერუსალიმისა თუ მისი მადამოების ეკლესია-მონასტრებს და ძველ მესაკუთრეთა გამგებლობაში მხოლოდ რამდენიმე სავანე დატოვეს, მათ შორის, ჯვრის მონასტერი.

„В Иерусалиме, где до толе у латин, кроме храма Марии Латинской. и госпиталя и библиотеки при оном. ничего не было со времени завоевания ими этого города, их собственностью сделались почти все христианские храмы и монастыри, со всеми принадлежавшими к ним святыми местами, землями и угодьями. То же самое было и в других местах Палестины. Православным были оставлены лишь менее замечательные храмы, да отдаленные монастыри, находившиеся по большей части в труднопроходной, каменистой и раскаленной пустыне Иудейской, близ Иордана... В ближайших окрестностях Иерусалима и самом городе православным принадлежали только Крестный монастырь (грузинский), монастырь св. Мелании, называемый иначе „Великая Панагия“ (греческий) и метох или подворье монастыря св. Саввы“¹³⁶.

როგორც დამოწმებული ცნობიდან ჩანს, ჯვრის მონასტერი გადაურჩა ლაიონებს. ეს განაპირობა არა მხოლოდ ამ მონასტრის იერუსალიმის გარეთ მდებარეობამ, არამედ საქართველოს პოლიტიკურმა აღმავლობამ და ჩვენი წინაპრების თავგანწირულმა ბრძოლამ მაჰმადიანთა წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა თურქ-სელჩუკთა თუ სხვათა ძალების შესუსტება და საქართველოს ავტორიტეტის ზრდა საერთაშორისო არენაზე.

ჯვაროსანთა პირველმა ლაშქრობამ გარკვეული გავლენა მოახდინა ქართველთა ცხოვრებაზე როგორც იერუსალიმში, ისე საკუთრივ საქართველოში. მას უთუოდ დიდი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის¹³⁷. შემთხვევითი არაა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მაჰმადიანთაგან იერუსალიმისა და ანტიოქიის განათვისუფლების აღნიშვნის შემდეგ უშუალოდ ნოგაი-თხრობს ჩვენი ქვეყნის გაძლიერებაზე: „გამოვიდეს ფრანგნი, აღილეს იერუსალე-

მი და ანტიოქია, და შეწყვენითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა. განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა. და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს¹³⁸.

ჯვაროსანთა წარმატებამ ხელი შეუწყო დავით აღმაშენებლის გაძლიერებას, ხოლო, თავის მხრივ, ქართველთა ბრძოლა მაჰმადიანურ სამყაროსთან ჯვაროსნებისათვის მხარდაჭერასა და დახმარებას წარმოადგენდა. საგულისხმოა ფრანგი გოტიეს აღტაცება დიდგორის ომში (1121 წ.) ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების გამო¹³⁹. მართლაც, დიდგორის ომში ქართველთა გამარჯვება ჯვაროსნებისათვის დახმარების გაწევასაც ნიშნავდა. საქართველოს გამარჯვება ვანმთავისუფლებელ ომში, რომელსაც თურქ-სელჩუკთა ძალების შესუსტება მოჰყვა, ხელს უშარბათავდა ჯვაროსნებს ახლო აღმოსავლეთში. ამიტომაც ჯვაროსანთა თავკაცები საქართველოს თავის მოკავშირედ მიიჩნევდნენ. და მასთან უშუალო კონტაქტის დამყარებასა და დაახლოებას! ცდილობდნენ¹⁴⁰. საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებლის თავგანწირულმა ბრძოლამ მაჰმადიანთა მპყრობილობისაგან სამშობლოს დაცვისა და გაძლიერებისათვის განაპირობა მასზე ლეგენდების შექმნა და გავრცელება ჯვაროსანთა შორის.¹⁴¹

დავით აღმაშენებელი არა მარტო მაჰმადიან მტრებს ებრძოდა, არამედ საერთოდ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახლო აღმოსავლეთს. მას ამოქრავებდა როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო მიზანი — ქართველთა უფლებების დაცვა-წარმოჩენა ე. წ. წმინდა მიწაზე. მისთვის საეგზეთი ნათელი იყო, თუ რაოდენ რიდი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში არსებულ ქართულ კოლონიებს. მემკვიდრის ცნობით. დავითმა „ლაგვანი და საკრებულანი და მონასტერნი არა თვსთა ოდენ სამეფოთა, არამედ ააბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი. მერმეცა ასურეთისა და კპარისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. და მყოფნი იერუსალიმისანი თვთოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა“¹⁴².

ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსანთა ლაშქრობამ და მაჰმადიანთა შევიწროებამ, ერთი მხრივ, და დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს ძლიერებამ და საერთაშორისო ავტორიტეტმა, მეორე მხრივ, განაპირობა იერუსალიმელ ქართველ მოღვაწეთა მდგომარეობის გაუჩივრება. თურქ-სელჩუკთა მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ დარბეული და ნაწილობრივ დანგრეული ჯვრის ტაძარი აღდგა და განახლდა, მოიხატა. ქართველთა სავანეში სამონასტრო ცხოვრება გამოცოცხლდა. ყოველივე ეს იყო ბუნებრივი შედეგი დავით აღმაშენებლის მზრუნველობისა და მშვენიერი დემონსტრაცია საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა.

XII საუკუნის დამდეგიდან მოგვეპოვება ორი არაქართველი მოღვაწის ცნობები ჯვრის მონასტერზე. 1102—1103 წლებში ჯვარი ინახულა, ეკლესია, დაზიანებული სენაკები და მინაშენები დაათვალიერა მოგზაურმა ზეველმა. მის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „Церковь св. Креста находится к западу от Иеруса-

ლიმა, на расстоянии приблизительно миллиария, в том месте, где был вырезан святой крест. Церковь досточтимейшая и красивейшая, но язычники разорили ее, однако не вполне разрушили ее, исключая зданий кругом и келлий¹⁴³; რუსმა მოღვაწემ დანიელ წინამძღვარმა, რომელიც 1106—1108 წლებში იყო იერუსალიმში, ჯვარა ნახა აღდგენილი, განახლებული და მოხატული¹⁴⁴.

საგულისხმოა, რომ დასახელებული მოღვაწენი აღფრთოვანებით წერდნენ ჯვარზე. საგანგებოდ წარმოაჩენდნენ მის სიდიადესა და სილამაზეს (როგორც ჩანს. მნახველთა ყურადღებას იპყრობდა ქართული ტაძრის დიდებული მოხატულობა).

საქართველოდან მიღებული შეწირულებით აღდგენილ-განახლებულ სავანეში მომრავლდნენ ქართველი მოღვაწენი. სამონასტრო ცხოვრების გამოცოცხლების კვალდაკვალ გაიშალა ჯვრის ქართველ მწიგნობართა საქმიანობა, მომრავლდნენ კალიგრაფები, გაგრძელდა ხელნაწერთა დამზადება.

ტრადიციული გადმოცემით, ამ პერიოდში ჯვარში მოღვაწეობდა არა მხოლოდ კალიგრაფთა ჯგუფი. არამედ ისეთი ცნობილი მწერალი და მოაზროვნე, როგორიცაა არსენ იყალთოელი (XI—XII სს.).

ტ. გაბაშვილის ცნობით, „არსენი ვაჩნაძე, კაცი ფილოსოფოსი და მთარგმნელი ღრმათა წერილთა, მოძღვარი დავით აღმაშენებლისა“ ერთხანს ჯვრის მონასტერში ცხოვრობდა. მისივე სიტყვით, „წმიდა მამა არსენი იბადის ძე ქართველი. გვარად ვაჩნაძე, ფილოსოფოსი“ მონასტრის მთავარი ეკლესიის კედელზე იყო გამოხატული¹⁴⁵; თ. ბაგრატიონის ცნობით, არსენ იყალთოელი—„მოძღვარი, აღმზრდელი და მასწავლებელი“ დავით აღმაშენებლისა — „აღზრდილი წმიდისა იერუსალიმია ჯვარის მონასტერსა შინა ქართველთასა“, „განაგებდა იერუსალიმსა ქართველთა მონასტერთა ყოველთავე“. იგი „ჟამად იყოფებოდა წინაშე დავით მეფისა აღმაშენებლისა და ჟამად იერუსალიმად ჯვარის მონასტერსა შინა“. არსენ იყალთოელი ერთხელ „დავით აღმაშენებელმან წარავლინა დიდითა საფასითა და წარსაგებელითა და მრავლითა ძკრფასითა ნივითა იერუსალიმად შესაწირავად წმიდათა მათ აღვილთა. მიიწია ესე, განაახლა და განამშვენიერნა ჯვარის მონასტერი და სხვანი წმინდანი მონასტერნი ქართველთანი და ყოველთა მათ წმიდათა ადგილთა განწმინდირებელი, აღმაშენებელი და შემამკობელი მოიქცა საქართველოდვე“¹⁴⁶.

ტ. გაბაშვილისა და თ. ბაგრატიონის ცნობები საინტერესოა, მაგრამ მათი შემოწმება და დადასტურება ჯერჯერობით შეუძლებელია. ძველ წყაროებში ამ საკითხზე არაერთი საბუთი არ მოიპოვება, ისე კი ზემოდამოწმებული ცნობების შეწყნარება არ შეიძლება¹⁴⁷.

რამდენიმე სიტყვა XII საუკუნის ქართველ კალიგრაფებზე.

ბირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მიქაელ გვირგენისძე (გვირგენისძე ან გურიგენისძე). მის სახელთანაა დაკავშირებული ცნობილ „სწავლათა“ კრებულის („სტოლიერი“) შემცველი ხელნაწერი (A № 1347)¹⁴⁸, რომელიც გვირგი ათონე-

ლის თარგმანის პირველ ნუსხასთან ახლო მდგომი უნდა იყოს. ვადამწერის ანდერძში გვითხულობთ: „მე, გლახკემან და ფრიად ცოდვილმან მიქაელ გვრგენის ძემან, დაეჩხრიკენ წმიდაჲ ესე... სანახებსა წმიდისა იმარუსალიმისასა, მონასტერსა ჯუარისასა სახელსა ზედა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისასა ვაჰანის ქუბთასა... უცბად ჩხრეკისათჳს შემინდევით, უსწავლელი ვიყავ“¹⁴⁹. რადგან „სტოდინერზე“ დართულ „ძეგლის წერაში“ იოანე კათალიკოსი გარდაცვლილად იხსენიება (გვარდ. 1141 წ.), ხოლო დიმიტრი მეფე (1125—1156) ცოცხლად, ხელნაწერი 1141—1156 წლებში უნდა იყოს დამზადებული¹⁵⁰.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ გიორგი დოდის მიერ დამზადებული დიდებული ნუსხა გიორგი ათონელის დიდი სვინაქსარისა (H № 1661) — უძველესი უსრულეს ნუსხათა შორის¹⁵¹. მის ანდერძში იკითხება: „დაიწერა წიგნი ესე წმიდასა ქალაქსა იმარუსალიმსა, მონასტერსა შინა ჯუარისასა, კელითა უცბად მხრეკალისა, ფრიად უღირსისა ხუცესმონაზონისა გიორგი დოდისითა. სრულ იქმნა ღუაწლსა წმიდათასა მოსაკსენებელი ესე წიგნი ბერძენთა ზედა მეფობასა მანოელისსა, ქართლს — დიმიტრისსაჲ, იმარუსალიმს — ბულდიონისსაჲ, დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ხლნთ [=6759—5604=1155] და ქრონიკონი ტოე [=375+780=1155]“¹⁵². როგორც ვადამწერის ანდერძიდან ჩანს, წიგნი ვადამწერილია 1155 წელს, როდესაც ბიზანტიაში მეფობდა მანუილ პირველი (1143—1180), საქართველოში — დიმიტრი პირველი და იერუსალიმში ბალდუინ მესამე (1143—1162). დიდი სვინაქსარის აღნიშნული ნუსხა თავისი შინაარსითა და შედგენილობით დიდად საყურადღებოა, მაგრამ ამჟერად ჩვენ გვაინტერესებს ის ალაპები, რომლებშიც იხსენიებიან უცხოელები — არა მხოლოდ იტალიელები XIII—XIV საუკუნეებისა, როგორც თ. ჟორდანიას ეგონა¹⁵³, არამედ ჯვაროსნები — ტრამპლიერები ანუ ტაძრის წარჩინებული რაინდები, როგორც ეს ეკუმენუტანლად გაარკვია ე. მეტრეველმა. ალაპებში ვკითხულობთ: „ჯუარო პატროსანო, შეიწყალე ძმად ჩუენი ჯოფრე ფაუსათ“, „უფალო, შეიწყალე სინენბრინ და მოდეარ ჯიროლ“, „ჯუარო პატროსანო, ადიდე და შეიწყალე სირ პერ კუმანდური ტაძრელთა“, „უფალო ღმერთო, დაიციე და შეიწყალე ძმად ჩუენი... სილგილამ დელოლველ“ და ა. შ. ქართველთა ალაპებში ჯვაროსანთა ხსენება (სილგილამ დელოლველ — სირ გილიომ დელოლველი, სინენბრინ — სირ ენბრინი...). უთუოდ ქართველ-ჯვაროსანთა¹⁵⁴ კეთილგანწყობილებათ უნდა აიხსნას.

როგორც აღვნიშნეთ, ახლო აღმოსავლეთში ისეთი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რომ ქართველები და ჯვაროსნები ერთობლივად უტევედნენ მაჰმადიანთა ურდოებს. ამ გარემოებამ ისინი დაახლოვა და დააკავშირა. ჯვაროსნები სათანადოდ აფასებდნენ ქართველთა როლს მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩანს, ისინი ჯერის სავანის ბინადრებსაც ეხმარებოდნენ, ხოლო ამათ მადლიერების ნიშნად მათი მოსახსენებლები დააწესეს. აათქვრებელია, დამოწმებული ალაპები 1155—1187 წლებში; — ხელნაწერის დამზადებიდან იერუსალიმში ჯვაროსანთა ბატონობის დასასრულამდე. — იყოს დადებული¹⁵⁵. დაახლოებით ამა:

ვე პერიოდისა უნდა იყოს ის ალაპები, რომელთაც პარიზში შემონახული, — ჯერის მონასტრისეული, — სახარების ფურცლებზე ვხვდებით („უფალო ღმერთო, შეიწყალე ჩემი ჩუენი კონდოფრე და კოსტანტინე და ბოტირა“, „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ძმა ჩუენი პერ მარტინე, პერ გონსალ“ და სხვ.)¹⁵⁶.

ჯვაროსანთა ბატონობა იერუსალიმში დიდ ხანს არ გავრძელებულა. XII საუკუნის მეორე ნახევარში, 70-იანი წლებიდან, ახლო აღმოსავლეთში ვითარება არსებითად შეიცვალა. ეგვიპტის, სირიის ნაწილისა და მესოპოტამიის შეერთების შედეგად შეიქმნა ერთი მძლავრი სახელმწიფო, რომლის ცენტრი ეგვიპტეში იმყოფებოდა. ჯვაროსნებს ნაცვლად ცალკეული სამთავრო-სამპროვებიც დაუპირისპირდა დიდი სახელმწიფო, რომელსაც სათავეში აღაიუბ სალაჰ ად-დინი (სალადინი) ედგა (1171—1193). გაძლიერებულმა სულთანმა მიზნად დაისახა სირია-პალესტინიდან ჯვაროსნების გაძევება. ალაღინის გაძლიერება მძიმე და საშიშ მდგომარეობას უქმნიდა იერუსალიმელ ჯვაროსნებს და აიძულებდა მათ თავდაცვითი ღონისძიებების გატარებას, რაც, თავის მხრივ, იწვევდა გადასახადების ზრდას. იერუსალიმის მეფის ბალდუინ მეოთხის (1173—1185) მიერ დაწესებული ყოველწლიური გადასახადები (1177 წ., 1182 წ.) ჯერის ტაძარსაც მძიმედ დააწვა¹⁵⁷. ბალდუინმა ჯვარს ზერების ნაწილიც კი წაართვა¹⁵⁸.

ქართული სავანის ძნელბედობის გასაცნობად საქმარისია ჯერის ალაპების გათვალისწინება. განსაკუთრებით საინტერესოა ანასულის საქმიანობის ამსახველი ალაპი. როგორც ჩანს, ანასული აღრეც გულუხვად ეხმარებოდა ჯვარს¹⁵⁹. როდესაც „მეფე იმტრუსალემისაჲ გაწყრა და რაჲცა მონასტრისაჲ იყო, დაიჭირა“, ოქრო მოითხოვა და ჯვარელნი „დიდსა ჳირსა შინა“ აღმოჩნდნენ, ანასული ერთხელ კიდევ შეეწირა ჯვარს (დაახლოებით 1182—1187 წლებში)¹⁶⁰, მაგრამ, ალბათ, ეს არ იყო საკმარისი, გადასახადის დაფარვა მაინც ვაჭირდა.

სალადინმა დიდძალ ჯარს მოუყარა თავი და 1187 წელს აიღო იერუსალიმი. ქრისტიანობა კვლავ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჯვაროსნებმა მესამე ლაშქრობა წამოიწყეს (1189 წ.), მაგრამ დიდ წარმატებას ვერ მიაღწიეს; აიღეს აკრა და იერუსალიმის სამეფოს სატახტო ქალაქად გამოაცხადეს (იერუსალიმი კვლავ სალადინს ეპყრა), ხოლო 1192 წლის ზაფხვით ანტიოქიის სამთავრო შეინარჩუნეს¹⁶¹.

მაჰმადიანთა გარემოცვაში მოხვედრილ ჯერის მონასტერს ქართველი მოღვაწენი შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ. ამ დახმარებამ განსაკუთრებული სახე მიიღო იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს სათავეში თამარ მეფე (1184—1213) იდგა. მაგრამ, ვიდრე ამ პერიოდზე დავიწყებდეთ საუბარს, გვესურს ორიოდ სიტყვა ვთქვათ თამარის ერთ გამოჩენილ თანამოღვაწეზე, რომლიც სწორედ თამარის გამეფების წინა წლებში ყოფილა იერუსალიმში. ესაა XII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი მწერალი ნიკოლოზ გულაბერისძე. იგი დაახლოებით 1150 — 1178 წლებში ქართულ ეკლესიას მეთაურობდა, შემდეგ „სიმდაბლისა ძალით ეცმნა ქართლისა კათალი-

კოზობისაგან¹⁶² და წავიდა იერუსალიმს, სადაც დარჩა 1184 წლამდე, ვიდრე თამარმა არ „აღმოუწოდა წმიდით ქალაქით“¹⁶³. როგორც ჩანს, 1178—1184 წლებში მან იერუსალიმში გაატარა და ჯვრის მონასტრის სასარგებლოდ გარკვეული ნაბიჯები გადადგა: მონასტრისეული ვენახი დაიხსნა — „უქპოისყიდა“ და სხვა დახმარებაც აღმოუჩინა¹⁶⁴. არაა გამორიცხული, რომ ნიკოლოზ გულაბერისძე იერუსალიმში მწიგნობრულ-შემოქმედებით საქმიანობაააც ეწეოდა¹⁶⁵.

კიდევ უფრო გაიზარდა იერუსალიმის ქართული კოლონიისადმი დახმარება საქართველოს მხრივ თამარის მეფობის წლებში. თამარი დიდის გულისყურით ზრუნავდა უცხოეთში არსებულ ქართულ საგანგებზე, კერძოდ იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე. მემეტაიანენი საგანგებოდ აღნიშნავენ იერუსალიმისადმი თამარის დახმარებას. მაგალითად: ბასილ ეზოსმოძღვრის ცნობით, თამარი „წარავლენდის სარწმუნოთა თვისთა და დავედრის ესრეთ: „იწყეთ აღექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბიისა. სინისა მთისა“. და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის. ხოლო იერუსალიმისათვის რადღა საკმარ არს თქმად. რამეთუ წარგზავნიდის ამით ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა. და სიწმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკთათვის ოქროთა აურაცხელთა“¹⁶⁶; მეორე ავტორის ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ თამარმა „არა ოდენ საქართველოსა მონასტერნი ააშენა, არამედ პალესტინეს იერუსალიმს ააშენა პირველად მონასტერი“¹⁶⁷; ლაშა გიორგისდროინდელი უცნობი მემეტაიანის სიტყვით, თამარმა „საბერძენეთისა მთაწმიდისა, იერუსალემისა და შავ-მთისა საყდარნი და ეკლესიანი რომელნიმე დარღუეულნი აღაშენნა, [რომელნიმე] მათითა საფასოთა დაიქსნნა ხარკისაგან უცხოეთელთასა და თვთველთაგან მისთა სთულისა სამსხუერპლოდ ღმრთისა და სიწმიდისა სამსახურად აკერვინებდა, და ეგრე დასდებდეს ეკლესიათა იქი და აქა აღმოსავლეთისათაცა შინა“¹⁶⁸.

როგორც ქართველ მემეტაიანეთა სიტყვებიდან ჩანს, თამარი იერუსალიმს, — ივარაუდებდა, უპირველეს ყოვლისა, ჯვრის მონასტერს, — დიდად ეხმარებოდა. „სარწმუნოთა თვისთა“ ხელით უხვ შეწირულებას უგზავნიდა.

აქვე უნდა დავიმოწმოთ არაქართველ მოღვაწეთა მიერ შემონახული ორიოდე ცნობა.

არაბი ისტორიკოსის ბაჰა ად-დინ იბნ შადადის (1145—1234) ცნობით, 1192—1193 წლებში თამარმა სალადინს 200.000 დინარი შეაძლია და მუსულმანთა მიერ 1187 წელს მიტაცებული ჯვრისა (რომელზეც მაცხოვარი აცვეს) და (აგრეთვე მიტაცებულ) ქართულ საგანეთა დაბრუნება სთხოვა¹⁶⁹. 1192 წელს „ქართველთა ელჩი მოვიდა და მოახსენა სულთანს სპეციალურად წმინდა ადგილების მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც მათ ჰქონდათ იერუსალიმში და მოახსენა აგრეთვე თავიანთი დასახლებული ადგილების შესახებ. (ქართველები) ჩიოდნენ, რომ წაართვეს მათ მონასტერი და ითხოვდნენ სულთნის კეთილგანწყობას, რათა დაებრუნებინა იგი მათი გამგებლისადმი“¹⁷⁰. არ ჩანს, რომ თამარმა ამ დროს დიდ წარმა-

ტებას ბილწია, მაგრამ მომდევნო ხანაში რომ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველების უფლებრივი მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა, ეს უდავოა.

სომეხი მემკვიდრის კირაკოს განცხადების (XIII ს.) ცნობით, 1210—1211 წლებში.—ივანე მსახურთუხუცესის ხლაელთა ტყვეობიდან დახსნისა და მისი ასულის თამაას სულთანთან გაგზავნის შემდეგ, — ვითარება საგრძნობლად შეიცვალა¹⁷¹. ქართველ მეფესა და მამადიან მბრძანებელთ შორის დაიდო ზავი, მონასტერთ ხარკი შეუმცირდათ, მლოცველთა ძარცვა აღიკვეთა, ქართველ ქრისტიანებს პატივი მიეცათ.

XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველომ მოიპოვა განსაკუთრებული უფლება აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანთა მფარველობაზე, ხოლო მამადიანურ ქვეყნებში მოგზაურ ქართველებს ფართო პრივილეგიები მიენიჭათ¹⁷². მართებულად შენიშნავდა რ. ჟანენი, რომ „ძველად ყველა იმ ხალხთა შორის, რომელთაც იმ დროს განსაკუთრებული უპირატესობა და დიდი გავლენა ჰქონდათ წმინდა ქალაქში, ქართველებს უდავოდ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირათ“¹⁷³. არაა ინტერესს მოკლებული, რომ მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ უფლება იერუსალიმში გაშლილი ეროვნული დროშებით შესვლისა¹⁷⁴. აღბათ. ამ დროსვე დამკვიდრდა საყურადღებო წესი: ქართველ მლოცველებს არაბი მოხელე ალემოში წედებოდა; იერუსალიმში მიჰყვებოდა და შემდგომ უკან აცილებდა, ე. ი. მოსალოდნელი განსაცდელისაგან იცავდა¹⁷⁵.

სწორედ ამ პერიოდში, თამარის ზეობის ხანაში¹⁷⁶, დაეხმარა იერუსალიმის ჯვრის საჯანეს დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე შოთა რუსთველი.

აზრი რუსთველის იერუსალიმში წასვლისა და იქ (ჯვრის მონასტერში) ცხოვრების შესახებ კარგა ხანია გავრცელებულია როგორც ხალხურ სიტყვიერებაში¹⁷⁷, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში. იგი შეიჭრა სიტყვაჯამულ მწერლობაშიც¹⁷⁸. ამასთანავე, რუსთველს ზოგჯერ ბერად მიიჩნევდნენ და მის საფლავს იერუსალიმშივე იულებდნენ. სათანადო საფუძველს თითქოს იძლეოდა ზეპირი ვადმოცემა, ჯვრის მონასტრის ფრესკა და საალაპე წიგნის ცნობა.

ძველი ვადმოცემა პირველმა ჩაიწერა. შოთა რუსთველი მეჭურჭლეთუხუცესად მიიჩნია და ჯვრის განმარტებლად და მომხატვინებლად გამოაცხადა ტ. გაბაშვილმა. მან პირველმა მოგვაწოდა ლიტერატურული ცნობა რუსთველის ფრესკაზე („ჯვრის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატეანებია შოთამს რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესს[ს]. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“) ¹⁷⁹. მისი ცნობა გამოიყენეს და ერთგვარად შეეცხებული სახით გაიმეორეს თ. ბაგრატიონმა¹⁸⁰, მ. ბროსემ¹⁸¹, დ. ჩუბინაშვილმა¹⁸², პ. იოსელიანმა¹⁸³ და სხვ. მათ ტ. გაბაშვილის ცნობების დამოწმებით ჯვრის მონასტერი რუსთველის მარადიულ განსასვენებლადაც მიიჩნიეს (თუმცა „მიმოსლვა“ ამის საფუძველს არ იძლეოდა)¹⁸⁴.

ტ. გაბაშვილის შემდეგ რუსთველის პორტრეტი იერუსალიმში ნახეს და მასზე ცნობები მოგვაწოდეს ნ. ჩუბინაშვილმა¹⁸⁵, ბ. ბარკალაიამ¹⁸⁶, ა. ცაგარელმა¹⁸⁷,

გ. ნადარეიშვილი¹⁸⁸, პ. კონკოშვილი¹⁸⁹ და სხვ. შემდეგ იგი თვალთ მიეფარა. ყოველ შემთხვევაში, ნ. მარი (1902 წ.) ამ პორტრეტზე არაფერს წერდა. ასე რომ. ჩვენი მეცნიერები ძირითადად კვლავ ტ. გაბაშვილისა და ა. ცაგარლის ცნობათა საფუძველზე იმუშავებდნენ თავიანთ აზრს ამ საკითხზე: საინტერესოდ შეიფარადნენ ფრესკის შინაარსსა თუ წარწერის მნიშვნელობას კ. კეკელიძე¹⁹⁰, შ. ნუცუბიძე¹⁹¹, ე. მეტრეველი¹⁹² და სხვ.

1959 წელს იერუსალიმში იყო უკრაინელი მწერალი გ. პლოტკინი, რომელმაც დაათვალიერა ჭვრის მონასტერი და ინახულა რუსთველის „საფლავიც“. თავისი შთაბეჭდილებანი მან მაშინვე გამოაქვეყნა¹⁹³ და ერთგვარად ხელი შეუწყო საზოგადოებრიობის ინტერესის ზრდას. მალე გამოქვეყნდა ბევრი წერილი როგორც ჩვენი მეცნიერებისა¹⁹⁴, ისე სხვათა¹⁹⁵, ხოლო 1960 წლის შემოდგომაზე იერუსალიმს ეწვია ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი (ი. აბაშიძე; ა. შანიძე, გ. წერეთელი), რომელმაც უაღრესად საინტერესო მასალა მოიპოვა და ჩამოიტანა. ამ სამეცნიერო ექსპედიციის წარმატებამ, რაც მაშინვე ემცნო ჩვენს საზოგადოებრიობას¹⁹⁶, კიდევ უფრო გააცხოველა მეცნიერულ აზრთა ვაცკლა-გამოცკლა¹⁹⁷. თანდათან დაზუსტდა, დადგინდა და გაირკვა რუსთველის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, კერძოდ, მისი ურთიერთობა ჭვრის მონასტერთან.

იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობის შედეგად ჩვენს ხელთაა რუსთველის დიდებული პორტრეტი, რომელიც მიკვლეულ იქნა ჭვრის მონასტრის სვეტზე მუქი მწვანე ფერის საღებავის სქელი ფენის ქვეშ. ამ პორტრეტს ქართველი საზოგადოებრიობა აღრევ იცნობდა, მაგრამ არა ამ სახით. სახელდობრ, ნ. ჩუბინაშვილია ჭვრე კიდევ 1845 წელს ფანქრით ჩაიხაზა რუსთველის ფრესკის კონტურები და შემდეგ ამითა და სიტყვიერი აღწერილობით პეტერბურგელ არაქართველ მხატვარს შესარულებინა დიდი პოეტის პორტრეტი, რომელიც ძალზე მღარეა და ორიგინალთან საერთო თითქმის არაფერი აქვს (A № 1767. 162r)¹⁹⁸; 1883 წელს ა. ცაგარელია აკვარელით გადმოხატა კალკაზე რუსთველის პორტრეტი და მისი ლითოგრაფიულად გამოცემა განიზარახა, მაგრამ ვერ განახორციელა. მის მიერ გადმოღებული პირით რუსთველის ქანდაკება დაამზადა ა. თარხნიშვილია. ქანდაკების ფოტოპირი რამდენჯერმე გამოქვეყნდა¹⁹⁹, ა. ცაგარელია გადმოხატა კი აღარასდ წინას²⁰⁰. ასეთ ვითარებაში. გასაგებია. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთველის უტყუარი პორტრეტის ხელახლა აღმოჩენას.

რუსთველის პორტრეტული გამოსახულების მოპოვებასთან ერთად გაირკვა მისი შესრულების თარიღიც. ადრე ამ პორტრეტს XVII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებდნენ და მისი შესრულების პატივს ნ. ჩოლაყაშვილის მიაწერდნენ (კ. კეკელიძე), ზოგჯერ მას რამდენადმე ადრეული ხნით ათარიღებდნენ და ნ. ჩოლაყაშვილის განმარტებულად მიიჩნევდნენ (ა. ცაგარელი) და ა. შ. ამჟამად თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ რუსთველის პორტრეტი შესრულებულია XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე (შეიძლება პოეტია სიცოცხლეშივე), ხოლო აღდ-

გენილ-განახლებულია XIV საუკუნეში (ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს XVI საუკუნისა)²⁰¹.

უკანასკნელმა ექსპედიციამ მოიპოვა პორტრეტის ასომთავრული მინაწერის ზუსტი პირი და სრულად წარმოაჩინა რუსთველის კულტურულ-ადრენითი საქმიანობის დამადასტურებელი მასალა. ადრინდელი გადმონაწერი გაუგებრობას ქმნიდა და მკვლევართა დაეკვებას იწვევდა. ახლა გაირკვა, რომ მინაწერის ერთი ნაწილი („ამისა და მხატვანის შოთა[ს] შეუდგენეს ღმერთმან. ამინ“) გვაცნობს შოთას დამსახურებას ჯვრის მონასტრის წინაშე, რაც ტაძრის (ან მისი ნაწილის) მოხატვაში მდგომარეობდა, ხოლო მეორე ნაწილი („რუსთველი“) — სვეტზე გამოსახული პირის ვინაობას. წარწერის ორივე ნაწილი ერთი ხელითაა შესრულებული და ერთ პირს. — ერისკაცის სამოსში წარმოდგენილ დედებულს, — ეხება რასაკვირველია, შოთა რუსთველი თვით არაა მხატვარი (ჩვენთვის ცნობილი მასალა ასეთი ვარაუდისთვის საფუძველს არ იძლევა)²⁰², ისაა მომხატვინებელი სავანისა. მისი დიდი ღვაწლის გამო, როგორც ჩანს, მონასტრის კრებულმა მას აღაპიც დაუწესა — „აღაპი შოთაჲსა მეჭურჭლეთუსუცესისაჲ“²⁰³. ადრე ამ აღაპის თარიღი საკამათო იყო, დღეს იგი დამაჯერებლად რუსთველის ხანითაა დათარიღებული: იგი დადებული უნდა იყოს XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე, არა უგვიანეს XIII საუკუნის პირველი ნახევრისა (ე. მეტრეველი).

დღეს საეგზეთი დადასტურებულია პოეტ რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუსუცესის იდენტურობა. საკამათო აღარაა, რომ შოთა რუსთველის დახატვა ჯვრის მონასტერში და მისთვის აღაპის დადება აიხსნება იმ დიდი დამსახურებით, რაც ქართველ პოეტს მიუძღვის ძველი ქართული სავანისადმი. როგორც ტ. გაბაშვილის ცნობაც ადასტურებს, შოთა რუსთველმა მართლაც საყურადღებო და მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა ჯვარს, განახლა და მოახატვინა იგი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ მსჯელობენ რუსთველის იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ცხოვრებაზე, იქ გარდაცვალებასა და იქვე დაკრძალვაზე (თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, პ. იოსელიანი, ა. წერეთელი, გ. ფერაძე, ს. ლოსევი, ი. სტოვბუნი, გ. პლოტკინი, კ. სალია, ხ. ვარდი და სხვ.), ზოგს პოეტის ბერად შედგომაც სარწმუნოდ მიაჩნია (მ. ბროსე, პ. იოსელიანი, გ. ფერაძე და სხვ.), ზოგი კი „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ სტროფებს ჯვრის სავანეში დაწერილად ცნობს (შ. ნუტუბიძე). ამ საკითხებზე კატეგორიული მსჯელობა ძნელია. ჩვენ არ მოგვეპოვება რამე ავთენტური წყარო იმის სამტკიცებლად, რომ რუსთველი იყო იერუსალიმში²⁰⁴ და იქ გარდაიცვალა. მართალია, ამის ხელაღებით უარყოფა ძნელია, მაგრამ არც დამადასტურებელი მასალა ჩანს. რუსთველის პორტრეტის დახატვა და აღაპის დადება, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პოეტი ჯვარში იყო; ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ თამარის მეჭურჭლეთუსუცესმა დახმარება აღმოუჩინა ტაძარს, ხმისთვის კი იერუსალიმს წასვლა სავალდებულო არ იყო (ცნობილია ბრაჟოთი პირი, რომელიც დახმარებია ჯვრის მონასტერს, მაგრამ იქ არასოდეს ყოფილა. საკმარისია მოვიგონოთ ლ. დადიანი).

ასე რომ, რუსთაველის სახელი მკიდროდ უკავშირდება ჯერის მონასტერს, რომელიც მან განაახლა და მოახატვინა, მაგრამ ამით არ დასტურდება, რომ დიდი პოეტის საფლავი მაინცდამაინც იერუსალიმშია საძიებელი.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა სამხედრო-პოლიტიკურმა გაძლიერებამ და ეკონომიკურმა მოღონიერებამ, ქართველთა ენერგიულმა ზრუნვამ ჰალესტინის სავანეებზე სათანადო შედეგი გამოიღო. მეფე-დიდებულთა უხვი შეწირულებითა და ქართული სამეფო კარის ინტენსიური მზრუნველობით იერუსალიმის ქართული კოლონია განმტკიცდა და გაძლიერდა როგორც მატერიალურად, ისე უფლებრივად, საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს კვალდაკვალ გაიზარდა რიცხობრივად და დაწინაურდა კელტურულად. თავის მხრივ ამ კოლონიამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებას, საგარეო პოლიტიკური გაძლიერების გაძლიერებას.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ XII—XIII საუკუნეებში საქართველო, — ვითარცა წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო, — ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანთა დამცველის როლში გამოდიოდა. მისი სამხედრო პოტენციალი ისე დიდი იყო და პოლიტიკური წონა ისე შესამჩნევი, რომ ბევრ უცხოელს სავსებით სარწმუნოდ ეჩვენებოდა საქართველოს ძლიერებაზე შეთხზული ლეგენდები: ასეთი განწყობილება ჩანს, მაგალითად, ერთი რაინდის წერილში: „მოისმინეთ გასაოცარი და მნიშვნელოვანი ახალი ცნობები. ჯერ ყურმოკრული შეგიტყვევ, ხოლო შემდეგ სარწმუნო ელჩეებს მეშვეობით დანამდვილებით შეეამოწმე, რომ იბერიელი ქრისტიანების, რომელნიც გეორგენებად (ქართველებად) იწოდებიან, დიდძალმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, ღვთის შემწეობით აღფრთოვანებულმა და ძალზე კარგად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ, სწრაფად დაჰკრა მათ და უკვე აიღო 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, რომელთაგანაც ძლიერნი დაიპყრო, ხოლო სუსტნი ნაკარტუტად ატყა... ზემოაღნიშნული ჯარი მოეშურება, რათა გაათავისუფლოს იერუსალიმის წმინდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი ამაყარი. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ქაბუკია. იგი აღექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟაკობითა და სათნოებით. მაგრამ არა სარწმუნოებით. ამ ქაბუკს თან მოაქვს ძვლები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდვია და უთხოვია შვილისათვის, თუ აღთქმის ასრულება არ დამცალდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღო. შვილს არ დავიწყებია დედის თხოვნა და... გალაუწყვეტია წმინდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი, მიუხედავად იმისა, მოისურვებენ ამას წარმართები თუ არა“²⁰⁵.

მართალია, თამარის სურვილი იერუსალიმში წასვლისა, მისი ანდერძი — ძვლების იერუსალიმში წასვენების შესახებ, გიორგი ლაშას (1213—1222) ცდა ანდერძის სისრულეში მოყვანისა სხვა წყაროებით არაა ცნობილი და შეთხზული უნდა იყოს²⁰⁶, მაგრამ ეს არაა შთავარი. საინტერესო და საყურადღებოა ის წარმოდგენა ქართველებზე, რომელიც ევროპელებს ჰქონდათ. როდესაც აღმოსავ-

ლეთში გამოლაშქრებული ჯვაროსნების სისუსტე თანდათანობით შესამჩნევი გახდა, ქართველთა ძლიერებამ ზენიტს მიაღწია. სწორედ ამან გამოიწვია ქართველთა განდიდება და მათ ძლიერებაზე ლეგენდების შეთხზვა.

1228 წელს დაიწყო ჯვაროსანთა ახალი (VI) ლაშქრობა. მისი მეთაური — ფრიდრიხ II (1212—1250) დიპლომატიით უფრო იმარჯვებდა, ვიდრე იარაღით. მან კარგად გამოიყენა დამასკოს ემირსა და ეგვიპტის სულთანს შორის არსებული წინააღმდეგობა — სირიისათვის გაჩაღებული ბრძოლა და სულთანს იერუსალიმი დაათმობინა (1229 წ.). იერუსალიმსა და მის მიდამოებში კვლავ ჯვაროსნები გაბატონდნენ, ქრისტიანებმა შვებით ამოისუნთქეს²⁰⁷, მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. გერმანიაში შექმნილი რთული ვითარების გამო ფრიდრიხმა ახლო აღმოსავლეთი დატოვა და ევროპას მიაშურა. იერუსალიმელ ქრისტიანებს დიდი უბედურება დაატყდათ თავს: ეგვიპტის სულთნის მიერ დაქირავებულმა ხვარაზმელებმა აიღეს ქალაქი და მუსრი გაავლეს ქრისტიან მოსახლეობას (1244 წ.). ამ ფაქტზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნიკოლოზ კატარაწისძის მიერ გადაწერილი (XIII ს.) იერუსალიმური მარხვანის (Jer. № 67) მინაწერი: „ღირსყოფილ მოგებად წმიდათა ამათ მარხუათა დიდსა სიგლახაკესა შინა, შემდგომად ტყუჴობით გამოსლვისა ხუარაზმელთაგან. ესე ყოველთა შემდგომითი-შემდგომად მოგებთხას: მაშინდელნი ყოველთა ქრისტიანეთა ჳირნი და განსაცდელნი, ოკრებანი მონასტრთა და ეკლესიათანი, რომელ არა სადა დარჩომილა ერთი წიგნისა ფურცელი. იმრუსალემს შუკათა შინა შთასულმან ვნახენ ესე ორნი წიგნნი: ერთი ესე და ერთი საწინამსწარმეტყუელოჲ. სპარსსა კაცსა ჳქონდეს. მისგან თელაველსა სპარსსა კაცსა ეყიდნეს. მატებითა და მატებითა ძლიე წაუხუცენ ესე. სადღესასწაულოჲ²⁰⁸ წარილო. მე სყიდვისა ღონე არ მქონდა“²⁰⁹.

მინაწერის ავტორის ცნობა რამდენადმე გაზვიადებულია, შექმნილი ვითარება მეტისმეტად გამუქებულია, მაგრამ ჩვენება მაინც საყურადღებოა. ერთი მხრივ, ეცნობით ხვარაზმელთა შემოსევის შედეგებს, მეორე მხრივ, — ქართველი მოღვაწის ცდას მშობლიურ ენაზე დამხადებული ხელნაწერის გადარჩენისა. ჯვრის მონასტრიდან იერუსალიმში ჩასული ქართველი ბიბლიოფილი — გიორგი ჯვარელი აღმწოთებით წერს როგორც ხვარაზმელთა თავდასხმის უძძიმეს შედეგებზე, ისე ქართულ ხელნაწერთა სავალალო მდგომარეობაზე.

1244 წელს ჯვაროსნებმა სამუდამოდ დაკარგეს იერუსალიმი. ეგვიპტის სულთანებმა ნელ-ნელა ხელთ იგდეს ანტოქია (1268 წ.), ტრიპოლი (1289 წ.), აკრა (1291 წ.) და სხვა ქალაქები.

ბუნებრივია, ეგვიპტელთა უღელქვეშ მყოფი იერუსალიმის ქრისტიანი მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ქრისტიანულ სავანეებს არსებობა გაუძნელდათ, მაგრამ ქართველებმა ერთხანს კალეე შეინარჩუნეს ძველი პატივი და პრივილეგიები.

ეგვიპტელთა ბატონობის პერიოდში იერუსალიმელ ქართველთა უფლებამოსილებაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ეპისკოპოსი ყაყღე ვიტრი (ვიტრუე-

იუსი): „ცხოვრობს აღმოსავლეთში ქრისტიანი ხალხი — ომის მოყვარული და ბრძოლებში გამოცდილი. მას ჰყავს უამრავი მებრძოლი. მეტად დაშინებული ჰყავს სარკინოზნი და თავდასხმების დროს დიდ ზარალს აყენებს სპარსელებს. მიღილებსა და ასურელებს, რომელთა მოსაზღვრეთაც ცხოვრობს, ვინაიდან გარშემორტყმულია ურჯულებით. მათ ეწოდებათ ქართველები... როდესაც ისინი მიდიან ქრისტეს საფლავის თაყვანისსაცემად, წმინდა ქალაქში შედიან გაშლილი მიღროებით. ბაჟის ვადახდის გარეშე. რაც შეეხება სარკინოზებს, ისინი ვერ ბედავენ მათ შეწყუბვნიან, რათა უკან დაბრუნებისას ქართველებმა ჯავრი არ იყარონ მათ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებზე. ქართველები ძალზე აღშფოთებულნი არიან და ემუქრებიან ორადინუსს, დამასკოს პრინცს, იმის გამო. რომ მან განიზრახა იმათი სურვილის გარეშე იერუსალიმის კედლების დანგრევა მაშინ, როდესაც ლათანნი დამიეტას იღებდნენ“²¹⁰.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მაჰმადიანურ გარემოცვაში მყოფ ჯვრის მონასტერა მოაკლდა როგორც პოლიტიკური მხარდაჭერა, ისე მატერიალური დახმარება. მართალია, ქართველები ჯვრის კრებულს ეზმარებოდნენ XIII საუკუნის მეორე მეოთხედშიც, შუა წლებშიც²¹¹, მაგრამ ის ძველი მასშტაბისა აღარ იყო. ამასთანავე, ჯვრის ბინადართა მთავარ საზრუნავს საეკლესიო შენარჩუნება წარმოადგენდა, მაგრამ ეს საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა.

იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიაში განსაკუთრებით მძიმე და აუტანელი პირობები შეიქმნა ბაპრიდების დინასტიის მამლუკ სულთანის ელ-მელიქ ბაიბარსის ანაზ-ზაპირ რუქ ად-დინ ბაიბარს ბუნდლუჯდარის მმართველობის ხანაში (1260—1277), როდესაც ჯავრი ხელთ იგდო და მიზგითად გადააქეთა შეიხ ხიდრმა. ქართველთათვის ამ უარღრესად ტრაგიკულ აქტს ადგილი ჰქონდა. ე. მეტრეველის დაანგარიშებით, 1273 წელს²¹². მართალია, ერთი არაბი ავტორის (მუჯირ ად-დინ აბდ არ-რაჰმან იბნ აჰმად ალ-ულაიმ ალ-უმარის) ჩვენებით, ქართველთა კეთვნილი ჯვრის ტაძარი ეგვიპტელებმა მიიტაცეს და მიზგითად აქციეს ელ-მელიქ ენანსირ მუჰამადის დროს (1293, 1299—1341)²¹³, მაგრამ ეს ცნობა მართალი არ უნდა იყოს. არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-კასირის (გარდ. 1373 წ.) ცნობით²¹⁴, ეკვე მიუტანლად დასტურდება, რომ ჯვრის მიტაცება ბაიბარს ბუნდლუჯდარის დროს მოხდა. ამასვე ამოწმებს ერთი ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოები „მარტკობაჲ I წმიდისა მამისა ჩვენისა ლუკასისი“,²¹⁵ რომელიც საყურადღებოა არა მხოლოდ ჯვრის მონასტრის წინამძღვრის თავგადასავლის გასაცნობად, არამედ იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის ზოგიერთი მომენტის გასათვალისწინებლად. საგულისხმოა მისი ცნობები მაჰმადიანთა მიერ ქართული საეკლესიო ხელში ჩაგდებასა და იქაურ მოღვაწეთა შევიწროებაზე, იერუსალიმის ქართველ ქალთა მონასტერზე და ა. შ.

ლუკა მუხაისძე იყო „ნათესავით ქართველი“. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დედამისმა დატოვა შვილები, „სახე მოწინეთაჲ შეიმოსა და იერუსალიმს დაემკვიდრა“. როდესაც ლუკა ოცი წლისა გახდა, იერუსალიმს ეწვია, ბერად შედგა.

მალე სახელი გაითქვა და მიიპყრო თანამოღვაწეთა ყურადღება; იგი „მამად დაად-
გინეს პატიოსნისა ჯუარის მონასტერსა“. სამი წლის მანძილზე ენერგიულად უძ-
ღებოდა „ყოველსავე სამონასტროსა და საკრებულოსა საქმესა“.

ამ დროს გამოჩნდა „ეშმაკშემოსილი სპარსი შენ ჯიდარი“ (შენი ხიდრი),
რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა სულთან ფუნდუხტზე (აზ-ზაჰირ რუქნ ად-დინ
ბაიბარს ბუნდუქდარზე). მან სულთნისაგან მიიღო ჯვარი. ქართველები მძიმე
მდგომარეობაში აღმოჩნდნენ; ახალმა პატრონმა „ქართველთა არაბაჲ შეარჩინა
არცა მონასტრით და არცა თვსაჲ, რაჲცა თვსაგან ჰქონდა, და ეგეთნი შიშუელნი
გამოასხნა“. ლუკა თავგამოდებით ცდილობდა თანამოძმეთათვის დახმარების აღმო-
ჩენას, რისთვისაც ხიდრთანაც კი მივიდა. მან ქრისტიანობის დაგმობა მოსთხოვა,
რისთვისაც „უქადებდა ამირობასა და ტაძრის თავადობასა და სხუასა მრავალსა“,
მაგრამ ლუკა არ დაეხარბა პატივს. განრისხებულმა ხიდრმა იგი სიკვდილით
დასაჯა. ეს უნდა მომხდარიყო მამლუქთაგან ჯვრის საენანს მიტაცების პირველსა-
ვე წელს (1273 წ.)²¹⁶, ან მის ახლოს²¹⁷. ქართველებმა სათანადოდ დააფასეს ლუ-
კას ღვაწლი—მი ი „წამების“ სვინაქსარული რედაქცია შეთხზეს და ხსნებაც დაა-
წესეს²¹⁸.

დაახლოებით ამავე პერიოდის (XIII საუკუნის მეორე ნახევრის) მოღვაწე
უნდა იყოს სალონე ქართველი, „რომელი პირველ შესცთასპარსთა მიერ და ქრის-
ტე უარყო. ამისა შემდგომად კულად აღიარა სარწმუნოებაჲ ქრისტესი და თავი
წარგვეთა და ცეცხლისა მიერ სრულ იქმნა წამებაჲ მისი“.²¹⁹ საფიქრებელია, სა-
ლონეც მამლუქთა ძალმომრეობის მსხვერპლი გახდა.

ამრიგად, „საქართველოს პოლიტიკური ძლიერების შერყევითანავე ქართვე-
ლების მდგომარეობა პალესტინაშიც ძალზე გაუარესდა. ქრისტიანთათვის ისეთი
მნიშვნელოვანი სალოცავი, როგორადაც მაშინ ჯვარის მონასტერი იყო მიჩნეული,
ჩამოართვეს. ქართველების გულის მოსაკლავად და თავმოყვარეობის შესალახა-
ვად, ჩამორთმეული მიზგითადაც კა აქციეს“²²⁰. ეს იყო არა მხოლოდ მიტაცება
საენანისა. არამედ, ამასთანავე, შეურაცხყოფა ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებ-
რივი ღირსებისა. ამიტომაც ქართველებმა ეს მარცხი ძალზე მწვავედ განიცადეს.
ამავე ხანაში ქართველებზე გავრცელდა მაჰმადიანთა მიერ შემოღებული, — ქრის-
ტიანთა დამამცირებელი, — წესი, მათ აეკრძალათ ცენ-სახედრებზე ნორმალუ-
რად სხდომა და ფეხების ერთ მხარეზე ჩაშვება დაევალოთ.

ჯვრის მონასტრის „დატყვევება“ და მიზგითად გადაკეთება, ქართველთა სი-
წმინდეთა შებღალვა და ეროვნულ გრძნობათა შელახვა როგორც იერუსალიმში,
ისე საქართველოში უდიდესი მნიშვნელობის ტრაგიკულ აქტად, ეროვნულ უბე-
დურებად იქნა მიჩნეული.

იერუსალიმის მთავარი ქართული საენანის — ჯვრის მონასტრის დაკარგვის
შემდგომ პალესტინამ დაკარგა ძველი მნიშვნელობა ჩვენი კულტურისათვის. ქარ-
თველთა საზრუნავს ისღა წარმოადგენდა, რომ როგორმე შეენარჩუნებინათ ძვე-
ლი უფლებები. აღუდგინათ პრესტიჟი და თავი დაეღწიათ ეროვნული უბედურები-

საგან. რადგან ჯვარი მტრის ხელთ იყო და დახსნას საჭიროებდა, ქართველები დღენი-ღაღა ცდილობდნენ მისთვის დახმარების აღმოჩენას და მძიმე ტვირთის შემსუბუქებას. ძველი წყაროებით უცილობლად დასტურდება, რომ ჯვრის „ტყვეობისას“ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს, იერუსალიმის ქართული კოლონიის წარმომადგენლებს, საკუთრივ ჯვრის მონასტრის ბინადრებს არა ერთხელ უცდიათ ძველი სავანის ხსნა და გადაარჩენა. ბევრი საინტერესო ცნობაა შემონახული ჯვრის მონასტრის აღაპებში, რომელთა დადება-დაწერა მეტწილად ხდებოდა მაშინვე. როგორც კი ვინმე რამე დახმარებას აღმოუჩენდა ჯვარს²²¹.

აღაპებში ცხადი ხდება, რომ XIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, „დიდ-სა დაქირებდასა შინა მყოფთა“ ჯვართათვის თანამემამულეებს არა ერთგზის აღმოუჩენიათ დახმარება. ზოგმა „სპარსთაგან დაქირულ ლელუნართა“ დასახსნელად მიაშველა ოქრო, ზოგმა „ოდეს ჯუარისა მონასტერი სპარსთა დამქირებით ქონდა და ძმანი მეტოქს შიგან, დიდსა დაქირებასა შინა“ იყენენ, მიაწვდინა სათანადო თანხა, ზოგი მამულების შექენაში დაეხმარა და ა. შ. ჯვარელი მოღვაწენი მადლიერების გრძნობით იხსენიებდნენ იმ პირთ, რომელთაც ძნელბედობის ყაშს გაუწოდეს დამხმარე ხელი. ამ ხანის აღაპებში იხსენიებიან დიმიტრი თავდადებული (1271—1289), გრიგოლ ფანასკერტელი, სარგის ჯაყელი, ძაგან აბულეთისძე და სხვა ქართველები²²². სხვათა შორის, ამავე ხანის აღაპში იხსენიება XIII საუკუნის უცნობი ქართველი მწიგნობარი ზოსიმე თარგმანი, რომელსაც დახმარება აღმოუჩენია ჯვრისათვის. სამწუხაროდ, ამ მოღვაწის საქმიანობაზე ვერაფერს ვიტყვი. მისი თარგმანად მოხსენიება საფიქრებელს ხდის, რომ თავის დროზე ზოსიმე სახელოვანი შემოქმედი ყოფილა²²³.

ქართველ მეფე-დიდებულთა მხრივ ასეთი დახმარება ჯვრისადმი მოკლოდნელი და გაუგებარი არაა. როგორც ცნობილია, „ჯვარი მესვეურობდა ქართველთა კოლონიის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებას. ჯვარს მუდმივი კავშირი ჰქონდა მოწინავე ქრისტიანულ ქვეყნებთან, რომელთაც თავისი წარმომადგენლები პყავდათ იერუსალიმში. ჯვარს ვაჰქონდა საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კულტურის მონაპოვარი საქართველოს პოლიტიკური პრესტიჟის გაზრდის მიზნით, ამიტომ ჯვარის მონასტრის ეკონომიკურ და უფლებრივ მდგომარეობაზე ზრუნვა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული პროგრამის ნაწილი იყო. ამით აიხსნება ძლიერი ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა, რომელიც მას ჰქონდა საქართველოდან“²²⁴.

საგულისხმოა, რომ ქართველები არა მხოლოდ მატერიალურად ეხმარებოდნენ ჯვარს და მისი მამულების შექენა-დახსნაზე ზრუნავდნენ, არამედ ენერგიულად იღვწოდნენ მისი წიგნსაცავის ძვირფასი ფოლიანტების გადაარჩენის მიზნით. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ილარიონ ოპიზარის საქმიანობა, რის საილუსტრაციოდ, პირველ რიგში, შეგვიძლია დავიმოწმოთ 1049 წელს გადაწერილი თენი ივლის-აგვისტოსი (H № 2337). მის მინაწერში ვკითხულობთ: „ესე წიგნი ჯუარისაჲ პატრონისა დავით მეფისა სალოცავად მე, მისმან მოძღვარმან ილარიონ,

ვიყიდ სპარსთაგან მას უამსა. ოდეს ჭუარი სპარსთა დაიჭირეს... ესე წიგნი ოპიზარმან ილარიონ იყიდა. მეფისა მოძღვარმან²²⁵. საინტერესოა აგრეთვე აპრილის თვენის (H № 2336) მინაწერი: „ე[ს]ი... წმიდა დავით მეფისა [არის]. ნასყიდი არის, ოპიზარმან ილარიონ იყიდა, მეფის მოძღვარმან“²²⁶. ერთი იერუსალიმური კრებულის (Jer. № 21) მინაწერში იგივე ილარიონი გვაუწყებს: „ესე წიგნი ჭუარისა მეფეთ-მეფისა დავითის ცოდვთა შესანდობელად მე მისმან მოძღვარმან, ოპიზარმან ბერმან ილარიონ დავიხსნა სპარსთაგან მას უამსა, ოდეს ჭუარის მონასტერი სპარსთა დაეჭირა“²²⁷. ანალოგიური მინაწერი აქვს აგრეთვე ეფრემ მცირის თარგმანების შემცველ ხელნაწერს (Jer. № 16)²²⁸.

დავით მეფე, რომელიც ილარიონ ოპიზარის მინაწერებში იხსენიება, არაა დავით VIII (1293—1311)²²⁹ ან დავით X (1505—1525)²³⁰, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ. მით უფრო შეუძლებელია მასში დავით აღმაშენებელი ვიგულისხმოთ²³¹. დადებით შედეგს ვერ მოგვეცემს მისი ძებნა XV—XVI საუკუნეთა ქართველ მეფეთა შორის²³².

ილარიონ ოპიზარი ცნობილია სხვა წყაროებითაც. იგი, — ვითარცა დავით ნარინის (1245—1293), რუსუდანის (1222—1245) ვაჟის, თანამედროვე, — იხსენიება ლაბსყალდის ახარების ანდრე-მინაწერში („მეფის მოძღვარი ბერი ილარიონ სოფრომისძე“)²³³. ეგევე „ილარიონ მოძღვარი“ მოხსენიებულია დავით ნარინის ერთ დოკუმენტში, რომელიც თ. ჟორდანიამ გვიანდელი სათაურით. — „დავთარი საბანელასი“, — გამოაქვეყნა²³⁴, ხოლო ი. დოლიძემ ასეთი სახელწოდებით გამოსცა: „შეწირულების სიგელი დავით ნარინისა ველათისადმი“²³⁵. ასე რომ, ცხადია, ილარიონ ოპიზარი და „მისი პატრონი“ დავით მეფე XIII საუკუნის მოღვაწენი არიან²³⁶. ილარიონ ოპიზარი იერუსალიმს მამინ ეწვია, როდესაც ჯერის მონასტერი „სპარსთა ტყვეობაში“, ე. ი. ეგვიპტელ მამულკთა მფლობელობაში იყო (1273 წლის შემდგომ).

პალესტინის ქართული საეკლესიო დაკარგვითა და ჯერის მონასტრის მეჩეთად გადაკეთებით აღშფოთებული და შეურაცხყოფილი ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ ილხანთა ლაშქრობებში ეგვიპტელთა წინააღმდეგ. მაგალითად. 1277 წელს აბალასმეორ მოწყობილ ლაშქრობაში ბაიბარს ბუნდუქდარის წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდა 3000 ქართველი, 1281 წელს სულთან მანსურ საიფ აღდინ კალენის (1279—1290) მამულკთა არმიას ებრძოდა დიმიტრი თავდადებულის მხედრობა და სხვ.²³⁷ მართალია, ქართველთა მონაწილეობა ამ ბრძოლებში მონგოლთა დაძალებით ხდებოდა, მაგრამ ქართველებს უთუოდ საკუთარი ინტერესიც ამოძრავებდათ. რადგან მათ მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით არ შეეძლოთ ეგვიპტელთა წინააღმდეგ გამოსვლა და ქართული საეკლესიოსათვის ბრძოლა, ისინი სხვათა ლაშქრობაში მონაწილეობდნენ და ამით იმედოვნებდნენ მიზნის მიღწევას — ქართული ტაძრების დაბრუნებას, ძველი პრივილეგიების აღდგენას, უფლებრივი სასჯელების გაუქმებას²³⁸. ამ მიზნით ჩაება ილხანთა ლაშქრობაში ვახტანგ III (1298—1308).

ჯვრის მონასტრის ერთი ალაბი გვამცნობს, რომ „ოდეს ჯუარისა მონასტერი კვ[=26] წელსა სპარსთა წაღო“, მეფე ვახტანგს მისთვის დიდი დახმარება აღმოუჩინია — „რვაჲ თაჲი ღაპრი და ათასი თეთრი“ შეუწირავს²³⁰. მეფე ვახტანგი, რომელმაც უხვი შეწირულებით ალაბის დაწესება დაიშახურა, ვახტანგ მესამეა, ქართლის მეფე, რომელიც 1299 წლის ნოემბრიდან ახლა ეგვიპტელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაგოლთა მბრძანებელს ყაზან ყაენს (1295—1304). ჟამთააღმწერლის ცნობით, როდესაც ყაზანმა „იწყო ამკედრება მეგაკტელთა ზედა, მოუწოდა მეფესა ვახტანგს“. ვახტანგის მეთაურობით ქართველთა მხედრობამ მონაწილეობა მიიღო ყაზანის საომარ ექსპედიციაში. ეგვიპტის სულთანი ნასირ მუჰამედი (1293—1294, 1299—1341) ჯაყაცურად დახვდა მტერს, „იქმნა ომი სასტიკი“²³¹. „ვახტანგ და სპანი მისნი მკნელ ბრძოდეს“²⁴⁰. მონაგოლებმა და თანამოლაშქრეებმა აიღეს ჰემსი, დამასკა, იერუსალიმი²⁴¹. საფიქრებელია, ვახტანგმა მაშინ მოიხაზელა იერუსალიმელი ქართველები, გაიგო მონასტრიდან გაძევებულ ჯვარელთა გაკირვება და ძვირფასი ქსოვილი და ფული მისცა მათ. ე. მეტრეველის აზრით, ეს 1299 წელს მოხდა²⁴². ეს გამორიცხული არ უნდა იყოს, მაგრამ დაბეჭდვით მტკიცება ძნელია. მართალია, ამ წელს დაიწყო ლაშქრობა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ვახტანგი მაშინვე, იმავე წელს, მოხვდა მონასტერში, თუ არა. ისიც ანგარიშგასაწევი, რომ ჟამთააღმწერლის ცნობით, ლაშქრობა მაშინვე არ დამთავრებულა. ვახტანგს მომდევნო წლებშიც უხდებოდა ეგვიპტელთა წინააღმდეგ ბრძოლა²⁴³. აუ რომ, ჩვენ პირობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვახტანგი 1299 წლის ახლანდელმა ჯვრის საეანეს²⁴⁴.

მართალია, ქართველი მამულიშვილები თავგამოდებით ებრძოდნენ ეგვიპტელებს და ზოგჯერ იერუსალიმელ ქართველებსაც ეხმარებოდნენ, მაგრამ მალე მათთვის ცხადი გახდა, რომ ილხანების ლაშქრობაში მონაწილეობითა და ბრძოლით სანუჯარი მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო. ილხანებს სირია-პალესტინის განთავისუფლებიას და ქართველთათვის მათი ძველი საეანეების დაბრუნების ძალა არ შეუწყვედათ. ქართველებმა გადაწყვიტეს ძველი ტრადიცია აღედგინათ²⁴⁵, ეგვიპტელებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება დაეწყოთ, მონაგოლთა წინააღმდეგ მოკავშირენი შეეძინათ და ეროვნული საეანეები დაებრუნებინათ. ამ მიზნის მისაღწევად ქართველთა მეფემ კაიროში ელჩები გაგზავნა და მოლაპარაკება დაიწყო.

მემატიანე ბადრ ად-დინ ალ-აინის (1361—1451) ცნობით, ქართველი მეფის ელჩები თავდაპირველად კონსტანტინოპოლში მივიდნენ. ლასკარისმა, — ბიზანტიის იმპერატორმა ანდრონიკე მეორემ (1282—1328), — მათ თავისი დესპანიც გააყოლა. ისინი მივიდნენ კაიროში და სულთანს მეჩეთად გადაკეთებული ჯვრის ტაძრის დაბრუნება სთხოვეს. ქართველთა თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა²⁴⁶.

მეჯირ ად-დინ აბდ არ-რაჰმან იბნ აჰმად ალ-ულაიმი ალ-უმარის (გარდ. 1522 წ.) ცნობით, როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა კუთვნილი ჯვრის ტაძარი ქრისტიანებს ჩამოერთვით და მიზგივად გადაკეთდა ელ-მელიქ ენ-ნასირ მუჰამადის დროს. 1305 წელს მის მოადგილესთან მივიდნენ ბიზანტიის იმპერატორისა და

ქართველი მეფის ელჩები და სთხოვეს ჯვრის დაბრუნება. დაბეჯითებითი და ხანგრძლივი თხოვნის შედეგად ჯვრის ტაძარი დაუბრუნდა ქართველებს²¹⁷.

იბნ ალ-კასირის ცნობითაც დასტურდება, რომ ზაიბარს ბუნდუქდარის ზეობაში შეიხ ხიდრის მიერ მიტაცებული ჯვრის ტაძარი დაუბრუნდათ ქართველებს და, ამასთანავე, მოეხსნათ უფლებრივი სასჯელი — ქართველმა ქრისტიანმა მიიღო უფლება ცხენ-სახედარზე ნორმალური ჯდომისა²¹⁸.

ალ-კალკაშანდი (1335—1418) თავის „დიპლომატიურ საცნობაროში“ იყენებდა ალ-უმარის (1301—1349) ცნობებს და მათ საფუძველზე გვაუწყებდა: ქართველთა სახელოვანმა ქრისტიანმა მეფემ ბრთლმამ ეგვიპტის სულთანთან წამოიწყო მოლაპარაკება მუსულმანთა მფლობელობისაგან ჯვრის მონასტრის განთავისუფლების შესახებ. სულთანმა გასცა ბრძანება და შეჩეთად გადაკეთებული ტაძარი ქართველებს დაუბრუნა, რითაც სასულიერო მოღვაწეთა და მოხელეთა უკაყოფილება გამოიწვია²¹⁹.

აბულ-აბბას აჰმად თავი ად-დინ ალ-მაკრიზი (1364—1442) ამავე საკითხზე წერდა: კაიროში „ჩამოვიდა კონსტანტინოპოლის იმპერატორის ელჩი, გურჯების მეფის ელჩის თანხლებით, რომელმაც ჩამოიტანა საჩუქარი და წერილი, რომელშიც უფლისწული მოითხოვდა იერუსალიმში მუსსალაბის (ჯვრის) მონასტრის გახსნას, რათა ქართველებს შეძლებოდათ, თუ მოისურვებდნენ, წასულიყვნენ იქ სალოცავად. ის ირწმუნებოდა, რომ ხალხი დარჩებოდა სულთანის ქვეშევრდომად და დაიცავდა მას ყოველთვის. როცა მისთვის საჭირო იქნებოდა დახმარება. გამოსცეს ბრძანება ეკლესიის გახსნის შესახებ, რაც შესრულებულ იქნა“²⁵⁰.

ამრიგად, ყველა დამოწმებული ავტორი გვაუწყებს, რომ ქართველთა მეფემ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით დაიბრუნა ჯვრის ტაძარი. ერთდღერთი ავტორი, რომელიც გვისახელებს ამ მეფეს, არის ალ-კალკაშანდი (ის კი, თავის მხრივ, იმოწმებს ალ-უმარის). მისი ცნობით, ქართველ მეფეს ერქვა ბრთლმა. ასეთი სახელის მეფე ჩვენ არასოდეს არ გვევლია. ჩანს, აქ რაღაც დამახინჯებასთან ვაქვს საქმე. ცნობილია სხვადასხვა ცდა დამახინჯებული ფორმის გაშიფრვისა. ბრთლმა ეგონათ ბაგრატიონი ან ბრწყინვალე (ე. ტიზენგაუზენი), გიორგი ბრწყინვალე (ი. ჭავჭავიძე), ვახტანგ III (ა. ცაგარელი, დ. ყიფშიძე, ს. კეკელიძე) და თვით ბურთელ-ბრთველი სივნიელი, შვილი ელიქუმ ორბელიანისა (დ. ლანგი). არც ერთი ვარაუდი სწორი არ აღმოჩნდა: ე. მეტრეველმა ვაარკეთა, რომ მაჰმადიანთაგან ჯვრის გამომხსნელი დავით VIII იყო²⁵¹.

ჯვრის გამომხსნას, — უცხო ავტორთა ჩვენებით. — ადგილი ჰქონდა 1305 წელს²⁵². ამ დროს მეფობდა დავითი, რომელიც ჯვრის სააღაპე წიგნში იხსენიება ვითარცა „მეორედ აღმამენებელი წმიდისა მონასტრისაჲ, რომელმან სარკონოზთაგან წარტყუძნული მონასტერი და ეკლესიაჲ მიზგითად შეცვალებული ეკლესიადვე სალოცველად შეცვალა და კუალად აგო ნათესავთა ქართველთასა“²⁵³.

დამოწმებული ალაპიდან ჩანს, რომ დავით მეფემ „სარკონოზთაგან“ (მამლუკთაგან) მიტაცებული ჯვარი გაათავისუფლა და დაიბრუნა. მეჩეთად გადაკეთებუ-

ლი ტაძარი ქრისტიანულ სალოცავად აქცია. „მეორედ აღაშენა“ — ალბათ, აღადგინა და განაახლა მაჰმადიანთაგან დაზიანებული ნაგებობა.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, მონგოლთაგან შევიწროებულმა დავითმა სცადა ეგვიპტელებთან დაახლოება და ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო მოლაპარაკება წამოიწყო, საქმეში კონსტანტინოპოლიც ჩარია და ამით პოზიცია განიმტკიცა. მან ელჩები აახლა ეგვიპტის სულთანს, მოკავშირეობა შესთავაზა, საქიროების უამს დახმარება აღუთქვა და ქართველთა სავანის დაბრუნება და უფლებრივი სასჯელის გაუქმება სთხოვა. ასეთი კავშირი ეგვიპტელთათვის ძალზე სასარგებლო იყო. ამიტომ სულთანმა ქართველთა თხოვნა დააკმაყოფილა და ჯვარი დააბრუნა. ეს ქართველთა დიდი პოლიტიკურ-დიპლომატიური გამარჯვება იყო. ქართველობამ საერთაშორისო მდგომარეობა გაიუმჯობესა, ეგვიპტესთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა და მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე შეიძინა, ძველი ქართული სავანე დაიბრუნა და ახლო აღმოსავლეთში ავტორიტეტი აიმაღლა²⁵⁴.

დავით მეფის მიერ დახსნილ ჯვრის მონასტერს სხვა ქართველნიც დაეხმარნენ. მაგალითად, დავით ნარინის ვაჟმა—„აფხაზთა მეფემ“ კონსტანტინემ (1293—1327) „ახლად შეკაზმა“, ე. ი. მორთო, აკაზმულობით შეამკო²⁵⁵; გრიგოლ ღრანდელმა ნაწილობრივ მოხატა²⁵⁶; „დიდსა დაქირვებასა შინა, მას უამსა. ოდეს ჯუარი შემოგუაქციეს“, „ოდეს სურტანმან ჯუარი მოგვცა“. მას დაეხმარა ბევრი ქართველი დიდებული და საეკლესიო მოღვაწე²⁵⁷.

ჯვრის მონასტრის კრებული გამოცოცხლდა და ამოძრავდა; მწიგნობრობმა განაახლეს ლიტერატურული საქმიანობა, გაჩაღდა შემოქმედებითი მუშაობა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა პატარა აგიოგრაფიული ძეგლი, რომელშიც მოცემულია თავგადასავალი „წმიდისა ახლისა მოწამისა. ნიკოლოზისი დვალისაჲ“²⁵⁸. იგი გვაცნობს სირია-პალესტინაში ეგვიპტელთა ბატონობას, ქრისტიანთა დევნა-შევიწროებას, იერუსალიმელ ქართველთა ცხოვრებას და ა. შ.²⁵⁹

უცნობი ავტორის სიტყვით, „ნიკოლოზ იყო ნათესავად დვალი, სოფლისაგან, რომელსა ეწოდებინ წაჲ“. ჯერ კლარჯეთში მოღვაწეობდა. შემდეგ იერუსალიმში²⁶⁰. მაჰმადიანობის გმობისათვის „მრავალნი ცემანი და ტანჯვანი დაითმინნა“. ერთხანს კვიპროსზე გაიხიზნა, ათონზე წასვლასაც აპირებდა, მაგრამ ბოლოს იერუსალიმში დაბრუნდა, უკანასკნელად დამასკოს ეწვია. ყველგან აშკარად აღიარებდა ქრისტიანობას და კაცხავდა მაჰმადს, რისთვისაც შეიპყრეს, გვემეს, შემდეგ „ამირათა-ამირისა დენგისის (სეიფ ად-დინ თენგიზი) წინაშე წარადგინეს“. მიუხედავად განსაცდელისა, ნიკოლოზმა არ უღალატა ქრისტიანობას და თავი შეიწვია მას.

როგორც ჩანს, სეიფ ად-დინ თენგიზის (ეგვიპტის მამლუკთა სულთნის ნაცვალის სირია-პალესტინაში) ზეობისას (XVI საუკუნის პირველ ნახევარში) ქართველი მოღვაწენი იერუსალიმში ერთგვარი პრივილეგიებით კიდევ სარგებლობდნენ,

მმართველები მათ ანგარიშს უწევდნენ, მაგრამ მაჰმადიანობის გმობას არც მათ აპატიებდნენ.

ნიკოლოზ დვალი 1314 წელ აწამეს. ამ წლის ახლოს უნდა იყოს დაწერილი სენაქსარული „წამების“ ის ტექსტი, რომელიც უკვე დაეიმოწმეთ. მისი ავტორი, რომლის ვინაობა ჩვენთვის უცნობია, იერუსალიმელი ქართველი მოღვაწე, — საფიქრებელია, ჯვრის საენაში მწიგნობარი, — XIV საუკუნის პირველი ნახევრის მწერალი უნდა იყოს. დაახლოებით ამავე ხანაში მოღვაწეობდა ჯვრის მონასტერში მეორე უცნობი ქართველი მწერალი — ავტორი „ლუკა მუხამსის წამებისა“²⁶¹. ჩანს, აღნიშნულ ეპოქაში ჯვრის კრებულმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქრისტიანობისათვის და კერძოდ — ქართული ქრისტიანული ეკლესიისათვის თავდადებულ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოწამებრივი აღსასრულის ამსახველი ძეგლების შექმნას.

ჯვრის მონასტერს მომდევნო ხანაშიც უხვად ეხმარებოდნენ ქართველი მოღვაწენი. ალაპთა საფუძველზე შეგვიძლია დავასახელოთ ის პირნი, რომლებიც დახმარებიან ჯვარს: გიორგი ბრწყინვალე (1299, 1314—1346), დავით IX (1346—1360), ბაგრატ V (1360—1390), გიორგი დადიანი (გარდ. 1384) და სხვ.²⁶² ზოგი მატერიალურად ეხმარებოდა ჯვარს, ზოგი კი წიგნებს სწირავდა²⁶³. ქართველთა საენე კვლავ იზიდავდა უცხოელ მოგზაურებ.²⁶⁴

XIV საუკუნეში ჯვრის მონასტერში არაერთი ხელნაწერი ინახებოდა. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთი „დიდი სჯულისკანონი“, რომელიც კარგა ხანს წარმოადგენდა ჯვრის წიგნსაცავის საკუთრებას, ახლა კი ქუთაისშია დაცული (K № 25). კარგადაა ცნობილი მისი გადამწერის ანდერძი, რომელიც რამდენჯერმე გამოქვეყნდა²⁶⁵. იგი გკუთენის გრიგოლ ჩახრეხაისძეს, რომელიც ბევრმა მკვლევარმა (ზ. ჰიქინაძემ, კ. კეკელიძემ, პ. ინგოროყვამ, ა. ბარამიძემ, შ. ნუცუბიძემ და სხვ.) „თამარიანის“ ავტორად—XII—XIII საუკუნეთა მოღვაწედ მიიჩნია. ამასთანავე, გრიგოლს ზოგი მიიჩნევდა ჯვრის მოღვაწედ²⁶⁶, ზოგი კი ჯვრის საენეში მისვლისა და იქ დასადგურების მსურველად²⁶⁷.

ანდერძიდან ირკვევა, რომ გრიგოლს „დიდი სჯულისკანონი“ დაუმზადებია ჯვრისათვის: „გლახაკი ფრიად ცოდვილი გრიგოლ ჩახრეხაისძე მომიცხენეთ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენტთა, რომელმან დიდითა გულსმოდგინებითა გარდაეწერე თვსითა კელითა ქრისტეანეთა წინამძღუარი დიდი ესე და სამოქალაქო სჯულისკანონი საუკუნოდ მოცხენებულისა და ჩუენ ქართველთათვის ფრიად ჰირთა თავსმდებელისა არსენი იყალთოელისა თარგმნილი... არარაჲს სხვსათვის მოვიპირეე წერაჲ ამისი, თვნიერ რომელ სიყუარული მქონდა ცალკერდ წმიდისა მონასტრისა პატრონისაჲ ჟუარისაჲ და მერმე ამის წმიდისა წიგნისაჲ“.

ი. ლოლაშვილმა ხელნაწერის ორნამენტულად მოხატული წარწერით დააკვანა, რომ გრიგოლ ჩახრეხაისძეს „დიდი სჯულისკანონი“ გადაუწერია ჯვრის საენეში იოსების წინამძღვრობისას, ე. ი. XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე²⁶⁸. სხვათა შორის, იოსები „დაქირების ეამს“ არა მხოლოდ ჯვარელთა ეკონომიკური მდგომარ-

რეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა²⁶⁰, არამედ წიგნადი ფონდის დაცვა-გამდიდრებისათვისაც იღვწოდა. ცნობილია, მის მიერ შეკაზმული სამოციქულო (Jer. 38 76)²⁶¹.

1400 წელს ჯვრის მონასტერი მტერს აუოხრებია. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ერთი ხელნაწერის მინაწერი: „აქა მოვიდა მაწყუერელი პიმენ მას უამსა, ოღეს თემერ დიმაში ააოჯრა და ჭუარისა სახლი აშლით ააოჯრეს და დაქირებულს ზეთი და ცკლი შემოსწირა“²⁷¹.

თემერ-ლენგმა დამასკო (დიმაში) აიღო 1400 წელს, როდესაც ეგვიპტის სულთანის წინააღმდეგ გაილაშქრა. ჩანს, ამან გავლენა მოახდინა იერუსალიმზე, კერძოდ, ჯვრის სავანეზეც. იქაურ ქართველებს ცხოვრება გაუძნელდათ. იმ დროს მისულა იქ მაწყუერელი მღვდელმთავარი პიმენი, რომელსაც შემდეგ ჯვრის მამობაც მიუღია (ამ პოსტზე ჩანს იგი XV საუკუნის ათიან წლებში)²⁷². პიმენი ენერგიულად იღვწოდა ჯვრის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით²⁷³, თანამემამულენიც საკმაოდ ეხმარებოდნენ (მაგალითად, ზაქარია ფანასკერტელის ოჯახი, ხელა მოლარეთუხუცესი, ივანე ათაბაგი და სხვ.)²⁷⁴.

პიმენის წინამძღვრობის პერიოდში იერუსალიმელ ქართველთა მდგომარეობის გასაცნობად და იქაურ სავანეებში დამკვიდრებულ ქართველთა კავშირ-ერთობის გასათვალისწინებლად საინტერესო მასალებს ვხვდებით გოლგოთის სვინაქსარის ერთ მინაწერში. მისი ავტორი—აღდგომელი მახარებელი გვაუწყებს, რომ XV საუკუნის დამდეგს ქართველებს ჰქონდათ ერთგვარი უფლებები გოლგოთის, აღდგომისა და სხვა ტაძრებში. იერუსალიმელი ქართველები მატერიალური ხელმოკლეობის უამს დახმარებას სთხოვდნენ თანამემამულეებს და ისინიც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ ამ თხოვნას. თვით მან დახმარება და შემწეობა სთხოვა მოლარეთუხუცეს ხელა თავხელიძეს²⁷⁵. ეს უკანასკნელი გამოეხმაურა თხოვნას და ასი ფლური გაუგზავნა უფლის საფლავის ტაძარს. ეს თანხა ჯვარელებმა დაიტოვეს და სანაცვლოდ წლიურად 12 ლიტრა ზეთის მიცემა დაივალეს²⁷⁶.

XV საუკუნეში ქართული სამეფო-სამთავროების მდგომარეობა კვლავ მძიმე იყო. ქართველებს ენერგიული ბრძოლის წარმოება უხდებოდათ მოძალბებულ მაჰმადიანურ ბრბოებთან, განსაკუთრებით თურქ-ოსმალთა ლაშქართან. მას შემდეგ, რაც გაძლიერდა თურქეთი და ბოლო მოეღო ბიზანტიის დიდებას, რაც 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემით დამთავრდა, რამაც ქართველთა (ისე, როგორც სხვა ქრისტიან ხალხთა) გულისტკივილი და გულისწყრომა გამოიწვია²⁷⁷, ქართველთა სამკვიდრო მაჰმადიანთა გარემოცვაში მოექცა. რადგან ღღენიდაც წარმოებდა ბრძოლა ქართული სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, ქართველებს იერუსალიმისათვის თითქმის აღარ ეცალათ. მართალია, ყურადღება იერუსალიმისა და მისი შემოგარენის ქართულ სიძველეთადმი არ შენელებულა, მაგრამ დახმარება იქაური ქართული კოლონიისადმი²⁷⁸, კერძოდ, ჯვრის მონასტრისადმი, აღრინდელი ძალისა აღარ იყო.

ი. ჯავახიშვილის მართებული დასკვნით, „როდესაც საქართველო პოლიტიკურად დასუსტდა, სხვებმწიფობებრივად დაკნინდა და მცირე სამეფო-სამთავროებად იქცა, მოსახლეობაც გარეშე თუ შინაური პირობების წყალობით შემცირდა და ეკონომიურად დაეცა, ჩვენი ერის ესოდენ დაუძლეულება და საეკონომიკური მდგომარეობა უცხოეთში მდებარე ქართულ მონასტრებსაც დაეტყუოთ. ხალხი ცოტა-ღა იყო და არამცთუ უცხოეთისათვის ძალა აღარ შესწევდა, შინაც მცხოვრებთა სიმცირე მეტად საგრძნობი შეიქმნა. ამიტომ აღარც ბერები მიდიოდნენ მრავლად სამოღვაწეოდ და წმინდა ადგილების მიმოხილვისა და მოლოცვის მსურველნიც აღარ ჩანდნენ და თუნდაც რომ აღმოჩენილიყვნენ, წინანდებურად ქონებრივი შეძლება აღარ ჰქონდათ, რომ თავიანთი სურვილი ისე ადვილად აესრულებინათ.

ცხოვრების ასეთმა გაჭირვებამ, სამშობლოსთან მიმოსვლის გაძნელებამ და გულუხვ მოლოცვითა შემცირებამ უცხოეთში არსებული ყველა ქართული მონასტერი საშინელს მდგომარეობაში ჩააგდო და არსებობის უმთავრესი წყარო მოუსპო. ძმობას თავისი თავის შენახვაკი უჭირდა და რა გასაკვირველია, თუ რომ გადასახადების გამოლება გაუძნელებოდათ და საშინელს სიღარიბეში ჩაცვივებოდნენ“²⁷⁹.

მაჰმადიანთა ურდოების მოწოლისაგან თავმოებზრებული ქართველობა მაინც ცდილობდა ძველ ნაგებობათა შენარჩუნებას, ქართველთა უფლებების დაცვას და პრეტენზიების საფუძვლების წარმოჩენას. მის საქმიანობაში მეტწილად ეროვნული გრძნობა იჩენდა თავს. ჩვენი წინაპრების ენერგიული მოქმედება — პალესტინის ქართულ სიძველეთა დაცვა განპირობებული იყო არა მხოლოდ ქრისტიანულ სიძველეთა სიყვარულით, არამედ, — უფრო მეტად, — ეროვნული გრძნობით; იერუსალიმის ქართულ სიძველეთა დაცვა ქართველთათვის წარმოადგენდა ეროვნული სარწმუნოებისა და ეროვნული ღირსების დაცვას.

საგულისხმოა, რომ ქართველები იერუსალიმში ამ ხანაშიც სარგებლობდნენ გარკვეული პრივილეგიებით, რასაც საგანგებოდ აღნიშნავდა ბევრი მოგზაური. მაგალითად, რუსი მოღვაწენი ზოსიმე (1420 წ.)²⁸⁰ და ვასილი (1466 წ.)²⁸¹, გერმანელი მოგზაური ი. ტუნერი (1479—1480 წწ.)²⁸² და ა. შ. განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს ვხვდებით ბ. ბრაილენბახის მოგზაურობის აღწერილობაში. უცხოელი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავდა, რომ ქართველები იერუსალიმში შედიოდნენ მრავალრიცხოვანი ჯგუფებით, მალა აღმართული ეროვნული აღმებით, სარგებლობდნენ გარკვეული უფლებებით²⁸³. როგორც ჩანს, „დაკნიებისა და დაქვეითების მიუხედავად, საქართველოს საერთაშორისო დამოკიდებულებასა და მეზობლობაში სახელი და მნიშვნელობა თუმცა შემცირებით, მაგრამ მაინც შენარჩუნებული ჰქონდა და მას ანგარიშს უწევდნენ შორეულ ქვეყნებშიაც კი“²⁸⁴.

XV საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც აღვნიშნეთ, ქართველები კვლავ ეხმარებოდნენ ჯერის კრებულს. სწორედ ამ პერიოდში, „დიდსა დაჭირებაში, დიადი საქონელი მიუვიდა“ ჯვარს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისაგან²⁸⁵; ამავე ხა-

ნაში მივიდა მონასტერში და დიდი აღმშენებლობითი საქმიანობა ვააჩალა სერაპიონ კუმურდოელმა. იგი, — ვითარცა „ჭუარის მონასტრის ტრაპეზისა მეორედ სრულობით აღმაშენებელი და იოვანე მახარებლის საყდრის მეორედ აღმაშენებელი“, — პატივით იხსენიება როგორც ჭერის მონასტრის საალაპე წიგნში²⁸⁶, ისე იქაურ ხელნაწერთა მინაწერებში²⁸⁷. ქართველთა დახმარება შესამჩნევია XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზეც. მაგალითად, „თმოგველთა უჯარმელთა ასულმან მამქანყოფილმან მარინემ“ ააშენა „ჭუარის პატიოსნისა გალავნისა ბურჯი“²⁸⁸, „ამილახორის თაყას ქალმან როდამყოფილმა რიფსიმემ“ დაიხსნა მონასტრის მარანი, „მეორედ კიდევ ქვისათუი დაარღუევდეს და კიდევ მეორედ“ იყიდა და დაიხსნა, წისქვილი „ახლად აღაშენა ბორბლითა და ქვითა“²⁸⁹ და ა. შ.

XVI საუკუნის დამდეგიდან შეინიშნება იერუსალიმელ ქართველთა გააქტიურება, იწყება ბრძოლა დაკარგული საგანეების დაბრუნებისა და შელახული უფლებების აღდგენის მიზნით, გახშირდა პილიგრიმობაც. თუ რაოდენ ძნელი იყო საქართველოდან იერუსალიმში წასვლა, ეს კარგად ჩანს ზოგიერთი ხელნაწერის მიერ შემონახული ანდერძ-მინაწერებიდან, რომელთა ავტორები, — ქართველი პილიგრიმები, — საკმაო სისრულით გვაცნობენ თავიანთ თავგადასავალს. ამ მხრივ საინტერესოა საბა სვიმონიშვილის (XVI ს.) მინაწერი: „გვარო პატიოსანო, შეიწყალე ცოდვილი აქა იელუსრემს (!) მოარული სვიმონიშვილი საბა... ციციშვილს მერაბს შეუწდოს ღმერთმან მისნი ცოდვანი. ბატონო ძმანო... მწვედა გარჯილი ვარა, თქვენმან მზემან, დამიჭირეს უსჯულთა. ქრისტეს მტერთა თათართა, მრავლა ხანსა სატყვეოს შემადგეს; საქონელი მეაქალა ბატონის ჩემისა მერაბისი, მისი ვერა ნიპოეს. ჩემთვის სახარჯო იყო მოცემული ორამოცი ფლური, რაჟა მე წამართვეს, სხვა მარავალა... ქირი გარდამქდა. ბოლო მიშველა ღმერთმან, მოველა(!) აქა იელუსრემს(!)“²⁹⁰.

მიუხედავად ასეთი სიძნელისა, XVI საუკუნეში ბევრი ქართველი ეწვია იერუსალიმს და კერძოდ ჭერის მონასტერს.

XVI საუკუნის დამდეგს იერუსალიმში იყო მზეჭაბუკ ათაბაგის მიერ წარგზავნილი პირი — ამბროსი²⁹¹, რომელიც კალიგრაფი და მხატვარი ყოფილა. „იძრუსალემს, მონასტერსა ჭუარისა პატიოსნისასა“ მან გადაწერა ოთხთავი (Q № 84)²⁹². მის მიერ შესრულებული მინიატიურები, მიუხედავად დაზიანებისა, კარგად წარმოაჩენს მხატვრის ოსტატობას. ამბროსიმ გარკვეული წვლილი შეიტანა ჭერის მონასტრის სამეურნეო ცხოვრებაში. შემონახულია ჭერის ალაპი, რომელიც გვაცნობს როგორც ამ წვლილს. ისე სამხრეთ საქართველოს გამოჩენილი ფეოდალური სახლის — ათაბაგთა ოჯახის ზრუნვას იერუსალიმის ქართულ საგანეებზე²⁹³.

1512 წელს იერუსალიმში ჩავიდა ბენა ჩოლყაშვილი²⁹⁴. ადრე იგი აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა, კახთა მეფის ავ-გიორგის (1511—1513) კარზე (ცნობილია 1511 წლის საბუთი დაწერილი „კელითა ირუბაქისძის სახლის უხუცესისა ბენასითა“)²⁹⁵.

ენერგიულმა და შეუღრეკელმა ბენამ თავგამოდებით დაიწყო ბრძოლა უცხო-ელთაგან მიტაცებული ქართული სიძველეების დაბრუნებისა და რესტავრაციისათვის. მის საქმიანობას კარგად გვაცნობს მინაწერი, რომელიც ჯვრის მონასტრის ერთ ხელნაწერს (Jer. № 21) შემოუნახავს: „აქა მე და სომეხნი დავისარჩუნით იაკობ წმიდისა საყდარზედა, და დიდი ჭირი და სარჯელი გარდამხდა ცოდვილსა ბენანასა, ძმანო. ნებითა ღმრთისათა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყუელა გარეთ გამოუყარე — კანდელი და რაცა მათი იყო“²⁹⁶. როგორც მინაწერიდან ჩანს, ბ. ჩოლაყაშვილმა სომეხებს დავა გაუმართა იაკობის ტაძრის გამო, კათოლიკეებს გოლგოთა დაატოვებინა და ქართველებს ძველი კუთვნილება დაუბრუნა. ასევე საინტერესოა მინაწერი კრებულზე (Jer. № 20): „ქრონიკონსა სბ [=202+1312=1514] შეიკაზმა და ამა კუირასა, ღღესა სამშობთსა, მეორესა უამსა ღამისსა შევები აღდგომისა კარნი ნებითა ღმრთისათა“²⁹⁷. ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ აღდგომის ეკლესიისათვის კარის შებმა, არამედ ამ სამუშაოს ღამით შესრულებაც. ჩანს, ისე დიდი იყო სურვილი ძველი ქართული სავანეების დაბრუნებისა თუ ცნობილ ტაძრებზე უფლებების აღდგენისა, რომ ქართველი მოღვაწენი ღამით მუშაობასაც არ ერიდებოდნენ. ფრიად საგულისხმოა, რომ ბ. ჩოლაყაშვილი, რომელიც „ჯუარის მამად მივლინებული“ იყო იერუსალიმში²⁹⁸, არ იფარგლებოდა მხოლოდ ჯვრის მოვლა-პატრონობით, იგი სხვა სავანეებსაც აქცევდა ყურადღებას. მფარველობდა იქაურ ქართველობას. ენერგიულად იღვწოდა შელახული ღირსების დაცვა-აღდგენისათვის. ვაჟკაცურმა და თანამიმდევრულმა მოქმედებამ, თავგანწირულმა ბრძოლამ ქართველთა უფლებების აღდგენისათვის ბ. ჩოლაყაშვილს საპატიო სახელი მოუპოვა იერუსალიმის ქართულ კოლონიამში.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ბ. ჩოლაყაშვილის ზრუნვა ძველ ქართულ ხელნაწერებზე. ცნობილია მის მიერ შეკაზმული რამდენიმე წიგნი ჯვრის ბიბლიოთეკისა. მაგალითად, თვენი (Jer. № 117)²⁹⁹, კონდაკი (Jer. № 114)³⁰⁰, ეფრემ მცირის თარგმანების შემცველი ხელნაწერი (Jer. № 16)³⁰¹, სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებულები (Jer. №№ 20, 21)³⁰² და სხვ.³⁰³ (დასახელებულ ხელნაწერთა მინაწერებით ირკვევა, თუ რა პირობებში იყვნენ ჯვარელნი, ჩანან ბ. ჩოლაყაშვილის მწიგნობარი თანამშრომლებიც). ჯვრის მონასტრის ერთი ფსალმუნის (Jer. № 133) დაკლებული ადგილები აღუდგინა-შეუქვსია სოფრონს (1513 წ.); ხელნაწერი შეუქაზმავს ბ. ჩოლაყაშვილს მინაწერი გვაწვდის საინტერესო ცნობებს ჯვარელთა მუშაობაზე: „სულსა ამა წიგნისა და სხვათაცა მარავლისა წიგნებისა მკაზმავსა ჩოლაყაშვილსა ბე[ენ]ანასა და ჩემთა ორთა მონაზონთა კნინთა, ნაომს და სოფრონსა, შეგვიწვევა, მამაო ზეცათაო. მას უამსა, ოდეს დიდი საღმობაჲ იყო აქაიწლსმს(!), ჩუენ შიშისაგან სიკუდილისა შეურავებულთა, გრცა(!) ყურესა ამა პატიოსნის ჯვარისა მონასტრისასა ვიყვენითა, ვშვერითა, ქრონიკონი იყო სა[=201+1312=1513]. ექვსა თვესა ვიყვენით ფარულ და...“³⁰⁴

1515 წლის ახლოს პალესტინაში იყო ზოსიმე კუმურდოელი³⁰⁵, მან იერუსალიმ-

ში „მიიტანა საქონელი მისიკა და პატრონის მისისაცა ქეთაონყოფილისაჲ ქრისტიანისი და გულქანისი“. „მას ეამსა ფრანგთა გოლგოთაჲ წაგუართუჴს და მან დაიქსნა, ოთხასი ფლური გამოიღო, დიდი საქმე ქნა“³⁰⁰. როგორც ჩანს, ადრე ბ. ჩოლაყაშვილის მიერ დახსნილი გოლგოთა კვლავ პათოლიკეებს ჩაუგდიათ ხელში, ამკერად ზოსიმე კუმურდოელმა გამოიჩინა თავი — თავისი გამზრდელის, ქართლის მიტის გიორგი VIII (1446—1466) ასულის, ქეთაონ-ქრისტიანესა და მისი ასულის გულქანის შეწირულებით გოლგოთა იხსნა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია კრებული (A № 1737), რომელიც ზებედე ნუჟასძეს დადუწერია. ეს პირი ზოსიმე კუმურდოელის ძმად მიაჩნდათ³⁰⁷. უფრო სარწმუნო ჩანს მეორე ვარაუდი: ზებედე ნუჟასძე და ზოსიმე კუმურდოელი ერთი პიროვნებაა, ზებედე ზოსიმეს ერისკაცობისდროინდელი სახელია³⁰⁸. ზოსიმე კუმურდოელის მინაწერი შემოუნახავეს ჯვრის მონასტრის ერთ წიგნს (Jer. № 73)³⁰⁹.

უაღრესად საგულისხმოა, რომ საქართველოდან ჯვრის მონასტერში ჩასული პირები (ბ. ჩოლაყაშვილი, ზოსიმე კუმურდოელი და სხვ.) ზრუნავდნენ არა მხოლოდ ამ უმთავრეს ქართულ სავანეზე, არამედ გარკვეულ ყურადღებას აქცევდნენ სხვა სავანეებში მოღვაწე თანამემამულეებს და ენერგიულად მოქმედებდნენ მათ საკეთილდღეოდ, ცდილობდნენ იერუსალიმის ქართული კოლონიის პატივისა და სახელის აღდგენას. როგორც ჩანს, ჯვრის მონასტერი ამ დროსაც პალესტინის ქართველობის მთავარ ცენტრად ითვლებოდა; იგი გამოდიოდა მოთავის როლში, მას ჰქონდა დაკისრებული ხელმძღვანელის ფუნქცია.

იერუსალიმში ქართველთა წმირი ჩასვლა, მათი ზრუნვა ჯვარსა და სხვა სავანეებზე, ძველ უფლებათა აღდგენაზე, ძველ ხელნაწერთა ბედზე საკმაოდ შესამჩნევი იყო. აღნიშნულის შესაბამისად ქართველებს იქ პატივს სცემდნენ, მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია, რითაც განსხვავდებოდნენ სხვა ქრისტიანთაგან. ამაზე საგანგებოდ წერდნენ უცხოელი მოღვაწენი: მ. ბაუმგარტენი (1507 წ.)³¹⁰, ლ. ჩუდი (1519 წ.)³¹¹, ბ. დე სალინიაგო (1522 წ.)³¹² და სხვ. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ქართველები გაშლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით, — საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ აქლემებსა და ცხენებზე მსხდომნი, — თავისუფლად, ბაჟის გადაუხდელად, შედიოდნენ იერუსალიმში. მაგრამ ქართველთა მდგომარეობა მალე გაართულდა, ქართულ სავანეთა შენარჩუნება კიდევ უფრო გაძნელდა. მას შემდეგ, რაც პალესტინა თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს (1516 წ.), მათ ხელში აღმოჩნდა იერუსალიმი და მისი სანახები, ქრისტიანული ტაძრები მათი შემოსავლის წყაროდ იქცა. მათი დახმარებით ქართულ სავანეებს თანდათანობით დაეუფლნენ ბერძნები³¹³, რომლებიც ძალზე ავიწროებდნენ ქართველებს. ჩვენს თანამემამულეებს სამშობლოდან დახმარება მოაკლდათ, დაკისრებული გადასახადის დაფარვა გაუძნელდათ, ვალი დაედოთ. ამის გამო ჩვენი ზოგიერთი ტაძარი კათოლიკეებმა ჩაიდგეს ხელში³¹⁴.

სირია-პალესტინის მმართველი თურქი ფაშები ძალზე უმოწყალოდ ძარცვავ-

დნენ პილიგრიმებს³¹⁵. მათ დიდი გადასახადი შეაწერეს ქრისტიანულ ტაძრებსა და მათ კრებულებს (ეს გადასახადი გვიან ხანამღე იკრიფებოდა)³¹⁶. ადრე შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფ ბერძნებსაც გაუჭირდათ³¹⁷; ამის გამო იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესიის საკეთმპყრობლის—პატრიარქის რეზიდენცია (XVII საუკუნის დასაწყისში) კონსტანტინოპოლში გადაიტანეს³¹⁸. ვასაგებია, რომ შექმნილია ვითარებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ჯერის საეპეცამან კი, თავის მხრივ, შეაშფოთა ქართველები.

ცალკე უნდა შევჩერდეთ იერუსალიმში ქართველთა ლაშქრობის საკითხზე. ჩვენს საისტორიო მწერლობაში, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია ტრიალებს ცნობა XVI საუკუნეში იერუსალიმში ქართველთა შესვლისა და ე. წ. წმინდა ადგილების ხმლით განთავისუფლების შესახებ.

„ახალი ქართლის ცხოვრება“ მოვეითხრობს: „წარმოუგზავნა კაცი ხონთქარმან მეფეს გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა ბაგრატს, და მპყრობელსა კახეთისასა ლევანს, ვითარმედ: „საფლავი ქრისტესი და ადგილნი წმიდთანი სჯულისა თქუენისანი დაიპყრეს უსჯულოთა და შეაბილწეს, მოვედით სპითა თქუენითა და განაძეთ ესენი და თქუენდა მიმიცემიარ“.

ხოლო, რა ესმა მეფესა გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა და კახეთისასა, და ყოველთავე მორჩილთა ბრძანებისა მათისასა, განიხარეს და შეიყარეს სპა და გავრმართნენ. და რა მივიდნენ იერუსალიმსა და ესმა მუნა-მყოფთა მისელა ამათი, წარმოუგზავნა კაცი და ესრეთ შემოაუთვალა: „უკეთუ სტუმარი ხართ, მამ მტერობა რა არისო, და სტუმრად ბევრნი ხართო, და უკეთუ ბრძოლად მოსართუხართ, მტერენი ხართო“. ზოლო ამათ მიუძმცნეს ბრძოლად მისელა. რა ესმა მათსაქმე ესე, გამოვიდნენ და ეწყუნენ ურთიერთას და იქმია ბრძოლა ძლიერად. და მოსცა ღმერთმან ძლევა ქართველთა და საფლავმან ქრისტე მან და გაემარჯვათ. და მეოტნი შევიდნენ ქალაქსა შინა და გაამაგრეს. ზოლო მიჰყვნენ ქართველნი და აართვეს ციხე და ქალაქი და მოსრნეს მუნა-მყოფნი მრავალნი ყოველნივე და განათავისუფლეს ქრისტეს საფლავი და ყოველნი წმიდანი ადგილნი. და მიუძმცნეს ზვანთქარსა საქმე ესე და წარმოუგზავნა ხალათი და წყალობა მრავალი: და მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯუარის მონასტერი და სხუანი მონასტერნი ყოველნივე ხონთქარმან მათ სიგლითა მტკიცითა. ზოლო განიხარა მეფემან გიორგი და ბატონმა ბაგრატ და ლევან და წარმოვიდნენ თქსსა ადგილსა და მოვიდნენ მშვიდობით გამარჯუებულნი და განიხარეს“³¹⁹.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ ცნობა საკმაოდ გავრცელებულია ქართულ საისტორიო და სამოგზაურო-მემუარულ მწერლობაში; იგი ოდნავი ვარიაციით მეორდება სხვა ავტორთა თხზულებებში.

ვახუშტი ბაგრატიონი (1696—1757 წ. ახლოს) ამავე საკითხზე ასეთ ცნობებს გვწვდის: „წარმოვევლინა სულტანს სულეიმანს სამთა ამათ მეფეთა თანა დესპანი გიორგის ქართველთა, ბაგრატ იმერთა და ლევან კახთასა, რამეთუ ადგილი სჯულისა თქუენისა იერუსალიმი დაიპყრეს უსჯულოთა, აწ მიმინიჭებოდა თქუენდა,

მოვედით და განასხენით იგინი და დაიპყრენით თქვენდა“ (ესე ჰყო ხონთქარმან, რამეთუ ბრძოლა დასავლით: მეორედ. ვინაჲთგან შიხის ძე ყვენი და იგი მტერობდენ, რათა ამით დაიპყრას მან ყოველი საქართველო და არა მიერთნენ შიხსა).

ამისნი მსმენნი მეფენი სიხარულით შეკრიბნენ სპითა თვისითა, ვინაჲთგან იყენეს სიუყარულსა მტკაცესა ზედა, და ათაბაგი ყუარყუარე მოერთო მეფესა გიორგის და წარვიდნენ მსასოებელნი ღვთისანი. მისრულთა იერუსალიმსა შინა მყოფთა მოუთხრნეს: „გვაუწყეთ, უკეთუ ხართ მტერნი, მცირედ გვიჩანთ, და უკეთუ სტუმარ, მრავალ ხართ“. ხოლო მეფეთა მიუთხრეს: „მბრძოლნი ვართ ძალითა მამავ ადგილისათა“. ამისა მსმენელნი გამოვიდნენ ქალაქით იერუსალიმით და ეწყუნენ ურთიერთთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი. სძლეს საქართველოსათა, მოსწყვდნენ და აოტნეს და შეპყვენეს ქალაქად, წარუხუნეს ქალაქი, მოსწყვდნენ და განდევნეს იგინი, ხოლო ნემტნი დაიპყრნეს და აღიღნეს ალაფნი დიდნი და ნატყუენაენი.

სქნა ესე ყოველნი ხონთქარმან, მონიქნა ნიქნი დიდძალნი და წმიდანი ადგილნი: საფლავი ქრისტესი, გოლგოთა, ბეთლემი და ჯუარის მონასტერი. ხოლო მეფეთა განათავისუფლნეს იგინი და წარმოვიდნენ გამარჯუებულნი და მოვიდნენ თქსთქსსა სამეფოსა შინა“³²⁰.

სავსებით ნათელია, რომ ვახუშტიმ გამოიყენა „ახალი ქართლის ცხოვრება“, ზუსტად გაიმეორა მისი თხრობა, მაგრამ ზოგიერთი ცნობაც დაუმატა. სახელდობრ. გვამცნო სულთანის სახელი (სულეიმანი), გვაუწყა ქართველ მეფეთა ლაშქრობაში ყვარყვარე ათაბაგის მონაწილეობა, ქართველთა მიერ იერუსალიმის აღება 1529 წლის ახლო ხანით დაათარიღა³²¹.

XVI საუკუნის პირველ მესამედში ქართველთა მიერ იერუსალიმის აღებას იხსენიებდა ტ. გაბაშვილიც. „მიმოსლვის“ აღრიხდელ ავტოგრაფულ ნუსხაში, რომელიც იერუსალიმურ გადმოცემებს ემყარებოდა, იგი წერდა: „სულთან სულიმ წარვიდა რა დაპყრობად მისირ-ეგვიპტისა, იტყვიან, მას იახლავო მეფე სა. ქართველოსი გიორგი. და მადლობასა უბრძანებდა რა სულთანი, ეტყოდა: რა გნებავს ჩემგან? ხოლო იგი სთხოვდა მამულსა თვისსა სამკვიდროსა იერუსალიმს. და უბოძა“³²².

იერუსალიმური ზეპირი გადმოცემების საფუძველზე ტ. გაბაშვილმა ქართველთაგან იერუსალიმის ხელში ჩაგდება სულთან სელიმის ომებით დაათარიღა (1516—1517 წწ.), ხოლო ეგვიპტეში გაჩაღებულ ბრძოლებში სულთანის მხლებელ ქართველ მეფედ მხოლოდ გიორგი დაასახელა. შემდეგ მან გაიცნო ვახუშტის თხრობა, იერუსალიმური გადმოცემები გადააკეთა, გიორგის თანამებრძოლიც დაასახელა და ლაშქრობა 1529 წლით დაათარიღა: „1529, ჟამსა დავითის მეფის ძისა გიორგისასა, ქართველთ მეფისასა, წარმოავლინა ხონთქარმა სულეიმან ელჩი და მოსწერა, ვითარმედ არს იერუსალიმი ქალაქი სჯულისა თქვენისა, განყარენით ფრანგნი მუნით და დაიპყრენით, რამეთუ სამკვიდროცა არს თქვენი, პირველისა ვახტანგ გორგასლანის დაქერის გამო. ვინაცა ფრიად სთნდა მეფესა ესე და შემდ-

იკრიბნა ლაშქარი და ათაბაგი ყვარყვარე და წარვიდა იერუსალიმს და ალილო იერუსალიმი და დაიშვიდრეს“³²³.

რა საფუძველი აქვს ბერი ევნატაშვილისა და სხვათა თხრობას? რამდენად სარწმუნოა ქართველთა მიერ იერუსალიმის აღება? რა ვიციტ ქართლის მეფის გიორგი IX (1525—1534), კახთა მეფის ლევანისა (1520—1574) და იმერეთის მეფის ბაგრატ III (1510—1565) ერთობლივი ლაშქრობის შესახებ? ყველა ეს საკითხი კარგა ხანია კამათს იწვევს ჩვენს საზოგადოებრიობაში. თ. ბაგრატიონი უყოყმანოდ იწყნარებდა და იმეორებდა ვახუშტის ცნობებს³²⁴; მ. ბროსე ამ თხრობას ზეპირგადმოცემად მიიჩნევდა³²⁵; ა. ცაგარელმა კრიტიკულად განიხილა ვ. ბაგრატიონისა და ტ. გაბაშვილის ცნობები. მისი მართებული დასკვნით, დასახელებულ პირთა მონათხრობი, რომელიც იერუსალიმური ხელნაწერებითა თუ სხვა მასალებით არ დასტურდება, მიუღებელია; ქართველთა მიერ იერუსალიმის იარაღით აღება გამორიცხულია და არც თურქ-ოსმალთა მიერ მათი ასე წამოწევა მოსალოდნელი. მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნდა ქართველთა მონაწილეობა თურქ-ოსმალთა ოპერაციებში, მაგრამ მათი განსაკუთრებული დაწინაურება და იერუსალიმში გაბატონება არაღამაჟერებლად ეჩვენებოდა³²⁶; მიუხედავად მ. ბროსესა და ა. ცაგარლის კრიტიკული შენიშვნებისა, თ. ჟორდანიამ ქართველთა მიერ იერუსალიმის აღება 1527 წელს საეგვიპტო დიდგენილად გამოაცხადა³²⁷. მის წინააღმდეგ მაშინვე გაილაშქრეს გ. წერეთელმა³²⁸, ა. ცაგარელმა³²⁹ და სხვ. თ. ჟორდანიას კვლავ ძველ პოზიციაზე დარჩა³³⁰.

თანამედროვე მეცნიერებისათვის თ. ჟორდანიას თვალსაზრისი მიუღებელია, ჯვრის მონასტრის წარწერების შემორჩენილი ფრაგმენტების თ. ჟორდანიასეული ინტერპრეტაცია, როგორც აღენიშნეთ, თვითნებურია; ქართველთა მიერ ზოგიერთი უფლების მოპოვება იერუსალიმში, რაზეც ყურადღებას ამახვილებდა მკვლევარი და რასაც რამდენიმე წყარო ამოწმებს, სხვადასხვა დროსა და არაფრით არაა დაკავშირებული 1527 წლის ლაშქრობასთან და მის შედეგად მოპოვებულ პრივილეგიებთან; საბუთად დამოწმება ზოგიერთი პირის მიერ ჩაწერილი გადმოცემისა (ტ. გაბაშვილი, თ. ბაგრატიონი. „აღწერილობა კათაპონის მონასტრისა“³³¹ და სხვ.), მეტი რომ არ ვთქვათ, უხერხულია; ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა აღდგომისა და აღწერების საგანის „სპარსთაგან დაქერაზე“ თ. ჟორდანიას სასარგებლოდ არას დამოწმებენ. ასე რომ, თ. ჟორდანიას არ წარმოუდგენია არც ერთი დამაჯერებელი და უტყუარი საბუთი საკუთარი თვალსაზრისის დასამტკიცებლად. გასაგებია, რომ აღნიშნული არგუმენტაციით 1527 წლის ლაშქრობის დადასტურება შეუძლებელია.

ამრიგად, ქართველთა იერუსალიმში ლაშქრობის შესახებ (XVI ს.) შემონახულია მხოლოდ ზეპირგადმოცემა, რომელიც რამდენსამე წყაროშია ფიქსირებული (სხვა რამე ხელშეხახები მასალა ამ საკითხზე არ მოგვეპოვება). რამდენად სარწმუნოა ეს ზეპირგადმოცემა? რომელ წყაროს ემყარება იგი? „ახალი ქართლის ცხოვრებისა“ და ვ. ბაგრატიონის თხრობა მხოლოდ ზეპირგადმოცემებს ემყარე-

ბა, თუ ამ ძველ ისტორიკოსებს ჩვენთვის უცნობი წყაროები ჰქონდათ ხელთ? ამ კითხვებზე კონკრეტული და ამომწურავი პასუხის გაცემა ჯერჯერობით არ ხერხდება. არაა გამორიცხული, რომ ზეპირგადმოცემასა და წყაროების ჩვენებას ქართველთა მიერ იერუსალიმის აღების შესახებ საფუძვლად დაედო ზოგიერთი კონკრეტულ-ისტორიული ფაქტი (ქართველთა ბრძოლა მამლუქთა წინააღმდეგ, ვახტანგ მგსამის მონაწილეობა ილხანთა ლაშქრობაში, სულთან სელიმის საომარი ოპერაციები და სხვ.), რომელიც გადამუშავდა, გაზვიადდა და ზედმეტად გახმაურდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძველ ქართველ ისტორიკოსთა წყაროების გარკვევა აუცილებელია.

როგორც აღვნიშნეთ, თურქ-ოსმალთა ძალმომრეობამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა იერუსალიმის ქართული კოლონია, კერძოდ ჯვრის მონასტერი, რომელიც სამშობლოდან ველარ იღებდა ძველებური სახის უხვ შეწირულებას (ქართველთა დახმარება არ შემწყდარა, მაგრამ იგი ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და მძიმე ვითარებას მაინცდამაინც ვერ ცვლიდა). ქართულ მონასტრებს უჭირდათ გადასახადების გადახდა; ისინი იღებდნენ ვალებს, აგირავენდნენ ქონებას, საეკლესიო ინვენტარს და ა. შ. როგორც კი ქართული კოლონია სამშობლოდან დახმარების სახით მიიღებდა შეაწირავს, იგი მამნივე ცდილობდა ვალის გადახდას, ან მის ნაწილობრივ დაფარვას. ჯვრის კრებული პატივით იხსენიებდა იმათ, ვინც ეხმარებოდა დაგირავენული ნაფთების დახსნაში, წიგნსაცავის გაზრდაში და ა.შ.³³² საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის დახმარება, რომელიც იერუსალიმელ ქართველობას აღმოუჩინა ფილიპე შაქარაშვილმა. იგი სამცხიდან წავიდა 1565 წელს, სურხანის შვილის — ვარაზის წარგზავნილი „საერთუსალიმო თეთრი“ მიიტანა იერუსალიმში, წელიწადნახევარი გაატარა ჯვარში³³³, რომელიც იმხანად „დიდად დაჭირებული იყო“, დიდი დახმარება აღმოუჩინა იერუსალიმის სავანეებს (ჯვრის მონასტერს, გოლგოთას, კათამონს, გიორგის ეკლესიას და სხვ.) — ზოგი აღადგინა, ზოგი შეამკო, ზოგს დაგირავენული ბარძიმ-ფეშხუმი დაუხსნა და ა. შ.³³⁴ ამ დროს ჯვრის წინამძღვრად იყო „ქართველ მეფეთაგან წარგზავნილი“ ეპიფანე, რომლის მამობაში (ე. მეტრეველით—1567—1593 წწ.) საერთოდ შესამჩნევია ქართველთა ზრუნვა ჯვრის მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სხვათა შორის, ეპიფანე მწიგნობრობის მოყვარული ყოფილა, ცნობილია მის მიერ შეკაზმული წიგნები (Jer. №№ 51, 120)³³⁵.

მიუხედავად ძნლებდობისა, ამ პერიოდში კვლავ გრძელდება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც უმთავრესად ბარნაბა თბილელისა და ვლასი ურბნელის სახელებთანაა დაკავშირებული. დასახელებული პირები სამშობლოშიც აქტიურად მოღვაწეობდნენ. ცნობილია, მაგალითად, სიმონ მეფის (1558—1600) სიგელი ქვათახევისადმი (1567 წ.), დაწერილი „კელითა სამეუფოჲს ქალაქისა მთავარეპისკოპოზისა ტფილელისა ბარნაბასითა“³³⁶. ვლასი ურბნელი ენერგიულად მოქმედებდა ურბნისის ეპარქიის სასიკეთოდ³³⁷.

ჯერის მონასტერში დამკვიდრებული ბარნაბა და ვლასი მეტწილად ერთად მოღვაწეობდნენ, ერთად მუშაობდნენ, ამიტომაც ერთად იხსენიებიან ანდერძ-მინაწერებში, რომლებიც გვაცნობენ მათ საქმიანობას. მაგალითად, მარხვანის (Jer. № 67) მინაწერში ვკითხულობთ: „შეიკაზმა წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი მარხვანი კელითა ურბნელისა მთავარეპისკოპოზისა ვლასისათა და კელითა ჩემ ცოდვილისა ტფილელ მთავარეპისკოპოზისა ბარნაბაჲსითა ესრე სახედ, რომელ მე ვაცხოველებდ და დაკლებულსა დავსწერდ და დაფარულსა განვაცხადებდ, ხოლო იგი ჰკაზმავნ და ჰკრავნ და ორნივე ზოგად ვიჭირვოდით არა ხოლო ამის წიგნისა, [არამედ] ყოველთავე წიგნთა, რაოდენიცა ახლად განვაკეთეთ... აღესრულა მუშაობა ამისთა... ქრონიკონს სწმ [=258+1312=1570], დასაბამითგან წელთა კომ [=7078—5508=1570], ხოლო ქრისტეს მოსლვითგან ჩხოლ [=1570]. ამასევე ქრონიკონსა მოვედით ჩუენცა საქართველოჲთ“³³⁸. კიდევ უფრო საინტერესოა მეტაფრასის (Jer. № 38 წ. მართ) მინაწერი, რომელიც ასე იკითხება: „შეიკაზმა კელითა ურბნელ მთავარეპისკოპოზისა ვლასისათა და ბრძანებითა, ჯერჩინებითა და თანაშეწევნითა ტფილელ მთავარეპისკოპოზისა და ჯუარის მამისა ბარნაბაჲსითა. რამეთუ მე შეეკრავას და შეიკაზმასა ვილუწიდ, ხოლო იგი დაბნელებულთა მათ და უქმარქმნილთა ასოთა განაახლებნ, და დაღათუ აკლნ წერილი, დასწერნ და სრულ ჰყოფნ. და ესრეთ ზოგად ვიჭირვოდეთ და ვმურებოდეთ. ხოლო ხარჯი წიგნთა საძმთ და სამონასტრო იყვის, არა ხოლო ამის წიგნისა, არამედ ყოველთა წიგნთა, რავდენიცა შეიკაზმა კელითა ჩუენითა და მამისაგან მოვიღებდით, რაცაჲ გვკმდის“³³⁹.

დამოწმებული მინაწერებიდან, რომელთაგან პირველი ბარნაბა თბილელს ეკუთვნის, ხოლო მეორე ვლასი ურბნელს, ნათლად ჩანს, თუ ვინ რა სამუშაოს ასრულებდა: ბარნაბა ძველ ტექსტებს აცხოველებდა და დაკლებულ ადგილებს ავსებდა, ხოლო ვლასი ძველ ფოლიანტებს კრავდა და კაზმავდა. როგორც ჩანს, ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება მათ ძირითად საქმიანობად მიიჩნიეს და ინტენსიური მუშაობით არაერთი ძველი წიგნი გადაგვირჩინეს და შემოგვინახეს. აღსანიშნავია, რომ დიდი სამუშაო ვლასის ბარნაბას მითითებითა და დავალებით შეუსრულებია. მაგალითად, აპრილის თვენი (H № 2336) ვლასიმ შეიკაზმა „ბრძანებითა და ჯერჩინებითა მამისა... ტფილელ მთავარეპისკოპოზისა ბარნაბისითა“ 1570 წელს³⁴⁰; ასევე გოლგოთის ავინაქსარი (H № 1661) „შეიკაზმა და შეიკრა კელითა ურბნელ მთავარეპისკოპოზისა ვლასისითა სალოცველად და სადიდებლად მამისა... ტფილელ მთავარეპისკოპოზისა ბარნაბასათჲს“ იმავე წელს³⁴¹; მაშინვე შეიკაზმა ვლასიმ, — ბარნაბას ბრძანებით, — იოანეს თავის თარგმანება (M № 13), რომელიც „ჟამთა სიგრძისაგან განრყუნილ და უქმარ ქმნილიყო“³⁴²; ცნობილია ერთი სადღესასწაულო (Jer. № 26) — შეიკაზმული „კელითა ურბნელ მთავარეპისკოპოზისა ვლასისითა, ბრძანებითა ტფილელ მთავარეპისკოპოზის და ჯუარის მამის ბარნაბაჲსითა“³⁴³; ვლასის მიერ შეიკაზმული ხელნაწერები ინახება ვენასა³⁴⁴ და პარიზშიც³⁴⁵.

ზოგჯერ ბარნაბა თბილელი დამოუკიდებლადაც ეწეოდა მწიგნობრულ საქმიანობას. მაგალითად, მან გააცხოველა იოანე ოქროპირისა და სხვათა ნაწარმოებების შემცველი ხელნაწერი (Jer. № 74)³⁴⁶, შეკაზმა „გიორგი ათონელის ცხოვრება“ (S № 353)³⁴⁷ და ა.შ.

ბარნაბა თბილელისა და ვლასი ურბნელის სახით ჩვენ ვეცნობით ჯვრის საეკლესიო შრომისმოყვარე მწიგნობრებს, რომლებიც დღენიადაც გულმოდგინედ იღვწოდნენ ძველი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისათვის. მათ, როგორც ჩანს, ორიგინალური არაფერი შეუქმნიათ, მაგრამ თავიანთი საქმიანობით მაინც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს ჯვრის სამწერლო კერის ისტორიაში³⁴⁸.

XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ქართველებს იერუსალიმელ ქრისტიანთა შორის ჯერ კიდევ საპატიო ადგილი ეჭირათ. ამას ერთხმად ადასტურებენ უცხოელი მოღვაწენი: ლ. რაუვოლფი (1573 წ.)³⁴⁹, ს. შვაიგერი (1577—1581 წწ.), ნ. რაბივილი (1582—1584 წწ.), ტ. კობობენიკოვი (1594 წ.)³⁵⁰, ი. კოტოვიკი (1598 წ.)³⁵¹, ქ. პარანტი (1598 წ.) და სხვანი.

გერმანელი მისიონერის ს. შვაიგერის (1551—1622) წიგნში³⁵², რომელშიც, სხვათა შორის, პირველად დაიბეჭდა ქართული (ნუსხური) ანბანი³⁵³, საგანგებოდაა წარმოჩენილი ქართველთა უფლებამოსილება იერუსალიმში³⁵⁴; პოლონელმა მოგზაურმა ნ. რაბივილმა (1549—1616)³⁵⁵ ხაზგასმით აღნიშნა „კათოლიკეთა და ყოველთა აღმოსავლეთის ეკლესიისა ქრისტიანეთა დიდი პატივისცემა“ ჯვრის ტაძრისადმი³⁵⁶; ქ. პარანტის ცნობით, ქართველებს იერუსალიმში მძლავრი კოლონია ჰქონდათ. ჩვენმა მოგზაურმა შენიშნა, რომ ქართველები „დღესასწაულის დღეებში დიდი რაოდენობით პილიგრიმობენ ქალაქში“³⁵⁷.

XVII საუკუნეში ქართველთა ყურადღება იერუსალიმის ქართული კოლონიისადმი გაიზარდა, დახმარება ჯვრის საეკლესიო უფრო შესამჩნევი გახდა. ქართველები ცდილობდნენ მეტი დახმარება აღმოეჩინათ ჯვრისათვის (ასევე სხვა საეკლესიოებისათვის) საქართველოში ბეგარის აკრფითა თუ იერუსალიმში შეწირულების წარგზავნით. ქართველ მოღვაწეთა დასმა კონკრეტულ და უპირველეს მიზნად დაისახა სხვათა ხელში გადასული საეკლესიო დაბრუნება, ძველ ნაგებობათა აღდგენა, დაგირავებული ნივთების დახსნა, ძველი უფლებების (თუნდაც ნაწილობრივ) აღდგენა და მთელი თავისი საქმიანობა ამ მიზნის მიღწევისაკენ წარმართა. აღსანიშნავია ის დახმარება, რომელიც ქართულმა კოლონიამ მიიღო გურიიდან მამია II გურიელის (1600—1625) ზეობაში³⁵⁸, ან ის უხვი შეწირულება, ჯვარს რომ მიუვებდა ბაადურ და გარსევან ჩოლაყაშვილებისაგან³⁵⁹ მაკარის წინამძღვრობის ქაშ (XVII ს. 30-იან წლებში)³⁶⁰. მსგავსი შემთხვევა სხვაგანაც ცნობილი, მაგრამ აუთი დახმარება ამინდს არსებითად ვერ ცვლიდა, ეს ჯერ კიდევ არ იყო საქმარისი. საჭირო იყო ენერგიული ხელმძღვანელი, რომელიც ქართული კოლონიის მეთაურის მძიმე მოვალეობას იკისრებდა, სიძნელეებს არ შეუშინდებოდა და თავის თანამოღვაწეებთან ერთად გადამჭრელ ზომებს მიიღებდა ქართველთა შეწირულების

გონივრულად გამოყენებასა და იერუსალიმის ქართული კოლონიის დაცემა-დაკნინების შეჩერების მიზნით. ასეთ მეთაურად იერუსალიმის ქართველობას მოველინა ნ. ჩოლაყაშვილი. მისი მოღვაწეობა ჯერის მონასტერში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ამ საეკლესიო და საერო იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიაში.

ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი (დაახლოებით 1585—1659 წწ.) საკმაოდ ცნობილი მოღვაწეა³⁶¹. იგი იყო კახეთიდან³⁶², ძე ომანისა, ძმა გამოჩენილი სარდლოს, „ომანიანის“ ავტორის ქაიხოსროსი. განათლება მიიღო რომში. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა კახეთში (თეიმურაზ პირველთან), იმერეთში (ალექსანდრე მეფესთან), სამეგრელოში (ლევან დადიანთან) და ა. შ. მოიარა ევროპის ბევრი ქვეყანა. 1614—1626 წლებში ცხოვრობდა იერუსალიმში³⁶³. 1643—1649 წლებში კვლავ იერუსალიმში იყო, ამჯერად უკვე ჯერის მამად. სწორედ ამ პოსტზე გამოიჩინა მან თავი და სრულად გამოავლინა თავისი ორგანიზატორული ნიჭი, რითაც დიდი სახელი მოიპოვა. რის გამო პატრიარქმა გარდაცვალების წინ (1645 წ.) თავის მემკვიდრედაც კი დაასახელა³⁶⁴.

ნ. ჩოლაყაშვილის მოღვაწეობის უამს ჯერის მონასტერს ბევრი ქართველი დაეხმარა. შეგვიძლია დავასახელოთ იმერთა მეფეები გიორგი (გარდ. 1639 წ.) და ალექსანდრე III (1639—1660), ვახტანგ გურიელი და ქაიხოსრო წულუკიძე, ევდემონ ჭაიანი და მრავალი სხვა.³⁶⁵ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დახმარება, რომელიც იერუსალიმელ ქართველობას გაუწია ლევან დადიანმა (1611—1657). მისი წვლილი ერთობ დიდი იყო; მისი შეწირულება შესაფერისად გამოიყენა ნ. ჩოლაყაშვილმა აღმშენებლობით საქმიანობაში და ეს გარემოება არაერთგზის საგანგებოდაც აღნიშნა. მაგალითად, ჯერის მონასტრის მთავარი ტაძრის შესასვლელზე წააწერა: „ქ. დაიხატა და განათლდა წმიდა ესე და ყოვლად პატიოსანი ტაძარი ჯვარისა ცხოველსმყოფელისა ჯერჩინებითა და შეწევინითა ყოვლად სახელოვნისა და ბრწყინვალისა დადიანისა ლეონისითა, კელითა და ფრიალქირგანცილებითა ყოვლად უღირსისა ჯვარისა და წმიდისა გოლგოთისა მამისა ნიკიფორესითა, ჩოლაყაშვილისა ომანის ძისათა, მსასოებელისა და სარწმუნოსა ამის მონასტრისასა, რომელმან გუმბადი და წმიდა საკურთხეველი გვაკეთე, ჩემის ალალითა საფასითა. ქრონიკონსა ტკია [=331+1312=1643], ამინ“³⁶⁶. ლ. დადიანისა და ნ. ჩოლაყაშვილის დამსახურება ჯერის ტაძრის განახლებაში საგანგებოდაა წარმოჩენილი ბერძნულ წარწერაშიც (1643 წ.)³⁶⁷.

ნ. ჩოლაყაშვილის თაოსნობით ჩატარებულ აღმშენებლობით საქმიანობას ჯერის ტაძრის არაერთი წარწერა ადასტურებს³⁶⁸, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი სვინაქსარის მინაწერი, რომელშიც ერთგვარად შექამებულია მის მიერ შესრულებული სამუშაო (იგი დაწერილია ნ. ჩოლაყაშვილის სახელით, მაგრამ არა მის მიერ): „...დავასატყინეთ ჯვარის გუმბათი და კედლები, და სახლები, და გალავანი დაქცეული გვაკეთეთ და საკურთხეველი მოვფიქლეთ, ოდეს მისჭირებოდა მონასტერსა. სამცხე თურქთ დაიჭირეს და გაათათრეს, კახეთი და

ქართლი სპარსთა დაიჭირეს. მას ეამსა მომხვედა მე ცოდვილსა ჯვარის მამობა. და მიიცვალა ამიერ სოფლით სანატრელი დედოფალი ნესტან-დარეჯან, თანამეცხედრე ხელმწიფისა დადიანისა ლეონისა, რომელმაც წარაგო მისთვის ყოველივე... და მე ჯერჩინებთა მის კელმწიფისათა ესრეთ შევამევე, რომელ სრულიად საბერძნეთი და არაბისტანი გაკვირდა»³⁶⁹.

ამრიგად, ნ. ჩოლაყაშვილმა ჯვრის მონასტერში ჩაატარა (1643 წ.) დიდი აღდგენითი სამუშაო. კერძოდ, შეაკეთა მთავარი ტაძარი, მოახატვინა გუმბათი, საკურთხეველი და კედლები და სხვ.³⁷⁰ მის კულტურულ-მწიგნობრულ საქმიანობაზე ჯვრის მონასტერში ბევრს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ორიოდ ფაქტს მოვიხსენიებთ. გრიგოლ ჩახნაჩხანისძის მიერ გადაწერილ „დიდ სჯულისკანონს“ (K № 25) შემოუნახავს ასეთი მინაწერი: „წმიდაჲ ესე სჯულისკანონი დაიკესენ და კუალადვე ჯუარს შეესწირე... ქრონიკონს ტი[=310+1312=1622] ნიკოლოზ ჩოლაყაშვილმან-აჲ; მისი „ბრძანებითა და ჯერჩინებითა“ შეიკაზმა XI საუკუნის თენი (H № 2339) 1649 წელს. ამ სამუშაოს შემსრულებელი გრიგოლ დიაკონი საგანგებოდ გვამცნობს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც ჯვარი იმყოფებოდა იმჟამად: „ოღეს ეს წიგნი ვიმუშავე, მაშინ დიად განსაცდელში იყო წმიდა მონასტერი, ოთხი ათასი მარჩილი ვალი ეკიდა მონასტერსა, პურისა და ლეინის ფასიც არა მქონდა. უწყის უფალმან. ამის მეტი რა მოგახსენოთ, რომ ამ წიგნის სამოსაც ვერ მიშოვეს და მე არა მქონდა რა. და ერთი მღვდელი მლოცავი სიმონ მოიწია შავშეთით და იმან შემოაწია სამოსი ამ წიგნისა“³⁷².

გრიგოლის მინაწერი ფრიალ საინტერესოა. იგი შესრულებულია 1649 წელს, როდესაც ნ. ჩოლაყაშვილმა დატოვა ჯვრის მონასტერი, რომლის რესტავრაციასა და გაძლიერებას შეალია თავისი ძალა და ენერჯია. მან ყველაფერი გააკეთა ჯვრის საეპისკოპოსოს საკეთილდღეოდ, მაგრამ დაღმრთებულ გზაზე დამდგარ კოლონიას მანაც არაფერი ეშვლა. მის შემდგომ ზოგიერთი პირი კვლავ თავგამოდებით ზრუნავდა ჯვარზე. მაგრამ არც ეკონომიკურად და არც უფლებრივად წინსვლა არ შეინიშნებოდა. პირიქით, ნ. ჩოლაყაშვილის მომდევნო წინამძღვრების ეამს ქართული კოლონია უფრო მეტად დავალიანდა, სამშობლოდან დახმარების შემცირებამ მისი უფლებრივ-ეკონომიკური მდგომარეობა გააუარესა.

XVII საუკუნის 30—50 წლებში იერუსალიმში არაერთი უცხოელი იყო. მაგალითად, ვ. გაგარა (1636 წ.), ბ. სური (40-იან წლებში), ა. სუხანოვი (1652 წ.) და სხვ.³⁷³ ისინი იცნობენ ჯვარს, აქა-იქ იხსენიებენ კიდევ მას ქართველ ბინადრებს, მსჯელობენ ქართველთა სხვა სამოღვაწეო ადგილებზე და ა. შ., მაგრამ მათი მონათხრობიდან ბევრს ვერაფერს ვიკებთ ჯვარზე, მათ ჩანაწერებში ჯვარი აღარ ჩანს ძველებური დიდებითა და ბრწყინვალეებით.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ძნელბედობის გამო პილიგრიმობა იერუსალიმში შემცირდა, მაგრამ არ აღკვეთილა. ცნობილია, რომ ამ პერიოდში არაერთი ქართველი ეწვია იერუსალიმს, კერძოდ, ჯვრის მონასტერს. მათ შორის ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო. მა-

გალითად, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მაქსიმე მაქუტაძე (1639—1657), როგორც ქ. კასტელი³⁷⁴, ა. ლამბერტი³⁷⁵ და სხვანი აღსტურებენ, რამდენჯერმე იყო იერუსალიმში და დაეხმარა კიდევ ჯერის ტაძარს³⁷⁶; იერუსალიმურ ხელნაწერთა ზოგიერთი მინაწერი საფიქრებელს ხდის, რომ ჯერის საეპანეო ყოფილა ცნობილი მწიგნობარი იაკობ ღუმბაძე³⁷⁷; 1684 წელს იქვე იყო არაგვის ერისთავთა სახლის წარმომადგენელი, მწერალი და საეკლესიო მოღვაწე „კოზმაყოფილი კიპრიანე“ სამთავნელი³⁷⁸; 1699 წელს ჯერის მონასტერში იყო მამა-ბიძათა სპარსელთა ტყვეობაში ყოფნით გულდასერილი დომენტი ბაგრატიონი, შემდგომ კათალიკოსი დომენტი I (1705—1741)³⁷⁹ და სხვ. დასახელებული პირები, — ისე, როგორც სხვა ქართველნი³⁸⁰, — მატერიალურად ეხმარებოდნენ დავალიანებულ ჯერის მონასტერს, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დახმარება, რომელიც ჯვარს გაუწია ქართლის მეფემ — გიორგი XI (1678—1688, 1703—1709). ვახუშტის სიტყვით, გიორგიმ „წარგზავნა იერუსალიმს ორი ათასი თუმანი საჯაროდ გოლგოთისა და ჯუარის მონასტრისა და სხუანი მრავალნი შესამკჳანი მათნი“³⁸¹. არაქართულ წყაროშიც აღნიშნულია, რომ გიორგიმ (ძმასთან—ლევან ბატონიშვილთან ერთად) ვალისგან იხსნა ჯერის ტაძარი³⁸². უფრო კონკრეტულ (დათარიღებულ) ცნობას გვაწვდის კიპრიანე სამთავნელი: „დაესწორეთ ესე წერილი მას ეჟმსა. ოღეს ჯვარი დატყვევებული ტფილისს ქალაქს ტახტსა ზედა მჯდომმა მეფემ გიორგიმ დაიხსნა ჯვარი ტყვეობისაგან. მას ეჟმსა აქ დავესწარ მეცა... ქართულად ქრონიკონსა ტობ [=372+1312=1684]“³⁸³.

როგორც ჩანს, 1684 წელს გიორგი XI იხსნა დავალიანებული ჯერის მონასტერი და მცირე ხნით გაახანგრძლივა მისი, — როგორც ქართული საეპანის, ქართველთა კეთენილი ტაძრის, — არსებობა, მაგრამ ჯერის ღღეები უკვე დათვლილი იყო, მისი შენარჩუნება ქართველობას აღარ შეეძლო.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა მდგომარეობა იერუსალიმში XVII საუკუნეში საკმაოდ მძიმე იყო. საქართველოს გართულებულმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ერთი მხრივ, და იერუსალიმის საპატრიარქოს დასუსტებამ, მეორე მხრივ, ქართული კოლონიის არსებობა, ქართველ მოღვაწეთა საქმიანობა კიდევ უფრო გააძნელა. ქართველთა და იერუსალიმის საპატრიარქოს ერთობლივმა გაკვირვებამ ისინი დააახლოვა და დააკავშირა. რასაკვირველია, ამ კავშირში იერუსალიმელი პატრიარქები სათანადო გამორჩენას ელოდნენ.

იერუსალიმის საპატრიარქო ჯერის, უფლის საფლავისა თუ სხვა საეპანეთა შემწეობით საქართველოდან რიგიან შემოსავალს იღებდა. იგი ყმა-მამულს ფლობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში³⁸⁴. იერუსალიმის ჯერის მეტოქს წარმოადგენდა თბილისში „ეკლესია ჯვარის. გუნბათიანი, შვენერი“ (ვახუშტი)³⁸⁵. ამ ეკლესიას ჩვეულებრივ ჯვარისმამას უწოდებენ, რადგან იქ იჯდა მამა, რომელსაც ქართველთაგან ნიშნავდნენ ქართველი მეფე-კათალიკოსები³⁸⁶. ის იღებდა, აგროვებდა შეწირულებას და უგზავნიდა იერუსალიმის ჯერის მონასტერს³⁸⁷.

რადგან პოლიტიკური ვითარების გართულების გამო ჯვრის მონასტრის ორგანიზაციული კავშირი საქართველოსთან შესუსტდა და დახმარება-შეწირულებამ იკლო, შემოსავლის ზუსტად აღრიცხვას და მიღებას დიდი მნიშვნელობა მიეცა. ამით აიხსნება ჯვრის წინამძღვრების საკალმასოდ ჩამოსვლა გურიაში, იმერეთში და ა. შ.³⁸⁸ ამითვე აიხსნება ის ფაქტი, რომ XVII საუკუნეში იერუსალიმის ოთხი პატრიარქიდან სამი ეწვია საქართველოს. სახელდობრ, თეოფანე (1608—1645), პაისიოსი (1645—1660) და დოსითეოსი (1669—1709)³⁸⁹.

თეოფანე თეიმურაზ პირველის დროს ეწვია ჩვენს ქვეყანას. ქართველმა მეფემ იგი პატივით მიიღო და დაასაჩუქრა: პაისიოსი 1658—1659 წლებში იყო საქართველოში. სხვათა შორის, ამა თუ იმ მიზეზით 1664—1665 წლებში საქართველოში იყვნენ ალექსანდრიის პატრიარქი პაისიოკი და ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი³⁹⁰. უფრო საყურადღებოა დოსითეოსის მოგზაურობა საქართველოში. იგი ჯერ 1658—1659 წლებში ახლდა პატრიარქ პაისიოსს, მეორედ 1681 წელს ჩამოვიდა უკვე როგორც პატრიარქი იერუსალიმისა.

დოსითეოსი საკმაოდ ენერგიული მოღვაწე იყო — თავგამოდებით ებრძოდა კათოლიკეებს, აკავშირებდა მართლმადიდებლებს, მოგზაურობდა და აგროვებდა შეწირულებას, ისტუმრებდა ვალებს და ა. შ. იგი ცნობილია მწიგნობრობითაც. გარკვეულ ინტერესს იწვევს მისი „იერუსალიმის პატრიარქთა ისტორია“, რომელშიც გამოყენებულია ბაგრატ მესამის „აფხაზთა ისტორია“³⁹¹. ავტორმა მოგვწოდა ბევრი საყურადღებო ცნობა ჩვენს ქვეყანაზე. დოსითეოსის ცნობები საქართველოზე გამოაქვეყნა ჯერ კიდევ მ. ბროსემ³⁹². ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა დოსითეოსის წერილები. რომლებიც, — პ. უსპენსკის მიერ რუსულად თარგმნილი³⁹³, — ჩვენშიც გამოაქვეყნა პ. იოსელიანმა³⁹⁴.

დოსითეოსი საგანგებოდ აღნიშნავდა ქართველთა დამსახურებას იერუსალიმის ქრისტიანული სავანეების მშენებლობისა და დაცვის საქმეში, მათ მონაწილეობას მოძალებული მამკლდინების წინააღმდეგ ბრძოლაში, წარმოაჩენდა ქართველ მეფე-დიდებულთა წვლილს ქართული ტაძრების ვალისგან ხსნასა და რესტავრაციაში. მისი ცნობით, ქართველ ბერთაგან მიტოვებული და დავალიანებული სავანეები ბაგრატიონთა (გიორგი XI, ლევან ბატონიშვილი) ფულით გადარჩა და დაუბრუნდა ქართველობას (სახელდობრ, ჯვრის, ნიკოლოზის, თეოდორესა და სხვა მონასტრები)³⁹⁵. ერთგან დოსითეოსი შედარებით სრულად აღწერდა იერუსალიმის ქართველი მოღვაწეების ცხოვრების პირობებს. მისი განცხადებით, იერუსალიმში მისულ ქართველს, — სასულიერო თუ საერო პირს, — მამკლდინები ძარცვავდნენ და ატყვევებდნენ, ჯვრის მონასტრის მამულს უცხონი ითვისებდნენ. დოსითეოსი ქართველებს მოუწოდებდა იერუსალიმის სავანეებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენისაკენ, მატერიალურად დახმარებისაკენ; ამასთანავე, ყოველ წერილში საგანგებოდ წარმოაჩენდა თავის დამსახურებას. სახელდობრ, დოსითეოსმა, — მისივე ცნობით, — თითქოს ქართველთა მონასტრები ვაათაეისუფლა ვალისგან და მათი კუთვნილი მამულები დაუბრუნა, ძველი ხელნაწერები დაღუპვას გადაარჩინა

ნა, ქართველ მოღვაწეებს საცხოვრებელი პირობები გაუუმჯობესა და ა. შ. იგი საყვედურით იხსენიებდა ჯვრის წინამძღვრებს და მთელ დამსახურებას თვით მიიწერდა.

რასაკვირველია, დოსითეოსის ყველა ცნობა სწორი არაა. მართალია, იგი ითვალისწინებდა შექმნილი ვითარების სირთულეს, კარგად ერკვეოდა კათოლიკეთა მტაცებლურ გეგმებში, აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა მოძალადე მამაადინებს, იცავდა ქრისტიანულ სავანეებს, ვალისგან იხსნიდა ქართულ სიძველეებს, მაგრამ, რასაკვირველია, ყოველივე ამას ჩვენ სასიკეთოდ არ აკეთებდა. იგი საპატრიარქოს გაძლიერებით იყო დაინტერესებული, მის გამდიდრებაზე ზრუნავდა³⁸⁶. XVII საუკუნის დასასრულს მან ხელთ იგდო ჯვარი და სხვა ქართული სავანეები, იქაური ქართველები სხვადასხვა ტაძრებში დაქსაქსა და ამით იერუსალიმის ქართული კოლონია კიდევ უფრო დაასუსტა; ჯვარში დარჩენილი ქართველებიც უფლებამუხელდული იყვნენ³⁸⁷. დოსითეოსის საქმიანობა ქართველთა „სასიკეთოდ“ იმით დამთავრდა, რომ ქართულ სავანეებს — ჯვარსა და სხვა ტაძრებს ბერძენთა საპატრიარქო დაეუფლა. ასე რომ, ის რაც კათოლიკეებს გადაურჩა, ბერძენების ხელთ აღმოჩნდა.

XVIII საუკუნეში ქართველთა გავლენამ იერუსალიმში საგრძნობლად იკლო; ქართველ მეფე-დიდებულთა დახმარება იერუსალიმის ქართული კოლონიისადმი ძველებურად ეფექტური აღარ იყო, ქართულ ტაძრებს უცხოელები ფლობდნენ, პილიგრიმთა რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა.

1706 წელს დოსითეოს პატრიარქმა წერილი გამოუგზავნა ქართლის გამგებელს — ვახტანგ ბაგრატიონს (1675—1737), ჯვრის მონასტრის ვალისგან დახსნა მოაგონა, მისი წინაპრებისა და ახლობლების ჯვარზე ზრუნვა შეახსენა, დახმარებისაკენ მოუწოდა³⁸⁸. მას სურდა იერუსალიმის ქრისტიანულ სიძველეთა დაცვის საქმეში უფრო აქტიურად ჩაება ბაგრატიონთა გვარეულობა და ამით, საბოლოო ანგარიშში, საპატრიარქო გაეძლიერებინა. მისი მოქმედება ამჯერადაც საპატრიარქოს ინტერესებით იყო განპირობებული და არა იერუსალიმელ ქართველებზე ზრუნვით.

ჯვრის მონასტერში ბერმონაზვნური ცხოვრება გრძელდებოდა. იერუსალიმის პატრიარქის გამგებლობაში გადასულ სავანეში არაერთი უცხო მოღვაწე მივიდა. მაგალითად, მაკარი (1704 წ.)³⁸⁹, ი. ვიშენსკი (1708—1709 წწ.)⁴⁰⁰, ვარლამი (1712 წ.)⁴⁰¹, ვ. გრიგოროვიჩი-ბარსკი (1726 წ.)⁴⁰² და სხვ. მათ მონიხსნულეს და მოგზაურობის აღწერილობაში მოიხსენიეს და ზოგჯერ შეაკქეს კიდევ ჯვრის ტაძარი და მისი ტრეპული, მაგრამ გარკვევით არ აღნიშნეს, თუ ვის ეკუთვნოდა სავანე და არც მოწესეთა ეროვნება გვაუწყეს (საფიქრებელი კია, რომ ჯვრის ბინადარნი ერთხანს ძველ ქართველნი იყვნენ. ასეთი ვარაუდისთვის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ 1739 წელს ჯვარს ქართველი წინამძღვარი (გერასიმე) ჰყავდა⁴⁰³ და 1744 წელსაც იქ რამდენიმე ქართველი მოღვაწე ცხოვრობდა⁴⁰⁴).

უფრო კონკრეტული ცნობა მოგვაწოდა რუსმა მოღვაწემ სერაპიონმა (1749 წ.). მან მოიხსენია ქართული სიძველეები — ხელნაწერები, ხატები, წარწერები და დასძინა, რომ ამ ძველ ქართულ სავანეს ახლა ბერძნები ფლობენ⁴⁰⁵.

იერუსალიმის ქართული კოლონიის დაცნინებამ შეაშფოთა ქართველობა. ქართველთა ეროვნული ღირსების შეზღვევითა და ეროვნულ სავანეთა დაკარგვით აღშფოთებული „წმიდა საფლავსა და სისხლმეწამულს გოლგოთას მდგომი, მლოცველი, საბრალო... მონაზონი მართა“ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს გრიგოლს (1696—1742) გულისტკივილით აცნობებდა იერუსალიმის ქართული სავანეების მძიმე მდგომარეობას, მტრის მოძალებას, მის მიერ ქართულ სიძველეთა ვერაგულად მიტაცებას.

„ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ? ეგებ არ მოხსენებოდეს, თვარემ საქონელი და სიმდიდრე ორივე აქ არის, ეს სოფელიც და მერმეცა. აქაური ამბავი ამ ჩემმან შვილმან ვერ ნახა, თუ რა დიდი გაჭირვება არის მაგისთანა, რომ მონასტერი ასრე დაკარგეთ? ბატონი კათალიკოზი მაქსიმე კაცი არ იყო, რომ ნაწილ სასუბებელ არს მისი სახელი? აგრე იქნება? წამობრძანდით, ამათა აღარ უნდა ჩვენი კაცი, რომ მონასტრები საქართველო ამათ ჩაიგდეს ხელად და ქაშენ. რა უნდაგარეშო საქონელი გამოზიდეს ჩვენის მონასტრების!... ნუ იქთ, ნუ დაკარგეთ ამ მეუფის სახლს. ყოველი სული ამისთვის კვდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იშოვნოს, და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ! ეს წმიდა ადგილი სრულიად ქართველის ყოფილა, და ეხლა ლამის რომ სულა გამოვ[ა]რდეთ: წმიდას საფლავზედ ფრანგნი ჟამს სწირავენ. ერთის სიტყვით მისცა ხვანთქარმა და ასრე უბრძანა: „რაც გურჯის ბატონების ზიარეთი და სალოცავი იყოსო, არა კადროთ რამეო“. ხმა დიდი არის მაგ ბატონების და ხათრიც, მაგრამ ერთი ელჩი რომ გამოგზავნოთ სტამბოლს, რა იქნება? დიდი სირცხვილი არ არის ეს, რომ პატროსანი დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სომხებმა იშოვნეს? ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სომეხს აქუს. ბეთლემი ფრანგმა აიღო, მაგრამ მაგათი შიში და მოლოდინი აქუს და ჩვენი სამწირველო ისრეე მორთული არის; თუ არ მოხვალთ, და[ა]ქცევენ. საბრალო პატრიარქმა რა ქნას, თუ ქრისტიანი არ მიუღდებთ? ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხვანთქართან, ისრეე მოგცემსთ. უსაცილოდ გოლგოთასაც და გესამანიას დაიჭირავენ ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერძი გოლგოთა დაიჭირა, ჩვენი ჭერ კარგად არის. ერთი თავი ჭვარის მამა გაიჩინეთ, რომ წამოვიდეს. ან ერის კაცი. ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარამ წახდა საქმე. უსათუოდ შავის ზღვით გამოაგზავნეთ კაცი და საპატრიარქოშიდ სტანბოლს მოვიდეს, და იქიდამა ვეზირი ნახოს. თუ ასრე არა იქთ, ეს მონასტრები და იერუსალიმი დაგეკარგვიან. ნუ იქთ, სხვას ნუ უყურებთ. თავისის ფეხით იარეთ და ვინც ბატონები იყოს, ან გურიას ან ოდიშს, იმერეთს და ქართლით, პირობა დასდევით და ამგვარად კრება და ვეზირობა ქენით. თუ იერუსალიმი დაგეკარგვიან, რასლა სჯული და ან რასლა პირჭვრის წერა გექნებათ...“⁴⁰⁶

წერილის ავტორი მართა მონაზონი ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც მამულისმოყვარული და ეროვნული ღირსების დამცველი ქალი. მას კარგად ესმოდა იერუსალიმის ქართული კოლონიის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, გულს უკლავდა მიმტაცებელთა ძალადობა და ქართველთა გულგრილობა. აღლვებდა ქართველ კოლონისტთა უმწეო მდგომარეობა. ამიტომაც მოუწოდებდა იგი თავის თანამემამულეებს გადასჭრელი ზომების მიღებისაკენ, იერუსალიმელ ქართველთა სავანეების წსნისა და დაცვისაკენ, ძველი უფლებების დაბრუნებისა და საერთაშორისო პრესტიჟის აღდგენისაკენ. მართათვის, — ისე, როგორც ბევრი შორსმჭვრეტელი მამულიშვილისათვის, — იერუსალიმის ქართული სავანეების დაკარგვა, იქაურ ქართულ სიძველეებზე ხელის აღება მამაპაპეული სარწმუნოების შებღალღას ნიშნავდა და ეროვნული კატასტროფის მოახლოებას მოასწავებდა.

1757 წლის მიწურულიდან 1758 წლის გაზაფხულამდე იერუსალიმში იყო ჩვენს მიერ მრავალგზის ხსენებული ტ. ვაბაშვილი. მაშინ იქ ქართული ელემენტი ძალზე შესუსტებული, ხოლო ქართული სავანეები სხვათაგან მიტაცებული იყო (ტ. ვაბაშვილმა ქართველი მიოღვაწენი მხოლოდ დედათა მონასტერში ნახა)⁴⁰⁷. იერუსალიმის ქართული სავანეებისათვის, კერძოდ ჭვრისათვის, ძველი უფლებების დაბრუნებაზე და იქ ქართველთა პრივილეგიების აღდგენაზე ფიქრიც კი ძნელი იყო. მართალია, ეს წარმოდგენდა ბევრი ქართველის სანატრელ ოცნებას, მაგრამ მისი განხორციელებისათვის საკირო რეალური პირობები არ იყო. ამიტომაც ტ. ვაბაშვილს ამ მიმართულებით თითქმის არაფერი გაუკეთებია⁴⁰⁸. მეტიც, მის უშუალო მიზანს არც წარმოდგენდა პრაქტიკული საქმიანობა იერუსალიმში ქართული კოლონიის აღდგენა-განმტკიცებისათვის. მას სურდა კოლონიის წარსულის შესწავლა, ქართველთა მოღვაწეობის ისტორიული სურათის აღდგენა, ე. წ. წმინდა ქალაქის ისტორიაში ქართველთა როლის გარკვევა და დამსახურების წარმოჩენა. მის მიზანს იერუსალიმის ქართული სიძველეების მიგნება, გაცნობა, შესწავლა და გამომზეურება წარმოდგენდა. ამიტომაც იქებდა იგი ასეთი გულმოდგინებით ქართველთა ნაკვალევს — ეცნობოდა ფრესკებს, კითხულობდა წარწერებს, ათვალევებდა ხელნაწერებს, კრებდა და იწერდა გადმოცემებს და ა. შ. მას, ერთი მხრივ, სიამაყის გრძნობას ჰგვრიდა ის გარემოება, რომ „მეფენი საქართველოსანი ეამთა მათ შინა მეპატრონე და მპყრობელ სრულიად იერუსალიმისა და პალესტინისა ქმნილ არიან, და მალალ და ძლიერ ყოფილ არს ნათესავნი საქართველოსანი“, ხოლო, მეორე მხრივ, გულს უკლავდა ის სავალალო ფაქტი, რომ „აწ ესეოდენ დაკნინებულ არს, გარეშემონი ჩვენსა მპყრობელნი სიტყვისა რაჟსამე ჩვენდა მოცემად არამკადრე არიან“⁴⁰⁹. სწორედ ამან განაპირობა მოგზაურის განსაკუთრებული დაინტერესება. ის გაცემული და აღმოფხვრებული იყო იმით, რომ იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის შესწავლის საქმე ჩამორჩებოდა, ბევრ ქართველს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამ საკითხზე: „განკვირვებულ ვართ, თუ ასე რასათვის უმეცარ იქმნენ საქართველოსაგანნი? ერთი ვინმე

რასათვის ვერ მოიწია აქა, აქაური ამბავი შეეტყო, და ანუ ქვაზედ, ანუ წიგნთა შინა აღმოეკითხა ეს ამბები და საქართველოთათვის ეუწყებინა? არავისა სმენიეს, თუ იერუსალიმი ქართველთათვის რა არის, და არცა მე უწყყოდი აქაური ესევეითარი საქმე“¹¹⁰.

ტ. გაბაშვილმა ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა იერუსალიმის ჭვრის მონასტერი და სხვა ქართული სავანეები. ამის საფუძველზე შექმნა მან „მიმოსლვა“ — სამოგზაურო-მემუარული ჟანრის თხზულება, სამეცნიერო ხასიათის ნაშრომი, რომელიც ზემოთ მრავალგზის დავიმოწმეთ. ტ. გაბაშვილმა ჭვრის მონასტერში გაიხსნა ქართულ ხელნაწერთა კოლექციაც: ზოგ ნუსხაზე კადეც წააწერა (მაგალითად, Jer. № 73)¹¹¹, ზოგიერთის პირი გადმოიღო¹¹² და ა. შ. მისი ცნობით, ჭვარში „არის წიგნი მრავალი ქართული“¹¹³.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში, როგორც აღვნიშნეთ, ჭვრის სავანეში იყო ი. გედევანიშვილი¹¹⁴, მაგრამ, სამწუხაროდ, მან არავითარი ყურადსაღები ცნობა არ მოგვაროდა, გარდა ერთი ფრაზისა: „დახატულ არიან მეფენი საქართველოსანი და დადიანი. საშუალ ეკლესიისა არს დაწერილი: „ვდგეთ კეთილად“ და შემდგომი“¹¹⁵.

ჭვრის მონასტრის ზოგიერთი ხელნაწერის მინაწერი საფიქრებელს ხდის, რომ ი. გედევანიშვილმა გაიხსნა იქაურ ხელნაწერთა კოლექცია¹¹⁶. სხვათა შორის, მან გაიხსნა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შემცველი ხელნაწერიც¹¹⁷.

XIX საუკუნეში ჭვრის მონასტერი ნახა და გაიხსნა და მის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ბევრმა პილიგრიმმა, მეცნიერმა და სხვ.

XIX საუკუნის დამდეგს იერუსალიმს ეწვია მღვდელმონაზონი ლავრენტი გოგელაძე. მან გაიხსნა იქაური ქართული სიძველენი, დაძებნა ქართველთა ნაყვალევი, გამოავლინა ამა თუ იმ სავანის ქართველთადმი კუთვნილების დამადასტურებელი საბუთები და ა. შ. მისი მინაწერი შემოგვინახა რამდენიმე ხელნაწერმა¹¹⁸. როგორც ჩანს, ლ. გოგელაძემ ზოგი იერუსალიმური ხელნაწერი სამშობლოში ჩამოიტანა (მაგალითად, H № 1661). ერთ მოზრდილ კრებულს, რომელსაც ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული ძეგლებიც შემოუნახავს, ლ. გოგელაძემ 1806 წელს ასეთი მინაწერი დაურთო: „... ამას ვიტყ[ვი], რათა თქვენ ცხონდეთ პატიოსანო მამანო ქართველნო და იმერელნო, და უფროს-ლა ამას დაკვირვებულ ვარ, რასათვის გაგიშვიათ და დაგივიწყებიათ დიდებული და ნათლით შემოსილი ესე ქალაქი იერუსალიმი. შ, უღებებასა და უსასობებასა ჩვენის ქვეყნისასა, რამეთუ უფრო შორიდამ მოდიან ქრისტეს საფლავის სიყვარულისათვის და ჩვენის ქვეყნის აქ აღარავინ მოდიხართ. და ამას თქვენის უმჯობესობისათვის ვსწერ, რათა თქვენ ცხონდეთ... ქრონიკონს ამას ჩყე [= 1805] მოვედ... იერუსალიმსა. გოლგოთას შუა ადგილზე ეპისკოპოსის დასაჯდომი ტახტი იხილეთ, ძველათ ნაწერი ქვა ძეს, თავდამოქცევით ძეს. ამჟამად ფრანგთა უქირავეთ. მოდით გოლგოთას, ვინცა აქ მოხვიდეთ, და წაიკითხნეთ ქვა იგი და სუნაქსარი გოლგოთისა ჭვარის მონას-

ტერში ძეს და მით კსცნობთ, თუ ვისი ჭირნახულია იერუსალიმი და წმიდა საფლავი“⁴¹⁹.

კიდევ უფრო საინტერესოა ის მინაწერი, რომელიც ლ. გოგელაძემ დაურთო ფსალმუნთა უარგმანებას (ქრ. № 146 ა. ცაგარლით. ამჟამად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი H № 18). მინაწერში ვკითხულობთ „იმერელი ოკრიბელი ბერი ლავრენტი ქრონიკონს ჩყე[=1805]... წერა არ ვიცოდი, მაგრამ ამბის შეტყობისთვის დაეწერე: მე, უღირსი ცოდვილი იმერელი ბერი ლავრენტი მღვდელმონაზონი მოვედი აქა წმიდასა ჭვარსა იერუსალიმს წყალობითა ღუთისათა და წინამძღვრობითა ჭვარის მამა ათანასისათა და დავეძე ამ ჭვარის მონასტერში... აქ იერუსალიმს იხილეთ წმიდა გოლგოთას შუაზე ეპისკოპოზის დასაჯლომი სკამი და ქვა, თავქვეით არის წასაკითხავი და აქ სცნობთ ჰამბავს; და წმიდა დიდი შესავალი კარი, ქვედა კარი ნათელმხიარულისა, თუ რა სწერია და მით სცანთ წმიდის ამის იერუსალიმის საქმე და ამბავი. წმიდა ნიკოლოზის ეკლესია და წმიდა თეოდორეს და მამათმთავრის აბრამის ეკლესია, ყველგან ქვები და წერილები აცხადებს ჩვენს ქვეყნის ნაჭირნახულებს და თუ ვის გაუკეთებია და ხაჯი უქნია. და ვინც ამ ჭვარის მონასტერში [მოხვიდეთ], გოლგოთის სხაქსარი აქ არის და დასაწყის თავში იხილეთ და ნახეთ, თუ ვისია გოლგოთა. და აქა ჭვარის მონასტერში მხედრული დაწერილი მოსახსენებელი სახელები განიხილეთ დოსითეოს პატრიარქის დროს და მით სცნობთ ამ წმიდა ალაგის ამბავს და ვინც ამოიკითხოთ, ცოდვილისა მონაზონისა ლავრენტისათვის შენდობა ბრძანეთ. ჩყზ[=1807]“⁴²⁰.

ლ. გოგელაძე გულისტყვილით მსჯელობდა იერუსალიმის ქართულ სიძველეებზე. პირდაპირ მოთქვამდა ქართველთა გულგრილობისა და დაუღვევრობის გამო, აღშფოთებული იყო მოძალადე მიმტაცებელთა მოქმედებით, ეძებდა და ავლენდა ნივთიერ საბუთებს იმის დასამტკიცებლად, რომ იერუსალიმის ბევრი სავანე ქართველთა საკუთრებას წარმოადგენდა. იგი იყენებდა ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებს, სვინაქსარულ ცნობებს, ეპიგრაფიკას და დაბეჭდვით ამტკიცებდა ქართველთა უფლებებს იერუსალიმის ცალკეულ ტაძრებზე⁴²¹.

1814—1816 წლებში ჭვარის მონასტერში იყო ბესარიონ ქიტიშვილი⁴²². ქართულად მოსაუბრე იქ მას არავინ დახვდა. ჩანს, ამ დროს ჭვარის სავანეში არც ერთი ქართველი მოღვაწე აღარ ცხოვრობდა.

1820 წელს იერუსალიმში იყო გ. ავალიშვილი, რომელმაც შემოგვიანხა რამდენიმე ცნობა ჭვარის ადგილმდებარეობის, ფრესკების, წარწერებისა და განსაკუთრებით ხელნაწერთა შესახებ (ჩვენც ამაზე ვაგამახვილებთ ყურადღებას)⁴²³. როგორც მისი ჩანაწერებიდან ირკვევა, გ. ავალიშვლს არა მხოლოდ აჩვენეს ქართულ ხელნაწერთა კოლექცია, არამედ შესთავაზეს კიდევ. ერთგან იგი გვაუწყებდა მიტროპოლიტმა მისაელმა „გამომიტყადა სახელითა უწმიდესისა სინოდისათა და მომიძღუნა ყოველნი წიგნნი ქართველნი, ეკკლესიასა ამას ძუძლადვე დაქრძალველნი, ჩემთვის საკუთრად ანუ ეკკლესიათათვის საქართუქლოჲსათა, ვინაჲთგან, აღრი-

თუც განწორებდათ გამო აქამთ ქართუცლთასა, უსარგებლოდ ყოველთა იცვე-
ბიან იგინი და წყმღებიანცა ჩრჩილთა და ღროთა მიერ“⁴²⁴. სამწუხაროდ, გ. ავა-
ლიშვილმა ვერ გამოიყენა ეს შესანიშნავი მომენტი, ვერ შეძლო წიგნსაცავის ნამ-
დვილი პატრონებისათვის დაბრუნება. მან დაათვალიერა იქაური ბიბლიოთეკა
(„ორი მოდილო ოთალი საესეჲ ქართველ საეკლესიო წიგნებითა, ძუცლადუც
ეტრატთა და ქალაღდთა ზედა ნაწერითა“). ამოარჩია და წამოიღო 12 ხელნაწე-
რი: ქართული ცხრა, სომხური, სირიული და ეთიოპური—თითო. გარგა ხანია
შენიშნულია, რომ გ. ავალიშვილმა ჯვრის მონასტრიდან წამოიღო იერუსალიმის
ქართულ ხელნაწერთა კოლექციის საუკეთესო ხელნაწერები⁴²⁵:

1. იანვრის თვენი, XI ს. (H № 2338).
2. აპრილის თვენი, XI ს. (Jer. № 141 ა. ცაგარლით; H № 2336).
3. ივნისის თვენი, XI ს. (Jer. № 143 ა. ცაგარლით; H 2339).
4. ივლის-აგვისტოს თვენი, XI ს. (Jer. № 142 ა. ცაგარლით; H № 2337).
5. „ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა გრიგოლ ღმრთის-
მეტყუელისაჲ“ (Jer. № 144 ა. ცაგარლით).
6. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინე-
პოლელ მთავარეპისკოპოსისა თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ“ (Jer. № 145
ა. ცაგარლით).
7. სამოციქულო (Jer. № 140 ა. ცაგარლით)⁴²⁶,
8. მარგალიტი (Jer. № 147 ა. ცაგარლით).
9. ფსალმუნთა თარგმანება (Jer. № 146 ა. ცაგარლით)⁴²⁷.

გ. ავალიშვილის მიერ ჩამოტანილმა პატარა კოლექციამ ადრევე მიიპყრო
მკვლევართა ყურადღება. ჯერ კიდევ 1830 წელს 7 ხელნაწერი გაიცნო და ზოგი
რამ გადმოიწერა კიდევ ტ. ალექსიშვილმა (1797—1876)⁴²⁸. მის მიერ გადმოწერი-
ლი ანდრეძ-მინაწერები აღნიშნული ხელნაწერებისა გამოაქვეყნა თ. ჟორდანი-
ამ⁴²⁹. გასული საუკუნის 30-იან წლებში ამ ხელნაწერების სია ხელთ ჰქონდა
ქ. ფრენს (1782—1851)⁴³⁰. მალე იგი გამოაქვეყნა მ. ბროსემ⁴³¹. მანვე მოგვცა მოკ-
ლე აღწერილობა ამ ხელნაწერებისა⁴³²; უფრო სრულად აღწერა ა. ცაგარელმა⁴³³.
ყველა მეცნიერისათვის ცხადი იყო გ. ავალიშვილის მიერ შერჩეულ და ჩამოტა-
ნილ ხელნაწერთა დიდი მნიშვნელობა და აგრეთვე გ. ავალიშვილის გან-
სწავლულობა, რაც ნათლად გამოვლინდა მის მიერ ძვირფას ხელნაწერთა შერ-
ჩევაში.

ჯვრის მონასტრის ხელნაწერები ნახეს აგრეთვე ი. შოლცმა (1820 წ.)⁴³⁴, ა.
მურავიოვმა (1830 წ.)⁴³⁵, კ. ტიშენდორფმა (1845 წ.)⁴³⁶. ამ უკანასკნელმა იქიდან
წამოიღო ალაპთა შემკველი ფრაგმენტები. სხვათა შორის, მან მონასტერში ნახა
თთხი ქართველი ბერი.

1845 წელს ჯვრის მონასტერი დაათვალიერა და აღწერა ნ. ჩუბინაშვილმა.
მისი საინტერესო ცნობები ჯვრის ფრესკებსა თუ წარწერებზე ზემოთ რამდენჯერმე

დაემოწმეთ. სხვათა შორის, მან არა მხოლოდ სიძველენი აღწერა, არამდ ზოგიერთი ვადმოცემატკმემოგვინახა. მაგალითად, ერთ ადგილას იგი წერს: „ამა მონასტრის დიდს ეკკლესიას შინა სრულიად იატაკი არს მოზაიკა, რომელსაც ქართულად უწოდებენ სოფიის კენჭი, ფერად-ფერადად შეწყობილი სხვადასხვა სახეებად. ეს იატაკი ადგილ-ადგილ არს გაშაგებული. იტყვიან, ვითარმედ მოუსრავთ მუნ მონაზონნი და მათითა სისხლითა არს შეღებილი“⁴³⁷.

ნ. ჩუბინაშვილმა წაიკითხა და ვადმოილო წარწერები (ნ. ჩოლაყაშვილის, ლ. დადიანისა და სხვ.), ნახა და ვადმოხატა პორტრეტები (პეტრე ქართველის, რუსთველისა და სხვ.)⁴³⁸, დაათვალიერა „ბიბლიოტეკა ანუ წიგნთსაცავი, სადაც მდებარეობენ წიგნნი ლათინურნი, არაბულნი და ქართულნი, რომელნიც არიან: იაწეროლნი ხუტურად; ზოგნი ეტრატზედ და ზოგნი სქელს ქალღაღებზედ. რიცხვით იქნება ვიდრე ორასამდინ... რომელნიმე მათგანნი დაშლილან და ვისაც კჳალად შეუკრევენებია ან ვანუახლებია, მათნი სახელნი ზედ აწერიან, მაგრამ კჳალადცა არიან დაშლილნი; და ჭიისაგან შეკმულნი“⁴³⁹. მან ვაციწო 30-მდე ხელნაწერი, მათგან ღირსსახსროვრად მიიჩნია და აღწერა 16⁴⁴⁰. იგი ზოგჯერ ხელნაწერის შედგენილობის ჩვენებით კმაყოფილდება (№ 1), ზოგჯერ ტექსტის ნაწყვეტის ერთგვარ პერიფრაზს გვაძლევს (№ 8), ხშირად კი ანდერძ-მინაწერებს გვაცნობს (№№ 2—7, 9—16).

აქვე ვიძლევიტეცხრილს, რომელშიც ნ. ჩუბინაშვილის აღწერილობის ნომრები ხელნაწერებისა შეთანხმებულია სხვა მეცნიერთა მიერ შედგენილ აღწერილობათა ნომრებთან.

ნ. ჩუბინაშვილის მიერ აღწერილი 16 ხელნაწერიდან ა. ცაგარლის კატალოგში არ ჩანს შეიდი (№№ 1, 9, 10, 13—16), ნ. მარის კატალოგში — ცხრა (№№ 1—5, 8—10, 16), რ. ბლეიკის კატალოგში — შეიდი (№№ 1, 5, 9, 10, 12, 14, 16). საერთოდ, არც ერთ კატალოგში არ ჩანს ნ. ჩუბინაშვილის მიერ აღწერილი ოთხი ხელნაწერი (№№ 1, 9, 10, 16), რომელთაგან ზოგიერთს (№№ 9, 16) საინტერესო მინაწერი აქვს. რადგან ეს მინაწერები სხვაგან არ ჩანს, ნ. ჩუბინაშვილის აღწერილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ქართველ სწავლულთაგან პირველად ნ. ჩუბინაშვილმა ნახა და მოიხსენია.

ნ. ჩუბინაშვილი	ა. ცაგარელი	ნ. მარს	რ. ბლეიკი
1	—	—	—
2	8	—	102
3	15	—	76
4	54	—	68
5	37	—	—
6	135	13	21
7	137	14	20
8	104	—	2
9	—	—	—
10	—	—	—
11	138	25	16
12	39	48	—
13	—	34	43
14	—	38	—
15	—	16	36
16	—	—	—

1855 წლიდან ჯვრის მონასტერში ვაიხსნა იერუსალიმის საპატრიარქოს სასულიერო სემინარია, რომელიც ჩვენი საუკუნის დამდგამდე (1908 წ.) მოქმედებ-

და. ძველი ქართული სავანე თანუათნოით ახალი პატრონების — ბერძნების სურვილისამებრ იცვლიდა სახეს. მაგრამ კვლავ იზიდავდა ქართველსა თუ არა-ქართველ პილიგომებსა და მეცნიერებს. მაგალითად. 1856 წელს იქ იყო იმერელი ბერი ბესარიონ გოგინაშვილი,⁴⁴¹ 1858 წელს — არქ. ლეონიდი, რომელმაც ნახა დასაღუპავად განწირული ქართული ხელნაწერები⁴⁴²; 1860 წელს ჯვრისა და სხვა ქართულ სავანეთა წარწერები გადმოიღო პ. უსპენსკიმ⁴⁴³; 1866 წელს ჯვრის მონასტერში იყო ბ. ბარკალია⁴⁴⁴, 1867 წელს — „რაქის ერისთავის გეორგი ბაძიმის ძის ძე, მღვდელმონაზონი დიდებულის იმერეთის მონასტრის ვანათისა თეოდორე“⁴⁴⁵, 1831 წელს — არქ. ანტონინი, რომელმაც საინტერესო ცნობები შემოგვინახა ჯვრის მონასტერსა და სხვა ქართულ ტაძრებზე, იქაურ ფრესკებზე, ხელნაწერებზე⁴⁴⁶, და ა. შ. ბ. ბარკალიამ მწვეველ განიცადა ჯვრის მონასტრის ძნელბედობა და ქართულ სიძველეთა გასაჭირი. იგი „ღროების“ რედაქტორსა და ქართველ საზოგადოებრიობას გულისტკაულით აცნობებდა: „მონასტრისა წაგნსაცავი, სასვე მრავალგვარი ხელნაწერი პერგამენტის წიგნებითა, ხარტიებითა და გუჯრებითა, ვპოვე ღრთთაგან გახრწნილი, წვიმისა და ნოტიოსაგან არასაკმაოდ დაკუთლი, რაისა გამო ვარდამოვიტანე წიგნი იგინი სხვასა დიდსა ოთახსა შინა შუამწეობითა და ბრძანებითა მონასტრისა მის არქიმანდრიტისა გერასიმესითა (ქართველი, გვარად დოგრაშვილი)⁴⁴⁷, რომელიცა მიიცივალა 1868 წელსა და მისა შემდეგ მონასტერი უპყრიესთ ბერძენთა“⁴⁴⁸, რომელთაცა დააყოვნეს მონასტერი და სარგებლობენ დიდძალის შემოსავლითა, რომელაც აქვს მონასტერსა საქართველოდგან... დატოვებული ბერძენთაგან მონასტრისა კედლის წარწერანი და გამოხატულებანი იშლებიან ნოტიოსა და წვიმისაგან, რომელთაგან დაუღვევნელობითა არასაკმაოდ დაფარულ არს ტაძარი ესე“⁴⁴⁹.

1883 წლის გაზაფხულზე იერუსალიმში ჩავიდა ა. ცაგარელი. მან გაიცნო ჯვრის მონასტრის (და სხვა ქართულ სავანეთა) სიძველენი, გამოავლინა და გადმოიწერა ეპიგრაფიკული ძეგლები, აღწერა და გადმოიღო ჰირი ზოგიერთი ფრესკისა, გულდასმით შეისწავლა ქართული ხელნაწერები. მანვე დაძებნა ცნობები ჯვრის შესახებ ქართულსა თუ უცხოურ წყაროებში, სათანადოდ გამოიყენა მოგზაურთა და მწიგნობართა ჩვენებანი და მოგვცა ნარკვევი, რომელიც წარმოადგენს პირველ ვრცელ მეცნიერულ მიმოხილვას ქართველთა მოღვაწეობისა ჯვრის მონასტერში. მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯვრის კრებულის მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას⁴⁵⁰.

ა. ცაგარელმა ცალკე დაბეჭდა (ორჯერ) ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა კატალოგი, რომელშიც აღწერილია 147 ხელნაწერი⁴⁵¹. მათგან მკვლევარმა ჯვრის სავანეში ნახა და აღწერა 138 ხელნაწერი, პეტერბურგში—9. ამთაგან ერთი (№ 29, აწ H № 2123) საბაწმიდური წარმოშობისაა და იქიდან წამოიღო პ. უსპენსკიმ, ხოლო რვა (№№ 140—147, აწ H №№ 2336, 2337, 2339 და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერები: P № 3, M № 13, K № 4, E № 16, H № 18)

ნამდვილად ჯერის ბიბლიოთეკის საკუთრებას წარმოადგენდა და, როგორც აღვნიშნეთ, იქიდან წამოიღო გ. ავალიშვილმა.

ამრიგად ა. ცაგარელმა ჯვარში აღწერა 138, ხოლო საერთოდ ჯერისეულ 146 ხელნაწერი. მის მიერ ჯვარში ნახულ ხელნაწერთაგან ერთი ვაშინგტონშია (№ 36), ორი — ვენაში (№№ 35, 37), 48 ხელნაწერის ადგილსამყოფელი გაურკვეველია (№№ 13, 16, 17, 22, 31—33, 39, 40, 45—47, 49, 53, 55, 57, 61, 62, 64, 65, 72—75, 78, 80—82, 84, 85, 87, 88, 90, 92, 95, 96, 98, 101, 102, 112, 113, 120, 122, 127, 129, 130, 133, 134). რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს. რომ ყველა დასახელებული ხელნაწერი დაქარგულია. არაა გამოჩინებული, რომ ბევრი მათგანი ახლაც იერუსალიმშია, მაგრამ ა. ცაგარელი ისე მოკლედ აღწერდა ამ ხელნაწერებს, რომ ძნელდება გარკვევა, თუ რომელ წიგნზეა საუბარი (გამონაკლისია №№ 22, 88, 90). ამიტომ მათი შესატყვისების დაძებნა ნ. მარისა და რ. ბლეიჟის აღწერილობებში ნშირად შეუძლებელია.

XIX საუკუნის მიწურულს ჯერის მონასტერს (აგრეთვე იერუსალიმის სხვა საეანეებს) კვლავ ეწვივნენ ქართველი პოლიგრაფები: გ. ნადარეიშვილი, რომელმაც თავისი ორგზის მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილება და ცნობები რუსთველის პორტრეტის შესახებ რამდენადმე გვიან გამოაქვეყნა⁴⁵², ი. ჭანტურია (1896 წ.)⁴⁵³ და ზემოთ რამდენჯერმე დასახელებული პ. კონკოშვილი (1899 წ.)⁴⁵⁴. ისინი აღშფოთებით წერდნენ ბერძენთა ძალმომრეობაზე, ქართველთა ნაკვალების წარხოცაზე, ჯერის მთავარი ტაძრის თეთრად შეღვსვაზე, რაც, თავის მხრივ, ფრესკების დაფარვასა და ქართველთა მოღვაწეობის დამადასტურებელი მასალის მიჩქმალვას ისახავდა მიზნად.

XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს ჯერის ტაძარმა მიიპყრო ცნობილ ხელოვნებათმცოდნეთა ყურადღება: 1891 წელს ავი გაიცნო და დაახსიათა ნ. კონდაკოვმა⁴⁵⁵, ხოლო 1905 წელს — ა. ბაუმშტარკმა⁴⁵⁶.

1902 წელს იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია გაიცნო ნ. მარმა (იმ დროს როგორც ჯერის მონასტრის, ისე სხვა საეანეების ქართული ხელნაწერები თავმოყრილი იყო ბერძნულ საპატრიარქო წიგნსაცავში, სადაც ინახება დღემდე)⁴⁵⁷. მართალია, დროის სიმციროს გამო, მან მხოლოდ მესამედის (უფრო ნაკლებისაც) გაცნობა მოასწრო, მაგრამ ეს ნაწილი საფუძვლიანად შეისწავლა და აღწერა. ნ. მარმა შეადგინა ვრცელი აღწერილობა 38 ხელნაწერისა. ზოგიერთი ხელნაწერის ნ. მარისეული აღწერილობა ადრევე გამოქვეყნდა, მეცნიერის სიცოცხლეშივე (ასეთია, მაგალითად, აღწერილობა Jer. № 24—25 და სხვა ხელნაწერებისა)⁴⁵⁸, 36 ხელნაწერისა და ორიოდ ფრაგმენტის აღწერილობა კი ე. მეტრეველმა გამოსცა 1955 წელს⁴⁵⁹. როგორც ჩანს, ნ. მარი ამ ხელნაწერებზე მუშაობას არ თვლიდა დასრულებულად და აღწერილობას სრულყოფილად, ის კიდევ იმედოვნებდა მუშაობის გაგრძელებას ამ მიმართულებით, მაგრამ აღარ მოუხერხდა. ასე რომ, აღწერილობა დაუსრულებელი დარჩა, მაგრამ ამ სახითაც ძვირფასია

ჩვენთვის, საკმაოდ მაღლა დგას ნ. ჩუბინაშვილისა და ა. ცაგარლის აღწერილობებზე.

ნ. მარმა ჩაატარა უაღრესად შრომატევადი სამუშაო; სრულად გაგვაცნო ბერძნული ხელნაწერის შედგენილობა, ზუსტად განსაზღვრა აღწერილ ხელნაწერთა რაობა, გადმოიწერა მნიშვნელოვანი ანდერძ-მინაწერები და ა. შ. ყოველივე ამან ნ. მარის აღწერილობას დიდი მეცნიერული ღირებულება მოუპოვა.

ნ. მარის აღწერილობაში გვხვდება 19 ისეთი ხელნაწერი, რომელიც არ ჩანს ა. ცაგარლის კატალოგში (№№ 1, 4, 5, 9, 15, 16, 18, 21, 26—28, 32, 34—39). ხუთი ხელნაწერი არ იძებნება რ. ბლეიკის კატალოგში (№№ 21, 36—38, 40), არც ერთ კატალოგში არ ჩანს ნ. მარის მიერ აღწერილი ოთხი ხელნაწერი (№№ 21, 36—38).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნ. მარის უდიდესი დამსახურება იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერებში შემონახული ტექსტების პუბლიკაციის საქმეში. საკმარისია დავასახელოთ ნ. მარისათვის დამახასიათებელი მეცნიერული აკრიბიით გამოცემულა სამი წიგნი — ანტიოქე სტრატეგის „წარტყუენვაჲ იერუსალიმისაჲ“ (1909 წ.), „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (1911 წ.) და „აღაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა“ (1914 წ.), რომ ნათელი გახდეს, თუ რა ფასდაუღებელი სამსახური გაუწია მკვლევარმა იერუსალიმური კოლექციის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეს.

ასევე დიდი მნიშვნელობისაა რ. ბლეიკის მიერ შედგენილი და 1924—1926 წლებში გამოქვეყნებული კატალოგი იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ქართული ხელნაწერებისა (იგი ზემოთ არაერთგზის დაეიმოწმეთ). მასში დასახელებულია 161 ერთეული, მათგან ორი წიგნია (№№ 88, 155), ერთი — სომხური ხელნაწერი (№ 147). ასე რომ აღწერილია 158 ქართული ხელნაწერი (სხვათა შორის, ზოგი ხელნაწერი კი არაა, არამედ ხელნაწერთა ფურცლების დასტები— №№ 157—159). რ. ბლეიკმა მის მიერ აღწერილ ხელნაწერებს დაუძებნა შესატყვისები ა. ცაგარლის კატალოგში, მაგრამ ა. ცაგარლის მიერ ჯვრის საეანეში ნახული და აღწერილი 138 ხელნაწერიდან ვერ ნახა 51, უფრო ზუსტად, პირველი შედარებით სრული აღწერილობის შემდგენლის ცნობათა სიძუნწის გამო ვერ გაარკვია 51 ხელნაწერის ადგილსამყოფელი. თავის მხრივ, რ. ბლეიკის შრომაში („Catalogue...“) წარმოდგენილი 161 ერთეულიდან ა. ცაგარლის კატალოგში შესატყვისი არ ეძებნება 70-ს. ისიც აღსანიშნავია, რომ ა. ცაგარლის შემდგომ ზოგიერთ ხელნაწერი რამდენიმე ნაწილად გაიყო (მაგალითად, ა. ცაგარლის № 1 ხელნაწერი რ. ბლეიკთან ორადაა წარმოდგენილი—№№ 7, 11; № 104 ხელნაწერი—სამად — №№ 2, 3, 5). რ. ბლეიკის აღწერილობამ უთუოდ წინ წასწია პალესტინელ ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმე.

ქვემოთ მოცემულია ცხრილები, რომლებიც შეთანხმებულია სხვადასხვა მეცნიერის მიერ იერუსალიმში აღწერილ ქართულ ხელნაწერთა ნომრები (გამოყენებულია რ. ბლეიკისა და ე. მეტრეველის დაკვირვებანი)¹⁶⁰ და ნაჩვენებია ჯვრიდან

წამოღებულ ხელნაწერთა ახალი ადგილსამყოფელი. პირველ ცხრილში ძირითადად მიჩნეულია ა. ცაგარლისეული ნუმერაცია ხელნაწერებისა და მასთანაა შეპირის-პირებულ-შეთანხმებული ნ. ჩუბინაშვილის, ნ. მარისა და რ. ბლეიკის ნუმერაცია-მეორე ცხრილში ძირითადად მიჩნეულია რ. ბლეიკის ნუმერაცია, რომელიც დღე-საც ძალაშია, და მასთანაა შეთანხმებული წინა აღმწერთა ნუმერაცია. მესამე ცხრილში ძირითადად მიჩნეულია ნ. მარის აღწერილობა.

ცხრილი № 1

ა. ცაგარელი	ნ. ჩუბინა-შვილი	ნ. მარის	რ. ბლეიკი	ახალი ადგილ-სამყოფელი	1	2	3	4	5
1	2	3	4	5					
1		6,20	7,11		39	12	48	=(?)	?
2			66		40		—	—	?
3			113		41		—	98	
4			133(?)		42		—	110	
5			69(?)		43		—	137	
6			136		44		—	97	
7			49		45		—	—	
8	2		102		46		—	—	?
9			103		47		—	—	?
10			93		48		—	64	
11			122		49		—	—	?
12			153(?)		50		—	117	
13			—	?	51		—	26	
14			129		52		—	125	
15	3		76		53		—	—	?
16			—	?	54	4	—	68	
17			—	?	55		—	—	?
18			109(?)		56		—	78	
19			95(?)		57		—	—	?
20			115		58		—	70(?)	
21			150		59		—	91	
22			—	?	60		—	81	
23			143		61		—	—	?
24			127(?)		62		—	—	?
25			124		63		—	107	
26			100		64		—	—	?
27			75		65		—	—	?
28			45		66		33	40	
29		=	=	თბილისი	67		—	83(?)	
30			60		68		—	55	
31			—	?	69		—	65(?) 112(?)	
32			—	?	70		—	111	
33			—	?	71		—	87	
34			42		72		—	—	?
35			—	ვენა	73		—	—	?
36			—	ვაშინგტონი	74		—	—	?
37	5		—	ვენა	75		—	—	?
38			71		76		—	141	
					77		—	67	
					78		—	—	?
					79		—	130	
					80		—	—	?
					81		—	—	?
					82		—	—	?

1	2	3	4	5
83			56(?)	?
84		—	—	?
85		—	—	?
86			63	?
87		—	—	?
88		—	—	?
89			48	?
90		—	—	?
91			123(?)	?
92		—	—	?
93			119	?
94			145(?)	?
95		—	—	?
96		—	—	?
97		—	138(?)	?
98		—	—	?
99		10	15	?
100			144	?
101		—	—	?
102		—	—	?
103			142	?
104	8		2,3,5	?
105		7	14	?
106			152	?
107			149	?
108			120	?
109		17	18	?
110			108	?
111			51	?
112		—	—	?
113		—	—	?
114		29	35	?
115		11	12	?

1	2	3	4	5
116			73	
117			96	
118		12	22	
119		30	32	
120		—	—	?
121			72	
122		—	—	?
123			151	
124			139	
125			74	
126		24	30(?)	
127		—	—	?
128		19	8(?)	
129		—	—	?
130		—	—	?
131		8	13(?)	
132		31	34	
133		—	—	?
134		—	—	?
135	6	13	21	
136		23	27	
137	7	14	20	
138	11	25	16	
139			104	
140		—	—	ლენინგრად
141		—	—	თბილისი
142		—	—	თბილისი
143		—	—	თბილისი
144		—	—	ლენინგრად
145		—	—	ლენინგრადი
146		—	—	ლენინგრადი
147		—	—	ლენინგრადი

პ ი რ ო ბ ი თ ი ნ ი შ მ ე ბ ი:

— ა ცაგარლის შემდგომ იერუსალიმში აღარ ჩანს.

= ა. ცაგარლის დროსაც არ ყოფილა იერუსალიმში. ბუნებრივია, რომ სხვებმაც ვერ ნახეს იქ.

70 (?) შესატყვისი შეიძლება სწორად არ იყოს დაქმნილი.

? ადგილსამყოფელი უცნობაა.

= (?) ნ. მარის დროს კიდევ იერუსალიმში იყო. რ. ბლეიკმა ვეღარ ნახა.

რ. ბლუკი	ნ. ჩუბინა-შვილი	ა. ცაგარელი	ნ. შანი	1	2	3	4
1	2	3	4				
1		—	1	46		—	
2	8	104		47		—	
3		104		48		89	
4		—	18	49		7	
5		104		50		—	
6		—		51		111	
7		1	6	52		—	
8		128(?)	19	53		—	
9		—	5	54		—	
10		—	4	55		68	
11		1	20	56		83(?)	
12		115	11	57		—	
13		131(?)	8	58		—	
14		105	7	59		—	
15		99	10	60		30	
16	11	138	25	61		—	
17		—	15	62		—	
18		109	17	63		66	
19		—	28	64		48	
20	7	137	14	65		69(?)	
21	6	135	13	66		2	
22		118	12	67		77	
23		—	9	68	4	54	
24		—	27	69		5(?)	
25		—	27	70		58(?)	
26		51		71		32	
27		136	23	72		121	
28		—	35	73		116	
29		—		74		125	
30		126(?)	24	75		27	
31		—		76	3	15	
32		119	30	77		—	
33		—	26	78		56	
34		132	31	79		—	
35		114	29	80		—	
36	15	—	16	81		60	
37		—		82		—	
38		—		83		67(?)	
39		—	32	84		—	
40		66	33	85		—	
41		—		86		—	
42		—		87		71	
43	13	34	34	88		#	
44		—	39	89		—	
45		26		90		—	
				91		59	
				92		—	
				93		10	
				94		—	
				95		19(?)	
				96		117	
				97		44	

1	2	3	4
96		41	
99		—	
100		26	
101		—	
102	2	8	
103		9	
104		159	
105		—	
106		—	
107		63	
108		110	
109		18(?)	
110		42	
111		70	
112		69(?)	
113		3	
114		100	
115		20	
116		—	
117		50	
118		—	
119		93	
120		108	
121		—	
122		11	
123		91(?)	
124		25	
125		52	
126		—	
127		24(?)	
128		—	
129		14	

1	2	3	4
130		79	
131		—	
132		—	
133		4(?)	
134		—	
135		—	
136		6	
137		43	
138		97(?)	
139		124	
140		—	
141		76	
142		103	
143		23	
144		—	
145		94(?)	
146		—	
147		≠	
148		—	
149		107	
150		21	
151		123	
152		106	
153		12(?)	
154		—	
155		#	
156		—	
157		—	
158		—	
159		—	
160		—	
161		—	

პირობითი ნიშნები

— რ. ბლეკმა ვერ ნახა ა. ცაგარლის აღწერილი ხელნაწერი (ან ვერ გარკვევა მისი ადგილსამყოფელი).

128 (?) შესატყვისი შეიძლება სწორად არ იყოს დაქმნილი.

≠ არაქართული ხელნაწერი.

წიგნი.

№	ნ. მარი	ნ. ჩუბინა-შვილი	ა. ცაგარელი	რ. ბლუიკი	1	2	3	4	5
1	1		—	1	16	17		109	18
2	4		—	10	17	18		—	4
3	5		—	9	18	19		128(?)	8
4	6		1	7	19	21		—	—
5	20		1	11	20	23		136	27
6	7		105	14	21	24		126	30
7	8		131(?)	13	22	25	11	138	16
8	9		—	23	23	26		—	33
9	10		99	15	24	27		—	24,25
10	11		115	12	25	28		—	19
11	12		118	22	26	29		114	3
12	13	6	135	21	27	30		119	32
13	14	7	137	20	28	31		132	34
14	15		—	17	29	32		—	39
15	16	15	—	36	30	33		66	40
					31	34	13	—	43
					32	35		—	28
					33	36		—	—
					34	37		—	—
					35	38	14	—	—
					36	39		—	44
					37	48	12	39	—

პირობითი ნიშნები:

— შესატყვისი დაქვნილი არაა.

131 (?) შესატყვისი შეიძლება სწორად არ იყოს დაქვნილი.

რ. ბლეიკის იერუსალიმში ყოფნის (1923 წ.) შემდეგ კარგა ხანს ჯერის მონასტერზე არაფერი ვიცოდით. მხოლოდ უკანასკნელ წლებში, როდესაც იქ მივიდნენ გ. პლოტკინი (1959 წ.), ს. ლოსევი (1960 წ.), ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი (1960 წ.), ი. სტოვბუნი (1965 წ.), ი. რურუა (1966 წ.) და სხვები, ჩვენთვის ცნობილი გახდა ზოგი რამ ჯერის უკანასკნელი ხანის ისტორიიდან და მისი თანამედროვე მდგომარეობა.

1948—1958 წლებში ჯერის მონასტრის შენობათა ნაწილში ისრაელის ჯარი იდგა. როგორც ჩანს, ბერძნულმა საპატრიარქომ დიდი ქირა მიიღო ისრაელის სამხედრო უწყებიდან. „ხელოვნების ეს ბრწყინვალე, უძველესი ძეგლი დღეს უპატრონოდაა მიგდებული. აქ წირვა-ლოცვა აღარ არის. მის ეზოში ახლა თეთრი ტილოს კარები დგას და იქ გამალებით სწავლობენ სამხედრო საქმეს ისრაელის არმიის ქალთა ნაწილები. არის თოფების საკეტთა ქანაქუხი“⁴⁸¹.

აქვე უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა იერუსალიმისა და მისი სანახების რამდენსამე ისეთ სავანეზე, სადაც ქართველი მწიგნობრები ეწოდნენ კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობას.

გოლგოთა-უფლის საფლავი-აღდგომა. დასახელებული სამი ტაძარი არსებობდა ერთიანი. შეკრულ-შეკავშირებული კოპლექსი იყო და იერუსალიმის ქრისტიანული საზოგადოებრიობის ცხოვრების ძირითად ცენტრს წარმოადგენდა. აღგილობრივი თუ ჩამოსული მოღვაწენი განსაკუთრებული ინტერესით ეტანებოდნენ მათ; ყველა ქრისტიანი ხალხი ცდილობდა ჰქონოდა იქ თავისი სამოღვაწეო ადგილი, მოეპოვებინა რამე უფლება დასახელებულ სავანეებში. ამ საერთო გატაცებას ვერც ქართველებმა დააღწიეს თავი. ძველ წყაროებში, — ქართველთა თუ უცხოელთა ჩანაწერებში, — მრავალი საინტერესო ცნობა გვხვდება გოლგოთასა და სხვა ტაძრებში ქართველთა მოღვაწეობისა და მათი უფლებამოსილების შესახებ. ჩვენ ზოგიერთ მათგანს დავიმოწმებთ.

გოლგოთა¹⁶² ადრე იერუსალიმის გარეთ იყო, ქალაქის გაზრდის შედეგად დასაქვლეთ ნაწილის ცენტრში მოხვდა. ტაძარი მდებარეობს იქ, სადაც, გადმოცემით, აწამეს ქრისტე (მათე, XXVII. 33; მარკოზი, XV, 22; იოანე, XIX, 17). იქვეა სხვა ტაძრებიც. ძველი ნაგებობანი 1010 წელს დაანგრია ეგვიპტის სულთანმა ჰაქემმა. 1010—1048 წლებში წარმოებდა აღდგენა-განახლება, რომელშიც თითქმის მთელი ქრისტიანული სამყარო მონაწილეობდა. საფიქრებელია, ამ საქმეში ქართველებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს, რითაც მოიპოვეს გარკვეული უფლებები¹⁶³. 1049 წელს გოლგოთაში უკვე ჩანს ქართველ მოღვაწეთა კრებული (იხ. ქვემოთ), ხოლო 1050 წელს ბაგრატ მეოთხემ გოლგოთის ნაწილიც მიიღო¹⁶⁴.

იერუსალიმში მაჰმადიანთა ბატონობის ხანაში (1071—1099 წწ., 1187—1229 წწ., 1244 წ. და შმდ.) ქართველთა მდგომარეობა ყოველთვის ერთნაირი არ იყო. როგორც ჯერის სავანის თავგადასავლის გაცნობით დავინახეთ, დამპყრობელთა ძალადობა ზოგჯერ მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ქართველობას. გასაგებია, რომ უჭირდათ გოლგოთა-საფლავისა და აღდგომის ტაძრების ქართველ მოღვაწეებსაც. ამას კარგად გვაცნობს XIV საუკუნის ქართველი ბიბლიოფილი, აღდგომის ლეკანოზი იოანე ვარძიელი. მის მიერ მოგებული ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „დაიწერა წინაშე წმიდასა საფლავსა წელსა ლდ[=32]თურქთა ქონებისასა, ოდეს კლიტენი მათ ჰქონდეს საწურთელად ცოდვათა ჩუენთათჳს. არცა ვის შესლვად უტევებდეს თჳნიერ ღიდისა ჳირისა და სასყიდლისა და არცა ჩუენ გამოსლვად გუტევებდეს“¹⁶⁵.

როგორც ჩანს. მაჰმადიანებმა ხელთ იგდეს კლიტე საფლავის ტაძრისა, მოწესენი ჩაეკეტეს და შესვლა-გამოსვლაზე მკაცრი კონტროლი დააწესეს. ამას ადასტურებს ამის მომსწრე რუსი მოღვაწეც¹⁶⁶.

მალე ქართველებმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს — რამდენადმე გაიუმჯობესეს მდგომარეობა და ნაწილობრივ აღიდგინეს შელახული ავტორიტეტი. სახელდობრ, გიორგი ბრწყინვალის ზეობაში ხელთ იგდეს ქრისტეს საფლავის კლიტე. ამ საკითხზე ცნობებს ვხვდებით როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში.

როგორც ცნობილია, გიორგი ბრწყინვალეს გარკვეული სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა მაჰმადიან მბრძანებელთა შორის. მას პატივს სცემდნენ, აფასებდნენ, ანგარიშს უწყევდნენ. გიორგის ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტის სულთნებთან; მან ორჯერ (1316 წ., 1320 წ.) გაგზავნა თავისი ელჩები მამლუქთა მბრძანებლებთან და ქართველთა უფლებების აღდგენა ითხოვა. სულთანმა, როგორც ჩანს, ქართველებთან კეთილგანწყობილების მნიშვნელობა გაითვალისწინა და მისი თხოვნა დაეკმაყოფილა. ამ საკითხზე საინტერესო ცნობას გვაწვდის „ძეგლი ერისთავთა“. მასში ვკითხულობთ: „მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალჴმისანი სპარსთა დაიპყრნეს, და დიდად შესწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა კმელთასა მრავლითა ძლუენითა წინაშე ნისრელისა, და წარჰყვა თანა ბანდასქე დეჴანოზი იოვანე და, მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძლუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალჴმისანი. მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვია, ეზიარა და დეჴანოზი იოვანე აჴურთხეს მოძღუართმოძღუარად... ხოლო პიპამან მოილოცნა წმიდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი და ხატნი შუენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა კმელით და მოვიდა წინაშე მეფისა და მოილო იერლაცი შეწყალებისაჲ და აღსრულებაჲ ყოვლისა ხათოვლისა მისისაჲ. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“⁴⁶⁷.

როგორც ჩანს, პიპამ, — შალვა ერისთავის, ქვენიფხველის, ძემ, — კარგად მოაგვარა საქმე და წარმატება მოიპოვა. საფიქრებელია, ამ დამსახურების გამო დაუდო მას ალაპი ჯვრის კრებულმა⁴⁶⁸.

რასაკვირველია, ქართველებს მთელი იერუსალიმის გასაღები კი არ მიუღიათ, როგორც ეს ქართულ საისტორიო წყაროშია აღნიშნული, არამედ მხოლოდ ქრისტეს საფლავად მიჩნეული სალოცავისა, მაგრამ ესეც დიდი წარმატება იყო⁴⁶⁹; „ამ დიპლომატიურს გამარჯვებას საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველობისათვის მთელს მაშინდელ საქრისტიანო ქვეყნებში, აღმოსავლეთსაცა და დასავლეთშიც, დიდი სახელი უნდა მოეხვეჭა“⁴⁷⁰.

ქართველებმა რომ მართლაც სულთნისაგან მიიღეს (საფლავის) ეკლესია, ეს სხვა ქართულ წყაროშიცაა დამოწმებული. მაგალითად, 1400 წლის ახლო ხანის მინაწერში ვკითხულობთ: „ესე უწყოდით ყოველთა ქართველთა: ღმრთისაგან, მეფეთაგან, სურტანთაგან მოცემული და ნაბოძარი [არის] აღდგომის სალოცავი ეკლესია და სახლი, სადა არს ადამის თხემი გოლგოთა“⁴⁷¹.

ქართველები რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღებს ფლობდნენ, ეს უცხოელთა ჩვენებებითაც დასტურდება. მაგალითად, ლ. სუდჴეიმი, რომელიც 1331—1341 წლებში იყო იერუსალიმში, ამას საგანგებოდ აღნიშნავდა⁴⁷².

ქრისტეს საფლავის ეკლესიის ფლობის უფლება, რისთვისაც ხშირად წარმოებდა ბრძოლა ქრისტიანთა შორის, კარგა ხანს წარმოადგენდა ქართველთა პრივილეგიას⁴⁷³. უცხოელ მეცნიერთა აღიარებითაც, ქართველები საფლავის გასაღებს XV საუკუნის შუა წლებამდე ფლობდნენ⁴⁷⁴.

ქართველთა უფლებამოსილებასა და მათ პრივილეგიებულ მდგომარეობას გოლგოთა-საფლავისა და აღდგომის ტაძრებში საგანგებოდ აღნიშნავდნენ რუსი თუ უცხოელი მოღვაწენი: აგრეფენია (1370 წლის ახლოს)⁴⁷⁶, იგნატი (1393—1395 წწ.)⁴⁷⁶, ვასილი (1466 წ.)⁴⁷⁷, ი. ტუხერი (1479—1480 წწ.)⁴⁷⁸, ბ. ბრაიდენბახი (1483 წ.)⁴⁷⁹, ი. პასიუტინსკი (1493 წ.)⁴⁸⁰, მ. ბაუმგარტენი (1507 წ.)⁴⁸¹ და სხვ.

იერუსალიმელ ქრისტიანთა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა არა ერთგზის მოიწადინეს ქართველთა უფლებების ხელყოფა და მათი სამლოცველოების მითვისება, მაგრამ ქართველებიც არ იყვნენ ხელდაკრეფილნი და თავგამოდებით იცავდნენ ადრე მოპოვებულ პრივილეგიებსა და საფანჯებს. მაგალითად, XV საუკუნის 70-იან წლებში დასავლელმა სამღვდელო პირებმა სცადეს ქართველთა გამოდევნა გოლგოთიდან, მაგრამ ამაოდ, ქართველებმა იგი კვლავ შეინარჩუნეს⁴⁸². ჯვრის აღაპით, „ალექსანდრეს ძმისწულმან ბაგრატ გოლგოთა იშოგჳ, გუნბადი აღაშენა ქრონიკონსა ას სამოცდა ოთხსა [=164+1312=1476]“⁴⁸³. ტ. ვაბაშვილის ცნობითაც, „გოლგოთა... ბაგრატ მეფეს, ალექსანდრეს ძმისწულს. უშოვნია დიდის საფასით“⁴⁸⁴. ცხადია, გოლგოთა ამ დროს კი არ მოიპოვეს ქართველებმა, არამედ ერთხელ კიდევ დაიბრუნეს და დაიმტკიცეს, ამ საქმეში თავი გამოუჩინია ბაგრატ მეფეებს (1466—1478)⁴⁸⁵; უშედეგოდ დამთავრდა სომეხი ეპისკოპოსის მარტიროსის ცდაც — ქართველებს ვერც მან დაათმობინა გოლგოთა⁴⁸⁶.

1492 წელს ქართველებს დაუმკვიდრდათ გოლგოთის თხემის მხოლოდ ჩრდილოეთი მხარე, ხოლო სამხრეთისა კათოლიკეებმა მიისაკუთრეს⁴⁸⁷. ამიერიდან ქართველნი რამდენადმე უფლებამუზღუდული იყვნენ.

1512 წელს, როგორც აღვნიშნეთ, „ფრანგთა გოლგოთა დაადგებინა“ და ქართველებს დაუბრუნა ბეენა ჩოლყაშვილმა. მალე მდგომარეობა კვლავ გართულდა, „ფრანგთა ვოლგოთაჲ წაგუართუსს“. იგი ერთხელ კიდევ დაიხსნა 1515 წლის ახლოს ზოსიმე კუმურდოელმა (იხ. ჯვარი). განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის გოლგოთა-საფლავის მიმართ კახთა მეფეს — ლევანს. 1538 წლის ახლის მან „თურქთაგან აილო აღვილი ქრისტეს ენებათა და აღაშენა ახლად ქრისტეს საფლავი მარმარილოთა და გოლგოთა“. ამის გამო მას „ახლად განმაახლებელსა და აღმაშენებელს“ უწოდებდნენ⁴⁸⁸.

მომდევნო ხანაში ქართველებს კვლავ ენერგიულად უხდებოდათ ბრძოლა ძველი უფლებების შენარჩუნებისათვის; ზოგჯერ საქართველოდანაც მიდიოდნენ დახმარება⁴⁸⁹, მაგრამ მათი მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. მართალია ისინი ჯერ კიდევ ჩანდნენ დასახელებულ ტაძრებში, — რასაც საგანგებოდ აღნიშნავდნენ ვ. პოზნიაკოვი (1558—1561 წწ.)⁴⁹⁰, ლ. რაუფოლფი (1573 წ.)⁴⁹¹, ს. შვაიგერი (1577—1581 წწ.)⁴⁹², ნ. რაძივილი (1582—1584 წწ.)⁴⁹³, ტ. კორობეინიკოვი (1593 წ.)⁴⁹⁴, ი. კოტოვიკი (1598 წ.)⁴⁹⁵ და სხვ., — მაგრამ მათი უფლებამოსილება თანდათან იკლებდა. საფანჯებს ბერძნული ეკლესია დაეპატრონა, მაგრამ ამით ყოვე-

ლივე არ დამთავრებულა. მაჰმადიანებმა სასტიკი კონტროლი დააწესეს; თურქ-ოს-მალებმა შემოსავლის წყარო გაიჩინეს, მლოცველთაგან დიდძალ თანხას იღებდნენ, უსასყიდლოდ შიგ არვის უშვებდნენ⁴⁹⁸. ამ გარემოებამ კიდევ უფრო შეამცირა ქართული ელემენტი და მალე გოლგოთა-საფლავ-აღდგომაში მისული მოღვაწენი იქ ქართველებს ველარც კი ხედებოდნენ. მაგალითად, ქართველებს იქაურ მოღვაწეებად აღარც კი იხსენიებენ ვ. გაგარა (1636 წ.), ბ. სური (1644—1646 წწ.), იონა მცირე (1651—1652 წწ.), ა. სუხანოვი (1652 წ.), მ. ნეჩაევი (1720—1722 კკ). და სხვ.

ქართველები ველარ ნახეს იქ ვერც ტ. გაბაშვილმა (1758 წ.), რომელმაც საინტერესო ცნობები შემოგვინახა იქაურ ქართულ სიძველეთა შესახებ⁴⁹⁷, ვერც ი. ველეჟანიშვილმა (1783—1786 წწ.), ვერც ლ. გოგელაძემ (1806 წ.). გ. ავალიშვილმა (1820 წ.) როგორც აღვნიშნეთ, აღდგომის ეკლესიაში ნახა იოსტოს დიაცონი, რომელმაც იქ სახარება ქართულად წაიკითხა⁴⁹⁹. ქართველები ველარ ნახა, მაგრამ გოლგოთა-საფლავ-აღდგომის სავანეებში დაცული ქართული სიძველენი ადგილზე შეისწავლა ა. ცაგარელმა (1883 წ.)⁴⁹⁹. მანვე აღწერა პირველად ზოგიერთი ისეთი ქართული ხელნაწერი, რომლის ანდერძ-მინაწერით ირკვევა გოლგოთასა თუ სხვა სავანეებში ქართველ მოღვაწეთა კულტურულ-მწიგნობრული საქმიანობა.

როგორც დავინახეთ, იერუსალიმის უმთავრეს სავანეებში ქართველები მოღვაწეობდნენ XI საუკუნის შუა წლებიდან XVI—XVII საუკუნეებამდე. მართალია, მათი რიცხვი და ხევედრითი წონა, უფლებამოსილება და მოღვაწეობის მასშტაბი ყოველთვის ერთნაირი არ იყო, მაგრამ ზოგჯერ მინც ახერხებდნენ ლიტერატურული მუშაობის გაშლას. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე იქაური მწიგნობარი და იქ დამზადებული ზოგიერთი ხელნაწერი.

1049 წელს გოლგოთაში ნაყოფიერად მუშაობდა ქართველ მოღვაწეთა კრებული (იოანე გოლგოთელი, მიქაელი, ნისტერეონი და სხვ.), ამ ხანისაა ივლის-აგვისტოს თვენი (H № 2337)⁵⁰⁰, რომლის ანდერძში ვკითხულობთ: „დაესრულნეს თთუენი წელიწდისანი ბრძანებითა და მოღუაწებითა... მოძღურისა იოანე გოლგოთელისაათა ... დაიწერნეს და განსრულდეს ქრონიკონსა სძათ[=269+780]=1049] კელითა... მიქაელისითა... ვინ ეს წიგნი ... გოლგოთისაგან გამოაკუას, შემტაჩუნებულ არს... შეიმოსა კელითა კურთხეულისა ძმისა ნისტერეონისითა... პაელესათკსცა ლოცვა ყავთ, დიად ამაშენა დანისა ლესითა“; „შეიკაჰმა ესე... კელითა ბასილი აღდგომელისაათა“⁵⁰¹.

იოანე გოლგოთელი (მომგებელი) და ნისტერეონი (შემმოსველი) ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ, როდესაც საბაწმიდაზე ვსაუბრობდით; „წიგნი საგალობელი წმიდათა მარხვათაჲ“ (Sin. № 5) დამზადებულია საბას ლავრაში 1052 წელს, „შეწევნითა იოვანე გოლგოთელისაათა“, შემოსილია „კელითა ნისტერეონისითა“⁵⁰². ასე რომ, იოანე არა მხოლოდ გოლგოთელ მოღვაწეებს აბამდა მწიგნობრულ საქმიანობაში, არამედ სხვებსაც (ყერძოდ, საბაწმიდელებს). მანვე მოიგო და გოლგო-

თას დაღვა მოზრდილი კრებული (Sin. № 78)⁵⁰⁹. ნისთერონმა შემოსა აგრეთვე დეკემბერ-თებერვლის თვენი (Jer. № 36 ა. ცავარლით), რომელიც ახლა ამერიკაშია⁵⁰⁴.

ზემთ საუპარი გვექონდა პალესტინის მწიგნობართა წრეში შექმნილი ჰიმნოგრაფიული თვენის ახალი რედაქციის შესახებ. რადგან რედაქციის ტექსტების შემცველი ხელნაწერების უკანასკნელი ტომის ანდერძში (H № 2337, 285r) მომგებლად იოანე გოლგოთელი იხსენიება, მას პარობით კრებულის შედგენის ინიციატორად და ორგანიზატორად მიიჩნევენ⁵⁰⁵. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ იოანე გოლგოთელის როლი ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში ერთობ დიდი და საპატიოა. როგორც არ უნდა იყოს, ჩვენთვის ისიც საგულისხმოა, რომ ჰიმნოგრაფიული თვენის ახალი რედაქციის შექმნასა და ხელნაწერთა გამრავლებაში ჩაბმული იყო იერუსალიმის ქართული კოლონიის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი (გიორგი-პროხორე, იოანე გოლგოთელი, იოანე დვალი. ნისთერონი და სხვ.)⁵⁰⁶.

XI საუკუნიდან ცნობილია კიდევ ერთი მწიგნობარი — კვირიკე აღდგომელი, რომელმან დიდითა სურვილითა“ მოიგო გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული (S № 383)⁵⁰⁷.

XIV საუკუნეში მოღვაწეობდა აღდგომის დეკანოზი იოანე ვარძიელი. რომლის ერთი ანდერძი უკვე დავიმოწმეთ. მისი თაოსნობითაა დამზადებული სამოციქულო (Jer. № 76)⁵⁰⁸. ბიბლიოფილი ყოფილა აღდგომელი მახარებელი (1400 წ. ახლოს), რომლის ხსენებას ხშირად ვხვდებით იერუსალიმურ ხელნაწერთა მინაწერებში⁵⁰⁹. საკმაოდ დახელოვნებული მკაზმველი ყოფილა აღდგომელი იოსებ ხუნტუსკე. მოღწეულია მის მიერ შეკაზმული რამდენიმე ხელნაწერი მამათა ცხოვრება (Jer. № 51)⁵¹⁰, წინასწარმეტყველთა საკითხავები (Jer. № 66)⁵¹¹, მოზრდილი კრებული, რომელშიც „ბალავარიანის“ მოკლე რედაქციის ყველაზე სრულად მოღწეული ტექსტიც გვხვდება (Jer. № 36)⁵¹² და სხვ.⁵¹³

XV—XVI საუკუნეთა მიჯნის მოღვაწე ჩანს ხუცესმონაზონი იოაკიმი, რომელმაც გოლგოთაში გადაწერა სექტემბრის თვენი (Jer. № 125) და მასვე შესწირა 1502 წელს⁵¹⁴.

1546 წელს რმიტრი ოჯიქემ გოლგოთაში გადაწერა სახარება და სამოციქულო გამოკრებილი (H № 1348)⁵¹⁵.

გოლგოთა-საფლავ-აღდგომის წიგნსაცავეები არა მხოლოდ აღგილზე დამზადებული ხელნაწერებით იზრდებოდა; მათ ხშირად ემატებოდათ ქართველ მოღვაწეთა მიერ შეწირული წიგნებიც. მაგალითად, „ჯავახისა ასულმან ბობამან“ საფლავის ეკლესიას შესწირა ჟამნი (Jer. № 22 ა. ცავარლით)⁵¹⁶; „აკიმის ძისა ნიკოლოზისა დამან ანასტასია დაღვა აღდგომის ეკლესიასა... მისგან ნასყიდი“ ოქტომბრის თვენი (Jer. № 75)⁵¹⁷; გაბა არყისციხელმა საფლავის ეკლესიას საქართველოდან გაუგზავნა მოზრდილი კრებული (Jer. № 43)⁵¹⁸; თეოდორე მოძღვარმა აღდგომას შესწირა ზატიკი (Jer. № 111)⁵¹⁹, ხოლო საფლავის ტაძარს — მაისის თვენი (Jer. № 37 ა. ცავარლით)⁵²⁰.

თუ ზემოთქმულს დაეუმატებთ, რომ დასახლებული სავანეებიდანაა ზოგიერთი სხვა ხელნაწერი, მაგალითად იენისის თვენი (Jer. № 98)⁵²¹, საღღესასწაულო (Jer. № 32 ა. ცაგარლით)⁵²², ჩვენს მიერ მრავალგზის დამოწმებული გოლოგოთის სვინაქსარი (H № 1661) და ა. შ., მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება იქაური წიგნსაცავების მნიშვნელობა და იქაურ მოღვაწეთა საგანმანათლებლო საქმიანობის მრავალმხრივობა. უკანასკნელად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იქაური მოღვაწენ ზოგჯერ ამზადებდნენ ხელნაწერებს სამშობლოში გამოსაგზავნად. მაგალითად, ერთი სახარება, რომელიც ამჟამად სვანეთში (სოფ. ლაპილში) ინახება, „აღდგომისა ეკლესიასა შინა, წინაშე საფლავისა ქრისტესა“ გადაწერა და „სუანეთის წმიდასა მთავარანგელოზსა მუხერისა“ გამოუგზავნა იერუსალიმელმა სვანმა — „იოანე ქსციხიანისა შვილმან“, გრიგოლმა⁵²³. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ თვალნათლივ წარმოაჩენს იერუსალიმის ქართული კოლონიის კავშირ-ურთიერთობას სამშობლოსთან.

რასაკვირველია, გოლოგოთა-საფლავ-აღდგომის წიგნსაცავებზე ჩვენი ცოდნა ერთობ ნაკლებია. იქაური ხელნაწერები დაფანტულია, ზოგი იერუსალიმშია (Jer. №№ 22, 36, 51, 66, 75, 76, 98, 111, 125), ზოგი სინის მთაზე (Sin. №№ 5, 78), თბილისში (S № 383; H №№ 1348, 1661, 2337), ლაპილში⁵²⁴, ვენაში⁵²⁵ და სხვ. ბევრი კი დაკარგულია ან, ყოველ შემთხვევაში, ჭერხნობით არ ჩანს. ეს გარემოება, ცხადია, ართულებს იერუსალიმელ ქართველთა მოღვაწეობის სათანადოდ შესწავლას.

დღეათა სავანეები — **კაპათა, დერტავი, დერთუფა**. იერუსალიმისა და მისი მიდამოების სავანეებში ქართველი ქალები ძველთაგან მოღვაწეობდნენ. შეგვიძლია მოვიგონოთ გრიგოლ ხანძთელის თანამედროვე ქალი, იერუსალიმში მცხოვრები ეფროსინე, მომდევნო ხანიდან — ლუკა მუხაისძის დედა და სალომე წამებული (XIII ს.), მართა მონაზონი (XVIII ს.) და სხვ. ტ. გაბაშვილის იერუსალიმში ყოფნის დროს ქართველი მოწესე ქალები ეკატერინეს მონასტერში ცხოვრობდნენ (ესე მონასტერი დღეათა ქართველთათვის არს, რამეთუ არს იღუმენია ქართველი, ხარიტინი სახელად, ასული ანჩაფიშვილისა. ორი მონაზონი კახნი არიან, სხვა რეისელი, იმერელი და გურული)⁵²⁶.

იერუსალიმში მოღვაწე ქალები უკვე აღრეული ხანიდან თავმოყრილი იყვნენ კულტურულ-სავანმანათლებლო კერებში, რომელთაგან შედარებით უკეთაა ცნობილი კაპათა, დელტავი, დერთუფა⁵²⁷.

კაპათა. მდებარეობდა სიონის მთაზე, ბაზილიკიდან 150 ნაბიჯზე. ძველი ტაძრის ადგილზე იუსტინიანე დიდმა ააგო ახალი ეკლესია. იქვე იყო სამწირო (სასტუმრო, პილიგრიმთა მისაღები სახლი). XI საუკუნის დამდეგს დაანგრია ჰაქიმმა. „პიტაღორაგან ძუძლისა სამწიროჲსა“ ახალი ტაძარი ააგეს ბორენა დედოფალმა (ბაგრატ IV მეუღლემ) და მართა დედოფალმა (ბაგრატ IV ასულმა). სასტიკად დაარბიეს ხვარაზმელებმა 1244 წელს.

XI—XIII საუკუნეებში კაპაათაში საკმაოდ მდიდარი წიგნსაცავი ყოფილა. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე ხელნაწერი ამ სავანიდან: პარაკლიტონი (Jer. № 88 ა. ცაგარლით)⁵²⁸; კრებული (Jer. № 21)⁵²⁹, რომლის მინაწერში იკითხება: „ესე წიგნი, თარგმანი სახარებისაჲ, კაპაათური, წარტყუწნილი სპარსთაგან, მე ანტონი, ფრიად ცოდვილმან, ვიკსენ ჩემითა საფასოჲთა და შევსწირე მუნვე კაპაათას“; ნიკოლოზ კატარაწისძის მიერ გადაწერილი (XIII ს.) მარხვანი (Jer. № 67). რომელიც უცხოელთა ტყვეობიდან დაიხსნა და შეესწირა „მონასტერსა კაპათისსა, რომლისა პირველ ყოფილიყო“, გიორგი ჭვარელმა⁵³⁰; კვირიკე მოძღვრისა და მისი მოწაფის მარკოზის მიერ დამზადებული სექტემბერ-ოქტომბრის თვენი (Jer. № 68)⁵³¹; იანვრის თვენი (H № 2338)⁵³² და სხვ. ვანსაკუთრებით საინტერესოა „წმინდანთა ცხოვრება“ (Sin. № 91)⁵³³, რომელიც გადაუწერია იოანე ანჩელას დისწულს ოქროპირს (XII—XIII სს.). ვარკვეულ ყურადღებას იმსახურებს გადამწერის ანდერძი: „წმიდანო მამანო და ძმანო! დიდად მელმის და მტკივის, რომელ წინაუტყომოდ და არა მიწყებით სწერია ესე საკითხავები და მიზეზი ესე არს: ოთხისა თუ ხუთისა დედისაგან ვწერდი, ნათხოვისა სხვსადასხვსა მონასტრისაგან და უამსა თვისა ვერ ვიპოვენი დედაჲ“. ოქროპირი ჩამოთვლის მის მიერ გადაწერილ წიგნებს (თერთმეტი თუე, სახარებაჲ განთვისული, საწინააღმწარმეტყუელოჲ, დავითნი, კურთხევანი, მოწამეთა წიგნი და ა.შ.) და დასძენს: ესენი „მე ცოდვილსა დამიჩხრეკიან ამის სანატრელთა დედოფალთა მართა და ბორენაჲს აღმენებულისა და სამლოცველოჲსა მონასტრისა კაპაათაჲსა“⁵³⁴. როგორც ჩანს, კაპაათის სავანისათვის ოქროპირს დაუმზადებია 14 სახელწოდების 26 წიგნი. უკვე ეს ნათელყოფს და ამოწმებს კაპაათის წიგნსაცავის სიდიდეს.

კაპაათასთანაა დაკავშირებული კიდევ ორი ხელნაწერი: 1. პარაკლიტონი 1167 წლისა (Jer. № 63) ასეთი ანდერძით: „ღირს ვიქმენ მე, ყოვლად უღირსი ონოფრე, მოგებად წმიდათა ამათ პარაკლიტონთა რვათავე კმათა სრულთა ორ წიგნად. პირველი თვთ ჩემითა კელითა დავწერე და მეორე სანატრელთა მამათა კვირიკის მიერ, პატიოსნისა მღუღელისა, და მარკოზ ცონცორიკაჲს ასულისა წულისა კელითა... და შევსწირე იერუსალმს პატიოსანსა დედათა მონასტერსა ახალსა, რომელი იცვალნეს პიტალთაგან ძუძლისა სამწიროჲსა მიერ“⁵³⁵. დამოწმებული ანდერძი გვაძნობს არა მხოლოდ ონოფრეს საქმიანობას, ან კვირიკესა და მარკოზის საგანმანათლებლო მოღვაწეობას (ეს ორი ზემოთაც მოვიხსენიეთ), არამედ ნათელყოფს, რომ კაპაათის ახალი ტაძარი სამწიროს მასალითაა აშენებული; შესაძლებელია, კაპაათიდან იყოს აგრეთვე „სამწიროს შეწირული“ კრებულიც (Jer. № 27)⁵³⁶.

კაპაათის წიგნსაცავი განადგურდა და იქაური ხელნაწერები დაიფანტა ხვარაზმელთა შემოსევის დროს (1244 წ.)⁵³⁷.

დერტავი ქართველ ქალთა სამოღვაწეო ადგილია იერუსალიმში. ადრე იგი ტაოში⁵³⁷ ა, ქოროხის ხეობაში⁵³⁸ ან შავ მთაზე⁵³⁹ ეგულებოდათ. კ. კეკელიძემ გაარკვია, რომ ასეთი სახელის სავანე იერუსალიმში მდებარეობდა. მასთანაა დაკავში-

რებული ერთი ძვირფასი კრებული (Jer. № 33)⁵¹⁰ საინტერესო ანდერძ-მინაწერებ-
ბით. როგორც ირკვევა, გადამწერს სამუშაო შეუსრულებია დერტაველი ქალების
დაკვეთით. იგი წერს: „დელტაველთა დათა ყოველთავე შეუნდვენ, უფალო! დაი-
წერა საფოხსოათა(!) მათითა. მეცა მომიკსენეთ ცოდვილი ბასილი მჩხრეკელი“⁵¹¹.
ერთი ძველის ბოლოს იკითხება: „სახელითა ღმრთისაათა და მეოხებითა ცხოველს-
მყოფელისა საფლავისაათა მე, ცოდვილი და უღირსი ეკატერინე, შტრომსა ასუ-
ლი, ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა ამის და სულთა განმანათლებლისა სკმეონის
ცხოვრებისა. აწ წმიდათა მენელსაცხებელთა სწორნო დანო დელტაველნო! ქრისტეს
სიყუარულისათჳს ვინცა ღირს იქმნეთ წარკითხვად წმიდისა ამის ცხოვრებისა
სკმეონისა... თქუთ წმიდათა პირითა თქუენითა მოტევებამ ცოდვათა ჩემთაჲ“. -
და იქვე: „დანო პატროსანნო, გვედრები ბასილი საფოხური. უცბად ჩხრეკისათჳს
შემინდევით“⁵¹².

დამოწმებული ანდერძ-მინაწერებით ირკვევა, რომ დერტავეში მოღვაწეობუ-
ნენ ქართველი მანდილოსნები, რომელთა წინამძღვარი ეკატერინე ყოფილა. მათი
თაოსნობით წარმოებდა ხელნაწერების გამრავლება. ისინი, როგორც ჩანს, მწიგ-
ნობართა კადრებზეც ზრუნავდნენ. გადამწერი ბასილი მათი აღზრდილია.

ზემოთ უკვე დავასახელეთ გრიგოლ ხატიანიწმიდელის მიერ 1040 წელს მო-
კებული კრებული (H № 1662), რომელიც მანვე შესწირა „მონასტერსა დედათაჲ
დერტავს“⁵¹³. ეს ფაქტი პალავრელი და დერტაველი ქართველების კავშირ-
ერთობასაც ადასტურებს.

დერთუფა მხოლოდ ერთი ხელნაწერთაა ცნობილი. ესაა მაკარი ეგვიპტელის
თხზულებათა შემცველი კრებული (K № 181) ასეთი ანდერძით: „მე, გლახაკი...
გრიგოლ, ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა მაკარის ებისტოლეთა და სარწმუნოე-
ბით შევსწირენ წმიდასა ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა დარსა დერ-
თუფას, ნიაფრობასა თებრონიასსა, ასულისა ვაჩე მხუელისასა... სალოცველად
და საკითხავად ყოველთა დათა ქართველთა. რომელნი მყოფ არიან ქრისტეს მსა-
ხურნი მას დარსა შინა“⁵¹⁴.

დამოწმებული მასალა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ პალესტინის
საენებში (კაპპათა, დერტავი, დერთუფა) მოღვაწე ქართველი ქალები ცხოველ
ინტერესს იჩენდნენ მწიგნობრობისადმი, ზრუნავდნენ ხელნაწერების დამზადება-
ზე; მათ ურთიერთობა ჰქონდათ სხვა საენებში მოღვაწე თანამემამულეებთან,
რომელთა დახმარებით ამდიდრებდნენ თავიანთ წიგნსაცავს.

ცნობილია კიდევ რამდენიმე მონასტერი იერუსალიმსა და მის მიდამოებში,
სადაც ქართველები მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ.
ასეთი იყო, მაგალითად, იერუსალიმში ბასილის, თეოდორესა და ნიკოლოზის
მონასტრები, სამოელის მონასტერი და გეთსიმანია იერუსალიმის ახლოს
და სხვ.

ბაილის მონასტერი აშენეს XV საუკუნის შუა წლებში თაყა და ამირინდო ამირახორებმა⁵⁴⁷. იქაური წიგნსაცაიდანაა სექტემბერ-იანვრის თვენი (Jer. № 40)⁵⁴⁸.

თეოდორეს მონასტერი აშენდა XVI საუკუნის მეორე ნახევარში, 1635 წელს შეაკეთეს ბეჟან და ბაადურ ჩოლაყაშვილებმა⁵⁴⁷. იქიდანაა კრებული (Jer. № 17)⁵⁴⁸, რომელსაც რ. ბლეიცი XII—XVI საუკუნეებით ათარილებდა.

ნიკოლოზის მონასტერიც XVI საუკუნისაა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში განახლა ერეკლე პირველის (1688—1703) დედამ, „კახთ დედოფალმა ელენე-ყოფილმა ელისაბედმა“⁵⁴⁹, იქაურ მოღვაწეთა ბიბლიოფილობას ამოწმებს ზოგიერთი იერუსალიმური ხელნაწერის მინაწერი⁵⁵⁰.

სამოელის მონასტერი იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. იქიდანაა ანტონ ლახტარას მიერ მოგებული აგიოგრაფიული კრებული (Jer. № 149)⁵⁵¹ და იოანე ოქროპირის „მარგალიტი“ სანტერესო ანდერძით: „ღირს მყოღმერთმან გლახაკი... დანიელ და დავწყრე წმიდაა ესე წიგნი უცხოებასა და მწირობით სიგლახაკსა შინა ჩემსა პალესტინისა სანახებთა წმიდისა აღდგომისათა, მონასტერსა წმიდისა სამოელ წინასწარმეტყუელისასა... და შევსწირე წმიდასა წინასწარმეტყულსა სამოელს მამობასა იოანე უხამურისასა... დიჩხრიკა კელითა იოსებ შავისა ლოცვითა“⁵⁵².

გეთსიმანია (გესიმანია, გესმანია)⁵⁵³ ადგილია ელეონის მთის ძირას, სადაც თითქოს უკანასკნელი ლოცვა წარმოთქვა მაცხოვარმა (მათე, XXVI, 36; მარკოზი, XIV, 32). იქ არსებობდა ბაზილიკა ღეთისმშობლის მიძინების სახელობისა. გეთსიმანიაში ქართველი მოღვაწენი უკვე IX საუკუნიდან ჩანან⁵⁵⁴. მათ იქ საკუთარი საკურთხეველი ჰქონდათ და გარკვეული პატივით სარგებლობდნენ. ამას არაერთი უცხოელი აღნიშნავს. მაგალითად, აგრეფენია ('370 წლის ახლოს)⁵⁵⁵. იგნატი (1393—1395 წწ.)⁵⁵⁶, ა. სუხანოვი (1652 წ.)⁵⁵⁷ და სხვ. ტ. გაბაშვილის ცნობით, „გესამანიას სამწირვალო არს საქართველოთი“⁵⁵⁸. მომდევნო ხანის მოგზაურებმა თუ მეცნიერებმა (ი. გედევანიშვილმა, გ. ავალოშვილმა, ა. ცაგარელმა, პ. კონკოშვილმა) გეთსიმანიაში ქართველთა ნაკვალევი ვეღარ ნახეს.

ცნობილია გეთსიმანიაში დამზადებული ხელნაწერები: 1. გაბრიელის მიერ გადაწერილი (1044 წ.) პარაკლიტონი (Sin. № 13)⁵⁵⁹; 2. მიქაელ მწირის მიერ გადაწერილი ოთხთავი (H № 1741), რომელიც 1048 წელს სტეფანე პალაევრეზმა მოიგო⁵⁶⁰; 3. სტეფანე დვალის მიერ XI ს. გადაწერილი ეამისწირვა (Sin. № 89)⁵⁶¹.

შეჰანი. XI საუკუნის შუა წლებში (1061 წლამდე) არნონის ხეობაში, შეჰანის მთაზე (ტრანსიორდანიასში) გაბრიელ თბილელს (ტფილელს) დაუარსებია ქართული საეანე, რომლის ბინადართ ჯგერის მონასტერთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ. იქაურ სკრიპტორიუმშია დამზადებული (იოანეს მიერ) კიმენური აგიოგრაფიული ძეგლების თარგმანების კრებული (Jer. № 50)⁵⁶².

ბერმონაზენური ცხოვრება სირიაში ქრისტიანობის გავრცელების უკვე აღრეულ ეტაპზე გაიშალა. ასკეტობა, განმარტობით ცხოვრება, ამქვეყნიური ინტერესების უგულვებელყოფა, სოფლისაგან განდგომა ბევრი სირიელის სასიცოცხლო საქმედ იქცა.

ცნობილი ისტორიკოსი სოზომენე (V ს.) გვაუწყებს, რომ სირიაში უკვე IV საუკუნის მეორე მეოთხედში მოღვაწეობდნენ ბერები. იგი ასახელებს იდენტურ ბერმონაზენური ცხოვრების მოთავეს აონს (აონეს)¹, მაგრამ ასეთი სახელის მოღვაწე სხვა წყაროებში არ ჩანს, ამიტომ გარკვეული დასკვნის გამოტანა ძნელია. სხვა ავტორები ამ მისიას ევგენიას მიწერენ. გარკვეულ ინტერესს იწვევს „ევგენიას ცხოვრება“. მისი ცნობით, ევგენია ეგვიპტელი იყო, მეწამულ ზღვაში ეძებდა მარგალიტს. შემდეგ ბერად შედგა. ერთხანს ნიტრიაში ცხოვრობდა, შემდეგ ქ. ნიზინის ჩრდილოეთით დააარსა მონასტერი და 30 წელი გაატარა იქ. ძალზე გათქვა სახელი. მის მონასტერს ხალხი მრავლად მიაწყდა. ევგენია გარდაიცვალა 363 წელს².

„ევგენიას ცხოვრების“ ცნობები ზოგიერთ მკვლევარს აეჭვებდა, ზოგს ევგენია სოზომენეს აონად მიაჩნდა³. მართალია, სახელთა სხვადასხვაგვარი დაწერილობა ხელს არ უშლის ამ პირთა გაიგივებას, რადგან ცნობილია, რომ სოზომენე სირიულ სახელებს ზშირად ამახინჯებდა⁴. მაგრამ თავგადასავალია განსხვავებული. სპეციალურად ჩატარებულმა კვლევამ ნათელყო, რომ ევგენია არაა ბერმონაზენური ცხოვრების დამწყები სირიაში.

ვინც არ უნდა იყოს საფუძვლად ჩამყრელი სირიელი ბერმონაზენობისა, ერთი უკილობელია: IV საუკუნეში ასკეტობა სირიაში უაღრესად გავრცელებული იყო. იქ მან მიიღო ძალზე მკაცრი ხასიათი (IV—VI სს.), რითაც გადააჭარბა ეგვიპტის ბერმონაზენობასაც კი⁵.

სირიის მეუღდაბნოეთა შორის დიდად გაითქვა სახელი სვიმეონ მესვეტემ (356—459). მისი ცხოვრება აღუწერია ჯერ მის მოწაფეს ანტონს (ანტონინს), შემდეგ (474 წ.) მისსავე მოწაფეს კოზმანს (სირიულად). „სვიმეონის ცხოვრების“ ქართული თარგმანით⁶. რომელიც, პ. პეტერსის დაცვირებით, სირიულადან მონაწილად, — იგი „იყო ნათესავით და მკვდრობით ქუეყანისაგან ასურეთისა, რომელ არს ანტიოქიისაჲ, და სოფელსა, რომელსა იშვა და აღიზარდა, ეწოდა მას აისი“. მშობლების გარდაცვალების შემდეგ შეუდგა სამონასტრო მოღვაწეობას და თავისი უკიდურესად მკაცრი ასკეტური ცხოვრებით ბერებოც კი ამხებდა. ჯერ სენაკში იყო ჩაკეტილი, შემდეგ სვეტზე დასახლდა და „დაყო მას ზედა ოცდაათი წელი“. სვიმეონის დიდება გაცდა სირიის ფარგლებს. მის სავანეს აუარებელი ხალხი მიაწყდა. სვიმეონის გავლენა და სახელი დღითი დღე იზრდებოდა⁷. ცნობილი მეცნიერის თ. უსპენსკის (1845—1928) სიტყვით, ეკლესიის ისტორია ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში არ იცნობს სვიმეონზე უფრო პოპულარულსა და სახელგანთქმულ მოღვაწეს⁸.

ზოგიერთი ცნობით, სვიმეონის სავანეს ქართველებიც სწვევიან. მაგალითად, თეოდორიკე კვირელის (387—457) ერთ თხზულებაში, რომელსაც ეფრემ მცირის თარგმანში ასეთი სათაური აქვს: „ღმრთისმოყუარებითი თხრობაჲ გინა თუ მოღლაწეთა მოქალაქობაჲ“, საგანგებოდაა აღნიშნული, რომ სვიმეონთან „მორბიოდეს ... ისმიატელნი და სპარსნი, და მათნი იგი სამთავრონი სომეხნი, ქართველნი, და უმართელნი. და რაოდენნი ვინ არიან უშინაგანეს მათსა“⁹.

სვიმეონის გარდაცვალებისთანავე გაჩაღდა ბრძოლა ცხედრის გამო. ბიზანტიის იმპერატორს მისი კონსტანტინოპოლში გადასვენება სურდა, მაგრამ ანტიოქელთა დაყენებით მოთხოვნის გამო ხელი აიღო ვანზრახვის შესრულებაზე. სვიმეონ მესვეტე ანტიოქიაში დაკრძალეს, ხოლო იმ მთაზე, რომელზეც იგი მოღვაწეობდა (სვიმეონის მთა, ჯაბალ სემანი), ანტიოქიიდან 30-ოდე კილომეტრის დაშორებით (ჩრდილო-აღმოსავლეთით), V საუკუნის მეორე ნახევარში გაშენდა დიდი მონასტერი (სვიმეონის მონასტერი, დაირ სემანი)¹⁰. იგი ხალხმრავალ საკრებულოდ იქცა.

სვიმეონ მესვეტეს¹¹ მრავალმა მოღვაწემ მიჰბაძა. მათ შორის განსაკუთრებით გაითქვა სახელი სვიმეონ მესვეტე-უმცროსმა (521—592). იგი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ღვთისმსახურებით. თავისი ცხოვრების ერთი ნაწილი მონასტერში გაატარა, ხოლო შემდეგ, გარდაცვალებამდე შავ (საკვირველ) მთაზე ცხოვრობდა (ანტიოქიის ახლოს). საგანგებოდ აღმართულ სვეტზე. მის მონასტერში მრავალი ბერი მოღვაწეობდა (ბერძენი, სირიელი, სომეხი და სხვ.). მის სავანეს მიაშურეს ქართველებმაც, რომელთა მოღვაწეობას ჩვენ ვეცნობით სვიმეონისა და მისი დედის — მართას „ცხოვრებათა“ წიგნებით. როგორც ჩანს, ქართველებს მისგლა-მოსგლა ჰქონდათ სვიმეონთან; ისინი იცნობდნენ მის მონასტერს და ზოგჯერ რჩებოდნენ კიდევ იქ სამოღვაწეოდ.

„ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ნეტარისა მართაჲსი, წმიდისა სვიმეონისა დედისაჲ“¹², რომელიც ბერძნულიდანაა თარგმნილი დავით ტბელის მიერ X საუკუნეში (კ. კეკელიძე) ან შავი მთის მოღვაწის დავითის მიერ XI საუკუნის პირველ ნახევარში (ყ. გარიტი), გვამცნობს, რომ ქართველები გარკვეულ როლს ასრულებდნენ სვიმეონის მონასტერში. მასში მოთხოვნილია, რომ მართას გარდაცვალების შემდეგ სვიმეონმა ღმერთს სთხოვა ცხოველყოფელი ხისაგან დამზადებული ჯვრის ნაწილი. „მეყსეულად იხილნა მან გამოცხადებით ჩუენებისა მიერ სამნი მონაზონნი, ქართველნი, რომელნი იერუსალჴმით მოვიდეს მონასტრად წმიდისა. რომელთაგანი ერთი სახელით ანტონი, მღვდლობისა პატივითა შემოსილი იყო და მამასახლისი მონასტრისა პატიონისისა და წინამძღუარი ძმათა სიმრავლისაჲ“. მას ხელთ ჰქონდა „ჯუარი ოქროჲსა და მას შინა ცხოველს მყოფელისა მის ძელისა ნაწილი“. ანტონმა იგი სვიმეონს გადასცა, ხოლო თვით ერთხანს მასთან დარჩა: „ხოლო შემდგომად ჟამთა რავედნთამე ეპისკოპოსად სელეგკისად აკურთხა წმიდამან ხუცესი იგი ქართველი ანტონი“.

შავ ან საკვირველ მთაზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ კიდევ უფრო

საინტერესო ცნობებს გვაწვდის „ცხოვრება და განგება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სემიონისი საკურველთმოქმედისაჲ, რომელი დამკვიდრებულ იყო მთასა საკურველსა, სანახებსა ანტიოქიისასა და ბრწყინვიდა, ვითარცა მთიები თავსა ზედა სუეტისასა“, რომელიც მთავარეპისკოპოს მაქარის (VII ს.) ბერძნული თხზულების თარგმანს წარმოადგენს¹³. მასში ოთხ თავშია (89, 111, 114, 229) საუბარი ქართველთა შესახებ. აღნიშნულია, რომ სვიმეონთან მივიდა „ერი მრავალი ქართველთაჲ“, რომელთაგან ბევრი „იყოფოდეს მის თანა, ვიდრე აღსრულე-ბადმდე სათნოთა მოქალაქობითა“. სვიმეონი მათ არ აკლებდა ყურადღებასა და მზრუნველობას.

სვიმეონ მესვეტე-უმცროსი ქრისტიანული საზოგადოებრიობის ყურადღებას იქცევდა როგორც თავისი ასკეტური მოღვაწეობით, ისე ლიტერატურული საქმიანობით¹⁴. კარგა ხნის მანძილზე იგი ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანთათვის მოწესის მაგალითს წარმოადგენდა, ხოლო მისი ცხოვრება-მოღვაწეობა მისაბაძი იყო ყველასათვის, ვისაც კი ბერმონაზვნობა სწავდა. მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქრისტიანთა ცხოვრებაზე ახლო აღმოსავლეთში. მისი გავლენა საგრძნობი იყო ჩვენს ქვეყანაშიც. ტრადიციული აზრით, მისი მოწაფენი და მის მიერ გამოგზავნილი იყვნენ ასურელი მოღვაწენი, რომელთაც ერთობ დიდი როლი შეასრულეს ქართველთა ცხოვრებაში (მათ ააგეს ახალი ტაძრები, დააარსეს მონასტრები, გააჩაღეს ბრძოლა სხვა რელიგიის აღმსარებელთა წინააღმდეგ, საფუძველი ჩაუყარეს კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს და სხვ.). მართალია, ეს ტრადიციული აზრი მეცნიერულად არ დასტურდება, მაგრამ ინტერესს მოკლებული მაინც არაა. იგი მაჩვენებელია იმისა, თუ რა სახელითა და პატივით სარგებლობდა სვიმეონი ქართველთა შორის: ტრადიციული აზრის შემუშავება სწორედ სვიმეონისადმი პატივისცემის ანარეკლია. ზემოდამოწმებული მასალა სვიმეონისა და დედამისის „ცხოვრებათა“ წიგნებიდან ლეგენდურია და ფაქტობრივ ცნობებს ნაკლებად გვაწვდის. მაგრამ მისი მნიშვნელობა ამით არ ქარწყლდება; აგიოგრაფებს უთუოდ ჰქონდათ რაღაც ხელშესახები მასალა, რომლის დაძებნა-გამომზეურება დიდად სასურველია. სწორადაა აღნიშნული. რომ „Ввиду различных самобытных грузинских легенд о непосредственных сношениях с Сириею, весьма желательнo выяснить все материалы, какими располагали в древности грузины при создании указанных легенд“¹⁵.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სვიმეონ მესვეტეთა მიერ წამოწყებულმა განსაკუთრებულმა სახემ ბერმონაზვნური ცხოვრებისა — მესვეტეობამ სათანადო გამოძახილი პოვა ქართველ მოწესეთა შორის. ჩვენშიც იჩინა თავი მესვეტეობამ; კარგადაა ცნობილი მოწესეთა საცხოვრებელი სვეტები ოლთისში¹⁶, შავშეთში¹⁷, იმერეთში¹⁸, სამეგრელოში¹⁹, კახეთში²⁰ და ა. შ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ სირია (ანტიოქია და მისი სანახები) ამ ხანაში ქრისტიანული მწერლობის მძლავრი ცენტრი იყო (არსებითად VI საუკუნეა სირიული მწერლობის აყვავების ხანა). ბუნებრივია, სვიმეონის მო-

ნასტერშიც წარმოებდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელსაც ალბათ ქართველებიც ადევნებდნენ თვალს. მაგრამ მათი მწიგნობრული მოღვაწეობის შესახებ იმ ხანაში ვერაფერს ვიტყვი, რადგან ხელშესახებს არაფერს მოუღწევია. საფიქრებელი კია, რომ იქ მყოფი ქართველები გაეცნობოდნენ და დაეწაფებოდნენ სირიულ მწერლობას. ის გამოძახილი ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობისა, რომელიც ზოგიერთ უძველეს ძეგლში შეინიშნება, შეიძლება სვიმეონის მონასტერსა თუ მის ახლომახლო სავანეებში ქართველ-სირიელთა ერთობლივი მოღვაწეობის შედეგი იყოს²¹.

VII საუკუნიდან სირია არაბებმა იკდეს ხელთ, ქართველთა ურთიერთობა ანტიოქიასთან, შავ მთასა და სხვა პუნქტებთან შესუსტდა. განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა და გაცხოველდა ქართველ-სირიელთა ურთიერთობა XI საუკუნეში. სწორედ ამ პერიოდში მომრავლდნენ ქართველები შავ მთაზე და საგრძნობლად დაწინაურდნენ იქაურ კულტურულ ასპარეზზე. ამას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, სირიის განთავისუფლებამ მაჰმადიანთა მპყრობელობისაგან და მისი ბიზანტიის მფლობელობაში გადასვლამ (969—1084 წწ.), მეორე მხრივ, ანტიოქიის, — ვითარცა ქრისტიანული მწერლობის ცენტრის, — დაწინაურებამ.

ანტიოქია (ანტაკია, ამჟამად თურქეთის ერთ-ერთი ვილაეთის ადმინისტრაციული ცენტრი) თავისი მწიგნობრულ-ლიტერატურული ტრადიციებითა და ახლომახლო (განსაკუთრებით შავ ან საკვირველ მთაზე) გაშენებული მრავალი სავანით ანდამატურად იზიდავდა ქრისტიანებს²². ქართველ მოღვაწეთა რამდენიმე თაობა ანტიოქიასა და მის შემოგარენში დასადგურდა. განსაკუთრებით ბევრი ქართველი დასახლდა შავი მთის მონასტრებში.

შავი მთა

ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია შავ ან საკვირველ მთაზე განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა XI საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც იქ დასახლდა ბევრი მოღვაწე სამხრეთ საქართველოდან (შატბერდიდან, ოშკიდან და ა.შ.). მომდევნო წლებში ქართველები ძალზე მომრავლდნენ შავი მთის სავანეებში (სვიმეონის ლავრაში, კალიპოსში, კასტანასა და სხვაგან). ამ სავანეთაგან პ. პეტერსი ასახელებდა ცხრას (სვიმეონწმიდას, რომანწმიდას, პრაკოპიწმიდას, წყართთა მონასტრს, ბარლაამწმიდას, ლერწმისხევს, ეზრას მონასტერს, კალიპოსსა და კასტანას)¹, კ. კეკელიძე — რვას (სვიმეონწმიდას, თუალთას, ლერწმისხევს, კასტანას, კალიპოსს, ვარლაამის, ეზრასა და ალექსანდრიის მონასტრებს)²; მ. თარხნიშვილმა ეს რიცხვი თორმეტამდე გაზარდა (დაუმატა თომას, გიორგისა და სხვა ტაძრები)³. ასეთი სხვაობა მკვლევართა დასკვნებში შემთხვევითი არაა. ფაქტია, რომ შავი მთის ქართულ სიძველეთა ადგილზე შესწავლა დროულად არ ჩატარებულა. მართებული იყო ნ. მარის გულისტკივილი როდესაც იგი შემდეგს წერდა: „Нельзя не выразить сожаления, что для исследования этой местности в интере-

სახ ისტორიი გრუზინსკოი ეკრვნი ლიტერატურა ნიჩგო ნე სდელანო, ნე ბული სოვერშენო ნი ოდნოი ნაუჩნოი პოეზდკი კაკოგო-ლიბო პოდგოტოვლენნოი დლი ვოპოლნენი თაკოი ზადაკი ლიგა“⁴.

მართალია, უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად საინტერესო მასალა გამოვლინდა (ი. მესერიანი, ვ. ჯობაძე)⁵ და უფრო ნათელი გახდა ქართველთა მონაწილეობა ახლო აღმოსავლეთის კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობაში, მაგრამ ეს, რასაკვირველია, საქარისი არაა. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით შავ მთაზე მცხოვრები ქართველების შესახებ, ხელნაწერი მემკვიდრეობის ნაკლები სახით მოღწევის გამო ჩვენი წარმოდგენა მკვთელი ქართველების მწიგნობრულ-ლიტერატურულ მუშაობაზე სულ ნათელი არაა⁶. ქვემოთ შევეცდებით შეძლებისდაგვარად გადმოვცეთ ის მცირე ცნობები, რომელიც ჩვენს ხელთაა ამა თუ იმ სავანეში ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

სვიმონწმიდა, როგორც აღვნიშნეთ, ადრევე წარმოდგენდა ქართველ მოღვაწეთა თავშესაფარს. განსაკუთრებით მრავლად ჩანდნენ ქართველნი იქ XI საუკუნეში. ზოგიერთი მათგანი ნაყოფიერად მოღვაწეობდა კულტურულ-შემოქმედებით სარბიელზე. შეგვიძლია დავასახელოთ გიორგი შეყენებული, გიორგი ათონელი, გიორგი მცირე და სხვ.

გიორგი შეყენებული, ზოგი ცნობით, ცხოვრობდა „მთასა საკვრველსა“ (გიორგი ათონელი), უფრო კონკრეტულად — „მკვლარ იყო მთასა საკვრველსა, მონასტერსა წმიდისა სკმეონისსა“ (გიორგი მცირე). სხვა ცნობით, იგი ცხოვრობდა „მთასა საკვრველსა, ნაპარლსა შინა კლდისასა“ (გიორგი მცირე), ან. როგორც თვით გვაუწყებდა, „მახლობელად მონასტერსა წმიდასა სკმეონ საკვრველთმოქმედისასა“⁷. როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, გიორგი შეყენებული ცხოვრობდა საკვირველ მთაზე, სვიმონწმიდის სანახებში, სადაც მას მარტოსაყოფელი ჰქონდა.

გიორგი შეყენებულს დიდი პატივით იხსენიებენ როგორც თანამედროვენი (გიორგი ათონელი, გიორგი მცირე), ისე გვიანი ხანის მოღვაწენიც (ანტონ პირველი, ი. ბაგრატიონი). ეს ბუნებრივია, რადგან იგი XI საუკუნის 30-იანი წლებიდან დაწყებული კარგა ხნის მანძილზე⁸ ნაყოფიერად მოღვაწეობდა შავ მთაზე და იქაურ ქართველთა შორის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად ითვლებოდა. სწორედ მან შენიშნა გიორგი ათონელის დიდი ნიჭი და ტალანტი, ლიტერატურული საქმიანობისაკენ მოუწოდა მომავალ მწერალს და ამ მიზნით ათონს წარგზავნა, რადგან, მისი მართებული აზრით, მაშინ ათონზე უკეთესი პირობები იყო მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის. არსებითად გიორგი ათონელის გამოვლენა და მისი პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ ასპარეზზე მისი „სულიერი მოძღუარის“ სახელთანაა დაკავშირებული. წლების მანძილზე გიორგი შეყენებული წარმართავდა დიდებული მოწაფის შემოქმედებით საქმიანობას⁹. უშუალოდ მისი თაოსნობით, მისი დავალებით თარგმნა გიორგი ათონელმა რამდენიმე თხზულება (და-

ვითნი, სამოციქულო და სხვ.). მანვე დაავალა გიორგი მცირეს გიორგი ათონელის ცხოვრების აღწერა, რასაც ნათლად ამოწმებს „ეპისტოლე მიწერილი გიორგის მიმართ, დიდისა მის შეყენებულისა, რომელი მკვდრ იყო მთასა საკვრველსა, მონასტერსა წმიდისა სკჳნიონისსა, ბერისაჲ მის, რომლისადა ეთხოვა. რაჲთა აღუწეროს ცხოვრებაჲ და მიცვალებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“¹⁰. საგულისხმოა, რომ გიორგი მცირემ, — შეასრულა რა დავალება, — თავისი ნაშრომი დამკვეთს ასეთი თხოვნით გაუგზავნა: „შენდა დამიტყეებიეს. რაჲთა შენ ჳეთილად შეამკო და განაცხადო ჩემ მიერ გამოსახული ესე და ნაკლულევენებაჲ ყოველივე: ვითარცა აღმასრულებელმან სულიერთა ფიცართამან. სრულყო და შენმანცა სიბრძნემან და კაცად-კაცადმან, რომელიცა მიემთხვოს, შესძინენ ნაკლულევენებასა ამას ზედა და განასრულენ“¹¹. ჩანს, მისთვის კარგად იყო ცნობილი გიორგი შეყენებულის განსწავლულობა და თავისი ნაწერის სრულყოფასაც ამიტომ სთხოვდა.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ გიორგი შეყენებულის ზრუნევა ათონის საეპისკოპოსოს განვითარების გაძლიერებაზე. ათონის ერთ ხელნაწერს (Ath. № 84)¹² შემოუნახავს გადამწერის, — გიორგი შეყენებულის, — ვრცელი ანდერძი, რომელიც კარგად გვაცნობს შავი მთისა და ათონის ქართველ მოღვაწეთა კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას. გადამწერი გვაუწყებს: „მე, გლახასკა ბერსა გიორგი დაუღლებულსა, მასმიოდა, ვითა ესე წმიდისა და დიდებულისა ნეტარისა მართამს ცხოვრებაჲ და წმიდისა ბარლამისი მთაწმიდისა არა არსო და ამის ჳერისათჳს ვინებე აღწერაჲ ამისი და მაგას ეკლესიასა შემოწირვაჲ“¹³. გიორგი შეყენებულმა აღნიშნული ხელნაწერი დაამზადა 1042—1044 წლებში¹⁴.

როგორც ჩანს, შავმთელი ქართველები კარგად იცნობდნენ ათონის ლიტერატურულ სკოლას, აღიარებდნენ მის უპირატესობასა და დიდ მნიშვნელობას და ამიტომ სწერდნენ ათონელებს: „ღმერთმან ყოველი აღმოსავლეთი საღმრთოთა წიგნითა მაგის წმიდისა ადგილისაგან განაბრწყინვა და წმიდანი ეკლესიანი ქართლისანი ღმერთმან ახლად მანდეთ შეამკენა“ (გიორგი შეყენებული); ამასთანავე. ენერგიულად ზრუნავდნენ ათონის საეპისკოპოსოს კადრების შერჩევასა და ხელნაწერების დამზადებაზე. სწორედ შავ მთაზე გაიწაფა ათონის ლიტერატურული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი გიორგი ათონელი, რომელმაც გააღრმავა, განავითარა და ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა ექვეთმის მიერ წამოწყებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა¹⁵.

გიორგი ათონელი ჳერ 1036—1039 წლებში ცხოვრობდა შავ მთაზე, ხოლო შემდეგ, — 50-იან წლებში, — კიდევ ეწვია მას. იგი სხვადასხვა საეპისკოპოსოებში მოღვაწეობდა და თარგმნიდა „ართთუ მთაწმიდას და შავსა მთასა ოდენ“, „არამედ სამეუფოს და გზას, სულუმბრიას, ანტიოქიას, სემეონწმიდას და კალიპოსს და სხუათა ესევითართა ადგილთა“. ამასთანავე, თავგამოდებით იცავდა ქართული ეკლესიის თვითმყოფლობასა და ავტოკეფალიას. იმ პერიოდში „კაცნი ვინმე სკჳმონწმიდელნი შურიითა საეშმაკოთა აღძრნეს ჩუენ ქართველთა ზედა და ენება, რაჲთამცა

ნათესავი ჩუენი ძირითურთ აღმოფხურეს სკვეონწმიდით“. მათ „ბიწი რამე“ დასწამეს ქართველობას, ანტიოქიის პატრიარქის წინაშე დააბეზლეს და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის საკითხი წამოჭრეს, რითაც პატრიარქიც დაინტერესეს. გიორგი ათონელმა ჩინებულად გამოავლინა თავისი განსწავლულობა და ეროვნულ-პოლიტიკური თუ საეკლესიო მსოფლმხედველობა, სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგენი და დამაჯერებლად დაასაბუთა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სამართლიანობა და კანონიერება¹⁶.

გიორგი ათონელი (მთაწმიდელი) მეტწილად გიორგი შეყენებულის დაკვეთითა და მოწოდებით მუშაობდა. ამას იგი ხშირად აღნიშნავდა თავის ანდერძ-მინაწერებში. მაგალითად, სვინაქსარის ანდერძში ვკითხულობთ: „დასრულდა განგებაჲ თუეთა წელიწდისათაჲ... ლოცვა ყავთ გლახაჲისა გიორგისათჳს, რომელნიცა იკითხვიდეთ, გინა წერდეთ, რამეთუ ლმერთმან იცის, ფრიადი ლუაწლი და ჰირი მინახავს ამისსა თარგმნასა სალხინებულად ცოდვათა ჩემთა და მოსაქვენებულად სულიერისა მოძღუერისა ჩუენისა გიორგისა, რამეთუ შემდგომად ლუთისა იგი არს მიზნუნი ყოვლისა კეთილისაჲ და მათითა ბრძანებითა და მადლითა და ლოცვითა მითარგმნიან ესე საღმრთონი წიგნნი“¹⁷. როგორც სხვა წიგნების ანდერძებიდან ჩანს, გიორგი მთაწმიდელი ათონზე გიორგი შეყენებულის დაკვეთით მუშაობდა. მაგალითად, სამოციქულოს ანდერძში მთარგმნელი გვაგმნობს: „წმიდანო მამანო, ესე წმიდაჲ წიგნი და ყოვლისა სოფლისა მოძღუარი მე: გლახაკმან გიორგი ხუცესმონაზონმან ვთარგმნე მთაწმიდას სულიერისა მოძღუერისა ჩემისა გიორგის ბრძანებითა: და მადლითა. რომელი მყოფ არს მთასა საკურველსა“¹⁸.

საგულისხმოა, რომ გიორგი შეყენებულის როლს გიორგი ათონელის შემოქმედებით საქმიანობაში სხვა მწიგნობრებიც კარგად იცნობენ. აქ აღარას ვიტყვით გიორგი მცირეზე. დავიმოწმებთ სხვათა ვამონათქვამებს. მაგალითად, იოანე ჭიბისძე გვაუწყებს, რომ სვინაქსარი გიორგი ათონელს „ათარგმნია მოძღუარმან მისმან გიორგი დაყულებულმან“¹⁹. საინტერესოა დავითნის თარგმნის ისტორია. როგორც ცნობილია, დავითნის ანდერძში მთარგმნელი კონკრეტულ ცნობას არ ვაუწყებდის. იგი წერს: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა. რამეთუ ფრიადითა იძულებითა წმიდათა და სულიერთა მამათა ჩემთაჲთა ვთარგმნენ ესე დავითნი ახლად ბერძულისაგან ქართულად მე, გლახაკმან გიორგი, უღირსმან ხუცესმონაზონმან. ფრიადი ჰირითა და რუდუნებითა“²⁰. ესე ყრუ ცნობა დააკონკრეტა ეფრემ მცირემ: „პირველნი დავითნიცა, რომელ ახლად ვთარგმნენს, მრავალი სიტყუაჲ ძუელისა ჩუეულებისადა მიეყვანა, ვიდრემდის უკუანახსენელ დიდისა მის მოღუაწისა გიორგი დაყულებულისა იძულებით ბრძანებითა კუალად უსრულუსად და უწმიდესად ვთარგმნენს“²¹.

ცნობილია გიორგი ათონელის მიერ უშუალოდ სვიმეონწმიდაში თარგმნილი წიგნებიც. მაგალითად, პარაკლიტონი, რომლის ანდერძში იკითხება: „დაესრულა ახალთარგმნილი ესე პარაკლიტონი თარგმნილმან ნუსხევით კელითა ჩემ გლახა-

კასა გიორგისითა ზუცესმონაზონისადათა მთასა საკრველსა, ლავრასა წმიდისა მამისა ჩუენისა სკმეონ საკრველთმოქმედისასა“²².

გიორგი ათონელთან ერთად შავი მთის სავანებში იყო მისი მოწაფე გიორგი მცირე,²³ რომელმაც XI საუკუნის 60-იან წლებში გიორგი შეყენებულის დავალებით დაწერა „ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“²⁴. იგი, როგორც თვით აღნიშნავს, გიორგი ათონელის „თუალით-მხილველი და ჭელით-მსახური“ იყო და, ბუნებრივია, ზედმიწევნით იცნობდა მის ცხოვრებას. გიორგი შეყენებულმაც ამიტომ დაავალა მას ასეთი საპატიო საქმე.

სვიმეონწმიდაში მოღვაწეობდნენ სხვა ქართველი მწიგნობრებიც. შეგვიძლია დავასახელოთ თეოდორე, რომელმაც „საყოფელსა წმიდისა სკმეონისსა“ გადაწერა ერთი საყურადღებო კრებული (A № 142), რომელშიც შესულია „მართას ცხოვრება“ და სხვა ძეგლები²⁵. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სვიმეონწმიდაში მოღვაწეობდა არსენ იყალთოელიც²⁶.

აქვე უნდა შეეჩერდეთ თორნეზე, რომელსაც ზოგჯერ ცალკე სავანედ მიიჩნევდნენ²⁷, ზოგჯერ კი სვიმეონწმიდაში არსებულ ქართულ ეკლესიად²⁸.

ცნობილია ერთი ოთხთავი (H № 1791)²⁹, რომელიც XIII საუკუნის დამდეგს დაუმზადებიათ შავ მთაზე. არსებითად იგია ერთ-ერთი უგვიანესი ხელნაწერი შავი მთიდან. ე. მეტრეველის აზრით, ის გადაწერილია სირიაში, ანტიოქიის სანახებში³⁰. მართლაც, ხელნაწერს ჰქონდა ანდერძი, რომელიც 1860 წელს სევანეთში, სოფ. მუჟალში გადმოიწერა დ. ბაქრაძემ. იგი ასე იკითხებოდა: „ლოცვა ყავთ გიორგი ბერისათვის. დაწერა მთასა საკრველსა, თორნესა წმიდისა სკმეონისასა“³¹. რას ნიშნავს თორნე? სად მდებარეობს იგი?

„სვიმეონის ცხოვრების“ ცნობით, „წმიდად სკმეონ დაემკვდრა მთასა მას საკრველსა ბრძანებითა ღმრთისადათა კლდესა მას ზედა და შექმნა თორნე რკინისა და დადგა მას შინა“³². „შიო მღვიმელის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორის სიტყვით, ასურელი მოღვაწენი მამინ წამოსულან ქართლში, როდესაც „აღსრულ იყო დიდი მნათობი სკმეონ საკრველთმოქმედი მთასა საკრველსა. გარნა არა და სუეტსაცა ზედა, არამედ თორნესა შინა მკდომარე იყო“³³, ე. კეკელიძის დაანგარიშებით—541—551 წლებში³⁴. აქ თორნეში იგულისხმება არა თორნი, — „რკინა პოლოტიკი ტანთასაცმელი“ (საბა), — როგორც გ. ფერაძეს ეგონა³⁵, არამედ იგივე სვიმეონის თორნე, რომელიც ზემოთ მოვხსენიეთ. სვიმეონის ან სვიმეონწმიდის თორნეს ეფრემ მცირეც იხსენიებდა. იგი სვიმეონწმიდის თორნეს ქართველთა სავანედ ასახელებდა³⁷. სხვაგანაც იხსენიებდა „ეკლესიასა წმიდისა სკმეონ საკრველთმოქმედისასა, რომელი... წმიდა მოდად სახელდებულ არს“ და იქვე განმარტავდა: „შეისწავე, რამეთუ ბერძენნი არა თორნედ, არამედ წმიდად მოდად უწოდენ წმიდა ეკლესიასა ჩუენ ქართველთასა“³⁷.

ამრიგად, წყაროებში იხსენიება „თორნე“, „თორნე სკმონწმიდისა“, „თორნე რკინისა“, „თორნე — მოდი“ და ა. შ. მოდი (ბერძნულად მოდიოს, არაბუ-

ლად — მუდი) არის ფხვიერი სხეულების საწყაო, ჩვენებური კოდის მსგავსი³⁸. რატომ უწოდებენ თორნეს მოდს და სად მდებარეობდა იგი? ამ საკითხის გარკვევას საქმოდ მოზრდილი შრომა უძღვნა პ. პეტერსმა. მან შენიშნა, რომ „სვიმეონის ცხოვრების“ იმ ადგილას, სადაც ქართულ თარგმანში „თორნე რკინისაჲ“ იხსენიება, დედანში ივითხება *Κλ.β̄ᾱυσ̄ο̄υ*. ეს სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება (1. პურის გამოსაცხობი პორტატული ღუმელი; 2. საჭურველი; 3. ეროზიის შედეგად ჩაღრმავებული კლდე). საფიქრებელია, სვიმეონი ჩაღრმავებულ ადგილას ცხოვრობდა და ეკლესიაც იქ დაარსდა, მაგრამ ქართველმა ავტორმა *Κλ.β̄ᾱυσ̄ο̄υ*-ის სხვა მნიშვნელობა არ იცოდა. იგი თორნედ თარგმნა და დაუმატა განსაზღვრება — „რკინისაჲ“, რაც დედანში არ იყო. ამ ჩაღრმავებულ ადგილს, მოყვანილობის გამო, ბერძნები მოდს უწოდებდნენ³⁹.

ამრიგად, სვიმეონწმიდაში, სვიმეონის მონასტრის ახლოს იყო ჩაღრმავებული ადგილი (კლიბანიონი, თორნე, მოდი), სადაც ქართველებს თავიანთი ეკლესია ჰქონდათ. იქ გადაიწერა ის ოთხთავი (H № 1791), რომელიც ზემოთ მოვისხენიეთ.

სვიმეონწმიდაში საქმოდ მდიდარი ბიბლიოთეკა არსებობდა. იქაური წიგნებით ხშირად სარგებლობდნენ ქართველი მოღვაწენი გიორგი ათონელი⁴⁰, ეფრემ მცირე⁴¹ და სხვ.

სვიმეონწმიდის გავლენას ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გვაცნობს დავით აღმაშენებლის ანდერძი, რომლის მოწმობით, დავითის დროს სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტრიდან შემოსულა და დამკვიდრებულა ჩვენში ახალი რედაქცია ტიპიკონისა. სხვათა შორის, დავითს „ხოდაბუნი შეუწირავს მუხრანს წმიდისა სკმონ საკვრველმოქმედისადა“⁴².

რომანწმიდა. ამ სავანის პირველი ქართველი მწიგნობარია გიორგი ათონელი, რომელიც მისმა მოძღვარმა „დაამკვდრა რომანწმიდას და დაყო მას შინა სამი წელი დიდითა შრომითა და მოლუაწებითა“. როგორც ჩანს, გიორგი ათონელი 1036—1039 წწ. ცხოვრობდა რომანწმიდაში. შემდეგ იქ სხვა ქართველებსაც ეხედავთ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი სვინაქსარი (H № 2211)⁴³, რომლის გადამწერია იოანე ჯიბისძე, ხოლო მომგებელი მისი ბიძა — დავით ჯიბისძე. აღნიშნული პირები XI საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი მწიგნობრები იყვნენ, 1035 წელს მათ შატბერდში ეხედავთ⁴⁴. შემდეგ შავ მთაზე გადასულან და იქ განუგრძიათ საგანმანათლებლო საქმიანობა. მის მიერ გადაწერილი სვინაქსარის ანდერძში იოანე ჯიბისძე გვაუწყებს: „დაიხუსნაწმიდაჲ ესე წიგნი... ქუეყანასა ასურასტანისასა, სანახებსა წმიდისა სკმონ საკვრველთმოქმედისასა... მონაზონთა სიმრავლითა განშუენებულსა რომანწმიდას. საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მამობასა მიქაელ ტყემლობილისა“⁴⁵... ბრძანებითა მამისა ძმისა ჩემისა დავითისათა დაიღვა წმიდაჲ ესე წიგნი მის მიერვე აშენებულსა ეკლესიასა, საყოფელსა წმიდისა ძელისა ცხოვრებისასა“⁴⁶. დამოწმებული ანდერძი არა მხოლოდ ქართველთა მწიგნობრულ საქმიანობას გვაცნობს, არამედ გვაწვდის მასალას შავ მთაზე ქართველთა აღმშენებლობით მოღვაწეობაზეც.

როგორც ჩანს, შატბერდელმა მოღვაწეებმა შეე მთაზე წამოიწყეს როგორც მწიგნობრულ-ლიტერატურული, ისე სამონასტრო-აღმშენებლობითი საქმიანობაც. საეკლესიოშია, რომ შორეულ სირიაშიც გაჰყვით მათ შატბერდისადმი პატივისცემა და ენერგიულად შრომობდნენ „სიყუარულითა შატბერდისაჲთა“; სწორადღენ რა ხელნაწერს ახალ ქართულ ეკლესიას, დაძქენდნენ: „ვიან აქა იყოს, არავის ჯელეწიფუბის წაღებად, ვიდრემდის ესე ეკლესიაჲ იყოს და შიგან კაცი. და რაჲ ესე ეკლესიაჲ არა იყოს და შიგან კაცი არა იყოს, მაშინ წიგნი ამის ეკლესიისაჲ შატბერდისა დიდსა ეკლესიასა დაიხსნენ“⁴⁷.

კალიპოსი. ამ საეპისკოპოსოს შუქსწავლებლობა არაერთ ქართველ მეცნიერს აწუხებდა.⁴⁸ მაგრამ მისი ადგილზე ნახვა და შესწავლა დღემდე არ მოხერხდა. სასურველი შედეგი ვერც ა. ცაგარლის ცდამ გამოიღო⁴⁹.

ქელი ხელნაწერების ჩვენებით კალიპოსი სკამოდ მნიშვნელოვან კერად წარმოგვიდგება. იქ მოღვაწეობდნენ გიორგი ათონელი, ვაბრიელ და იოანე ივანწმიდე-საფარელი, ბასილ თორელყოფილი, ბასილ კალიპოსელი, არსენ კალიპოსელი და სხვ.

გიორგი ათონელი, მისი ბიოგრაფის ცნობით, ცხოვრობდა „ოღდესმე სკემონწმიდას და ოღდესმე კალიპოსს“. სადაც იგი მთარგმნელობით მუშაობდაც ეწეოდა საფიქრებელია, თან ახლდა მას გიორგი მცირეც.

XI საუკუნის შუა წლებში კალიპოსში მოღვაწეობდნენ „სახით რეცა მონაზონნი ვაბრიელ და იოანე დეკანოზნი ივანწმიდელ-საფარელინი“. მათ 1040 წელს „ქუეყანასა ასურეთისასა, საზღუართა ანტიოქიისათა, სანახებსა წმიდისა სკემონსაკრველთობქმედისასა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მონასტერსა ქართველთასა კალიპოსს“ გადაწერეს და „ჭუარს, რომელი აღეშენა ჯელითა ... პრობორესითა“ შესწირეს გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველი კრებული, რომელიც ამჟამად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში ინახება (P № 3)⁵⁰.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი ალავერდის ოთხთავი (A № 484)⁵¹. რომელიც 1054 წელსაა დაშლადებული კალიპოსში⁵². მის ანდერძ-მინაწერებში იხსენიებიან ვადამწერები (იოანე დვალი, მიქაელი, გიორგი) და მომგებელიც (სვიმეონ მღვდელი). იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გაფორმებით, მოხატულია დიდი გემოვნებით. ცალკე აღნიშვნის ღირსია სახარების ტექსტი, რომელიც ექვთიმე ათონელის თარგმანს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა ქართული კულტურის იატორიისათვის ერთობ დიდია.

XI საუკუნის შუა წლების მოღვაწეა ბასილ თორელყოფილი, რომელმაც 1060 წელს „სანახებსა ასურეთისასა, დიდებულისა ქალაქისა დიდისა ანტიოქიისსა, მონასტერსა წარჩინებულსა დიდისა კალიპოლისასა, სადიდებლად ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისასა, სამკვდრებელსა და ნავთსაყუდელსა ქართველთასა, სოხასტერსა შინა მონასტრისა აღმოსავალით“ გადაწერა ოთხთავი, რომელიც

თაბორის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა⁵³ და ამჟამად ქუთაისშია დაცული (K № 76)⁵⁴.

ამავე საუკუნიდან ცნობილია აგრეთვე „კალიპოსელთა წინამძღუარი ბასილი“: რომლის დავალებით ეფრემ მცირემ თარგმნა „წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა მინა მეგკატელისაჲ“⁵⁵.

XI—XII საუკუნეთა მიჯნის გამოჩენილი მოღვაწეა არსენ კალიპოსელი, რომელსაც დიდის პატივით იხსენიებს რუის-ურბნისის კრება⁵⁶. სამწუხაროდ, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ვერაფერს ვიტყვი⁵⁷.

ცნობილია კიდევ ერთი ბასილ კალიპოსელი, რომელიც მონაწილეობდა სინის მთის ძვირფასი კრებულის (Sin. № 71)⁵⁸ გადაწერაში. ამ ბასილს XIII საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევენ⁵⁹.

ჩვენ უკვე დავასახელებთ რამდენიმე ხელნაწერი კალიპოსის წიგნსაცავიდან (A № 484; K № 76; Sin. № 71; P № 3). გარდა ამისა, მოღწეულია ცნობები ზოგიერთ სხვა ხელნაწერზეც, რომელთა ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია. მაგალითად, იერუსალიმური მამათა „სწავლანის“ (Jer. № 74) გადამწერი გვამცნობს, რომ მან „კალიპოსს იბოვა ამისი დედაჲ წიგნი“⁶⁰; იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის მეორე ხელნაწერში (Jer. № 2), რომელშიც სხვა საყურადღებო ძეგლებთან ერთად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაცაჲ“ შემონახული, ერთი ძეგლის ბოლოს იკითხება: „ესე ახალ თარგმნილი წამებაჲ... მე სულითა საწყალობელმან იონა ვპოვე კალიპოსს ხახულით მოღებული“⁶¹. ყოველივე აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ კალიპოსელ ქართველ მოღვაწეებს მიდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ⁶².

კასტანა. ამ საენიდან მოღწეულია მხოლოდ ერთი ხელნაწერი, მაგრამ ძველი ქართული მწერლობის ისტორიისათვის მას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ესაა ერთი უძველესი ქალაქის ხელნაწერი — „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“ (Q № 37)⁶³, რომელსაც რამდენიმე საყურადღებო ანდერძი შემოუნახავს. ერთ-ერთ ანდერძში ვკითხულობთ: „იოვანე ზუცესმან მთავარაჲსქემან ესე აწ ჩემთვის გარდამოვიწერე, ვითარ ვჰგონებ უნაკულად და მართლად. ვისცა გარდაწერაჲ გენებოს, მინდობილ იყვენით, რამეთუ ვითა ვპოვე, ეგრე დაეწერე ყოველი წინტილიცა. გარნა უნდოდ და ჰავად ჩხრეკისა და უკანონავად და იწროდ ჩასხმისათვის არა უმეტარ ვარ, რამეთუ არა აკრთხევასა. გინა ლოცვასა ღირს ვარ, არამედ წინა უქმო... ქრონიკონი იყო ტია [=311+780=1091]. დაიწერა კასტანას, ეფრემის მამობასა“⁶⁴.

როგორც ჩანს, 1091 წელს, როდესაც დასახელებული ხელნაწერი დამზადდა, კასტანაში ქართველები მოღვაწეობდნენ და ერთი მათგანი—გამოჩენილი მეცნიერი ეფრემ მცირე, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, მამად, წინამძღვრად ყოფილა. მას გარს ეხვივნენ მისი თანამშრომლები და თანამოღვაწენი.

ეზრას მონასტერი. ზემოდასახელებული ხელნაწერის ერთი ანდერძი ასე იკითხება: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი შავსა მთასა, სანახებსა წმიდისა სკმეონისსა,

მონასტერსა მამისა ეზრახსა, კელითა იოვანე ზუციისა მთავარაღსძისაჲთა. ქრონიკონი იყო ტ[=300+780=1080]“⁶⁶. ჩანს, მისი ღედანი იოანე მთავარაღსძემ 1080 წელს გადაწერა ეზრას მონასტერში (სადაც სხვა ქართველებიც უნდა ყოფილიყვნენ) და 1091 წელს. — Q № 37 დამზადებისას, — ახალ ხელნაწერში გადმოიტანა თავისი თუ ეფრემის ძველი ანდერძები⁶⁸. სამწუხაროდ. 1080 წლის ხელნაწერის ადგილსამყოფელი უცნობია.

იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (Jer. № 75)⁶⁷ საფიქრებელს ხდის, რომ ქართველები ეზრას მონასტერში ადრეც ყოფილან. იგი გადაწერილია 1066 წელს „მონასტერსა სანატრელისა მამისა ეზრახსასა კელითა გლახაკისა გრიგოლ ზუციისაჲთა“.

ლერწმისხევი. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია ცნობილია რუისის ოთხთავი (A № 845)⁶⁸, რომელიც XI საუკუნის შუა წლებშია გადაწერილი შავი მთის ქართულ კოლონიაში. ანდერძში ვკითხულობთ: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შავსა მთასა, უდაბნოსა ლერწმისკევისასა, ზღვს პირსა, რომელ არს დასასრულსა შავისა მთისასა, მახლობელად სელევიკისა, კელითა უბადრუცისა და მწარედ ცოდვილისა შავ-ზაქარიაჲსითა, მადლითა და ლოცვითა მოძღურისა ჩემისა საბა პროკოპიწმიდელისაჲთა, რომელი მკვდრ იყო მონასტერსა წმიდისა სკემონ საკვრველთმოქმედისაჲსა“. გადამწერი მადლობით იხსენიებს სხვა თანამოღვაწეებს (დანიელს, ნიკოლას ზუციეს) და დასძენს: „შემინდევით ღმრთისათჳს, უცბად და უმეტრად ჩხრეკისათჳს, სხუაჲ ღონე არა მაქენდა, საფასისაგან გლახაკიდ ვიყავ და უსასყიდლოდ არავინ დამიწერდა“⁶⁹. შავ ზაქარიას მიერ გადაწერილი ოთხთავი შემდეგ მოხვდა სამცხის ათაბაგთა კარზე. სადაც დაასურათა მინიატიურისტმა ანანიამ⁷⁰.

ფიქრობენ, რომ ლერწმისხევის საეანე შეიძლება იყოს წმიდა გიორგის ეკლესია სელევიკაში, რომლის ნანგრევები არცთუ დიდი ხნის წინ გამოვლინდა⁷¹.

თუალთა მონასტერი⁷². აქაური მოღვაწე იყო „ილარიონ დიდი თუალელი“, რომელიც „ვითარცა მთიები, ბრწყინვიდა კრებულსა შორის მამათასა“. 1019 წელს იგი ხახულში მოღვაწეობდა და ერთხანს გიორგი ათონელს ასწავლიდა, ხოლო 1039 წელს ბერადაც აღკვეცა. გიორგი მცირის თქმით. ილარიონი იყო გიორგი ათონელის „პირველი მოძღუარი და მიზეზი ყოვლისა კეთილისაჲ“⁷³. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ილარიონ თუალელი სათანადოდ განსწავლული და გაწაფული მოღვაწე იყო.

თუალთა მონასტერში არსებობდა მდიდარი ბიბლიოთეკა; მის წიგნებს ხშირად იყენებდა ეფრემ მცირე⁷⁴.

ბარლაამწმიდა. ზემოთ მოვიხსენიეთ გიორგი შეყენებულის მიერ დამზადებული ხელნაწერი (Ath. № 84), რომელშიც წარმოდგენილია „ცხოვრებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბარლაამ მოღუაწისაჲ. რომელი იყო მთასა კავკასსა“. აღნიშნული ხელნაწერი და კერძოდ „ბარლაამის ცხოვრებაჲ“ ჯერ კიდევ პ. იოსელიანმა გაიცნო (მანვე გამოაქვეყნა პირველი ცნობები ძეგლის შესახებ)⁷⁵. მაგრამ

მეცნიერულად შეისწავლა და კრიტიკულად დადგენილი ტექსტი გამოაქვეყნა ნ. მარმა⁷⁶. როგორც დამოწმებული სათაურიდან, ისე საკუთრივ ტექსტიდან ჩანს, რომ ბარლაამი მოღვაწეობდა „მთასა კავკასსა“. დღეს უკვე გარკვეულია, რომ ესაა მთა, რომელსაც ადრე ეწოდებოდა Casius, Κάσιος, კასია⁷⁷, ხოლო შემდეგ — ალ-ჯაბალ ალ-აკრა (მოტიტელელებული მთა, Μοτιτεια Γουα), მდებარეობს იგი ანტიოქიის ახლოს, შავ მთაზე (მთიანეთში)⁷⁸. იქ გაშენებული ყოფილა ბარლაამის (ან ვარლაამის) საეანე — ბარლაამწმიდა, სადაც ქართველებიც მოღვაწეობდნენ.

„გიორგი ათონელის ცხოვრებაში“ გვხვდება ერთი ადგილი, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ბარლაამწმიდის ისტორიისათვის. გიორგი მცირე წერს: „ცნა ღმრთისმსახურმან მეფემან ბავრატ, ვითარმედ სრულ იქმნა თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ და მოირწყუნეს ეკლესიანი შავისა მთისანი წიგნთა მისთა მდინარითა სულთა განმანათლებლითა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს, და უფროჲ: ყოველთაჲსა დიდად ილუაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტყოფილმან და თვისსა მონასტრისა ბარლაამწმიდისათეს დააწერიან“⁷⁹. ამ ცნობის შემცველ ზოგიერთ ხელნაწერსა და გამოცემაში ბარლაამწმიდა: ადგილსამყოფელად აფხაზეთია მითითებული. ამის საფუძველზე მას მართლაც ეძებდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე (კერძოდ, ამ საეანედ მიიჩნევდნენ ლიხნის ტაძარი)⁸⁰. გიორგი ათონელი ს ბიოგრაფიის ცნობით, ბარლაამწმიდა ანტონ ლიპარიტყოფილისეულია. ამის მიხედვით ამ საეანეს ლიპარიტ ორბელის დაარსებულად თვლიან⁸¹. როგორც არ უნდა იყოს, ერთი ცხადია: იგი სირიაში, ანტიოქიის ახლოს მდებარეობდა, „მთასა კავკასსა“ და ქართველთა სადგომს წარმოადგენდა. სინის მთის ერთ ხელნაწერში (Sin. № 56) იკითხება: „თუესა ივლისსა ით[=19] წმიდისა მამისა ბარლაამისი, რომელ არს მთასა კავკასსა, დღესასწაული ბარლაამწმიდას. ქართველთა მონასტერსა“⁸². ეს ცნობა, რომელიც ბარლაამის საგალობელთან გვხვდება, კიდევ უფრო სარწმუნოდ ხდის ზემოგამოთქმულ შეხედულებას. უკანასკნელად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნობილია ქართველი მწიგნობარი იოანე ბარლაამწმიდელი (ბარლაამწმიდელი), რომელსაც „დაუჩხრეკია“ პარაკლიტონი (Sin. № 96)⁸³.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გარდა განხილული საეანეების (სეიმეონწმიდა, რომანწმიდა, კალიპოსი, კასტანა, ეზრას მონასტერი, ლერწმისხევი, თულთა მონასტერი, ბარლაამწმიდა) მეცნიერები შავ მთაზე იგულებენ სხვა საეანეებსაც. სახელდობრ, პროკოპიწმიდას (პ. პეტერსი, მ. თარხნიშვილი), თორნეს (მ. თარხნიშვილი), ალექსანდრიის (კ. კეკელიძე), თომასა და გიორგის (მ. თარხნიშვილი) მონასტრებს, აგრეთვე მინაწმიდას (თ. ჟორდანი). ჩვენ მათზე საგანგებო შეჩერება არ მოგვიხდება შემდეგ მიზეზთა გამო: პროკოპიწმიდაზე არაფერი ვიცით გარდა იმისა, რაც უკვე აღვნიშნეთ — იქაურ მოღვაწეს (საბა პროკოპიწმიდელს) მოძ-

ღვრად და შემწედ იხსენიებდა შავი ზაქარია (იხ. ლერწმისხვევი); თორნე იყო ეკლესია და არა ცალკე სავანე (იხ. სვიმეონწმიდა); თომას მონასტერში ქართველთა მწიგნობრულ-შემოქმედებით საქმიანობაზე არავითარ ცნობას არ მოუღწევია; ეგვე უნდა ვთქვათ გიორგის მონასტერზე, თუ ის არაა ლერწმისხვევის სავანე, როგორც ზოგჯერ ვარაუდობენ: მინაწმინდის მიჩნევა ქართულ მონასტრად გაუგებრობას წარმოადგენს⁸⁴; რაც შეეხება ალექსანდრიის მონასტერს, ასეთი სავანე მასალეში არ შეგვხვედრია. წყაროებში იხსენიება შავმთელი ქართველი მოღვაწე კვირიკე ალექსანდრიელი, რაც მკვლევართ აფიქრებინებთ, რომ ალექსანდრიის მონასტერი ანტიოქიის ახლოს მდებარეობდა⁸⁵, მაგრამ ეს არ დასტურდება. ლ. მელიქსეთ-ბეგის ცნობით, ანტიოქიის ახლოს მდებარეობდა ალექსანდრეტა, ამჟამად თურქულად ისკანდერონად წოდებული⁸⁶. შეიძლება კვირიკე იქაური ბინადარი იყო და ქართულ წყაროებში ამის საფუძველზე იწოდებოდა ალექსანდრიელად.

სხვა კონკრეტული ცნობები შავი მთის ცალკეულ სავანეებში ქართველთა ცხოვრებაზე თითქმის არ მოგვეპოვება. ამიტომ შავი მთის ლიტერატურულ სკოლაზე ზოგადად უნდა ვისაუბროთ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნაყოფიერი მუშაობა გაჩაღდა შავი მთის ქართულ კოლონიაში XI საუკუნის შუა წლებში (გიორგი შეყენებული, გიორგი ათონელი და სხვ.), მაგრამ შავი მთის ქართულმა სათვისტომომ განსაკუთრებით გააძლიერა მუშაობა XI საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც იქ შეიკრიბა ქართველ მწიგნობართა მრავალრიცხოვანი კოლექტივი (ეფრემ მცირე, საბა თუხარელი, იოანე ფარაკნელი, ეფრემ ოშკელი, იოანე მთავარიისძე, ანტონ ტბელი, სტეფანე ქულეველი, არსენ იყალთოელი, იოანე-კვირიკე, გაბრიელი და სხვა მრავალი ქართველი მოღვაწე).

შავი მთის ლიტერატურული სკოლის მეთაური და მისი ყველაზე სახელოვანი წარმომადგენელია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი ეფრემ მცირე, რომელმაც „ქართულ მწერლობაში შექმნა მთელი ეპოქა და დიდებულად დაავიკრავინა ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების სამწერლო ღვაწლი“ (ე. კეკელიძე)⁸⁷. ეფრემის ბიოგრაფია, სამწუხაროდ, უცნობია⁸⁸. ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი იყო კარიჭისძე, წარმოშობით სამცხიდან. საფიქრებელია, განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში და იქ ეზიარა ბიზანტიურ კულტურას. სათანადოდ გაწაფულმა მიაშურა არა ათონის მთას, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ⁸⁹, არამედ შავ მთას. უთუოდ იმიტომ, რომ ათონზე ქართველ-ბერძენთა ურთიერთობა გამწვავებული იყო, ადგილი ჰქონდა გაუთავებელ დაავასა და ცილობას, შავ მთაზე კი შედარებით მყუდროება სუფევდა და შემოქმედებითი საქმიანობის გაშლისათვის უკეთესი პირობები ჩანდა. ეფრემი დაახლოებით XI საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს მივიდა შავ მთაზე, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სხვადასხვა სავანეში (სვიმეონწმიდა, კასტანა და ა. შ.), აქტიურად მონაწილეობდა იქაურ ქართველთა კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობაში. იგი დაუახლოვდა ანტიოქი-

ისა თუ მისი შემოგარენის სავანეთა გეკიდრ სწავლელებს⁸⁰, გამოიყენა მონასტრებში დატული წიგნადი ფონდები⁸¹, მკიდრო კავშირი დაამყარა შავ მთაზე დასახლებულ ქართველებთან, გარს შემოიკრიბა მწიგნობარი თანამემამულენი და ფართოდ გაშალა მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობა. არსებითად მან შექმნა და გააძლიერა შავი მთის ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლა. ცნობებს ეფრემისა და მისი თანამოღვაწეების სამწერლო-სამეცნიერო საქმიანობის შესახებ უხვად ვპოულობთ. იმ მრავალრიცხოვან ანდერძ-მინაწერებში, რომლებითაც შემკულია ეფრემის ორიგინალურ თხზულებათა თუ თარგმანთა შემცველი ხელნაწერები.

საგულისხმოა, რომ შავ მთაზე მისული ეფრემი თავდაპირველად დაემოწაფა იკურ ქართველ მოღვაწეებს, მაგალითად, საბა თუხარელს. ეფრემის სიტყვით, საბამ „ჟამსა სიუცებისა და სიჭაბუკისა“ დიდი დახმარება აღმოუჩინა მას. იგი წერს: „სხუათავე ქველის მოქმედებათა თანა ესეცა აჩუქნა ჩემზედა, რომელ ბერძული-საცა წიგნთა კითხვისა სწავლაჲ ილუაჲ ჩემთვის ადგილსა შინა ჯეროვნად მომზავებულსა, რომელ არს მონასტერი წმიდისა სემეონ საკრველთმოქმედისაჲ“⁸². როგორც ჩანს, ეფრემმა საბა თუხარელისაგან შეისწავლა საეკლესიო წიგნების კითხვის წესი. საკმაოდ დავალებული ჩანს ეფრემი იოანე ფარაკნელისგანაც. ერთ ანდერძში იგი გვაუწყებს: „ვიარღლა იგი ჯერეთ ჩუქნ თანა იყო ნეტარი იგი და ყოველად რჩეული მოღვაწეთა შორის ბერი იოვანე ფარაკნელი, მან მოწოდებდა გამოიკითხა ჩემგან“ და განკვეთილობის ნიშნების გამოყენება მიკარნახაო⁸³.

რასაკვირველია, ეფრემი მხოლოდ დასახლებული პირების რჩევა-დარიგებითა და მითითებებით არ სარგებლობდა. იგი დიდ ანგარიშს უწევდა სხვა ქართველ თანამოღვაწეთა აზრს, განადიდებდა და მაღალ შეფასებას აძლევდა ათონელთა საქმიანობას, მათ მიერ შექმნილ კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ამასთანავე, დიდ ყურადღებას უთმობდა შავმთელ ქართველ მწიგნობართა საქმიანობას, ახლოს იყო თავის თანამემამულეებთან და მათთან ერთად შრომობდა, მათთან ერთად იღვწოდა გარდაცვალებამდე, XI საუკუნის ბოლო წლებამდე⁸⁴. შავ მთაზე დაწერა ეფრემმა თავისი ორიგინალური ისტორიულ-აგიოგრაფიული თუ სხვა ხასიათის შრომები, იქვე თარგმნა მან ბიზანტიური ლიტერატურის რამდენიმე ათეული ნიმუში⁸⁵. თითქმის ყოველ ძეგლზე მუშაობისას ეფრემს კავშირი ჰქონდა შავი მთის სავანეების ქართველ მოღვაწეებთან. მის ვრცელ ანდერძ-მინაწერებში ისინი არა მხოლოდ დასახლებული არიან, არამედ ზოგჯერ მათ საქმიანობაზეც გვხვდება საყურადღებო ცნობები. ამ ანდერძ-მინაწერებით ვეცნობით ბევრ შავმთელ ქართველს (საბა თუხარელს, ანტონ ტბელს, ეფრემ ოშკელს, არსენ იყალთოელს, სტეფანე ჭულეველს, იოანე ფარაკნელს, გაბრიელსა და ა. შ.). რასაკვირველია, ჩვენ არ ვპატივებთ ეფრემის ორიგინალურ-შემოქმედებითი თუ მთარგმნელობითი მუშაობის დახასიათებას, ეს ჩვენი შრომის მიზანდასახულობას სთვლიდა. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ რამდენსამე ცნობაზე, რომელ-

თა მეოხებით შედარებით ნათლად წარმოგვიდგება შავმთელთა ერთობლივი მუშაობა.

ამ მიზნით თავდაპირველად უნდა მოვიხსენიოთ „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების“⁸⁶. იგი „ნამდვილ სამეცნიერო გამოკვლევას წარმოადგენს“ (ი. ჭავჭავიძევილი) და ნათლად გვაცნობს ეფრემის მომზადებასა და განსწავლულობას. ჩანს, როდესაც ქართველ-ბერძენთა ურთიერთობა გამწვავდა და საჭირო გახდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უფლების დაცვა-დადასტურება, „სულიერსა მამასა და პატრიასანსა ეკლესიარხსა ქართველთასა, მღღელსა უფლისასა იოანეს-კვირიკესა“ ეფრემისათვის დაუვალებია ამ საქმის მოგვარება. ეფრემმა ყურადილო იოანე-კვირიკეს თხოვნა-დავალება, საგანგებოდ შეისწავლა ბერძნული წყაროები, „მცირელი სიტყუანი, ვითარცა თესლის მკრებელმან, მიმოხანთესულნი წმიდათა წერილთაჲც, ერთად“ შეკრიბა. დანიცვა და დაასაბუთა ქართული ეკლესიის თვითმყოფობა. ეფრემი გვამცნობს, რომ იოანე-კვირიკეს „იწროებასა შინა ეჲმთასა უხუცებით განვრცომითა გონებისაჲთა“ მოუვიდა სადღესასწაულო, — რომელსაც მისი „უწყებაჲც“ დაერთო, — „ნათესავისა ჩუენისასა ეკლესიასა წმიდისა სკმეონ საკვრველთმოქმედისასა, რომელი ვითარცა საწყაული კეთილი და განმყოფელი იფქლისა ცხოვრებისაჲ კეშმარიტებით წმიდად მოდად სახელდებულ არს“. ამ პირს ზოგჯერ იოანე მთავარაიხსედ მიიჩნევენ. ეფრემის შრომის ერთი მინაწერი გვაუწყებს: „უწყოდი, რამეთუ ამის საკითხავისა მიზეზი იოანე, და იოანე რაჲ გესმეს. მთავარაიხსედ, რამეთუ ნეტარისა ეფრემის თარგმანობისა ეჲმთა შავსა მთასა დახუდა და ესრე შეუდგა თარგმანობისათჳს, რომელ თვნიერ მცირედთა წიგნთაჲსა ყოველნივე მან ათარგმნინა მისითა საქმართა და წარსაგებელითა“⁸⁷. აქ იოანე-კვირიკეს იოანე მთავარაიხსედსთან აიგივებენ და ეფრემის საქმიანობის წარმმართველად მიიჩნევენ. ამ აზრის შესაწყნარებლად მყარი საბუთებია საჭირო.

შავმთელ ქართველებთან ეფრემის თანამშრომლობას ნათლად გვაცნობს პატარა ძეგლი, რომელმაც ერთხელ კიდევ წარმოაჩინა ქართული მწერლობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. ესაა ეფრემის „მოსაკსენებელი მცირე სკემონისათჳს ლოლოთეტისა და თხოობაჲ მიზეზსა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“⁸⁸. მასში ავტორი საინტერესო მასალებს გვაწვდის გამოჩენილი ბიზანტიელი მწერლის შესახებ, ამასთანავე, გვაცნობს თავისი მთარგმნელობითი საქმიანობის ვითარებას, მიზანდასახულობას, ასახელებს დამხმარე პირებსაც. ეფრემი მადლიერების გრძნობით იხსენიებდა საბა თუხარელის ღვაწლს („მეოხებითა საბაჲსითა გავიწაფე“) და პატრიისკემით იგონებდა ეფრემ ოშკელსაც, „რომელი იგი მეცნიერ იყო კითხვასა და გაგონებასა ბერძელისასა და კეთილად სწავლულ ქართულთა სიტყუათა შეწყობილებასა“⁸⁹. არსებითად დასახელებულ პირებს (განსაკუთრებით საბას) მიაწერდა ეფრემი მისი ნაწერების ღირსებას. მსგავსი ვითარება შეინიშნება სხვა თარგმანების ანდერძ-მინაწერებშიც (ზოგიერთს ქვემოთ დავიმოწმებთ). საგულისხმოა, რომ მის მიერ რედაქტირებული სამოციქულოს ანდერძშიც ეფრემი ანალოგიურ

აზრს გამოთქვამდა, მხოლოდ საბას გვერდით პატივით იხსენიებდა ანტონს (ანტონ ტბელს) და საგანგებოდ აცხადებდა: რაც ამ წიგნში არის „ღირსი რაამდემართისა და შემსგავსებული, საბაჲს და ანტონის მეოხებისაჲ [არს], ხოლო რაოდენი-რაჲ არს ამათ შინა ცთომილი სიტყუთ გინა გულისკმისყოფით, მისსა აღვიარებ, ვითარმედ ჩემი ოდენ არს“¹⁰⁰.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ეფრემისეული თარგმანება ფსალმუნთა— „დამოუკიდებელი რეცენზია დავითნის კატეხეზისა, მნიშვნელოვანი არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ საზოგადოდ ეგზეგეტიკური ლიტერატურის ისტორიაში“ (კ. კეკელიძე). მის წინასიტყვაობაში, რომელიც ახლახან სანიშნოდ და სრულად დაიბეჭდა, საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ეფრემმა „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“ დაამზადა „ბრძანებითა და ლოცვითა ბერისა საბა სულამსძისა თუხარელისაჲთა“¹⁰¹.

განსაკუთრებით საინტერესოა ფსევდოდონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმანის¹⁰² შემცველ ხელნაწერებში შემონახული ეფრემის ანდერძი, რომელიც ერთის ერთ-ერთ ძეგლს. მასში ავტორი კადევ უფრო სრულსა და საყურადღებო ცნობებს გვაწვდის თავის დამხმარე პირებზე, თანამოღვაწეებსა და შემწეებზე. აქ დასახელებული არიან როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილი შავმთელი მწიგნობრები (საბა თუხარელი, ანტონ ტბელი), ისე სხვანიც (იოანე ფილოსოფოსი, კვირიკე ალექსანდრიელი). „სრულ იქმნა ერთი ესე ხუთთაგან წიგნთა წმიდისა დიონისისთა... გეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდისა სკემონ საკურველთოქმედისაჲთა და ლოცვითა ბერთა ჩუენთა საბაჲს და ანტონისითა და მათ თანვე მოღუაწებითა და ზრუნვითა კვირიკე ალექსანდრიელისაჲთა, რომელთა კსენებაჲ და ნეტარებაჲ საუკუნო იყავნ. ლოცუა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, იოანესთჳს საღმრთოდ ფილოსოფოსისა და კორციელად ღრამატიკოსისა. რამეთუ ლოცუაჲთა თანა ზემოკსენებულთა მამათასა იგი იქმნა პირ და გოზება და სიტყუა პირუტყუთა უფგუწერესისა ეფრემ მცირისა, რომელი აღვიარებ, ვითარმედ: არა თუმცა ივა ყოფილყო მოძღუარ და ძალ-მწე ჩემდა, მიხედვადცა ვერ ვაკადრებდი მზის თულსა ამის წიგნისასა“¹⁰³.

კარგა ზანია კმათს იწვევს იოანე „ფილოსოფოსისა და ღრამატიკოსის“ ვინაობა. იოანე აქ ისეთი პატივითაა მოხსენიებული და ისე გამოკვეთილადაა მიჩნეული ეფრემის მოძღვრად, რომ მკვლევართა დაინტერესება სავსებით ბუნებრივი ჩანს.

შავი მთის ქართველ მოღვაწეთა შორის რამდენიმე იოანეა ცნობილი (იქ რომ ერთზე მეტი იოანე იყო, ეფრემის შემდეგი ანდერძიდანაც ჩანს: „ლოცუა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, გაბრიელისათჳს, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი და კეთილთა მოღუაწეთა ჩემთა და განმძაღიერებელთა, ამასთან მზრდელთაცა და მსახურთა არსენი იყალთოელისა, იოანე და იოანე ხუცესთა, სტეფანესათჳს“).¹⁰⁴ რომელი იოანეა ეფრემის მოძღვარი? რა ცნობები გვაქვს იოანე შავმთელთა შესახებ?

ზემოთ მოვიხსენიეთ ორი იოანე: 1. იოანე მთავარაიძე, რომელიც ეზრას მ-ნასტერსა და კასტანაში მოღვაწეობდა¹⁰⁵; 2. ქართველთა ეკლესიარხი, მღვდელი იოანე-კვირიკე. რომელმაც ეფრემს „უწყებაჲ“ დააწერინა. იოანე მღვდელი. — ვითარცა ეფრემ მცირის მიერ ზოგიერთი თხზულების თარგმნის ინიციატორი. — ეფრემის რამდენსავე ანდერძში იხსენიება¹⁰⁶, მაგრამ ვადაჭირთ ვერ ვიტყვი, იგი იოანე-კვირიკეა თუ არა. ყურადღებას იპყრობს „იოანე დამასკელის ცხოვრების“ (აკრძოდ შეკრებული და მცირედ რაჲმე მოკსენებული სიმრავლისაგან ცხორებისა... იოანე მონაზონისა და ხუციისა დამასკელისა...) ¹⁰⁷ ეფრემისეული ანდერძის ერთი ადგილი: „ლოცვა ყავთ... იოანესთვის მღვდლისა და მონაზონისა, რომლისა ბრძანებითა მე, უღირსმან ეფრემ მცირემან, ვთარგმნე ბერძელისაგან მცირე ესე ცხოვრებაჲ... ითარგმნა ლოცვითა ბერთა ჩუენთა საბაჲს და ანტონისითა, ბრძანებითა და საკმარითა იოანე ზემოკსენებულისა და კკრიკეს ხუცად შესწავებულისაჲთა“¹⁰⁸.

შავი მთის ქართველ მწიგნობართა წრეში ტრიალებდა კიდევ ერთი ზემოხსენებული იოანე — „ყოვლად რჩეული მოღვაწეთა შორის ბერი იოანე ფარაქელი“. რომელმაც ეფრემს განკვეთილობის ნიშნების გამოყენება, პუნქტუაციის წესები უკარანახა¹⁰⁹. მას, — ეფრემთან ერთად, — შავი მთის ლიტერატურულ-გრაფიკული სკოლის იდეოლოგად მიიჩნევენ. იოანე პატრიკყოფილად იგულებდნენ და ეფრემის მოძღვრად აღიარებენ ¹¹⁰. იოანე პატრიკყოფილი ეფრემის მოძღვრად მიიჩნინა ჭერ კადევ ს. გორგაძემ¹¹¹, ხოლო ზოგი უფრო შორს წავიდა და ეფრემის მასწავლებლად იოანე პეტრიწი გამოაცხადა¹¹², ამან კი პეტრიწის შავი მთის მოღვაწედ აღიარება გამოიწვია¹¹³.

როგორც ვხედავთ. შავ მთაზე რამდენიმე იოანე ყოფილა. რომელი მათგანია ეფრემის მოძღვარი, ძნელი გასარკვევია. საკათხის სიბრძნულემ განაპირობა, რომ ეფრემის მასწავლებლად ზოგჯერ ათონელი (იოანე პატრიკყოფილი) თუ პეტრიწონელი (იოანე პეტრიწი) მოღვაწენიც კი დაასახელეს, რაც საცხებით გამორიცხულა. ამრიგად კითხვაზე: ვინ იყო ეფრემის მოძღვარი „ფილოსოფოსი და ღრმატიკოსი“ იოანე, გარკვეული პასუხის გაცემა ჭერხნობით შეუძლებელია.

უკანასკნელად მოვიტანთ კადევ რამდენიმე ანდერძს, რომელნიც გვაცნობენ შავმთელ ქართველთა ერთობლივ მუშაობას; მათ გონიერულად გამოიზნულ გეგმა-შეწონილ საქმიანობას.

ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლის — „ცხოვრება და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, კონსტანტინოპოლელ მთავარ-ეპისკოპოსისაჲ“ — ანდერძში ეფრემი წერს: „მოხებითა და ლოცვითა ბერთა ჩუენთაჲთა საბაჲს და ანტონისითა აწცა ითარგმნა ესე ახლად ბერძელისაგან მეტაფრასისა ყოვლად წადიერებითა და მკურვალედ სურვილითა გაბრიელ სტეფანე ხუციისა კულეველისაჲთა, რომელმან უმეტეს ზომისა აიძულა პირუტყუ-სახე ესე გონებაჲ ჩემი ყოვლად მცირისა და რეცა უნარჩევებისა რაჲსმე თარგმანთაჲსა ეფრემისი და კადნიერ მყო სხუათავე თანა ამისდაცა თარგმნად და კადრე-

ბად¹¹⁴; მისსავე ანდერძში, რომელიც გრიგოლ ნოსელის ნაწარმოების — „ცხო-
რება და მოქალაქობაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა გრიგოლი საკვრველთ-
მოქმედისაჲ“ — თარგმანს ახლავს, ვ ითხულობთ: „დაიწერა ბერძულისაგან ქარ-
თულად მოსწრაფებითა მღუღელისა გაბრიელისითა და ჯელითა ყოვლად უღირ-
სისა ეფრემისითა, ხოლო ბრძანებითა ზოგადისა მამისა ჩუენისა ბერისა საბაჲ-
სითა“¹¹⁵; ბასილ დიდის „ასკეტიკონი“ ეფრემმა თარგმნა „ბრძანებითა წმიდისა
მამისა ანტონი ტბელისაჲთა“¹¹⁶; მისივე დავალებით გადმოიღო თეოდორიტი კვი-
რელის თხზულება¹¹⁷; გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთი სიტყვის ანდერძში ეფრემი
გვამცნობს: „ბერმან კვრიკე ალექსანდრიელმან მრავალთა წელთა მძლავრა და კად-
ნიერ მყო მე ახლად თარგმნად“¹¹⁸. ასეთი ანდერძების დამოწმება კიდევ შეიძლება,
მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია. თუ მოვიგონებთ ეფრემ მცირის ურთიერთობას
ბასილ ალიპოსელთან. რომლის დავალებით თარგმნა „წამებაჲ წმიდისა და დი-
დებულისა ქრისტეს მოწამისა მინა მკეკპტელისაჲ“. და, განსაკუთრებით, არსენ
იყალთოელთან, რომელიც ეფრემის უმცროსი თანამედროვე იყო და არსებითად
მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა შავ მთაზე, მაშინ საკმარად სრულად წარმოგ-
ვიდგება ეფრემის ლიტერატურული სკოლის სახე (არსენ იყალთოელმა ნაყო-
ფაურად იმუშავა შავ მთაზე: თარგმნა „წამებაჲ წმიდათა სამთა აღმსარე-
ბელთა: გურია, სამონა და აბიბოხსი“¹¹⁹, იამბიკოებით შეამკო სამოციქულო¹²⁰
და ა. შ.).

ზ ე ს ა ვ ა ლ ი

I

ქართველთა სამკვიდროს სამხრეთ-დასავლეთიდან საუკუნეთა მანძილზე ესაზღვრებოდა მძლავრი ფეოდალური სახელმწიფო — ბიზანტიის იმპერია, რომელთანაც ჩვენს წინაპრებს მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდათ — სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, საეკლესიო-სარწმუნოებრივი. კულტურულ-ლიტერატურული.

ბიზანტია, — ვითარცა ძლიერი სახელმწიფო, — ხშირად ცდილობდა ჩვენი მიწების მიტაცებას, ქართველთა დამორჩილებას. ასე რომ, იგი არცთუ იშვიათად გამოდიოდა ჩვენი უშუალო მტრისა და მოწინააღმდეგის როლში; ერთმორწმუნეობა მას სრულიადაც არ უშლიდა ხელს ჩვენი ქვეყნის მიმართ მტაცებლური ზრახვების განხორციელების ცდაში. ასეთ დროს ქართველები ძალასა და ენერჯიას არ იშურებდნენ მოძალადებულ ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და თავგამოდებით იცავდნენ სამშობლოს ეროვნულ-პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ისტორიამ შემოგვინახა ბიზანტიელთა წინააღმდეგ ქართველთა თავგანწირული ბრძოლის არაერთი საყურადღებო ფურცელი.

ზოგჯერ ისეთი პოლიტიკური სიტუაცია იქმნებოდა, რომ ბიზანტია არა მართო ანგარიშს გვიწევდა, არამედ ჩვენთან კავშირის დამყარება-განმტკიცებას ცდილობდა, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ მოგვიწოდებდა, მისი ინტერესების დაცვას გვთხოვდა. საგულისხმოა, რომ ბევრი ქართველი აქტიურად მონაწილეობდა ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ-ცხოვრებაში, სამხედრო ოპერაციებში (თორნიკე ათონელი, გრიგოლ ბაკურიანისძე, აბაზ ბაკურიანისძე და სხვ.).

ბიზანტიასთან ურთიერთობა ქართველთათვის ერთობ რთულ პრობლემას წარმოადგენდა, რადგან ამ ურთიერთობის ისტორია დრამატიზმით იყო დამძიმებული. მაგრამ, — მიუხედავად ამისა, — ერთმორწმუნე ქვეყანასთან დაახლოებას მაკმაღიანთავან შევიწროებული საქართველოსთვის მაინც ღიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამასთანავე, ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კავშირის განმტკიცებას შესაბამისად სდევდა ურთიერთობის გაშლა კულტურულ-ლიტერატურულ სფეროში.

ბევრი ამ გვაყვებოდა ბიზანტიასთან საეკლესიო-საზღვრეობრივ სფერო-შიც. ამ ერთობრივნი ქვეყანასთან ერთად გვიხდებოდა ბოძოლა ქრისტიანობის წინააღმდეგ რელიგიებთან. აგრეთვე საკუთრივ ქრისტიანობის წიაღში აღმოკ-ნებულ სხვადასხვა მიმდინარეობასთან. მართლმადიდებლური ეკლესიის პოინცი-პების დაცვა-განმტკიცება ქართულ-ბიზანტიური ეკლესიას ერთობლივ საზრუ-ნავს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც მაჰმადიანურ გაუმოკვამი მომწყველულმა იერუსალიმმა დაკარგა ძველი მნიშვნელობა და კონსტანტინოპოლის ეკლესიამ სა-პატო აღვილი დაიმკვიდრა, ქართული ეკლესიის სწოაფვა დასაველეთისაკენ საყო-ველთაოდ შესამჩნევი გახდა.

IX—X საუკუნეებში ბიზანტიაში საკმაოდ განმტკიცდა ბეომონაზვნობა, რო-მელიც დიდ ძალას წარმოადგენდა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაშიც აქტიუად მონაწილეობდა; ბეომონაზვნობა იქცა პოლიტიკური ცხოვრების სერიოზულ ძა-ლად. მონასტერი — მძლავრ ფეოდალურ-საეკლესიო ორგანიზაციაა¹. თუ აღოე ქართველები ახლო აღმოსაველეთისაკენ ისწრაფოდნენ და ნაყოფიერად მოღვა-წეობდნენ იქაურ ასკეტურსა თუ სამწერლო ასპაზეზზე. ამიერიდან მათ დასაველ-ეთისაკენ აიღეს გეზი.

აღნიშნულ ხანაში აღმავლობის გზას ადგა ბიზანტიური კულტურა. განსაკუთ-რებულ წარმატებას მიაღწია ბიზანტიურმა ლიტერატურამ. შემოქმედებით არუ-ნაზე გამოვიდნენ გამოჩენილი მწერლები. რომელთაც ებოქა შექმნეს არა მარტო ბიზანტიური, არამედ საერთოდ ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიაში. მათი მრავალმხრივი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობის შედეგად ბიზანტიურმა ლიტერატურამ მსოფლიო სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა, ბიზანტია ქრისტი-ანული მწერლობის ცენტრად იქცა².

XI—XII საუკუნეებში ბიზანტიაში შესამჩნევად ამაღლა განათლების დონე, განვითარდა ფილოსოფიური აზროვნება, აყვავდა ფილოლოგიური სკოლა, თანდა-თანობით მომზადდა ის ნიადაგი, რომელიც ერთ-ერთ საფუძვლად იქცა ევროპუ-ლი რენესანსისა³.

ყოველივე ამას კარგად ხედავდნენ, დროულად ამჩნევდნენ და სწორად აფა-სებდნენ ქართველები. ბიზანტია, — ვითარცა ქრისტიანობის ბურჯი, ბეომონა-ზონთა სარბიელი და მწიგნობრობის ცენტრი, — ანდამატურად იზიდავდა ქართ-ველ მოღვაწეებს, რომლებმაც აუცილებლად მიიჩნიეს ბიზანტიური კულტურის საფუძვლიანი გაცნობა, გულდასმით შესწავლა. შემოქმედებითად ათვისება, ქარ-თულ სინამდვილეში გადმონერგვა; მათ აუცილებლად მიიჩნიეს ბიზანტიის კულ-ტურულ-საგანმანათლებლო კერებში (თუ მათ ახლოს) დასახლება, რათა იქიდან კარგად ელევნებინათ თვალი ბიზანტიელთა შემოქმედებითი საქმიანობისათვის და ყოველდღიურად ყოფილიყვნენ საქმის კერსში, რომ შეძლებოდათ ყოველგვარი სიახლის დროულად გაცნობა-ათვისება. ამიტომაც IX—XI საუკუნეებში ბიზან-ტიის სხვადასხვა პუნქტში (ოლიმპზე, ათონზე, პეტრიწონში და სხვ.) საფუძ-ველი ჩაეყარა ქართული კულტურის ცენტრებს, ზოგან ჩამოყალიბდა ქართული

ლიტერატურული სკოლები, რომლებიც თავისებურად მიუდგნენ ბიზანტიური კულტურის ათვისების საკითხს. თავისებური მიდგომა კი აუცილებელი იყო, რადგან ბიზანტიელებს პირველობის პრეტენზია ჰქონდათ, მათი ქედმალობა ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. მათ ვერც კი წარმოედგინათ არაბერძენთა განათლება, წიგნიერება (საგულსხმოა ის სიტყვები, რომლებითაც ბერძნებმა გიორგი ათონელს მიმართეს: „დალაკათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვათა კელა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ“⁷). ქართველებს კარგად ესმოდათ, რომ საპირო იყო ბიზანტიური კულტურის ათვისება, მაგრამ არა მონური ქედმობრა და ბრმა მორჩილება, არამედ შემოქმედებითი მიდგომა — თავის შეკავება წამლუკავი გავლენისაგან, მექანიკური გამეორებისაგან და თავისთავადი სახის შენარჩუნება. ქართველებმა გააჩაღეს მრავალმხრივი მუშაობა ბიზანტიური კულტურის შემოქმედებითი ათვისებისათვის, ყოველივე კარგის გადმონერგვისათვის, ეროვნული ლიტერატურის გამდიდრებისათვის, „ბარბაროსობისაგან“ თავის დაღწევისათვის ეროვნული სახის შენარჩუნებათ. ყოველივე ეს კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნიშნით კეთდებოდა⁸. ამასთანავე, ამ პერიოდში ბერძნულ-ქრისტიანული მწერლობის ქართულად გადმოღება არა მარტო კულტურული, არამედ მეტად დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური ღონისძიებაც იყო, რამეთუ იგი ხელს უწყობდა საქართველოს დაწინაურებას ახლო აღმოსავლეთში⁹.

ინტენსიური მუშაობით ქართველებმა შესამჩნევი წარმატებები მოიპოვეს. თუ როგორ გავრთვეს თავი ამოცანას, როგორ შეასრულეს დიდი მისია. ამას ქვემოთ ენახავთ. ამჯერად მხოლოდ იმის აღნიშვნა გვსურს, რომ მოპოვებული წარმატებებით მათ ბიზანტიელთა დაცინვას თავი დააღწიეს და კმაყოფილებაც კი იგრძნეს ბიზანტიელების დონემდე ამაღლებისა და ქედმაღალ პირობებთან გატოლების გამო⁷. ამიტომაც ისინი მადლიერების გრძნობით წერდნენ ექვთიმე ათონელზე: „ნაკულუევანებაჲ ენისაჲ ჩუენისაჲ აღავსო და რომელნი-ესე ბარბაროზ წოდებულ ვიყვნით ელენთა მიერ უსწავლელობისათჳს და უმეცრებისა ჩუენისა, მათ თანავე აღგურაცხა სიბრძნითა თჳსითა“⁸.

საგულსხმოა, რომ თუ ადრე ბიზანტიური კულტურის განსაკუთრებული ზეგავლენა შეინიშნებოდა, შემდგომ სხვა ვითარება შეიქმნა: თანდათანობით შესამჩნევი გახდა ქართველთა (და აღმოსავლეთის სხვა ხალხთა) გავლენა ბიზანტიელთა საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ მხარეზე. დღეს აღარაა საკამათო, რომ ბიზანტიური კულტურის შექმნაში, აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან ერთად, მონაწილეობდნენ ქართველებიც⁹.

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობა დღეს ასე წარმოგვიდგება — 1. ქართულ ენაზე შემონახულია ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია, მათი აღდგენა მხოლოდ ქართული თარგმანითაა შესაძლებელი; 2. ქართულ მწერლობაში შემონახულია ისეთი ცნობები ზოგიერთი ბიზანტიელი მწერლის შესახებ, რომლებიც ავსებენ და სულ ახალ ასპექტში აშუქებენ ამ მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას:

3. ქართულ მწერლობას შემოუწინაბავს ცნობები ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში სრულიად უცნობი მწერლების შესახებ; 4. ზოგიერთი ნაწარმოები ბიზანტიური ლიტერატურისა ქართულ მწერლობაში გადმოსულა ისეთი ვარიანტებით, რომელნიც სხვა აზრსა და მნიშვნელობას აძლევენ ამ ნაწარმოებთ“. მეტიც, დღეს ისიც ცხადი გახდა, რომ ქართველთა წვლილი ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში მართო ამით არ ამოიწურება; ქართველები მონაწილეობდნენ ბიზანტიური ლიტერატურის საკუთარი შემოქმედებით შევსება-გამდიდრებაში¹⁰. ისინი თხზვდნენ პერიძულად ორიგინალურ ძეგლებს, თარგმნიდნენ ქართულიდან ბერძნულად და ა. შ. საკმარისია მოვიფიქროთ ექვთიმე ათონელის მრავალმხრივი საქმიანობა. საფიქრებელია, ბერძნულად წერდნენ აგრეთვე იოანე პეტრიწი, გრიგოლ ბაკურაძისძე და სხვანი.

ქართულ-ბიზანტიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვითარდებოდა როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოშიც. ამ ურთიერთობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს საკუთრივ ბიზანტიის ტერიტორიაზე (თუ მისი პოლიტიკური გავლენის სფეროში) აღმოცენებულმა ქართული მწერლობის კერებმა (ოლიმპია, რომანამ, ათონმა, პეტრიწონმა და ა. შ.).

II

დასავლეთში არსებული ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების შესახებ დიდძალი წყაროები და მრავალმხრივი ლიტერატურა მოგვეპოვება. ამ კერების აღმოცენებისა და განვითარების ისტორიაზე, იქაურ ქართველ მოღვაწეთა მწაგნობრულ საქმიანობაზე ბევრ საინტერესო ცნობას ვპოულობთ საისტორიო ძეგლებში. აგიოგრაფიულ თხზულებებში, მემუარულ ნაწარმოებებში, სიგელ-გუჯრებში, აღაპებში და ა. შ. ქვემოთ შეძლებისდაგვარად ვიყენებთ როგორც ქართულ, ისე არაქართული წყაროების ჩვენებას. რადგან საუბრების დახასიათებისა და ისტორიული მიმოხილვისას, როგორც წესი, ძირითადად ზემოაღნიშნულ წყაროებს ვემყარებით, ამიტომ მათზე ამჟერად საგანგებოდ აღარ შეეჩერდებით. მხოლოდ ორიოდ სიტყვას ვიტყვით რამდენიმე მემუარისტზე.

დასავლეთში მოღვაწე ქართველ მწიგნობართა შესახებ, იქაური ქართული კულტურის კერების შესახებ ცნობებს არაქართველთა ჩანაწერებშიც ვხვდებით. მართალია, არაქართველი მოღვაწენი ძველ ქართულ საუბრებში მსჯელობიას ზოგჯერ არაფერს გვაუწყებენ საკუთრივ ქართველებზე, ქართულ სიძველეებზე (მაგალითად, საბა სერბი, ზოსიმე, თეოფანე და სხვ.), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ჩანაწერებში მაინც მოიპოვება ზოგიერთი ცნობა. რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთის ქართული კოლონიების ისტორიის გასათვალისწინებლად.

გაცილებით სრულ ცნობებს ვხვდებით ქართულ საუბრებში შესახებ ქართველ მწერალ-მოგზაურთა ჩანაწერებში. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ტ. ვა-

პაშვილი, რომელიც 1755—1758 წლებში რამდენჯერმე ეწვია ათონს და კარგა ხანს დარჩა იქ. მისი მეცნიერულ-ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის თხზულება, რომელიც ზემოთ მრავალგზის დავიმოწმეთ, კარგად გვაცნობს როგორც ტ. გაბაშვილის საქმიანობას ათონის მთაზე, ისე ქართველთა მონასტრის მდგომარეობას აღნიშნულ ხანაში.

ტ. გაბაშვილმა შეისწავლა ათონის სიძველენი, გამოიკითხა ზეპირი ტრადიციული ცნობები, გამოიყენა წერილობითი წყაროები (ლიტერატურული თხზულებანი. ეპიგრაფიკული ძეგლები), განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქართულ მონასტრის (მატიარალური კულტურის ძეგლებს, ხელნაწერებს და ა.შ.), ვრცლად აღწერა დიდი ტაძარი, ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის ნიმუშები დაათვალიერა და შეაფასა ისტორიკოსის თვლით და ა. შ. მან კემშარიტად დიდი და შრომატევადი სამუშაო შეასრულა¹¹.

ტ. გაბაშვილმა სწორად გაიგო და გაიზრა ათონის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, ათონელთა მიერ ეროვნული მწიგნობრობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილი. მისი სიტყვით, ათონის ქართველთა მონასტრის შემწევობით „განათლდა საქართველო წიგნთა თარგმანებითა“¹².

ტ. გაბაშვილმა მკითხველ საზოგადოებრიობას მიაწოდა მრავალი საინტერესო ცნობა ათონის ქართულ სავანესა და იქაურ სიძველეებზე, ქართველთა კულტურულ-აღმშენებლობითსა და მწიგნობრულ-სავანმანათლებლო საქმიანობაზე. მისი ცნობილი თხზულება — „მიმოსლვა“ — ადგილზე მოპოვებული კონკრეტულ-ფაქტობრივი მასალით, საისტორიო წყაროებში დაძებნილი ცნობებით და ვანსწავლული მოგზაურის მთაბეჭდილებათა სიუხვით დღესაც მკვლევართა ყურადღების ცენტრშია.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთში იმოგზაურა ი. გედევანიშვილმა. მან მოინახულა კონსტანტინოპოლი, კარგა ხანი დაყო იქ და გაიცნო იქაური სიძველენი, მაგრამ ქართული ვერაფერი ნახა (ყოველ შემთხვევაში, კონსტანტინოპოლის ქართულ სიძველეთა შესახებ არაფერი გვაუწყა)¹³; ასევე ვერ შენიშნა ქართველთა ნაკვალევი კვიპროსზე, სადაც კიკოს მონასტერი ნახა¹⁴. უფრო შედეგიანი იყო მისი მოგზაურობა ათონის მთაზე, სადაც დაათვალიერა რამდენიმე მონასტერი და კერძოდ ქართველთა სავანე, რომელზეც საინტერესო ცნობები დაგვიტოვა¹⁵.

XIX საუკუნეში იწყება დასავლეთის ქართული კერების საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა. ამ საქმეში ებმებიან როგორც ქართველი, ისე არაქართველი მკვლევარნი. მათგან ზოგი ადგილზე სწავლობდა ამ სავანეებს, ზოგი კი ჩვენში ამუშავებდა სათანადო წყაროებსა და ლიტერატურას.

დასავლეთის ქართული კერების, კერძოდ, ათონის მონასტრის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა პ. უსპენსკიმ. გასული საუკუნის შუა წლებში მან ორჯერ მოინახულა ათონის მთა, დაათვალიერა და შეისწავლა იქაური მონასტრები (როსიკონი, ხილანდარი, პანტოკრატორი, ზოგრაფოსი და სხვ.), გამოაქვეყნა როგორც ვრცელი აღწერილობა მოგზაურობისა¹⁶, ისე ათონის ისტორია (რამდენიმე წინადაც)¹⁷,

რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ქართველთა სავანეს და ბევრი საინტერესო ცნობა დაბეჭდა მასზე. მან შეკრიბა გადმოცემები, ძველ წყაროებში დაქმნა საყურადღებო ცნობები, შეისწავლა იქაურ ბიბლიოთეკაში დაცული მასალები, გამოავლინა უცნობი ფაქტები, შეადგინა შორეული ისტორია ქართული სავანისა. მანვე გამოაქვეყნა ათონის აქტების საძიებელი¹⁸ და ზოგიერთი საბუთი¹⁹. მიუხედავად იმისა, რომ პ. უსპენსკიმ დიდძალი მასალა გამოაქვეყნა ქართველთა მონასტრებზე და მისი თავგადასავალი შედარებით სრულად წარმოადგინა, იგი ამით არ დაკმაყოფილდა და დააპირა მისი ვრცელი ისტორიის დაწერა²⁰. სამწუხაროდ, ეს ჩანაფიქრი მკვლევარმა ვერ განახორციელა.

1849 წელს საბერძნეთს ეწვია პ. იოსელიანი. იყო კონსტანტინოპოლში, თესლონიკეში, ათონის მთაზე, დაათვალიერა და გაიცნო ქართული სიძველენი, დროებითი სარგებლობისათვის წამოიღო ზოგიერთი ქართული ხელნაწერი (მაგალითად. ოშკის ბიბლია 978 წლისა). შემდგომ წლებში პ. იოსელიანმა არაერთ ნაშრომში განიხილა დასავლეთში არსებული ქართული კულტურის კერების ცალკეული საკითხები²¹. ამავე ხასიათის საკითხებია წამოჭრილი და განმარტებული იმ რავალიცხოვან შენიშვნებში, რომლებითაც შემკულია ა. ბაგრატიონის, ტ. გაბაშვილისა და ი. გედევანიშვილის თხზულებათა პ. იოსელიანისეული პუბლიკაციები²². მკვლევარს განზრახული ჰქონდა სპეციალური შრომის მიძღვნა ათონის ქართული სავანისათვის²³. ამ ნაშრომს ინტერესით ელოდა ქართველი საზოგადოებრიობა²⁴, მაგრამ იგი არ გამოქვეყნებულა²⁵.

დასავლეთის ქართული კულტურის კერებს გარკვეული ყურადღება დაუთმო პეტერბურგის სამეცნიერო სკოლამ, რომელმაც შესამჩნევი წვლილი შეიტანა ათონზე, პეტრიწონსა და სხვა პუნქტებში მოღვაწე ქართველთა ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობის შესწავლაში. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა ჩატარეს თ. ბაგრატიონმა, მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა, განსაკუთრებით — ა. ცაგარელმა.

თ. ბაგრატიონმა შეკრიბა ცნობები ათონის ქართული მონასტრისა და ათონელი მოღვაწეების შესახებ²⁶; დ. ჩუბინაშვილმა „ქრისტომატიასში“ გამოაქვეყნა ტ. გაბაშვილისეული აღწერილობა ათონის სავანეებისა, ათონური ტექსტები²⁷ და ა. შ.; მ. ბროსემ დაამუშავა და მიმოიხილა პ. სევასტიანოვის ათონური მასალები²⁸, ფრანგულად თარგმნა ტ. გაბაშვილის ცნობები ათონზე²⁹ და ათონის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი³⁰.

1883 წელს, როდესაც „პალესტინის მართლმადიდებლურმა საზოგადოებამ“ ახლო აღმოსავლეთში მიაღწინა ა. ცაგარელი, მკვლევარმა ეს მისია ათონ-კონსტანტინოპოლს დაუკავშირა, იქაურ ქართულ სიძველეთა გაცნობა და აღწერა ითავა. მიიღო რა სათანადო ნებართვა, მთელი ზაფხული ათონ-კონსტანტინოპოლში დაყო და ნაყოფიერად იმუშავა. განსაკუთრებული ინტერესი ა. ცაგარელმა გამოიჩინა ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციისადმი, რომელიც მან დიდი გულისყურით გაიცნო, შეისწავლა და აღწერა. მისი „Каталог грузинских рукописей и

старопечатных книг Иверского монастыря на Афоне“, რომელიც მეცნიერმა ათონზე ყოფნისას შეადგინა, ათონის ქართულ ხელნაწერთა პირველი მეცნიერული აღწერილობაა³¹. მასში აღწერილია 86 ხელნაწერი და 6 წიგნი, განსაკუთრებით დაწვრილნით აღწერილია უფრო მნიშვნელოვანი ხელნაწერები.

ა. ცაგარელმა აღწერა არა მხოლოდ ათონზე დატული ხელნაწერები, არამედ მათი პირებიც (მაგალითად, S № 422)³², აგრეთვე ათონიდან მომდინარე, იქიდან წამოღებული ხელნაწერიც (A № 558)³³. მან დაასახელა ორიგინალური და თარგმნილი თხზულებანი, ავტორები და მთარგმნელები, კალიგრაფები და მკაზმაეები, დაახასიათა და წარმოაჩინა ათონის როლი ქართული კულტურის ისტორიაში, ყურადღება გაამახვილა ათონის ქართული აღაპებისა და ბერძნული აქტების მნიშვნელობაზე³⁴ (სხვათა შორის, ა. ცაგარელი აპირებდა ათონელთა „ცხოვრების“ გამოცემას და ათონ-კონსტანტინოპოლის ქართულ სიძველეთა შესახებ (აგრეთვე პეტრიწონის მონასტერზე) სპეციალური წიგნის დაწერას)³⁵. მკვლევარმა წვლილი შეიტანა პეტრიწონის შესწავლაშიც³⁶.

მალე ათონსა და კონსტანტინოპოლს ეწვია კადეც ერთი ქართველი მეცნიერი — დ. ბაქრაძე. იგი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის გამო ჩავიდა კონსტანტინოპოლში, სადაც გაიცნო ბათუმ-ყარსის ოლქების სამიწათმფლობელო დავთრები. მამინ მოახერხა ათონზე მისვლა (1888 წ.) და იქაური ქართული საეანის დათვალიერება³⁷.

დ. ბაქრაძემ ქართველთა მონასტერში გაიცნო ქართული ხელნაწერები, გადმოიღო ანდერძ-მინაწერები, რომლებიც გამოაქვეყნა საინტერესო შენიშვნებთან ერთად³⁸. მანვე დაბეჭდა მოზრდილი წერილი ათონის კრებულზე (A № 558)³⁹.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დასავლეთის ქართული ავანეების საკითხებზე ხშირად მსჯელობდა მ. ჯანაშვილი⁴⁰. მან აღწერა დასავლური წარმომავლობის რამდენიმე ხელნაწერი⁴¹, მისი დამსახურებაა „ათონის კრებულის“ გამოცემა (1901 წ.).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ თ. ჟორდანი, რომელმაც გააშუქა დასავლეთის ქართული კულტურის კრების ზოგიერთი საკითხი⁴² და აღწერა რამდენიმე დასავლური ხელნაწერი (A №№ 1, 92, 96, 134, 500, 558, 584, 548 და სხვ.), აგრეთვე მ. საბინინი, რომელსაც, მართალია, სპეციალური მეცნიერული გამოკვლევა არ გამოუქვეყნებია, მაგრამ ილარიონ ქართველისა თუ ათონელთა „ცხოვრების“ წიგნების ქართული ტექსტებისა⁴³ და რუსული პერიფრაზის⁴⁴ გამოცემით ვარკვეული წვლილი შეუტანია ჩვენი პრობლემის დამუშავებაში.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე დასავლეთს ეწვია რამდენიმე ქართველი მეცნიერი (ნ. მარი, ა. ხახანაშვილი) თუ მოგზაური (გ. ნადარეიშვილი, პ. კონკოშვილი).

ნ. მარი მონაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციაში, რომელსაც ნ. კონდაკოვი ხელმძღვანელობდა⁴⁵. 1898 წლის დამდეგს იგი მუშაობდა ათონის ქართულ საეანეში, სადაც გაიცნო ქართული ხელნაწერები და აღწერა რამდენიმე მათგანი⁴⁶,

ხოლო შემდეგ ათონური ხელნაწერების მიხედვით გამოსცა არაერთი ძეგლი. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ნ. მარის ფუნდამენტური ნაშრომი იოანე პეტრიწის შესახებ⁴⁷.

ა. ხახანაშვილმა ჯერ კიდევ თავის „ნარკვევებში“ მიმოიხილა დასავლეთის ქართული მწერლობის კერები⁴⁸ და დაახასიათა იქაურ ქართველ მწიგნობართა საქმიანობა⁴⁹. 1902 წელს ეწვია ათონს, ძირითადად მუშაობდა 978 წლის ბიბლიაზე⁵⁰, მაგრამ გაიცნო სხვა ხელნაწერებიც და რამდენიმე ძეგლის პირიც დაამზადებინა იქაურ მოღვაწეს ა. ბაქრაძეს. სხვათა შორის, ა. ხახანაშვილის წინასიტყვაობით გამოქვეყნდა „ათონის კრებული“⁵¹.

საინტერესო ცნობები მიაწოდეს მკითხველ საზოგადოებრიობას პ. კონკო-შვილმა⁵² და გ. ნადარეიშვილმა⁵³. ქართველთა დასავლეთში მოღვაწეობის საკითხებს თავის შრომებში ხშირად განიხილავდა კ. სძაგლიშვილი⁵⁴. დიდი მნიშვნელობისაა ის ნაშრომი, რომელიც ათონს უძღვნა ა. ნატროშვილმა⁵⁵. მკვლევარმა ქართულ და არაქართულ წყაროებში დაძებნა ცნობები ათონის ქართულ საეანეზე და წარმოდგინა ვრცელი ისტორია ჩვენი ეროვნული მწიგნობრობის დიდი კერისა. მართალია, წიგნში გვხვდება შეცდომები და უზუსტობანი, მაგრამ იგი დღემდე ერთადერთი მოზრდილი მონოგრაფიაა, რომელიც ჩვენში გამოქვეყნდა ათონზე. მასში განსაკუთრებით დაწვრილებითაა აღწერილი ქართველ-ბერძენთა ბრძოლა, წარმოჩენილი და დასაბუთებულია ქართველთა კანონიერი უფლებები საეანეზე⁵⁶.

დასავლეთში ქართველთა მრავალმხრივი მოღვაწეობის — სამონასტრო-ალმშენებლობითი საქმიანობისა და მწიგნობრულ-შემოქმედებითი მუშაობის — შესწავლა მაღალ მეცნიერულ საფეხურზე აიყვანეს ი. ჭავჭავიძემ, კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა.

ი. ჭავჭავიძემ ვრცლად დაახასიათა გამოჩენილი ათონელი მოღვაწეების — ექვთიმესა და გიორგის პრაქტიკულ-საგანმანათლებლო საქმიანობა⁵⁷, საყურადღებო ნარკვევი უძღვნა გიორგი ათონელისა და გიორგი მცირის ორიგინალურ მემკვიდრეობას⁵⁸, გამოსაცემად გაამზადა „ცხოვრება იოვანესი და ეფთკემლი“ (რომელიც 1946 წელს გამოაქვეყნა ა. შანიძემ)⁵⁹. „ქართველი-ერის ისტორიაში“ საინტერესო შენიშვნები დაბეჭდა დასავლეთის ქართული კულტურის კერებზე⁶⁰, მიმოიხილა ათონურ ხელნაწერში შემონახული ტექსტები⁶¹ და ა. შ.

კ. კეკელიძემ დასავლეთის ქართულ კერებზეა იქაურ მოღვაწეებს „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველსავე გამოცემაში (1923 წ.) უძღვნა მოზრდილი ნაკვეთი⁶², რომელიც შემდეგ შეესებულ-დაუუსტებელი სახით დაიბეჭდა ამ წიგნის მომდევნო გამოცემებში⁶³. მკვლევ არმა გულმოდგინედ შეისწავლა მოღვაწეობა იმ ქართველებისა, რომლებიც დასავლეთის საეკლესიო-სარწმუნოებრივსა თუ ლიტერატურულ ცხოვრებაში მონაწილეობდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიის შესწავლაში. ამ პრობლემას მიუძღვნა მეცნიერის მრავალი წერილი⁶⁴. კ. კეკელიძეს უყუ-რადღებოდ არ დაუტოვებია დასავლეთის სხვა ქართულ საეანეებში მოღვაწე ქარ-

თველებიც⁶⁵. ცალკე უნდა აღინიშნოს ათონის სახელგანთქმულ კრებულში (Ath. № 8) შემონახულ ძეგლთა კ. კეკელიძისიული პუბლიკაციის (იხ. ქვემოთ) დიდი მნიშვნელობა.

ა. შანიძემ, როგორც აღვნიშნეთ, გამოაქვეყნა ი. ჯავახიშვილის მიერ გამოზადებული „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“ და სპეციალურად შეისწავლა გიორგი მთაწმიდელის ენა⁶⁶. მანვე ათონური ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ძველი აღთქმის ზოგიერთი წიგნი⁶⁷ და რამდენიმე ნაშრომი უძღვნა პეტრიწონის ქართულ საჯანეს⁶⁸, ხოლო რამდენიმე წლის წინ დაავგირავინა თავისი ხანგრძლივი მუშაობა და ქართული მეცნიერება გაამდიდრა კიდევ ერთი ბრწყინვალე წიგნით — „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“ (თბ., 1971). მკვლევარმა ტიპიკონის ქართული ტექსტი გამოსცა ძველი ხელნაწერის მიხედვით, რომელსაც არ განუცდია მერმინდელი გადაკეთება, დაბეჭდა ტიპიკონის რუსული თარგმანი და ვრცელი გამოკვლევა (შესავალი და ძეგლის ენის მიმოხილვა).

ს. ყაუხჩიშვილმა გამოსცა დასავლეთის საჯანეებში მოღვაწე ქართველ მოაზროვნეთა ორიგინალური თუ თარგმნილი თხზულებანი⁶⁹, წერილები უძღვნა ქართველთა დასავლეთში მოღვაწეობას⁷⁰ და „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაშიც“ სათანადო ადგილი მიუჩინა მას⁷¹, თარგმნა გამოჩენილი ბიზანტინისტის ა. გრეგუარის წერილი — „ივერთა მონასტერი და ათონის მთის ქართველთა როლი“, რომელიც „ბიზანტინოლოგიური საზოგადოების წელიწდეულში“ გამოქვეყნდა 1963 წელს⁷², უკანასკნელ წლებში დაბეჭდა ხიოსიდან მიღებული პეტრიწონის წესდების ბერძნული ნუსხის ტექსტი და ქართული თარგმანი სათანადო განმარტებითურთ⁷³, შეისწავლა და გამოსცა ათონის ქართველთა მონასტრის აქტები (ხრისობულები, სიგელ-გუჯრები და სხვ.)⁷⁴.

დასავლეთში არსებული ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიის შესწავლაში წვლილი შეიტანეს უცხოეთში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმაც — გ. ფერაძემ⁷⁵, მ. თარხნიშვილმა⁷⁶, კ. სალაამ⁷⁷ და სხვ.⁷⁸

საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ ის მუშაობა, რომელიც ჩვენი საკითხის შესწავლის მიზნით ჩატარეს უცხოელმა ქართველოლოგებმა — პ. პეტერსმა, რ. ბლეიკმა, ე. გარიტმა და დ. ლანგმა.

პ. პეტერსმა გამოაქვეყნა დასავლეთში მოღვაწე ქართველთა „ცხოვრებათა“ წიგნების ლათინური თარგმანი⁷⁹ და თორნიკე ათონელის საყურადღებო ანდერძი⁸⁰, მოზრდილი გამოკვლევა „ბალავარიანიზე“⁸¹ და ა. შ. სხვათა შორის, ათონური ხელნაწერებით მან დაბეჭდა ზოგიერთი ქართული ტექსტი (მაგალითად, „ცხოვრება წმიდისა დიონოსისი ეპისკოპოსისაჲ“) ⁸²; რ. ბლეიკმა დეტალურად აღწერა ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია⁸³, გამოაქვეყნა საყურადღებო წერილები⁸⁴. გამოიყენა ათონურ ხელნაწერთა ჩვენებანი ზოგიერთი ძეგლის გამოცემისას; ე. გარიტმა არაერთი გამოკვლევა უძღვნა ათონის ლიტერატურულ სკოლას⁸⁵; დ. ლანგმა თარგმნა „ბალავარიანი“⁸⁶, გამოაქვეყნა პერიფრაზი ათონელ მოღვაწეთა „ცხოვრებისა“⁸⁷, დაბეჭდა რამდენიმე წერილი⁸⁸ და ა. შ.

დასავლეთის ქართული სამწერლობო კერების ისტორიისა და იქაურ ქართველ მწიგნობართა კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას თავიანთი გამოკვლევებით თუ პუბლიკაციებით ხელი შეუწევეს ს. გორგაძემ⁸⁸, პ. ინგოროყვამ⁸⁹ ნ. ბერძენიშვილმა⁹⁰, შ. ნუტუბიძემ⁹¹, ილ. აბულაძემ⁹², მ. ბერძენიშვილმა⁹³, მ. კახაძემ⁹⁴, ს. ყუბანიშვილმა⁹⁵, ე. მეტრეველმა⁹⁶, ი. ლოლაშვილმა⁹⁷, ა. ურუშაძემ⁹⁸, ი. იმნაიშვილმა⁹⁹, რ. მიმინოშვილმა¹⁰⁰, ე. ხინთიბიძემ¹⁰¹, რ. სირაძემ¹⁰², მ. დოლაქიძემ¹⁰³ და სხვ.^{103ა}.

დასავლეთის ქართული კერებიდან მომდინარე ხელნაწერები აღწერეს ავრეთვე ე. თაყაიშვილმა (A № 1335), ქ. შარაშიძემ (A №№ 1054, 1101, 1103—1105, 1139—1142, 1144, 1335, 1351; H №№ 1271, 1346 და სხვ.), ს. კაკაბაძემ (არქ. ხელნ. №№ 174—177, 190, 191, 195), ლ. ქუთათელაძემ (A № 1, 1705, 1711. 1769), თ. ენუქიძემ (Q №№ 835, 843-ბ; S № 143), თ. ბრეგაძემ (A № 92, 96- S № 530), ლ. მეფარიშვილმა (H № 2251) და სხვ.

დასავლეთის სავანეებში ქართველთა მოღვაწეობაზე საუბარია ჩვენს ზოგიერთ შრომაშიც¹⁰⁴.

ქართველთა მოღვაწეობის დასაწყისი ბიზანტიაში

ზენით აღვნიშნეთ, რომ IX საუკუნიდან ქართველმა მოღვაწეებმა დასავლეთისაკენ აიღეს გეზი და თანდათან დაიწყეს ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაცია, რაც პირდაპირი შედეგი იყო საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის გაძლიერებისა. ამიერიდან ქართველმა მოღვაწეებმა „სლვანი“ წარმართეს დასავლეთის, ან, როგორც ჩვენი ძველები ამბობდნენ, საბერძნეთისაკენ, სადაც იმ დროისათვის კეთილსურნელოვან ყვავილად გადაიფურჩქნა ე. წ. ბიზანტინიზმი, ეს დაუშრეტლი წყარო ახალი კულტურისა და ცივილიზაციისა (ქ. კეკელიძე)¹. ადრეც — უკვე IV—V საუკუნეებში — არაერთი ქართველი მონაწილეობდა ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა თუ კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში (ევაგრე პონტოელი, პეტრე ქართველი და სხვ.), მაგრამ IX საუკუნიდან ბიზანტიაში მოღვაწე ქართველთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

დასავლეთისაკენ ჭერ კიდევ გრიგოლ ხანძთელი (759—861) ისწრაფოდა. გიორგი მერჩულის ცნობით, გრიგოლმა „განიზრაზა წარსლვაჲ ქრისტტმს საქურკლედ, მეორედ იერუსალმჲმად, რომელ არს კოსტანტინეპოლისი, და ყოველთა საჩინოთა საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა მოხილვად“. მან თან წაიყვანა საბა იშხნელი და კიდევ ერთი მოწაფე, გაუღდა გზას, „წარემართა საბერძნეთად და მოიწია კოსტანტინეპოლის, და თაყუანის-სცა ძელსა ცხოვრებისასა და წმიდათა ყოველთა ნაწილსა, და სიხარულით მოვლნა ყოველნი წმიდანი ადგილნი სალოცველნი... და სულითა მადლისაჲთა განმხიარულებულნი წარმოემართნეს საყოფელად თჳსა“².

გრიგოლ ხანძთელი და მისი თანამოღვაწენი ბიზანტიაში იყვნენ აშოტ კურაპალატის სიკვდილის (826 წ.)³ ახლო ხანაში.

რასაკვირველია, გრიგოლ ხანძთელის ჩასვლა კონსტანტინოპოლში და ბიზანტიური საეკლესიო პრაქტიკის გაცნობა არ წარმოადგენს ქართველთა მიერ ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაციის დასაწყისს, მაგრამ ეს ფაქტი ნათლად წარმოაჩენს ქართველთა სწრაფვას დასავლეთისადმი, დიდ ინტერესს იქაური სარწმუნოებრივ-რელიგიური ატმოსფეროა და საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებისადმი.

მალე დასავლეთს ეწვია მეორე გამოჩენილი მოღვაწე — ილარიონ ქართველი (822—875), რომელმაც არა მხოლოდ გაიცნო იქაურობა, არამედ დააარსა ქართული სავანე ოლიმპზე (მცირე აზიაში) 864 წლის ახლოს. მის სახელთანაა დაკავშირებული ბიზანტიაში კიდევ ერთი მონასტრის (რომანას) დაარსება 876 წელს. ორივე სავანე ადრევე იქცა მწიგნობრულ-ლიტერატურულ კერად.

ილარიონ ქართველის ცხოვრება და მოღვაწეობა ბიზანტიაში ქართველთა მიერ ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაციის პირველ ეტაპს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში ქართველ მოღვაწეთა დასახლებამ ბიზანტიაში ფართო ხასიათი მიიღო და ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაცხოველების შედეგად სულ უფრო შესამჩნევი გახდა.

მომდევნო ხანაში ქართული კულტურის უაღრესად მნიშვნელოვანი კერები აღმოცენდა ათონის მთაზე (X ს.), სადაც შეიქმნა მძლავრი ლიტერატურული სკოლა, და პეტრიწონში (XI ს.), სადაც განვითარდა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნება. ქართველები ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ კონსტანტინოპოლშიც (ხორაში, მანგანასა და სხვ.).

ბიზანტიაში ქართველთა მომრავლებას და ქართული კოლონიების დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი კულტურის ისტორიისთვის. კონსტანტინოპოლის, ათონის, პეტრიწონისა და სხვა სავანეთა ქართველობას ახლო კავშირი ჰქონდა ბიზანტიის კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, მას შეეძლო თვალი მიედევნებინა ბიზანტიური მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისათვის და კვალდაკვალ მიჰყოლოდა მას, ქართული ლიტერატურა გაემდიდრებინა ახალი ორიგინალური შრომებითა თუ ბერძნულიდან თარგმნილი წიგნებით და ეროვნული მწერლობა აემადლებინა ზოგადქრისტიანული ლიტერატურის დონემდე.

ქვემოთ ვისაუბრებთ დასავლეთში აღმოცენებულ ქართული კულტურის კერებზე და ვაჩვენებთ, თუ რამდენად გაართვეს მათ თავი რთულ ამოცანას.

ო ლ ი მ პ ი

ზემოთ რამდენჯერმე დავასახელებთ გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ილარიონი (822—875), რომელიც კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა სამშობლოში, ერთხანს ახლო აღმოსავლეთის ქართული კოლონიის წევრიც იყო, ხოლო შემდეგ დასავლეთს ეწვია და ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაციას შეუღვა. ამჟერად მასზე საგანგებოდ შევჩერდებით.

ავიოგრაფის ცნობით¹, ილარიონი იყო „ქუეყანით ქართლით, საზღვართაგან და კერძოთა კახეთისათა², შვილი აზნაურთა მდიდართა და წარჩინებულთაჲ“³. სამშობლოსა თუ პალესტინაში მოღვაწეობით მან საზოგადოების ყურადღება მიიპყრო — „განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა ქართლისასა“.

ილარიონი დასავლეთისკენ გაემურა — „წარიყვანა თავისა თვისსა თანა ორნი ძმანი“ და კონსტანტინოპოლისკენ გასწია⁴.

მ64 წელს ილარიონი მივიდა „მთასა ულონბოჲსასა“ ოლიმპზე⁵ (მცირე აზიაში, ბითინიაში)⁶, ბოჲა „მცორჲ ეკლესიაჲ აღგილსა უდაბნოსა“ და იქ დაიწყო ცხოვრება. როდესაც ეს ახლობელი მონასტრის ბერძენმა მამასახლისმა გაიგო, „მეყსეულად აღმფოთნა გულის-წყრომითა“ და მრისხანებით თქვა: „ვინ უწყის, ვითარმედ კეთილად ზრახვენ ანუ მართალი სარწმუნოებაჲ უპყრიეს“ და „მსწრაფლ ბრძანა შეუტაცხებით განძებაჲ მათი“. ილარიონსა და მის მოწაფეებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ — უნდა დაეტოვებინათ ოლიმპი, მაგრამ, ავიოგრაფის ცნობით, ბერძენმა მამასახლისმა ჩვენება ნახა — ღვთისმშობლის რისხვა დაიმსახურა, რის გამო განზრახვაზე ხელი აიღო⁷.

ილარიონი დარჩა ოლიმპზე, სადაც გაითქვა სახელი და მიიზიდა მოწესენი „განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას მთასა ულონბოჲსასა და მოვიდოდეს და აღივებოდეს სწავლითა მისითა“ (როგორც ჩანს, ილარიონი არა მხოლოდ თავის მოწაფეებს მოძღვრავდა, არამედ ყველას, ვინც კი მასთან მიდიოდა). ამ დროს მივიდნენ მასთან „სამნი ძმანი ქართველნი“⁸.

ილარიონმა კონსტანტინოპოლს წასვლა გადაწყვიტა. მან გამოარჩია ერთი მოწაფე (ისაკი), „ხოლო ოთხნი იგი მოწაფენი თვისნი დაუტევნა ულომბოს“, ურჩია მათ, აეშენებინათ „მცირჲ სენაკი ყორისაჲ ქვათაგან“ და ასწავლა კიდევ, თუ „ვითარ ჭერ-იყო აღშენებაჲ მისი“⁹.

მ69 წელს ილარიონი (ისაკითურთ) გზას გაუდგა. იგი ოლიმპის მთაზე აღარ დაბრუნებულა, თესალონიკეში გარდაიცვალა¹⁰.

ავიოგრაფის ნაამბობიდან, რომელიც ჩვენ დავიმოწმეთ, სულ ნათლად არ ჩანს, ილარიონი პირველი ქართველი მოღვაწეა ოლიმპის მთაზე, თუ ქართველები აღრეც იყვნენ იქ. საკითხის გასარკვევად საჭიროა ავიოგრაფთა ცნობების განხილვა და ზოგიერთი სხვა წყაროს ჩვენების გათვალისწინება¹¹.

როგორც აღვნიშნეთ, „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ვრცელი ათონური რედაქციის ცნობით, ბერძენმა მამასახლისმა ილარიონისა და მისი მოწაფეების ოლიმპიდან გაძევება განიზრახა, რადგან არ უწყოდა, „ვითარმედ კეთილად ზრახვენ ანუ მართალი სარწმუნოებაჲ უპყრიეს“. მეტაფრასული რედაქციის ცნობით, მამასახლისმა მტკიცედ გადაწყვიტა გაძევება „კაცთა უცხოთა და უმეცართა ელენთა ენასა“¹².

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მამასახლისის ნათელი წარმოდგენა არ ჰქონია ილარიონისა და მის მოწაფეებზე (ვგონებ, საერთოდ ქართველებზეც), მაგრამ

ამით ვერ დავამტკიცებთ, რომ იმხანად ოლიმპზე ქართველები არ ყოფილან და ილარიონი და მისი მოწაფენი იქ პირველი ქართველი მოღვაწენი იყვნენ.

დამაფიქრებელია შემდეგი გარემოება: ზემოხსენებული ჩვენებისას ღვთისმშობელმა მამასახლისს უსაყვედურა ქართველთა შევიწროებისათვის და მკაცრად უთხრა: „არ უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკვლრებად არიან მათას ამას მათისა ვნისა მეტყუელი“¹³. ამ სიტყვებით საფიქრებელი ხდება, რომ ქართველები აღრეც ყოფილან ოლიმპზე. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში კიდეც გამოითქვა აზ-ი. რომ ქართველები ოლიმპზე ილარიონის მისვლამდეც იყვნენ¹⁴. ამ შემთხვევაში დაპატებით საბუთად იყენებდნენ იმ ეპიზოდს, რომელიც ზემოთ დაიხილეთ. როგორც აღვნიშნეთ, როდესაც ოლიმპზე ილარიონმა სახელი გაითქვა, მასთან. სხვა მოწუხებთან ერთად, მივიდნენ „სამნი ძმანი ქართველნი“, რომელთაგან ერთი „იყო კეთილად მეტყუელ ბერულითა ენითა“. ილარიონმა თანამემამულენი „შეიწყნარა“ და შეიფარა და ერთად „იყოფებოდეს მყულროებით და უშფოთველად აღვილსა მას“¹⁵.

დამოწმებული ნაწყვეტი არ კმარა იმის სამტკიცებლად, რომ ქართველები ილარიონზე აღრე იყვნენ ოლიმპზე. წყაროში გარკვევით არაა მითითებული, რომ ილარიონთან მისული ქართველი ბერები ოლიმპზე ცხოვრობდნენ და იქაური მონასტრების მკვიდრნი იყვნენ. არაა გამოჩინებული, რომ ისინი იყვნენ საქართველოდან დასავლეთისკენ მიმავალი ან ოლიმპზე ახალ მისული ქართველი მოღვაწენი, რომელთაც გაიგეს ილარიონის დიდება და მას მიაშურეს. საგულისხმოა, რომ მათ არც ჰქონდათ სამონასტრო ცხოვრების გამოცდილება, რის გამო ილარიონმა ასწავლა, თუ როგორ შენდება „სენაკი ყორისაჲ“. გადამწყვეტი მნიშვნელობა არც იმას შეიძლება მიენიჭოს, ერთმა ქართველმა ბერმა რომ კარგად იცოდა ბერძნული (ამ ვნის შესწავლა მას სამშობლოშიც შეეძლო).

ასე რომ, მხოლოდ აგიოგრაფის ზემოდამოწმებული ცნობა არ გამოდგება, ყოველ შემთხვევაში, საკმარისი არაა საკითხის გასარკვევად. ვფიქრობთ, არც ღვთისმშობლის „სიტყვებით“ გადაწყდება რამე. ამ „სიტყვებში“ გადაჭარბება-გაზვიადებასთან გვაქვს საქმე. აღიარებელია, რომ „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ გამოსკვივის რამდენადმე გაზვიადებული შეხედულება ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი ღირსების შესახებ“ (ყ. კეკელიძე).

გაცილებით მეტი მნიშვნელობისაა იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში შემონახული ერთი ალაპის ჩვენება. ნ. მარის ცნობით, ერთ იერუსალიმურ ქართულ ხელნაწერში (Jer. № 104) გვხვდება „ქსენება წმიდათა მამათა ჩუენთა მიქელ და არსენისა, რომელთა ალაშენეს ულუმბოჲ“ (მათვე იერუსალიმის პატრიარქის სერგის (843—859) ნებართვით მირონის კურთხევა იერუსალიმიდან მცხეთაში გადმოუტანიათ)¹⁶.

პ. ინგოროყვას ვარაუდით, ერთ-ერთი ხსენებული პირი — არსენი არის გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, „კაცი შუენიერი, კეთილი მონაზონი, სრული სობრძნითა. შვილი დიდებულთა აზნაურთა, ტომი დიდისა ეფრემ მაწყუერელ ეპისკოპო-

სისა¹⁷. იგი ხანძთიდან ეწვია პალესტინას, სადაც მკაარი ლეთეთელთან ერთად მოღვაწეობდა (და იქიდან წერილიც გამოუგზავნა თავის მოძღვარს), შემდეგ მცირე აზიაში გადავიდა და ოლიმპის მთაზე დასახლდა¹⁸.

ძველი წყაროს ჩვენებით, არსენი და მიქელი თანამედროვენი ყოფილან სერგი პატრიარქის, გრიგოლ ხანძთელისა და ილარიონ ქართველისა. ზემოდამოწმებული ცნობით, მათ დაუწყიათ ოლიმპის მთაზე ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია.

ამრიგად, საფიქრებელია, ქართველები ადრე დასახლდნენ ოლიმპზე და იქ სავანის მშენებლობაც კი დაიწყეს XI საუკუნის შუა წლებში, მაგრამ ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მხოლოდ 864—869 წლებში, როდესაც ოლიმპზე ილარიონი ცხოვრობდა, ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი ქართველთა კოლონიას. მართალია, პირდაპირი ცნობა ოლიმპზე საკუთრივ ქართული მონასტრის არსებობის შესახებ წყაროებში არ გვხვდება, მაგრამ ქართველთა ჯგუფების არსებობა იქ უცილობელი ფაქტია.

ერთხანს ოლიმპზე ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იოანე, რომელმაც გვიან ათონის ქართველთა მონასტერი დააარსა.

იოანე იყო „ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპთაჲთან დიდებული და წარჩინებული და საჩინოჲ მთაერთა შორის დავით კურაპალატისათა, მკნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა“. აგიოგრაფის ცნობით, იოანემ „დიდება ამის სოფლისაჲ შეურაცხ-ყო და ნაგევად შეპრაცხა“, ამქვეყნიურ ცხოვრებას ზურგი აქცია, ერთხანს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეწეოდა ბერმონაზვნურ ცხოვრებას („ლაერასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა შევიდა“), ხოლო შემდეგ „საბერძნეთისა ქუეყანად მიჰმართა“, „მთასა ულუმბოხსასა მიიწია და მონასტერსა ერთსა შინა ჟამთა არა-მცირედთა ჯორთა მსახურებისა ლუაწლი ახოვნად თავს-იდვა და სხუანი უნდონი მსახურებანი და შეურაცხნი სიმდაბლით აღასრულნა“¹⁹. ოლიმპზე იგი ათანასე ათონელთან (920—1000) მოღვაწეობდა.

იოანემ თავისი ვაჟიშვილი ექვთიმეც იქ მიიყვანა. ერთხანს კიდევ დარჩა იქ, ხოლო შემდეგ—X საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს — ათანასეს კვალს გაჰყვა და ათონზე გადავიდა.

ოლიმპელი ქართველები, რომლებიც რამდენსამე სავანეში ყოფილან (ღვთისმშობლის ეკლესიაში — „ქუთხსა საყოფელსა ქართულთასა“, ლაერა კრანიაში, „საყოფელსა წმიდათა კოზმან-დამიანეთასა“), ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

ჩვენ ვერ შევიწყნარებთ ძველი ავტორების (ა. ბაგრატიონის, ი. ბაგრატიონის, თ. ბაგრატიონის, პ. იოსელიანისა და სხვ.) ცნობებს ილარიონ ქართველის ლიტერატურული საქმიანობის, კერძოდ, მთარგმნელობითი მუშაობის შესახებ²⁰, რადგან ხელთ არავითარი მასალა არ გავაჩინია²¹; ვერ შევიწყნარებთ ვერც გიორგი ათონელის ცნობას: ექვთიმემ „არა თუ ულუმბათა და მთაწმიდას ოდენ თარგმნნა, არამედ სამეუფოსცა და გზასა და სხუასა ესევითართა ადგილთაო“²², რადგან

ოლიმპზე ექვთიმე ათიორე წლისა თუ იქნებოდა და მისი მთარგმნელობითი საქმიანობა ნაკლებ დასაჭერებელია²³ (მართალია, ბიოგრაფის ცნობით, ოლიმპზე მიყვანილ ექვთიმეს მამამისმა „პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით“²⁴, მაგრამ ეს არ ნიშნავს მთარგმნელობით საქმიანობას).

მიუხედავად ზემოთქმულისა, უცილობელია, რომ ოლიმპზე მცხოვრებ ქართველთა შორის არაერთი იყო დაინტერესებული მწიგნობრობით და ასე თუ ისე მონაწილეობდა ხელნაწერების დამზადებაში. იქაურ მოღვაწეთაგან უნდა მოვიხსენიოთ მიქაელ-ზეკეპე ბერთელი, გიორგი მოძღვარი, იოანე კახი, გრიგოლ მოძღვარი, საბა კუტი, იოანე მმოსველი, ისაყი და სხვ.

მათი საქმიანობის წარმოსაჩენად დავიმოწმებთ იმ ხელნაწერებს, რომელთაც ოლიმპიდან მოაღწიეს.

1. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მიქაელ-ზეკეპე ბერთელის მიერ მოგებული სამოციქულო, რომელიც ამჟამად ათონზეა დაცული (Ath. № 42)²⁵. მომგებლის ანდერძში ვკითხულობთ: „მე, მიქაელ გლახაქმან, სახელად ხუცესმან, უნარჩევსმან ყოველთა მღღელთამან, მოვიგე წმიდაჲ ესე პავლე განზრახვითა მოძღურისა ჩემისა გიორგისითა და შეწევნითა იოვანე კახისაჲთა... დაიწერა წმიდასა მთასა ოლინბოჲსასა, საყოფელსა წმიდათა კოზმან-დამიანეთასა, პატრიარქობასა კონსტანტინეპოლეს პოლიოქტოჲსა, მეფობასა ნიკიფორესა...“

მე მიქელ მღღელმან,
ზეკეპე ბერმან,
ქუაბისა შვილმან,
ბერთას აღზრდილმან,
ესე წმიდაჲ
პავლე მოვიგე“.

როგორც ჩანს, მიქაელ-ზეკეპე ბერთელს გიორგი მოძღვრის „განზრახვით“ და იოანე კახის დახმარებით X საუკუნის 60-იან წლებში — ნიკიფორე ფოკასა (963—969) და პატრიარქ პოლიექტის (956—970) დროს, ე. ი. 963—969 წლებში — ოლიმპზე მოუგია სამოციქულოს ძვირფასი ხელნაწერი.

2. „გამოცხადებაჲ წმიდისა მახარებელისა და ღმრთისმეტყუელისა იოვანესი, რომელი გამოუცხადა მას ღმერთმან“ და ანდრია კესარია-კაპადოკიელის „თარგმანებაჲ“ (H № 1346)²⁶, — ნუსხურით შესრულებულ თარიღიან ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძველესი ნუსხა, — რომელიც გრიგოლ მოძღვრისა და იოანეს ინიციატივით გადაუწერია ოლიმპზე საბა კუტს 978 წელს, შეუუმოსავს იოანეს. გადამწერი გვამცნობს არა მხოლოდ ხელნაწერის დამზადების დროსა და ადგილს, არამედ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბიზანტიის ისტორიის ერთი კრიტიკულ მომენტის შესახებ: „ღირს ვიქმენ მე, უღირსი და ცოდვილი საბა კუტი, დაწერად უელითა ჩემითა წმიდასა ამას და ჰეშმარიტსა წიგნსა გამოცხადებისასა, შეწევნი“.

თა ღმრთისაჲთა და ბრძანებითა სულიერისა მოძღუერისა ჩემისა გრიგოლისითა და ძმისა ჩემისა იოვანესითა... დაიწერა საბერძნეთს, მთასა წმიდასა ოლიმპოსს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, ლავრასა შინა, სახელით კრანიას, მეფობასა ბასილისსა და კოსტანტინესსა, პატრიაქობასა ანტონისსა და ფიცხლად განდგომილებასა ვარდა სკლეროსისა, კირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოკრებასა გლახაკთასა და აწყუყელასა ქაბუქთასა უწყალოდ ურთიერთას მახკლითა, ძმაჲ ძმასა ზედა და მამაჲ შვილსა ზედა. ესე ყოველი იქმნებოდა, ამას რაჲ წიგნსა ვწერდი. ხოლო თუ ძლევაჲ ვის მიეცემოდა, არავე უწყოდა, თვნიერ ღმრთისა. ყოველნივე ურთიერთას ეკუთვებოდეს სიტყუთ და საქმით, მცირენი და დიდნი, ყოველნი იბრძოდეს. დასაბამითგანნი წელნი იყვენეს ხეჰბ [=6582], ქრონიკონი იყო რქჴ [=198+780=978]“.

3. ექვთიმე ათონელის თარგმანების შემცველი ხელნაწერი (Ath. № 21)²⁷, რომელიც ადასტურებს, რომ ქართველები ოლიმპზე XI საუკუნეშიც ყოფილან. დაუმზადებია იგი, როგორც თვით გვაუწყებს, ისაკს²⁸: „დაიწერა მთასა წმიდასა ოლიმპოს საბერძნეთისასა, ქუაბსა საყოფელსა ქართულთასა, ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, ბრძანებითა მამისა გრიგოლისითა, ჳელითა გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა ისაკისათა... ქრონიკონი იყო სწ[=250+780=1030]“.

მომდევნო ხანაში ქართველთა ოლიმპზე ყოფნის შესახებ არაფერი ვიცით^{28ა}. ტ. გაბაშვილი, რომელიც 1757 წ. იყო მცირე აზიაში, რამდენჯერმე იხსენიებს ოლიმპს („მივიწიინით ქალაქად ბრუსად. და ადგს თავსა ქალაქისასა მთა ულიმბო, საეჲ ყოფილა მონასტრებითა და განშორებულითა, რომლისათჳს აწ მთასა მას თურქნი ქეშიშტალსა უწოდენ. ვიხილეთ ულიმბოს მთის ძირს მონასტერი დიდი, შესაკრებელი მონაზონთა ულიმბოსათა, უცხოდ რამე ქვეითა მარმარითა ნაშენნი, და დღეს უპყრიეს თურქთა“)²⁹, მაგრამ არაფერს წერს ქართველთა ნაკვალევზე.

რ ო მ ა ნ ა

ილარიონ ქართველის სახელთანა დაკავშირებული კიდევ ერთი საეანის — რომანას ქართველთა მონასტრის აღმოცენება.

869 წელს ილარიონმა დატოვა ოლიმპი და ჯერ კონსტანტინოპოლსა და რომს მიაშურა, ხოლო უ. ანასკენლად დასახლდა თესალონიკეში, სადაც, აგიოგრაფის ცნობით, საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა; „განიტქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა ილურკიისასა და მოვიდოდეს ურიცხუნი სულნი“, რომლებიც მისგან ბევრ რამეს ისმენდნენ და სწავლობდნენ. ილარიონს იქ „აღუშენეს ეკლესიაჲ შუენიერი“, სადაც ერთხანს მოღვაწეობდა. იგი იქვე — თესალონიკეში — გარდაიცვალა¹.

როდესაც იმპ. ბასილმა (867—886) გაიგო ილარიონის გარდაცვალება, შეკრიბა „მთავარნი პალატისანი“, ხოლო შემდეგ ოლიმპის მთის მონასტრების მამასახლის-

ნი და გააცნო თესალონიკის მთავრისა და მთავარეპისკოპოსის წერილის შინაარსი ილარიონის თაობაზე და ისიც, თუ როგორ „განთქუნეს ნიშნი და საკვრველებანი მისნი“. იმ მამასახლისმა, რომელმაც „პირველად შეიწყნარა“ ილარიონი, „იწყობ თხრობად მეფისა საქმეთა წმიდისა ილარიონისათა“. იმპერატორი დაინტერესდა ილარიონის მოწაფეებით და იკითხა: „არიანდა ვინ მოწაფეთა მისთაგანნი მთასა მას?“ მას მოახსენეს: „ჰე, წმიდაო მეფეო, არიან სამნი მოხუცებულნი მოწაფეთა მისთაგანნი, ღირსნი და სათნონი ღმრთისანი“.

ილარიონის მოწაფენი სასახლეში მიიწვიეს და დიდი პატივით მიიღეს. „იყვნეს წმიდანი იგი მოხუცებულნი დღითა და მკცოვანნი ჰასაკითა“².

იმპერატორმა ქართველ ბერებს უთხრა: „მ, პატიოსანნო მამანო, გამოირჩიენ ღირსებამან თქუენმან მონასტერი, სადაცა გენებოს თქუენთჳს და ნათესავისან თქუენისათჳს“. ილარიონის მოწაფეებმა ეს წინადადება არ მიიღეს და სხვათა მონასტრის მითვისებაზე უარი განაცხადეს: „არა შესაძლებელ არს ესე ჩუენ მიერ, რაჲთამცა სხუათა აღშენებული ჩუენ დავიპყრათ უცხოთა კაცთა და იგიმცა განვასხენით, რომელთა აღშენებიეს... უკუეთუ გნებავს, განვიდეთ ადგილსა უდაბნოსა და ვიძიოთ ადგილი მყუდროჲ, სადაც ჭერ-იყოს აღშენება მონასტრისაჲ“³.

იმპ. ბასილის წინადადებით ქართველმა მოღვაწეებმა დაიწყეს ადგილის შერჩევა სავანისათვის. ისინი „მივიდეს ადგილსა ტყუანსა და უდაბნოსა და პოვეს ლელესა შინა წყაროები, ადგილი ვაკე და შუენიერი“. აღნიშნული ადგილი მათ მოეწონათ, თავიანთი აზრი აუწყეს ბასილს და მალე, — მისი დანშარებით, — ააშენეს მონასტერი, რომელსაც იმპერატორი შემდეგაც გულუხვად ენმარებოდა⁴.

ასე დაარსდა ქართული სავანე კონსტანტინოპოლის ახლოს 876 წელს. მას რომანას (პრომანას) ქართველთა მონასტერი ეწოდა.

რომანას ადგილმდებარეობის შესახებ ძველ წყაროებში რამდენიმე ცნობა გვხვდება. „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ვრცელი ათონური რედაქციის ცნობით, იმპ. ბასილი „შევიდა პირველად ეკლესიასა მთავარანგელოზისა მიქაელისსა სუსთენს და შეიყვანა ნაწილნიცა წმიდანისანი... გამოვიდა მიერ და აღმკედრდა სამეფოთა ეტლთა და მივიდა პრომანად რომელი-იგი თვთ აღეშენა მოწაფეთათჳს ამის წმიდისათა“⁵. მეტაფრასული რედაქციის ჩვენებით, მეფემ „უბრძანა (ილარიონის მოწაფეებს — ლ. მ.) მოვლად და ძებნად ადგილისა, სადაცა ენებოს. ხოლო იგინი გამოვიდეს და ძიება ყვეს და მიემთხვნეს ლელესა რასმე, რომელსა ერქუა პრომანა, ზემო კერძო ადგილსა, რომელსა სოსთენ ეწოდების... მეფე განვიდა ადგილსა მას და მეყსეულად გამოსახა ეკლესია სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა“⁶. „დავით გარეჯელის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ცნობით, მეფემ „ეკლესიაჲ შუენიერი და ბრწყინვალე შეუმზადა მას სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა ზენა კერძო სოსთენისა, რომანად წოდებულსა ადგილსა მას, სადა-იგი დაისხნეს პატიოსანი ნაწილნი მისნი ყოვლად შუენიერი“⁷.

ძველი ქართული ტექსტების მონაცემებითა და ზოგიერთი დამატებითი წყაროს ჩვენებით დადგინდა, რომ რომანას მონასტერი მდებარეობდა კონსტანტინოპოლის მიდამოებში, სოსთენის მთავარანგელოზის ეკლესიის ახლოს (ხოლო სოსთენი ესაა სტენია, რომელიც მდებარეობს ბოსფორის სრუტის ევრაიპული სანაპიროს ცენტრში, კონსტანტინოპოლის ჩრდილოეთით)*.

მ. დოლაქიძის ვარაუდით, რომანას მონასტერი 980 წელს დათმეს ქართველებმა. ამის შემდეგ რომანას მონასტერი ქართული აღარ ყოფილა⁹.

რომანას მონასტრიდან სულ ორი ქართული ხელნაწერია ცნობილია

1. ექვთიმე ათონელის თარგმანების შემცველი ხელნაწერი (A № 134)¹⁰, რომელიც სვიმეონ დვალს დაუმზადებია 1066 წელს. მომგებლის ანდერძში ვკითხულობთ: „მადლითა და შეწევითა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონისითა მე, უღირსი ვლახაკი ჰრომანაელი მამაჲ გელასი, ჩემსა წინამძღურობასა ღირს ვიქმენ აღწერებად წმიდისა ამის სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთათჳს და ყოველთა მამათა და ძმათა ჰრომანაელთათჳს. დიწერა კელითა სკემონ დვალისაჲთა სოხასტერსა შინა ჰრომანაჲსასა... ქრონიკონსა სჳე [=286+780=1066]“.

2. ვანის ოთხთავი (A № 1335) — გადაწერილი XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე თამარ მეფის მლოცველის „იოანე უღირსის“ მიერ რომანას მონასტერში და მოხატული მიქაელ კორესელის მიერ. თავისი დიდებული მინიატიურებითა და დახვეწილი მხატვრული გემოვნებით შესრულებული დეკორატიული შემკულობით იგი კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში¹¹. მას ახლავს ანდერძები, რომლებიც საყურადღებო ცნობებს შეიცავენ გიორგი ათონლისეული რედაქციის ოთხთავის გავრცელების ისტორიის ზოგიერთი საკითხის გასარკვევად „ესე სახარებაჲ მე, იოანე უღირსმან საპყარმან და მლოცველმან წმიდის დედოფლის თამარისმან¹², ვიოფლე წერით ქალაქსა შინა კონსტანტინოპოლის“; „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ყოველნივე ქართულნი სახარებანი, მთაწმიდით აღწერილნი და გამოსრულნი, ღირსისა მამისა გიორგის თარგმნილნი, საეკლესიოჲსა სახარებისაგან, რომელ მთაწმიდელნი იკმარებენ, აღწერილნი არიან, და არა მისგან, რომელი თვთ გიორგიმ თარგმნა და ნუსხად მდებარე იყო ღიდსა წიგნის საცავსა, არამედ მისგან გარდაწერილისაგან. და მას ნუსხასა თანა ფრიადი ნაკლულევანებაჲ აქუს... ბერი ზაქარია, მი-რაჲ-ვიდა მთასა წმიდასა, ძიება-ყო გიორგის მიერ აღწერილისა წმიდისა მის სახარებისათჳს და პოა ღიდსა წიგნის საცავსა შინა და აღიესო სიხარულთა და მიერ გარდმოეწერა შატბერდელსა ზუცესსა სტეფანეს და აღმო-რაჲ-ვიდა რომანას, მე კელჳყავ, ცოდვილმან იოანე, აღწერად“.

ა თ მ ნ ი

ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთულ კერათა შორის ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის სავანეს, „რომელიც გადაიქცა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინა-

ვე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უადრესად განვითარდა XI—XII საუკუნეებში, ეს ივერთა მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და შემკვიდრობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტრის. უემისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღოს“ (ჯ. კეკელიძე)¹.

ათონის სავანე მღებარეობს ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ შვერილზე, ათონის მთაზე (საბერძენეთში)². ვიწრო და მთაგორიანი, გრძელი და დატოვილი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი, რომლის განშტოებაზე აზიდულია ათონის მთა, თავისი შესანიშნავი მცენარეული საფარითა (ზეთისხილის ბაღები, ფოთლოვანი ტყეები და ა. შ.) და კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით ძველთაგანვე ინტენსიურად იზიდავდა მოწესებებს. ადრე, — ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, — იქ იკრიბებოდნენ მორწმუნენი და თავიანთ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს თუ სწირავდნენ მსხვერპლს³, ხოლო შემდგომ ათონი ქრისტიანთა საყვარელ სამოღვაწეო ადგილად იქცა⁴.

ქალკედონის ნახევარკუნძულზე, კერძოდ ათონის მთაზე ბერმონაზნური ცხოვრების გაშლისა და სამონასტრო კოლონიზაციის შესახებ მრავალი ლეგენდა გავრცელებული⁵. ზოგი ლეგენდით, ათონზე სამონასტრო ცხოვრება კონსტანტინე დიდისა (306—337) თუ თეოდოსი პირველის (379—395) დროიდან იწყება⁶, რაც, რასაკვირველია, სწორი არაა. დღეს გარკვეულია, რომ ათონზე პირველი მოწესენი VIII—IX საუკუნეებიდან ჩანან, ხოლო X საუკუნის ბოლოსთვის იქ ბერძნული მონასტრების ცენტრმაც გადაინაცვლა⁷; 870 წელს იოანე კოლოკუმ დააარსა პირველი სავანე, ხოლო მომდევნო ხანაში მშენებლობა ისე შესამჩნევად გაიშალა, ერთმეორის მიყოლებით იმდენი მნიშვნელოვანი მონასტერი აღმოცენდა, რომ მალე ათონის მთას მთაწმიდა ეწოდა⁸. რადგან ათონზე ბევრ ხალხს ჰქონდა თავისი სათვისტომო, ბუნებრივი იქნებოდა იქ ქართველებსაც დაედოთ ბინა. მართლაც, მას შემდეგ, რაც საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა გაცხოველდა და ქართველები მომრავლდნენ ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურსა თუ საეკლესიო-სამონასტრო ასპარეზზე, მათ ათონზე დასახლებაც დაიწყეს.

მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომ ათონის მთაზე⁹ ქართველები ადრევე დასახლდნენ. პ. უსპენსკის მტკიცებით, ქართველები 787 წლს ახლოს უკვე ცხოვრობდნენ ათონზე; მათ სამყოფს ათო ეწოდებოდა¹⁰. პ. უსპენსკის აზრს არაერთი მკვლევარი იზიარებდა¹¹. ცალკე უნდა განვიხილოთ თ. ყორდანიას თვალსაზრისი.

მკლევარმა ათონის ქართველთა მონასტრის პირველ წინამძღვრებად დაასახელა მოსე (971 წლამდე), დიდი ათანასე (971—981) და არსენი. თ. ჟორდანიას საბუთები არ წარმოუდგენია, ვითარების გაცნობა კი ცხადყოფს, რომ ის მცდარ აზრს ავითარებდა. ათონის ქართველთა მონასტრის აღაპებში მართლაც იხსენიება მოსე ქართველი (აღაპი № 140), მაგრამ იხსენიება როგორც „შვილი ეკლესიისა“ და არა მამა, წინამძღვარი. ათონელთა ბიოგრაფიაში მოხსენიებული „მამაა მოსე“ არის მოღვაწე არა ათონისა, არამედ ოთხთა ეკლესიისა; ათანასე ათონელი არასოდეს არ ყოფილა ქართველთა მონასტრის წინამძღვრად. მას ჰქონდა საკუთარი ლავრა, რომელსაც ქართველებიც აფარებდნენ თავს; არსენის წინამძღვრობა, ჩანს, თ. ჟორდანიასაც საუკუნოდ მიაჩნდა, რადგან მისი სახელის გასწვრივ კითხვის ნიშანს სვამდა¹². ასე რომ, დასახელებულ პირთა მიჩნევა „ივერიის მთაწმიდის მონასტრის“ წინამძღვრებად უსაფუძვლოა. სათანადო საბუთების უქონლობის გამო შესაწყნარებლად არ მიგვაჩნია ათონის მთაზე ქართველთა მასობრივი დასახლების VIII საუკუნით დათარიღება; ასევე ნაძალადევად გვეჩვენება მსჯელობა X საუკუნის 70-იანი წლების უწინარეს ხანაში ათონზე საკუთრივ ქართული სავანის არსებობაზე. მართალია, ქართველნი X საუკუნის შუა წლებში (50-იან, განსაკუთრებით 60-იან წლებში) ჩანან ათონის მთაზე (ათონ სავანეში, კლემენტის მონასტერში, ათანასეს ლავრაში), მაგრამ მათ ჯერ ეროვნული მონასტერი კიდევ არ ჰქონდათ¹³.

ათონის ქართველთა მონასტრის დაარსების ისტორიის შესასწავლად ყველაზე სანდო წყაროა ჩვენს მიერ უკვე დამოწმებული თხზულება — გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებამა ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაა“¹⁴, რომელიც „უღარესი ნდობის ღირსია, მრავალმხრივად შინაარსიანია, ღრმა და მაღალი საზოგადოებრივი და ეროვნული აზრებით გამსჭვალულია. საუცხოო ქართული და მომხიბლავი გულწრფელი კილოთი ნაწერი, იგი სამართლიანად ძველი ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო ძეგლად უნდა ჩითვალოს“ (ი. ჯავახიშვილი). მომდევნო ხანაზე საინტერესო ცნობებს ვაძლევთ გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიაში („ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაა“)¹⁵, აგრეთვე ათონის ქართველთა მონასტრის აქტებში (ხრისობულებში, სიგელ-გუჯრებში, პრაქტიკონებში)¹⁶, აღაპებში¹⁷ და ა. შ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, იოანე ქართველი ერთხანს ოლიმპის სავანეში მოღვაწეობდა (იხ. ოლიმპი). ის იქ ძალზე ახლოს იყო ათანასესთან, რომელიც, თავის მხრივ, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა იოანეს მიმართ. როდესაც ათანასემ დატოვა ოლიმპი, მიაშურა ათონის მთას და იქ საკუთარი ლავრა ააშენა (963 წელს)¹⁸, იოანემაც, რომელმაც იმ დროისათვის საკმაოდ „განითქუა სახელი“. რისთვისაც „პატივისა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი“, აღარ ისურვა ოლიმპზე დარჩენა, „კუალად უცხოებასავი მიჰმართა“, წაიყვანა თავისი ვაჟიშვილი ექვთიმე და „რავდენნიმე მოწაფენი“ და ათონს ეწვია, ათანასეს ახლოს დასახლდა

965 წელს¹⁹. იქ ის „ყოველთავე საქმეთა მორჩილებისათა სიმდაბლით და უღრტუნველად იქმოდა“, ორ წელზე მეტხანს „მზარეულობასა შინა“ იყო. შემდეგ ათონელ ქართველებს შეუერთდა „დიდი თორნიკი“, რომელიც „თქსსა ქუეყანასა მონაზონ იქმნა“. იგი ჭერ ოლიმპზე ეძებდა იოანეს, ბოლოს ათონზე მიაკვლია და „კურთხევამ მონაზონებისაჲ“ მის ხელთაგან მიიღო. ათანასემ თორნიკე, — რომელსაც ამიერიდან იოანე ეწოდა, — დიდი პატივით მიიღო, რამეთუ არა „უშეცარი იყო მის საქმესა და წარჩინებულობასა და ახოვნებასა“.

ათონელ ქართველთა საქმიანობა განმაურდა; „განითქუა ჰამბავი მათი“ და თანამემამულეებმა მათ სადგომს მიაშურეს — „იწყეს მიერიოთაჲ ქართველთა მისლევად და განმრავლებად“. მოწესეთა მომრავლების გამო იოანემ და მისმა ახლობლებმა ათანასეს ლავრაში დარჩენა შეუძლებლად მიიჩნიეს²⁰ და სხვა ადგილას ცხოვრება ირჩიეს, „ლავრისაგან განშორებულად, ვითარ მილიონ ერთ, უდაბნოსა შეუენიერსა წმიდისა იოვანე მახარებელისა ეკლესიაჲ ალაშენეს და სენაკები, და მუნ იყოფებოდეს მრავალ ჟამ“²¹. მართალია, გიორგი მთაწმიდელი არ ათარიღებს იოანე მახარებლის ეკლესიის აშენებასა და ქართველთა „კელიოტობის“ დასაწყისს, მაგრამ, საფიქრებელია, აქ 969 წლის ადრეული ფაქტია გადმოცემული. რადგან ამ წლის დოკუმენტი უკვე იხსენიებს იოანესა და თორნიკეს კელიას²².

ამ პერიოდში ბიზანტიის მცირეწლოვან უფლისწულებს — ბასილსა და კონსტანტინეს აუჯანყდა მცირეაზიელი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი. მეამბოხეთა ლაშქარმა თითქმის მთელი მცირე აზია იგდო ხელთ და ბიზანტიის ცენტრალურ ხელისუფლებას საფრთხე შეუქმნა. საიმპერატორო კარმა დახმარებისათვის ერთგულ დიდებულებს მიმართა. მან სასწრაფოდ გადაწყვიტა დავით კურაპალატისათვის (961—1001) მიმართვა და დახმარება-შუაგაცობა ათონელ ქართველებს სთხოვა. ათანასემ და იოანემ ეს საქმე თორნი ეს მიანდევს, მას სთხოვეს ბიზანტიის სატახტო ქალაქში წასვლა — „უკუეთუ ამას ჟამსა ურჩ ვექმნეთ მეფეთა, დიდსა რისხვასა მოვაწვეთ ჩუენ ზელა და მონასტერსა ამას ზელაო“²³. თორნიკე ეწვია სამეფო კარს, სადაც ის პატივით მიიღეს. ბიზანტიელებმა თორნიკეს ხელით დავით კურაპალატს წერილი გამოუგზავნეს და დახმარება სთხოვეს. დავითმა 12000 რჩეული მხედარი გამოყო და სარდლად თორნიკე მიუჩინა. ბიზანტიელთა და ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა მეამბოხეთა მხედრობა (979 წ.). რასაკვირველია, მხოლოდ თორნიკეს ლაშქარს არ ჩაუხშვია სკლიაროსის ამბოხება. მაგრამ ქართველებმა რომ მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აჯანყების ჩაქრობაში, ეს საკვებით ნათელია²⁴.

თორნიკემ დიდძალი დავლა იგდო ხელთ („ოქროჲ და ვეცხლი და სტავრაჲ და სხუაჲ ესევეთარი“). იგი გამარჯვებული და ხელდამშვენებული დაბრუნდა ათონის მთაზე. ათონელმა ქართველებმა ახალი საეპისკოპოსოს დაარსება განიზრახეს (მათ უკვე ჰქონდათ საამისო მატერიალური შესაძლებლობა) და მალე მშენებლობაც

წამორწყეს. გიორგი მთაწმიდელის ცნობით, იოანემ და თორნიკემ „პოვეს ადგილი შუენიერი შუა მთაწმიდისა და აღაშენეს მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა ღმრთისმშობელისა სახელსა ზედა და წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისასა ფრიადითა ოფლითა და ლუწლითა. და ადგილნი მრავალნი, მონასტერნი და სადაყუდებულონი გარემოჲს ღიღისა მონასტრისა ვიდრე იმერალ ზღუადმე თჳსითა საფასითა იყიდნეს“: ბიზანტიის იმპერატორებმა, „რომელნიცა ადგილნი და სოფელნი სთხოვნეს, ყოველნი ოქრობეჭდითა დაუმტკიცნეს“. როგორც ირკვევა, ათონელმა ქართველებმა ათონის საბჭოს ორჯერ მისცეს ვანძი: 980 წელს, როდესაც დაიწყო მშენებლობა, და 983 წელს, როდესაც ქართული საეპისკოპოსოს მშენებლობა დაასრულეს და მონასტერი დამოუკიდებელ ერთეულად გააფორმეს²⁵.

გარკვეულ ინტერესს იწვევს „ნეტარხსენებული მეფის უფალ ბასილი პორფიროგენეტის მიერ 6488 [—5508=980] წელს იოანე ბერისა და თორნიკე სინგელოზისადმი გაცემული ოქრობეჭედი, რომლითაც მეფე სანაცვლოდ აღუთქვამს მას, რომ ბოძებული იქნება ლეონტიას მონასტერი თესალონიკეში და კოლოკუს მონასტერი იერისოში, გარდა ამისა კლემენტის მონასტერიც, რომელიც დაარსებულია პატიოსანი წინამორბედის და ნათლისმცემლის იოანეს სახელობაზე, ხოლო მოიპოვება ათონის მთაზე, რომელთა სანაცვლოდ გამოთხოვილია ორი მონასტერი: ერთი მონასტერი იბერისა, რომელიც არის სამეფოეო ქალაქში, და მეორე წმინდა ფოკას მონასტერი, რომელიც მდებარეობს ტრაპეზუნდში“²⁶. როგორც ჩანს, ბასილ II პორფიროგენეტმა (976—1025) 980 წელს იოანესა და თორნიკეს მისცა ლეონტიას მონასტერი თესალონიკეში, კოლოკუს მონასტერი იერისოში და კლემენტის მონასტერი ათონის მთაზე. სწორედ ამ კლემენტის მონასტრის ადგილზე აღმოცენდა ქართველთა მონასტერი, რომელსაც ივირონი ეწოდა. მაგრამ კარგა ხანს შემორჩა ძველი სახელიც²⁷; დაარსდა საეპისკოპოსო, რომელსაც ჩვენი წინაპრები ასე იხსენიებდნენ: „ლაერაჲ დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული“ (გიორგი მთაწმიდელი), „დიდი ლაერაჲ“ (გიორგი მცირე), „დიდი ლაერაჲ ქართველთაჲ“ (ეზრა ათონელი), „ლაერაჲ დიდებული“ (ზოსიმე მონაზონი), „ქართველთა დიდებული მონასტერი“ (პ. კონკოშვილი) და ა. შ.

ასე ჩაეყარა საფუძველი ათონის ქართველთა (ან როგორც ძველად უწოდებდნენ — ივერთა) მონასტერს²⁸. მისი პირველი წინამძღვარი იოანე ქართველი უღრესად შრომისმოყვარე მოღვაწე იყო. მან შეინარჩუნა კეთილსასურველი ურთიერთობა ათანასესთან, რომელიც ძველებურად მფარველობდა ქართველებს და ეხმარებოდა ახალ საეპისკოპოსოს. ათანასე საგანგებოდ წარმოაჩინდა იოანეს დამსახურებას ათონელთა წინაშე, რაც მის მრავალმხრივ საქმიანობაში, კერძოდ, საიმპერატორო კართან ურთიერთობის გაცხოველებასა და კონსტანტინოპოლში ათონის მოღვაწეთა ინტერესების დაცვაში გამოიხატებოდა²⁹; მისი დახმარებით ქართველთა მონასტერმა ნაოსნობის უფლება მოიპოვა (984 წ.)³⁰; ათანასემ იოანე თავისი ლაერის ზედამხედველადაც კი დანიშნა³¹.

იოანემ ენერგიულად იწყო ზრუნვა ქართული საგანის განმტკიცება-გაძლიერებაზე; შეიძინა მამულები, ეროვნული საგანე უზრუნველყო სოლიდური შემოსავლით, თავისი თანამემამულენი ჩააბა როგორც საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში, ისე სამეურნეო საქმიანობაში და ა. შ. იოანეს მოღვაწეობაზე არაერთი საინტერესო ცნობაა შემონახული ძველ სიგელ-გუჯარებსა თუ სხვა დოკუმენტებში. სანიშნულად შეიძლება დავიმოწმოთ 982 წლის საბუთი, რომელიც იერისოს ციხის მცხოვრებლებმა მისცეს „უნეტარეს ბერს იოანე იბერს და ღვთივ-საყვარელ იოანე სინგელოსს“ (ე. ი. თორნიკეს). იგი ნათლად გვაცნობს იოანეს ზრუნვას ქართული მონასტრის კუთვნილ მამულებზე³².


იოანეს მოქმედებით აღფრთოვანებული ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეურნეო საქმიანობაში³³. ივერთა მონასტერში, — ისე როგორც ათონის სხვა მონასტრებში³⁴, — გაიშალა ხელოსნური წარმოება³⁵.

იოანესა და თორნიკეს მცდელობით, ბიზანტიელთა დახმარებითა და ათონელ ქართველთა ენერგიული მოქმედებით ივერთა მონასტერი 985 წლისთვის სავსებით დასრულებულ, ჩამოყალიბებულ ფეოდალურ-საეკლესიო სენიორიად იქცა³⁶. იოანემ და თორნიკემ როგორც ბიზანტიელთა, ისე თანამოღვაწე ქართველთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. ეს ნათლად ჩანს გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში, ათონელთა მიერ დადებულ ალაპებში (№№ 1, 13, 16, 17, 48, 50, 71, 83, 87, 110) და სხვ. მონასტრის მშენებელთა ღვაწლის აღიარებას მოწმობს ათონელთა „ცხოვრების“ შექმნა ბერძნულ ენაზე³⁷, ბერძნული ეპიგრაფა, რომელიც იოანე ქართველს მიეძღვნა ადრეულ საუკუნეებში და მეცნიერებისათვის მხოლოდ უკანასკნელ ხანს გახდა ცნობილი³⁸, და სხვ.

985 წლის ახლოს თორნიკე გარდაიცვალა. იოანემ შვილითა და რამდენიმე მოწაფით განიზრახა „სპანიალ“ წასვლა და იქაურ მოსახლეთა გაცნობა, „რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირენი ნათესაენი და ერნი მკუდრ არიან მუნო“, მაგრამ განზრახვის შესრულება ვერ შეძლო³⁹. „შემდგომად მცირედისა ეამისა, ნიკრისისა სენსა შთავარდა და მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა დავრდომილი მღებარე იყო და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა“. იოანეს ავადმყოფობის დროს მონასტრის მთელ საქმიანობას მისი ვაჟიშვილი ექვთიმე უძღვებოდა. იგრძნო რა აღსასრულის მოახლოება, იოანემ წინამძღვრად ექვთიმე დაადგინა და „ყოველი კელმწიფებაჲ და უფლებაჲ მას მისცა“⁴⁰. იოანე 1005 წელს გარდაიცვალა⁴¹.

ასეთია ძალიან მოკლე ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებლების—იოანე და თორნიკე ათონელების თავგადასავალი. საჭიროა გაირკვეს, რა ნათესაური კავშირი იყო მათ შორის. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მეცნიერებაში ადგილი აქვს აზრთა სხვაობას.

არსებული მასალების მიხედვით ივერთა მონასტრის დამაარსებლების ნათესაური კავშირი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ



სქემა შედგენილია ანდერძ-მინაწერების, მემატიანეთა ჩვენების, ეპიგრაფიკული ნიმუშისა და სხვა მასალების მიხედვით⁴². დავიმოწმებთ რამდენსამე საბუთს.

1. „მე, იოვანე თორნიკეყოფილმან და ძმამან ჩემმან იოვანე-ვარაზვაჩე, ძეთა სულკურთხეულისა ჩორდვანელისათა, მოვიგეთ და დავწერეთ წმიდაჲ ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ სამოთხც... სალოცველად თავთა ჩუენთა, პირველად იოვანე თორნიკეყოფილისათჳს და აწ წმიდათა მეფეთა მიერ იოვანე სკნგელოზისათჳს... და მერმე იოვანე-ვარაზვაჩმსათჳს და მეუღლისა თჳსისა და შკლთა მისთა მიქაელისა და ჩორდვანელ ზორავეარისა და ჩოროლდისათჳს და თორნიკისათჳს და ძმისწულთა ჩემთა ჩორდვანელ პატრიკისათჳს და ბაგრატ პატრიკისათჳს და სალოცველად სულისა ბაგრატ მაგისტროსისა და მშობელთა ჩემთა ჩორდვანელისათჳს და მარიამისათჳს და ძმათა ჩემთა ბაგრატისათჳს და არშუშაჲსათჳს და აბუჰარბისათჳს და ძამის ძმათა აბუჰარბისათჳს და არშუშაჲსათჳს და ყოველთა სახლისა ჩემისა მიცვალებულთათჳს“, — ვკითხულობთ „სამოთხის“ 977 წლის ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში⁴³.

2. „წადიერ ვიყავ მსახურებისათჳს ღმრთივიდებულთა უფალთა და წმიდათა მამათასა პირველად იოვანე თორნიკ სინგელოზისათჳს და ვარაზვაჩე-იოვანესთჳს და შკლთა მათთჳ“, — იკითხება ოშკის სავანეში გადაწერილი ერთი წიგნის ანდერძში⁴⁴.

3. „მე, იოვანე თორნიკეყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა ჩორდვანელი-სამან, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი მეფეთაჲ სალოცველად თავისა ჩემისა და ძმათა ჩემთა და შვილთა ჩემთათჳ“, — ვკითხულობთ ოშკის ბიბლიის ანდერძში⁴⁵.

4. „მოგვიცხენენით მე, იოვანე, და სულიერად და ჯორციელად ძმაჲ ჩემი იოვანე თორნიკეყოფილი და შვილი ჩემი ეფთჳმე“, — იკითხება იოანე ათონელის ანდერძში, რომელიც დატულია 981 წელს გადაწერილ ხელნაწერში⁴⁶.

5. „სახელითა ღვთისაჲთა მე, იოვანე ვაროვარემ, ჩორტვანიკის ძემან, აღვმართე ესე ჳვარი“, — აწერია ანისის ღვთისმშობლის ეკლესიის ეკატერის ქვაჯვარს⁴⁷.

6. „მე, იოვანე თორნიკეყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა უფლისა ჩორდვანელისამან, შრომაჲ ვყავ და დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი, რომელსა ეწოდების

განძი... მოიჯსენენით... ძმამ ჩემი იოვანე-ვარაზეაჩე და შვილნი ჩუენნი სულიერ-
ნი და კორციელნი მიქაელ და ჩორდვანელი ექუსოვიტი და ბაგრატ პატრიკი და
ჩორდვანელი და მკირაბ თორნიკ და სულნი მშობელთა ჩემთანნი და ძმათა და ყო-
ველთა თვსთა ჩემთაჲ“, — ეკითხულობთ „განძის“ მინაწერში¹⁸.

დასასრულ უნდა დავიმოწმოთ ოშკის ბიბლიის კიდევ რამდენიმე ანდერძ-
მინაწერი:

7. „ქრისტე, შეიწყალე ძმამა იოვანე თორნიკყოფილი“.
8. „ქრისტე, შეიწყალე თორნიკ პატრიკი და გლახაკი მიქაელ მწერალი“.
9. „ქრისტე, აღიდე თორნიკ პატრიკი შვილითურთ“.
10. „ქრისტე, შეიწყალე თორნიკ სკნგელოზი და შვილნი მისნი“.
11. „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ, ძე ვარაზეაჩესი“¹⁹.

წარმოდგენილი მასალით ირკვევა ივერთა მონასტრის ამგებთა ნათესაური
ურთიერთობა. ბარდა სკლიაროსის დამამარცხებელი იოანე-თორნიკე (1—4, 6,
7) იხსენიება როგორც სინგელოზი (1, 2, 10) და პატრიკი (8, 9). მისი მშობლები
იყვნენ მარიამი (1) და ჩორდვანელი (1, 3, 5, 6), ბიძები — აბუპარბი (1) და
არშუშა (1), ძმები — ბაგრატი (1), არშუშა (1), აბუპარბი (1) და იოანე-ვარაზე-
ჩე (1, 6, იხ. აგრეთვე 2, 4, 5), რომელსაც ჰყოლია შვილები: მიქაელი (1, 6,
11). ჩორდვანელ ზორაყარი (1, 6), ჩოროლდი (1), თორნიკე (1, 6). ექვთიმე
(4)²⁰.

რამდენიმე ცნობა შეიძლება დავიმოწმოთ სხვა წყარებიდან. თავდაპირველად
თორილდე სიტყვას ვიტყვით მონასტრის დამამარცხებელთა მამის — ჩორდვანელის
შესახებ.

საინტერესო მასალა მოიპოვება კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (913—
959) თხზულებაში — „De administrando imperio“. ავტორის ცნობით, იბერიის
კურაპალატმა 928 წლის ახლოს ბიზანტიის კეისარს რომანოზ ლაკაპენს (921—
944) გაუგზავნა ოქრობუქედნი (ბასიანისა და აბნეის ციხეზე თავის პრეტენზია-
თა დასასაბუთებლად) „თავისი აზატის პროტოსპატარ ზურვანელის ხელით“²¹.
თხზულების გამომცემლის ცნობით, ხელნაწერს არშიაზე ტექსტის ხელით მიწერი-
ლი ჰქონია: „ეს ზურვანელი არის მამა ამა თორნიკისა, აწ სვინგელოზისა“²². ე. ი.
თორნიკე სვინგელოზის (იოანე-თორნიკეს) მამა ყოფილა ზურვანელი (ჩორდვანე-
ლი) — გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე²³.

ზემოდამოწმებული ცნობებიდან ჩანს, რომ თორნიკეს ჰყოლია შვილები (3,
9, 10), მაგრამ მათი სახელები გაურკვეველია. ნათლად არ ჩანს, ვინაა „სამოთხის“
ანდერძ-მინაწერში დასახელებული ბაგრატ მაგისტროსი. სომეხი მემატიანის ცნო-
ბით, თორნიკეს ძე ბაგრატ მაგისტროსი დაიღუპა 998 წელს²⁴. აქ თითქოს ერთი
და იგივე ბაგრატი უნდა იგულისხმებოდეს, მხოლოდ ერთი რამ იწვევს ეჭვს: „სა-
მოთხის“ 977 წლის ანდერძში ბაგრატ მაგისტროსი, როგორც ვნახეთ, გარდაცვლი-
ლად იხსენიება²⁵.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი ცნობებით არ ირკვევა, თუ რომელი ძმისშვილები იყვნენ ჩორდვანელ პატრიკი და ბაგრატ პატრიკი. კ. კველიძეს ისინი არაშუშას შვილებად მიაჩნდა⁵⁴. სწორად იქცეოდა მ. ჭანაშვილი, როდესაც ჩორდვანელ პატრიკისა და ბაგრატ პატრიკის მამის დასახელებისაგან თავს იკავებდა⁵⁷.

გარკვეულ ინტერესს იწვევს იოანე-თორნიკესა და იოანე ათონელის (იოანე-ვარაზეაჩეს) ნათესაური ურთიერთობა. ჩვენი სქემით ისინი ძმები არიან. ასეთი აზრი დამკვიდრებულია სამეცნიერო ლიტერატურაში⁵⁸, მაგრამ გვხვდება განსხვავებული თვალსაზრისი. რომელიც დასახელებულ პირთა ძმობას უარყოფს, ამასთან იოანე-ვარაზეაჩეს არ ცნობს ექვთიმეს მამად.

მ. ჭანაშვილმა კარგა ხნის წინათ განაცხადა, რომ იოანე ათონელი (ერისკაცობაში აბულჰერი) არაა თორნიკეს ძმა⁵⁹. მისი აზრი ზოგიერთმა მკვლევარმა გაიზიარა⁶⁰. 1947 წელს მ. ბერძნიშვილმა მოიწადინა დამტკიცება, რომ იოანე-ვარაზეაჩე არაა იოანე ათონელი, ექვთიმეს მამა. ის იოანე-თორნიკეს ძმაა, იმასავით ჩორდვანელის ძეა და ჩანს მხოლოდ 977—992 წლებში⁶¹. მართალია, ზოგიერთმა მკვლევარმა მ. ბერძნიშვილის თვალსაზრისი შესაწყნარებლად მიიჩნია⁶², მაგრამ მის გაზიარებას ჩვენ შეუძლებლად ვთვლით.

მ. ბერძნიშვილის თვალსაზრისის დეტალურ განხილვას აქ არ შევუდგებით, რადგან კარგა ხანია გამოქვეყნდა საეციალური ნაშრომი⁶³, რომელშიც საკუთებით დამაჩვენებლადაა გაკრიტიკებული. და უარყოფილი მცნა საბუთიანობა, თლონდ ვიტყვით ორიოდე სიტყვას.

გიორგი მთაწმიდელის ცნობით, იოანე ათონელი თორნიკეს სულიერ ძმად იხსენიებდა. მაგრამ ეს სურულებით არ ნიშნავს. რომ მათ შორის ხორციელი ძმობა არ იყო (როანეს ვაჟი ექვთიმეც ხომ იხსენიებოდა მის სულიერ შვილად?)⁶⁴. ჩანს. სულიერი ურთიერთობა უფრო საყურადღებო იყო და, — როგორც მნიშვნელოვანისა. — მისი წამოწევა ხდებოდა წინა პლანზე: არც ის ქმნის დაბრკოლებას, რომ ზოგიერთ წყაროში იოანე ათონელის ერისკაცობისდროინდელ სახელად აბულჰერი (თუ აბულჰერით) გვხვდება⁶⁵. იოანე ათონელს ერისკაცობაში შეიძლებოდა ორი სახელი ჰქონოდა⁶⁶: მთავარი და არსებითი ისაა, რომ ექვთიმე ათონელის მამა — იოანე იოანე თორნიკეოფილის ძმაა („მოგვიცხენებით მე, იოვანე, და სულიერად და გოაკეველად ძმაჲ ჩემი იოვანე თორნიკეოფილი და შვილი ჩემი ეფთჳე“). ხოლო იოანე თორნიკეოფილის ძმა იოანე რომ იოანე-ვარაზეაჩეა, ეს საკამათო არ შეიძლება იყოს (იხ. ზემოდამოწმებული „სამოთხისა“ და „განძის“ მინაწერები)⁶⁷.

როდესაც იოანე და თორნიკე მონასტერს აარსებდნენ, მათ, რასაკვირველია, სურდათ ქართველ მოღვაწეთათვის ეროვნული საგანე შეექმნათ. მაგრამ არ ვიქნებოდით მართალი, მათი აღმშენებლობითი საქმიანობა მხოლოდ ქართველ მოწესეთა ბელზე ზრუნვით რომ აგვეხსნა. მათ კარგად ესმოდათ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის ბიზანტიური კულტურის გაცნობას, მწერლობისა და მიცნიერების ცენტრებთან ახლოს ყოფნას, ბიზანტიელ მწიგნობრებთან მკიდ-

რო კავშირ-ურთიერთობას. ამიტომაც იოანემ და თორნიკემ თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიჩინეს ბიზანტიური ლიტერატურისადმი და ენერგიულად დაიწყეს ზრუნვა მშობლიური მწერლობის ზრდა-განვითარებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, იოანემ 40 წელი გაატარა ათონის მთაზე (965—1005), აქედან ოცზე მეტი — მის მიერ დაარსებულ მონასტერში. რასაკვირველია, ამ წლებში განმავლობაში იგი მხოლოდ საეკლესიო-სამონასტრო თუ სამეურნეო-ადმინისტრაციული საქმეებით არ იყო გატაცებული და დაკავებული. მან გარკვეული ყურადღება მიაქცია ქართული მწიგნობრობის განვითარებას და შესამჩნევი წვლილი შეიტანა ეროვნული წერილობითი კულტურის გამდიდრების საქმეში. მართალია, ათონის მონასტერში მძლავრი ქართული სამწერლობო ცენტრი — ათონის ლიტერატურული სკოლა იოანეს ვაჟის ექვთიმეს ხელმძღვანელობითა და თავადლებული მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ დიდ სარბიელზე პირველი მოკრძალებული ნაბიჯები იოანემ გადადგა. მართო ის რად ღირს, რომ არსებითად იოანემ გაუღვია ლიტერატურული ინტერესები ექვთიმეს, მან გამოიყვანა ასპარეზზე თავისი ვაჟშვილი და ჩააბა შემოქმედებით საქმიანობაში. მოვიგონოთ მისი ანდერძი, რომელიც ექვთიმეს მიერ შესრულებულ ერთ თარგმანს ახლავს: „ენასა ამას ჩუენსა ქართულსა არავინ სადა პოვნილ იყო აქამომდე, რათამცა გამოეხუნეს წმიდანი ესე წიგნი — თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი, არამედ საბერძნეთისა ესე ეკლესიანი და ჰრომისანი სავსე იყვნეს ამთვან, ხოლო ჩუენისა ამის ქუეყანისანი — ნაკულევეან და არა ესეოდენ წიგნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუაჲცა მრავალნი. ამისთვის მე, გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთა იოანე, მწუხარე ვიყავ ამის საქმისათვს, რომელ ესრეთ ნაკულევეან იყო ქუეყანაჲ ქართლისაჲ წიგნთაგან და დიდი ხარკებაჲ და მოლუაწებაჲ ვაჩუენე და შვილი ჩემი ეფთკემ განესწავლე სწავლითა ბერძულითა სრულად და გამოთარგმანებად წარმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად“. ამის შემდეგ იოანე ასახელებს ექვთიმეს მიერ თარგმნილ წიგნებს და განაგრძობს: „ხოლო აწ, უამსა სიბერისა და უძლურებისა ჩემისასა, ბრძანებითა ღმერთშემოსილისა მამათმთავრისა ილარიონისითა⁶⁸ წარმართე შვილი ჩემი ეფთკემ და ვინარკე, რათა თარგმანებაჲცა მათეს თავისა წმიდისა სახარებისა დაწეროს ენასა ჩუენსა, რომელი იგი, სიმრავლისათვს შრომისა. აქამომდე არა დაგვეწერა, რამეთუ, ვითარცა ხელავთ, დიდი წიგნი არს და ძნელი გამოსათარგმანებელად ბერძულისაგან“⁶⁹.

ანდერძი, რომლის მხოლოდ ნაწყვეტი დავიმოწმეთ, მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტია. მისი საშუალებით ჩვენ ვცნობით იოანე ათონელის მწიგნობრულ-ლიტერატურულ ინტერესებსა და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობას, ანდერძი ავლენს იოანეს ღრმა საღვთისმეტყველო განათლებასა და სასულიერო-საეკლესიო მწერლობის საფუძვლიან ცოდნას, მის ზრუნვას ქართული მწიგნობრობის ზრდა-განვითარებაზე. როგორც ჩანს, იოანე გულმოდგინედ აღევნებდა თვალს ბიზანტიური მწერლობის წინსვლას, ინტერესით ეცნობოდა ბერძნულენოვან ტექსტებს, არჩევდა სათარგმნელ მასალას. იგი გრძნობდა ხარვეზს, რომელიც ზოგიერ-

ხი მნიშვნელოვანი ბიზანტიური ძეგლის ქართული თარგმანის არარსებობით იყო გამოწვეული, და ენერგიულად იღვწოდა მდგომარეობის გამოსწორებისათვის. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ იოანემ თავისი ვაჟიშვილი ჩაბა მთარგმნელობით საქმიანობაში. როგორც ანდერძიდან ჩანს, ბევრი წიგნი ექვთიმემ მამის ინიციატივით, მისი რჩევითა და⁷⁰ დახმარებით თარგმნა. 1002 წლისთვის, — როდესაც დამოწმებული ანდერძი დაიწერა⁷⁰, — ექვთიმეს, მამის დახმარებით, უკვე თარგმნილი ჰქონდა 30-მდე წიგნი („კლემაქსი“, „ანდრიას მიმოსლვა“, მაქსიმეს „სწავლანი“, „დიმიტრის წამება“, „მაგრატის ცხოვრება“⁷¹, გრიგოლ ნოსელის „თქმულნი“ და სხვ.)⁷². იოანეს ანდერძში შემონახულ ცნობათა სისწორეს არაერთი საბუთი ადასტურებს. განსაკუთრებით საინტერესოა თვით ექვთიმეს ჩვენებანი. მაგალითად, მათეს თავის თარგმანების ქართული თარგმანის ერთი ანდერძი ასე იკითხება: „ლოცვა ყავთ მამისა ჩემისა იოანესთვის და მეცა ცოდვილი ვფთვე... მომიჯსენეთ, რომელმან ბრძანებთა და ხარკებთა მათითა ესე წმიდაჲ წიგნი ბერძულისაგან ქართულსა ენასა გადმოეთარგმნე“⁷³; იოანე სინელის „კლემაქსის“ ანდერძში ვკითხულობთ: „მე, გლახაკმან⁷⁴ ვფთვე, ბრძანებთა წმიდისა მამისა ჩემისა იოანესითა ვთარგმნე ესე“⁷⁴; ან კიდევ: „ლოცვითა ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესითა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მოწესეთაჲ ვფთვე თარგმანებად ბერძულისაგან ქართულად მცირესა ამას რჩულისკანონსა“⁷⁵ და სხვ.⁷⁶ აქვე შეიძლება მოვიგონოთ გიორგიმთაწმიდელის თხრობა, რომელიც, მართალია, იოანეს ანდერძს ემყარება, მაგრამ, ამასთანავე, მის შეწყნარება-აღიარებას წარმოადგენს. გიორგი საგანგებოდ გვაუწყებს, რომ მამამ ღიღი როლი შეასრულა ექვთიმეს აღზრდა-განათლებაში („პირველად ქართული სწავლაჲ ასწავი და მერმე ბერძულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით“); მან ამცნო და შეაგნებინა შვილს, რომ „ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულეჲვან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან“, მანვე მოუწოდა შემოქმედებითი საქმიანობისაკენ თავის პირმშოს, რომელმაც თარგმანთა ღიღი ნაწილი მამის სიტყვებში შეასრულა. ექვთიმეს სვინაქსარშიც საგანგებოდაა აღნიშნული, რომ იოანემ თავისი ვაჟი „ყოვლითავე სწავლულებითა განსწავლა“⁷⁷.

იოანემ არა მხოლოდ ექვთიმე ჩაბა მწიგნობრულ-ლიტერატურულ საქმიანობაში, არამედ სხვებსაც მოუწოდა ხელნაწერთა გამრავლებისაკენ. ცნობილია მისი თაოსნობით დამზადებული რამდენიმე ხელნაწერი. ნათქვამის საილუსტრაციოდ უნდა მოვიხსენიოთ „ბასილის ცხოვრება“ და „სწავლანი“ (Ath. № 32), რომელიც საბა „უცბად მწერალმა“ გადაწერა „მთასა წმიდასა ათონას, საყოფელსა წმიდისა ღვთისმშობელისასა, მონასტერსა წმიდისა იოანე მახარებელისასა“. მის ანდერძში იოანე ათონელი გვაუწყებს: „მე, იოვანე, ღირს ვიქმენ მოგებად წმიდისა ამის წიგნისა, რომელი თარგმნა შვილმან ჩემმან ვფთვემ ბერძულისაგან და შრომაჲ ღიღი ვაჩუენეთ ამას ზედა“⁷⁸.

საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ის ხელნაწერები, რომლებიც იოანესა და თორნიკეს თაოსნობითაა დამზადებული. ასეთია, მაგალითად, „სამოთხე“ (იოანე ოქრო-

პირის, ეფრემ ასურისა და სხვათა „სწავლანი“), რომელიც სტეფანოზ დეკანოზმა გადაწერა ოშკის საეპისკოპოსოს 977 წელს (A.Ih. № 9)⁷⁹. ხელნაწერის მიერ შემონახული ცნობებით ირკვევა, რომ მისი დაპყვეთნი იოანე-გარაზხაჩი და თორნიკე იყვნენ. ანდერძში ვკითხულობთ: „მე, იოვანე თორნიკოფილპან და ძმამან ჩემმან იოვანე-გარაზხაჩი, ძეთა სულკურთხეულისა ჩორღვანელისათა, მოვიგეთ და დავეწერეთ წმიდაჲ ესე წიგნი. ოთმელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ სამოთხცა⁸⁰; ასევე მნიშვნელოვანია იოანე ჩირას ხელით ოშკის ლავრაში გადაწერილი წიგნი— „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ და კოზმანის „აღმოყვანებისათჳს ნაწილთა წმიდისა... იოვანე ოქროპირისათა“ (A.Ih. № 3)⁸¹. ისიც იოანესა და თორნიკეს დაკვეთითა დაშავდებულა 977—980 წლებში⁸².

თავის მხრივ, თორნიკე ამრავლებინებდა ხელნაწერებს. მისი თაოსნობით და მზადდებულ ხელნაწერთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიბლიის ხელნაწერს. რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ოკჰის ან ათონის ბიბლიის სახელითაა ცნობილი (A.Ih. № 1)⁸³. იგი 978 წელს გადაწერეს ოშკელმა მოღვაწეებმა— მიქაელ ვარაზხაჩესძემ⁸⁴. სტეფანე მწერალმა და ვიორგი გელასისძემ. ხელნაწერს აქვს ანდერძები, რომელთა მიხედვით ხერხდება მისი დამზადების ადგილისა და თარიღის დადგენა, გადამწერისა და მომგებლის ვინაობის გარკვევა და სხვა საკითხების დაზუსტება. ანდერძებიდან ცხადი ღებვა, რომ ბიბლია გადაწერილია თორნიკეს დაკვეთით („დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდსა უშკს[= ოშკს]. საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემელისასა. სალოცველად სულკურთხეულისა თორნიკ სჯველოზისათჳს და შვილთა მისთა“; „მე, იოვანე თორნიკ-ყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა ჩორღვანელისამან, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი“).

თორნიკეს მიერ მოგებული ბიბლია უძველესი თარიღიანი ნუსხაა ქართული ბიბლიის შემკულ ხელნაწერთა შორის და ძველი აღთქმის წიგნების თარგმნის, რედაქციისა და ფილიაიციის საკითხების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობის ნუსხადაა მიჩნეული⁸⁵. მისი ზოგიერთი ნაკვეთი გამოცემულიცაა: „ქება ქებათა“ ვამოაქვეყნა ა. ცაგარღმა⁸⁶. „ეკლესიასტი“ — კ. კეკელიძემ⁸⁷, ორი ნაკვეთი — ა. შანიძემ⁸⁸.

თორნიკეს სახელთანა დაკავშირებული ვიღაც მიქაელის მიერ „ქუეჲანასა კარნისასა“ (არზრუმთან) გადაწერილი „განძის“ შემკველი ხელნაწერიც⁸⁹. მის ანდერძში, როგორც აღვნიშნეთ, თორნიკე გვამცნობს: „შრომაჲ ვყავ და დავეწერე წმიდაჲ ესე წიგნი“. ამის მიხედვით მას ზოგჯერ ხელნაწერის დამამზადებლად, გადამწერად მიიჩნევენ⁹⁰. სინამდვილეში კი ის მხოლოდ მომგებელია⁹¹. თორნიკემ (ან, როგორც თვით აღნიშნავს, „იოვანე სჯველოზმან“) „განძი“ ათონის საეპისკოპოსოს შესწირა⁹².

საყურადღებოა კიდევ ერთი ხელნაწერი — იოანე სინელის „კლემენტის“ 983 წელს გადაწერილი ნუსხა, რომლის მინაწერში ვკითხულობთ: „ესე წმიდაჲ წიგნი მე, იოვანე სჯველოზმან, დავწერე ბრძანებითა წმიდისა მამისა და მოძღვრითა“.

სა ჩემისა იოვანესითა და ეფთკმისითა... დაიწერა ქუეყანასა საბერძნეთისასა. უდაბნოსა მთაწმიდისასა“⁸³. ხელნაწერი დაუმზადებია „საბა უცბად მჩხრეკელს“, რომელიც ზემოხსენებული ათონელი მოღვაწე — „საბა უცბად მწერალი“ უნდა იყოს⁸⁴.

ამრიგად, ქართველმა მოღვაწეებმა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა ათონზე ადრევე გააჩაღეს, ყოველ შემთხვევაში, X საუკუნის 70-იანი წლებიდან მაინც. იოანესა და თორნიკეს ინიციატივით იქ ფართოდ გაიშალა მუშაობა ხელნაწერთა გამრავლების, ძვირფასი ნუსხების დამზადების მიზნით. ამ საქმეში მათ ჩააბეს სხვა სავანეთა (მაგალითად, ოშკის) მოღვაწენიც. მათი დაკვეთით მუშაობდა ქართველ მწიგნობართა დიდი ჯგუფი (საბამწერალი, სტეფანოზ დეკანოზი, იოანე ჩირა, მიქაელ ვარაზგაჩეძე, გიორგი გელასისძე და სხვ.). მათი თაონსობით დამზადდა არაერთი ძვირფასი ხელნაწერი („სამოთხე“, ბიბლია და სხვ.)⁸⁵. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იოანეს მოწოდებით გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე მისი ვაჟი ექვთიმე, რომელსაც წილად ზედა დიდი პატივი ათონის ლიტერატურული სკოლის დაარსებისა. არსებითად მის სახელთანაა დაკავშირებული ამ სკოლის ჩამოყალიბება და მისი საქმიანობის წარმართვა, ბიზანტიურ კულტურასთან ქართული მწერლობის შემდგომი დაახლოება და ეროვნული საგანძურის გამდიდრება, ბიზანტიური ლიტერატურული ტრადიციების გადმონერგვა ჩვენს სინამდვილეში და მშობლიური მწერლობის მსოფლიო სარბიელზე გაყვანა.

როგორც აღვნიშნეთ, ექვთიმე ჭერ კიდევ მამის სიცოცხლეში, — იოანეს ავადმყოფობის გამო, — უძღვებოდა ქართული სავანის მთელ საქმიანობას — საეკლესიოსამონასტროს, სამეურნეო-ადმინისტრაციულსა და სხვ. იგი აქტიურად იყო ჩამოხლები ათონელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა თანამემამულეთა მრავალრიცხოვან ჯგუფს. ამას არაერთი დოკუმენტი ადასტურებს. მაგალითად, არმენიათა, ბუკელართა და თესალონიკის გავრთიანებული თემის სტრატეგოსის იოანე ხალდის სიგელი (995 წ.)⁸⁶, გამიჭვის აქტი (1000 წ.)⁸⁷, ჩუქების აქტი (1012 წ.)⁸⁸ და სხვ. ექვთიმეს ბიოგრაფი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იოანეს ავადმყოფობის დროს „ყოველი ზრუნვაჲ და საურაჲი მონასტრისაჲ მას ეტკრთა“. „იგი ჰმსახურებდა უძღურებასა მისსა ღლე და ღამე“⁸⁹.

ბუნებრივია, ასეთივე დატვირთვით მუშაობდა ექვთიმე მამის გარდაცვალების შემდეგაც, როდესაც წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა (1005—1019)¹⁰⁰. ნათქვამის დასადასტურებლად შეიძლება დავიმოწმოთ კლემენტის მონასტრის ოქმი (1008 წ.)¹⁰¹, პროტოსის სიგელი (1015 წ.)¹⁰². წინამძღვრების შეთანხმება (1016 წ.)¹⁰³, ნიკიფორე პროტოსისა და ათონელი წინამძღვრების დადგენილება (1017 წ.)¹⁰⁴, ასეთივე ხასიათის მეორე დადგენილება (1018 წ.)¹⁰⁵ და სხვ. გიორგი მთაწმიდელის ცნობით, ექვთიმემ „წინამძღვრობასა შინა დაყო ათთხმეტი წელი და სამასისა სულისა ზრუნვაჲ და დიდისა ლავრისა განგებაჲ და მთაწმიდელთა უფროჲსნი საურაჲნი მის ნეტარისა მიერ იტრეებოდეს და თჳსსა კანონსა დიდსა

და მძიმესა ძლიერად აღასრულებდა“¹⁰⁶. ამასთანავე, იგი არა მხოლოდ ქართული მონასტრის საქმეებს განაგებდა, არამედ დიდად ირჩებოდა საერთოდ ათონის მთის მონასტრებისათვის. ათანასეს ანდერძის საფუძველზე, — იოანეს გარდაცვალების შემდეგ, — ლავრის ეპიტროპად (ზედამხედველად, მზურნველად) იგი ითვლებოდა და კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას¹⁰⁷. მეტიც: „მთაწმიდელთა უფროასნი საურაენი მის ნეტარისა მიერ იურგებოდეს“¹⁰⁸, — გვაუწყებს გიორგი ათონელი და მისი განცხადების დამაჯერებელ დადასტურებას ეპოქოლობთ ძველ საბუთებში.

მოდწული მასალიდან ირკვევა, რომ ექვთიმე მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა. სახელდობრ, ძველი საბუთების გამოყენებითა და ხელისუფალთა მხარდაჭერით განამტკიცებდა მონასტრის ძლიერებას და აუშკობესებდა მის მატერიალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ყიდულობდა მამულებს და ზრუნავდა მათ შეუვალობასა და გადასახადებისაგან განთავისუფლებაზე, გულმოდგინედ იღვწოდა მოწესეთა შორის კეთილგანწყობილებისა და კარგი ურთიერთობის დამკვიდრებისათვის, მონაწილეობდა ათონის მთის მონასტრების ბინადართა საადგილმამულო დავის მშვიდობიან გადაჭრაში, თავისი საქმიანობით საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა და პროტოსისაგან ჭილდოდ მამულებსაც იღებდა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თავის თანამოღვაწეთა და მოწაფეთა ცხოვრების პირობებს და მათ კეთილდღეობასაც უზრუნველყოფდა¹⁰⁹. საგულისხმოა, რომ ექვთიმე არა მხოლოდ თვით იწყოდა აღმშენებლობით საქმიანობას და ახალ ეკლესიებს აგებდა. არამედ არაქართველ მოღვაწეებსაც ეხმარებოდა და არაქართული საგანგებების და არსებაზეც ზრუნავდა¹¹⁰.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არ შეიძლება არ აღენიშნოთ, რომ ექვთიმე ათონელის ღრმამინაარსიან ცხოვრება-მოღვაწეობაში მთავარი და არსებითი ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა იყო. მართალია, ნაყოფიერ მუშაობაში შესამჩნევად უშლიდა ხელს სხვა საქმეებით გადატვირთვა და დღენიადაგ მოუტლელობა, მაგრამ ეს გარემოება ვერ აიძულებდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე ხელის აღებას. ვინაიდან ხშირად დღისით ვერ პოულობდა დროს, ღამით მუშაობდა და თავდადებით იღვწოდა მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისათვის. ამის თაობაზე გიორგი ათონელი შემდეგს გვაუწყებს: მრავალმხრივი პრაქტიკული საქმიანობის „თანა კეთილსა მას შრომისა თარგმანებისასა არა დააყადებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თქსსა, არამედ ყოვლადვე იჭირვინ და ღამეთა ათევენ, რამეთუ უფროასნი წიგნი ღამით სანთლითა უთარგმნიან ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა“¹¹¹. ერთგან ექვთიმეც გვამცნობს: „უფროასი ღამით მიწერიაო“¹¹².

როგორც ვნახეთ, მწიგნობრული ინტერესი ათონის ქართველთა საგანგებო ადრევე შეინიშნება, მაგრამ იქ გაჩაღებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, იქაური ლიტერატურული სკოლის საფუძვლის ჩამყარელი და მამამთავარი ექვთიმე იყო. გადაუჭარბებლად შეიძლება

ითქვას, რომ არ დაარჩენილა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის არც ერთი დარგი, მის განვითარება-გამდიდრებაში ექვთიმეს აქტიური მონაწილეობა რომ არ მიეღო. იგი წერდა ორიგინალურ თხზულებებს ქართულად და ბერძნულად¹¹³, აწარმოებდა ორმხრივ-მთარგმნელობით მუშაობას. საქმარისია მოვიხსენიოთ ცნობილი აგიოგრაფიულ-მორალური და ასკეტურ-დოგმატიკური თხზულება, „შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სულთმარგებელი რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“, რომელიც მან ქართულიდან თარგმნა ბერძნულ ენაზე (მალე გაჩნდა ლათინური თარგმანი, ხოლო შემდეგ ითარგმნა მრავალ ევროპულ ენაზე). ამ რომანის ექვთიმესეული ბერძნული რედაქცია, — გამოჩენილი მეცნიერის ა. გრეგუარის დასკვნით, — „მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული წიგნია“ და „უეჭველად იმსახურებს მსოფლიო ლიტერატურისათვის განკუთვნილ ნობელის პირველ პრემიას“¹¹⁴.

მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ვთქვათ, რომ ექვთიმემ თავის მთავარ მიზნად ქართულ-ბიზანტიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაძლიერება და ქართული მწერლობის საგანძურის ბერძნული ენიდან თარგმნილი თხზულებებით გამდიდრება დაისახა და ამ მიმართულებით განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. იგი ხელმძღვანელობდა საგანგებოდ შემუშავებული მთარგმნელობითი პრინციპებით, გულდასმით არჩევდა სათარგმნელ მასალას, ითვალისწინებდა ქართველ მკითხველთა მომზადების დონესა და მოთხოვნილებას, საჭიროებისდა მიხედვით ცვლიდა (ამოკლებდა, ავრცობდა. ამდიდრებდა) ტექსტს და იძლეოდა განსხვავებულ რედაქციას. მას „ჩველწიფებოდა შემატებაჲცა და დაკლებაჲცა“¹¹⁵.

ექვთიმე ათონელის მრავალმხრივმა საქმიანობამ საყოველთაო აღიარება პოვა. მაღლიერი თანამემამულენი! კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ექვთიმემ „განანათლა და შეამკო ნათესაეი და ენაჲ ჩუენი“ (გიორგი ათონელი), „განავრცელა და განანათლა ქართველთა ენაჲ“ (სვიმეონ დვალი) და სხვ. დავით კურაპალატმა მას „ახალი ოქროპირი“ უწოდა. ქართველებს განსაკუთრებით ის ეამაყებოდათ, რომ ექვთიმეს „სახელი და ღირსებაჲ არა ხოლო საქართველოსა ოდენ განეფინა, არამედ საბერძნეთსაცა“. სწორედ ამის შეგნებამ ალავსო ისინი კანონიერი სიამაყის გრძობით და ათქმევინა (ექვთიმეზე) შემდეგი სიტყვები: „გევეითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არლარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვგონებ, თუ არცალა გამოჩინებულ არს“¹¹⁶. ექვთიმეს დამსახურების აღიარებას მოწმობს მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ვრცლად აღწერა, მისი „ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციები¹¹⁷, მის სახელზე დაწერილი საგალობლები. რომელთაგან ზოგიერთი ბერძნულ სადღესასწაულოშიც კი შევიდა¹¹⁸, ათონელთა მიერ დადებული ალაპები (№№ 13, 50, 71, 155) და ა. შ.

ექვთიმე ათონელმა. ერთი მხრივ, გაამდიდრა ეროვნული ლიტერატურული საგანძური, მეორე მხრივ, „როგორც ბიზანტიელთა შორის კარგად ცნობილმა და დიდად პოპულარულმა მოღვაწემ, ცხადად დაანახვა ბერძნებს შემოქმედებითი

უნარი ქართველებისა, დონე და დიაპაზონი ქართული კულტურისა და ის საპატიო ადგილი. რომელიც მის სამშობლოს მოპოვებული ჰქონდა მოწინავე ქრისტიან ერთა შორის“ (კ. ვეკელიძე)¹¹⁹.

ექვთიმეს გარს ეხვია თანამოღვაწეთა და თანამშრომელთა დიდი ჯგუფი, რომელსა გარკვეული წვლილი შეჰქონდა ქართული წიგნადი ფონდის გამდიდრებისა და ათონის ლიტერატურული სკოლის განვითარების საქმეში. ძველმა წყაროებმა შემოგვიჩვენეს ექვთიმეს ზოგიერთი ახლობელი მწიგნობრის სახელი. საგულისხმოა, რომ გიორგი ათონელის წიგნში ჩართულ „მოსაცხენებელში“ ერთადაა დასახელებულა რამდენიმე მათგანი. მასში აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც ექვთიმეს „სახელი და ღირსებაჲ განეფინა“, „მრავალნი ღარსნი და წმიდანი კაცნი მოვიდოდეს მისა და განათლდებოდეს ხილვითა მისითა, ვითარცა სახედ: იოვანე გრძელის ძე და არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი და ღირსი იოვანე ხახულელი და ოქროპირი და სხუანი მობაძაენი მათნი და მერმე ნეტარი ბერი გრიგოლ, ახალი აბრაამ სტუმრის-მოყუარე, და ზაქარია მირდატის ძე და არსენი და სხუანი მობაძაენი მათნი“¹²⁰.

თითოეული აქ მოხსენიებული პირი ცნობილია არა მხოლოდ როგორც ნოწესე და ათონის ქართველთა მონასტრის ბინადარი, არამედ როგორც ქართული წერილობითი კულტურის მოამაგე. ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალის შესწავლით ცხადი ხდება, რომ ათონის სკრიპტორიუმში ნაყოფიერად მუშაობდნენ იოანე გრძელისძე, არსენი ნინოწმიდელი, იოანე ხახულელი, ოქროპირი, საბა, ზაქარია მირდატისძე, არსენი, ბასილი, თეოფანე ხუცესი და სხვანი. რამდენიმე სიტყვა მათ შესახებ.

იოანე გრძელისძე და არსენი ნინოწმიდელი ერთხანს „ოთხთა ეკლესიათა ლავრასა შინა“ მოღვაწეობდნენ, მაგრამ მამასახლისისა და ზოგიერთი ბერის შემოტევას ვერ გაუძლეს და უფრო მყუდრო ადგილის ძებნა დაიწყეს — „ეგრძოთა პონტოქსათა უდაბნოთა ადგილთა“ დასახლდნენ, ხოლო „შემდგომად რაოდენისაჲ ეამისა“, — ჯერ კიდევ იოანე ათონელის სიცოცხლეში. — ქართველთა თხოვნით ათონს ეწვივნენ. თანამემულეებმა პატივით მიიღეს და სენაკები აუშენეს. ახალმოსულებმა მალე მიიპყრეს ყურადღება და გაითქვეს სახელი. ექვთიმემაც კი გამოთქვა განსაკუთრებული კმაყოფილება: „უკუანაჲსენელთა ამით ეამთა არლარა გამოჩინებად არიან ესევეთარნი სრულნი და მალაღნი სათნოებითა“¹²¹.

იოანე და არსენი მხარში აპოუდგნენ ექვთიმეს და დიდად ეხმარებოდნენ ლიტერატურულ საქმიანობაში (სხვათა შორის, სწორედ მათი თხოვნით დაანება თავი ექვთიმემ წინამძღვრობას; მათ კარგად შენიშნეს, რომ ექვთიმე „მიზეზითა მრავალფერთა ზრუნვათაჲთა დაეხრწეოდა თარგმანებისაგან“). ძველი ავტორების (ანტონ კათალიკოსის, იოანე ბაგრატიონისა და სხვ.)¹²² თუ გვიანდელი მკვლევრების (პ. იოსელიანის, პ. უსპენსკის, მ. საბინინის, მ. ჯანაშვილის, ა. ხაბაშვილის, ა. ნატროშვილისა და სხვ.)¹²³ ცნობებით, იოანე და არსენი თითქოს

მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდნენ, მაგრამ მოღწეული მასალით ეს არ დასტურდება. ამასთანავე, ის თხზულებანი, რომელთა გადმოღებას მათ მიაწერენ, სხვა პირებმა თარგმნეს²⁴. ასე რომ, ჩვენ მხოლოდ მათ კალიგრაფიულ საქმიანობაზე შეგვიძლია საუბარი და მხოლოდ ის შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მათ „მრავალნი წიგნნი ეკლესიისანი ესმსა სიბერისასა თვისთა კელითა აღწერეს“ (გიორგი მცირე). ნათქვამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავიმოწმოთ რამდენიმე ხელნაწერი. სახელდობრ: 1. მათეს თავის თარგმანება იოანე ოქროპირისა, ექვთიმეს მიერ თარგმნილი (Ath. № 13). იგი გადაუწერიათ არსენს, იოანესა და ოქროპირს ათონზე, „მონასტერსა ქართველთასა“ 1008 წელს²⁵; 2. სახარების სხვა თავების თარგმანება (Ath. № 4), მათივე გადაწერილი იმავე წელს (ორივე წიგნი შეუთმოსავს სერაპიონს)²⁶; 3. მოზრდილი კრებული, რომელიც საქართველოში ი. ფანცულაიამ ჩამოიტანა (A № 1103)²⁷. მასში წარმოდგენილია „დიდლოღონი“ და სხვა თხზულებანი. ანდერძებით ვეცნობით გადაწერის დროსა და ადგილს, ხელნაწერის დამამზადებელთ და ა.შ. მაგალითად, ერთ ანდერძში ეკითხულობთ: „მე, გლახაკი იოვანე გრძელის ძე ამას დავწერ... ლოცვა ყავთ წმიდისა მამადმთავრისა არსენისათვის. ფრიად უშრომია და უკეთესი მათი დაწერილია... და ჩუენ ცოდვილთა და არაღირსთა უფროჲს ყოველთა ქრისტეანეთა შეიღისა ჩუენისა ოქროპირისა, საბაჲს და ჩემ საწყალობელისა იოვანე გრძელის ძისათვის. ზოგი ჩუენ დაგწერია“²⁸; „ლოცვა ყავთ ღმერთშემოსილისა, სულით და ქორციტ წმიდისა მამისა ეფთკემესთვის, რომლისა ზეობას ვწერთ, და წმიდათა ბერთათვის: არსენი ეპისკოპოსისა და თანავე კეთილად მწერალისა ამის წიგნისა და მოხუცებულისა იოვანე გრძელის ძისათვის, რომელმან დიდითა წადიერებითა იხარკა ამის წიგნისა შემზადებაჲ“²⁹. დამოწმებული (თუ სხვა) ანდერძებით ირკვევა, რომ ხელნაწერი დაუმზადებიათ იოანე გრძელისძეს, არსენ ნინოწმიდელს, საბასა და ოქროპირს (ანდერძებში პატივით იხსენიებიან სხვა ათონელი პოლევანები — მიქაელი, გიორგი, იოანე გარერჩელი და ა.შ.). ილ. აბულაძის დავირგვებით³⁰, ხელნაწერი დამზადებული უნდა იყოს 1011—1019 წლებში; 4. მათეს თავის თარგმანება (Ath. № 10), რომელიც იოანე გრძელისძემ „შეამზადა განმანათლებლად“³¹; 5. განსაკუთრებით საყურადღებოა მოზრდილი კრებული (Ath. № 6), რომელშიც მრავალი მნიშვნელოვანი თხზულებაა წარმოდგენილი³². იგი გადაუწერია არსენს, ნაწილობრივ — გიორგის. ხელნაწერს ათარიღებდნენ X საუკუნით (ა. ცაგარელი, ნ. მარი. რ. ბლეიკი), XI საუკუნის შუა წლებით (პ. პეტერსი), მაგრამ, რადგან მის დამზადებაში არსენ ნინოწმიდელი მონაწილეობდა, საკმაოდ არ უნდა იყოს, რომ ის XI საუკუნის პირველ მეოთხედშია გადაწერილი (კ. ეკელიძე).

ამ ხელნაწერის მიხედვით გამოიკა მრავალი ძეგლი. მაგალითად, ნ. მარმა გამოსცა „წამებაჲ ყრამათა წმიდათაჲ. რაცხუთ ცხრათაჲ“ („კოლაელთა მარტიკილობა“)³³, „წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ სლევსიპქსი, ელასიპქსი და მელასიპქსი“³⁴, „პოვნაჲ ნაწილთაჲ წმიდისა სტეფანქსისთა პირველდიაკონისა და პირველმოწამისაჲ“, „თქუმული გრიგოლი ხუცისა ანტიოქელისაჲ წმიდისა პირველ-

მოწამისა სტეფანტსთეს“ და სხვ.¹³⁵; ა. ხახანაშვილმა — „წმიდისა და ლუწლით-
შემოსილისა თეოდორესი ევქაეტელ ახლად სტრატოტად მოყვანებულისა ცხო-
რებაჲ და სიმკნე მისი“, „წამებაჲ წმიდათა მოწამეთა მესუქავეთაჲ“, „წამებაჲ
წმიდისა რომანოზ ახლისა მოწამისაჲ“, „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა, ასულისა
წმიდისა ვარდანისი, რომელი იყო ასულის წული წმიდისა საპაკისი“, „წამებაჲ წმი-
დისა დედოფლისა სანდუხტისი“ და სხვ.¹³⁶; კ. კეკელიძემ — „წამებაჲ წმიდისა
და კეთილად-ძმლისა ბასილი, ჰამელ ეპისკოპოზისაჲ“, „წამებაჲ წმიდისა ბაბი-
ლაჲსი და სამთა ყრმათა, მოწაფეთა მისთაჲ“, „წამებაჲ წმიდისა მიქაელისი, რო-
მელი იყო ლავრასა დიდსა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა“ და სხვ.¹³⁷; პ. პე-
ეტერსმა დაბეჭდა „ცხოვრებაჲ წმიდისა დიონოსისი, ეპისკოპოსისაჲ, რომელი
იყო ძმ სოკრატისი, მთავარი ათენელთაჲ, რომელსა ეწოდა ქალაქი ბრძენთაჲ“¹³⁸,
ილ. აბულაძემ — „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“¹³⁹, „წმიდათა ყრმათა ორთა
ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავი“, „წამებაჲ ყრმათა წმიდათაჲ, რიც-
ხეთ ცხრათაჲ“, „წამებაჲ წმიდისა დედოფლისა სანდუხტისი“, „წამებაჲ წმი-
დათა მოწამეთა მესუქავეთაჲ“ და სხვ.¹⁴⁰

ზემოდამოწმებულ „მოსაკსენებელში“ იოანე გრძელისძისა და არსენ ნინო-
წმიდელის შემდეგ დასახელებული არიან იოანე ხახულელი და ოქროპირი. ორივე
პირი ცნობილია ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებით.

იოანე ხახულელის სახელთანაა დაკავშირებული ორი ხელნაწერი: 1. თებერვ-
ლის თვენი, რომელიც ადრე ჳგვის მონასტერში ინახებოდა, ხოლო ამჟამად ვე-
ნის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაშია დაცული, — როგორც მინაწერი ცხადყოფს, —
გადაწერილი მისი ინიციატივით („მე გლახაკმან და ულირსმან იოვანე ხახულელმან
დავაწერიე ესე თთუენი“)¹⁴¹; 2. მისივე ინიციატივით უნდა იყოს გადაწერილი
კირილე ალექსანდრიელის „სწავლანი“ და სხვა თხზულებანი (Jer. № 151)¹⁴².

ოქროპირი (ან იოანე-ოქროპირი, როგორც ზოგჯერ იხსენიებოდა) სხვებთან
ერთად მონაწილეობდა რამდენიმე ხელნაწერის დამზადებაში (Ath. №№ 4, 13;
A № 1103). ანდერძებში იგი იოანე გრძელისძის სულიერ შვილადაა მოხსენიე-
ბული.

იოანე ხახულელი და ოქროპირი XI საუკუნის პირველი მეოთხედის მწიგნობ-
რები ყოფილან. ზოგიერთი მეცნიერი მათ ერთ პირად მიიჩნევდა (ჩანს, ანტონ
პირველის ცნობის საფუძველზე), ზოგი იოანე ბოლნელთან აიგივებდა. არც ერთი
მოსაზრება სწორი არაა. რადგან ამ მოღვაწეთა შესახებ ბიოგრაფიული ცნობები
არ გავკაჩნია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გიორგი ათონელის თხზულე-
ბას, რომლის მიხედვით იოანე ხახულელი¹⁴³ და ოქროპირი სხვადასხვა მოღვაწენი
არიან და მათი იოანე ბოლნელთან აიგივება დაუშვებელია¹⁴⁴.

„მოსაკსენებელში“ ცალკეა დასახელებული ექვთიმეს თანამოღვაწეთა ერთი
ჩგუფი, — „ნეტარი ბერი გრიგოლ, ახალი აბრაჰამ სტუმრის-მოყუარც, და ზაქა-
რია მირდატის ძმ და არსენი და სხუანი მობაძავნი მათნი“, — რომელიც, როგორც
ჩანს, რამდენადმე გვიან — უკვე ექვთიმეს მომღერნო წინამძღვრის (გიორგის)

ზეობაში, მაგრამ ექვთიმეს სიცოცხლეში ე. ი. 1019—1028 წლებში — მისულა ათონზე და გაუშლია იქ თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. სხვათა შორის, დასახლებული პირები — ვითარცა გიორგი წინამძღვრის თანამედროვენი — ასევე ერთად იხსენიებიან გიორგი ათონელის თხზულების სხვა ნაკვეთში („შავი გრიგოლ და ზაქარია მირდატის ძე და არსენი და სხუანი“), ერთად იხსენიებიან ისინი ათონის ქართული მონასტრის აღაპებშიც (№ 130, 131). მათ ერთობლივი მუშაობის საილუსტრაციოდ საქარისია დაეიმოწმეთ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული, რომელიც მათ დაამზადეს „მთაწმიდას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისა, მონასტერსა ქართველთასა, ბრძანებითა ზაქარია მამადმთავრისაჲთა“ (A № 92)¹⁴⁵. იგი „დაიწერა კელითა ზაქარიაჲსითა, არსენისითა და ბასილისითა“, შეუმოხავეს გრიგოლს. ხელნაწერის ანდერძებით საფიქრებელი ხდება, რომ კრებულის გადაწერა დაუწყია ზაქარია მირდატისძეს¹⁴⁶, მისი გარდაცვალების შემდეგ განუგრძობთ არსენსა და ბასილს¹⁴⁷. გრიგოლი და არსენი მომდევნო ხანაში წინამძღვრები გამხდარან და საკაოდ გამოუჩენით თავი (იხ. ქვემოთ).

ექვთიმეს თანამოღვაწე მწიგნობართაგან თავისი ნაყოფიერებით ერთობ გამოირჩეოდა თეოფანე ხუცესი — „სწავლული ფრად და კელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთაჲ, რომლისათჳს წამებდა მამაჲ ეფთჳმე, ვითარმელა „უფროჲს ათას ხუთასისა დრაჰმისა უწვრიან წიგნი მონასტრისანი შინა და გარე“ (სხვათა შორის, იგი „სიყრმიტგან აღზრდილ იყო“ ათონზე და იოანე გრძელისძისა და არსენ ნინოწმიდელის გარდაცვალების შემდეგ ექვთიმეს უახლოეს პირად ითვლებოდა)¹⁴⁸. თეოფანე ხუცესს მიაწერენ მრავალი ბერძნული ხელნაწერის დამზადებას¹⁴⁹.

საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ერთი ფაქტი. გიორგი ათონელის ცნობით, ექვთიმეს მოღვაწეობას ინტერესით ადევნებდა თვალს დავით კურაპალატი. მისი სიტყვით, ექვთიმემ „მრავალნი წიგნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა, რომელმან-იგი იხილნა რაჲ, სიხარულით აღიესო და აღიდებდა ღმერთსა და იტყოდა, ვითარმელა: „მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა“. და ზედაჲს-ზედა მოუწერნ, რაჲთა თარგმნიდეს და წარსცემდეს“. აღსანიშნავია, რომ დავითის ბრძანებით წარმოებდა ექვთიმეს თარგმანთა ნუსხების გამრავლებაჲ. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ერთი ანდერძი, რომელიც ცნობილია მთარგმნელის ავტოგრაფიდან მომდინარე ხელნაწერიდან: „ესე ბრძანებაჲ ეფთიმესი არს. წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ გლახკისა ეფთიმესთჳს, რომელმან ესე ვითარგმნენ... და ლოცვა ყავთ... მამისა იორდანესთჳს, რომელმან ფრადი შრომაჲ თავს იღვა და მოვიდა ქართლისა ქუტყენით საბერძნეთს, მთაწმიდას, ღმრთისათჳს თავად და მერმე ბრძანებისათჳს დავით ქართველთა მეფისა და თავს იღვა ჳირი და დაწერა წმიდა ესე წიგნი“¹⁵⁰.

დამოწმებული ანდერძი, რომელიც იორდანე მაირენისელს ეუთვნის¹⁵¹, ცხადყოფს, რომ ექვთიმეს თარგმანთა გამრავლება და სამშობლოში ჩამოტანა სახელმ-

წიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ იყო მიჩნეული და მასზე თვით დავით კურა-პალატი ზრუნავდა. დავითის ბრძანების შემსრულებელი იორდანე ექვთიმეს თანხედროვე მწიგნობარი ყოფილა.

უკანასკნელად უნდა შევიჩრდეთ ექვთიმეს უმცროს თანამედროვეზე — ბასილ პაგრატის ძეზე. იგი ჭერ ხახულში მოღვაწეობდა და იქაურ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობდა¹⁵². საგულისხმოა, რომ 1019 წელს, როდესაც იქ მიიყვანეს პატარა გიორგი (მომავალში გამოჩენილი ათონელი მოღვაწე), მისი აღზრდა რამდენიმე პირს მიახდევს, მათ შორის, „დიდსა ბასილის, ბაგრატის ძესა, რომელი-იგი მას ჟამსა შინა იყო მოძღუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისაჲ“ (გიორგი მცირე). შემდეგ პერიოდში ბასილი ათონის სავანეში გადასულა (საფიქრებელია. ექვთიმე ათონელის სიცოცხლის მიწურულს ან გარდაცვალების ახლო ხანაში) და იქაც თავი გამოუჩენია. სახელდობრ, დაუწერია „გალობანი წმიდისა მამისა ეფთჳმესნა“¹⁵³, რითაც გარკვეული წვლილი შეუტანა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში¹⁵⁴.

ჩვენ დავასახელებთ ის მწიგნობრები, რომლებიც ათონის ქართველთა მონასტერში მოღვაწეობდნენ ექვთიმეს სიცოცხლეში. რასაკვირველია, ამ პირებით არ ამოიწურება ექვთიმეს თანამოღვაწეთა რიცხვი. იმ დროს სხვებიც ნაყოფიერად მუშაობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში; კერძოდ, ამრავლებდნენ ხელნაწერებს, განსაკუთრებით — ექვთიმეს თარგმანებს. ასეთ პირთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, ალაბი, რომელმაც 1014 წელს გადაწერა ბასილ კესარიელის ფსალმუნთა თარგმანების ექვთიმესეული თარგმანი (Ath. № 33)¹⁵⁵ და, ვგონებ, მოზრდილი კრებულების გადამწერნი — დოსითე (A № 397)¹⁵⁶ და იოანე მელი (A № 1104)¹⁵⁷. არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ ექვთიმეს თანამოღვაწეთა შორის ყველა კეთილმოსურნე და დახელოვნებული მწიგნობარი არ ყოფილა. ამის შედეგად — ლიტერატურული მტრობისა თუ ნაკლები გაწაფულობის გამო — ექვთიმეს ზოგიერთი თარგმანი გადამწერებმა შებღალეს (მაგალითად, გიორგი ათონელის ცნობით, ექვთიმემ „დავითი თარგმნა და მწერალსა ვისმე მისცა დაწერად და მან განაწყუნა და უკმარ-ყო“¹⁵⁸; მიქაელ დაღალისონელი იხსენიებს ვინმე ოზანს, რომელსაც „ეფთჳმეს სახარებისა თარგმანისაგან და დავითისაგან და ღმრთისმეტყუელისაგან აუკოცია და ჩაურთავს“¹⁵⁹; ექვთიმე ათონელის თარგმანების დამახინჯების ფაქტები ცნობილი ყოფილა ევრემ მცირისათვისაც¹⁶⁰). მაგრამ. მიუხედავად ამისა, ათონის სამწერლობო კერა აღმავლობის გზას ადგა, იქ შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია მთელ საქართველოს ეფინებოდა და მოწონებით სარგებლობდა.

იოანე ათონელისა და თორნიკეს მიერ წამოწყებული საქმიანობა ექვთიმემ დიდებულად განაგრძო. მან განამტკიცა ქართული სავანე და მრავალმხრივი საგანმანათლებლო მოღვაწეობით იგი ეროვნული კულტურის მძლავრ ცენტრად აქცია.

ათონის ქართული მონასტრის პირველი მოღვაწეების (იოანეს, თორნიკეს, ექვთიმეს) მიმართ მომდევნო თაობა უსაზღვრო სიყვარულისა და უღრმესი პატივისცემის გრძნობით აღივსო. ამ თაობის საერთო აზრი სრულად და ნათლად გამოხატა გიორგი ათონელმა თავის ცნობილ აგიოგრაფიულ თხზულებაში. მოკლედ კი ეს აზრი მან ასე ჩამოაყალიბა: „ლაგრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემეკული და ყოვლითა სამკაულითა განშუენებული მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა განსასუენებელად სულთა მრავალთა, რომელსა შინა აღმპართნეს ეკლესიანი ცათა მობაძვენი და აღავსნეს იგინი წიგნთა მიერ ღმრთივ-სულიერთა და განაბრწყინენეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა. და მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და დასაყუდებულონი და განუწყესნეს წესნი და კანონნი დიდებულნი და ყოვლად შუენიერნი და დაუსხნეს სიმტკიცენი და კელით-წერილნი და ოქრო-ბეჭედნი ღმრთის-მსახურთა მეფეთანი. და შეკრიბნეს მას შინა მონაზონნი და მოწყესნი ანგელოზთა მობაძვენი და შეამკეს და აღაყუავეს ენაჲ ჩუენი და ქუეყანაჲ თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა“¹⁶¹.

საგულისხმოა, რომ ათონის ქართველთა მონასტერი არა მხოლოდ იოანესა და ექვთიმეს სიცოცხლეში გამოირჩეოდა, არამედ მომდევნო პერიოდშიც კარგა ხანს წარმოადგენდა ქართული კულტურის მძლავრ კერას. როგორც ი. ჭავჭავიძელის აღნიშნავს, „ქართული ეკლესიისა და მწერლობის წინაშე იოანე მთაწმიდელს და იმის შვილს ექვთიმეს დიდი ღვაწლი მიუძღვით. მათ მიერ დაარსებული მონასტრის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა სამშობლო ქვეყნისათვის არ შეწყვეტილა დამფუძნებელთა სიკვდილის შემდგომაც: იგი შეიქნა მკვიდრ სამწერლობო-სამეცნიერო დაწესებულებად, რომელიც საქართველოს მაშინდელ განათლებულ ქვეყნებთან აერთებდა“¹⁶².

ექვთიმეს შემდეგი წინამძღვარია გიორგი (1019—1029)¹⁶². გიორგი ათონელის ცნობით, აღსასრულის წინ იოანემ ექვთიმეს „შემდგომად თჳსა უბრძანა, რაჲთა გიორგის დაუტეოს მამობაჲ, რომელი-იგი თჳსივე იყო მათა, კაცი სახელოანი და ფრთხილი კორციელთა საქმეთა ზედა“. აი ამ პირმა იწყო მონასტრის მართვა, მისი წინამძღვრობა ექვთიმეს გადადგომის შემდეგ¹⁶⁴, მაგრამ არსებითად განსხვავებულ გზას დაადგა: ძველი წესები შეცვალა, „თჳსსა ნებასა და განზრახვასა შეუდგა“, „ბერძენნი ფრიად რაჲმე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა“. ამასთანავე, თანამემამულენი შეავიწროვა, „ვიითარცა ნასხურნი რაჲმე და უნდონი, უგულუბელს-ყვნა და შეამცირნა“¹⁶⁵.

ასეთი საქმიანობით გიორგიმ ათონელ ქართველთა გულისწყრომა დაიმსახურა, ექვთიმესაც „უძნდა საქმე ესე“. საგულისხმოა, რომ გიორგიმ ბიზანტიის საიმპერატორო კარის რისხვაც დაიმსახურა, მაგრამ, რასაკვირველია, არა ათონელ ქართველთა შევიწროებისა და შემცირების გამო, არამედ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის შიდაგად. კერძოდ, რომანოზ III არგიროსის (1028—1034) დროს გიორგიმ დიდად გაითქვა სახელი, მაგრამ მალე, — „თუ ვითარ იქმნა, ღმერთმან უწყის“, — დასწამეს „განდგომილებაჲ და ორგულე-

ბაჲ“. გადასახლეს კუნძულ მონოვატზე, სადაც „აღესრულა ექსორიობასა ში-
ნა“¹⁶⁶. როგორც დამოწმებული ადგილიდან ჩანს, ქართველებმა ზუსტად არც
იცოდნენ, გიორგი შეთქმულთაგანი იყო თუ არა. მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავა-
რი და საყურადღებო ისაა, რომ წინამძღვარი გიორგი, — რომელსაც, „მოსაკვე-
ნებლის“ ცნობით, „არცა ერთი რაჲ ზრუნეჲა აქუნდა ქართველთა აღორძინები-
საჲ. არამედ სრულიად ბერძენთა მიეჭცა და იგინი განამრავლნა“, — სხვა წყა-
როებში იხსენიება ვითარცა „გიორგი დიდი“¹⁶⁷ და „მაშენებელი“ (გიორგი მცუ-
რე). როგორც ჩანს, ააეთი სახელი და პატივი მან მოიპოვა იმ აღმშენებლობით
საქმიანობით, რომელიც ათონის ქართულ სავანეში ჩაატარა. ბერძნული წყაროე-
ბის ჩვენებით, მთავარი საკრებულო ტაძარი ღვთისმშობლის მიძინებისა ამ გიორ-
გის აგებულია და არა მისი წინამორბედებისა, როგორც ზოგიერთი ავტორი გვამ-
ცნობს (იხ. ზემოთ გვ. 189). ამას აღსტურებს ტაძრის წარწერაც, რომელშიც იხ-
სენიება აღმაშენებელი ქართველი მონაზონი გიორგი¹⁶⁸.

გიორგი წინამძღვარს ზოგჯერ აიგივებენ ბერძნულ წყაროებში მოხსენიებულ
ვარაზვაჩესთან¹⁶⁹, რაც სწორი არ უნდა იყოს. გიორგისა და ვარაზვაჩეს ერთად იხ-
სენიებს ორი წყარო: ბიზანტიელი ისტორიკოსის კედრენეს (XI ს.) თხზულება
და ტურინოს კომპილაცია. პირველის ცნობით, რომანოზ მესამის საწინააღმდეგო
შეთქმულების მონაწილენი „გიორგი და ვარაზვაჩე, რომელმაც ათონის მთაზე
ივერთა მონასტერი ააშენა, პატრიკი თვედატეს ძმისწულენი, სასტიკად იქმნენ
გვემულნი, გაატარეს საჩვენებლად ქუჩებში და გაგზავნეს ექსორიად“¹⁷⁰. ტური-
ნოს კომპილაციით, „გიორგი და ვარაზვაჩე, რომელთაც ათონის მთაზე ააგეს ივერ-
თა გამორჩენილი მონასტერი, მსწრაფლ ეახლნენ მეფეს“¹⁷¹ და კეთილმოწყალედ
იქმნენ მიღებულნი“¹⁷².

ტურინოს კომპილაციას მკვლევარნი სხვადასხვაგვარად აფასებდნენ. ზოგი
მას კედრენესაგან დამოუკიდებელ თხრობად, ორიგინალურ ნაშრომად მიიჩნევს¹⁷³,
ზოგის აზრით, იგი ახალს არაფერს შეიცავს და მხოლოდ კედრენეს ცნობებს იმეო-
რებს¹⁷⁴; ზოგი კი მათ ჩვენებათა იდენტუფიკაციას შეუძლებლად მიიჩნევს და ტუ-
რინოს ტექსტის კედრენესაგან მომდინარეობას უარყოფს¹⁷⁵.

კედრენეს თხრობა უფრო სარწმუნო ჩანს როგორც შინაარსობრივად, ისე
ქრონოლოგიური თვალსაზრისით. იგი რამდენადმე ეხმაურება გიორგი ათონელის
ცნობას გიორგი წინამძღვრის დასჯისა და გადასახლების შესახებ. მთავარი მაინც
ისაა, რომ წყაროების ჩვენებით გიორგი და ვარაზვაჩე სხვადასხვა პირები არიან.
გიორგი 1028 წლის ახლოს გადასახლეს და მალე გარდაიცვალა, ვარაზვაჩე კი
1038 წელსაც ჩანს ედესის მმართველად¹⁷⁶. ძნელი არ უნდა იყოს იმის გარკვევა,
რომ კედრენეს გიორგი ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარია და არა გი-
ორგი მაგისტროსი, როგორც თ. ჟორდანიას ვარაუდობდა¹⁷⁷. ეს უკანასკნელი ათონ-
ზე გარდაიცვალა; „ძუალნი მისნი მის მიერ განწესებულსა საფლავსა“ დამარხეს.
ათონელმა ქართველებმა მადლობით მიიღეს და მიითვალეს „საჯმარი მისი, რაჲ-
ცა მოეღო ამას ეკლესიასა სიციოცხლესა მისსა და რომელ შემდგომად სიკუდილისა.

მისისა დაუტევა“ და მისი ხსენება დააწესეს ნიკოლა პროტოსეინგლოზის დროს (XII ს.)¹⁷⁸. კედრენეს გიორგი კი დასჯილი და გადასახლებული ექსორიაში გარდაიცვალა¹⁷⁹.

გიორგი წინამძღვარი, რომელსაც ზოგიერთი ძველი ქართველი ავტორი საკმაოდ უარყოფითად ახასიათებდა, თავისი აღმშენებლობითი საქმიანობით მაინც გამოჩეული მოღვაწე ყოფილა. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მან ქართველთა სავანეში ბერძნები მოაპარავლა, ერთგვარად მაინც დაამხრბურქაქმათი მოძალეობა და ხელი შეუშალა მტაცებლური განზრახვის შესრულებაში, განზრახვისა, რომელმაც მის შემდეგ სულ მალე ნათლად და მკვეთრად იჩინა თავი^{178ა}.

გიორგი წინამძღვრის გადასახლების შემდეგ ბიზანტიელებმა დრო იშოვეს და ქართველთათვის სავანის წართმევა მოიწყადინეს. „წინააღმდეგ ბერძენთა ესევი-თარი ჟამი პოვეს, კელყვეს ყოვლთა ღონის-ძიებითა, რაათამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოპყხურნეს“. მათ „საბერძენეთისა დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი ყოველნი მიდრიკნეს“ და ათონელ ქართველებს მძიმე ვითარება შეუქმნეს. ამ პერიოდში (გიორგის შემდეგ ე. ი. დაახლოებით 1029 წლიდან) ქართველთა მონასტრის წინამძღვრად იყო გრიგოლი¹⁸⁰— „ნავთ-საყუდელ ქართ-ველთა ნათესავისა და ნუგეშინის-მცემელ“. მას განსაკუთრებით მძიმე წლებში მოუხდა მოღვაწეობა, მძიმე ხანაში, რომელსაც ათონელი ქართველები ასე ახასიათებენ: „დიდსა ლელვასა და მიმოტაცებასა შთავცკვენით, რამეთუ სამგზის და-იტყუენა მონასტრი და. რაჲცა დრისტი ტურჯაჲ იყო მამათა ჩუენთა მოგებული, ყოველი იავარ-იქმნა, და ეგრეთვე განძი და კუბაში“¹⁸¹: „ფრიად შემცირებულ ვყვენით“, ბერძენნი „ვითარცა ცეცხლნი აღგზნნეს ჩუენ ზედა და სრულიად აღ-მოფხურაჲ ჩუენი ენება და დაპყრობაჲ სამკვდრებელია ჩუენისაჲ“¹⁸². გრიგოლი ენერგიულად იღვწოდა ქართველთა მონასტრის საკეთილდღეოდ და თავგამოდებ-ბით ცდილობდა თანამგმამულეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. თავისი მრავალ-მხრივი საქმიანობით მან მიაღწია წარმატებას: მიხეილ IV პაფლაგონელის (1034—1041) დახმარებით ბერძენთა იერიში მოიგვრია და 1034 წელს ივირონს დაუბრუნა ჩამორთმეული მამულები (ლეონდარი, იერისო, მელინძა და სხვ.)¹⁸³, „კუალად დაუმკვდრა ადგილი და საყოფელი“ თავის თანამომძეებს (გიორგი ათონელი) და მათი პატივისცემა დაიმსახურა¹⁸⁴.

როგორც ვნახეთ, გრიგოლი ადრეც ყურადღებით ეკიდებოდა ქართული ხელ-ნაწერთა გამრავლების საქმეს და ზრუნავდა ახალი ნუსხების დამზადებაზე. ინტერესი ქართული მწიგნობრობისადმი მან წინამძღვრობის ჟამსაც შეინარჩუნა. 1031 წელს ბასილ ეტრატამ (კონსტანტინოპოლში, სორას მონასტერში) „მცირე სჯულის-კანონი“ (A № 96)¹⁸⁵ გადაწერა „ბრძანებითა გრიგოლ მთაწმიდელისაჲთა“¹⁸⁶.

გრიგოლ წინამძღვარს მხარში ედგა და ენერგიულად ეხმარებოდა „კაცი ორი-თავე მარჯულქ და სავსე გონიერებითა“ არსენი, რომელმაც „არა შეიწყალა თავი თჳსი“, „მრავალი შრომაჲ დაითმინა და საპყრობილედ შეწყუდევჲა და კიცხევჲა და ბასრობაჲ“. გრიგოლის შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა მონასტერს. — ვითარ-

ცა მამა, წინამძღვარი¹⁸⁷. — და კვლავ აქტიურად იცავდა ქართველთა ინტერესებს. მის დროს ბერძნები კვლავ აღდგნენ, „პირველი იგი ბჭობაჲ“ უგულვებლად და დაივიწყეს და, რადგან მთელი მონასტრის ხელში ჩაგდება ვერ შეძლეს, დიდი ეკლესიის მიტაცება სცადეს. მათ იერიში განსაკუთრებით გააძლიერეს 1040 წელს. როდესაც მიაღწილ IV თესლონიკეს ჩავიდა, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. იმპერატორმა „ფრიაღითა გამოძიებითა განბჭო და ეკლესიაჲ და მონასტერი ყოვლითურთ მონაკვებითა და სიმდიდრითა“ განთველთ დაუმტკიცა¹⁸⁸. ამრიგად, გამარჯვება ამჯერად ქართველებს დარჩათ.

გრიგოლისა და არსენის წინამძღვრობის ეპოს არაერთი ქართველი დაეხმარა¹⁸⁹ გაჯირვებაში მყოფ ქართველთა სავანეს, მაგრამ. მიუხედავად გრიგოლისა და არსენის¹⁹⁰ ენერგიული მოქმედებისა და ქართველ მოღვაწეთა დახმარებისა, მონასტრის მდგომარეობა მყარი არ იყო. მომდევნო წინამძღვრის სვიმეონის¹⁹¹ დროს ათონელმა ქართველებმა საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნიეს კიდევ უფრო შეკავშირება და შემქვიდროება, სათანადო საბუთების დაძებნა თუ ახალი დოკუმენტების შედგენა და მათი მეოხებით თავისი უფლებების დაცვა-განმტკიცება. სწორედ მაშინ შეადგინეს მათ „მოსაცხენებელი“ ქართველ-ბერძენთა ურთიერთობისა ათონის მთაზე, ხაზგასმით აღნიშნეს მონასტრის ქართველთადმი კუთვნილება, აღწერეს მისი აღმოცენებისა და განვითარების ისტორია, წარმოაჩინეს იოანეს, თორნიკესა და ექვთიმეს ღვაწლი სავანის წინაშე („იოვანე და იოვანე და ეფთკმი... წმიდასა მთასა მოიწინეს ნათ-საყუდელად სულთა მრავალთა და განმამრავლებლად ნათესავისა ჩუენისა და დიდითა ღუაწლითა და ფრიაღითა წარსაგებელითა აღაშენეს დიდებული ესე ლავრაჲ სამკვდრებულად ქართველთა და მერმე ღმრთისმსახურთა ბერძენთა მეფეთა მსახურებითა და მომადლებითა, ეამთა განდგომილთა სკლავაროსისათა. განავრცეს და განამდიდრეს და მოუგნეს დაბანი და მონასტერი და ოქრობეკენი“), დაახასიათეს მომდევნო წინამძღვრების (გიორგის, გრიგოლის, არსენის) საქმიანობა, დაგმეს და გაკიცხეს ქართველთა უფლებების ხელმოყოფელი და ქართული მონასტრის მიტაცების მოსურნე ბიზანტიელები¹⁹².

სვიმეონის შემდეგ წინამძღვრად ჩანს სტეფანე ხარტულარი, რომელიც იხსენიება ერთი სახარების (Ath. № 60) ანდერძში: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ მთასა წმიდასა ათონას. საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მონასტერსა ქართველთასა. მამობასა... სტეფანე ხარტულარისასა... დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი და შეიმოსა კელითა ძმთა სულიერთა მიქაელ და გრიგოლისაჲთა... ქრონიკონი იყო სჲგ[=263+780=1043]¹⁹³. როგორც ჩანს, ამ დროს კვლავ გრძელდებოდა ათონელთა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა, რომელშიც მონაწილეობდა მოღვაწეთა ჯგუფი (მომგებელი სტეფანე ხარტულარი, კალიგრაფები მიქაელი და გრიგოლი). ეს საქმიანობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა, როდესაც ათონის სავანეში დამკვიდრდა და ორიგინალურ-შემოქმედებითი და მთარგმნელობითი მუშაობა გააჩალა ჩვენს მიერ უკვე მრავალგზის მოხსენიებულმა გიორგი

მთაწმიდელმა, რომელმაც, როგორც ვთქვით, განაგრძო, განაგრძო და გააღრმავა ექვთიმეს მიერ წამოწყებული საქმე და თავისი პრაქტიკული და ლიტერატურული მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საგანძურში. იგი თავგამოდებით იბრძოდა ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და სარწმუნოებრივი სიწმინდისათვის, ეკლესიის გაჯანსაღებისა და საეკლესიო მოღვაწეთა სულიერი განსპეტაკებისათვის, მშობლიური მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ (იხ. გვ. 154—156), გიორგი ადრე შავ მთაზე მოღვაწეობდა და იქიდან ეწვია ათონს თავისი მოძღვრის — გიორგი შეყენებულის მოწოდებისა და მოთხოვნის შესაბამისად. ათონზე იგი 1040 წლის დამდეგს მივიდა, „მმთა სიხარულით შეიწყნარეს და განუსუენეს და დიდად პატივ-უპყრიეს“. ერთხანს „შეურაცხებად საგონებელთა საქმეთა სიმდაბლით მჰსახურებდა“, 1042 წელს უკვე ლეკანოზად იყო¹⁹⁴, ხოლო 1044—1056 წლებში წინამძღვრობდა¹⁹⁵.

გიორგი ათონელი მრავალმხრივ პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა და ენერგიულად ხელმძღვანელობდა ქართული სივანის ბინადართა საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებას. მან საგანგებოდ გამოიკითხა და შეისწავლა ექვთიმეს მიერ დადგენილი „ყოველნი წესნი და კანონნი და განწესებანი“ და მათი შესრულება და სრულყოფა დაიწყო; მალე ლეთისმშობლის ეკლესიაში გადმოასვენა გამოჩენილი წინამორბედების (იოანე ათონელის, ექვთიმეს, იოანე გრძელისძისა და არსენ ნინოწმიდელის) ნეშტები და ამითაც გამოხატა პატივისცემა დიდი ათონელი მოღვაწეებისადმი.

გიორგი ათონელმა დახმარებისათვის მიმართა ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე IX მონომახს, აგრეთვე ქართველთა მეფეს ბაგრატ მეოთხესა და ლეღაშის — მარიამს. აღნიშნულმა პირებმაც არ დაიზარეს და ქართველთა მონასტერს სათანადო დახმარება აღმოუჩინეს, ამან კი ის კიდევ უფრო გაამდიდრა, განამტკიცა და გააძლიერა¹⁹⁶. გიორგიმ აღმშენებლობითი სამუშაოც ჩაატარა და მამულებიც შემოიმატა-შემომიტკიცა. ბუნებრივია, ყოველდღიური პრაქტიკული სამუშაო გიორგის დიდ დროს ართმევდა და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ხელს უშლიდა. ბიოგრაფის თქმით, გიორგის ამიტომაც „არა ენება წინამძღვრობაჲ“: მან დატოვა ათონი და შავ მთას მიაშურა, მაგრამ მოძღვარმა დააბრუნა. გიორგიმ კვლავ იკისრა წინამძღვრობა, „დაყო ჟამ რავდენიმე“ ამ პოსტზე, მაგრამ ველარ გაძლო: „იქმნა მეორე იგი წარსვლაჲ მისი თარგმანებისათჳს წმიდათა წიგნთაჲსა“¹⁹⁷.

გიორგი ათონელის ბიოგრაფიაში, მის მოღვაწეობაში მთავარი და ძირითადი, რასაკვირველია, მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა იყო. როგორც ვთქვით, გიორგი შავმთელმა ის იმიტომ წარგზავნა ათონის მთაზე, რომ, მისი მართებული დასკვნით, იმხანად ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ჯერათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ათონი იყო. გიორგიმაც საფუძვლიანად გაიცნო ათონელთა მემკვიდრეობა, შეისწავლა ექვთიმეს მთარგმნელობითი ხელოვნება,

ათვისა ყოველივე დადებითი, რაც წინამორბედებმა შექმნეს, განავითარა და გააღრმავა სახელოვანი ტრადიციები.

გიორგი ათონელი „გამოჩენილი ისტორიკოსი იყო“ (ი. ჭავჭავაძის მიხედვით). მისი ორიგინალური თხზულება, რომელსაც ჩვენ უხვად ვესხებით, როგორც ვნახეთ, ძვირფასი საისტორიო წყაროა. გიორგის არა მხოლოდ იოანესა და ექვთიმეს თავგადასავლის თხრობა და მათი ღვაწლის წარმოჩენა სურდა (თუმცა ესეც საპატიო საქმე იყო!), არამედ მონასტრის ქართველთაღმცოდნეობის დადასტურებაც. ბერძენ ბერთა მოძალებამ, ქართველთა მდგომარეობის გაართულებამ, ჩვენი უფლებების დაცვის აუცილებლობამ დააწვინა ავტორის ეს წიგნი, რომელიც ემყარება სარწმუნო წერილობით წყაროებსა და ზეპირგადმოცემებს. მასში გიორგიმ მოგვითხრო ქართული საეპისკოპოსოს აღმოცენების ისტორია, გაგვაცნო მის დამაარსებელთა ბიოგრაფია, ასახა მონასტრის შინაგანი წყობილება, წარმოაჩინა იქ გაჩაღებული კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა¹⁹⁸.

განსაკუთრებული ნაყოფიერება გიორგიმ მთარგმნელობით სფეროში გამოიჩინა. ბიოგრაფის თქმით, „ეგვიპტოთა თარგმანი თვნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესსა სხუაჲ არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და, ვგონებ თუ, არცა გამოჩინებდ არს. და უფროჲსნი წიგნი ღამით უთარგმნიან და ესრეთ შეუსუენებელად თარგმნიან და კანონსა თვისსა დაუბრკოლებლად აღასრულებნ“¹⁹⁹.

გიორგი ათონელმა რამდენიმე ათეული წიგნი თარგმნა ბერძენულიდან. ჩვენ, რასაკვირველია, არც მათ ჩამოთვლას ვაპირებთ და არც დახასიათებას, მაგრამ არ შეგვიძლია ერთხელ კიდევ არ დავიმოწმოთ გიორგი მცირე, რომლის სიტყვით გიორგი ათონელმა „რომელნიმე წიგნი სრულიად არაყოფილნი და ენისა ჩუენისაგან უცხონი სიღრმეთაგან უმეცრებისათა ნათლად გამოაბრწყინენა, ხოლო სხუანი ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ კეთილად გამოღებულნი გინა თუ უამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მკმარებელთაგან დაგესლებულნი ბრძმედსა მას შინა წმიდისა მის გონებისა თვისისა გამოადნენა და გამოაჭურვნა. ხოლო კუალად სხუანი წიგნი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმის მიერ თარგმნილნი და წუთ უცალოებისაგან ვერ სრულქმნულნი, არამედ სულმცირედ აღწერილნი. განასრულნა და განავრცულნა. კუალად სხუანი რომელნიმე ბერძულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა და სიტყუა-ღუხქირობისა და ვერაგობისაგან განაშუენნა და განაბრწყინენა“²⁰⁰.

გიორგი ათონელმა, ერთი მხრივ, მაღალმხატვრული და ღრმაიდეური თხზულების სახით დიდებული ძეგლი აუგო ივერთა მონასტრის დამაარსებელთ, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი მოღვაწეობით წინ წასწია, ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნება.

გიორგი ათონელის ცხოვრება-მოღვაწეობის პერიოდში ათონის ქართულ საეპისკოპოსოს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კვლავ ინტენსიურად გრძელდებოდა. გიორგი, — ვითარცა მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობის მეთაური და მთელი ინტელექტუალური ცხოვრების ხელმძღვანელი, — თავისი პირადი მ-

გალითით — თავდადებული შრომითა და შემოქმედებითი წვით — სტიმულს აძლევდა თანამოღვაწეთ და მწიგნობრულ ინტერესებს უძლიერებდა, შთააგონებდა და მუშაობისკენ მოუწოდებდა. საკმარისია მოვიგონოთ გიორგი მცირე, რომ ზემოთქმული დადასტურებულად მივიჩნიოთ. შავი მთის საგანეთა მიმოხილვისას აღვნიშნეთ, რომ გიორგი მცირე გიორგი ათონელის „თუალით-მხილველ და კვლით-მსახური“ იყო²⁰¹, ყველგან თან ახლდა თავის სასახელო მოძღვარს და ყველანაშე უკეთ იცნობდა მის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობასა თუ ლიტერატურულ მოღვაწეობას. სწორედ ამიტომ დაავალა მას გიორგი შეყენებულმა გიორგი ათონელის ცხოვრების აღწერა. საგულისხმოა, რომ მოძღვრის გარდაცვალებით შექარწყუნებულმა გიორგი მცირემ აღწერა არა მხოლოდ მისი ცხოვრების ბოლო პერიოდი და აღსასრული, რასაც მას სთხოვდნენ და ავალებდნენ, არამედ სრულად გადმოგვცა მთელი თავგადასავალი, „რამათა არა დავიწყებულ იქნას მომავლთაგან და შემდგომითი-შემდგომადთა ნათესაეთა, ვითარცა მრავალთა წმიდათა ნათესავსა შორის ჩუენსა გამოჩინებულთა ცხოვრებანი აღუწერელობითა დავიწყებისა სიღრმესა მიეცნეს“, დეტალურად აგვიწერა „თუალითა ხილული“ და „კაცთა მიერ სარწმუნოთა და წმიდათა უწყებული“ და ნათლად წარმოაჩინა გიორგი ათონელის დამსახურება მშობელი ხალხისა და ეროვნული კულტურის წინაშე. მისი თხზულება, რომელიც 1066—1072 წლებშია დაწერილი²⁰², „ღრმა გრძნობითა და სიყვარულით არის გამსჭვალული“ (ი. ჯავახიშვილი).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ არსენ გოგოფა, იაკობი და იოანე ხარტულარი, რომელთაც გიორგის წინამძღვრობაში (1047 წ.) გადაუწერიათ ისაკ განშორებულის თხზულებათა ექვთიმესეული თარგმანების კრებული, რომელიც საქართველოში ჩამოიტანა ი. ფანცულაიამ (A № 1101)²⁰³. ხელნაწერის მომგებელი ანდრეძში გვაუწყებს: „ღირს ვიქმენ მე. არსენი მოგებად წმიდისა ამის წიგნისა... მოსაკსენებულად მამისა გრიგოლისა. რომლისა ლოცვითა და მოღუაწეობითა მონასტერი ვავისაკუთრეთ“²⁰⁴.

ამავე პერიოდის მოღვაწეა ათონელი ჰიმნოგრაფი ეზრა, რომელსაც დაახლოებით 1044—1074 წლებში დაუწერია საგალობელი „წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ქართველისაჲ, რომელმან აღაშენა მთაწმიდას დიდი ლავრაჲ ქართველთაჲ“²⁰⁵,

დაახლოებით ამავე ხანის მოღვაწეა სტეფანე ათონელი, რომლის „წიგნი-თარგმნობას“ ანტონ კათალიკოსი ქებით იხსენიებდა²⁰⁶. პ. იოსელიანის ცნობით, სტეფანეს უთარგმნია იოანე ოქროპირის თხზულებათა კრებულები „კლიტე“ და „ფუტკარი“²⁰⁷. პირველი ცნობა მცდარია, „კლიტე“ გაბრიელ მცირემ თარგმნა; მეორე ცნობის შეწყნარება შეუძლებელი არ უნდა იყოს, თუმცა, სამწუხაროდ, „ფუტკარი“ ფრაგმენტების სახითაა მოღწეული და გადაკრით რამეს თქმა პირს²⁰⁸. შეიძლება ამავე ხანაში მოღვაწეობდა გადამწერი ათანასე, რომელმაც დაამზადა გიორგი ათონელის სვინაქსარის პირი — „ფრიადითა პირითა და გულს-მოღვინებითა გარდაწერა მესამესა წიგნისაგან მეოთხედ წიგნად“ (A № 840)²⁰⁹. უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ გადამწერი: ბასილი, რომელსაც დაუმზადე-

ბია მოზრდილი კრებული (Ath. № 17)²¹⁰ ეგნატის წინამძღვრობის²¹¹ ეამს, XI საუკუნის 50-იან წლებში²¹², და ნიკოლა, რომელსაც „გიორგი თარგმანის“ გამობაში გადაუწერია (თუ გადაუწერინებია) სამოციქულო (Ath. № 78)²¹³, როგორც ირკვევა. გიორგის ავტოგრაფიდან. გიორგი ათონელის „გიორგი თარგმანის“ სახელით მოხსენიება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა (საილუსტრაციოდ მოვიგონოთ. მაგალითად, ალაბი № 87 ან ასეთი ფაქტი: თვენის ერთი ხელნაწერის (Ath. № 55) ანდერძში „ნიკოლა რეცა მონაზონი“, შეიძლება ზემოხსენებული სამოციქულოს გადამწერი. გვაუწყებს, რომ წიგნი გადაწერა „მთაწმიდას, ქართველთა მონასტერსა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა ნუსხათაგან წმიდისა მამისა გიორგი თარგმანისათა“²¹⁴.

მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა ათონის ქართველთა მონასტერში გრძელდებოდა გიორგის მომდევნო წინამძღვრების — თეოდორესა და, განსაკუთრებით, გიორგი ოლთისარის დროსაც.

თეოდორემ²¹⁵ უშუალოდ შეცვალა წინამძღვრობიდან საბოლოოდ გადამდგარი გიორგი და რამდენიმე წელიწადს იტვირთა ეს მოვალეობა. მის დროს არაერთი ქართველი დაეხმარა მონასტერს (ალაბი № 11), განსაკუთრებით — ცნობილი ფეოდალი. ბაგრატ მეოთხის ურჩი ვასალი ლიპარიტი, რომელიც „მოვიდა წმიდას ამას მონასტერსა და მოსცა ეკლესიასა წმიდისა ლუთისმშობლისასა ასი ღრპკანი“ (იხ. აგრეთვე ალაბი № 34). საფიქრებელია, ლიპარიტი ათონზე ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა²¹⁶.

გიორგი ოლთისარი ათონის სავანის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. 1065 წელს, — გიორგი ათონელის გარდაცვალების შემდეგ, — იგი დანიშნეს წინამძღვრად, რადგან „შუენოდა სიწრფოებისათჳს და უმანკოებისა დაპყრობაჲ დიდისა ამის ლავრისაჲ“. ახალი წინამძღვარი ენერგიულად შეუდგა საქმიანობას; ჭერ გიორგი ათონელის ცხედარი დაასვენა „ლუსკუმასა შინა მარმარილომასა გიორგის თანა მასუნებელისა, ვითარცა მეორე მასუნებული და შემამკობელი ეკლესიათაჲ“, შემდეგ დიდი სენიის მსგავსად წამოიწყო, როგორც მის ალაპშია აღნიშნული. „მონასტერთა ზედა მრავალთა კეთილთა ქმნა; მრავალნი მონასტერნი და პრასტიინი დაჰყარანა, მრავლით ეამითგან წახუმულნი, და ზღუდენი მოავლნა მონასტერსა, და ოქრობეჲდით აიღო, მრავალთა ზრუნვათა და ჳირთა გარეწარმჯელი“ (ალაბი № 61).

გიორგი ოლთისარს ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ქართულ მონასტერს დაეხმარნენ ბაგრატ მეოთხის ასული — დედოფალი მარიამ მართაყოფილი, — შეუღლე ბიზანტიის ორი იმპერატორის — მიხეილ VII დუკა პარაპინაკისა (1071—1078) და ნიკიფორე III ბოტანიატესი (1078—1081), — და მისი ვაჟი კონსტანტინე. ათონელ მოღვაწეებს მათთვის დაუდევიათ ალაბი (№ 133) „დიდთა და მრავალთა ქველისმოქმედებათა მითათჳს“; ისინი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ „პირველად განგუათავისუფლნეს სიკრიტონისაგან, რომელნი მისოლიმნისათჳს გუთხოვდეს ხუთსა ლიტრასა, მათ მისცეს განძი ესე და აღმოკოცეს მისოლიმნი

სიკრიტონისაგან. და კუალად სხუათა პრასტინთათკს და მელინძათათკს დიად ილუაწეს მეფეთა თანა“²¹⁷.

გიორგი ოლთისარის ლიტერატურულ საქმიანობაზე გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი; ყველა ის თხზულება, რომლის მთარგმნელად მას მიიჩნევენ²¹⁸, სხვათა მიერაა თარგმნილი²¹⁹, მაგრამ მის ზეობაში რომ მომრავლდნენ მწიგნობრები, ეს უცილობელი ფაქტია. ეს მწიგნობრები არიან: 1. ევსტრათი დეკანოზი, რომელმაც 1071 წელს გადაწერა სვინაქსარი (Ath. № 30)²²⁰ და დაურთო ანდერძი: „განსრულდა სვინაქსარი ესე ახლად თარგმნილისაგან წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგისთა კელითა ჩემ გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა ევსტრათი დეკანოზისაგანთა, ბრძანებითა მამისა გიორგი ოლთისარისაგანთა, რამეთუ მან დამაწერია მამასახლისობასა მისსა სალოცველად სულისა მისისა და სულისა მშობელთა მისთასა და ძმისა მისისა მიქაელისსა... დაიწერა... მთასა წმიდასა ათონას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა“; 2. ზოსიმე მონაზონი, რომელმაც შეთხზა საგალობლები: ა. „წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთკვი მთაწმიდელისაგან“²²¹; ბ. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონისნი“²²². ორივე საგალობელი მოთავსებულია ერთ კრებულში. პირველს ახლავს ანდერძი: „ლოცვა ყავთ. წმიდანო ღმრთისანო, იაკობ მღვდელისათკს, რომელმან აიძულა უღირსი ენაჲ ჩემი გალობად წმიდისა ეფთკმესა, რომელი არცათუ სახელისდებად ღირს ვიყავ მე, უღირსი ზოსიმე. ქრისტე, შეიწყალე იაკობ, ამინ“²²³. მეორეს ბოლოს იკითხება: „ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, ქრისტეს მოყუარეთა პატიოსანთა ძმათათკს, რომელთა სიტყვათა ვიძულე გალობად მამისა ჩუენისა ილარიონისა მე, უღირსი ზოსიმე, რომელი-ესე არცათუ სახელისდებად მისა ღირს ვიყავ; თუ კეთლ იყვენ, სასყიდელი მათი არს, ხოლო ნაკულევენებაჲ ჩემისა უსწავლელობისა მიერ არს. წმიდანო ილარიონ, შეიწყალე მონაჲ შენი იაკობ, მღვდელი ქრისტესი, და მწერალიცა შეიწყალე“²²⁴. როგორც დამოწმებული ანდერძებიდან ირკვევა, ორივე საგალობლის დაწერის მოთავე, ინიციატორი ყოფილა იაკობ მღვდელი (უკვე ამით იგი ათონის ლიტერატურული სკოლის მნიშვნელოვან წარმომადგენლად გვევლინება, მაგრამ მისი დამსახურება ამით არ ამოიწურება. ქვემოთ ვნახავთ, რომ იაკობს წვლილი მიუძღვის ისეთი მნიშვნელოვანი ხელნაწერის დამზადებაში, როგორცაა საყოველთაოდ ცნობილი „ათონის კრებული“—A № 558). იაკობის დავალება ზოსიმეს შეუსრულებია 1074 წლამდე (ამ წლის კრებულში უკვე ჩაწერილია მისი საგალობლები), საფიქრებელია, იმ დროს, როდესაც იაკობი დეკანოზად იყო, ხოლო გიორგი ოლთისარი მამასახლისად, ე. ი. 1072—1074 წლებში²²⁵.

ამავე ზოსიმე მონაზონმა გადაწერა „სტოდიერი“ (A № 500)²²⁶, ხოლო 1076 წელს — როდესაც „მთაწმიდას, ლავრასა შინა დიდებულსა“ წინამძღვრად იყო „წმიდაჲ მოხუცებული გიორგი ოლთისარი“ — ოქტომბრისა და ნოემბრის თვენი (Ath. № 54)²²⁷; 3—4. კვირიკე დიაკონი და სვიმეონ თავშიშველი, რომლებმაც 1077 წელს, გამოჩენილი ქართველი დიდებულის აბაზ ბაკურიანისძის „საფასოგანთა და განძითა“, დაამზადეს პარაკლიტონის ერთი ნუსხა (Ath. № 24), რომელმაც:

ასეთი ანდერძი შემოგვინახა: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი... მთასა წმიდასა ათონას. ლავრასა შინა დიდებულსა ქართველთასა კელითა... კკრიკე დიაკონისაჲთა... ლავრასა ამას ჩუენსა ზედა წინამძღურობასა გიორგი ოლთისარისასა. ხოლო იყიდა წმიდაჲ ესე წიგნი საფსაოჲთა და განძითა აბაზ ბაქურიანისძისაჲთა... და დაიდვა წმიდასა ამას ეკლესიასა შინა... ლოცვა ყავთ სკმენონ თავშიშუელისათჳს, რომელმან წმიდანი ესე წიგნი შემოსნა“²²⁸.

უკანასკნელად უნდა შევჩერდეთ გიორგი ოლთისარის წინამძღურობისას შედგენილ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან კრებულზე, რომლის მონაცემებს ზემოთ ხშირად ვიყენებდით. ესაა სამეცნიერო ლიტერატურაში „ათონის კრებულის“ სახელით ცნობილი ხელნაწერი (A № 558), რომელიც გასულ საუკუნეში ათონიდან ჩამოიტანა ბ. ბარკალაიამ, მაშინვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება²²⁹ და შემდეგაც ინტერესით შეისწავლებოდა²³⁰. მისი შედგენილობა ასეთია: „ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა“, „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ“, „წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესი ქართველისაჲ განგებაჲ“, „ცხორებაჲ და ქადაგებაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოვანე ღმრთისმეტყუელისაჲ, აღწერილი პროხორეს მიერ, მოწაფისა მისისა... თარგმნილი წმიდისა მამისა და განმანათლებელისა ჩუენისა, ახლისა ოქროპირისა ეფთჳმე მთაწმიდელისაჲ“²³¹, „დასდებელნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონისნი“, „დასდებელნი წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ქართველისაჲ, რომელმან აღაშენა მთაწმიდას დიდი ლავრაჲ ქართველთაჲ“, „წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმე მთაწმიდელისაჲ დასდებელნი“, „სსუანი გალობანი მისიეჲ წმიდისანი“, აღაპები²³². რასაკვირველია, ყველა ტექსტი ერთი დროის არაა და არც ერთი პირის მიერაა ჩაწერილი. ნ. ბერძენიშვილმა ცხადყო, რომ თავდაპირველად შეადგინეს ლავრის აღმშენებელთა სამახსოვრო კრებული (პირველი რედაქცია), შემდეგ იგი აქციეს საბერძნეთში მოღვაწე ქათველ მამათა სამახსოვრო კრებულად (მეორე რედაქცია), ხოლო ბოლოს გამოყენებულ იქნა საალაპე წიგნად (მესამე რედაქცია). კრებულის პირველი რედაქცია შემუშავებულ-შედგენილ იქნა იაკობ დეკანოზის უამს (მისიეჲ თაოსნობით); შეადგინა კრებული მიქაელ დაღალისონელმა, რომლის ვრცელი ანდერძიდან მოზრდილი ნაწყვეტი უნდა დავიმოწყოთ: „შეწყენითა ყოვლად წმიდისა სამებისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ლოცვითა და მადლითა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმე მთაწმიდელისაჲთა მე, გლახკმან სულითა და უნდომან კორციითა მიქაელ დაღალისონელმან, სახითა ხოლო მონაზონმან, დავწერე ცხორებაჲ განმანათლებელისა ჩუენისა ეფთჳმე ქართველისა, ახლისა ოქროპირისაჲ და მერმე, ვინაჲთგან იგი მისისა ხატისათჳს იწამა, ქადაგებანი და მიმოსლვანი დიდებულისა ღმრთისმეტყუელისა და მახარებელისა იოანესნი — მამასახლისობასა გიორგი ოლთისარისა, დეკანოზობასა იაკობ მღვდელისასა, განზრახვითა მისითა, თჳნიერ სასყიდლისა და ყოვ-

ლისავე საფასოდას. აწ, წმიდანო ღუთისანო, რომელნიცა აღმოიკითხვიდეთ, ნუშ-
ცა დაეწიებულვართ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა! ეტრათი იაქობ დეკანოზ-
მან მოილო. ფარჩხად წერისათჳს შემინდევით, რამეთუ მესამესა წელსა ბოსტანსა
მას და დასასრულსა პასაკათასა შინა ეიქცეოდე... ქრონიკონი იყო, ოდეს დაიწე-
რა: ორას ოთხმოცდა ათოთხმეტი [=294+780=1074]... დაიწერა ამასვე წმი-
დასა ლავრასა წმიდისა ეფთჳმის მიერ აღშენებულსა ბურღოსა შინა, სადა თჳთ
მას წმიდასა დაუყოფია. და ვინცა ვინ ესე წიგნაჲ ამას წმიდასა ეკლესიასა რაჲთა-
ცა მიზნებითა გამოაქუას, რომელსა შინა სწერია წმიდისა მამისა ჩუენისა ცხორე-
ბაჲ, და მერვე ალაპნი, და მერმე ქადაგებანი მოციქულისანი, იგიცა ნუ არს კურ-
თხეული“²³³

მიქაელის მიერ შედგენილი კრებული განაერთო იაკობ დეკანოზმა, ხოლო
შემდეგ შეავსო — აქა-იქ „დაფანჩულად“ ჩაწერილი ალაპები გადაწერა — იოანე
თაფლაისძემ.

ქართული სავანის საკეთილდღეოდ თავგამოდებით იღვწოდნენ გიორგი ოლ-
თისარის მომღვწეონ წინამძღვრები — არსენ ფარსმანყოფილი, ევგენი, ვასილი,
იოანე ბუქაისძე და სხვანი.

არსენ ფარსმანყოფილი²³⁴, — ისე როგორც მისი ძმა გიორგი სულას ძე ჩორ-
ჩანელი (ალაპი №37, 50), — ადრევე ეხმარებოდა მონასტერს. მის სახელს პა-
ტივით იხსენიებენ ათონელი ქართველები, რომელთაც ის ჯერ კიდევ გრიგოლის
წინამძღვრობის ჟამს (— როდესაც ჩვენი თანამემამულენი „ჰირსა შინა“ იყენენ)
დახმარებია; შემდეგ ბერად შემდგარა (არსენის სახელით), 1054 წელს გიორგი
ათონელის მოწაფედ ჩანს. საკმაოდ გამოუჩენია თავი წინამძღვრობისას — დიდი
განძი „წაეგნეს ამას ეკლესიასა ზედა“ (ალაპი № 110).

ევგენის წინამძღვრობის პერიოდში შეინიშნება ათონ-პეტრიწონის ქართული
სავანეების ურთიერთობის გაცხოველება. კერძოდ, თეოფანე პეტრიწონელმა მა-
შინ მისცა ივერთა მონასტერს „ბ[=2] ლიტრაჲ სტამენონი და კულად ასი დრაჰკა-
ნი სხუაჲ“ (ალაპი № 84). პეტრიწონელთა ყურადღება მას არც შემდეგ აკლდა. აქ
შეგვიძლია მოვიგონოთ ასეთი ფაქტი: რამდენადმე გვიან, უკვე სხვა წინამძღვრის
(იოანეს) დროს, ნიკოლა პეტრიწონელმა მისცა მის მკვიდრთ „ეკლესიისა საბურა-
ვად ნ[=50] პერპერატი, და კულად გამოგზავნა სხუაჲ კ[=20] და მოვიდა მონას-
ტერს და მოჲუცა პურისათვის ღუკატი მ[=40] და ბ[=2] ჯორნი ლაგამ-უნჯაგრი-
თა, და კულად მოსცა ეკლესიასავე სხუაჲ ღუკატი იბ[=12] და ტრიაკეფალი ახალი
ნ[=50]“ (ალაპი № 141. იხ. აგრეთვე ალაპი № 9). თავისთავად ინტერესს მოკლე-
ბული არაა. რომ ივერთა მონასტრის ბედზე ენერგიულად ზრუნავდნენ ბაკურიან-
ისქენი. ზემოთ უკვე დავიმოწმეთ ერთი ათონური ხელნაწერი (A. h. № 24), რო-
მელიც 1077 წელს აბაზ ბაკურიანისძის „საფასოთა და განძითა“ დამზადებული.
ბაკურიანისძეთა ზრუნვა მონასტრზე ამით რომ არ ამოიწურება, ეს ნათლად ჩანს
ათონის ალაპებიდან. ერთ ალაპში ვკითხულობთ: „თუესა იანვარსა კ[=25] ალა-
პი არს გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეთაჲ და ყოველითა გულსმოდგინებითა გარ-

დავდებოდენ, ძალისაებრ, მათისა მზეგრძელობისათჳს და ცოდვათა შენდობისა. მოსცა ეკლესიასა გრიგოლ ორასი დრაჰკანი და ორასი აბაზ“ (ალაპი № 38). მეორე ალაპი (20. IX) დაუღვით აბაზისათვის — „ღიდთა კეთილთა და ქველის მოქმედებათა მისთათჳს, რამეთუ მოსცა სიცოცხლესა მისსა მონასტერსა დრაჰკანი სტამენონი ექუსთავი ფ[=500] და კულად, შემდგომად მიცვალებისა მისისა, მოსცა მონასტერსა ცხენად და ჯორად საკედარი ზ[=7] და სტავრაჲ შესამოსელი“ (ალაპი № 111).

ახლახან ცნობილი გახდა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც დამატებით ავლენს ბაკურიანის შთამომავალთა ზრუნვას ათონის სავანეზე.

იოანეს მამობაში ათონელებმა დააწესეს ალაპი „სუმბატ კურაპალატისა (რომელსა ეწოდა საბა) და ცოლისა მისისა მარიამისი... რამეთუ მოეცა მონასტრისა ჩუენისადა განძი, ლიტრაჲ ერთი სტამენონი და კულად სხუაჲ ხუთასი დრაჰკანი სტამენონი“, ხოლო მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მარიამმა მისცა „სტავრაჲ ერთი კარგი ოქროქსოვილი, სკუტელი ვეცხლისაჲ დიდი ა[=1], ხუცესთა სკუტელი ა[=1], სხუაჲ დრაჰკანი სტამენონი ლიტრაჲ ა[=1], სხუაჲ სტავრაჲ შესამოსელი ა[=1] და კულად, ოდეს პრასტინნი ჩუენნი ყოველნი აიხუნეს და ჳირსა შინა ვიყვენით, მოგუცა დრაჰკა ქინატი ლიტრაჲ ზ[=7]“ (ალაპი № 120). სხვა ალაპში (№ 121) აღნიშნულია, რომ სუმბატი და მარიამი „მონაზონ იქმნეს“, ივერთა მონასტერში „აღესრულებოდენ საკსენებელი მათი ყოვლითა მოსწრაფებითა. ვითარცა მაშენებელთათჳს სწერია“. ათონელები დამატებით გვაუწყებენ: როგორც სიცოცხლესავე თჳსსა სუმბატს ეთხოა, ეკლესიასა შინა წმიდათა მთავარანგელოზთასა შევქმზადეთ საფლავი მარმარილოჲთა, რათა შემდგომად სკუდილისა მის დედაკაცისა, ორთავე ძუალნი მას შინა დაისხნენ და, ვითა თვთ დაუწერია, რაჲცა რაჲ საქონელისა მისისაგან დარჩეს, ყოველივე თანა შემოიტანოს“.

ორივე ალაპში სუმბატი მიცვალებულად იხსენიება, ხოლო მისი მეუღლე მარიამი ცოცხალადაა ნაგულისხმები. მესამე ალაპი (№ 60) უკვე მოგვიანებითაა დადებული. მასში ვკითხულობთ: „ალაპი განვაწესეთ კურთხეულისა მარიამ ბასილიკისა ასულისა, სუმბატ კურაპალატისა მეუღლისათჳს, რამეთუ ამას კურთხეულსა დედაკაცსა პირველითგან დიდი სასოებაჲ აქუნდა წმიდისა ამის უდაბნოჲსა მობართ და მრავალი შესაწირაჲ შემოსწირა შემდგომად. სუმბატის მიცვალებისა წმიდასა ამას ეკლესიასა საკსენებელად მათდა საუკუნოდ... და კულად კურთხეულმან ამანვე დედაკაცმან ეამსა მიცვალებისა თჳსისა ანდერძი ქნა და შემოსწირა წმიდასა ამას ეკლესიასა სოფელი როდოლივი საკსენებელად და სალოცველად სულისა თჳსისა“.

ციტირებულ ალაპებში მოხსენიებულ პირთა ვინაობა დადგენილი არ იყო. აცაგარელი სუმბატ კურაპალატს მეთათე საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევდა (გარდაიცვალა 992 წელს)²³⁵. ამავე აზრს ადგა თ. ყორღანია, რომელმაც პირველად დაბეჭდა ჩვენთვის საინტერესო ალაპები²³⁶. ამჟამად გარკვეულია, რომ სუმბატ კურაპალატი არის XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე სუმბატ ბაკურიანი²³⁷.

ცნობილია „ანდერძი სუმბატ ბაკურიანისა — როცა ის ბერად შედგა და საბად იწოდა“. ასევე „ანდერძი კალისა, აწ მონაზონ მარიამისა, ჟურაპალატ ბასილკის ასულისა, ჟურაპალატ სუმბატ ბაკურიანის მეუღლისა“ (პირველი შედგენილია 1093 წელს, მეორე — 1098 წელს). ისინი შეიცავენ ძვირფას ცნობებს, კერძოდ, ცხადყოფენ, რომ სუმბატი გამორჩენილი პიროვნება ყოფილა, ბაკურიანთა გვარეულობის სახელოვანი წარმომადგენელი. ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწე ქართველ დიდებულს ასსოვდა თავისი თანამემამულენი და კავშირი ჰქონდა მათთან. იგი გულუხვად ეხმარებოდა ათონის ივერთა მონასტერს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ ასევე უხვად დაასაჩუქრა ქართველთა სავანე და ხელი შეუწყო მის გამდიდრება-გაძლიერებას.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ის დახმარება, რომელიც ათონის ქართულ სავანეს აღმოუჩინა საქართველოს სამეფო კარმა, კერძოდ, დავით აღმაშენებელმა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან „ლავერანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი... აღავსნა კეთილითა“²³⁸. სხვა კონკრეტული ხასიათის ჩვენება არ მოგვეპოვება, მაგრამ ვფიქრობთ ესეც საკმარისია, რათა დავით აღმაშენებელი ათონის დამხმარე პირად მივიჩნიოთ. აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ მისი თანამედროვე დიდებული არიშინი²³⁹, რომელმაც ათონელ ქართველებს „ეკლესიის საბურჯავად დრაპკანი რმი [= 150]“ მისცა (ალაპი № 54) და მისი ძმა იოანე კოჭიხისძე, რომელმაც „ველითა დიდისა ბერისა და მოძღუარისა ონოფრი გარეშეელისაჲთა“ მნიშვნელოვანი შესაწირავი გაუგზავნა (ალაპი № 143)²⁴⁰.

ათონის ქართული მონასტრის წინამძღვართა შორის ენერგიული საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩვენს მიერ ზემოთ რამდენჯერმე ხსენებული იოანე ბუქაისძე²⁴¹. როგორც მისთვის დაწესებული ალაპიდან ჩანს, იოანემ „მოსცა ეკლესიასა საკმარი დრაპკანი დუკად მიხაჲლატი კლ [= 24] და კულად სამეფოს გაუიდა თავისი ჭური ოქროჲსაჲ და აილო ტარტარონი სნ [= 250] და კულად სხუაჲ დრაპკანი ალექსატი სტამენონი რმდ [= 144] და მონასტერსა შინა დადგა კოშკი ზღუდისაჲ კარგი და სხუანი მრავალნი კეთილნი, სულიერნი და ჯორციელნი, ქმნნა, მრავალნი ნაშენებნი შინა და გარე აღაშენა“ (ალაპი № 43).

იოანე არა მხოლოდ თვით ეხმარებოდა მონასტერს, არამედ ზოგჯერ ბიზანტიის უმაღლეს ხელისუფალსაც მიმართავდა და ქართველ მოწესეთათვის დახმარების აღმოჩენასაც სთხოვდა. მაგალითად, როდესაც ათონელ ქართველებს უსამართლოდ ჩამოართვეს მამულები. მან საიმპერატორო კარს მიმართა, მისი დახმარებით მამულები დაიბრუნა და უფლებები აღიდგინა. იგი მადლიერების გრძნობით იხსენიებდა ბიზანტიელ მოღვაწეს იოანე სევასტოსს, რომელსაც დიდი დახმარება აღმოუჩენია საადგილმამულო დავის გადაჭრაში: „მას უჲმსა, ოდეს პრასტინნი ჩუენი ყოველნი წაგვხუნეს და ბურწსა მისცნეს, ჩუენ სამეფოს შევედით და დავისმართლენით. მეფემან ამას უბრძანა ჩუენისა საქმისა დაურეგბაჲ და მიწათა.

გაზომად. ხოლო ამან მას უამსა დიდი გულსმოდგინება და წყალობა აჩუნდა ჩუენ ზედა. რამეთუ თვისი აუტრავი და საქმე ყოველი გაუშვა და სამ თუე ჩუენსა საურავსა იურვოდა, ვიდრემდის ყოველი გარდასწყვედა და, რომელ გუხუდებოდა, გაგვიჩინა და სიმტაციენი და დაწერილნი შეგვკმენნა, და ესრეთ, რომელ სხუასა არავის მიენდო, არამედ უფრომსნი თავისა კელითა დაწერნა და თვისთავე კაცითა სამეფოს ვაგზაენა და დაგვმტკიცნა“ (ალაბი № 129).

იოანეს წინამძღვრობის დროს ივერთა მონასტერს სხვანიც უხვად დახმარებინა. მაგალითად, ნიკონ ნაპილოსი (ალაბი № 8), გიორგი დედოფლეური (ალაბი № 77), ლულუ პროიდროსი, რომელიც ადრეც „ყოვლადვე ეთილისმყოფელი იყო“, ხოლო შემდეგ ბერად შედგა და შეწირულებაც მიიტანა (ალაბი № 115), დავით ვაჭარი (ალაბი № 118), მიქაელი, რომელმაც „სასწულლოს საშენებლად“ გაიღო შეწირულება (ალაბი № 32), ბერი კლიმი (ალაბი № 41) და სხვ.

იოანე ბუქიანისის დროს მონასტერში კვლავ გრძელდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, ჯერძოდ, ხელნაწერთა დამზადება და სავანისათვის შეწირვა. მაგალითად, პეტრე ხუცესმა შესწირა „სათუეონი ათორმეტთა თუეთანი, თავისა მოგებულნი და თვისთა კელითა დაწერილნი შვდალ წიგნად, ყოვლითურთ სრულნი სტიქარონითა და ყოვლითა საგალობელითა, ვითარცა წმიდისა მამისა გიორგის ნუსხათა შინა სწერია, უნაკლულოდ. და ამისა უწინა შემოეწირნეს კურთხევანი სრულნი, მისევე სანატრელისა მამისა გიორგის თარგმნილნი“ (ალაბი № 32). აქვე უნდა დავიმოწმოთ ერთი საინტერესო ხელნაწერი, რომლის დამზადებაში იოანეს გარკვეული დამსახურება მიუძღვის (Alh. № 63)²⁴¹. მისი მომგებელი ბერი კლიმი გვაუწყებს: „ესე ზატიენი... მე ბერმან კლიმი დავაწერინე ჩუენითა საკმარითა ყოვლითურთ სრულნი და უნაკლულნი და შეეწირენ ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა მთაწმიდას. ეტრათი მამისა იოანესი იყო ბუქაქსძისა და სხუად ყოველი საკმარი ჩემი“.

ამ დროსვე მოღვაწეობდა ათონზე იოანე თაფლაისძე, რომელიც თავის ანდრძში გვაწვდის საინტერესო ცნობებს მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე: „ლოცვა ყავ, ძმაო დეკანოზო, უნდოა და უღირსისა იოანე თაფლაას ძისათვის, რამეთუ ესე ალაპნი იქა-აქა დაფანჩულად ეწერნეს და საჭირო იყვნეს საძებნელად. ხოლო მე, ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანესითა, ჩემსა შავდეკანოზობასა გარდავეწერენ დაწყობით, ვითა ჭერ-იყო. არარაჲ შეგვაგატებია და არცა რაჲ დაგკულია, თვნიერ ცუდთა სიტყუთა. სხუად ყოველი პირველისაებრ სწერია—ანაფორათა და ყოვლითა, ვითარცა მუნ ეწერა და ვითარცა ბრძანებაჲ მოგუელო. ამის-თვის გულსავსე იყვენით და ვინ სხუასა ალაპსა დასწერდეთ, აშლით ნუ დასწერთ: ადგილი ყოველგან დაგვტოვებია, და ჩუენთვის ლოცვა ყავთ“²⁴².

ანდრძიდან ცხადი ხდება, რომ იოანე თაფლაისძემ იოანე ბუქიანისძის ბრძანებით ბევრი იმუშავა — აქა-იქ დაწერილი ალაპები შეკრიბა, დაალაგა, გადაწერა, ახალი ალაპებისათვის ცარიელი ადგილი დატოვა, რათა რიგინად ჩაე-

წერათ და ძნელად საძებარი არ გამხდარიყო. კ. კეკელიძის დაკვირვებით, ეს სა-
მუშაო მან 1112—1118 წლებში ჩაატარა²¹³.

ხელნაწერების გამრავლება და ახალი ნუსხების დამზადება გრძელდებოდა
მომდევნო წინამძღვრების დროსაც. მაგალითად, ნიკოლა პროტოსინგელოზის ეპის-
ნიკოლა მონაზონმა გადაწერა თებერვლის თვენი (Ath. № 55)²¹⁴, გრიგოლ
ბერმა — ზატიკნი (Ath. № 34)²¹⁵ და ა. შ.

წინამძღვარი ნიკოლა პროტოსინგელოზი იხსენიება რამდენსამე ალაპში (№№
30, 41, 56). მათგან ვიგებთ, რომ მისი წინამძღვრობისას მონასტერს დიდად დახმარ-
ებშია გიორგი მაგისტროსი, რომელსაც „დიდთა მათ ქველის მოქმედებათა მათთა-
თეს“ ალაპი დაუწესეს: „ძუალნი მისნი მის მიერ განწყესებულსა საფლავსა“ დამარ-
ხეს და ისეთი პატივი მიაგეს, როგორც მაშენებლებს (ალაპი №№ 73, 96).

შემდეგი ხანიდან ცნობილია წინამძღვარი მიქაელი, რომელიც ქართულად
აწერს ხელს 1162 წლის საბუთზე²¹⁶. ერთ ალაპში (№ 22) იხსენიება „მიქაელ მამა-
ყოფილი“, რომელმაც მონასტერს შესწირა „სახარებაჲ მოქედილი, პავლე განთვ-
სული და პერპერაჲ ლბ[=32]“. ხომ არაა ეს ზემოხსენებული წინამძღვარი (იხ.
აგრეთვე ალაპი № 6) მიქაელი?

1170 წლიდან ათონის ქართული მონასტრის მამათა კრებულის ხელმძღვანელად
ჩანს წინამძღვარი პავლე, რომელმაც მონასტერი დეკალიანებული ჩაიბარა—„ხუ-
თასი დრაჰკანი იპოა გარდუქდელი და სოფელნი დაჭირულნი, როდოლითგან და
ვიდრე ნიკოლწმიდამდე“. პავლე წავიდა კონსტანტინოპოლს, „დიდითა ჳირითა და
მრავლითა ხარკებითა განათავისუფლა“ და — ათონზე დაბრუნებულმა — წამოიწ-
ყო მრავალმხრივი აღმშენებლობითი საქმიანობა, სახელდობრ, „ალაშენა დიდისა
ბურლოჲსა ბასილაჲთურთ ვიდრეცა სასნეულოდმდე, და პორტიჲსა კარნი, და ეკ-
ლესიაჲ ყოვლად წმიდისაჲ... აღამალნა ზღუდენი მონასტრისანი, რომელნი იყვ-
ნეს ფრიად მდაბალნი, და ალაშენა კელინნი კარაჲსანი, და მოიგო მონასტერი კა-
ნისკაჲსაჲ დიდითა წასაგებელითა“. პავლე არ დაკმაყოფილებულა საკუთრივ მო-
ნასტერში ჩატარებული მუშაობით; მანვე „ალაშენა ბოლბოლისა მეტოქი სრულე-
ბით და სოფელს ეკლესიაჲ წმიდისა თეოდორესი მოხატვით და ყოვლითურთ სრუ-
ლებით, წისქვლი—ორი თუალი მუნეჲ და ახორი დიდი ბისონას და თესალონიკს,
მეტოქს ნათლისმცემელს სასენაკონი სახლი ერთ ეგრძო და კალამოკოპისა მონას-
ტერი... ეკლესიაჲ მელინძათა ყოვლად წმიდისაჲ სრულებით ყოვლითურთ და მო-
ხატვით და მეტოქი როდოვილს საეპინროჲთ ვიდრე სამზარეველოდმდე... დობ-
როიკს ეკლესიაჲ წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი“ და ა. შ. (ალაპი №№ 165,
167).

რასაკვირველია, ყოველივე ამას პავლე წინამძღვარი მხოლოდ საკუთარი სახ-
სრებით ვერ გააკეთებდა. მისი აღმშენებლობითი საქმიანობის ფართო ხასიათი
განპირობებული იყო ქართველ მოღვაწეთა გულუხვი შეწირულებით. ნათქვამის
დასადასტურებლად არაერთ ცნობას ვპოულობთ ალაპებში. იქიდან ვიგებთ, რომ,
როდესაც მონასტერს უბედურება ეწვია — „აელინნი მონასტრისანი გარდამწუარ

იქმნენა“. ათონელებმა სამი მოწესე საქართველოში გამოგზავნეს და თანამემამულეთ შემწეობა სთხოვეს (აღაპი №№ 39, 153, 155). ქართველები პავლე წინამძღვრის თხოვნას დროულად გამოეხმაურნენ. სახელდობრ, დიდი შეწირულება გაუგზავნეს თამარ მეფემ (აღაპი № 153). იოანე მწიგნობართუხუცესმა (აღაპი № 155), აბულასან ქუთათელმა (აღაპი № 149), პავლე ქუთათელმა (აღაპი № 156), ანასულომ (აღაპი № 159) და სხვ. პავლე საგანგებოდ აღნიშნავდა, თუ ვისი შეწირულება „ეითარ წარეგო“. მაგალითად, გრიგოლ და იოანე ქობულისძეთა შეწირულება, რომელიც „ეამსა ქირისა და სიგლახაქისასა“ მიუვიდათ ათონელებს, ჟესრე წარეგო: დაძულებული კელინები, დაცემად მიახლებული, მათი საქმართა აღეშენა, რიცხვი კლ[=24] და კუალად ნიკოლწმიდაჲ, მეტოქი და სოფელი, ყურსალთა მიერ აოკრებული, მათითავე საკმრითა აღეშენა ბურღოხსა დადგმითა, რათა უშიშ იყვნენ მბრძოლთაგან“ და ა. შ. (აღაპი № 39, 145, 165), სხვათა შორის, ბევრი ქართველის (და საკუთარი) შეწირულებით ხელდამშენებული ეწვია ათონს გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი ნიკოლოზ გულაბერისძე, რომელმაც „დიდი ერთგულობაჲ და გულმოდგინებაჲ აჩუენა ამას ადგილსა ზედა“, კერძოდ, „ეკლესიაჲ მთავარანგელოზთაჲ აღაშენა ყოვლითურთ“ და სხვ. (აღაპი №№ 105, 144, 149, 153).

1184 წელს პავლემ „დაუტევა მამობაჲ“²⁴⁷. ათონელმა ქართველებმა „ერთობით, ერთჯმობით, თანადგომითა პავლესითა“ წინამძღვრად აირჩიეს გიორგი, რომელმაც სავანე, — უკვე რამდენადმე გაძლიერებული და გამდიდრებული, — „უნაკლულოდ ყოვლითურთ“ ჩაიბარა (აღაპი № 158). მის შემდეგ — ასევე თამარის მეფობაში — წინამძღვრად ჩანს მაკარი. მართალია, მისი ხსენება ცნობილ ალაპებში არ გვხვდება, მაგრამ ეს არაა გადამწყვეტი. მისი სახელი კ. კეკელიძემ ამოიკითხა ათონიდან ჩამოტანილი ხელნაწერის (ა. ცაგარლით № 28) არშიაზე. კ. კეკელიძის ცნობით, მაკარის დაუღვია „ალაპი დოფაჲსი, თამარ დედოფლის გამზრდელისაჲ“, რომელმაც „დიდსა გაქირებასა და უღონობასა ასი დუკატი შესწირა მონასტერსა“. აღაპი XII საუკუნის ხელით ყოფილა შესრულებული. როგორც ჩანს, მაკარი ამ საუკუნის მიწურულის მოღვაწეა, გიორგის მომდევნო წინამძღვარი²⁴⁸.

როგორც აღვნიშნეთ, თამარი ჯერ კიდევ პავლეს წინამძღვრობაში დაეხმარა ივერთა მონასტერს. ეს საგანგებოთაა წარმოჩენილი 153-ე ალაპში, რომელშიც დამატებითაა აღნიშნული, რომ „მას სხუაჲცა უფროჲსი განეწესა ამის მონასტრისათჳს, უკუეთუმცა პავთა ღორთა კაცთა არ დაეკლო“. ჩანს, თამარის შეწირულებას დანიშნულებისამებრ სრული სახით ვერ მიუღწევია. საგულისხმოა, რომ მეფე ქალი XIII საუკუნის დამდეგსაც უხვად დაეხმარა მონასტერს, მაგრამ მის შეწირულებას ამჟამად ანალოგიური ბედი ეწვია.

საისტორიო წყაროებში არაერთი ცნობა გვხვდება იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარებოდა თამარი საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სავანეებს. ამ წყაროებში ზოგჯერ ზოგადადა საუბარი დასავლეთში აღმოცენებულ ქართულ მონასტრებ-

თან თამარის ურთიერთობაზე, ზოგჯერ კი უშუალოდ ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიის ცალკეული მომენტებია წარმოჩენილი.

თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, მეფე ქალმა „არა ოდენ საქართველოსა მონასტერანი ააშენა, არამედ პალესტინეს... და გრძელ სადმე არს ყოვლისა მოთხრობილობა, რომელ საბერძნეთს და ყოველსა ელადას-შინანი მონასტერანი უხუად წყალობამიფენილ ყენა“²⁴⁹; ბასილ ეზოსმოძღვრის ცნობით, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ, თამარი გულუხვად ეხმარებოდა ახლო აღმოსავლეთის ქართულ სავანეებს. მისივე ცნობით, იგი დიდად მფარველობდა დასავლეთის მონასტრებს. „ეგრძოთა ელადისათა და მთაწმიდას, ეგრეთვე მაკედონისათა პეტრიწონს, ეგრძოთა თრაკიისათა და კოსტანტინეპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან, კუალად ისავრიას, კურუსესთ, და ყოველთა მათ სანახებთა შავისა მთისათა და კვპრისათა. ესე ყოველნი აღაგნსა ქველის საქმითა“²⁵⁰; ზემოთ დავიმოწმეთ ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ თამარმა „საბერძნეთისა მთაწმიდისა, იერუსალემისა და შავ-მთისა საყდარნი და ეკლესიანი რომელნიმე დარღუეულნი აღაშენნა, [რომელნიმე] მათითა საფასოთა დაიქსნნა ხარკისაგან უცხოთესლთასა“²⁵¹.

გარკვეულ ინტერესს იწვევს მემატიანის თხრობა თამარის მიერ ქართული სავანეებისათვის შეწირულების წარგზავნის, ბიზანტიის იმპერატორის მიერ ამ განძეულობის მიტაცებისა (რომელიც ალაბთა ჩვენებას ეხმაურება) და ქართველთა საპასუხო მოქმედების შესახებ.

„მოიწინეს ოდესმე ჩუეულებისაებრ ქველის-მოქმედებათათჳს ამისთა მონაზონნი შავისა მთისა, ანტიოქიით და კვპრის ქალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და მრაველთა ადგილთათ. შეიწყნარა თამარ ჩუეულებისაებრ ვითარ ანგელიოზნი, და მრავალ დღე არა გაუშვნა. მერმე მისცნა ყოველთა დიადი, და აღაგნსა ყოვლითა საქმრითა. უკანასკნელ მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თჳთ მათჳს და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად. წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწიენეს რა კოსტანტინეპოლედ, ესმა მეფესა ბერძენთასა ალექსისს, ანგარსა ... იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და წარულო მათ მონაზონთა.

ცნა რა ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხვნა ეშმაკი. ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, და წარუდეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინობი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლადონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თჳსსა ალექსისს კომნიანოსსა“²⁵².

მემატიანის სიტყვით, ქართველ მოღვაწეებს თამარის მიერ ბოძებული განძი წართვა იმპერატორმა ალექსი III ანგელოსმა (1195—1203), რომელიც ცნობილი იყო თავისი ბოროტებითა და ანგარებით. თითქოს ამან გამოიწვია საქართველობიზანტიის კონფლიქტი; თამარი თითქოს ალექსის მოქმედებამ განარისხა და გან-

ძის მიტაცებამ აამოქმედა. რასაკვირველია, ასეთი გულუბრყვილო ახსნა სწორი არაა. სინამდვილეში თამარმა დროულად გამოიყენა შექმნილი ხელსაყრელი ვითარება, ისარგებლა ბიზანტიის დასუსტებით და განამტკიცა საქართველოს დასავლეთი საზღვრები, რისთვისაც დააარსა ტრაპიზონის იმპერია და იქ სასურველი კანდიდატი გაამეფა. საქართველოს გარეთ არსებულ სავანეთა წარმომადგენლები-საივის განძის წართმევა (ალექსი III ანგელოსის მიერ) მხოლოდ საბაბი იყო, თამარის მიხედრობის მოქმედებას უფრო არსებითი მიზეზი განაპირობებდა, მაგრამ თამარმა აღნიშნული საბაბი დიპლომატიური ოსტატობით გამოიყენა²⁵³.

ივერთა მონასტრის მომდევნო ხანის ისტორია ნაკლებადაა ცნობილი. შეგვიძლია მხოლოდ რამდენიმე ფაქტის დამოწმება.

1229 წელს მონასტერს ეწვია და იქაურ ღვთისმშობლის ხატს ეთავყვანა საბასერბი²⁵⁴.

1259 წელს ათონის ნახევარკუნძული, კერძოდ, იქაური მონასტრები დაარბიეს ჯვაროსნებმა²⁵⁵. მომხდურ მტერს ვერც ქართული სავანე გადაურჩა. ერთი ძველი წყაროს ცნობით, „საფრანგეთით მომავალნი ავაზასებრ ზემოთქუმულსა მონასტერსა ზედა დაესხენ და მოაოხრეს და თუ ითქუმის, უმკვდროდ და იავარყოფილად დაუტევეს და ყოველნივე სამღვდლონი ქურჭელნი და შეწირულებანი და ანუ რაჲცა სამსახურებელად მონაზონთა იყვნენ, ნატყუენავ-ყვეს და არარაჲსა დამტყეებელნი უწარჩინებულესსა ამას მონსტერსა შინა, გარნა მხოლოდ საყოფელისა უღაბნო და იავარყოფელნი წარვიდენ. მონაზონნი უკუე ვიეთნიმე მოაშთვეს და სიკუდილისა საქმე ყვეს, ხოლო სხუანნი დევნეს და მეოტ-ყვენეს“²⁵⁶.

დარბეულ-გაძარცულ მონასტერს დროულად დაეხმარა ბიზანტიის ხელისუფლება; რადგან „მონასტერი დარბეულ იქმნა ლათინი ყაჩაღების მიერ და მონაზვნებიც დაიფანტნენ, გარდა ამისა, ფირალებმა სიველ-გუჯრებიც მოსპეს“, იმპერატორმა მიხეილ VIII პალეოლოგოსმა (1258—1282) იგი გაათავისუფლა გადასახლებისაგან და დაუმტკიცა ძველი სამფლობელოები (რადოლინი, დოვრენიკია, მელინიძიანი, იერისო და სხვ.)²⁵⁷.

XIII საუკუნის 80-იან წლებში ათონი ერთხელ კიდევ დაარბიეს ლათინებმა, რომელთაც ბერებს კათოლიკობის მიღება და რომის პაპის უზენაესობის აღიარება მოსთხოვეს. ათონელები არ დაეთანხმნენ მოძალადეთა წინადადებას, რის გამოც სასტიკად დაისაჯნენ: ქართველები იტალიაში წაიყვანეს, სხვები კი ზღვაში დაახრჩვეს²⁵⁸. ამ ძალადობას მიხეილ VIII პალეოლოგოსის ზეობის ბოლო წლებით ათარილებენ — ე. ი. იმ პერიოდით, როდესაც იმპერატორი მტკიცედ იყო დაკავშირებული რომის პაპთან და სხვებსაც აძლებდა კათოლიკობის ცნობას²⁵⁹. სულ მალე, როდესაც ტახტზე ანდრონიკე მეორე (1282—1328) ავიდა, მან ივერთა სავანეს სავანეებო სიველით (1283 წ.) დაუდასტურა აღრინდელი უფლებები და დაუმტკიცა ძველი მამულები²⁶⁰.

XIV საუკუნის დამდეგს ათონი რამდენჯერამე იქცა მომხდური მტრის სათარეშო არენად. 1304 წელს იქაური მონასტრები დაარბიეს თურქებმა, 1306 წელს—

კატალონიელებმა, 1308 წელს — არაბებმა. რასაკვირველია, არც ქართველებს დაადგებოდათ კარგი დღე. მართლაც, არაბმა პირატებმა უმოწყალოდ გაძარცვეს ქართული სავანე და მთავარი ტაძრის დანგრევაჲ ეი განიზრახეს, მაგრამ მარმარილოს სვეტები ადგილიდან ვერ დაძრეს და გუმბათიანი ნაგებობის ჩამოქცევა ვერ მოახერხეს²⁶¹. ჩანს, ერთ-ერთი ზემოდასახელებული ფაქტი ივულისხმება ძველ წყაროში, რომელშიც მონასტრის ლათინთაგან დარბევის აღწერის შემდეგ აღნიშნულია: „მცირეოდენ შემდგომად კუალად აღშენებულ და განახლებულ რა იქმნა, მყისვე აგარიანთაგან მსგავსნი ანუ უძკრესნიცა შეემთხვნა, ვინაჲ მცირეოდენ უკუნაჲსკნელსა ვიწროებასა და მონაზონთა იშკობასა შეეყენა, ვითარცა კეთილ-რიცხუენი ვინმე დაშთენ მას შინა მკვდრნი“²⁶².

1310 წელს საგანგებო სიგელით ქართველთა მონასტერი განთავისუფლდა „თესალონიკისა და სერეს თემთა მოხელეების შეჭრისაგან, ისევე როგორც ეპისკოპოსთა და ამ მხარის სხვა მაღალი თანამდებობის პირთა ჩარევისაგან“, აგრეთვე მრავალი სხვადასხვა გადასახადისაგან და ერთხელ კიდევ დაუმტკიცდა მამულები (მელინძიანე, იერისო და ა. შ.)²⁶³.

1320—1324 წლებში თურქი პირატები არბევდნენ და ძარცვავდნენ ათონის სავანეებს²⁶⁴.

1345 წლიდან ათონის მთა ერთხანს სერბიის მეფის სტეფანე ლუშანის (1331—1358) ხელთაა (ამ უკანასკნელმა სერბია გააფართოვა ბიზანტიის ხარჯზე, ბევრი მხარე დაიმორჩილა, კერძოდ, ათონის მთა). 1346 წლის საბუთიდან ჩანს, რომ მას ივერთა მონასტერი გაუთავისუფლებია გადასახადებისაგან, მისთვის დაუმტკიცებია მამულები და ა. შ.²⁶⁵ ამ პერიოდში იქ წინამძღვრად ყოფილა ქართველი მოღვაწე, რომელიც სხვა სავანეთა საქმიანობაშიც მონაწილეობდა (ამის დამადასტურებელია ათონის პანტელეიმონის მონასტრის 1348 წლის ერთი საბუთი, რომელსაც ხელს აწერს „ცოდვილი იოანე მღვდელ-მონაზონი, წინამძღვარი ქართველთა მონასტრისა“²⁶⁶).

XIV საუკუნის შუა წლებში ივერთა მონასტერი ჭერ კიდევ მდიდარი იყო. იგი მამულებს ფლობდა მრავალ კუთხეში. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ იოანე კანტაკუზენის (1347—1354) ხრისობულები 1351 წლისა. მათში აღნიშნულია, რომ ქართველთა მონასტერმა „მთაწმიდის მიდამოებში, მის გარშემო და დანარჩენ სხვადასხვა ადგილას მოიპოვა სენაკები, მცირე მონასტრები და სოხასტერნი და დანარჩენი სხვადასხვა ნაგებობანი“. იმპერატორმა ქართულ სავანეს დაუმტკიცა მამულები, შენობები, გლეხები (გაპარტახებული მელისურგიონი, სახნავი მამული პროავლაკასი, იერისოს მეტეხში კოშკი მისი მიდამოთი და იქ არსებული საბეგრო გლეხებით, თავისუფალი გლეხებით და ნავსადგურით, წყლის წისქვილი არსენიკიაში, იოანე წინამორბედის მცირე მონასტერი ლემატონი. მცირე მონასტერი სერეში მისი კუთვნილი წისქვილებით, ვენახებით და კუთვნილი საბეგრო და თავისუფალი გლეხებით, მცირე მონასტერი დრობესენაში, მცირე მონასტერი — „წმიდა იერუსალიმი“ ერმილიაში, მამული კალამარიაში და

სხვ.). როგორც ჩანს, ათონზე მოღვაწე ქართველმა ბერებმა დახმარებისათვის მიმართეს იოანე კანტაკუზენს და მანაც — ძველი საბუთების საფუძველზე — გასცა საგანგებო ხრისობულები, ქართველებს შეუსრულა საწადელი, დაუმტკიცა ყოველივე ზემოაღნიშნული და გაათავისუფლა გადასახადებისაგან²⁶⁷.

მიუხედავად ამისა, მონასტერში მდგომარეობა თანდათან გართულდა, ბერძენ-ქართველთა ურთიერთობა გამწვავდა, ბერძენთა მანკებლური ტენდენცია სულ უფრო შესამჩნევნი გახდა. დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით XIII საუკუნის გასულრიდან, როდესაც საქართველოს პოლიტიკური ძლიერება თანდათან ძირს ეშვება, ქართველთა რიცხვი აქ შესამჩნევად კლებულობს (კ. კეკელიძე). ამასთანავე, მომრავლებული ბერძენები აქტიურად ამოქმედდნენ, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისათვის ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. მოძალადეებმა მიიმხრეს არა მარტო ათონის მონასტრების საბჭოს თავკაცები — პროტები, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქი კალისტე პირველი (1350—1363), რომელმაც დაამყარებინა ბერძენთა პრეტენზიები და საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა.

კალისტემ ქართველთა კანონიერი უფლებები უგულვებელყო, დამსახურება და ღვაწლი დაივიწყა და მათ ერთგვარი ბრალდებებიც კი წაუყენა. მისი მტკიცებით, ქართველები უსაფუძვლოდ იჩემებდნენ პირველობას, დაუმსახურებლად ავიწროებდნენ ბერძენებს და თვით კი არ შეეძლოთ მონასტრის მართვა, სამისო ძალა არ შესწევდათ. მისი დასკვნით, სულიერად ამაღლებულსა და რიცხობრივად გამრავლებულ ბერძენ მოწესეს რაზმს უფრო შეეფერებოდა სავანის მესვეურობა; ამიტომ მან ქართველებს ჩამოართვა მთავარი საკრებულო ტაძარი, აუკრძალა მონასტერში პასუხსაგებ თანამდებობათა დაკავება და სამოღვაწეოდ პატარა ეკლესია მიუჩინა²⁶⁸.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ამიერიდან ქართველებმა საბოლოოდ დაკარგეს მონასტერი. ეს სწორი არაა. რასაკვირველია, იმის თქმა აღარ შეიძლება, რომ ქართველები კვლავ ფაქტიური ბატონ-პატრონი იყვნენ სავანისა, მაგრამ ჭერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ იყო.

ბერძენთა მიერ ქართული სავანის ხელში ჩაგდება ერთბაშად არ მომხდარა და კალისტეს გადაწყვეტილებით არ დაგვირგვინებულა. ბერძენები თანდათან ეუფლებოდნენ მას და მხოლოდ გვიან—XIX საუკუნეში მიაღწიეს საბოლოო გამარჯვებას. ამჯერად—XIV საუკუნის შუა წლებში²⁶⁹ — მათ მხოლოდ დროებითი წარმატება მოიპოვეს, მაგრამ, როგორც ჩანს, კალისტეს გადაწყვეტილება ბოლომდე არც მაშინ განხორციელებულა. ეს არცაა გასაკვირი: მონასტერი პატრიარქს არ უბოძებია ქართველთათვის და, ბუნებრივია, არც ჩამორთმევის უფლება ჰქონდა. მართალია, იქ ბერძენები სჭარბობდნენ, მაგრამ ფაქტიურად იგი მაინც საქართველოს კუთვნილებად იგულისხმებოდა და ნომინალურად ასეც ითვლებოდა.

საგულისხმოა, რომ კალისტე, რომელმაც წინამძღვრობის უფლება ჩამოართვა ქართველებს, 1363 წლიდან პატრიარქად აღარაა, ხოლო ქართველები კვლავაც ჩანან წინამძღვრებად (მაგალითად, 1363 წლის ერთ ათონურ საბუთს ქართუ-

ლად აწერს ხელს „მამა ქართველთა მონასტრისა დიმიტრი“²⁷⁰, 1399 წლის საბუთსაც კჳონია ქართველი წინამძღვრის ხელმოწერა²⁷¹, 1513 წლის დოკუმენტზე, რომელიც ზოგრაფისა და კასტამონტის მონასტრების ურთიერთობას ეხება, ყოფილა ქართველი წინამძღვრის ხელმოწერა²⁷²).

მონასტრის ქართველთადმი კუთვნილებით აიხსნება ისიც, რომ გაქირვების დროს იქაური ქართველები თანამემამულეებს მომართავდნენ და ქართველი მეფე-დიდებულებიც (ყვარყვარე და მზექაბუკ ათაბაგები, ლევან კახთა მეფე, აშოთან მუხრანბატონი, ერეკლე მეორე და სხვ.) შეძლებისდაგვარად მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ. არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ გვიანი ხანის ქართველი მოღვაწენი (ამბროსი სამცხელი, აკაკი მონაზონი, ფ. შაქარაშვილი და სხვ.) ივერთა სავანეს „ჩუენ მონასტრად“ იხსენიებდნენ.

ყოველივე აღნიშნული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კალისტეს ტენდენციურმა გადაწყვეტილებამ ბერძნებს საბოლოო გამარჯვება ვერ მოუტანა და ქართველებს თავიანთ ძველ სავანეზე ხელი ვერ ააღებინა²⁷³.

1419—1420 წწ. ათონის მთაზე იყო და იქაური მონასტერი გაიცილა რუსმა მოღვაწემ ზოსიმემ, მაგრამ საკუთრივ ქართველებზე მას არაფერი დაუწერია²⁷⁴.

ტ. გაბაშვილის ცნობით, მონასტერში „სასნეულო და მისა კერძო გოდოლნი და სენაკნი განუახლებია მეფესა ალექსანდრეს ქართველსა, რუისის საყდრისა კარზედ რომ მეფე ალექსანდრე სწერია, იმას“²⁷⁵, — ი. საქართველოს მეფეს ალექსანდრე პირველს (1412—1443). როგორც ჩანს, ალექსანდრე მეფის „აღმშენებლობითი მოღვაწეობა მართო სამშობლო ქვეყნის მიწა-წყალს არ შეკახებია, არამედ მისი მადლიანი ხელი და კეთილდღეობისათვის მზრუნველი გული უტხოეთში გაფანტულ დაწესებულებებსაც მისწვდომა“²⁷⁶.

1453 წელს დაემხო ბიზანტიის იმპერია. თურქებმა ხელთ იგდეს კონსტანტინოპოლი, დაიპყრეს ათონის მთაც და დაარბიეს იქაური სავანეები; მთაწმიდა, სადაც ძველთაგან ქალებს ეკრძალებოდათ ფეხის დადგმა, სულთნის დედის საკუთრებად გამოცხადდა²⁷⁷. გასაგებია, რომ ამიერიდან ათონის მთაზე მოსახლე ქართველთა ცხოვრება კიდევ უფრო გაძნელდა, ხოლო XV საუკუნის უკანასკნელ წლებში აუტანელი გახდა. მტრის მრავალგზისმა თავდასხმამ, უმოწყალო ძარცვამ და დაუნდობელმა რბევამ ქართველთა სავანე დაასუსტა და დააუძლურა. ცხადი გახდა, რომ სამშობლოდან დახმარების მიუღებლად ათონელი ქართველების ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება და გაპარტახებული სავანის აღდგენა შეუძლებელი იყო. რადგან სხვა გზა არ ჩანდა, ქართველმა მოღვაწეებმა თანამემამულეებს მომართეს და დახმარების სათხოვნელად საქართველოში წარმომადგენლები გამოგზავნეს.

1492 წელს ათონელი ბერები ჩამოვიდნენ საქართველოში, ეახლნენ სამცხის ათაბაგს ყვარყვარე მეორეს (1451—1498), გააცნეს ათონზე შექმნილი მძიმე მდგომარეობა და დახმარება სთხოვეს. ის „კეთილ მსმენელ ექმნა და შეეწია მათ“²⁷⁸.

სამცხის მფლობელები შემდეგ ხანაშიც გულუხვად ეხმარებოდნენ ათონს და საგანგებო პირების ხელით ძვირფას შესაწირავს უგზავნიდნენ²⁷⁹. ზემოთ რამდენჯერმე დამოწმებული წყაროს ცნობით, ყვარყვარეს გარდაცვალების შემდეგ მისი ძენი — „ქაიხოსრო და მზექაბუჯ, კეთილმსახური მეფენი და ბატონნი, ღიდად შეეწინენ მონასტრისა... აღდგინებასა და მისთა სანოვაგეთა და სადგურთაცა და დაცემულნი და გახრწნილნი გოდოლთა და სენაკთან ილაგეს და წარმართეს... ღიდად გოდოლიცა მაშინ აღეგო და საფუძველითგან აღშენებულ იქმნა და ეკლესიისა გუმბათინი და გარე კარისბჭე და სხუანიცა ყოველნი სასარგებლონი საქმარებელნი აღმზადებულ იქმნენ“²⁸⁰.

ქაიხოსრო (1447—1500) ყვარყვარეს შემდეგ მალე გარდაიცვალა და ჩვენთვის სულ ნათელი არაა, თუ კონკრეტულად რა ხასიათის დახმარება გაუწია მან ათონს. რაც შეეხება მზექაბუჯს, რომელიც 1500—1515 წლებში განაგებდა სამცხეს, მისი დახმარება ათონისადმი სხვა მასალითაცაა ცნობილი. აქ ერთხელ კიდევ უნდა მოვიხსენიოთ ქაიხოსროს აღზრდილი მხატვარი და კალიგრაფი ამბროსი, რომელიც მზექაბუჯმა წარგზავნა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქართულ სავანეებში. თუ რა სამუშაო შეასრულა ამბროსიმ (მზექაბუჯის დავალებით) მთაწმიდაზე, ეს კარგად ჩანს ერთი აღაზიდან, რომელშიც შემდეგს ვკითხულობთ: „მე, სავაგლანო, აღზრდილი კურთხეულისა და სულდღებულისა პატრონის ქაიხოსროსი, ამბროსი, წარმომავლინა პატრონმან ძმამან მათმან მზექაბუჯ სრულად საბერძნეთად, იმერუსალიმს და სინასცა მრავლითა საქონლითა. დაუწყეთ გაცემა ტრაპიზონტით კოსტანტიპოლიმდის და კოსტანტიპოლითგან ვიდრე ამა წმიდასა მთამდე, და მოვლეთ ყოველნი მთისა ამის მონასტერნი, სადაყუდებულონი და მესენაკენი, და წესისაებრ მოვაკსენეთ მოსაკსენებელი და სალოცავი, და სრულად ელადისა და მაკედონის თემსა მონასტერთა, მიტრაპოლიტთა, ეპისკოპოზთა, ხუცესთა, გლახაკთა და ტყვის უფალთა, ყოველთავე ზედა ღიადი გავეციეთ, ეგრეთვე ჩუენსა ამას მონასტერსა მოვაკსენეთ ოცდახუთი ათასის ოთმანურისა, ზოგი ფლურად და ზოგი თეთრად“ (ალაპი № 162).

როგორც სხვა ალაპის ჩვენებითაც ირკვევა, ამბროსი მართლაც უხვად დაეხმარა მონასტერს: „პორტაიტისა ღვთისმშობლისა ხატი“²⁸¹ მოქედა ძძიმედ, მისსავე ეკლესიასა ზედა პირლო აღაშენა და გაამაგრა თოფითა, და საუძლურე აღაშენა მისით აკაზმულობითა, და ღომატო მეტოქი მისი წყალობით აშენდა“ (ალაპი № 163).

ყვარყვარე II ათაბაგის ოჯახის დახმარება მონასტრისადმი ზემოთქმულით არ ამოიწურება. შეიძლება დავიმოწმოთ კიდევ ერთი ალაპი (№ 164), რომელიც გეაქნობს, თუ რა მოიმოქმედა ამ ოჯახმა ყვარყვარეს ვაჟის ბაადურის (1453—1474) უდროოდ გარდაცვალების გამო—რა სახის დახმარება აღმოუჩინა ქართულ სავანეს. სამცხიდან ათონს მისული ქართველი მონაზონი აკაკი და ბერძენი მღვდელ-მონაზონი სვიმონი, — მათი სახელით დაწერილ ალაპში, — გვაუწყებენ, რომ ბაადურის გარდაცვალების შემდეგ „ღიდებულთა მშობელთა და ძმათა... თვისსავე

თემსა და ქუეყანასა თანა უცხოთა ქუეყანათა უხუდად მოჰფინეს საქსენებელი და სალოცავი, ვითარ იგი იძრუსალმის და სინაჲსცა... ჩუენ მოგუტეს საქონელი და წარმოგუავლინნეს საბერძნეთისა ქუეყანასა, და წარმოვედით და, ვითარცა ჭერი-იყო, განვჰყოფდით ებისკოპოზთა, მონაზონთა, მღვლეთა და გლახაკთა ზედა—ტრაპიზონთასა კონსტანტინეპოლედმდე და ვიდრე ამა წმიდად მთამდე, და მოვლეთ ყოველი მითის ამის მონასტერი და წესისაებრ მოვაქსენეთ მოსაქსენებელი და სალოცავი და ეგრეთვე განვიცადეთ ჩუენი ესე მონასტერი, რამეთუ ყოველთაგან უმეტეს დაგლახავებულიყო და ეკლესია ფრიად დაძულებულიყო, და სენაკები და ზღუდენი და პირლოსნი უმეტესნი დაქცეულიყვნენ და ფრიად უნუგუემინის-ცემოდ გასრულიყო. და ამას, ესევეითარსა უპოვარებნასა შინა, მოვაქსენეთ ამა ჩუენსა მონასტერსა ოცი ათასის ოთმანურისა, რომელიმე ფლურად და რომელი-თერთად, და ეგრეთვე ორნი ცხენნი“²⁸².

ქართველთა დანმარებამ და შეწირულებამ XVI საუკუნის დამდევისათვის რამდენადმე შეცვალა ათონელთა მდგომარეობა. გაჩაღებულ აღმშენებლობით საქმიანობას და დანგრეულ ნაგებობათა აღდგენა-განახლებას ბუნებრივად მოჰყვა მოღვაწეთა გამრავლება: „მონასტერი განძლიერებულ იქმნა არათუ მხოლოდ შესამატებითა და შეწირულებითა, არამედ მოგებითაცა სასარგებლოთა მამაკაცთა და სულიერთა და ქველისმოქმედთა მამათა“.

გასაგებია, რომ ათონზე ქართველთა მომრავლებას და მოღონიერებას განაპირობებდა ის გარემოებაც, რომ წინამძღვარი, რომელიც ამ პერიოდში განაგებდა ივერთა მონასტერს, ქართველი იყო (როგორც აღვნიშნეთ, მისი ხელმოწერა შემოუნახავს 1513 წლის საბუთს). სწორედ ამ დროს (1511 წ.) მივიდა იქ თეოდოსოს მღვდელმონაზონი, რომელიც კ. კეკელიძის ვარაუდით, ქართველი მწიგნობარი უნდა იყოს. მან შენიშნა წიგნსაცავის ნაკლებოვანება, ამიტომ „მრავალნი წიგნნი“ აღწერა და შესწირა მას (1514 წ.): მანვე ბერძნულ ენაზე აღწერა ქართული სავანის ისტორია 1259—1514 წლებისა. მისი ქრონიკა, ისე როგორც გაგრძელება (—1592—1626 წწ. და 1659—1674 წწ. ისტორია ივერთა მონასტრისა), რომელიც ბერძენ მოღვაწეებს დაუწერიათ, XVII—XVIII საუკუნეებში ითარგმნა ქართულად ასეთი სახელწოდებით: „მოთხრობაჲ უმშუენიერესი მონასტრისათჳს ივერთაჲსა, რომლისა თანამდებ არიან ცნობად ყოველნი მონაზონნი“²⁸³. იგი მრავალსაყურადღებო ცნობას შეიცავს, რის გამოც ზემოთ არაერთგზის დავიმოწმეთ.

ქართველთა აღმშენებლობითი საქმიანობა ათონის მთაზე მომდევნო ხანაშიც გრძელდებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა ლევან კახთა მეფისა (1520—1574) და მისი ძის ალექსანდრეს (1527—1605) მიერ ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები ფილოთეოსის მონასტერში²⁸⁴. მათ „წარუგზავნიათ და თვისითა საფასითა აღუშენებიათ“, განუახლებიათ ტაძარი, რომლის კედელზე ლევანი „ხატია ტანითა მომალლო, მოხუცებული, მწითური, ცხვირკავი, თმითა და წვერითა სპეტაკი, მოსილი გვირგვინითა და პოდირითა; ხოლო ალექსანდრე მეფე—პასაკითა მცირე, შვენიერი სახილავი, თმითა მოშავო, მოსილი იგიცა გვირგვინითა“²⁸⁵. ლევანი ესმა-

რებოდა ივერთა მონასტერსაც²⁸⁶. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლევანი მრავალმხრივ აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა იერუსალიმში 1538 წლის ახლოს. ფილოთეოსის მონასტრის აღდგენასაც დაახლოებით ამ ხანაში ჰქონდა ადგილი.

XVI საუკუნის 40—50-იან წლებში ათონზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ გოკევეით არაფერი ვიცით. მართალია, ათონზე ზოგიერთი ცნობა შემოგვინახეს ფრანგმა პ. ბელონმა—1553 წ.²⁸⁷, რუსმა იოაკიმმა—1561 წ.²⁸⁸ და სხვებმა, მაგრამ მათ ჩანაწერებში ქართველთა შესახებ არაფერია ნათქვამი.

მომღევეო ხანაში ივერთა მონასტერს დროდადრო კვლავ ეხმარებოდნენ ქართველები. მაგალითად, 1562 წელს ბასილ ქუთათელმა შესწირა გლეხები²⁸⁹; 1567 წელს ათონის მთას ეწვია ბილიგრიმი ფილიპე შაქარაშვილი, რომელმაც, როგორც აღვნიშნეთ (გვ. 118), პატრონის მიერ მიცემული თანხით დიდი დახმარება აღმოუჩინა იერუსალიმის სავანეებს. იგი პალესტინიდან მივიდა ათონზე და იხილა რა მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქართული ტაძარი, შეძლებისდაგვარად დაეხმარა მას. ამის თაობაზე, ფ. შაქარაშვილის ჩანაწერში შემდეგს ვკითხულობთ: „წარმოვედ წმიდით ქალაქით და წმიდასა ამას მთასა ათონისასა მშკვლობით მოვიწიე მონასტერსა ამას ცათა მობაძავსა ქართველთასა; ვიხილე ეკლესია სასოდასა ჩუენისა პორტიკისა ლუთისმშობლისა ფრიად ძუძლი და მოშლილი, დაქცეული, ცუარისა და წმისა არა დამჭირველი. ასის დრაჰენის ოქროს მქონდა, შეგვებუწვე მამასა და ყოველთა ძმათა, თუ: ეს „აღმაშენებით თამაზის სულისათჳს“ — მეთქი. გაცვალეს ოქროს და ესე ყოველად წმიდისაჲ ეკლესიაჲ ახლად აღვაშენებინე და ტყუთა გარდავაბურეინე“²⁹⁰.

XVI საუკუნის დასასრულიდან ათონის ისტორიაში შესამჩნევია ერთი გარემოება: რუსეთის საერო თუ სასულიერო ხელისუფლება მეტ ყურადღებას უთმობს ათონის მთას. ამ დროისათვის რუსებს შეუძლებელია აზრი, რომ ისინი იყვნენ ბერძნების მემკვიდრენი და მათ ევალებოდათ აღმოსავლეთში ქრისტიანობის დაცვა-მფარველობა²⁹¹. ამით აიხსნება რუსთა მეფეების მიერ ივერთა სავანისათვის დახმარების აღმოჩენა 1584—1586 წლებში²⁹². მაგრამ ასეთმა ეპიზოდურმა დახმარებამ მდგომარეობა არსებითად ვერ შეცვალა. მას შემდეგ, რაც სულთან სელიმმა ათონის ყველა მონასტერს ჩამოართვა მამულები (1568 წ.)²⁹³, ბერმონაზონთა მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე მძიმე და აუტანელი იყო. „დიდსა გაჭირვებასა და ვიწროებასა შინა“ იყო ქართველთა მონასტერიც, რომელიც „მრავალსა ვალსა შეეყენა აგარიანთაგან“. იქაურმა მოღვაწეებმა თანამემამულეებს მომართეს, კერძოდ, ჩვენს მიერ უკვე მოხსენიებულ ვახთა მეფე ალექსანდრეს, რომელსაც „კლიტენი მონასტრისანი“ გამოუგზავნეს და დახმარება სთხოვეს. ალექსანდრემ დავალიანებულ მონასტერს 12000 ოქრო გაუგზავნა. ივერთა მონასტრის ბერებმა აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში შეკრიბეს შეწირულება და თავიანთი სავანე გაათავისუფლეს „უმიმძისისა ვალისაგან“²⁹⁴.

საგულისხმოა, რომ ივერთა მონასტერს ქართველებსა და რუსებთან ერთად სხვანიც ეხმარებოდნენ. მაგალითად, XVI საუკუნის მიწურულსა თუ XVII საუკუნის დამდეგს (დაახლოებით 1592—1610 წლებში) მას დაეხმარა უნგრო-ვლახეთის მთავარი მიქაელ მეორე (მისი სახსრებით მოუხატავენ ქართული ტაძარი საქართველოდან მიწვეულ მარკოზ მღვდელ-მონაზონს)²⁹³.

XVII საუკუნის მასალების გაცნობით ცხადი ხდება, რომ თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ივერთა მონასტერში გრძელდებოდა აღდგენით-აღმშენებლობითი სამუშაოები. კერძოდ, იქაურმა მოღვაწეებმა ააშენეს სენაკები (1604 წ.) და „ახალი სასნეულოა ზემო ნავთსაყუდელსა სახლსა“ (1610 წ.); „გააკეთეს მხატვრობა და წმიდა ტრაპეზი, სათაზმე და კარისბქე და კამარები“ (1614 წ.); გამოიყენეს წყალი და „გააკეთეს ორი წყაროცა გარე“ (1617—1619 წწ.); ააშენეს კამარები საწინახელთათვის (1620 წ.) და ნავთსაყუდელსა სახლი კამარები“ (1670 წ.); აკრთვე კამარები ტრაპეზში (1672 წ.), დაახტვიენს ორი ეკედერი (1674 წ.) და ა. შ.²⁹⁸ მართალია, ყველა დასახელებული სამუშაო ბერძენი წინამძღვრების ზეობაში შესრულდა (გაბრიელ ათონელის, პართენიოს ხუცესის, დანიელ გორომელის. იერემია კონსტანტინოპოლელისა და სხვათა), მაგრამ ზოგი მათგანი საქმოდ დახსლოებული იყო ქართველობასთან. მაგალითად, გაბრიელ ათონელზე ათონურ წყაროში აღნიშნულია, რომ ის „მოვიდა ივერით“.

ათონელი მოღვაწენი აღნიშნულ აღმშენებლობით სამუშაოს ზოგჯერ საკუთარი სახსრებით, ხშირად კი სხვა პირთა (კოზმა მიტროპოლიტის, გიორგი ფოკას, დიონისე პატრიარქისა და ა. შ.) დახმარებით აწარმოებდნენ. შემონახული ცნობებით დასტურდება, რომ ამ საუკუნეში ქართველთა დახმარება ათონისადმი უმნიშვნელო არ ყოფილა. დავიმოწმებთ რამდენსამე ცნობას.

1. 1604 წელს, — გაბრიელ ათონელის წინამძღვრობისას, — ივერთა მონასტრის ბინადრებმა სხვა თანხასთან ერთად გამოიყენეს „საქართველომსგან“ მიღებული „წარსაგებელი“ და იმით ააგეს სენაკები²⁹⁷:

2. 1619 წელს, — იმავე გაბრიელ ათონელის წინამძღვრობისას, — მათ გამოიყენეს წყალი და „გააკეთეს ორი წყაროცა გარე“; „წარსაგებელი იყო საქართველომთგან და წარგებულ იქმნა დასაწყისითგან ვიდრე აღსაქრულამდე ხერთო მუშათა და სხუათა ზედა საქმართა თეთრი რიცხვთ სამეოცი ათასი, ესე იგი არს ექუსათეულგზის ათასი, გარდა იმისა რაოდენიცა სკამეს და სუეს“²⁹⁸. წყლის გასაყვან სამუშაოზე ქართველებს რომ ხარჯი გაუღიათ, ეს კარგადაა ცნობილი წყალსაცავის ბერძნული წარწერითაც, რომლის ჩვენებით, წყალი გაყვანილია სერმაზან (შერმაზან) ქართველის (და ნიკოლოზ ვალახიელის) თანხით 1619 წელს, გაბრიელ წინამძღვრის დროს²⁹⁹.

3. ერთი საბუთის ჩვენებით, თეიმურაზ I „არა დაცხრომილა... შენებად ეკლესიათა ამ საქართველოს ქვეყანასაც და საბერძნეთის ქვეყანასაც; მიუძღვენებია შესაწირავი ეკლესიათათვის, მრავალნი თვალნი, მარგალიტნი, ოქრო და ვერცხ-

ლი და სოფლებიც შეუწირავს კახეთიდან ჭვარის ეკლესიისათვის იერუსალიმს და წმიდის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის მთაწმიდას³⁰⁰.

4. 1642 წელს ივერთა მონასტერს გლეხები და მამული შესწირა მარიამ დედოფალმა—როსტომ მეფის (1638—1652) მეუღლემ³⁰¹.

5. ძველი ათონური წყაროს ცნობით, 1672 წელს მოხატეს სატრაპეზო და მასში გააკეთეს კამარები. „წარსაგებელი იყო საქართველოდთგან უგანათლებულესისა ბატონისა აშოთანისა“³⁰².

6. ამავე აშოთანმა (—მუხრანბატონმა) 1680 წელს მონასტრის კარბიჭქესთან ააგო ეკლესია, რომელშიც დაასვენა ღვთისმშობლის ხატი. 1683 წელს ტაძარი მთლიანად მოახატინა უნგრეოვლახელმა მთაყარმა იოანე სერბან კანტაკუზენმა³⁰³. აშოთანისეული „გუმბათიანი ტაძარი პორტაიტისა“ რამდენჯერმე იხსენიება ტ. გაბაშვილის „მიმოსლვაში“³⁰⁴. პ. იოსელიანის ცნობით, ეს ეკლესია 1849 წელს დაინგრა³⁰⁵. აშოთანი, როგორც ჩანს, სხვა სავანეებსაც დახმარებია³⁰⁶.

7. ტ. გაბაშვილის ცნობით, ათონის კარაკალის მონასტრის ტაძრის „გუმბათი და პალატი დაქცეულა და გაუახლებით და ტყვეით გარდაუქვდიათ არჩილს, იმერულთ მეფეს, გიორგის, ძმასა მისსა, და ვახტანგს, ქართველთ ბატონს, და აშოთანს. და არს დღითი დღე მათი მოკვსენება“³⁰⁷. გიორგი მეთერთმეტის დახმარება ათონისადმი დასტურდება 1678 წლის საბუთითაც³⁰⁸.

ფეიქრობთ, ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მეტი მაგალითის მოხმობა საჭირო აღარაა. მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ XVII საუკუნეში ივერთა მონასტერში ხშირად ჩადიდდნენ პილიგრიმი ქართველები. მაგალითად, 1622 წელს იქ იყო ტიმოთე იკორთელი³⁰⁹, 1630 წელს — პავლე დორიაული³¹⁰, 1640 წელს—ელისე საგინაშვილი³¹¹ და სხვ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ საუკუნეში განსაკუთრებით შეინიშნება რუსეთის დაინტერესება ათონის სავანეებით. გახშირდა რუს მოღვაწეთა სტუმრობა ათონის მთაზე და ათონელთა ჩასვლა რუსეთის სატახტო ქალაქში, შესამჩნევად გაიზარდა რუს ხელისუფალთა დახმარება მთაწმიდელთადმი და სხვ. მაგალითად, 1628 წელს მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს (1613—1645) მოსკოვში ეწვია ივერთა მონასტრის არქიმანდრიტი აკაკი და წმინდა ეგნატეს ნაწილები მიართვა³¹²; 1648 წელს რუსეთში ჩაიტანეს ღვთისმშობლის ხატის ზუსტი პირი და მოსკოვში, — ნიკოლოზის მონასტერში, — დაასვენეს³¹³; 1653 წელს კი ეს მონასტერი ივერთა მონასტრის მეტოქედ გამოცხადდა³¹⁴; 1660—1663 წლებში ათონის მთის სავანეები დაათვალიერა, იქაური მონასტრები მოინახულა და აღწერა არქ. თეოფანემ³¹⁵; 1665 წელს ათონის ბიბლიოთეკები გაიცინო და იქიდან 500-მდე ბერძნული ხელნაწერი წამოიღო რუსმა მოღვაწემ ა. სუხანოვმა³¹⁶. ამ უკანასკნელ ფაქტზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ: რუსეთის ხელნაწერი ლიტერატურის გამდიდრების მიზნით ათონს მივლენილმა ა. სუხანოვმა იქიდან სულ 498 ხელნაწერი წამოიღო, მათ შორის, 156—ივერთა სავანიდან. უკვე ეს მოწმობს ამ სავანის ბიბლიოთეკის სიმდიდრეს და წარმოაჩენს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ათონის წიგნსაცავე-

ბის ისტორიაში. თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ ა. სუხანოვის მიერ წამოღებულ ხელნაწერებში შემონახულია არა მხოლოდ ქრისტიანი მწერლების თხზულებანი, არამედ ჰომეროსის, პესოდეს, ეზოპესა და სხვა გამოჩენილ კალმის ოსტატთა ნაწერები, მაშინ კიდევ უფრო საცნაური გახდება ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკის სიმდიდრე და მრავალფეროვნება³¹⁷. უკანასკნელ წლებში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ამ ხელნაწერთა შესწავლისა და მათი მნიშვნელობის გარკვევის მიზნით (პ. ბერაძე, ბ. ფონკიჩი, ნ. ვაფრინდაშვილი და სხვ.). საგულისხმოა, რომ ჩატარებული ძიებით უკვე გამოვლინდა არაერთი საყურადღებო ხელნაწერი, ამათა-ნავე, შუქი მოეფინა ათონის ქართული საეპისკოპოსოს ისტორიის ზოგიერთ მხარეს; სახელდობრ, ნაწილობრივ დაიძებნა ექვთიმეს ხანის ბიბლიოთეკის წიგნები³¹⁸; გაირკვა, რომ XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე იქ ინტენსიურად წარმოებდა ხელნაწერთა რესტავრაცია-სისტემატიზაცია³¹⁹ და ა. შ.

ჩვენ კარგა ხანია არ დაგვიმოწყმებია ათონელ ქართველთა მწიგნობრულ-ლიტერატურული მოღვაწეობის მაჩვენებელი ფაქტი. ეს აიხსნება, ერთი მხრივ, ქართველთა საგანმანათლებლო საქმიანობის შესუსტებით, ხოლო, მეორე მხრივ, ხელნაწერი შემკვიდრეობის ნაკლები სახით მოღწევით. ამკერად მხოლოდ ერთი აგიოგრაფიული თხზულება — „თეოდორე სალოსის ცხოვრება“³²⁰ — უნდა მოვიხსენიოთ, თარგმნილი ნაწარმოები, რომელიც ხელნაწერებში ასეთი ანდერძითაა შემონახული: „მე, საქართველოს არხიმანდრიტმან იოაკიმ მთაწმიდელმან, ჩუენსა მონასტერსა შინა და ასკალოს ამფილოქეს კელიასა შინა აქუნდა და მუნ ვპოვე მამათ ცხოვრება ერთი და მას შინა ეწერა და მუნით ბერძელისა ენისაგან ქართულსა ზედა გარდმოვიღე“³²¹.

„თეოდორე სალოსის ცხოვრება“ ათონზე უნდა იყოს თარგმნილი XVII—XVIII საუკუნეებში. ფიქრობენ, რომ ძირითადად ამ წიგნით დამთავრდა ქართული ნათარგმნი აგიოგრაფიის ისტორია³²².

XVIII საუკუნეში ათონს ეწვია არაერთი მოღვაწე, რომელთაგან ზოგიერთმა აღწერა ქართველთა ძველი საგანე.

1701 წელს ივერთა მონასტერში იყო ი. კომნინი, რომელმაც ნახა იქაური სიძველენი, ჩაიწერა გადმოცემები მონასტრის დაარსებასა და დამაარსებლებზე, მოგვაწოდა ცნობები მთავარ ტაძარსა და სხვა ნაგებობებზე, საგანგებოდ მოიხსენია ბიბლიოთეკა და ა. შ.³²³

1709 წელს ასეთივე ხასიათის ცნობები შეკრიბა იქ ი. ვიშენსკიმ, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო წიგნთა სიმრავლეს და ღვთისმშობლის ხატის ლეგენდას³²⁴. აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ 1713 წელს ვენეციაში გამოქვეყნებული ნარკვევი: „მთაწმიდაზე აღმართული იბერთა საეპისკოპოსოს დაარსება და საკვირველი გამოჩენა ნეტარი ქალწულის ხატისა, რომელსაც პორტაიტისას უწოდებენ“³²⁵, რომელშიც მოცემულია ცნობები ქართული საეპისკოპოსოს დაარსებაზე, თორნიკეს გმირობაზე, ექვთიმეს მწიგნობრულ-შემოქმედებით საქმიანობაზე, ღვთისმშობლის ხატზე და ა. შ.

პირველად 1725 წელს, ხოლო მეორედ 1744 წელს ათონის მთაზე იყო ცნობილი რუსი მოგზაური ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკი (1701—1747), რომელმაც აღწერა იქაური მონასტრები. განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ივერთა მონასტერს³²⁶. არსებითად, — ლავრის შემდეგ. — ყველაზე სრულად და დაწვრილებით მან ეს მონასტერი წარმოაჩინა; სხვადასხვა ხასიათის წყაროების გამოყენებით მიმოიხილა საეპისკოპოსოს ისტორია და ქართველთა აღმშენებლობითი საქმიანობა, აღტაცება გამოთქვა მთავარი ტაძრის მშენებლების გამო, ყურადღებით გაიცნო ბიბლიოთეკა, რომელიც, მისი სიტყვით, უმდიდრესი იყო ათონზე, ნახა ძველი საბუთები და ა. შ. (ქართველთა ნაკვეთი მან შენიშნა ფილოთეოსის მონასტერშიც).

1734—1736 წლებში ათონზე იყო კათალიკოსი დომენტი ბაგრატიონი. მან გაიცნო ქართული ხელნაწერები³²⁷, გადმოიწერა რამდენიმე საგალობელი³²⁸. „საოხად სულისა და გამოხსნისათჳს მართლმადიდებელისა ქართულეთ ეკლესიისა უცხოთა ნათესავთა მონებისაგან“ შესწირა სახარება³²⁹ და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის შუა წლებში ათონის მთაზე რამდენჯერმე იყო ტ. გაბაშვილი (უფრო კონკრეტულად, ტ. გაბაშვილი ათონზე პირველად იყო 1755 წლის მიწურულიდან 1756 წლის მაისამდე, მეორედ—1756 წლის ივლისიდან შემოდგომამდე, მესამედ—1758 წლის გაზაფხულზე)³³⁰. მის იქ ყოფნასა და მუშაობაზე ზოგადად ვისაუბრებთ ზემოთ, სადაც მოვიხსენიეთ მისი მოგზაურობის აღწერილობა, რომელიც მხატვრულ-დოკუმენტური პროზისა და მეცნიერულ-ისტორიული ნაშრომის შერწყმას წარმოადგენს. ამჯერად მოვიტანთ დამატებით მასალას.

ტ. გაბაშვილმა ათონზე საქმად სრული ცნობები მოგვაწოდა. მისი სიტყვით, „ევეროპიას, ადგილსა რასმე, ზღვათა შინა, მსგავსად კუნძულისა არს მთაწმიდა, არამედ კმელითაცა აქვს სავალი... რაოდენნი მონასტერნი და სადაყუდებულო კელიანი შენ არიან და რაოდენნი ღირსნი კაცი დაწყებით ვიდრე მოაქამომდე ცხოვრობენ ღმრთისაგან დაფარულსა ამას ადგილსა... თურქნი შიშისათვის ფრანგთა და ქრისტიანეთასა მცირესაცა ძველსა ნაქცევსა სიმაგრეთა არა უტევებენ და მთაწმიდად დიდი მონასტერნი ოცი თოფითა და ზღუდებითა, ციხითა უმაგრესითა გალავნითა არიან... ამა მთისა კალთანი სავსე არს მონასტრებითა მრავლითა და ეკლესიითა ურიცხვითა. რიცხვსა იტყვიან ათას ხუთასსა ოდენ, ზოგნი — დიდნი მონასტერნი ზოგადცხოვრებულთა სამყოფი, სხვანი — მცირედნი მონასტერნი. კმასაკოფელითა ბალითა, ვენაკითა. მწირის მონაჯენითა, წიგნითა, შესამოსლითა სავსე“ და ა. შ.³³¹

ქართველმა მოგზაურმა ნახა და აღწერა ათონის მთის მრავალი მონასტერი (ლავრა, ვათოპეტი, ხილანდარი და სხვ.). ის, ერთი მხრივ, აგროვებდა და იწერდა ცნობებს მონასტერთა დამარსებლებზე, დაარსების დროსა და ვითარებაზე და ა. შ., ხოლო, მეორე მხრივ, ეძებდა ქართველთა ნაკველევს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი ცნობები ფილოთეოს მონასტერში კახთა მეფეების — ლევანისა და ალექსანდრეს აღმშენებლობით საქმიანობასა და მთავარ ტაძარში მათ პორ-

ტრეტულ გამოსახულებებზე³³². კარაკლის მონასტერში ქართველ მეფე-დიდებულთა მიერ აღდგენითი სამუშაოს ჩატარებასა და ამის გამო მათი მოსახსენებლის დაწესებაზე³³³ და სხვ.

ტ. გაბაშვილი არაერთ საეანეში შეხვდა თავის თანამემამულეებს. მაგალითად, ათონის „მღვიძარეთა დაუფლებულთა ადგილში, რომელსა უწოდიან კაფსოკალივა“, ნახა ანთიმოს ჭავაზი, გერასიმე ატოკელი, გერასიმე ფცელი, ზრისტოდულო საქარელი, გრიგოლ კახი; დიონისიოს მონასტერში — თეოდორე („სოფლისაგან უსისტყისა, ყმა საყდრისა სამთავისისა“), გაბრიელ ღვანჯითელი და სხვ.³³⁴

გასაგებია, რომ ტ. გაბაშვილმა ყველაზე მეტი ყურადღებით გაიცნო, შეისწავლა და აღწერა ივერთა მონასტერი³³⁵. იქ მისვლასა და იქაურ მოწესებთან შეხვედრას მოგზაური ასე აღწერს: „აღვედით მთაწმიდად კოკშსა და ზღვით ნავთსა-ყუდელსა რომელსამი მონასტრისასა ღამეს მას, და წარაველინენით ქაცი მონასტერსა ქართველთასა და ვაცნობეთ მისლვა ჩვენი. მსწრაფლ აღეკაზმათ ჟორნი და წარმოეგზავნათ, და აღვედით და წარვემართენით მონასტრად. და გამოჩნდა ციხე და შენებულობა მონასტრისა. და იხილვებოდა ვითა ქალაქი მთასა ზედა დაშენებული. და მიეუახლოვდით რა, შექნეს რეკა ზართა, და მოგვეგებნენ სვეოფილაკე თეოკლიტე და წინამძღვარი ნათანაელ და უმრავლესნი ღირსნი ძმანი და მამანი, ვგონებ სამასნი ოდენ“³³⁶.

გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს მთავარი ტაძრის აღწერილობა. ტ. გაბაშვილის სიტყვით, ამ ტაძარს „ეედელნი აქვს მარმარილოსა წმიდისა და ქაშანურისანი, კანკელი უცხოდ ყვაილებით და ხრახნილებით ოქროცურვებული; სალხინებელი საკურთხეველისა, ხარისხი წინამძღვრისა ოქროცურვებულნი უცხონი, ფანჯარანი თითოსახისა მინისა ყვაილებად მოჭრილი, დიდი პოლილეო და კომლნი და ქორაკანდელნი კიქისანი და ვეცხლისანი უცხონი, რამეთუ განსაკვირვებელი იყო შევნიერება ტაძრისა მის“³³⁷.

ტ. გაბაშვილმა მოიხმინა და ჩიიწერა გადმოცემები, გამოიყენა ისტორიულ-აგიოგრაფიული ხასიათის თხზულებანი (ათონელთა „ცხოვრების“ წიგნები, „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული ნაკვეთები და სხვ.), ისარგებლა ათონური ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებითა და მრავალი საინტერესო ცნობის შემცველი ალაპეზით, შეისწავლა იქაური ნაგებობანი (გიორგი წინამძღვრისა, ალექსანდრე პირველისა, აშოთან მუხრანბატონისა...), შენიშნა ქართველთა მოღვაწეობის დამადასტურებელი წარწერები (გიორგი წინამძღვრისა, ლეთისმშობლის ხატისა...) და ფრესკები (აშოთან მუხრანბატონისა, ნიკოლოზ კათალიკოსისა...), აღწერს ქართველ მეფე-დიდებულთა შეწირულებანი (ლევან კახთა მეფისა, აშოთან მუხრანბატონისა, სიმონ მეფისა, მარიამ დედოფლისა, ბაქარ მეფისა...), გაიცნო „მონაზონნი ფილოსოფოსნი: მელეტე. იოა იმ და ფილოთეოს“, განსაკუთრებული გულისყურით დაათვალიერა წიგნსაცავი. მისი სიტყვით, „წიგნის საცავსა მონასტრისასა არს ძველი ქართული წიგნი მრავალი: თარგმანი დაბადებისა: ყვალად წიგნი საშეგებელი „სამოთხე“, ღრმად თქმული და შევნიერად სოფრონის მიერ იერუსა-

ლიმელისა: და კვალად სხვანნი მოძღვრისა ამა იოანეს ბრძნისა თქმული, რომელიცა თორნიკოფილსა იოანე მონაზონსა ქართველსა და ძმასა მისსა ვარაზჭაჩეს აღუწერინებიათ: სხვა წიგნი უმილია და სხვანი მრავალნი წიგნი იპოებიან მუნ³³⁵.

ტ. გაბაშვილმა იქ სხვა წიგნებიც ნახა. მაგალითად, ბაქარ მეფის მიერ შეწირული სახარება³³⁶. როგორც ჩანს, იგი გულდასმით ეცნობოდა ქართულ ხელნაწერებს, აკეთებდა შენიშვნებს³⁴⁰, ზრუნავდა დაზიანებულ ნუსხათა აღდგენა-შენარჩუნებაზე³⁴¹ და ა. შ.

ტ. გაბაშვილმა ათონზე შეძლებისდაგვარად დაძებნა და აღნუსხა ქართველთა ნაკველავი. მან ისიც აღნიშნა, რომ მონასტერში პატივით იხსენიებოდნენ ქართველი მოღვაწენი — „იტიყოლენ „შეგვიწყალენსა“ მეფეთათვის ქართველთასა“; „ამა მონასტერსა შინა არს... შემომწირველთათვის მოკსენება: მეფეთათვის ბაგრატივანთა, დედოფალთა, ერისთავთა და თავადთა, დადიან-გურიელთა და მცირედთა კაცთათვისცა, ვისაც რამე შემოუწირავს“³⁴². ყოველივე ამის შემდეგ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ქართველი მოგზაური არას გვაუწყებს იგერთა მონასტერში ქართველთა ყოფნაზე. როგორც ჩანს, 1755—1757 წლებში, — ტ. გაბაშვილის იქ ყოფნისას, — სავენეში არც ერთი ქართველი მოღვაწე არ იყო. ეგებ ამითაც აიხსნება ის სევდანარევი კილო, რომელიც შეინიშნება ტ. გაბაშვილის სიტყვებში: „განციფრებულ იყო გონება ჩემი ამისთვის თუ ვითარ მე, ცოდვილი და უმეტეს საქართველოთა კაცთასა ბრალეული, [მაღალმან] მომიწოდა აქა, და გზათა სლვათა შინა შორეულთა და ზღვათა ღელვათაგან უვნებლად განმარინა და არა უღირს იჩინა ბრალეულისა ამისა აქა აღმოწოდება, და ღირს მიჩინა ღირსთა მამათა ჩვენთა ქართველთა ქირანახულსა და ტკივილთმოყვარებით და რულუნებით ნაღვაწსა მონასტერსა აღრაცხვა ჩემი, რომლისაგან განათლდა საქართველო წიგნთა თარგმანებითა. უკეთუ უნარჩევებისა ამისა ყოველთასა სათნო იყო აქა მოვრდომა, რადღენ უმეტესად სინდეს მეუფესა სელიერთა საქართველოთა მამათა აქა აღმოსვლა, რომელთა სრულიად დაეიწყებოდა დიდებული ესე ადგილი და არღარავინ არს მწადე აქა მოსლვად“³⁴³.

უქანასკნელად უნდა დავსძინოთ, რომ ათონზე ყოფნისას ტ. გაბაშვილი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ხელნაწერი H № 842, რომელიც ტ. გაბაშვილის „მიმოსვლის“ უძველეს ავტოგრაფს წარმოადგენს და ყურადღებას იპყრობს მოცულობითა და რედაქციული სახით. მისი უდიდესი ნაწილი მთაწმიდაზეა დაწერილი. შესავალში ავტორი გვაცნობს თხზულების რაობასა და დაწერის ისტორიას: „აღწერილი წიგნი, მსგავსი ებისტოლისა ამბავათსკს წმიდათა მონასტერთა მთაწმიდისათა, თუ ვითარ და ვის მიერ აღუშენნეს, და ორნი სწავლანი სულ მოკლედნი, აღწერილი ტიმოთეს მიერ მონაზონისა მთაწმიდელთასა, მიწერილი წინაშე ღეთისმოყვარეთა მეფეთა ჩვენთა ქართველთა უფლისა თეიმურაზისა, ძისა მათისა მეფისა უფლისა ირაკლისა. დაიწერა მონასტერსა ქართველთასა მთაწმიდით“³⁴⁴. ხელნაწერის მთაწმიდაზე დამზადებას ადასტურებს ერთ-ერთი „სწავლის“ ბოლოს მოთავსებული მიმართვაც

მკითხველთადმი: „ქართველნო, სულ მოკლე ესე და უგბილი სწავლა სენაკსა მწირობისა ჩემისასა მთაწმიდით აღვსწერე“³¹⁵.

როგორც ჩანს, ტ. გაბაშვილს მთაწმიდაზე დაუწერია „მიმოსლვის“ დასახელებული ნუსხა და ორი „სწავლა“. ეს ნუსხა თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორისათვის ყოფილა განკუთვნილი სხვათა შორის, მაშინ ტ. გაბაშვილს მოუთავსებია ივერთა მონასტრის ტუშით შესრულებული ილუსტრაცია (13 r), რომელიც თვით შეუდგენია იქ ყოფნის დროს. ისაა ამ ვეგმა-სურათის მხატვარიცა და წარწერების შემსრულებელიც. მას ქალაქზე დაეტანია ივერთა მონასტრის დიდი კომპლექსის მრავალი ნაგებობა და წარწერებით მიუნიშნებია, თუ ვინ რა ააგო³⁴⁸.

მთაწმიდაზევე დაუწერია ტ. გაბაშვილს „მიმოსლვის“ ტექსტში ჩართული „იროიკო მთაწმიდისა და იამბიკო მსოფლიო“, რომლის უკანასკნელი სტროფები თეიმურაზისა და ერეკლეს შესხმას წარმოადგენს³⁴⁷.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ათონის მთაზე იყო მწერალ-მოგზაური ი. გედევანიშვილი, რომელმაც ასეთი ცნობები შემოგვინახა: „მივიწიე ივეროზის მონასტერსა, საქართუშლოსად წოდებულსა. და მივედ რა, გამომეგებნენ მამანი და ძმანი მონასტრისანი და შეველ ბქესა მონასტრისასა, რომელიცა არს შემოზღუდვლი დიდისა ვალავანითა, დიდად მაღალი, არა რომელიმე კიბე ვერ შეჰსწუღების და ციხე ესე მონასტრისა არს ზარბაზნაგეწყობილი“. მისი ყურადღება მიიპყრო მთავარმა ტაძარმა, რომელიც იყო „დიდად მორთული და გასაკრუტები სიმდიდრითა“³⁴⁸.

ი. გედევანიშვილმა დაათვალიერა ქართველთა ძველი სავანე, გაიცნო იქაური ბიბლიოთეკაც („შევედით ეკლესიასა შინა პირუშლოსა დიდად ჩინებულსა და რჩეულსა და მის შემდგომად — სახლსა სასტუმროსა, რომელსაცა ეწოდების არხოზდარიკო და მიჩუქნეს ბიბლიოტიკო ქართუშლთა, სახლი მამისა და წმიდისა ევთიმესი, იოანესი და გიორგისი მთაწმიდელისა, თარგმნილნი ყოველნი წერილნი სრულებით საეკლესიო. და არს მამათაგან დადებული, რათა არავინ კელ-ჰყოს და აქედამ გაიტანოს“)³⁴⁹. მან ერთი თვე დაყო ივერთა მონასტერში, სადაც მამინ, მისი სიტყვით, 400 მოწესე იყო (წინაპართა სავანეში ყოფნისას იგი ინტერესით კითხულობდა „მამათაგან თარგმნილ წიგნებს“)³⁵⁰. ამ მონასტერმა, როგორც ჩანს, მოგზაურზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა. მისი სიტყვით, „მონასტერი ესე ივერისა, რომელ არს საქართუშლოსი. არს მშუქნიერი და მდიდარი ყოველთა მთაწმიდისათა და უძეობისი“³⁵¹.

XVIII საუკუნეში — გასაგები მიზეზების გამო — ქართველთა დახმარებამ ათონისადმი შესამჩნევად იკლო. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტი შეიძლება დავიმოწმოთ იმის საილუსტრაციოდ, რომ ქართველებს სულ დავიწყებული არ ჰქონდათ ძველი სავანე. სახელდობრ, ძღვენით. ყმა-მამულის შეწირვით, ძველი მამულების დამტკიცებითა და აღრინდელი უფლებების აღდგენით მას დაეხმარნენ თეიმურაზ მეორე (1746 წ.)³⁵², სოლომონ პირველი (1757 წ.)³⁵³, ერეკლე მეორე (1769 წ., 1791 წ. და ა. შ.)³⁵⁴.

XIX საუკუნის დამდეგიდან ქართველთა მდგომარეობა ათონზე კიდევ უფრო გაართულდა. მას შემდეგ, რაც ივერთა მონასტერმა დაკარგა მფარველ-შემწენი ქართველ მეფეთა სახით, ხოლო ქართულმა ეკლესიამ — დამოუკიდებლობა, ბერძნებმა ათონელი ქართველები უფრო მეტად შეავიწროეს და სულ გამოდევნეს ძველი სავანიდან. ამიერიდან რუსეთი უნდა დახმარებოდა ვაჭირებებაში ჩავარდნილ ქართველობას, მაგრამ დასავლეთის ამბებმა, მძაფრმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, სამამულო ომმა მისი ყურადღება ჩამოაშორა ათონს. ამით ისარგებლეს ბერძნებმა და მტკიცედ დამკვიდრდნენ ივერთა მონასტერში³⁵⁵. სწორედ ამ პერიოდში (1812 წ.) მივიდა იქ ლ. გოგელაძე. ზემოთ (გვ. 128—129) ვნახეთ, რომ ლ. გოგელაძე იერუსალიმის ქართულ სიძველეებს გაეცნო 1805—1807 წლებში და გულისწყრომა გამოთქვა მოძალადე მიმტაცებელთა უკანონო მოქმედების გამო. ის პირდაპირ მოთქვამდა შექმნილი მძიმე ვითარების გამო. ასეთივე გულისტკივილი განიცადა ათონზე და ღრმა მწუხარებითა და სევდით შეპყრობილმა წააწერა „ათონის კრებულს“: „ღირს ვიქმენ მე არაღირსი და ცოდვილი ბერი, იმერელი მღვდელ-მონაზონი ლავრენტი აქა მოსვლად და ამ წმიდათა მამათა იოანე და ეფთიმის ცხოვრების ხილვასა და წაითხვასა. და ახლა ვინც ღირს იქმნეთ აქ მოსვლად და ამისა ხილვად, ვსტიროდეთ სიმრავლისათვის ცოდვათა ჩვენთასა და დაკარგვისათვის მონასტრისა ამის ნათესავისა ჩვენისა“³⁵⁶.

მალე ბერძნებსაც კუდად წაუვიდათ საქმე. 1821—1830 წლებში ათონის მთას თურქები ფლობდნენ. ბერძნები, რომლებიც დასუსტებულ ქართველებს ამდენ ხანს ჯიქურ უტევდნენ, ახლა დაფრთხნენ და დაიფანტნენ, ხოლო ქართველთა შორის აღმოჩნდნენ ისეთი მოღვაწენი, რომლებიც არ შეუშინდნენ მოძალებულ მამალიანებს. დარჩნენ მონასტერში. გაამხნევეს თანამომენი, ერთგვარი გავლენაც მოახდინეს თურქთა გარის უფროსზე ლაბუტ-ფაშაზე, რომელიც წარმოშობით ქართველი იყო. მათ იხსნეს ივერთა სავანე და ზოგიერთი სხვა მონასტერიც³⁵⁷. ამ მოღვაწეთა შორის გამოირჩეოდნენ ბესარიონ (ვენედიქტე) ქიტიშვილი და ილარიონ ყანჩიშვილი.

ბ. ქიტიშვილის მინაწერი მრავალ ათონურ ხელნაწერში გვხვდება (Ath. №№ 5, 8, 9, 20, 21, 39, 60, 84; A №№ 1103, 1105, 1144, 1705 და სხვ.)³⁵⁸, ცნობილია მისი ინიციატივით დამზადებული ხელნაწერიც — ისაკ ასურელის „სწავლანი“ (A № 1705). საინტერესოა ერთი ხელნაწერის მინაწერი, რომელიც გვაცნობს ბ. ქიტიშვილის საქმიანობას თურქთა მოძალების შედეგად ბერძენთაგან მიტოვებულ სავანეში. „ღროსა ქყონია ფაშის შესვლისასა ლაშქრით ივერიის მონასტერში, ვინაიდან მისის შიშისა გამო სხვა არავინ მოწესე მღვდელმონაზონი ბერძენთაგანი აღარ იპოებოდა, მამა ვენედიქტე აზით ასრულებდა ლოცვას ბერძნულ ენაზედ. ხოლო საიდუმლოს და ყოველს წესს ღვთისმსახურებისას ეკლესიაში ქართულს ენაზედ“, — აწერია ქართულ ასოებით შესრულებულ ბერძნულ ლოცვას, რომელიც დღეს თბილისშია დაცული (არქ. ხელნ. № 194)³⁵⁹.

ი. ყანჩიშვილი იმერეთის მეფის სოლომონ მეორის (1790—1815) მოძღვარი იყო და ტრაპიზონშიც ახლდა მას. მეფის გარდაცვალების შემდეგ რუსეთს გაემგზავრა იმერეთის დედოფალთან. უკანასკნელად ათონზე დასახლდა და თავისი მოღვაწეობით საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა³⁶⁰.

ი. ყანჩიშვილის მინაწერიც მრავალ ათონურ ხელნაწერში გვხვდება (Atli. №№ 5, 9, 20, 21, 39, 60, 72 და სხვ.)³⁶¹. ცნობილია მის მიერ ათონზე გადაწერილი ხელნაწერებიც. მაგალითად, „მარგალიტი“ (K № 187), „მამათა აწავლანი“ (A № 612), „სამოთხე“ (A № 1711). რომლებიც მან 1823 წელს გადაწერა. ისავე ასურის „სწავლანი“ (A № 1705), რომელიც მან 1824 წელს გადაწერა ბ. ქიტიშვილის დავალებით, და სხვ.

ი. ყანჩიშვილი შრომისმოყვარე მწიგნობარი ყოფილა და. საფიქრებელია, კიდევ მრავალ ხელნაწერს დაანზიდებდა, მაგრამ სათანადო სამუშაო პირობები არ ჰქონდა. ამიტომაც ერთ ხელნაწერს გულისტყვილით დაუბრუნო ასეთი მინაწერი: „ივერიის მონასტერში მრავალი ქართული საღმრთო წერილი არის წმიდისა ვეთვიმის მიერ თარგმნილი და ეს მცირე წიგნი გარდმოეწერე. მრავალს გარდმოეწერიდი, მაგრამ დიდი უღბოება მოაწია ჩემმა ცოდვამ“³⁶².

თურქეთ-საბერძნეთის ბრძოლის დამთავრების შემდეგ ათონს კვლავ ბერძნები დაეპატრონენ (1830 წ.). ისინი დაბრუნდნენ ივერთა მონასტერში და თანდათან შეავიწროეს ქართველთა მცირერიცხოვანი კრებული; ჯერ დიდი ტაძარი იგდეს ხელთ, ხოლო შემდეგ ქართველები სულ გამოაძევეს მონასტრიდან და საცხოვრებლად ილიას სკიტი მიუჩინესა ბ. ქიტიშვილი და მისი მოწაფენი იქ გადასახლდნენ, ხოლო ი. ყანჩიშვილი სულ განმარტოებით ცხოვრობდა („სამხოლოეში“) და იქ განაგრძობდა მწიგნობრულ-ლიტერატურულ საქმიანობას. საგანგებოდ უნდა შევიჩერდეთ ერთ საგულისხმო ფაქტზე.

1836 წელს ი. ყანჩიშვილმა საქართველოში ივირონის წარმომადგენლის—არქიმ. სერაფიმის დავალებით შეადგინა კატალოგი, — „ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მდებარეთა მთაწმიდას“, — რომელშიც მოგვაწოდა ცნობები იქაურ ბიბლიოთეკაში დაცული რამდენიმე ათეული ქართული ხელნაწერის შესახებ³⁶³. მან საგანგებოდ აღნიშნა კატალოგის შედგენის მიზეზი და ვითარება, დრო და ადგილი. მისი სიტყვით, „საქართველოს ეთხოვა სერაფიმ არხიმანდრიტისათვის, ვითარმედ რაჲცა წიგნი ქართული ივერიის მონასტერშიდ იყოსო, მათი სახელები თითოეულად მოგვეწერონო. ამისთვის, საჭირო არსო, და სერაფიმს აქ წიგნი მოეწერა და რომელიცა ვიხილე სრული წიგნი, განურყენელი, აქ დაწერე მათი სახელები და წარმოგზავნა მონასტერმა“.

ი. ყანჩიშვილმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია მძიმე მდგომარეობაში იყო, ბევრი ძვირფასი ხელნაწერი „მოშლილი და ქიისაგან განრყენილი და სიძველისაგან“ დაზიანებული იყო და წაკითხვა ჰქონდა, ამიტომაც მან მხოლოდ ნაწილობრივ გაართვა თავი ამ საქმეს. ამის თაობაზე თვით შემდეგს წერდა: „ამისთვის წიგნის სახელები ვერ დავსწერე აქ და თითოეულად

ამოვარჩინე, რომლისაც კითხვა შეიძლება, დავსწერე. ისიც ამისთვის გავბედე, რომ მონასტერმა მაიძულა საქართველოდამ წიგნი მოგვივიდა ჩუენის არხიმანდრიტისაგან: „ითხოვეს ეკლესია საქართველოდას წიგნების სახელსა — რა და რაჲ წიგნი არისო, და უკეთუ იპოვეს წიგნი ისეთი, რომ საქართველოშიდ არ იყოს, წარგზავნით მწერალს და გარდავაწერინებთო“.

გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს ი. ყანჩიშვილის წერილი კატალოგის შედგენის ინიციატორისადმი: „ნუსხა გეთხოვნა წიგნებისა და აღმძრა სიყვარულმან უსწავლელი და უგუნური და კელ-ეჰყავ, აღვუხსნე რაოდენიცა იპოვებოდა სიძველისაგან და უდროებისაგან გარყვნილ და სხვა ავაზაკთაგან გარყვნილ-ამოხეული. თათრები იყვენც მონასტერშიდ ათი წელიწადი. სად-სად მძიმოეყართ ბერძნულიც და ქართულიც, უდროება მრავალჯერ ქნნილ არს და ესრეთ მიზეზთაგან წიგნებს მრავალი აკლია და ამისთვის ჩემებრ უსწაველთაგან ძნელ არს გამოწველილვით აღნუსხვა, მაგრამ რაოდენიც შეიძლებოდა ლოცვითა მამათათა და ვენედიკტოსითა და ბრძანებითა მონასტრისათა ესრეთ თავთავად წიგნად ამისთვის არ აღენუსხე, რომ რომელიმე წიგნი თავი ოცდაათი იყო ოდესმე, აწ თორმეტი არს და სხვა აქლს უდროებისაგან და სხვა ოცი თავი და აწ ათი თავი ანუ ექვსი და კულად თავებიც რომელიმე სრული არს და რომელიმე არა და ამისთვის სრული დავსწერე და უსრული დაუტევე“³⁶⁴.

მართალია, ი. ყანჩიშვილის კატალოგი, როგორც შემდგენელი აღნიშნავს, არც სრულია და არც ზუსტი, რის გამოც მან ვერც მისი შედგენის ინიციატორი — ბ. იოსელიანი დააკმაყოფილა³⁶⁵ და ვერც ზოგიერთი სხვა მკვლევარი (მაგ., დ. ბაქრაძე)³⁶⁶, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვანი დოკუმენტია. თუ არ ჩავთვლით ლონდონის ბიბლიური საზოგადოების წარმომადგენელ პინკერტონს, რომელსაც ათონზე აღუწერია რამდენიმე ქართული ხელნაწერი³⁶⁷, ი. ყანჩიშვილი პირველი მწიგნობარია, რომელმაც შედარებით სრული ცნობები მოგვაწოდა ათონზე შემონახულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციასზე³⁶⁸.

1845 და მომდევნო წლებში ივერთა მონასტერში რამდენჯერმე იყო პ. უსპენსკი. როგორც აღვნიშნეთ (გვ. 172—173), მან ვრცლად აღწერა ქართველთა საგანე — ადგილმდებარეობა, დიდი და მცირე ტაძრები, სამწირველოები, კოშკები, ხატები, მოღვაწეთა ცხოვრება და ა. შ.³⁶⁹ მისი შრომები მრავალგზის დავიმოწმეთ და ვფიქრობთ მკითხველისათვის ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პ. უსპენსკის საქმიანობას ათონოლოგიისათვის.

1849 წელს ათონზე იყო პ. იოსელიანი. მან გაიცნო და აღწერა ათონელთა იმდროინდელი მდგომარეობა, შეისწავლა ქართული სიძველენი. განსაკუთრებული ნაყოფიერებით იმუშავა წიგნსაცავში, სახელდობრ, შეისწავლა ბევრი ქართული ხელნაწერი³⁷⁰, გადმოიწერა უცნობი ძეგლი — „კოლაელთა მარტილობა“ (S № 530), შეადგინა მოკლე აღწერილობა რამდენიმე ხელნაწერისა³⁷¹, შესწირა ვახუშტის „ისტორია გეორგიისა ანუ ყოველისა საქართველოდას“³⁷². წამოიღო გასამრავლებლად ათონის ბიბლია (Ath. № 1), რომელიც ჩვენში სამ ცალად გადაიწე-

რა — დ. დადიანისათვის (S № 422), თბილისის სიონისა (A № 471) და იმერეთის მიტროპოლიტის დავითისათვის³⁷³.

ათონის ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა კოლექცია ადრე ბედის ანაბარა იყო მიტოვებული, პ. იოსელიანმა მიმართა ხელისუფლების ორგანოებს და რამდენადმე გააუმჯობესებინა წიგნსაცავის მდგომარეობა³⁷⁴.

პ. იოსელიანის მისვლამ ივერთა მონასტერში გამოაცოცხლა იქაური მოღვაწენი. მათ წერილობითი თხოვნით მიმართეს სტუმარს და რუსეთის ადგილობრივ ელჩთან შუამდგომლობა და ისტორიული უფლებების დასაბუთება-დაბრუნება სთხოვეს³⁷⁵. მაგრამ ქართველთა მდგომარეობა ამით არ გამოსწორებულა. იგი კიდევ უფრო მძიმე გახდა 60-იანი წლებიდან. თუ ადრე ათონელი ქართველები ბერძნების მსგავს ულუფას იღებდნენ, საქართველოდან მისულთ კრებულში ჩარიცხვა შეეძლოთ და სტუმრად მისული პილიგრიმი ქართველები საზრდოსა და სადგომსაც იღებდნენ, ქართველ მოღვაწეთა მეთაურის ბ. ქიტიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1861 წ.) მდგომარეობა არსებითად შეიცვალა და საგრძნობლად გაუარესდა. ბერძნებმა იერიში გააძლიერეს, ქართველ პილიგრიმებს აღარ იღებდნენ და საგანგებო გადაწყვეტილებით ძმობაში ქართველთა ჩარიცხვაც აკრძალეს. ბ. ქიტიშვილის დარჩენილ ოთხ მოწაფეს ნება დართეს გარდაცვალებამდე მონასტრიდან ულუფის მიღებისა, მაგრამ საერთოდ ქართველთა უფლებები ივერთა მონასტერზე საბოლოოდ უარყვეს. ამ დროს მივიდა იქ ვ. ბარკალაია (1834—1911) და ბერძნულ ეკლესიის სურვილი განაცხადა, მაგრამ უარით გამოისტუმრეს. საქართველოში დაბრუნებულმა მიიღო ბერობა (ბენედიქტეს სახელით), შეკრიბა შეწირულება და მალე 12 ქართველი ბერის თანხლებით მიაშურა ათონს. იქ მან შეიძინა დანგრეული სავანე (1870 წ.) და მის აღდგენა-განახლებას შეუდგა, მაგრამ ბერძნების წინააღმდეგობას წააწყდა. ბერძნებმა უარი უთხრეს სამშენებლო მასალის მიყიდვაზე, სანაბევროდ რესტავრირებული ტაძრის დანგრევეც კი განიზრახეს, მაგრამ ბ. ბარკალიამ მიზანს მაინც მიაღწია — ივერთა მონასტრის ახლოს ქართველთა ახალი სავანე — იოანე ღვთისმეტყველის სავანე დააარსა და იქ შემოიკრიბა ათონის მთაზე მიმოფანტული ქართველობა³⁷⁶.

ახალი სავანის წინამძღვარი ბ. ბარკალაია შემდეგაც აქტიურად მოქმედებდა — მიმართავდა რუს ხელისუფალთ და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს და დახმარებას სთხოვდა, ბეჭდავდა წერილებს, რომლებშიც წარმოაჩინდა ქართველთა დამსახურებას ივერთა სავანის დაარსება-განვითარებაში, ამხელდა ბერძენ სამღვდლო პირთა მიმტაცებლობასა და ძალმომრეობას, ითხოვდა ქართველთა კანონიერი უფლებების აღდგენას, თანამემამულეებს მოუწოდებდა აქტიური მოქმედებისა და ქართული მონასტრის დახსნისაკენ და სხვ.³⁷⁷ (სხვათა შორის, პრესაში ხშირად იბეჭდებოდა წერილები მის საქმიანობაზე, დახმარების აუცილებლობაზე და ა. შ.)³⁷⁸.

მიუხედავად ამისა. ქართველთა მდგომარეობა ათონზე დღითი დღე უარესდებოდა. ბერძენთა მოძალეობა და ქართველთა შევიწროება ყოველგვარ ზღვარს გა-

ცილდა (ამას ხშირად აღნიშნავდნენ თავიანთ წერილებში როგორც დახმარებისა და მფარველობის მთხოვნელი იქაური ქართველი მოწესენი³⁷⁹, ისე სხვანიც³⁸⁰). სწორედ განსაკუთრებით აუტანელი პირობები იყო ამის მიზეზი, რომ ათონელმა ქართველებმა შეადგინეს პატარა წიგნაკი — „Краткая история Афонско-Иверского монастыря по грузинским источникам“ (1884), რომლითაც მკითხველებს მიაწოდეს ზუსტი დოკუმენტური მასალა და გააცნეს თავიანთი მძიმე მდგომარეობა. ამავე მიზეზმა განაპირობა გამოქვეყნება ა. კალინოვსკის შრომისა, რომელიც მრავალჯგის დაეიმოწმეთ³⁸¹.

ათონელი ქართველების მდგომარეობას მაინც არაფერი ეშველა. პრესისა თუ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მხარდაჭერა³⁸² სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ბერძნები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და ქართველთა ნაკვალების მოსპობა-განადგურებას შეუდგნენ. ერთი ათონური ხელნაწერის (Ath. № 8) ცნობით, „ჩუკვ [= 1883]-სა ბერძნებმა მონასტერშიდ დახატული ქართველი მეფის და დედოფლების სახელი ამოხოცეს და ბერძნის დაწერეს, ვითამცა მათი მეფეები ყოფილ იყოს. თორნიციც ამოხოცეს“³⁸³.

ამ საკითხზე უფრო სრული ცნობები შემოგვინახა გ. ნადარეიშვილმა³⁸⁴, რომელმაც რამდენჯერმე ინახულა ათონი. დაეიმოწმებთ მის სიტყვებს: „1882 წელს ვიყავი ათონის მთაზედ და სხვა მონასტრებთან ერთად ივერიის მონასტერიც ვილოცე. დავათვალიერე ისტორიული მხატვრობა და წარწერანი. ივერიის ტაძრის კარისბჭეზედ იყვნენ დახატულნი... მეფენი, რომელთაგან შუა ადგილას დახატულს თავზედ შარავანდედი ჰქონდა და ერთიც სამხედრო ტანისამოსით იყო დახატული. როდესაც ვათვალიერებდი, ერთმა მოხუცებულმა ბერძენმა ბერმა მითხრა: „ესენი, შვილო, საქართველოს მეფენი არიან, ამ მონასტრის აღმაშენებელნი და განმახლებელნი და აი ეს, მხედრულად ჩაცმული, თორნიცე ქართველია“. მეფეებს ზემოთგან ჰქონდათ წარწერა: „მეფენი საქართველოსანი“. მერე იყო წარწერა: თითოეულია ცალკე. მაგრამ ერთის მეტი ყველა ისე იყო წაბღალული, რომ არ ამოკითხებოდა, ერთს კი ეწერა: „დედოფალი ნესტან-დარეჯანი“.

რამდენიმე წლის შემდეგ გ. ნადარეიშვილი კვლავ ეწვია ათონს, სადაც საკმაოდ განსხვავებული ვითარება დახვდა. აი რას ეგაუწყებს იგი ქართველთა ნაკვალების მოსპობაზე: „კარისბჭეზედ შევიხედე და დავინახე, რომ ჩემგან ნანახი მხატვრობა მეფეებისა განეახლებინათ და წინანდელის საერთო წარწერის ძაგიერ ბერძნულად ეწერა: „ბიზანტიელი მეფენი და აღმაშენებელნი“. „დედოფალ ნესტან-დარეჯანს“ ძაგიერ ეწერა „ირინე დედოფალი“.

გ. ნადარეიშვილი გულდასმით გაეცნო ათონის მონასტრების ცხოვრებას და გულსტიკივილი გამოთქვა ქართველთა მიერ ძველი სავანის დაკარგვის გამო. მისი ცნობით, ათონზე „დღემდე დაცულია ყოველი ეროვნების მონასტრის უფლება, ე. ი. რომელ ეროვნებასაც ეკუთვნის მონასტერი, ამ ეროვნების ბერები ცხოვრობენ იქ და აქვთ მათ თავიანთ ენაზე საღმრთო მოქმედება, სწავლა და განგება. მაგალითად, სერბთა მონასტერში ცხოვრობენ სერბიელი ბერები... ბერძნებისაში—

ბერძენთა ბერები და ქართველების მონასტერს კი დღეს ბერძენნი ფლობენ. თუმცა უველასათვის აშკარაა, რომ ის მონასტრის ქართველებისაა. ასე რომ, გარდა ქართველებისა თავიანთ მონასტრის უფლება არა ერს არ დაუქარავებს“.

გ. ნაღარეიშვილმა მოკლედ აღწერა ტაძრები (ღვთისმშობლის მიძინებისა, იოანე ნათლისმცემლისა, პორტაიტისა), დაიმოწმა ქართული წარწერები (გიორგი წინამძღვრისა, ამბროსისა), მოიხსენია ფრესკები (მარკოზ ქართველისა), ბიბლიოთეკა, სადაც ქართული ხელნაწერები ინახებოდა, და ა. შ.

გ. ნაღარეიშვილი ერთ-ერთი უკანასკნელი ქართველი პილიგრიმი, რომელმაც აღწერა ათონის ქართული სავანე, ამიტომ მის სიტყვებს ერთხელ კიდევ დავიმოწმებთ: „ივერიის მონასტერი მდებარეობს ათონის მთის აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის პირად, სწორ ალაგზე, ნახევარი ვერსის მანძილზე ზოვიდგან, ორ დესეტინაზე უმეტეს ქვაფენილი ეზოთი და გარშემოვლებულია ხუთი-ექვსი საყენის სიმაღლე ქვიტკირის გაღვივანითა ორპირად, რომელთა შორის აშენებულია ქვიტკირის სახლები ორ-სამ სართულიანები, აგრეთვე ორპირად და დაყოლებულია ჩვიდმეტი გვედერი. სამწირველო“.

გ. ნაღარეიშვილმა „მონასტრის გარეთ ილია წინასწარმეტყველის სადაყუდებულოში. მონასტრისავე კუთვნილში“ ნახა (1882 წ.) ოთხი ქართველი მოხუცი ბერი (ერთ-ერთ მათგანს — ბ. ქიქოძეს უთქვამს: „როდესაც ახლად მოველ მონასტროში, ქართული დაწერილი ქვა გამოცვალეს ტრაპეზისა და სამარკელოსაო და ბერძენული ჩასვეს“). მანვე იოანე ღვთისმეტყველის სავანეში ნახა 30-ზე მეტი ქართველი ბერი, რომელთა მდგომარეობა, ბერძენთა ძალმომრეობის გამო, ერთობ ნძიმე იყო.

საგულისხმოა, რომ ასეთ აუტანელ პირობებში მცხოვრები ქართველი მოღვაწენი ეკლავ განაგრძობდნენ მწიგნობრულ საქმიანობას — ხელნაწერთა გამრავლებას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიხსენიოთ პ. ასათიანი, რომელსაც იოანე ღვთისმეტყველის სავანეში რამდენიმე ხელნაწერი დაუმზადებია. სახელდობრ, 1881—1883 წლებში იოანე სინელის „კლემაქსი“ (H № 1271)³⁵⁵, 1895 წელს — იოანე დამასკელის, ეპიფანე კვიპრელისა და სხვათა თხზულებათა კრებული (Q № 835)³⁵⁶, 1897 წელს — კიდევ ერთი კრებული (Q № 843-ბ)³⁵⁷ და სხვ. პ. ასათიანი, როგორც თვით გვაუწყებდა, ტექსტებს იწერდა „ივერო-მონასტრის დედა წიგნისაგან“ (ჩანს, Ath. № 8-დან).

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ათონის წიგნსაცავების გულდასმითი შესწავლა, ხელნაწერთა კოლექციის გაცნობა და ქართული მასალების გამოვლენა.

1880 წლის ზაფხულში ათონზე იყო ს. ლამბროსი, რომელმაც შეადგინა იქაურ ბერძენულ ხელნაწერთა კატალოგი³⁵⁸. მისმა წიგნმა ცხადყო, რომ ათონზე ყველაზე მდიდარი ბიბლიოთეკა ივერთა მონასტერს ჰქონდა (ს. ლამბროსის ცნობით, ათონის ოც მონასტერში 5766 ხელნაწერი ინახებოდა, მათგან ივერთა მონასტერში—1386). კატალოგმა, რომელიც მაღალ მეცნიერულ დონეზე იყო შესრულებული, ჯერ კიდევ სრულად გამოქვეყნებამდე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღე-

ბა³⁸⁹. მან მაშინვე დააინტერესა ქართველოლოგებიც³⁹⁰. ეს არ იყო შემთხვევითი: ს. ლამბროსის კატალოგი ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის ათონელი ქართველების შესახებ³⁹¹.

1883 წელს ათონის ქართული სიძველენი შეისწავლა ა. ცაგარელმა (იხ. გვ. 173—174). მიუხედავად დიდი სურვილისა და ცდისა, მას ყველა ქართული ხელნაწერი არ უნახავს (ჯერ კიდევ ადრე აღინიშნა, რომ ქართველ მეცნიერს ზოგი რამ დაუძალეს ბერძენი პატრიარქის მითითების თანახმად)³⁹². ამას ა. ცაგარელი კარგად გრძნობდა და როდესაც მის მიერ ნახული ხელნაწერების კატალოგი გამოაქვეყნა, საგანგებოდ აღნიშნა, სისრულის პრეტენზია არ მაქვს, ის აღვწერე, რაც მიჩვენესო³⁹³. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან აღწერა ათონის ქართული ხელნაწერები. მანვე ათონური ხელნაწერების პირების მიხედვით გამოაქვეყნა ი. ყანჩიშვილის კატალოგი³⁹⁴ და „ქება ქებათა“³⁹⁵.

1888 წელს ათონის მონასტერში ყოფნისას ქართული მასალები შეისწავლა დ. ბაქრაძემ (იხ. გვ. 174). მან, ერთი მხრივ, შენიშნა ა. ცაგარლის აღწერილობის ზოგიერთი ნაკლი, ხოლო მეორე მხრივ, ნახა რამდენიმე ისეთი ხელნაწერი, რომელიც ა. ცაგარელს ან არ უნახავს, ან ანდერძ-მინაწერები არ გადმოუწერია და არ გამოუქვეყნებია (მაგალითად, ოპიზის ოთხთავი 913 წლისა).

კიდევ უფრო ნაყოფიერად იმუშავა ივერთა მონასტერში 1898 წელს (ღა შემდეგ იქ წამოღებულ მასალებზე) ნ. მარმა. მან, როგორც აღვნიშნეთ (გვ. 174), აღწერა რამდენიმე (ხუთი) ხელნაწერი³⁹⁶ (ყველაზე სრულად და ვრცლად), ასევე დააზუსტა და შეასწორა ა. ცაგარლისეული აღწერილობის ბევრი ადგილი. ზოგადად გაიცნო და მოიხსენია 15-მდე ისეთი ხელნაწერი, რომელიც არ იძებნება ა. ცაგარლის კატალოგში, გამოსცა ათონურ ხელნაწერებში შემონახული ოთხულებანი³⁹⁷.

ნ. მარი	ა. ცაგარელი	რ. ბლეიცი
1	50	17
2	51	12
3	55	84
4	57	8
5	73	—

აქვე ვიძლევიტ ცხრილს, რომელშიც ნ. მარის აღწერილობის ნომრები ხელნაწერებისა შეთანხმებულია სხვა მეცნიერთა მიერ შედგენილ აღწერილობათა ნომრებთან³⁹⁸.

1899 წლის ივნის-ივლისში ათონის მთაზე იყო პ. კონკოშვილი, რომელმაც აღწერა რამდენიმე სავანე (ლავრა, ვათოპედი, ხილანდარი და სხვ.). განსაკუთრებით ვრცლად — ივერთა მონასტერი. გარკვეული ყურადღება დაუთმო მან ახალ სავანეს — იოანე ღვთისმეტყველის სახელზე აგებულ ტაძარსა და იქაურ მოღვაწეებს³⁹⁹.

პ. კონკოშვილმა ჩაიწერა გადმოცემები ათონზე, გამოიყენა სხვადასხვა წყარო და მოგვაწოდა ცნობები ათონის ადრინდელ ისტორიაზე, ქართველ კტიტორთა და მწიგნობართა საქმიანობაზე, იქაურ წიგნსაცავზე, გამოთქვა გულისწყრომა ბერძენთა ძალმომრეობის გამო („ყოველგან მოუხსპიათ ნაშთნი და კვალნი ქართ-

ველთა მამათა აქ მოღვაწეობისა“, „მაგიერ ჩვენის დიდებულის სპასპეტის თორ-ნიკისა მოსჩანს ახლა ნიკიფორე, ბერძენთა კეისარი“).

3. კონკომედილის ათონზე ყოფნისა და მომდევნო პერიოდში იოანე ღვთისმეტყველის სავანეში ნაყოფიერად მუშაობდა და გულმოდგინედ ამრავლებდა ხელნაწერებს ა. ბაქრაძე. მან ჯერ კიდევ საქართველოში გამოიჩინა თავი ხელნაწერთა გამრავლებით და არაერთი ძეგლის პირი დაამზადა (მაგალითად, Q № 330; S №№ 4002, 4005, 4013, 4978 და სხვ.), ხოლო ხანდაზმულობისას ათონზე დასახლდა და იქ განავრცო მწიგნობრული საქმიანობა. ცნობილია მის მიერ დამზადებული მრავალი ხელნაწერი. სახელდობრ, „თეოდორე სალოსის ცხოვრება“ (S № 3346, 1895 წ.), „უწყება და თხრობა აღშენებისათვის... აია სოფიას ტაძრისა“ (S № 3345), ფსევდოდიონისე არეოპაგელის ეპისტოლე ტაშოთე მოციქულისადმი (S № 3342, 1900 წ.), იოსებ არიმთიელის „უწყება აღდგომისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და აღშენებისათვის ეკლესიისა“ (S № 3343). კასიანე რომელის „რვათა მათ ბოროტთა გულის-სიტყვათათვის“ (S № 3344, 1900 წ.), „ცხოვრება და მოქალაქობა და ღირსისა მელანია რომაელისა“ (არქ. ხელნ. № 174, 1902 წ.), სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (არქ. ხელნ. № 177, 1902 წ.) და სხვ. (იხ. აგრეთვე არქ. ხელნ. №№ 190, 191, 195...).

ა. ბაქრაძე თავის ანდერძ-მინაწერებში ხშირად გვაცნობდა ხელნაწერის გადაწერის დროს, ვითარებას, მიზეზს და ა. შ. მაგალითად, ისაკ ასურის „სწავლანის“ მინაწერში ვკითხულობთ: „გადაწერილ იქნა მთასა წმიდასა, ათონს 1903 წელსა, ახალ ქართველთ წმ. მოციქულის მახარებელის და ღვთისმეტყველის და მკერდს მიყრდნობილის იოანეს სავანესა შინა. ძველის მონასტრის ივერიის ქართველთ წიგნთსაცავსა შინა დაკულისა, პერლამენტზედ დაწერილის“ დედნიდან⁴⁰⁰. სხვა ხელნაწერის მინაწერში იკითხება: „ვითხოვ სიმდაბლით, სიჩქარით წერისათვის შემინდოთ, რადგანაც დღედაღამე დრო არ მქონდა ბერძნის ბერებთაგან“ (არქ. ხელნ. № 190).

საკულისხმაოა, რომ ა. ბაქრაძე საგანგებო ყურადღებას აქცევდა ათონის ისტორიას და თარგმნიდა და კრებდა სათანადო მასალებს. მაგალითად, მას ჯერ კიდევ ათონზე მისვლამდე უთარგმნია რუსულიდან „უზენაესი მფარველობა ათონზედ ანუ მოთხრობანი წმიდათა სასწაულთმოქმედთა, ათონისა შინა დიდებით გამოჩენულთა დედისა ღმრთისა ხატთა და სხვათა წმიდათასა“ (Q № 913-ა; არქ. ხელნ. № 699), „წმიდა ათონის მთასა ზედა არს დაწენებული მონასტერი დოხიარისა (დუქარიოსს)“ (K № 233) და ა. შ. სხვათა შორის, მის მიერ გადაწერილ კრებულში (K № 233) გვხვდება „მოთხრობა ივერიის მონასტრისა“, რომელიც დ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა⁴⁰¹.

1902 წელს ივერთა მონასტერში მუშაობდა, ქართულ ხელნაწერებს სწავლობდა და ა. ბაქრაძეს პირებს ამზადებინებდა ა. ხახანაშვილი, რომელმაც ათონური ხელნაწერების საფუძველზე არაერთი ძველი ტექსტი გამოაქვეყნა⁴⁰².

ამ პერიოდში — კერძოდ, 1903 წელს ათონის მთაზე 51 ქართველი ყოფილა, მათგან. — გ. სმირნაის ცნობით, — 48 ივერთა სავანეში⁴⁰³, ხოლო 3 — ტავერონიკიტას მონასტერში⁴⁰⁴.

XX საუკუნის დამდეგის ქართველ ათონელთაგან კიდევ უნდა გამოვეყოთ ორი მოღვაწე — ი. ფანცულაია და მაკარი მონაზონი. პირველი ცხოვრობდა და წერდა „მთას შინა ათონისასა, ივერიის მონასტრის წმიდა ილიას წინასწარმეტყველის ეგუტეროს შინა“ (ან „წმიდა ილიას წინასწარმეტყველის ეკლესიასა შინა“). იქ გადაწერა მან რამდენიმე წიგნი. სახელდობრ, ანდრია კრიტელის თხზულება 1905 წელს (არქ. ხელნ. № 176), ბასილ კესარიელის ფსალმუნთა თარგმანება 1906 წელს (A № 1054). „სამოთხე“ 1915 წელს (A № 1142) — „ქირსა და ოხრებას ყოელისა ქვეყანისასა“, როდესაც „სამეფონი ურთიერთ იბრძოდეს და ურიცხვი ერი მოისევროდა მახვილითა და სიყმილითა“, „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ და „აღმოუყენებისათჳს ნაწილთა წმიდისა იოანე ოქროპირისათა“ 1916 წელს (A № 1144) და სხვ. სხვათა შორის, უკანასკნელი ხელნაწერის ანდერძში ი. ფანცულაია დახმარებას სთხოვს იოანე ოქროპირს ბერძენთა წინააღმდეგ, „რომელთაც ესე ჩვენი სამკვიდრებელი და დიდებულა მონასტერი ყოელისა სიმართლისა და ქრისტიანული წესის გარეშე უწყალოდ და უსამართლოდ მხეცებრ და ბარბაროსულად მიგვიტაცეს, დაფარეს ქართველთა ქველმოქმედება მათ-ღამი“⁴⁰⁵.

ი. ფანცულაიამ გაიცნო იქაური ქართული ხელნაწერები, გაასწორა ა. ცაგარლის ზოგიერთი შეცდომა⁴⁰⁶, შეადგინა „ათონის ივერიის მონასტრის წიგნების კატალოგი“ (A №№ 1140, 1141). წამოიღო და საქართველოში ჩამოიტანა რამდენიმე ხელნაწერი (A №№ 1101, 1103, 1104, 1105).

ბიბლიოფილი გახლდათ მონაზონი მაკარიც. მისი ინიციატივით პ. ასათიანმა გადაწერა (1902 წ.) იოსებ არიმათიელის თხზულება (არქ. ხელნ. № 175), ა. ბაქრაძემ (1902 წ.) ეფრემ ასურის „სწავლანი“ (არქ. ხელნ. № 190). ილია მონაზონმა (1905 წ.) — ანდრია კრიტელის თხზულება (არქ. ხელნ. № 176) და სხვ.

1931 წელს ათონის სიძველენი გაიცნო, ქართულ ხელნაწერთა კოლექცია საფუძვლანად შეისწავლა და ვრცლად აღწერა რ. ბლეიკმა. რომელმაც თავისი კატალოგი ფრანგულად დაბეჭდა პარიზში⁴⁰⁷. ამ კატალოგის გამოქვეყნება ძალზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ჩვენს კულტურულ-მეცნიერულ ცხოვრებაში — გამოვლინდა არაერთი უცნობი მთარგმნელი და კალიგრაფი, ცნობილი გახდა ბევრი ძვირფასი ხელნაწერი.

რ. ბლეიკმა ათონზე აღწერა 86 ქართული ხელნაწერი და მის მიერ აღწერილ ხელნაწერებს თვით დაუძებნა შესატყვისები ა. ცაგარლის კატალოგში. ქვემოთ მოცემულია ცხრილები, რომლებშიც შეთანხმებულია ა. ცაგარლისა და რ. ბლეიკის მიერ აღწერილ ქართულ ხელნაწერთა ნომრები. პირველ ცხრილში ძირითადად

მიჩნეულია ა. ცაგარლისეული ნუმერაცია ხელნაწერებისა და მასთანაა შეპირის-პირებულ-შეთახსმებული რ. ბლეიკის ნუმერაცია, მეორე ცხრილში ძირითადად მიჩნეულია რ. ბლეიკის ნუმერაცია, რომელიც დღესაც ძალაშია.

რ. ბლეიკმა, მისი ცნობით, ა. ცაგარლის კატალოგში შესატყვისი ვერ დაუ-ძებნა 19 ხელნაწერს (№№ 3, 18, 23, 24, 26, 27, 38, 40, 42, 46, 48, 60, 62,

ცხრილი № 1

ა. ცაგარელი	ბ. ბლეიკი
1	1
2	82
3	—
4	62
5	60
6	75
7	53
8	67
9	35
10	15
11	42
12	78
13	19
14	60
15	43
16	81
17	45
18	—
19	26
20	63
21	51(?)
22	34
23	—
24	—
25	38
26	—
27	—
28	30
29	20
30	55

ა. ცაგარელი	ბ. ბლეიკი
31	65
32	69
33	61
34	71
35	57,73
36	76(?)
37	70
38	—
39	52
40	—
41	27
42	—
43	31
44	22,66
45	86
46	—
47	85
48	—
49	32
50	17
51	12(?)
52	3
53	28
54	21
55	84
56	40
57	8
58	—
59	25
60	—

ა. ცაგარელი	ბ. ბლეიკი
61	7
62	—
63	2
64	72
65	16
66	4
67	10
68	5
69	9
70	13
71	—
72	79
73	—
74	—
75	63
76	—
77	41
78	—
79	39
80	11
81	29
82	18
83	23
84	14
85	6
86	—

რ. ბლეიკი	ა. ცვაარელი
1	1
2	63
3	52
4	66
5	63
6	85
7	61
8	57
9	69
10	67
11	80
12	51(?)
13	70
14	84
15	10
16	65
17	50
18	82
19	13
20	29
21	54
22	44
23	83
24	—
25	59
26	19
27	41
28	53
29	81
30	28

რ. ბლეიკი	ა. ცვაარელი
31	43
32	49
33	—
34	22
35	9
36	—
37	—
38	25
39	79
40	56
41	77
42	11
43	15
44	—
45	17
46	—
47	—
48	—
49	—
50	—
51	21(?)
52	39
53	7
54	—
55	30
56	—
57	35
58	—
59	—
60	5

რ. ბლეიკი	ა. ცვაარელი
61	33
62	4
63	20
64	—
65	31
66	44
67	8
68	75
69	32
70	57
71	34
72	64
73	35
74	—
75	6
76	36(?)
77	—
78	12
79	72
80	14
81	16
82	2
83	—
84	55
85	47
86	45

პირობითი ნიშნები

— რ. ბლეიკმა შესატყვისი ვერ დაძებნა.

= რ. ბლეიკმა თითქოს დაძებნა შესატყვისი, მაგრამ მისი ცნობა სწორი არაა.

51 (?) შესატყვისი შეძლება სწორად არ იყოს დაძებნილი.

57,73 ა. ცვაარელის მიერ აღწერილი ერთი ხელნაწერი ორადაა გაყოფილი.

71, 73, 74, 76, 78, 86). ჩვენი დაკვირვებით, ეს ცნობა სულ ზუსტი არაა. რ. ბლეიკი ვერც მეოცე ხელნაწერს (ა. ცაგარლით № 58) დაუძებნიდა შესატყვისს, რადგან აღნიშნული ხელნაწერი ი. ფანცულაიამ ადრევე ჩამოიტანა თბილისში (A № 1103).

რ. ბლეიკმა, როგორც მის მიერ შედგენილი ცხრილი მოწმობს, ახლად აღწერილ 17 ხელნაწერს ვერ დაუძებნა შესატყვისი ა. ცაგარლის კატალოგში. ეს ხელნაწერებია: №№ 24, 33, 36, 37, 44, 46, 47, 48, 49, 50, 54, 56, 58, 59, 64, 74, 83. ამათ უნდა დავმატოვო № 77 ხელნაწერი, რომლის შესატყვისად რ. ბლეიკმა შეცდომით დაასახელა ა. ცაგარლის კატალოგის № 58 ხელნაწერი (რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად თბილისშია—A № 1103). ისიც უნდა დავსძინოთ, რომ შესატყვისის დაძებნა ყოველთვის სწორი შეიძლება არ იყოს, რადგან ა. ცაგარლისეული აღწერილობა ძალზე მოკლე და ზოგადია. ასე რომ, რ. ბლეიკისეული აღწერილობის ზოგიერთი ნომრის (2, 7, 11, 12, 19, 38, 43, 45, 51, 52, 57, 61, 70, 71, 72, 73, 76, 80, 81, 86) გვერდით მითითება ა. ცაგარლისეული კატალოგის შესატყვის ნომერზე რამდენადმე პირობითია. საგულისხმოა, რომ ზოგჯერ თვით რ. ბლეიკიც გამოთქვამდა ეჭვს და მითითებული შესატყვისის გვერდით კითხვის ნიშანს სვამდა (№№ 12, 51, 76).

1952—1953 წწ. ზამთარში ათონის მთაზე იყო ამერიკელი მეცნიერი ე. უ. სონდერზი. რომელმაც იქაური მონასტრების წიგნსაცავებიდან გადმოიღო 209 ბერძნული და ქართული ხელნაწერის მიკროფილმი და 44 ხელნაწერის ფოტოპირი (სრულად თუ ნაწილობრივ)¹⁰⁸. რამდენიმე წლის შემდეგ მან გამოაქვეყნა „აღწერილობითი ნუსხა ათონის მთის მონასტრების რჩეული ხელნაწერებისა, რომელთა მიკროფილმებიც გადაღებულ იქნა კონგრესის ბიბლიოთეკისა და ბერძნული ახალი აღოქმის ინტერნაციონალური საზოგადოებისათვის“¹⁰⁹. კატალოგის გაცნობამ ცხადყო, რომ ე. უ. სონდერზს გადაუღია 4 ქართული ხელნაწერი (Ath. №№ 42, 62, 78, 83). მათი მიკროფილმები მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ¹¹⁰.

1972 წელს „შავი პოლკოვნიკების“ მთავრობამ გააუქმა ათონის მთის ათასწლოვანი ავტონომია და იგი თავის ინტერესებს დაუმორჩილა¹¹¹.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირსა და საბერძნეთს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდა, ნაბაჯები გადაიღდა ივერთა მონასტრის ქართულ სიძველეთა შესასწავლად.

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო კ ო ლ ი

კონსტანტინოპოლი — ქრისტიანული კულტურის უდიდესი ცენტრი. რომელიც განსაკუთრებით დაწინაურდა მას შემდეგ, რაც იერუსალიმი მაკმადიანთა მფლობელობაში აღმოჩნდა—ადრიდანვე ინტენსიურად იზიდავდა ქართველ მოღვაწეებს, ხოლო გვიან ქართული მწიგნობრობის კერადაც იქცა. მას, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ IX საუკუნეში აწვიენენ გრიგოლ ხანძთელი და ილარიონ

ქართველი, რომლებმაც გაიცნეს იქაური სამონასტრო ცხოვრება თუ საეკლესიო ორგანიზაცია: იქ აღიზარდა არაერთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე (პეტრე ქართველი, გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე და სხვ.); იქ მიიღო უმაღლესი განათლება ბევრმა ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ (არსენ იყალთოელმა, იოანე პეტრიწმა და სხვ.), აგიოგრაფთა ცნობებით, კონსტანტინოპოლში მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდნენ ექვთიმე ათონელი და გიორგი მთაწმიდელი¹.

XI საუკუნიდან ქართველები ჩანან კონსტანტინოპოლის რამდენსამე საეანეში (ხორაში, აგიაპანტს და სხვ.)².

აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ხორას მონასტერი³, სადაც ქართველები ლიტერატურულ საქმიანობას უკვე XI საუკუნის პირველ ნახევარში ეწეოდნენ. ნათქვამის დასადასტურებლად შეგვიძლია დავიმოწმოთ „მცირე სჯულისკანონის“ საყურადღებო ხელნაწერი (A № 96), რომელიც კარგა ხანია მეცნიერთა ცხოველ ინტერესს იწვევს⁴. იგი, — გრიგოლ მთაწმიდელის დავალებით, — ხორას მონასტერში დაუმზადებია კონსტანტინოპოლელ ქართველს — ბასილს, რომელიც ასეთ ცნობებს გვაწვდის: „დაიწერა რჩულისკანონი ესე ქალაქსა... კონსტანტინეპოლის, ახალსა ჰრომსა, ნებითა და ბრძანებითა ღმერთშემოსილისა წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ მთაწმიდელისაჲთა, ჯელითა გლახაკისა მწარედ ცოდვილსა ბასილი ეტრატაჲ მალუშისძისაჲთა... დაიწერა წიგნი ესე მონასტერსა ხორას, მეფობასა რომანოზისასა და ქრონოკონი იყო სნა [=251+780=1031]“⁵.

ხორას მონასტრის მოღვაწე ბასილი საკმაოდ ნაყოფიერი და დახელოვებული კალიგრაფი ყოფილა. მას არაერთი ხელნაწერი დაუმზადებია „მამადმთავარ ზაქარია ვალაშკერტელის“ დავალებით, სახელობრ, „მცირე სჯულისკანონი“ (S № 143)⁶, „მცირე სვინაქსარი“ (A № 648)⁷, „გრიგოლ ლეთისმეტყველის ცხოვრება“ და გრიგოლისავე თხზულებანი (A № 1)⁸.

ზაქარია ვალაშკერტელი (იგივე ზაქარია ბანელი) კონსტანტინოპოლის ქართული კოლონიის საყურადღებო წარმომადგენელია. სომეხი მემკვიდრის არისტაკეს ლასტივერტეცის (XI ს.) ცნობით, ზაქარია მონაწილეობდა იმპერატორ ბასილისა (976—1025) და საქართველოს მეფის გიორგი პირველის (1014—1027) მოლაპარაკებაში 1021—1022 წლებში. შემდეგ ბასილმა იგი სამუდამოდ დატოვა ბიზანტიის დედაქალაქში⁹. ქართველმა მღვდელმთავარმა უცხოეთშიც არ დაივიწყა მშობლიური კულტურა და რამდენიმე ხელნაწერი შესძინა მას. კარგადაა ცნობილი მისი თაოსნობით დამზადებული ხელნაწერები. გარდა ზემოხსენებულისა შევიძლია დავიმოწმოთ მაქსიმესა და პიროსის სიტყვის-გებისა და სხვა ძეგლების შემცველი ხელნაწერი (Q № 34)¹⁰, რომლის ანდერძში ვკითხულობთ: „დაიწერა ბრძანებითა და ნებითა ზაქარია ებისკოპოსისა ბანაელისა და სკნგელოზისაჲთა, ჯელითა უღირსისა და უცბად მჩხრეკალისა ისაკისითა, ქალაქსა კონსტანტინეპოლის, მონასტერსა მასვე ბანაელისა ეპისკოპოსისა, სკნგელოსისაჲთა, ყოველთა წმიდათა აგიაპანტს, მეფობასა რომანოზისასა“¹¹.

ამრიგად, ზაქარია ვალაშკერტელის (ბანელის), ბასილ ეტრატასა და ისაკის საწვლად მოღწეულია კონსტანტინოპოლში დამზადებული რამდენიმე ხელნაწერი,

რომელთაგან ზოგი საყურადღებოა შედგენილობითა და შინაარსით, ზოგი კი — ამასთანავე — მხატვრული გაფორმებითაც (მაგალითად, A № 648)¹².

კონსტანტინოპოლში ცნობილია კიდევ ერთი საეპიკური, სადაც ქართველები მოღვაწეობდნენ. ესაა ტრიანდაფლივი¹³, რომლის ხსენებას მხოლოდ ერთ ქართულ ზელნაწერში — სვიმეონ მეტაფრასტის სექტემბრის თვის წმინდანების „სხოვრებათა“ თარგმანების კრებულში (Ath. № 20)¹⁴ — ვხვდებით. შემონახულია ვრცელი შესავალი, რომელიც შეიცავს ძვირფას ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებს ბიზანტიური მეტაფრასტიკისა და ქართული აგიოგრაფიის შესახებ. ბოლოს ერთვის ანდერძი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის. სწორედ ეს ანდერძი გვამცნობს, რომ XI საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს „კონსტანტინოპოლეს, მონასტერსა შინა ყოვლად-შუენიერსა ტრიანდაფლივს“ მოღვაწეობდა მწიგნობართა ჯგუფი (თეოფილე ხუცესმონაზონი, მღვდელი საბა...). დავიმოწმებთ ანდერძის ნაწყვეტს: „ითარგმნა ... წიგნი ესე მეტაფრასი ქალაქსა შინა სამეფუფოსა კონსტანტინოპოლეს, მონასტერსა შინა ყოვლად-შუენიერსა ტრიანდაფლივს, ღედისა ღმრთისასა, უღირსისა მიერ თეოფილეს, რეცა ხუცესმონაზონისა, და მათივე ჯელთა მიერ დანიუსხა დასაბამითგანთა წელთა ექუსათას ხუთას ოთხმოცდამეცხრესა [=6589—5508=1081] ... შეფობასა აღმოსავლეთს გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისასა, რომლისა ბრძანებითა მოღვაწეობთა ვიწყებ თარგმნად წიგნთა საღმრთოთა ელენურისაგან ქართულად ... ღმერთმან აკურთხენ პატროსანი მღვდელი საბა ცოდვილსა თანა სულსა ჩემსა, რომელმან შემიმოსა ესე წიგნი. შეიწყალენ ღმერთმან ჩემი ხუცესი ხრისტოდულე ებრაელყოფილი უღირსსა თანა სულსა ცოდვილსა, რამეთუ ამის წიგნისა ეტრატი ყოველი მას უკაზმავს“.

ანდერძის ავტორი თეოფილე ხუცესმონაზონი (XI—XII სს.) ქართული ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელია¹⁵.

ქართველობა ბიზანტიაში ეტანებოდა არა მხოლოდ საეპიკურებს, არამედ სასწავლებლებსაც. ჭერ კიდევ გიორგი ათონელმა წაიყვანა იქ აღსაზრდელად 80 ბავშვი¹⁶, ხოლო რამდენადმე გვიან დავით აღმაშენებელმა იქაურ სკოლებში განათლების მისაღებად წარგზავნა 40 ახალგაზრდა¹⁷. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ კონსტანტინოპოლის უმაღლესი სკოლები¹⁸, სადაც ლექციებს კითხულობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები (მიქაელ პსელოსი, იოანე ქსიფილინოსი, იოანე იტალოსი და სხვ.), რომელთაც სხვებთან ერთად, უსმენდნენ ქართველი მოღვაწეებიც (არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვ.). იქ მიიღეს მათ საფუძვლიანი სწავლა-განათლება, იქ მოემზადნენ თეოლოგიასა და ფილოსოფიაში, იქაური ტრადიციები დანერგეს ქართულ საეპიკურებში (შავ მთაზე, პეტრიწონში, გელათში, იყალთოში).

კონსტანტინოპოლის იდეურ ცენტრს წარმოადგენდა კონსტანტინე IX მონომახის მიერ 1044—1047 წლებში დაარსებული უაღრესად მნიშვნელოვანი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება — მანგანის აკადემია, რომელიც რენესანსის მძლავრ კერად იქცა და დიდი როლი შეასრულა ბიზანტიური კულტურის ისტორიაში. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი ქართველი იქ არა მხოლოდ სწავლობდა,

არამედ ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. მხედველობაში გვყავს ქართული სულიერი კულტურის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენელი, როგორც კაა არსენ იყალთოელი.

დღეს საყოველთაოდ შეწყნარებული და აღიარებულია, რომ მხოლოდ მანგანის აკადემიაში შექმნილსა და განმტკიცებულ ტრადიციებს შეეძლო აღეზრდა არსენ იყალთოელის პიროვნებაში ის ფილოსოფოსი და იურისტი, რომელიც გამოსკვივის უკანასკნელის ფილოსოფიურ-იურიდიულ ნათარგმნ თხზულებებში¹⁹. როგორც ჩანს, არსენი მანგანაში სწავლობდა და თარგმნიდა კიდევ ბერძნულიდან ქართულად. სახელდობრ, იქ დაიწყო „დოგმატიკონზე“ მუშაობა. იქ თარგმნა ანასტასი სინელის (VII ს.) „წინამძღვარი“, რომლის ანდერძში ვკითხულობთ: „დაესრულა წინამძღვარი წმიდისა ანასტასი სინელისაჲ, კონსტანტინეპოლის მონასტერსა შინა წმიდისა გიორგისასა, მანგანას... ლოცვითა ბერთა ჩემთა იოვანე რატელისა და გიორგი ქართველისაჲთა ღირს ვიქმენ მე, უუენდოესი ყოველთა დაჰადებულთა შენთაჲ. მდაბალი მონაზონი არსენი, ბერძელისაგან ქართულად თარგმანებასა წმიდისა ამის წიგნისასა... მრავლითა ქირითა და შრომითა დამიწყოი და უნაკლულოდ ძალისაგებრ ჩემისა შემიწამებია და არცა რაჲ ბერძელისაგან დამიგდია და არცა რაჲ ზეპირით დამირთავს; და თუ სიბნელე რაჲმე სადმე ანუ სიდუხჭირე შესდგამს, ივი ბერძელისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტყუთა და შეუენებასა ვერ მეცნიერობისაგან“²⁰.

მანგანაშივე დაუწყო არსენ იყალთოელს „ხრონოგრაფის“²¹ თარგმნაც XII საუკუნის დამდეგს²².

ქართველთა მწიგნობრულ-ლიტერატურული მოღვაწეობა კონსტანტინოპოლში გრძელდებოდა მას შემდეგაც, რაც თურქ-ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია დამხეს, სატახტო ქალაქი ხელთ იგდეს (მას სახელი შეუცვალეს და სტამბული ეწოდეს). ისტორიული ბედუქუღმართობის გამო სხვადასხვა დროს ამ ქალაქში იყო რამდენიმე გამოჩენილი ქართველი მოღვაწე. სახელდობრ, სულხან-საბა ორბელიანი, დ. ბაგრატიონი, ი. ტლაშაძე, ტ. ვაბაშვილი, ი. გედევანიშვილი და სხვ.

სულხან-საბა ორბელიანი ორჯერ იყო კონსტანტინოპოლში. პირველად 1713 წლის შემოდგომაზე, როდესაც პარიზისკენ მიემგზავრებოდა. მეორედ—უფრო მეტი ხნით (I. 1715—V. 1716) — როდესაც სამშობლოსკენ მომავალ გზას ადგა. მაგრამ ხელშემშლელ გარემოებათა გამო უცხო ქალაქში მოუხდა ცდა²³. ღვეწმოსილი მწერალი და მეცნიერი, — მიუხედავად ხანდაზმულობისა და ჭანმრთელობის შერყევისა, — ნაყოფიერად მუშაობდა ლიტერატურულ-მეცნიერულ სარბიელზე.

მოდწეულია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ავტოგრაფული ხელნაწერი (H № 1658), რომლის ანდერძში აღნიშნულია: „კონსტანტინეპოლუს

მოვიდა. იქ დაუგვიანა ის წელიწადი. ფრანკისის დესპანისას იღვა ჯელის შეწყობითა, იქ იწყო წერაჲ ლექსიკონი ესე აგვისტოს ათსა და ქორანიკონს ჩლიე [1716]. იანვრის ოცს გაასრულა“²¹.

„სიტყვის კონის“ ეს ხელნაწერი. რომელზეც სულხან-საბა 1715 წლის 10 აგვისტოდან 1716 წლის 20 იანვრამდე მუშაობდა, შეიცავს იმ ტექსტს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მეორე რედაქციის სახელითა ცნობილი. მისმა შესწავლამ ნათელყო, რომ კონსტანტინოპოლში ყოფნისას სულხან-საბამ თავისი ლექსიკონი შეავსო. განაერთო, დახვეწა, სრულყო²².

კონსტანტინოპოლში ყოფნისას სულხან-საბა ორბელიანი მუშაობდა თავის „მოგზაურობაზეც“. მან შეკრიბა ცნობები კონსტანტინოპოლზე და მოკლე აღწერილობით შეავსო ქართული სამოგზაურო-მემუარული ლიტერატურის ეს შედეგრი²³.

უკანასკნელად უნდა მოვისხენიოთ სულხან-საბა ორბელიანის უბის წიგნაკი (A № 303), რომელიც შეიცავს „საქრისტეანო მოძღვრებას“, აგრეთვე საცნობარო ნასალებს კათოლიკური დოგმებისა და სამღვდელმსახურო წესების შესახებ. სულხან-საბამ კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს ჩაწერა მასში თავისი შთაბეჭდილებანი მართამ ღვთისმშობლის „სანტა კაზას“ შესახებ სათაურით „ამბავნი წმიდისა სანლისანი“, აგრეთვე „წამება წმიდისა ფლავიოს კლემენტოსისა“ და ცნობები 12 საეკლესიო კრებოს შესახებ²⁴.

ვახტანგ მეექვსის ძმა დომენტი ბაგრატიონი, რომელიც ქართლის კათალიკოსად ჩანს 1705—1741 წლებში²⁵, ზემოთ რამდენჯერმე მოვისხენიეთ. სამშობლოში ყოფნის დროს იგი აქტიურად იბრძოდა სამეფოსა და ეკლესიის განმტკიცებისათვის, ტყვეთა სყიდვისა და ქართველთა შორის მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ²⁶, დღენიდაც ზრუნავდა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის გამდიდრებასა და ახალი ნუსხების დამზადებაზე²⁷. 1724—1738 წლებში იგი კონსტანტინოპოლსა და კენძელ ტენდოზე იყო ექსპორირებული²⁸. მაგრამ იქაც არ წყვეტდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. მან, საფიქრებელია. კონსტანტინოპოლში გადააწერინა „ღიაკონ ელისეს“ — გარჯიის ნათლისმცემლის მონასტერში აღზრდილ მწიგნობარ ელისე საგინაშვილს²⁹ — სასულიერო-საეკლესიო შინაარსის მოზრდილი კრებული (A № 56)³⁰. კენძელ ტენდოზე, სადაც ის — სულთნისაგან შერისხული — ცხრა წელიწადს (1727—1736) იმყოფებოდა. იმავე ე. საგინაშვილს გადააწერინა ერთი ნაწილი ასეთივე კრებულისა³¹. იქიდანვე ეწვია იგი ათონის მონასტერს. სადაც დაამზადა ქართველ მოღვაწეთა საგალობელთა ნუსხა (იხ. ზემოთ გვ. 232)³².

დ. ბაგრატიონს კონსტანტინოპოლში ახლდა (1725—1727 წწ.) პოეტი იესე ტლაშაძე. რომელმაც იქ შეთხზა პოემა „კათალიკოს-ბაქარიანი“³³, რომელშიც დაწვრილებით აღწერა აღმოსავლეთ საქართველოს მძიმე მდგომარეობა და ექსპორირებული პატრიარქის ტრაგიკული თავგადასავალი.

1756—1757 წლებში კონსტანტინოპოლში რამდენჯერმე იყო ტ. გაბაშვილი. იგი თვეების მანძილზე ცხოვრობდა „სახლსა მდიდრისა ძველისა თავადისა გიორგი ლოლოთეთისასა და ბიძისა მისისა იოანიკიოს ხალკიდონისა მიტროპოლიტის თანა“. ნაყოფიერად მოღვაწეობდა ლიტერატურულ სარბილზე. სახელდობრ, იქ დაასრულა „მიმოსლვის“ ავტოგრაფი (H № 842), აღწერა კონსტანტინოპოლი, მუშაობა დაიწყო სხვა თხზულებებზეც³⁷.

1783 წელს კონსტანტინოპოლში ოთხ თვეს იმყოფებოდა ი. ვედევანიშვილი, რომელმაც მოგვაწოდა ცნობები ამ ძველ ქალაქზე³⁸.

1819 წ. შემოდგომაზე კონსტანტინოპოლი და მისი სანახები დაათვალიერა და აღწერა გ. ავალიშვილმა³⁹.

ქართველთა მწიგნობრულ-ლიტერატურული მოღვაწეობა კონსტანტინოპოლში გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც⁴⁰.

კ ვ ი პ რ ო ს ი

კუნძული კვიპროსი საუკუნეთა მანძილზე გამოირჩეოდა ეკლესია-მონასტრების სიმრავლითა და მოღვაწეთა დიდი კრებულით, რის გამოც ახლო აღმოსავლეთში განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. იქაურ საეკლესიო ხშირად ეხმარებოდა საქართველოს სამეფო კარი¹. ბუნებრივია, საქართველოს დაინტერესებას კვიპროსით ზრდიდა ის გარემოება, რომ იქაურ საეკლესიო შორის ქართველთა მონასტრებიც იყო.

მემატიანის ცნობით, თამარ მეფემ „კპრეს ღალია შეამკო და უყიღნა შე-სავალნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოვლითა წესითა პატიოსნისა მონასტრისათა“².

ძველი ავტორების ჩვენებითა და მეცნიერთა ძიებით დადგინდა, რომ კვიპროსზე ქართველები მრავლად ყოფილან. მათ კოლონია ჰქონიათ ნიქოზიაში, რამდენიმე მონასტერი — აღამინის რაიონში. XIV საუკუნის საბუთთში იხსენიება ქართული საეკლესიო პარტოვუს ყურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე იალა ან იაილა, რომელიც მკვლევართა ვარაუდით, ღალია უნდა იყოს³.

ღალია ან ეალია რომ ქართული საეკლესიო იყო, ამას ლენინგრადში დაცული ქართული ხელნაწერის (H № 18) შემდეგი ანდერძიც ადასტურებს: „განვძლიერდი უძღვური ესე... და ველ-ვეყვ აღწერად ეამსა სიბერისა წმიდანსა ამას და უმეცართა გონიერმყოფელსა წიგნსა თარგმანსა სამეოცდაათხუთმეტთა ფსალმუნთასა ძალითა ღმრთისაჲთა და მადლითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, ხოლო კაცთაგანისა არცა ერთისა ვის შეწევნითა, წინამძღვრისა გინა ძმათათა, არამედ უფროსლა ძვრთა შემთხვევითა მათგან, რამეთუ ზოგთა... წამილეს და ზოგნი მეშურებოდეს, არცა ვის სიტყვა მიგია, არცა ვის თვალნი მოუდგამნ, არამედ თანამეგწე ჩემდა იყო ტკბილი მეუფე და ღმერთი ჩუენი... დაიწერა კვიპრეს ქართველთა მონასტრისა ეალიას არა ხოლო შინა, არამედ ორ მილიონ შორის მონასტრისაგან“⁴.

როგორც ჩანს, ლალიას (ყალიას) მონასტერში (აგრეთვე მის სანახებში) ქართველი მოღვაწენი ცხოვრობდნენ და, — „ფსალმუნთა თარგმანების“ ანდერძის ცნობით, — მწიგნობრულ-ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდნენ.

ზემოთ მოვიხსენიეთ ერთი აგიოგრაფიული ძეგლი, რომელშიც მოთხრობილია თავგადასავალი „წმიდისა ახლისა მოწამისა ნიკოლოზისი დვალისაჲ“. მასში აღნიშნულია, რომ იერუსალიმში მაკმადიანთაგან შეპყრობილი ნიკოლოზ დვალი „გამოიქსნა ძმთაგან და კვპრეს წარიგზავნა და მანდა იყოფებოდა დიდითა მოღუაწებითა“³. იერუსალიმელი თანამოღვაწეების („ძმთა“) მიერ ნიკოლოზ დვალის კვიპრეს წარგზავნა იმას უნდა მოწმობდეს, რომ იმხანად (XIV საუკუნის დამდეგს) იქ ქართული კოლონია კიდევ არსებობდა.

გვიანი ხანის ქართველმა მოგზაურებმა — ტ. გაბაშვილმა (1758 წ.), ი. გვდევანი-შვილმა (1784 წ.) და გ. ავალიშვილმა (1820 წ.) კვიპროსზე ქართველთა ნაკალევი ველარ ნახეს⁶. უკანასკნელ ხანს ქართულ სიძველეთა ნაშთი (ერეკლე მეორის მიერ 1780 წ. შეწირული დაფარნა) აღმოჩნდა კვიპროსის ბერძენთა სავანეში — ეიკოს მონასტერში, რომელთანაც ქართველებს XVIII საუკუნის უკანასკნელა. პეოთხედიდან განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ⁷.

კ მ ბ რ ი წ ო ნ ი

ბულგარეთში, ქ. პლოვდივიდან 28—30 კილომეტრის დაშორებით, როდოპის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ასენიცია მარჯვენა მხარეს, დიდებულ ხეობაში მდებარეობს პეტრიწონის სახელგანთქმული სავანე. რომელიც სიდიდით მეორეა მთელ ბულგარეთში. როდოპის მწვერვალები, ასენიცის მქვევარე წყალი, მომხიბვლელი ტყის მასივები ქმნიან მშვენიერ სანახაობას და განსაკუთრებული სიდიადით წარმოაჩენენ ქართველთა ცნობილ სავანესა და ქართველი და ბულგარელი ბაღხების მეგობრობის ისტორიული ფესვების დამადასტურებელ კერას.

პეტრიწონის მონასტერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის ისტორიაში; ერთხანს იგი იყო ერთ-ერთი უმთავრესი კერა ჩვენი მწერლობისა, იქ ჩამოყალიბდა ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლა, რომელიც პეტრიწონის სკოლის სახელითაა ცნობილი¹.

პეტრიწონის მონასტერმა დიდი როლი შეასრულა ბულგარეთის ისტორიაშიც. ბულგარელ მეცნიერთა სიტყვით, „на протяжении своего существования ему (Петришонскому монастырю — Л. М.) приходилось быть символом всемогущества и трагичн. величия и упадка“.²

ჩვენამდე მოღწეული მასალები, რომელთაგან ზოგიერთი უკანასკნელ წლებში გამოვლინდა, რამდენადმე გვაცნობენ როგორც პეტრიწონის სავანის თავგადასავალს, ისე ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეულ ეპიზოდებს³.

ბულგარეთში ქართული სავანის არსებობა ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ერთობ გვიან გახდა ცნობილი. თუ არ ვცდებით, პირველი ცნობა ამ სავანეზე ჩვენ-

ში 1878 წელს გამოქვეყნდა. იგი ე. უთენის ბულგარეთის განმათავისუფლებელი ომის (1877—1878 წწ.) მონაწილე გ. ჯორჯაძეს, რომელიც გერმელს ფსევდონიმით აწვდიდა კორესპონდენციებს „დროებას“. მის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „სტანიმაკის ქალაქიდან ორი საათის სავალია, ხოლო ფილიპოპოლიდან ექვსი საათისა (30 ვერსი)... მონასტრამდის. მონასტერი დგას ს. ბაჩკოვის თავში, მდინარე ჩეპელდერესის ხეობაში. მდებარეობა მშვენიერ მდიდარ სურათს წარმოადგენს: შენობა აღშენებულია მაღალს ადგილას, შემოზღუდულია მაღალის გაღვნიტ, შემოულია შეგნითა და გარეშემო მშვენიერის ცივი წყაროებით, ბაღებით, ბოსტნებით. ხეხილით, მარჯვენას მხრით ჩამოუჩახჩახებს თერგზედ უფრო შფოთიანი და მსქეფარე მდინარე ჩეპელდერესი“. შემდეგ მოცემულია მცირე ცნობები სავანის ქართულ სიძველეთა შესახებ⁷.

ამ წერილში ქართული მონასტრის სახელწოდება არ ჩანს. არ ჩანს იგი არც მონასტრის შესახებ გამოქვეყნებულ სხვა ცნობებში, რომელთაც პრესას⁸ და პ. კონკომილის წიგნში⁹ ვხვდებით.

• მართალია, იველ წყაროებში გვხვდება ფორმები: პეტრიწი (იოანე), პეტრიწონი (H № 1760. 225r), პეტრიწონელი (ათონის აღაპები №№ 9, 34, 141), მაგრამ პეტრიწონის სავანე ქართველ მკვლევართათვის უცნობი იყო და მისი ადგილმდებარეობის დადგენა, რამდენადაც ვიცით. კარგა ხანს არავის უცდია (ძველ ქართულ ხელნაწერებში მოხსენიებულ დავით პეტრიწონელთან დაკავშირებით დ. ბაქრაძე 1890 წელს წერდა: პეტრიწონის მონასტერზე ცნობები არა გვაქვსო)⁷.

პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც საგანგებოდ შეეხო ამ საკითხს, იყო ა. ცაგარელი. სხვათა შორის, მან ჯერ კიდევ 1886 წ. აღნიშნა, რომ ხელთ ჰქონდა ბულგარეთიდან მიღებული ორი ქართული წარწერა⁸, ხოლო მომდევნო წელს რუს აღმოსავლეთმცოდნეთა სხდომაზე წაიკითხა მოხსენება პ. სირკუს მიერ ბულგარეთში მოპოვებული ქართული წარწერების შესახებ⁹, მაგრამ მოხსენების ტექსტი არ გამოქვეყნებულა და ამიტომაც არ ვიცით, ა. ცაგარელი იხსენიებდა თუ არა პეტრიწონის მონასტერს (ასეთი სახელწოდებით).

პირველი ცნობები პეტრიწონის მონასტერზე, აგრეთვე მის დამაარსებელზე ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა 1894 წელს. მკვლევარი წერდა: „Я думаю, что мы теперь знаем, где этот монастырь Петритци, иноки которого назывались Петритционели (сокр. Петритци)... Монастырь Петритци, Петриѳони, — это, по всей видимости, известный ныне Бачковский монастырь в Румелии, в верстах 30 от г. Филиппополя. На получасовом расстоянии на юг от г. Станимака находятся развалины известного в средние века торгово-промышленного города Петритциона, Петритѳѳс (у славян Петрич); в верстах семи от этого города, глубже в горах, лежит этот Петритционийский монастырь, получивший свое название, вероятно, от близлежащего города этого имени“¹⁰.

ქვენთ მეცნიერი აღნიშნავდა, რომ ანა კომნიჩის ცნობით, პეტრიწონის მონასტერი ქართველებს — ძმებს ბაკურიანებს დაუბრუნებიათ.

სწორად შეინიშნა ს. ყაუხჩიშვილმა, რომ ანა კომნიჩის „აღწერაში“ ასეთი ცნობა აი. გვხვდება¹¹. მართალია, ბიზანტიელი ისტორიკოსი იწინააღმდეგებდა ბაკურიანს¹², აგრეთვე პეტრიწონსაც¹³, მაგრამ მონასტრის დაბრუნებაზე პეტრიწონის ნათქვამი. პეტრიწონი მის წიგნში მოხსენიებულია როგორც ადგილი და არა როგორც ქართველთა მიერ დაარსებული საფაშე. თუ იმასაც მოვიხსენიებთ, რომ „აღწერისადანი“ გრიგოლ ბაკურიანისძე სომეხ დიდებულადაა მიჩნეული. მამინ ცხადი გახდება, რომ ა. ცაგარელი სხვა მასალებითაც სარგებლობდა. მაგალითად, ცნობა ქართველი მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის მიერ პეტრიწონის მონასტრის დაბრუნების შესახებ მან, საფიქრებელია, აილო პ. ბეზობაშოვის წიგნიდან, რომელიც 1887 წ. გამოქვეყნდა „სახალხო განათლების სამინისტროს ექსპლანაში“¹⁴.

შემდგომი კვლევა-ძიებით ზუსტად დადგინდა პეტრიწონის სახანის ადგილმდებარეობა, გაირკვა მისი დაარსების ისტორია და ვითარება, უცელობლად დადასტურდა, რომ პეტრიწონის ქართველთა მონასტერი დააარსა არა ბაკურიანმა, როგორც ზოგ ვინმეს ეგონა, არამედ მისმა ვაჟმა გრიგოლმა.

გრიგოლ ბაკურიანისძე ბიზანტიის სახელმწიფოებრივ ასპარეზზე დაწინაურებული ქართველი დიდებულია — ტაოელი ერისთავთერისთავის ბაკურიანის შვილი, რომელიც, ა. შანიძის ვარაუდით, ბაგრატიონთა გვარიდან იყო¹⁵. მამა ადრე გარდაეცვალა, დედამაც ვერ გაეწვია სათანადო დახმარება, მაგრამ ენერგიულმა ახალგაზრდამ ძალ-ღონე არ დაიმურა და რევით გაიკვლია გზა ცხოვრებაში, საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების ჭარბების მთავარსარდლის საპატიო პოსტი დაიკავა. სხვადასხვა დროს მსახურობდა საქართველოში, სომხეთში, სირიაში, აგრეთვე სმოლენის ოლქში; გამგებლად იყო ანისში, კარში (ყარსში), კარნუ-ქალაქში (თეოდოსიოპოლში). შეძენილი თუ იმპერატორთაგან ბოძებული მამულები ჰქონდა ტაოში, ანისის მხარეში, არმენაკთა თემში, მისინოპოლსა და სხვ.¹⁶

გრიგოლ ბაკურიანისძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტ ალექსი კომნიჩოსთან რომელსაც დიდად შეუწყობდა ხელი მიზნის მიღწევაში¹⁷.

XI საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ბიზანტიის პოლიტიკური მდგომარეობა გართულებული იყო. აღმოსავლეთში გაძლიერდნენ თურქ-სელჩუკები, რომელთაც მცირე აზიაში მკვიდრად მოიკიდეს ფეხი. იმპერიის შიგნით თავი იჩინეს ტახტის მაძიებლებმა. აქტიურად ამოქმედდა ალექსი კომნიჩოსი, რომელსაც მხარს უჭერდა გრიგოლ ბაკურიანისძე. როდესაც იმპერატორ ნიკიფორე ბოტანიატეს (1078—1081) წინააღმდეგ შეთქმულნი საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ და დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ხოლო ალექსი კომნიჩოსის ყოყმანი საქმეს ვნებდა.

გრიგოლ ბაკურიანისძემ მას ბრძოლისაკენ მოუწოდა, მხარდაჭერა აღუთქვა და როგორც იქნა გააბედვინა და გადააწყვეტინა ტახტის მპყრობელის წინააღმდეგ ამჯარად გამოსვლა¹⁸.

შეთქმულებმა გაიმარჯვეს, ალექსი კომნინოსმა იმპერატორის გვირგვინი დაიღვა (1081 წ.) და საფუძველი დაუდო კომნინოსთა დინასტიას¹⁹, ხოლო გრიგოლ ბაკურიანისძე დასავლეთის დიდი დომესტიკოსი — ბიზანტიის იმპერიის დასავლეთი პროვინციების ჭარბის მთავარსარდალი გახდა. ამავე დროს იგი სევესტოსი იყო და იმპერიის სამოხელეო იერარქიაში საპატიო ადგილი ეჭირა. ამ პერიოდში გრიგოლ ბაკურიანისძემ მრავლად მიიღო მამულები ფილიპოპოლის თემში, სამხრეთ თრაკიასა და სხვ.

ბიზანტიის დაწინაურებულ მოხელესა და გამოჩენილ მხედართუფროსს სამშობლოსთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. ნათქვამის დასადასტურებლად შეგვიძლია დავიმოწმოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა გრიგოლ ბაკურიანისძისა და საქართველოს მეფის გიორგი მეორის (1072—1089) ურთიერთობის შესახებ: „წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თვისსა ტაოს, და მოვიდა ბანას. ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორაგარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანისძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა, და განიყარეს“²⁰.

თავისთავად ის ფაქტი, გრიგოლ ბაკურიანისძემ გიორგი მეორეს რომ მისცა ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში მყოფი კარის ციხე-სიმაგრე და „მისი მიმდგომი ქუეყანა“, რასაკვირველია, შემთხვევითი არაა²¹. აღნიშნული მხარე 1065 წ. შეიერთა ბიზანტიამ, მაგრამ 70-იან წლებში თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს. გიორგი მეორემ 1073 წ. დაამარცხა თურქ-სელჩუკები და მთელი მხარე ხელთ იგდო. გრიგოლ ბაკურიანისძემ (საფიქრებელია, ბიზანტიის ხელისუფლების სანქციით) განთავისუფლებული მიწა-წყალი გიორგი მეფეს დაუმტკიცა. რადგან თურქ-სელჩუკთა შიში კიდევ იყო, ჩანს ბიზანტიამ უმჯობესად ჩათვალა ეს მხარე ქართველთ დარჩენოდა²².

აღმოსავლეთის ზორაგარმა (მხედართმთავარმა) გრიგოლ ბაკურიანისძემ ამ საქმეში უთუოდ მნიშვნელოვანი როლი შესრულა და ქართველთა სამეფოს ტერიტორიულ ზრდა-განვითარებასა და სამხედრო-პოლიტიკურ გაძლიერებას ხელი შეუწყო²³.

გრიგოლ ბაკურიანისძის ახლო ურთიერთობას თანამემამულეებთან ნათლად ადასტურებს მისი დიდი პატივით მოხსენიება „ძეგლის წერის“ ხელნაწერებში „ყოველითა ნათესავთა ჩუენთა მასპინძლისა ქართველთა გრიგოლ სევესტოსისა, ბაკურიანისძისა, ყოვლისა დასავლისა დიდისა დემესტიკოსისა მართლმადიდებელისა საუკუნომცა არს [საცხენებელი]“²⁴.

საოკარია, მაგრამ ფაქტია, რომ გრიგოლ ბაკურიანისძე — ეს გამოჩენილი ქართველი დიდებული, რომელმაც ბიზანტიაში ხანგრძლივი მოღვაწეობისას თავის ხალხსა და ქვეყანასთან მჭიდრო ურთიერთობა და კეთილგანწყობილება შეინარჩუნა. რითაც „ყოველთა ქართველთა მასპინძლის“ სახელიც კი მოაპოვა, ბულგარეთში ქართველთა მონასტერი დააარსა და მას ქართულ ენაზე შეუდგინა ტიპიკონი (წესდება), რომელშიც სიამაყითა და ხაზგასმით წარმოაჩინა თავისი ეროვნული წარმომავლობა (ამ საკითხზე ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით), ზოგიერთმა არაქართველად გამოაცხადა. მაგალითად, ანა კომნინის ცნობით, გრიგოლი „წარმოშობით სომხის წარჩინებული გვარისა“ იყო²⁵. ეს ცნობა, რომელიც ერთობ განსხვავდება პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ჩვენებისაგან. საბედისწერო გახდა გრიგოლ ბაკურიანისძის ბიოგრაფიის შესწავლის საქმეში. ჭრ კიდევ ტიპიკონის პირველი გამომცემელი გ. მუსეოსი (1888 წ.) გამოთქვამდა გაოცებას „ალექსიადისა“ და ტიპიკონის ცნობებს შორის არსებული სხვაობის გამო.

წყაროთა შეთანხმება და გართულებული პრობლემის გაშუქება მოიწადინა ნ. მარმა, რომელსაც ხელთ ჰქონდა, ერთი მხრივ, ანა კომნინის ცნობა გრიგოლის სომხობის შესახებ, და, მეორე მხრივ, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, რომლითაც საფიქრებელი ხდება ბაკურიანისა და მისი შვილების ქართველობა, აგრეთვე იმავე ტიპიკონის ბერძნული ტექსტის ზოგიერთი მცდარი ჩვენება (ტიპიკონი შედგენილია ბერძნულად, ქართულად და სომხურად, გრიგოლმა მას ხელი სომხურად მოაწერაო და სხვ.). მან „შეთანხმა“ ეს ცნობები, გამოიყენა ტენდენციურად გადაკეთებული ბერძნული ტექსტის ჩვენებანი და მცდარი დასკვნები გამოიტანა — გრიგოლ ბაკურიანისძე სომეხ ქალკედონიტად, ქართული აღმსარებლობის ტაოელ სომეხ დიდებულად მიიჩნია²⁶.

ნ. მარის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ მისი მცდარი თვალსაზრისი საკმარისად გავრცელდა და არაერთი მეცნიერის გამოკვლევაში აირეკლა, ანა კომნინისა და ნ. მარის ცნობების საფუძველზე გრიგოლ ბაკურიანისძე სომეხ მოღვაწედ თუ გაქართველებულ სომეხ მოღვაწედ მიიჩნის ი. სოკოლოვმა²⁷, ა. გრახარმა²⁸, ი. გომეშმა²⁹, თ. უსპენსკიმ³⁰, ვ. ნიკოლაევმა³¹, პ. ბეჟმა³² და სხვ.³³ სამწუხაროდ, მეცნიერთა გარკვეულ წრეებში ამ მცდარ თვალსაზრისს ახლაც იზიარებენ. მაგალითად, ს. ოენანიანი³⁴, ვ. არუთინოვა³⁵ და პ. მურადიანი³⁶ დღესაც იმეორებენ ნ. მარის დებულებებს, ტენდენციურად აშუქებენ ტიპიკონის ცალკეულ ადგილებს და იძლევიან გვიანდელი ჩანართების მცდარ ინტერპრეტაციას.

უკანასკნელ წლებში ჩვენმა მეცნიერებმა ეს საკითხი სერუპულოზურად შეისწავლეს. წყაროების ყოველმხრივი ანალიზით, ძველ ავტორთა მიერ შემონახული ცნობებისა და მკვლევართა შეხედულებების კრიტიკული განხილვით მათ საფუძვლიანად ამხილეს ნ. მარის თვალსაზრისის სიყალბე და მცდარობა, მკაცრად გააკრიტიკეს ამ თვალსაზრისის თანამედროვე დამცველთა არაობიექტურობა და ტენდენციურობა, წარმოაჩინეს გრიგოლ ბაკურიანისძის ეროვნების დამადასტურებელი მასალა და უცილობლად დაამტკიცეს პეტრიწონის საენის დამაარსებლის

ქართველობა. ამ საკითხის შესწავლაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ს. ყაუხჩიშვილი³⁷, ვ. კობალიანი³⁸, ა. ურუშაძე³⁹, ი. დოლიძე⁴⁰, გ. გოზალიშვილი⁴¹, ა. შანიძე⁴². მათ საბოლოოდ „გოფანტეს ბურუსი, რომელიც ეხვია პეტრიწონის ქართველთა მონასტრის დამაარსებლის მიმზიდველ პიროვნებას“ (ა. შანიძე).

დღეს საკმაოდ აღარაა, რომ ანა კომნინის ცნობა მცდარია. მართალია, ანა კომნინი ბრწყინვალე ისტორიკოსია, მისი „ალექსიადა“ XI—XII საუკუნეთა ბიზანტიისა და მომიჯნავე მხარეების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესასწავლად მნიშვნელოვანი პირველწყაროა და განსაკუთრებით საყურადღებო ჩვენთვის, რადგან მრავლად შეიცავს ცნობებს საქართველოს შესახებ⁴³, მაგრამ, მიუხედავად ზემოთქმულისა, უნდა შევნიშნოთ, რომ „ალექსიადაში“ გვხვდება არაერთი შეცდომა და უზუსტობა. გრიგოლ ბაკურიანისძეზე მსჯელობისას ანა კომნინი სხვათა ნაამბობს გადმოგვცემს (გრიგოლის დაღუპვისას ის სამი წლის იყო) და მისი ეროვნული წარმომავლობის შესახებ მცდარ ცნობას გვაწვდის. წინააღმდეგ ანა კომნინის ჩვენებისა, გრიგოლ ბაკურიანისძესა და მის ნათესავეებს ქართველი თუ არაქართველი ავტორები ქართველებად მიიჩნევენ. გარკვეულ ინტერესს იწვევს და ნდობას იმსახურებს სომეხი მემატიანის, გრიგოლ ბაკურიანისძის უმცროსი თანამედროვის მათეოზ ურპაელის (მათე ედესელის) კატეგორიული ხასიათის ცნობა: გრიგოლი ტომით ქართველი იყოო.

პეტრიწონის მონასტრის დამაარსებლის ეროვნული წარმომავლობის გასარკვევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვით გრიგოლ ბაკურიანისძის ცნობები, რომელთაც ტიპიკონში ვხვდებით. თავდაპირველად უნდა დავიმოწმოთ ნაწყვეტი ტიპიკონის დასაწყისიდან, რომელიც ქვემოთაც არაერთგზის დაგვკვირდება: „აწ უკუ ვიწყით ჩუენ აღწერად ღმრთისა მიერ განსაზღვრებაჲ ესე საკრებულოჲ და მცნებაჲ კანონისაჲ ერთ-სულ ქმნულთა მათჲს მონაზონთა, რომელნი მყოფ არიან სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისასა აღშენებულსა ქართველთა მონასტერსა პეტრიწონისასა, რომელი-ესე აღიწერა და დაემტკიცა ბრძანებთა ჩემ გრიგოლისითა, ნებითა ღმრთისაჲთა სევასტოსისა და დიდისა დემესტრიკოსისა ყოვლისა დასავალეთისაჲთა. ძისა სანატრელისა ერისთავთა მთავრისა ბაკურიანისაჲთა, აღმოსავალელისა და ქართველისაჲთა, რომელი-ესე მეზრ მამუნებელი ვარ პირველ კსენებულისა მის ახალ-შენებულისა მონასტრისა და მას შინა სამარხოჲსა მის განსასუენებელისა ჩემისა, რომელიცა სახელდებით წოდებულ არს. სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა მარამისსა და მისისა მის სახელ-განთქმულისა და შეუენიერად შეზავებულისა წმიდისა ტაძრისა და ქვეშაბრტად კარვისა დიდებისა ღმრთისა, რომელი-ესე აღემართა მას შინა შემწედ და შესავდრებელად და საკსრად ჩემდა, ცოდვითა განფრდილისა ამის, და თანა-მელქძლისა ძმისა ჩემისა სანატრელისა აბაჲ მაგისტროსისა“ (0,2)⁴⁴.

შესაბამისი ადგილი ტიპიკონის ბერძნულ ტექსტში (ახალი ქართული თარგმანის მიხედვით) ასე იკითხება: „ვიწყით ჩვენ საუბარი და წერა შესახებ წინამღე-

ბარისა, ჩვენთვის სანუკვარი და სანატრელი საქმისა, ანუ ჩვენ მიერ ახლახან დაფუძნებული მონასტრის საკრებულოსა... შესახებ ადგილსამყოფელისა მის პეტრიწონად წოდებულისა ციხისა შეკრებილ მონაზონებისა, რომელნიც ქართული წერა-კითხვისა და ენის მცოდნენი არიან და მოთავსებული არიან ყველანი ღმრთის განგებით და დახმარებით ახლახან აშენებულ მონასტერში, რომელიც აღვაშენე მე გრიგოლმა, ღვთის ნებით სევასტოსმა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთა ერისთავისა, რომელიც წარმოშობით ვარ აღმოსავლეთი მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან“⁴⁵.

დამოწმებული ტექსტიდან არა მხოლოდ ის ჩანს, რომ ბიზანტიის სახელგანთქმულმა მხედართუფროსმა პეტრიწონში ქართველთა მონასტერი დააარსა, არამედ ისიც, რომ იგი ქართველთა „უბრწყინვალესი გვარიდან“ იყო და ამაყობდა კიდევ თავისი ეროვნული წარმომავლობით. დიახ, იგი ამაყობდა თავისი ეროვნული წარმომავლობით და საგანგებოდ წარმოაჩენდა თანამემამულეთა ღირსებასა „ქართველნი ვართ ნათესავით მკნენი და მკვებდრობით აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხორებასა ჩვეულნი“ (0,4).

ტიპიკონში რამდენჯერმეა აღნიშნული, რომ ახლად დაარსებული საეპარქიო ქართულია — ქართველებისა და ქართველთათვისაა განკუთვნილი („ქართველთა მონასტერი პეტრიწონისა“—0,2; „პატიოსანი ესე მონასტერი ქართველთა“—0,7; „მიმიცემიან... მონასტრისა ჩემისა ქართველთა ღმრთისმშობელისა პეტრიწონისადა“—2,8; „შეეწირენით და მიესცენით წმიდასა ეკლესიასა ჩუენსა და მონასტრისა ქართველთასა პეტრიწონისასა“—2,14). ისიც კია აღნიშნული, რომ იქაური მოღვაწენი ქართველები იყვნენ („მონაზონნი მონასტრისა... გუარად ქართველნი არიან“—36,3. იხ. აგრეთვე 25-ე თავი—„თქსთა და ნათესავთა ჩუენთა და ყმათა ჩუენთათჳს ქართველთა, რომელნიცა მონაზონებისა წესსა მოვიდოდინ, თუ ვითარ ჭერ-არს შეწყინარებაჲ მათი“). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გრიგოლ ბაკურიანისძემ მონასტერს ქართული წიგნები შესწირა (2, 18; 34 ა, 22 და შმდ.) და ტიპიკონიც ქართულად შეუდგინა (36. 1, 3), მაშინ მისი ეროვნული წარმომავლობა კმათს აღარ გამოიწვევს (რასაკვირველია, მიუეჭრძობებელ მკვლევართა შორის).

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ადრე გრიგოლ ბაკურიანისძის ქართველობას მხოლოდ ზოგიერთი დაკვირვებული მკვლევარი აღიარებდა, მაგალითად, პ. ბუზობრაზოვი⁴⁶, ლ. პტი⁴⁷, ი. ივანოვი⁴⁸, ა. პროტიჩი⁴⁹, ე. ჰონიგმანი⁵⁰, ე. ლაზარევი⁵¹ და სხვ., უკანასკნელ წლებში, როდესაც პეტრიწონის საეპარქიოს სიბღის ვინაობა და მის მიერ შედგენილი ტიპიკონი საგანგებოდ შესწავლის საგნად იქცა, გრიგოლ ბაკურიანისძის ქართველობა ზევრმა არაქართველმა მოღვაწემ მიიჩნია დადგენილ ფაქტად (მაგალითად, ა. კოსტოვაჲ, ა. კოსტოვაჲ⁵², დ. კახასოვი⁵³, გ. ცანკოვა-პეტკოვაჲ⁵⁴, ი. ლიუბარსკიჲ⁵⁵, ა. ვასილიევი⁵⁶, მ. ივანოვი

როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლ ბაქურიანისძე (ისე როგორც მისი ძმა აბაზი) ენერგიულად იღვწოდა თანამემამულეთა საკეთილდღეოდ. აღსანიშნავია მისი ზრუნვა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე. ზემოთ უკვე დავიმოწმეთ ათონის ალაპი (№ 3მ). რომელიც გვაცნობს გრიგოლის (და აბაზის) მიერ ათონის ქართველთა მონასტრისათვის გაწეულ დახმარებას. რისთვისაც მან თანამემამულენი მზგვრძელობას უსურვებდნენ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ამავგი, რომელიც მან პეტრიწონის საეპისკოპოსოს დასდო.

გრიგოლ ბაქურიანისძემ „ქართველთა მონასტერი“, — როგორც თვით აღნიშნავს, — დააარსა „თემსა შინა ფილიპოპოლასასა, მიღმართ სამხრით კერძო კვესა შინა ერთსა ფრიად მაგარსა, საზღვართა შინა სოფლისა მის, რომელსა პეტრიწონ ეწოდების. რომელი-იგი ვასილიკოსობად ჩინებულ არს“ (1, 3) და მაშინვე შესწირა „პირველად თავითგანვე თემსა ფილიპოპოლისასა ციხედ წოდებული სოფელი პეტრიწონისაჲ. რომელი ვასილიკოსობად წოდებულ არს, სრულად ყოვლითა აგარაებითა თვისითა. ივანოვა აგარაკი, რომელსა შინა აწ მონასტერი აღნიშნა, პეტრიწონი აგარაჲ და ვაჩქოვა აგარაჲ...“ (2, 1. იხ. აგრეთვე 2,8; 2,14; 35 ბ, 5; 36.1)

ზემოაღმოწმებული ადგილებიდან ნათლად ჩანს, რომ გრიგოლ ბაქურიანისძის მიერ დაარსებულ საეპისკოპოსოს პეტრიწონის მონასტერი ეწოდებოდა. რადგან უკანასკნელ ხანს დაწინაურდა სოფელი ბაჩკოვო, საიდანაც მიემართება მთავარი გზა, — ჭადრებისა და ნაძვების დიდებული ხეივანი. — საეპისკოპოსო, ახლა მას ბაჩკოვოს მონასტერს უწოდებენ.

ზოგჯერ აცხადებენ, რომ პეტრიწონი, ბაჩკოვო და ვასილიკოსი ერთი და იგივეა⁶²; ან კიდევ აღნიშნავენ. რომ მონასტერი გაშენდა იმ ადგილას, სადაც ამჟამად არისო სოფელი ბაჩკოვო⁶³.

სინამდვილეში პეტრიწონი და ბაჩკოვო ორი სხვადასხვა ადგილია და ტიპიკონში ცალ-ცალკე იხსენიება (2,1), ხოლო ვასილიკოსი სულ არაა სოფლის ან ადგილის სახელი⁶⁴.

პეტრიწონი ბულგარული პეტრიჩიდან ნაწარმოები სახელია (Петрич—პეტრიჩი — Пѣтричъ — პეტრიწონი — პეტრიწონი — Петрициони)⁶⁵. აღსანიშნავია, რომ თუ პეტრიწონი, პეტრიწი მომდინარეობს ადგილის ბულგარული სახელწოდების (პეტრიჩ) ბერძნული დაწერილობისაგან (რადგან ბერძნულში არ იყო „ჩ“, იგი აღინიშნა „ტ“ ნიშნით, რომელიც ქართველთათვის „წ“ — დ ისმოდა. ამის შედეგად მივიღეთ პეტრიწი: პეტრიჩი → პეტრიტძ → პეტრიწი-ი), ქართულში შემონახულია ფორმა პეტრიჭი⁶⁶, რომელიც უშუალოდ ბულგარულიდან უნდა მომდინარეობდეს (პეტრიჩი → პეტრიჭი)⁶⁷.

მონასტრის სახელი (მონი პეტრიწონიტისის, მონასტერიონ ტის პანაგიას ტის პეტრიწონიტისის, მონასტერიონ ტო ივერიკონ პეტრიწოს) მომდინარეობს

მახლობლად მდებარე ადგილის სახელისაგან. ამ ადგილას ყოფილა სოფელი, რომელსაც პეტრიწონი (ბულგარულად პეტრიჩი, პეტრიჩკა) ეწოდებოდა⁶⁹.

როგორც ჩანს, გრიგოლ ბაკურიანისძემ ფილიპოპოლის (ახლანდელი პლოვდივის) ახლოს დააარსა ქართული მონასტერი და რადგან იქვე იყო პეტრიწონი (პეტრიწონი), მონასტერს მისი სახელი მიეცა. არსებითად მონასტერი დაარსდა სოფელ პეტრიწონის ტერიტორიაზე — „საზღვართა შინა სოფლისა მის. რომელსა პეტრიწონ ეწოდებინ“ (1, 3)⁶⁹.

გრიგოლ ბაკურიანისძეს, მისი სიტყვით, ადრევე, — ჯერ კიდევ აღმოსავლეთში ყოფნის დროს, — ჰქონია სურვილი მონასტრის დაარსებისა, მაგრამ სამხედრო-სახელმწიფოებრივი საქმეებით ვადატვირთვის გამო ძველი განზრახვის შესრულება მხოლოდ გვიან. — ხანდაზმულობის ეპოს მოუხერხებია. ამ საკითხზე სათანადო ცნობას იგი ტიპიკონის პირველსავე თავში („სიტყუაჲ შესავალი აღმწენებისათჳს წმიდისა ამის მონასტრისა“) გვაწვდის: მართალია, „წადერებდა მატუნდა პირველითგან განვიზრახვედ აღმოსავალეთსვე ყოფასა ჩემსა და ვიდრე დასავლეთს დამკედრებდამდე აღმწენბასა ეკლესიისა და მონასტრისასა სამარხოლ და განსასუენებულად ბრალეულთა ძუალთა ჩემთა, გარნა მრავალთა მიერ ცოდვათა ჩემთა და ცვალებბასგან ამის სოფლისა საქმეთასა და ჩემისაგან საწუთროასა ზრუნვათა შექცევასა და სიყუარულისაგან ვერ ღირს ვიქმენ აღსრულებდალ გულის ზრახვასა ჩემსა ვიდრე აქამომდე“ (1, 2). და აი ახლა. „ეამსა სიბერისასა“, როდესაც რამდენადმე განთავისუფლდა „საწუთროასა ამის ზრუნვათაგან“ (1, 3), განახორციელა ძველი ჩანაფიქრი და დააარსა ქართული სივანე.

ფიქრობენ, გრიგოლ ბაკურიანისძეს არა მხოლოდ საკუთარი საწმუნოებრივი სურვილი ამოქმედებდა, არამედ ერთგვარი მისიაც ჰქონდა დაკისრებული; ფილიპოპოლის მიდამოებში იმხანად მრავალად იყვიენ პავლიკიანელები, რომლებიც ახლოს იყვნენ ბოგომილებთან. პეტრიწონის სივანეს უთუოდ ევალებოდა ამ მხარეში მართლმადიდებლობის დაცვა-ვანმტკიცება და მწვალებლებზე იდეოლოგიური ზემოქმედებაც.

აღნიშნული მოსაზრება, რომელიც ფრთხილად გამოთქვა ნ. მარმა, ხოლო შემდეგ განაეითარა ზოგიერთმა მკვლევარმა, სწორი რომ იყოს, ეს გარემოება რამდენადმე მაინც აირეკლებოდა ტიპიკონში. მასში კი ამ საკითხზე ვარდავლითი მინიშნებაც არაა!⁷⁰

§ XI საუკუნეში როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში არაერთ გამოჩენილ მოღვაწეს აუწმუნებია ტაძარი⁷⁰. საესებით ბუნებრივია. ასეთი სურვილი გაჩენოდა გრიგოლ ბაკურიანისძეს, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, მრავალ ადგილას ჰქონდა მამული და თავის სამფლობელოში შეეძლო დაეარსებინა მონასტერი. საგულისხმოა, რომ მან საამისოდ ბულგარეთი აირჩია.

როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც ბიზანტიის მხედრობამ ბულგარეთი ხელთ იგდო (1018 წ.), ბულგარეთის ცხოვრებაში მძიმე ხანა დაიწყო — ბიზანტიელებმა არა მარტო დამოუკიდებლობა წაართვეს მას, არამედ მისი საბოლოოდ და-

მონება-შემომტკიცება მოიწადინეს. საიმპერატორო კარი თავის ერთგულ დიდებულებს უხვად აჭილდობდა ბულგარელთა მამულებით, იქ ასახლებდა და ბიზანტიის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დაცვა-განმტკიცებას ავალებდა.

გრიგოლ ბაქურიანისძეს ბულგარეთში, კერძოდ ფილიპოპოლის თემში ჭერ კიდევ მიხეილ VII პარამინაკის (1071—1078) დროს ჰქონდა მამულები⁷¹. ალექსი კომნინოსის ზეობაში, როგორც აღვნიშნეთ, მან ამ თემში კიდევ მიიღო მამულები და მონასტრის დაარსებაც იქ ირჩია.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში გარკვევითაა აღნიშნული, რომ გრიგოლ ბაქურიანისძემ ქართველთა სავანე 1083 წ. დააარსა. ასე რომ, ეს საკითხი კამათს არ იწვევს, მაგრამ ერთხანს მდგომარეობა რამდენადმე გაართულა (სრულიად უსაფუძვლოდ!) ერთმა ანდერძმა, რომელიც ძველ ქართულ ხელნაწერებში გვხვდება. სახელდობრ, „დოგმატიკონის“ ანდერძი, რომელშიც დავით პეტრიწონელი იხსენიება. ადრეული ხანისად მიაჩნდათ და ამის მიხედვით პეტრიწონის სავანის აღმოცენებას რამდენადმე ადრეული პერიოდით ათარიღებდნენ. მაგალითად, ა. ნატროშვილის ვარაუდით, რადგან დავით პეტრიწონელი 1010 წ. იხსენიება, პეტრიწონის მონასტრის იმ დროს არსებობა საკამათო აღაარა⁷²; ა. ცაგარელი და ნ. მარი, — დ. ბაქრაძის ცნობაზე დაყრდნობით, — დავითის ანდერძს 1030 წ. ათარიღებდნენ, ხოლო გრიგოლ ბაქურიანისძეს მონასტრის განმთავსებლად, აღმდგენულად აღიარებდნენ⁷³. 1083 წ. წინარე ხანაში პეტრიწონში ქართული კულტურის კერის არსებობის შესახებ ზოგჯერ ახლაც გაისმის მსჯელობა⁷⁴. ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ტიპიკონის ჩვენებაში ეჭვის შესატანად.

გრიგოლ ბაქურიანისძემ პეტრიწონის მონასტერში აავო მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე, აგრეთვე ორი მომცრო ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა და წმინდა გიორგისა, სენაკები, სათავესოები და ა. შ. როგორც ღიდი ტაძარი, ისე სხვა ნაგებობანი დროთა განმავლობაში დანგრავა. მონასტერმა თანამედროვე სახე მიიღო XVII საუკუნეში, როდესაც აშენდა მთავარი ტაძარი და სატრაპეზო. მომდევნო ხანისაა სხვა ეკლესიებიც. ზოგიერთი ნაგებობის რეკონსტრუქციის რესტავრაცია ახლაც მიმდინარეობს.

გრიგოლ ბაქურიანისძემ პეტრიწონის სამონასტრო ანსამბლის ახლოს, მთავარი ტაძრიდან 200-მდე მეტრის დაშორებით, ფერდობზე, კლდის პირას აავო საძვალე — ერთნავიანი ორსართულიანი შენობა, რომლის ზედა სართულში ეკლესიაა, ქვემოთ — ძელებით სავსე აკლდამები⁷⁵. ესაა ერთადერთი ძველი ნაგებობა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია თავდაპირველი სახით. იგი დიდებულად იყო მოხატული და, მიუხედავად ხანდაზმულობისა და დაზიანებისა, ახლაც იპყრობს ყურადღებას თავისი ფრესკებით, რომელთა შორის გრიგოლისა და მისი ძმის აბაზის გამოსახულებაცაა⁷⁶.

საძვალის ძველი მხატვრობა, რომელსაც ადრე მონასტრის დაარსების თანადროულად მიიჩნევდნენ, ხოლო უკანასკნელი გამოკვლევებით XII საუკუნითა დათარიღებული, ინტერესს იწვევს სიუჟეტთა სიმრავლით, თემატიკურ-შინაარსობრივი სიმდიდრით, გამომსახველობითი სიძლიერით. მისი შემსრულებელი — იოანე ივერაპული, რომელსაც ზოგი მკვლევარი ქართველად მიიჩნევს, საყოველთაოდ აღიარებულია ფერწერის ჩინებულ ოსტატად. საყურადღებოა მხატვრის იდეური ჩანაფიქრი და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ტენდენცია — მიზანსწრაფული შერჩევა მასალისა და მისი გვეგზაზომიერად განაწილება კედლებზე. მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის გამოჩენილ წარმომადგენელთა გვერდით ქართველ მოღვაწეთა (ილარიონ ქართველის, ექვთიმე ათონელის, გიორგი მთაწმიდელის) პორტრეტების მოთავსება და ამით იმის ჩვენება, რომ ქართველი მოღვაწენი პირდაპირი და უშუალო შემკვიდრენი არიან აღმოსავლეთის ბერმონაზვნობის მოთავეებისა⁷⁷.

გრიგოლ ბაკურიანისძემ პეტრიწონის მონასტერს მამნივე, — მშენებლობის დასრულებისთანავე (XII. 1083 წ.), — შეუღებინა ჩვენს მიერ ზემოთ არაერთგზის დამოწმებული ტიპიკონი, რომელიც დიდად მნიშვნელოვანი პირველხარისხოვანი წყაროა. იგი გვაცნობს საეანის დაარსების ისტორიას, დამაარსებლის ვინაობას. ქართული მონასტრის იურიდიულ წესწესობილებას; გვაწვდის მასალებს სოციალურ ურთიერთობაზე, მხარის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ა. შ.; შეიცავს საინტერესო ცნობებს საქართველო-ბულგარეთ-ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან; დიდად საყურადღებოა საეკლესიო ორგანიზაციისა და სამონასტრო ცხოვრების შესასწავლად; ამასთანავე, იგი ქართული სალიტერატურო ენის ძვირფასი ძეგლია, რომელშიც მოცემულია მდიდარი ლექსიკა; დაბოლოს ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ ტიპიკონი არაერთ ქართულ მონასტერს ჰქონდა, მაგრამ ზოგი დაიკარგა, ზოგი კი ფრაგმენტულად შემოგვრჩა. პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი არის ერთადერთი, რომელმაც თითქმის უვნებლად მოაღწია ჩვენამდე. ეს გარემოება კადეე უფრო ზრდის მის მნიშვნელობას.

ტიპიკონიდან ჩანს, რომ გრიგოლ ბაკურიანისძემ მის მიერ დაარსებულ მონასტერს უსაზღვრო დახმარება აღმოუჩინა — შესწირა სოფლები, ციხეები, სახნავ-სათესი ადგილები, საძოვრები, ტყეები, საეკლესიო ნივთები, წიგნები და სხვ.; აუშენა სასნეულო, სასტუმროები და ა. შ. (2; 29; 34; 35). გულუხვმა კტიტორმა საგანგებოდ აღნუსხა, „თუ რაულნი ან ვითარსახენი შესაწირავნი და ადგილნი მიეცნეს წმიდასა ამას ეკლესიასა მისთაგან მონაგებთა და ძმისა მისისა აბაზისთაგან, რომელ არიან მოძრავნი და უძრავნი და თუძრავანი“ (0,8).

საგულისხმოა, რომ შეწირულ ადგილთა ჩამოთვლის შემდეგ გრიგოლ ბაკურიანისძემ დამატებით განმარტავს „ზემოკსენებულნი ესე მონაგებნი ყოველნი, რომელთაცა სახელები თუთოეულად ზემოთ სწერიან, ესრე სახედ მიგკცემიან სრულებით ყოვლითა საკმრითა მათითა, სეფითა უღლებითა და ეგრეთვე გლენებითა, მითა და ბარითა, ტყითა და პლანინაებითა და საძოვრითა ადგილებითა, ვენაჯე-

ბითა და ხილნარებითა, წისკვლებითა და სახლებითა, ზღკთა და კმელითა, ციხეებითა და ყოვლითა შენებულებითა მათითა და ყოვლითა ქონიერებითა მათითა და შემოსავალითა შინა და გარე, ძრვადითა და უძრავითა და თვთმოდრავითა ყოვლითა“ (2, 17).

გრიგოლ ბაკურიანისძემ არა მხოლოდ მონასტრის დაარსების მიზანი თუ ვითარება მოიხსენია, განმარტა არა დაახასიათა; მან განსაზღვრა მოღვაწეთა რაოდენობა, ეროვნული შემადგენლობა და ცხოვრების წესები, დაადგინა წინამძღვარი (გრიგოლ ვანელი) და გამოიწვა მონასტრის თანამდებობის პირთა ფუნქციები. ქართველთა სავანე გაათავისუფლა ყოველგვარი (სამფო, საპატრიარქო და სხვ.) გადასახადებისაგან და ა.შ. ერთი სიტყვით, პეტრიწონის მონასტრის მან უქუქმნა იდეალური პირობები როგორც მატერიალურად, ისე უფლებრივად.

როგორც აღენიშნეთ, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ როგორც საისტორიო წყარო, არამედ როგორც ქართული სალიტერატურო ენის ბრწყინვალე ძეგლი. ამასთანავე, იგი საინტერესოა წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისითაც. მასში აქა-იქ ისეთი მედიტაციურ-ლირიკული წილსვლები გვხვდება, რომ, საფიქრებელია, გრიგოლ ბაკურიანისძე სხვა ლიტერატურულ სახეებსაგან განსწავლულ პირს კი არ აწერიებდა ტიპიკონს, არამედ თვით მუშაობდა მის ტექსტზე⁷⁸. ასეთი ვარაუდი უსაფუძვლო და მოულოდნელი არაა, რადგან გრიგოლ ბაკურიანისძის ლიტერატურული ინტერესი სხვა წყაროთიცაა ცნობილი. სახელდობრ, ბერძნულ ენაზე შემონახულია ბაგრატ ტავრომენიელის ჰომილია, რომელიც მას მიეწერება⁷⁹.

გრიგოლ ბაკურიანისძეს ტიპიკონი დაუწერია ორ ენაზე — ბერძნულად და ქართულად. ამის თაობაზე ტექსტი შემდეგ ცნობას გვაწვდის: „დაიწერა უკუ და დაემტკიცა წესი ესე განგებისაჲ ამის პატიოსნისა მონასტრისა ჩუენისა ღმრთისმშობლისა პეტრიწონისაჲ ბრძანებითა ჩემ გრიგოლ სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა ყოვლისა დასავალეთისა მიდამოჲსა, ძისა ბაკურიანისაჲთა, მაშენებლისა ზემო თქუმულისა ამის მონასტრისა და ეკლესიისა, წერილითა ბერძულითა და ქართულითა“ (36, 1).

ტიპიკონი დაუმზადებიათ სამ ცალად, მათგან ერთი ქართულად, ხოლო ორი ბერძნულად. ბერძნული ტექსტის ერთი ხელნაწერი გაუმზადებიათ კონსტანტინოპოლის წმინდა პანაგის მონასტერში შესანახად (34, 6), მეორე — პეტრიწონში დასაცავად. როგორც ჩანს, იურიდიული ძალა ბერძნულ ტექსტს ჰქონია (36, 3), მაგრამ, რადგან მონასტრის ბინადარი იყვნენ ქართველები, რომელთაგან ბერძნული ალბათ ყველამ არ იცოდა, გრიგოლ ბაკურიანისძეს საჭიროდ მიუჩნევია ქართული ტექსტის გამოზადებაც; „ამისთვის დაიწერა ბერძულად და ქართულად, რამეთუ მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან და არა იციან ბერძული წარკითხვაჲ, და ჭერ-არს, რაჲთა ქართულად დაწერილსა აღმოვითხვიდენ და გულისკმა-ჰყოფდენ აღწერილსა განსაზღვრებულსა ამას შინა ტიპიკონსა“ (36, 3).

სამწუხაროდ, კონსტანტინოპოლში შენახულ ბერძნულ ტექსტს არ მოუღწევია (ყოველ შემთხვევაში, არსად ჩანს), ხოლო ის ტექსტი, რომელიც პეტრიწონში იყო დატული, შემონახულია არა თავდაპირველი (1083 წ.) სახით, არამედ გვიანდელი ნუსხით.

ტიპიკონის ქართულ-ბერძნულ ტექსტებს შორის ერთგვარი სხვაობა შეინიშნება (მაგალითად, ქართულში გვხვდება ერთი ისეთი თავი, რომელიც ბერძნულში არ ჩანს, ქართულს აკლია გრიგოლ ბაკურიანისძის შეწირულებათა ნაწილის სია და სხვ.), მაგრამ მთავარი ისაა, რომ განსხვავებულადაა ნაჩვენები, თუ რომელ და რამდენ ენაზე დაიწერა ტიპიკონი. ქართული ტექსტის ჩვენება ამ საკითხზე ზემოთ დავიმოწმეთ. მის ადგილას ბერძნულ ტექსტში იკითხება: „დაიწერა ბერძნულად. ქართულად და სომხურად იმითომ, რომ ამ მონასტრის მონაზვნები ქართველები არიან და არ იციან ბერძნული კითხვა; ამიტომ საჭიროა, ეს ტიპიკონი შესრულებული იყოს ქართულადაც და სომხურადაც“⁸⁰. დამატებით ისიცაა აღნიშნული, რომ ტიპიკონს გრიგოლმა ხელი სომხურად მოაწერა⁸¹.

რადგან უფრო ადრე ბერძნული ტექსტი გამოქვეყნდა და იგი მკითხველთათვის ადვილად ხელმისაწვდომი გახდა. მისი ცნობა, როგორც ენახეთ, გახდა საფუძველი გაუგებრობისა გრიგოლ ბაკურიანისძის ეროვნული წარმომავლობის კვლევის საქმეში. ბერძნული ტექსტის მცდარსა და ალოგიკურ ცნობას უპირტიკოდ იღებდნენ და საეჭვო ადგილებს ქეშმარიტებად მიიჩნევდნენ. საკითხს აბუნდოვანებდა და სიძარტის ცხადყოფას აძნელებდა ისიც, რომ ტიპიკონის თავდაპირველი (1083 წ.) ტექსტი არ მოგვეპოვება. მიუხედავად ასეთი სირთულისა, გვიანდელ ნუსხათა შედარებითი შესწავლით, ჩვენებების შეპირისპირებით და დამატებითი მასალის მოხმობით ა. შანიძემ ნათელყო, რომ უფრო სანდო და სარწმუნოა ქართული ტექსტი, რომელიც უცვლელადაა გადმოწერილი დედნიდან და კარგადაა შენახული, ხოლო ბერძნული ტექსტი გადაკეთებულია, შეცვლილ-შეცვებულია. მკვლევარმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ცნობა ტიპიკონის სომხური ტექსტის არსებობის შესახებ გვიანდელი ჩანართია და მიზნად ისახავს ქართველთა დამსახურების დაკნინებასა და პეტრიწონის მონასტერზე მათი უფლებების შეზღუდვას. მათ თანამოღვაწეებად სომხების გამოცხადებით ბერძნებისათვის სავანის ხელში ჩაგდების გაადვილებას⁸².

ამჟამად დადგენილია, რომ თავდაპირველად ტიპიკონში (როგორც ქართულ ტექსტში, ისე ბერძნულში) აღნიშნული იყო მისი ორ ენაზე დამზადება; გარკვევით ეწერა, რომ იგი შედგა ბერძნულად და ქართულად. რაც შეეხება ცნობას გრიგოლ ბაკურიანისძის სომხურ ხელმოწერაზე, ის გვიანდელი დანამატია.

ტიპიკონის ჩვენება მის მხოლოდ ორ ენაზე (ბერძნულად და ქართულად) დაწერის შესახებ, რაც განსხვავდება ბერძნული ტექსტის გვიანდელი ცნობებიდან. ჩვენ საზოგადოებრიობას კარგა ხნის წინათ აუწყა ე. თაყაიშვილი⁸³. მაგრამ მაშინ ტიპიკონის ქართული ტექსტი არ ჩანდა და მეცნიერებისათვის გარკვეული ზრის შემუშავება რამდენადმე ძნელი იყო. ქართული ტექსტის შემცველი ხელნაწერის

მოპოვებამ და შესწავლამ უცილობლად დაადასტურა, რომ მას შემოუნახავს აღ-
რინდელი, თავდაპირველი სახე⁸⁴.

რამდენიმე სიტყვა ტიპიკონის ხელნაწერებსა და გამოცემებზე.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის არსებობა მეცნიერთათვის აღრევე იყო
ცნობილი. მისი ნაწყვეტები ხალკის ბიბლიოთეკის ხელნაწერის მიხედვით
1887 წ. დაიმოწმა პ. ბუზობრაზოვმა⁸⁵. ამ ხელნაწერს იყენებდა ა. დმიტრიევსკიც
(1895 წ.). ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

ტიპიკონის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მისდამი ინტერესი დიდი
იყო, მაგრამ სრული ტექსტი არ ჩანდა. ძიებამ სულ სასურველი შედეგი ვერ გამო-
იღო; თავდაპირველად აღმოჩნდა არა ძველი ტექსტი, არამედ მისი ახალბერძნუ-
ლი თარგმანი (XVIII ს.), რომელიც 1888 წ. გამოაქვეყნა გ. მუსეოსმა⁸⁶.

ტიპიკონის პირვანდელი ბერძნული ტექსტი ბუქარესტის XVIII საუკუნის
ხელნაწერის მიხედვით (რომელიც გრიგოლ ბაკურიანისძისეული ტექსტის გადაკე-
თებულ პირს წარმოადგენდა) 1904 წ. გამოსცა ლ. პტიმ⁸⁷.

ტიპიკონის ბერძნული ტექსტის შესამე გამოცემა ხიოსის ხელნაწერის (XIII ს.)
ფოტოპირის მიხედვით და მისი ქართული თარგმანი ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს.⁸⁸

ქართული ტექსტის შემცველი ხელნაწერი თავდაპირველად აღმოჩნდა სოფი-
ის საჯარო ბიბლიოთეკაში. ერთ დროს მას სომხურად მიიჩნევდნენ⁸⁹, 1936 წ. მისი
ქართულობა შენიშნა გ. ფერაქემ⁹⁰. 1949 წ. აღნიშნული ხელნაწერი ნახეს, შეის-
წავლეს და მისი ღირსება-ნაკლოვანება გამოავლინეს ა. შანიძემ⁹¹ და ნ. ბერძენი-
შვილმა⁹². გაირკვა, რომ იგი გადაწერილი იყო (ასო-ასოდ, სიტყვასიტყვით) ქარ-
თულის უსოდინარი (ან ნაკლებმცოდნე) პირის მიერ XIX საუკუნის მეორე ნა-
ხევარში (ხელნაწერმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რადგან მაშინ ეს იყო პირ-
ველი და ერთადერთი ქართული ნუსხა ტიპიკონისა. ამასთანავე, ნუსხა, რომელ-
შიც არაფერი იყო ნათქვამი სომხური ვერსიის არსებობაზე). სოფიის ხელნაწერის
მიხედვით ქართული ტექსტი⁹³ და მისი ლათინური თარგმანი⁹⁴ გამოაქვეყნა
მ. თარხნიშვილმა. ქართული ტექსტი ამ გამოცემიდან გადმობეჭდა ი. დოლიძემ⁹⁵.

ტიპიკონის ქართული ხელნაწერის უკეთესი ცალი, რომლის არსებობა ჩვენ-
მა მეცნიერებამ გაიგო ვ. ნიკოლაევის წერილებიდან⁹⁶, აღმოჩნდა კუძმულ ხიოს-
ზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში. მის შესახებ საგანგებო წერილი კ. ამან-
ტოსს ჯერ კიდევ 1938 წ. დაუბეჭდავს. ხელნაწერის ორი გვერდის ფოტოპირი
ევროპაში ყოფნისას უნახავს ე. თაყაიშვილს, რომელსაც იგი მიაწოდეს ვითარცა
კვიპროსის ბერძნულ მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერის ფოტოპირი⁹⁷.

ა. შანიძემ, — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური
ბიბლიოთეკის შუამდგომლობით, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზი-
დიუმის დახმარებით და მისი „წიგნის განყოფილების“ მეშვეობით, — ხიოსიდან მი-
იღო როგორც ქართული, ისე იმავე ხელნაწერში დაცული ბერძნული ტექსტის
ფოტოპირები (ბერძნული ტექსტის ფოტოპირით ტიპიკონი, როგორც აღვნიშნეთ,
გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა).

ხიოსის ხელნაწერის ქართული ტექსტი არ აღმოჩნდა ორიგინალი, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც განუსაზღვრელია. ის ღედნიდანაა გადაწერილი XIII საუკუნეში და XIX საუკუნის ბოლომდე პეტრიწონში ინახებოდა, სადაც იგი უნახავთ და მინაწერებით შეუშკიათ იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს (1699 წ.), ახალიციხელ მღვდელს იოანე მარკოზისშვილს (1702 წ.), იერუსალიმსავე პატრიარქს ხრისანთეს (1720 წ.). როდესაც ბულგარეთი თურქთაგან განთავისუფლდა და დაისვა საკითხი თუ ვის დარჩენოდა პეტრიწონი, ბერძნებს, რომლებიც იქ მოკალათებული იყვნენ, თუ ბულგარელებს, ბერძნებმა ხელნაწერი ხიოსზე გახიზნეს, რადგან ტიპიკონი დავას მათ სასარგებლოდ არ გადაწყვეტდა⁹⁸.

ხიოსის ხელნაწერის ფოტოპირის მიხედვით ტიპიკონის ქართული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი ვრცელი გამოკვლევით და სრული მეცნიერული აპარატით გამოაქვეყნა ა. შანიძემ (1971 წ.). ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ამ შესანიშნავი და სანიმუშო გამოცემისათვის დამსახურებულად მიიღო ი. ჯავახიშვილის პრემია.

პეტრიწონის მონასტერში არსებობდა სასწავლებელი, სემინარია⁹⁹, რომელიც ამზადებდა ქართველ მუშაკებს კულტურულ-საგანმანათლებლო *საქმიანობისათვის „ჩვენ აქ გვაქვს მეტად იშვიათი, შეიძლება ერთადერთი მაგალითი ბიზანტიაში სემინარიის არსებობისა ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით“ (ლ. პტი).

როგორც გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონიდან ჩანს, სემინარია არსებობდა „ნიკოლწმიდას, რომელ არს მახლობელად ციხისა სოხასტერი“ (31, 1). რომელიც მღებარეობდა სტენიმახსა¹⁰⁰ და პეტრიწონის სავანის ძირითად კომპლექსს შორის. იმავე ტიპიკონიდან ცნობილია, რომ ეს აღგილი („ღიღი სოფელა სტენიმახი... ორითავე ციხით მისითურთ... და სოხასტრებით მისით: ნიკოლწმიდით, ელიაწმიდით, ზემოა გიორგიწმიდითურთ“—2,2) გრიგოლ ბაკურიანისძის სამფლობელოს წარმოადგენდა.

ტიპიკონის 31-ე თავი: „მოყმეთათჳს დიაკონთა, თუ სადა იყვნენ, ანუ ვითარ განისწავლნენ“ გვაცნობს სემინარიის შემადგენლობას, პროგრამას, მიზანდასახულობას.

როგორც ირკვევა, ქართველი ახალგაზრდების აღმზრდელად გამოყოფილი ყოფილა ერთი განსწავლული ბერი, რომელიც გამოირჩეოდა ცოდნით, მომზადებით, ზნეობით, პირადი ღირსებით (31, 1). მისი ხელმძღვანელობით ცოდნას ეწაფებოდა ექვსი მოწაფე. როგორც მასწავლებელი, ისე მსმენელი პეტრიწონის მონასტრის მესვეურთა განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდნენ; ისინი მონასტრიდან იღებდნენ საზრდოსა და სამოსს, მასწავლებელი — გასამრჯელოსაც (31, 1; 31, 4)1.

ქართველი ახალგაზრდები სწავლობდნენ ყველაფერს. რაც კი საჭირო იყო

საეკლესიო სამსახურისათვის. სათანადო განათლების მიღებისა და ასაკობრივად მომწიფების შემდეგ ღირსეულთ შერჩეულთ შორის, ჩარიცხავდნენ მოღვაწეთა დასში (31, 5).

ტპიკონიდან ნათლად ჩანს, რომ სემინარია ამზადებდა მოღვაწეებს პეტრიწონის მონასტრისათვის. მართალია, საგანგებოდ არაა აღნიშნული, რომ სემინარია ქართული იყო და სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა, მაგრამ ეს თავისდა-თავად ივარაუდება და მეცნიერებიც (ნ. მარი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ს. ყაუხჩი-შვილი და სხვ.) ერთხმად აღიარებენ ამას.

გავრცელებული აზრით, პეტრიწონის სავანისა და სემინარიის მუშაობას თითქმის ოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა დიდი ქართველი მოაზროვნე იოანე, რომელსაც მოღვაწეობის ადგილის მიხედვით პეტრიწონელი ან პეტრიწი ეწოდა.

იოანე პეტრიწი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შესრულა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავისი უსაზღვრო მეცნიერული ერუდიციითა და ღრმა განათლებით, ინტენსიური შემოქმედებითი საქმიანობით წინ წასწია და მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული ფილოსოფიური აზროვნება, რითაც ფრიალ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ეროვნული კულტურის ისტორიაში.

იოანეს ბიოგრაფია ბურუსითაა მოსილი. ზოგი ცნობით, იგი გურიიდანაა¹⁰¹, ზოგით — სამცხიდან¹⁰². ანტონ კათალიკოსის სიტყვით, რაც ჩვენთვის ცნობილი მასალებით არ დასტურდება, ერთხანს თითქოს მოღვაწეობდა ოპიზაში¹⁰³. განათლება მიიღო არა ათენში, როგორც ძველი ავტორები (გერმანე ხუცესმონაზონი, დავით რექტორი, თ. ბაგრატიონი, ი. ბაგრატიონი)¹⁰⁴ აღნიშნავდნენ, არამედ, საფიქრებელია, კონსტანტინოპოლში — მანგანის აკადემიაში, სადაც უსმენდა გამოჩენილ ფილოსოფოსებს — მიქაელ პსელოსს, იოანე იტალოსსა და სხვა მოაზროვნეებს.

იოანე პეტრიწი აქტიური მონაწილე იყო იმ ფილოსოფიური მოძრაობისა, რომელიც გაიშალა ბიზანტიაში მიქაელ პსელოსისა და იოანე იტალოსის ხელმძღვანელობით. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა იოანე იტალოსთან¹⁰⁵, თეოფილაქტე ბულგარელთან¹⁰⁶ და სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან, რომლებთან ერთად ქადაგებდა პროგრესულ იდეებს. თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობითა და თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნებით მან ოფიციალურ-კონსერვატიული წრეების მხრივ დევნა-შევიწროება დაიმსახურა.

1083 წელს, როდესაც იოანე იტალოსი გაასამართლეს და გააძევეს, მისი მოწაფეები და თანამზრახველებიც მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. რეაქციონერებმა მათზე მიიტანეს იერიში და მათ წინააღმდეგ პროცესიც კი წამოიწყეს. გასაგებია რომ იოანე იტალოსის მიმდევრებს სატახტო ქალაქში აღარ ედგომებოდათ —

მათ გაქცევით უშველეს თავს. საფიქრებელია. ჩვენმა თანამემამულე იოანეშაყ ამ დროს დატოვა კონსტანტინოპოლი და პეტრიწონის ახლად დაარსებულ სავანეს მიაშურა, იქაურ ქართველ მოღვაწეთა დასს შეუერთდა და ვანაგრძო კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა, სემინარიას გაუძღვა და ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმე მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააფუძნა¹⁰⁷.

მართალია, იოანეს პეტრიწონში ცხოვრების „დამამტკიცებელი დოკუმენტი არ არსებობს“, მაგრამ, რადგან მას პეტრიწონელი (პეტრიწი) შეერქვა, საფიქრებელია, მისი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო პეტრიწონის მონასტრისა და სემინარიასთან.

ეს ვარაუდი ჭერ კიდევ 1894 წ. გამოთქვა ა. ცაგარელმა. რომელმაც ჩვენს მეცნიერებაში პირველმა დაუკავშირა იოანე პეტრიწი პეტრიწონის სავანეს. მკვლევარი წერდა: „Загадочное до сих пор прозвание известного грузинского ученого и философа XI в. Иоанна Петритци (პეტრიწი, сокр. от Петритционели) ныне получает совершенно ясный смысл и значение, — он был, по всей вероятности, одним из братьев этого Петритционийского монастыря. Транскрипция греческих звуков τζ грузинским წ (თ, а не ц, или з) служит одним из убедительнейших аргументов тождества Петр:ჯდგ с პეტრიწონი“¹⁰⁸.

ა. ცაგარლის მოსაზრება, — როგორც ლოგიკური და დამაჯერებელი, — გაიზიარეს ნ. მარმა¹⁰⁹, მ. ჯანაშვილმა¹¹⁰, ს. გორგაძემ¹¹¹, კ. კეკელიძემ¹¹². ს. ყაუხჩიშვილმა¹¹³ და სხვ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ა. ცაგარლის მოსაზრებას იწყნარებდა ყველა, ვინც კი მსჯელობდა იოანე პეტრიწზე (გამონაკლისს წარმოადგენდნენ თ. ჟორდანიას¹¹⁴ და ა. ხახანაშვილი¹¹⁵, რომლებიც პეტრიწს ყოვლად უსაფუძვლოდ უკავშირდებოდნენ ბიზანტიურ ტიტულს პეტრიკს — პატრიკს, პატრიცს).

ი. ლოლაშვილმა მოიწადინა სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის საყოველთაოდ შეწყნარებული მოსაზრებისა და კარგა ხნის წინ დამკვიდრებული ვარაუდის უარყოფა¹¹⁶. კითხვას „მოღვაწეობდა თუ არა პეტრიწი პეტრიწონის მონასტერში“, მან უარყოფითი პასუხი გასცა.

ი. ლოლაშვილის აზრით, პეტრიწისა და პეტრიწონელის პარალელურ ფორმებად მიჩნევა მართებული არ უნდა იყოს, რადგან პეტრიწონელი ეწოდებოდა პეტრიწონის მონასტრის მკვიდრს, ხოლო იოანეს იქ მოღვაწეობა წყაროებით დადასტურებული არ არის; „ძველი ავტორები პეტრიწს არსად არ იხსენიებენ პეტრიწონელად“, „ა. ცაგარლისეული განმარტება ეყრდნობა სავარაუდო მოსაზრებას“, მას „არ მოეპოვება მტკიცე მეცნიერული საფუძველი“. ამიტომ პეტრიწის პეტრიწონის მკვიდრად მიჩნევა, პეტრიწონელად გაზრება შეუძლებელია — „პეტრიწი არ არის დაკავშირებული იმ გეოგრაფიულ პუნქტთან, რომელსაც პეტრიწონი ეწოდება“.

იოანეს ზედწოდების გაზრების მიზნით ი. ლოლაშვილმა დაიმოწმა ძველი ავტორების ჩვენებანი. სახელდობრ, გერმანე ხუცესმონაზონი გვამცნობს იოანეს

■ ნართაულებერ ზედ ეწოდა პეტრიწი სიმკაცრით გამოძიებისათჳს წერილთასა, რომელსა ჰყოფდა¹¹⁷; დავით რექტორი წერს: იოანეს „ათინას, აკადემიასა შინა უწოდეს პეტრიწი. პეტრ—რომელ ითქმის ქვად და მარცვალი ქვემოზე მფხეკელად გამოითარგმანების... და ვინაითგან ესე იოანე იყო წერილთა ფრიალ მჩხრეკელ, ამისთვის უწოდეს პეტრიწად, ესე იგი — ქვის მფხეკელად“¹¹⁸; „კალმასობაში“ ვკითხულობთ: როდესაც იოანემ „დაასრულა სწავლანი, მაშინ მიიყვანეს მოძღვართა მისთა და უჩვენეს ციხისა კედელთა ზედა დაწერილი ძველთა ფილოსოფოსთაგან თქმულნი ჰაზრები, რომელმანცა უკეთეს განმარტნა თვისთა მოძღვართა ზედა და უკეთეს ნათლად აღმოაჩინნა. და ამის მიზეზისათვის სახელდვეს პეტრიწად (რომელ არს ქვის მფხეკელი)“¹¹⁹.

ი. ლოლაშვილმა მეცნიერებაში საყოველთაოდ გავრცელებულ თვალსაზრისს დაუპირისპირა XVIII—XIX სს. ავტორების ტრადიციული განმარტება და უპირატესობა უკანასკნელს მიანიჭა. მისი დასკვნით, ამ განმარტებას „საფუძვლად უნდა ედოს რაიმე ძველი სქოლიო ან ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი, ან კიდევ აღორძინებისდროინდელი ხალხური გადმოცემა. ამიტომ საჭიროა მისი მნიშვნელობის საფუძვლიანი შემოწმება“. მაგრამ მკვლევრის წიგნში ეს „საფუძვლიანი შემოწმება“ არ ჩანს.

ი. ლოლაშვილის შეხედულება შეუწყნარებლად მიიჩნიეს ს. ყაუხჩიშვილმა, ა. ურუშაძემ¹²⁰, ბ. კანდელაკმა¹²¹, მ. შენგელიამ¹²², რ. სირაძემ¹²³ და სხვ. მისი შეწყნარება მართლაც შეუძლებელია, რადგან მკვლევარს ახალი საბუთები არ წარმოდგენია და თავისი მოსაზრების დამტკიცება არც უცდია. მან ვამოიყენა საყოველთაოდ ცნობილი გამონათქვამები ძველი ავტორებისა, მისცა მათ თავისებური ინტერპრეტაცია და შემოგვთავაზა პეტრიწის გააზრების ისეთი ვარაუდი, რომელიც არაფრით არაა უფრო სარწიუნო და მეცნიერულად დასაბუთებული. ამიტომაც ჩვენი მეცნიერება კვლავაც იმ აზრისაა, რომ პეტრიწი უფრო მტკიცედ უკავშირდება ბულგარეთის ქართული მონასტრის სამყოფელი ადგილის სახელს პეტრიწოსს, ვიდრე „ქვის მფხეკელის“ აღმნიშვნელ სიტყვას (ა. ურუშაძე).

ი. ლოლაშვილმა მიუღებელი აზრები განავითარა სხვა საკითხებზეც. სახელდობრ, დააკინა პეტრიწონის სემინარიის მნიშვნელობა, უარყო იოანე პეტრიწის სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობა ამ სემინარიაში, გაზვიადებულად მიიჩნია მსჯელობა მის სამედიცინო საქმიანობაზე¹²⁴ და, — რაც განსაკუთრებით სავალალოა, — დაჩრდილა პეტრიწონის ქართული კულტურის კერის როლი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში, ბუნებრივია, რომ მისი მტკიცება ჩვენმა მეცნიერებამ არ შეიწყნარა.

იოანე პეტრიწმა¹²⁵ მრავალმხრივი მეცნიერულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მაგრამ მისი მისია ქართული კულტურის ისტორიაში მხოლოდ

ამ მემკვიდრეობის შექმნით არ ამოწურულა. მან სათავე დაუდო ლიტერატურულ სკოლას, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული ფილოსოფიის განვითარებას, ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შემუშავებას. „ამ სკოლამ შექმნა მთელი ეპოქა ჩვენს მწერლობაში, მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო“ (ჯ. კეკელიძე)¹²⁶.

პეტრიწონის ლიტერატურულ-ფილოსოფიურმა სკოლამ კიდევ უფრო დაუახლოვა ქართული ლიტერატურა ბიზანტიურს, დოგმატიკურ-ფილოსოფიური წიგნების თარგმნითა და კომენტირებით დიდად შეუწყო ხელი ქართული აზროვნების განვითარებას.

საინტერესოა ჯ. კეკელიძის მსჯელობა პეტრიწონულ სკოლაზე. კერძოდ. მის ენაზე და მისი შედარება ათონ-შავი მთის სკოლასთან.

„ათონ-შავი მთის სკოლას, რომელიც ჩამოაყალიბეს ექვთიმე ათონელმა, გიორგი მთაწმიდელმა და ეფრემ მცირემ, ახასიათებს ქართული ენისა და სტილის ბუნებრიობა და, თუ შეიძლება ითქვას, ძალდაუტანლობა მორფოლოგია, სინტაქსი და ლექსიკა ამ სკოლიდან გამოსული თარგმანებისა და ორიგინალური ნაწარმოებებისა არ ღალატობს წმინდა ქართულ ნორმებს და არ ატარებს ბერძნული ენის მონურად მიმდევრობის კვალს. მართალია, ექვთიმეს თარგმანები უფრო თავისუფალია და ქართული, ვიდრე გიორგისა, რომელმაც წინ წადგა ერთი ნაბიჯი ჩვენი თარგმანების ბერძნულ დედნებთან დაახლოების საქმეში და რომელსაც, თავის მხრივ, ეფრემ მცირემ გადააჭარბა, მაგრამ ეს იყო ტენდენცია მატერიალური დაახლოვებისა, ბერძნული დედნებისა და მათი შინაარსის, აზრის მთლიანად და უცვლელად ამოწურვისა. მეორე სკოლას საფუძველი ჩაეყარა დაახლოვებით XI საუკუნის მეორე ნახევარში კონსტანტინოპოლში, იმ პირთა წრეში, რომელთაც სისტემატური განათლება მიიღეს მანგანის აკადემიაში; მაგრამ ვინაიდან ეს სკოლა განვითარდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა პეტრიწონის სალიტერატურო ცენტრში, უმთავრესად იოანე პეტრიწის ხელში, იმას მე პეტრიწონულ სკოლას ვუწოდებ. ეს სკოლა მიზნად ისახავს არა მარტო მატერიალურ სიახლოვეს ბერძნულ დედნებთან, არამედ ენობრივსაც: მას უნდა აზრის გადმოცემაში ქართული ენა აიყვანოს ბერძნული ენის მოქნილობამდე და ამიტომ ამ სკოლის ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი და ლექსიკა აგებულია ბერძნულ ნორმებზე და ჩამოსხმულია ბერძნულ ყაიდაზე“¹²⁷.

სამწუხაროდ, პეტრიწონის ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლის იმ მოღვაწეთაგან, რომლებიც უშუალოდ პეტრიწონში ცხოვრობდნენ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას იქ ეწეოდნენ, ცოტა ვინმეს ვიცნობთ. დაბეჭდვით შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ დავით პეტრიწონელი, რომელიც XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე უნდა იყოს.

„დოგმატიკონში“, — ნიკიტა სტითატის თხზულების თარგმანის ბოლოს, — იკითხება: „ლოცვა ყავთ, მამანო, არსენისათვის თარგმანისა და დავითისათვის, პეტ-

რიწონელისა მონაზონ-ხუცისა, რომლისა იძულებითა ბერძულისაგან გადმოქუჯარ-
თულებიან ხუთნი ესე სიტყუანი სომეხთა განმაქიქებელნი“¹²⁸.

ამ ანდერძს უკავშირებდნენ ნიკიტა სტითათის ანდერძის ქრონოლოგიურ ცნო-
ბას, რომელსაც შეცდომით არსენისეულად მიიჩნევდნენ, და აღრეული ხანით ათა-
რილებდნენ (სახელდობრ, ვ. წერეთელი¹²⁹ და თ. ქორდანიას¹³⁰ 934 წლით, მ. ჭანა-
შვილი¹³¹ და ა. ნატროშვილი¹³² 1010 წლით, დ. ბაქრაძე¹³³, ა. ცაგარელი¹³⁴ და
ნ. მარი¹³⁵ 1030 წლით). ამჟამად გარკვეულია, რომ ეს ანდერძი ეკუთვნის „დოგმატი-
კონის“ მთარგმნელს არსენ იყალთოელს და დაწერილია პეტრიწონის საეანის და-
არსების (1083 წ.) შემდეგ. დავით პეტრიწონელი, როგორც ჩანს, არსენ იყალთოე-
ლის თანამოღვაწე ყოფილა. საფიქრებელია. ისინი მანგანაში სწავლობდნენ ერ-
თად¹³⁶. როგორც უნდა იყოს, ერთი ცხადია: დავით პეტრიწონელი ლიტერატურ-
რით დაინტერესებული იყო და არსენ იყალთოელსაც მოუწოდებდა მთარგმნელო-
ბითი საქმიანობისაკენ.

ქ. კეკელიძის დაკვირვებით, პეტრიწონის ლიტერატურული სკოლის გავლენა
ემჩნევა არაერთ ქართველ მწერალს. სახელდობრ, არსენ იყალთოელს. იეზუიკელს,
ნიკოლოზ გულაბერიძეს და სხვ.¹³⁷ მისივე აზრით, ამ სკოლის წარმომადგენელთა
მიერაა თარგმნილი შემდეგი თხზულებანი: ანასტასი ანტიოქელის „კითხვა-მიგე-
ბა“¹³⁸, „მაქსიმე მონაზონისა და თალასის მიმართ ღირსისა ხუცისა და წინამძღურისა
თითოსახეთა უღონობისათჳს წმიდისა წერილისათა“¹³⁹, „ცხორებაჲ, მოქალაქო-
ბაჲ და ღუაწლი წმიდისა მოწამისა ღოლინდუხ, მარიამად სახელცვალებულისაჲ“¹⁴⁰,
იოსებ მონაზვნისა ჭურჭელთმცველისა „ცხორებისა მიმართ და საკვრველბათა
ღირსისა მამისა ჩუენისა იოანნი, წმიდისა სერგის მონასტრისა წინამძღუარქმნი-
ლისათა“¹⁴¹, „მოთხრობაჲ ღუაწლისა და ვნებულებათა ღირსისა და აღმსარებე-
ლისა მაქსიმესათა და ანასტასი მოწაფისა მისისათა და ამათ თანა მრავალღუაწ-
ლისა რომთა პაპის მარტინესი“¹⁴², „კანონი მეექუსე კართაგენსა შინა შეკრებულთა
ორას ათშუდმეტა ნეტართა მამათაჲ, რათა საცხებელი ხუცესთა მიერ არა იქმნე-
ბოდის“¹⁴³ და მრავალი სხვა.

პეტრიწონის საეანის ბიბლიოთეკის ხელნაწერთაგან მხოლოდ ერთია ცნობი-
ლი (იხ. ქვემოთ). ბევრი დაიკარგა, ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად ჩვენი ბულ-
გარელი მეგობრების ძიებისა, ჭერჯერობით მიკვლეული არ არის.

პეტრიწონიდან გატანილ ხელნაწერთა ნაწილი სოფიაშია, ზოგი კენძულ ხიოს-
ზე და სხვ. მათ შორის, — პეტრიწონის ტიპიკონის ნუსხებს გარდა, — ქართუ-
ლი ხელნაწერი არ ჩანს.

ექვი არაა პეტრიწონში შექმნილი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდ-
რეობის გამოვლენა მეტ ნათელს მოჰყენს პეტრიწონელთა საქმიანობას და კიდევ
უფრო სრულად წარმოაჩენს ქართული კულტურის ამ საზღვარგარეთელი კერის
მნიშვნელობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XII საუკუნის დამდეგს იოანეს პეტრიწონის და-
ტოვება მოუხდა. ღრმად განსწავლულმა მეცნიერმა სამშობლოს მოაშურა და გე-

ლათინ აკადემიაში განაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა. ამერიდან გელათი პეტრიწონის ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლის ტრადიციების გამგრძელებლად და გამაღრმავებლად იქცა.

პეტრიწონის მონასტრის ისტორია მომდევნო ხანის ნაკლებადაა ცნობილი, ამიტომ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტზე ვაყვარდებით ყურადღებას.

გრიგოლ ბაკურიანისძე ერთგულად ემსახურებოდა რა ალექსი კომნინოსს, თავგამოდებით ებრძოდა მის მოწინააღმდეგეებს. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი პაქანიკებთან ბრძოლაში, მაგრამ შოადგილის (ნიკოლოზ ვრანას) დაუყვირეველი მოქმედების გამო შეეწირა ურიცხვი მტრის ლაშქარს. ანა კომნინის სიტყვით, „დომესტიკოსი ვაშმაგებით იბრძოდა, მტრის წინააღმდეგ ძლიერი მხედრული შემართების დროს მუხას დაეჭახა და იქვე სული დალია“ (1086 წ.)¹⁴¹.

მომდევნო ხანაში, იმავე ანა კომნინის ცნობით, პეტრიწონი მარიამ დედოფლის. — საქართველოს მეფის ბაგრატ IV ასულისა და ბიზანტიის იმპერატორების (მიხეილ VII, ნიკეთორე III) მეუღლის, — საკუთრებას წარმოადგენდა¹⁴⁵. საგულისხმო ფაქტია: ჩანს, სავანის დაარსებისა და გრიგოლ ბაკურიანისძის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ეს ადგილი ქართველ მანდილოსანს ეკუთვნოდა და მისი მფარველობით სარგებლობდა¹⁴⁶. თუ რა კავშირი ჰქონდა პეტრიწონში მარიამ დედოფლის კუთვნილ მამულს იქ არსებულ ქართული კულტურის ეკრასთან. ამას მომავალი კვლევა-ძიება გაარკვევს¹⁴⁷, მაგრამ ამთავითვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარიამ დედოფალი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ეხმარებოდა ათონის ქართველთა მონასტერს, არც პეტრიწონის სავანეს დააკლებდა ყურადღებას.

პეტრიწონის მონასტერს არც საქართველოს მეფეთა დახმარება აკლდა. საფიქრებელია, მას ეხმარებოდა დავით აღმაშენებელი¹⁴⁸; თამარის ისტორიკოსი კი ზუსტსა და კონკრეტულ ცნობას გვაწვდის. მისი სიტყვით, თამარი ეხმარებოდა „კერძოთა ელადისათა და მთაწმიდას, ეგრეთვე მაკედონისათა პეტრიწონს, კერძოთა თრაკიისათა და კონსტანტინოპოლის მონასტრებთა“¹⁴⁹.

1189 წ. ახლო აღმოსავლეთისკენ დაიძრა ჯვაროსანთა ლაშქარი. იერუსალიმისკენ მიმავალ გერმანელთა მხედრობას, რომელსაც ფრიდრიხ ბარბაროსა ედგა სათავეში, ბალკანეთში ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლით უხდებოდა გზის გაკაფვა. აგვისტოში ჯვაროსნებმა აიღეს ფილიპოპოლი და საერთოდ ხელთ იგდეს მთელი მხარე. გერმანელთა ერთ-ერთ სარდალს, ცხადია, იმპერატორის ბრძანებით. მიუკითხავს პეტრიწონის მონასტრისათვის, რომელიც იმხანად, როგორც ჩანს, ქართველთა ხელში ყოფილა. ავსტრიელი მემატიანის ანსბერტის ცნობით. სარდალმა „მონასტრის წინამძღვარი, წარმოშობით იბერიელი, მიჰკვარა იმპერატორს. ბატონი იმპერატორი მას მეგობრულად, დინჯად და კარგა ხანს პატივისცემით ესაუბრა“¹⁵⁰.

გერმანელი იმპერატორისა და ქართველი წინამძღვრის ხანგრძლივი მეგობრული საუბარი ისტორიკოსებს აფიქრებინებთ, რომ მსჯელობა ეხებოდა გერმანელი ჯვაროსნებისა და ქართველთა სამეფოს საერთო სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებს (შ. ბადრიძე), ფრიდრიხ ბარბაროსას შეეძლო პეტრიწონელი ქართველისაგან მიეღო ფრიად სსსარგებლო ინფორმაცია საქართველოსა და მაჰმადიანური სამყაროს შესახებ (გ. ჟორდანიას).

1204 წ. პეტრიწონის მონასტერი ჯვაროსანმა ლათინებმა დაარბიეს.

1205 წ. ბულგარეთის მეფემ კოლოიანმა დაამარცხა და განდევნა ლათინები. პეტრიწონის მონასტერი ამიერიდან კარგა ხანს ბულგარეთის მფლობელობაში იყო.

XIV საუკუნის დასაწყისიდან მონასტერი აღმავლობის გზას დაადგა. ბულგარეთის მეფემ ივანე-ალექსანდრემ (1331—1371) იგი თავის მფარველობითა და დახმარებით გააძლიერა და განამტკიცა. მან აღადგინა ტაძარი, განაახლა და მოხატა საძვალე (მაშინდელია როგორც ივანე-ალექსანდრეს, ისე გრიგოლ და აბაზ ბაქურიანისძეთა ფრესკა, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ).

ამ პერიოდში ქართველები კვლავ ჩანან პეტრიწონის მონასტერში. ნათქვამის დასადასტურებლად შეგვიძლია დავიმოწმოთ მონასტრის მთავარ ტაძარში დაცული ღვთისმშობლის ხატი, რომელმაც შემოგვინახა მრავალმხრივ საინტერესო ქართული წარწერა 1311 წლისა¹⁵¹, აგრეთვე XIV საუკუნისავე ქართული წარწერები მთავარი ტაძრის გუმბათის ჯვრისა¹⁵², საძვალისა, რომელიც 1896 წ. ნახა დ. ლასკოვმა¹⁵³, და საძვალის ფრესკისა, რომელიც უკანასკნელ ხანს გამოვლინდა¹⁵⁴.

გარკვეულ უურადლებას იმსახურებს ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი პეტრიწონელი ხელნაწერი — „ღღესასწაულთა საკითხავნი“, რომელიც ერთხანს სვანეთში ინახებოდა, ამჟამად კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კე. ელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (H № 1760)¹⁵⁵. ადრე იგი XV საუკუნისა ეგონათ, მაგრამ რ. პატარიძემ ჭეირონიშნით 1300—1340-იანი წლებით დაათარილა¹⁵⁶. მასში შესულია იოანე დამასკელის, ეფრემ ასურისა და სხვათა თხზულებანი, აგიოგრაფიული ძეგლები (სხვათა შორის, „პეტრე ქართველის ცხოვრებაც“). დამკვეთია მახარებელი, გადამწერი — ორი გრიგოლი. მეორე გრიგოლის ანდერძში ვკითხულობთ: „დაიწერეს ესე ღღესასწაულთა საკითხავნი მონასტერაჲა წმიდისა ღმრთისმშობლისასა პეტრიწონს ღუაწლითა და წარსაგებლითა მახარებლისა ოქროჲყმაჲსძისათა თანა საქონებელად მისსა, ვიდრეცა ეგულებინ, კელითა მდაბლისა გრიგოლისითა და ვინცა აღმოიკითხვიდეთ, ჩუენთკსცა შენდობასა იტყოდით, რათა ღმერთმან თქუენცა შეგინდენეს და მახარებელსა ოქროჲყმაჲსძესა და მშობელთა მისთა საბასა და მარიამს შეუენდოს ღმერთმან“¹⁵⁷.

დასახელებული ქართული სიძველენი ცხადყოფენ, რომ XIV საუკუნეში პეტრიწონის მონასტერში მკვიდრობდნენ ქართველები (ათანასი მოძღვარი, ოქროპირ

ტაოელი, მახარებელი, გრიგოლ კალიგრაფი და სხვ.), რომელთაგან ზოგიერთი უელტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა.

1363 წ. თურქებმა აიღეს ფილიპოპოლი და პეტრიწონიც ხელთ იგდეს. ამის შემდეგ მათ არაერთგზის დაარბიეს და გაძარცვეს საეანე და მხოლოდ XVI საუკუნის ბოლოს დართეს ბულგარელებს მისი მართვის ნება⁵⁸.

XVII საუკუნეში მონასტერში აღმშენებლობითი საქმიანობა გაჩაღდა. როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს ააგეს მთავარი ტაძარი და სატრაპეზო, რომლის მოხატულობა დღესაც აოცებს მნახველს⁵⁹. მშენებლობა გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც⁶⁰. გასული საუკუნის მეორე ნახევარში სატრაპეზო გარედანაც მოხატეს და ერთ-ერთ კედელზე გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეთა პორტრეტებსაც მიუჩინეს საპატიო ადგილი.

ბულგარეთის განმათავისუფლებელი ომის პერიოდში (1877—1878 წწ.) პეტრიწონის მიდამოებში მწვავე ბრძოლებს ჰქონდა ადგილი. 1878 წ. იანვარში ძველი მონასტერი თურქ-ოსმალთაგან დაარბევას ძლივს გადაარჩინა რუსეთის არმიის კაპიტანმა გ. ჯორჯაძემ. ქართველმა მეთაურმა თავისი რაზმით დროზე მიუსწრო განსაცდელში მყოფ მონასტერს და მტერი უკუაქცია, რითაც დიდი მალეობა დაძმ-სახურა პეტრიწონელებისა, რომელთაც მას, — ვითარცა ქართველს, — მონასტრის სიძველენი დაათვალიერებინეს, კერძოდ, ქართულწარწერიანი ხატიც: (1311 წ.) აჩვენეს⁶¹.

მალე მონასტერს ბერძენები დაეპატრონენ. მოხდა ის, რისიც ეშინოდა მის დაძმარსებელს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ გრიგოლ ბაკურიანისძემ მონასტერი დააარსა მხოლოდ და მხოლოდ ქართველთათვის, იქ მხოლოდ ქართველი მოღვაწენი უნდა ყოფილიყვნენ. ჩანს, მან კარგად იცოდა ქართველ-ბერძენთა ურთიერთობის ისტორია, კერძოდ, მათი ქიშპობა და ბრძოლა ათონსა და შავ მთაზე, წინასწარ გაითვალისწინა ბერძენი ბერების მიმტაცებლობა და ამიტომ მკაცრად განსაზღვრა პეტრიწონის მოწესეთა ეროვნული შემაღგენლობა — საეანე ქართველთათვის დააარსა, ხოლო ბერძენებს აუკრძალა იქ დასადგურება (ბერძენი მხოლოდ ერთი შეიძლება ყოფილიყო — მწერალი, რომელსაც სამონასტრო საქმეებზე მიწერ-მოწერა უნდა ეწარმოებინა ადგილობრივ ხელისუფლებთან).

გრიგოლ ბაკურიანისძის ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება ბუნებრივი შედეგი იყო საზღვარგარეთის ქართულ საეანეებში ქართველ-ბერძენთა ურთიერთობის გამწვაებისა⁶².

მიუხედავად გრიგოლ ბაკურიანისძის კატეგორიული მოთხოვნისა, ჟმთა სიანის შედეგად ბერძენმა ხელთ იგდეს პეტრიწონის მონასტერი და კარგა ხანს ფლობდნენ მას. წლების მანძილზე გრძელდებოდა დავა ბერძენთა და ბულგარელთა შორის. დამთავრდა იგი 1894 წელს, როდესაც ძველი საეანე ბულგარელთა ხელში გადავიდა.

ამჟამად პეტრიწონის მონასტერი კარგად მოვლილი და სათანადოდ დაცულია. სისტემატურად წარმოებს სარესტავრაციო სამუშაოები. — ნაგებობათა აღდგენა,

ფრესკების გაცხოველება. იქაური მოღვაწენი, აგრეთვე ექსკურსიამძღოლები დამთვალეობებელთ გულთბილად ესაუბრებიან სავანის ქართველ დამააარსებლებზე, იქაურ ქართულ სემინარიასზე, გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსზე.

პეტრიწონის მონასტერი ამაყად დგას და თვალნათლივ წარმოაჩენს ქართველი და ბულგარელი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

უკანასკნელ წლებში პეტრიწონი მოინახულა მრავალმა ქართველმა. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ქართველ მეცნიერთა ორი ექსპედიცია (ა. შანიძე, ნ. ბერძენიშვილი. ო. გიგინეიშვილი—1949 წ.; ს. ყაუხჩიშვილი, ა. ურუშაძე—1968 წ.). ექსპედიციის მონაწილეთა შრომებით, რომლებიც ზემოთ არაერთგზის დავიმოწმეთ, ერთობ წინ წავიდა პეტრიწონის შესწავლის საქმე.

პეტრიწონში მრავლად იყვნენ სხვა ქართველი მეცნიერებიც, აგრეთვე მწერლები. მსახიობები, მხატვრები, სტუდენტები და ა. შ. გამოქვეყნდა ბევრი წერილი თუ ბროშურა. რომელთა ავტორებმა აღწერეს ქართველთა ძველი სავანე, გადმოსცეს თავიანთი შთაბეჭდილებანი⁶³. რამდენიმე წერილი მიეძღვნა სავანის საიუბილეო თარიღს⁶⁴.

დ ა ს კ მ ნ ა

I

ქართველებს ადრეული ხანიდანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან. ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის ბევრი უდაბნო ქართველ მოღვაწეთა საყვარელ და საიმედო თავშესაფრად იქცა. ჩვენმა წინაპრებმა უკვე IV—V საუკუნეებში მიაშურეს დასახელებული ქვეყნების სავანეებს, ხოლო შემდეგ ზოგიერთ ადგილას მრავალმხრივი კულტურულ-აღმშენებლობითი და მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობაც გააჩაღეს.

ეგვიპტეში უკვე IV საუკუნეში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე ევაგრე პონტოელი, ხოლო V საუკუნეში იქაურ უდაბნოში ქართული ბაზილიკაც აშენდა.

კიდევ უფრო მრავლად ჩანან ქართველები პალესტინაში (იერუსალიმსა და მის ახლოს არსებულ სავანეებში), სინის მთაზე, შავ მთაზე (სირიაში).

ქართველთა ლტოლვა ახლო აღმოსავლეთისაკენ განაპირობა ქართული ეკლესიის აღმოსავლურმა (იერუსალიმურმა) წარმომავლობამ. ქართველთა ინტერესმა ქრისტიანობის კერისადმი, ბიბლიური ადგილებისადმი, ქართველ მოღვაწეთა მისტიკურ-ასკეტურმა მიდრეკილებამ და სწრაფვამ ბერმონაზვნური ცხოვრებისაკენ, განსაკუთრებით კი — ქართველთა დაინტერესებამ ქრისტიანული მწერლობით და ამ მწერლობის კერებით.

საუკუნეთა მანძილზე ახლო აღმოსავლეთი წარმოადგენდა ქრისტიანული მწერლობის მძლავრ ცენტრს და გამოჩენილ მწიგნობართა სამოღვაწეო ასპარეზს. იერუსალიმი, საბაწმიდა, პალაერა. სინა, ანტიოქია. შავი მთა—ამ მწერლობის სახელგანთქმული ცენტრებია. ქართველი მოღვაწეები,—იჩენდნენ რა ღიღ ინტერესს ქრისტიანული მწერლობისადმი, — ბუნებრივია, განსაკუთრებით ეტანებოდნენ ამ მწერლობის ცენტრებს; მათ ჭერ სხვათა სადგომებს მიაშურეს, ხოლო შემდეგ ქართული კოლონიები დააარსეს, საკუთარი სავანეები შექმნეს და კულტურულ-სავანმანათლებლო მუშაობაც გააჩაღეს.

პალესტინის სამონასტრო კოლონიზაცია ჩვენმა წინაპრებმა ადრე დაიწყეს, ყოველ შემთხვევაში, V საუკუნეში მაინც. განსაკუთრებით აღსანიშნავია პეტრე

ქართველის (411—491) მრავალმხრივი და ფრიალ ნაყოფიერი საქმიანობა. V საუკუნის პირველ ნახევარში მან ააგო ქართული სავანეები როგორც იერუსალიმში, ისე ბეთლემის მახლობლად. ეს უკანასკნელი რამდენიმე წლის წინ აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ახლად გამოვლენილმა შესანიშნავმა ხუროთმოძღვრულმა ძეგლმა შემოგვინახა ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები, წარმოაჩინა ქართლის სამეფოს ეკონომიკური ძლიერება, ნათლად გამოაჩინა პეტრე ქართველის წვლილი პალესტინის სამონასტრო კოლონიზაციაში, გაათავართო ჩვენი წარმოდგენა ქართველთა მოღვაწეობაზე პალესტინაში. ქართულწარწერებიანმა ნაგებობამ ნათელყო პეტრე ქართველის კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის ეროვნული მიზანდასახულობა.

მომდევნო ხანაში ქართველებს მრავლად ეხედავთ პალესტინისა და სირიის სამონასტრო ცენტრებში, სადაც მათ ეროვნული კოლონიები და მნიშვნელოვანი მწიგნობრულ-ლიტერატურული კერები დააარსეს. იქ საუკუნეების მანძილზე ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება, იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა უცხოური ძეგლები, მრავლდებოდა ხელნაწერები, მდიდრდებოდა ეროვნული წერილობითი კულტურის საგანძური. ამის შედეგად გვიანი ხანის ქართველ მოღვაწეებს ახლო აღმოსავლეთისაკენ იზიდავდა არა მხოლოდ მსოფლიო ქრისტიანული მწერლობა, არამედ წინამორბედ თანამემამულეთა მიერ შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობაც.

ახლო აღმოსავლეთის ქართული კულტურის კერებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საბაწმიდა, სინა, ჭვარი და შავი მთა.

საბაწმიდა. იერუსალიმის ახლოს IV—V საუკუნეებში აღმოცენდა რამდენიმე ლავრა (ხატიონისა, თეოდოსისა, საბასი და ა. შ.). სადაც თავი მოიყარეს ქრისტიანი ხალხების წარმომადგენლებმა (ბერძენებმა, სირიელებმა, სომხებმა...). ამ ლავრებს მიაშურეს ქართველმა მოღვაწეებმაც და ზოგიერთი მათგანი ქართულ მწიგნობრულ-ლიტერატურულ კერადაც კი აქციეს. ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბას ლავრას ანუ საბაწმიდას. იგი იყო უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერა ქართული მწერლობისა საზღვარგარეთ.

საბაწმიდა მდებარეობს იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 13—15 კილომეტრზე. იგი V საუკუნის 80-იან წლებში დააარსა გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ საბა განწმენდილმა (439—532) და მამინევი მიიზიდა მოწესენი სხვადასხვა ქვეყნიდან. იქ ქართველები ადრევე დასახლდნენ, ხოლო 532 წლისათვის ისე მომრავლდნენ, რომ თავიანთი ეკლესიაც ჰქონდათ და ზოგიერთ საეკლესიო წიგნს დედაენაზე კითხულობდნენ.

საბაწმიდაში ადრეული ხანიდან მოღვაწეობდა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა მწიგნობართა მრავალრიცხოვანი ჯგუფი, იქ იქმნებოდა ქრისტიანული მწერლობის შედეგები. საბაწმიდაში ძირითადად ბერძნულ

ენაზე იწერებოდა ახალი თხზულებანი, მაგრამ თანდათან გაიშალა მუშაობა სი-
რიულსა და სომხურ ენებზეც. VIII—IX საუკუნეებში განვითარდა არაბულ-ქრის-
ტიანული მწიგნობრობაც. ბუნებრივია, ყოველივე ეს გავლენას ახდენდა იმ ქართ-
ველებზე, რომლებმაც არაბთა მომძლავრების გამო სამშობლოში შეწყვიტეს შე-
მოქმედებითი საქმიანობა, მიაშურეს პალესტინას, დამკვიდრდნენ საბაწმიდაში და
VIII—X საუკუნეებში შექმნეს იქ უმნიშვნელოვანესი კერა ქართული მწიგნობ-
რობისა. საბაწმიდელ ქართველ მოღვაწეებს შემოქმედებით ცეცხლს მატებდა, ერ-
თი მხრივ, სურვილი და მოთხოვნილება მშობლიურ ენაზე წერისა, მეორე მხრივ,
ეულტურულ-ლიტერატურული გარემოცვა.

საბაწმიდაში გატარდა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა (VIII —
IX სს.) და შემუშავდა ბიბლიური წიგნების საბაწმიდური რედაქცია (IX ს.); ფარ-
თო ხასიათი მიიღო შემოქმედებითმა საქმიანობამ. VIII—IX საუკუნეებში განვი-
თარდა ორიგინალური ჰიმნოგრაფია (ბასილ საბაწმიდელი). ინტენსიური მუშაობა
გააჩაღა ცნობილმა ქართველმა მწერალმა იოანე-ზოსიმემ (X ს.), რომელმაც შე-
ადგინა ორიგინალური თუ ნახევრად ორიგინალური კალენდარულ-ჰიმნოგრაფიუ-
ლი კრებულები. იქვე შეთხზა მან „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომე-
ლიც ცხადყოფს ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და ამაღლე-
ბას; ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი საქმიანობა (მარტვირი, სეითი...), ითარ-
გმნა და შედგა აგიოგრაფიული, მისტიკურ-ასკეტიკური და ჰიმნოგრაფიული კრე-
ბულები (მთარგმნელთა საქმიანობაშიც გამოსჭვივის ეროვნული მიმართულება);
განშირდა ხელნაწერთა დამზადება, მომრავლდნენ კალიგრაფები (მაკარი ლეთეთე-
ლი, გიორგი თბილელი, იოანე-ზოსიმე...), დამკვიდრდა საბაწმიდური ხელი. იქ
დამზადებულ ხელნაწერთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 864 წლის
მრავალთავი, რომელიც უძველესი (პირველი) ქართული თარიღიანი ხელნაწერია.
მასში წარმოდგენილია 50 თხზულება 18 ავტორისა (ეპიფანე კვიპრელისა, ეფრემ
ასურისა, იოანე ოქროპირისა და სხვ.). საფიქრებელია, ეს თხზულებანი პალესტი-
ნის ქართულ საეანეებში და უპირატესად საბაწმიდაში ითარგმნა (VII—VIII სს.).
იქაური უნდა იყოს აგრეთვე ჭილ-ეტრატის იადგარი (IX ს.), რომელიც კარგად
წარმოაჩენს ქართული ჰიმნოგრაფიის მაღალ დონეს.

საბაწმიდის საეანეს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. იქი-
დან გადმოინერგა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტიპიკონი (IX ს.), რომე-
ლიც ახალი რედაქციით (XII ს.) მთელ საქართველოში დამკვიდრდა; იქ შექმნილი
ლიტერატურული პროდუქცია ქართველ მწიგნობართა და პოლიტიკოსთა საშუა-
ლებით გავრცელდა როგორც პალესტინაში, ისე საკუთრივ საქართველოში და
საგაძნობი გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის შემდგომ განვითარ-
ებაზე.

ქართველთა მოღვაწეობა საბაწმიდაში შეინიშნება XI საუკუნეშიც, მაგრამ იგი
დიდხანს აღარ გავრძელებულა. არაბთა მოძალეობისა და მონასტრის ხშირი დარბე-
ვის გამო იქ დარჩენა თანდათან გაძნელდა, ხოლო შემდეგ შეუძლებელი გახდა.

ქართველმა მოღვაწეებმა სხვა სავანეებს მიაშურეს და ხელნაწერი წიგნებიც ახალ სადგომებში გადაიტანეს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საბაწმინდის ქართულ ხელნაწერთა უმრავლესობა სინაზეა დაკული (მხოლოდ ორიოდ იხსნება თბილისსა და ლენინგრადში).

სინა. სინის მთა ქართველთა უშორესი სამოღვაწეო პუნქტია ახლო აღმოსავლეთში. იგი აღმართულია არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით—სინის ნახევარკუნძულის სამხრეთ სექტორში. სინის მთის კალთაზე, 1528 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ეკატერინეს მონასტერი, რომელმაც მრავალი მოღვაწე მიიზიდა. მიუხედავად იმისა, რომ სინის მთის ბუნება ერთობ მკაცრია, — ზამთარი იქ პირდაპირ აუტანელია, — ქრისტიანი ხალხების მრავალი წარმომადგენელი იქაურ სავანეს აფარებდა თავს და არ უფრთხოდა არც ბუნებრივ-კლიმატური პირობების სისასტიკეს და არც არაბი ბელუჩების ძალადობას. ადრეული ხანიდან მოღვაწეობდნენ იქ ბერძნები, სირიელები, ქრისტიანი არაბები... მალე იქ ქართველებიც გაჩნდნენ.

თითო-ოროლა ქართველი სინის მთაზე უკვე VI საუკუნიდან ჩანს, მაგრამ ქართული სათვისტომო იქ მხოლოდ IX საუკუნეში დაარსდა. ქართველები სინაზე განსაკუთრებით მომრავლდნენ X საუკუნეში, როდესაც არაბთა ძალმომრეობითა და მუღმევი თავდასხმებით შეწუხებულმა ჩვენმა წინაპრებმა ნაწილობრივ დატოვეს პალესტინის სავანეები (საბაწმიდა, პალაერა და სხვ.) და შორეულ მხარეს, შედარებით საიმედო თავშესაფარს მიაშურეს, სინის მთაზე დამკვიდრდნენ და იქ განაგრძეს იძულებით შეწყვეტილი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. მართალია, ქართველები გვიან ხანაშიც ჩანან იქ და ახალ ტარებებსაც აგებენ, მაგრამ ქართული მწერლობის მძლავრ კერას სინის მთა ძირითადად X საუკუნეში წარმოადგენდა. სწორედ ამ პერიოდში გაიშალა იქ მრავალმხრივი ლიტერატურული საქმიანობა, რომელიც არსებითად პალესტინის ქართულ კულტურულ-მწიგნობრული ტრადიციების გაგრძელება იყო. განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ცნობილი ქართველი მწერლების იოანე მინჩხისა და იოანე-ზოსიმეს შემოქმედებითი ნიჭი; ითარგმნა და შედგა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის მრავალი კრებული სხვადასხვა ხასიათისა; იქაურმა მწიგნობრებმა — კალიგრაფებმა, ხელნაწერთა დამზადების ინიციატორებმა, წიგნების მმართველებმა (იოანე-ზოსიმემ, მიქაელ კათაონელმა, იოანე კუმურდოელმა, კვირიკე მიძნაძორელმა, ეზრა ქობულეანისძემ და სხვ.) შექმნეს უაღრესად მდიდარი წიგნსაცავი, რომელიც გაცილებას იწვევს თავისი მრავალფეროვნებით. იგი ნათლად წარმოაჩენს სინელ ქართველთა ლიტერატურულ ინტერესებსა და მათი გონებრივი პორიზონტის სიფართოვეს. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში შემონახულია მრავალი ორიგინალური ძეგლი (ფილიპეს, იოანე მინჩხის, იოანე-ზოსიმეს, იოანე ბოლნელისა და სხვათა თხზულებანი). სასულიერო-საეკლესიო ხასიათის (ავიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ასტრონომიული, ასკეტიური...) კრებული და ა. შ. ამ კოლექციის გაცნობა უცილობელს

ზღის, რომ სინის მთის სავანე, სადაც საუკუნეთა მანძილზე ჩქეფდა ლიტერატურულ-შემოქმედებითი ცხოვრება, ქართული სულიერი კულტურის კემპარიტად დიდებული კერა იყო.

სინის მთის ქართველ მოღვაწეთა მალაღ წიგნიერ კულტურაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ X საუკუნეში მათ არა მხოლოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ, არამედ სპეციალური სამკითხველო დარბაზი და გულდასმით შედგენილი კატალოგიც. რასაკვირველია, სინის მთის ქართული წიგნსაცავი მხოლოდ ადგილზე დამზადებული ხელნაწერებით არ მდიდრდებოდა; მას ემატებოდა წიგნები პალესტინის ქართული სავანეებიდან (პალავრიდან, გეთსიმანიიდან, გოლგოთიდან, განსაკუთრებით საბაწმიდიდან). სინის მთის ქართული ხელნაწერებიდან ზოგი ამჟამად ადგილზეა, ზოგი კი — თბილისში, ლენინგრადში, პრღაში, გრაცში, ამერიკასა და სხვაგან.

გვარი XI საუკუნის შუა წლებში პალესტინაში მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა, შეიქმნა ერთგვარი პირობები სამონასტრო ცხოვრებისათვის. ამ დროისათვის ქართველი მოღვაწენი მრავლად იყვნენ იერუსალიმისა თუ მისი შემოგარენის ეკლესია-მონასტრებში, მაგრამ არ არსებობდა მძლავრი ცენტრი, რომელიც უხელმძღვანელებდა პალესტინის სავანეებში გაფანტულ ქართველობას, სათავეში ჩაუდგებოდა და ორგანიზებულად წარმართავდა მის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ასეთი ცენტრის არარსებობა მწვევედ იგრძნობოდა, მით უფრო, რომ საკირო იყო წინაპრების ღვაწლის წარმოჩენა და ქართველთა უფლებების დაცვა ე. წ. წმინდა ადგილებზე. ამასთანავე, საქართველოს პოლიტიკურმა აღმავლობამ განაპირობა ქართველ მეფეთა მეტი ყურადღება პალესტინისა და იქ მოღვაწე ქართველთა ბედისადმი. ყოველივე ამან მოამწიფა საკითხი ახალი სავანის დაარსებისა და აი XI საუკუნის 30—50-იან წლებში იერუსალიმის ახლოს აშენდა ჭვრის მონასტერი. ადრე იგი ქალაქიდან ოდნავ მოშორებოდა იდგა, მაგრამ ახლა იერუსალიმის ახალ კვარტალთა შუაგულშია. ეს ადგილი მიჩნეული იყო წმინდა ადგილად. რადგან ცნობილი გადმოცემით, რომელიც სხვადასხვა ვარიანტითაა გავრცელებული ქრისტიანულ სამყაროში, იქაური ხისგან გააკეთეს ჭვარი, რომელზეც აცვეს ქრისტე. აი სწორედ იქ ააშენა ქართული ეკლესია და დააარსა სავანე გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ გიორგი-პროხოვრემ. ზემოხსენებულმა გადმოცემამ დიდად შეუწყო ხელი ჭვრის მონასტრის პოპულარობას; იგი პალესტინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიწმინდედ ითვლებოდა და მრავლად იზიდავდა პილიგრიმებს, რომელთა ჩანაწერებში უხვად ვხვდებით ცნობებს პალესტინელ ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობაზე.

ჭვრის მონასტერი მალე იქცა პალესტინის ყველა ქართული სავანის სულიერ-ლიტერატურულ ცენტრად, მწიგნობრულ-შემოქმედებითი მუშაობის მნიშვნელოვან კერად. იქ თავი მოიყარა ქართველ მოღვაწეთა დიდმა ჯგუფმა, შეიქმნა საკმაოდ მოზრდილი ქართული კოლონია, რომელიც, — მიუხედავად მაჰმადიანთა ბა-

ტონობისა და ქართველთა შევიწროებისა, საქართველოს პოლიტიკური დაუძლეუ-რების გამო ეკონომიკური დახმარების შესუსტებისა (XIII საუკუნიდან) და ბერძენ სამღვდელთა პირთა მიერ ქართველთა კუთვნილი ადგილების მიტაცებისა, — XIX საუკუნემდე განაგრძობდა არსებობას. საუკუნეთა მანძილზე იგი წარმოადგენდა პალესტინელი ქართველების მთავარ შესაკრებ პუნქტსა და პილიგრიმთა სიძმე-დო თავშესაფარს, იერუსალიმისა და მისი შემოგარენის ქართული საგანეების ად-მინისტრაციულ-ორგანიზაციულ ცენტრსა და ძველი ქართული მწერლობის საყუ-რადღებო კერას, სადაც დაარსებისთანავე გაიშალა კულტურულ-საგანმანათლებ-ლო საქმიანობა. ჯერ კიდევ გიორგი-პროხორემ წამოიწყო იქ მწიგნობრულ-ლიტე-რატურული მუშაობა. მისი თაოსნობით გაჩაღდა იქ მრავლმხრივი მოღვაწეობა, რომელშიც არაერთი ქართველი მწიგნობარი (მიქაელ დვალი, იოანე დვალი და სხვ.) მონაწილეობდა. შემოქმედებითი საქმიანობა ჯვარში გრძელდებოდა მომდევ-ნო ხანაშიც. დაიწერა ორიგინალური თხზულებანი — „პროხორეს ცხოვრება“ (XI ს.), „წამებაჲ ლუკასის“ (XIV ს.), „წამებაჲ ნიკოლოზ დვალისაჲ“ (XIV ს.) და სხვ., შედგა კრებულები, გამრავლდა ხელნაწერები, შეიქმნა მდიდარი წიგნსა-ცავი, რომლის ძირითადი ნაწილი ახლა იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთე-კაშია დაცული, ხოლო ზოგიერთი ხელნაწერი სინის მთაზე, თბილისში, ქუთა-ისში, ლენინგრადში, ვენაში, პარიზში, ლონდონში, ვაშინგტონსა და სხვაგან ინახება.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართველთა შემოქმედებითი საქმიანობა პა-ლესტინაში ძველებური (VIII—X სს.) მასშტაბისა და გაქანებისა არ იყო. მართა-ლია, XI საუკუნიდან იერუსალიმელი ქართველები, რომელთაც მკვიდრო კავშირი ჰქონდათ სამშობლოსთან, ეკონომიკურად მოღონიერდნენ და უფლებრივად გაძ-ლიერდნენ, ქართულ საგანეთა რიცხვი გაიზარდა, კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა გაიშალა როგორც ჯვრის მონასტერში, ისე სხვა ეკრებშიც (გოლგოთა-ში, გეთსიმანიაში, კაპათაში და ა.შ.), მაგრამ პალესტინის ქართულმა კოლონიამ დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა, ველარ შეინარჩუნა ძველი დიდება. ამის მი-ზეზი იყო, ერთი მხრივ, მაჰმადიანურ გარემოცვაში მომწყვედებული იერუსალიმის მოწყვეტა ბიზანტიის კულტურული ცენტრებისაგან, მეორე მხრივ, ქართულ-ბი-ზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის გაცხოველება, რა-საც შედეგად მოჰყვა საკუთრივ ბიზანტიის ტერიტორიაზე თუ მისი გავლენის სფე-როში ქართული საგანეების აღმოცენება და იქ ქართველთა შემოქმედებითი ცენტ-რების გადანაცვლება. ერთ-ერთი ასეთი კერა იყო შავი მთა.

შავი მთა მდებარეობს ისტორიულ სირიაში, ანტიოქიის ახლოს (ამჟამად თურ-ქეთის ფარგლებშია). მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა VI საუკუნე-ში, როდესაც იქ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე სვიმეონ მესვეტე-უმცროსი ცხოვრობდა. იქაურ მონასტრებში თავი მოიყარეს ბერძნებმა, სირიელებმა, სომ-ხებმა და ა. შ. ადრევე მიაშურეს მას ქართველებმაც. მართალია, მათი მწიგნობ-

რული მოღვაწეობის შესახებ იმ ხანაში ვერაფერს ვიტყვით, რადგან ხელშესახებს არაფერს მოუღწევია, მაგრამ იმხანად განსაკუთრებულ წარმატებას მიიღწია სირიულმა ლიტერატურამ და, საფიქრებელია, ქართველები გაეცნობოდნენ და დაეწაფებოდნენ მას. ის გამოძახილი ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობისა, რომელიც ზოგიერთ უძველეს ძეგლში შეინიშნება, შეიძლება შავ მთაზე ქართველ-სირიელთა ერთობლივი მოღვაწეობის შედეგი იყოს.

მას შემდეგ, რაც სირია არაბებმა იგდეს ხელთ, ქართველთა ურთიერთობა ანტიოქიასა და შავ მთასთან შესუსტდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. განსაკუთრებით მომრავლდნენ ქართველნი შავ მთაზე და საგრძნობლად დაწინაურდნენ იქაურ კულტურულ ასპარეზზე XI საუკუნეში. ამას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, სირიის განთავისუფლებამ მაჰმადიანთა მკურობელობისაგან და მისი ბიზანტიის მფლობელობაში გადასვლამ (969—1084 წწ.), მეორე მხრივ, ანტიოქიის, — ვითარცა ქრისტიანული მწერლობის ცენტრის, — დაწინაურებამ.

ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია შავ მთაზე განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა XI საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც იქ დასახლდა ბევრი მოღვაწე სამხრეთ საქართველოდან (მატბერდიდან, ოშკიდან, ტბეთიდან და ა.შ.). მომდევნო წლებში ქართველები ძალზე მომრავლდნენ შავი მთის საეპიკოპოსოებში (სვიმეონწმიდაში, კალიპოსში, კასტანასა და სხვ.), რომელთაგან ზოგიერთი საკუთრივ ქართულიც კი იყო. იქ ისინი განაგრძობდნენ და ავითარებდნენ ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის ტრადიციებს; მალე დაუკავშირდნენ ბიზანტიაში არსებულ ქართულ საეპიკოპოსო-იმდროინდელი ქართული მწერლობის უმთავრეს კერას—ათონის მონასტერს და მკვიდრო ლიტერატურული ურთიერთობა დაამყარეს მასთან, დაეწაფნენ ბერძნულ-სირიულ-არაბულ სამყაროში შექმნილ ზოგადქრისტიანულ მწერლობას, გაშალეს მრავალმხრივი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, ამასთანავე, ენერგიულად ებრძოდნენ მოძალბებულ ბერძნებს და თავდადებით იცავდნენ სამშობლოს საეკლესიო და კულტურულ დამოუკიდებლობას.

ნაყოფიერი მუშაობა გაჩაღდა შავი მთის ქართულ კოლონიაში XI საუკუნის შუა წლებში. ენერგიულად იღვწოდა სამწერლო ასპარეზზე გიორგი შეყენებული, რომელმაც თავი გამოიჩინა მწიგნობრულ-ლიტერატურული ინტერესებით. მანვე გამოიყვანა შემოქმედებით სარბიელზე ქართული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი გიორგი ათონელი (1009—1065), რომელმაც ზოგიერთი ნაშრომი შავ მთაზე დაამზადა. ერთხანს იქვე მოღვაწეობდა ცნობილი აგიოგრაფი გიორგი მცირეც. მართალია, გიორგი ათონელი და გიორგი მცირე შემდგომ მეტწილად ათონის მთაზე ცხოვრობდნენ და ძირითადად ათონელი მწიგნობრები არიან, მაგრამ მათი შემოქმედებითი წრთობა შავ მთაზე მოხდა.

შავი მთის ქართულმა სათვისტომომ განსაკუთრებით გააძლიერა მუშაობა XI საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც იქაურ ლიტერატურულ სკოლას სათავეში ჩაუდგა უაღრესად ერუდირებული მწერალი და მეცნიერი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი ეფრემ მცირე, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართული კულტურის ის-

ტორიაში. ეფრემთან ერთად შავ მთაზე მოღვაწეობდა დიდი ჯგუფი ქართველი მწიგნობრებისა (საბა თუხარული, იოანე ფარაენელი, ანტონ ტბელი, იოანე მთავარაისძე, ეფრემ ოშკელი, არსენ იყალთოელი და სხვ.), შეიქმნა და გაძლიერდა ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლა, განვითარდა ქართული ფილოსოფიური აზროვნება. შეითხზა თუ ითარგმნა რამდენიმე ათეული ნაწარმოები საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა დარგში (ბიბლიოლოგიაში, ეგზეგეტიკაში, დოგმატიკაში, პოლემიკაში, აგიოგრაფიაში, კომილეთიკასა და ა. შ.), დამუშავდა ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელების პრობლემატიკა და დადასტურდა ქართველთა უფლება ავტოკეფალიაზე, შემუშავდა საგანგებო თეორია მთარგმნელობისა, დამზადდა მრავალი ხელნაწერი, რომელთაგან ბევრი დაიღუპა, ხოლო ზოგიერთი თბილისში, ქუთაისში, ლენინგრადში, სინის მთაზე, ათონზე და იერუსალიმშია დაცული.

II

თუ ადრე, — უკვე V—VI საუკუნეებიდან, — ქართველები ახლო აღმოსავლეთისაკენ ისწრაფოდნენ და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იქაურ ასკეტურსა და სამწერლო ასპარეზზე, IX საუკუნიდან მათ დასავლეთისაკენ აიღეს გეზი და თანდათან დაიწყეს ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაცია, რაც პირდაპირი შედეგი იყო საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის გაძლიერებისა. დროთა განმავლობაში ქართველ მოღვაწეთა დასახლებამ ბიზანტიაში ფართო ხასიათი მიიღო და ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაცხოველების შედეგად სულ უფრო შესამჩნევი გახდა. ამასთანავე, ბიზანტია იქცა ქრისტიანული სამყაროს აღიარებულ ცენტრად, კონსტანტინოპოლმა დიდად გაუსწრო მაკმადიანთა მფლობელობაში მყოფ იერუსალიმს, ბიზანტიურმა ლიტერატურამ მსოფლიო სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ქართველთა სწრაფვა ბიზანტიისაკენ.

დასავლეთისაკენ ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელი (759—861) ისწრაფოდა; მან 826 წლის ახლოს გაიცნო კონსტანტინოპოლი და მისი სანახები. მალე დასავლეთს ეწვია მეორე გამოჩენილი მოღვაწე ილარიონ ქართველი (822—875), რომელმაც არა მხოლოდ გაიცნო იქაურობა, არამედ დააარსა ქართული საგანე ოლიმპზე (მცირე აზიაში) 864 წლის ახლოს. მის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე ბიზანტიის ცენტრში კიდევ ერთი მონასტრის (რომანას) დაარსება 876 წელს. ორივე საგანე ადრევე იქცა მწიგნობრულ-ლიტერატურულ კერად. IX—XI საუკუნეებში იქ დამზადდა მრავალი ძვირფასი ხელნაწერი, რომელთაგან ზოგიერთმა სამშობლომდე მოაღწია. ოლიმპის მთაზე მოღვაწეობდა ბევრი ვაჭაფული კალიგრაფი (მაგალითად, მიქაელ ბერთელი), იქ გადადგა პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ ასპარეზზე ექვთიმე ათონელმა.

XI საუკუნეში ქართველები ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ კონსტანტინოპოლის საგანეებში. უნდა მოვიხსენიოთ ხორა (XI ს.) და განსაკუთრებით ტრიანდაფ-

ლიე, სადაც გაიშალა ცნობილი მწიგნობრის თეოფილე ხუცესმონაზვნის (XI ს.) საქმიანობა. ქართველ მოღვაწეებს ლიტერატურული მუშაობა გაუშლიათ ქალისა ქართულ მონასტერშიც (კუნძულ კვიპროსზე). დასავლეთის ქართულ საეპარქიის შორის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ათონისა (X ს.) და პეტრიწონის (XI ს.) საეპარქიისა მოიპოვეს.

ქართველობა ბიზანტიაში ეტანებოდა არა მხოლოდ საეპარქიის საფუძვლებსა. ჯერ კიდევ გიორგი ათონელმა წაიყვანა იქ აღსაზრდელად 80 ბავშვი, ხოლო რამდენადმე გვიან დავით აღმაშენებელმა იქაურ სკოლებში განათლების მისაღებად 40 ახალგაზრდა გაგზავნა (ვარდან დიდი). ცალკე უნდა მოვიხსენიოთ კონსტანტინე მონომახის მიერ 1044—1047 წლებში კონსტანტინოპოლში დაარსებული უაღრესად მნიშვნელოვანი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება— მანგანის აკადემია, რომელიც რენესანსის მძლავრ კერად იქცა და დიდი როლი შეასრულა ბიზანტიური კულტურის ისტორიაში. იქ ლექციებს კითხულობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები (მიქაელ პსელოსი, იოანე ნამოფილაქსი და სხვ.), რომელთაც, სხვებთან ერთად, უსმენდნენ ქართველი მოღვაწეებიც (არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და ა. შ.). იქ მიიღეს მათ საფუძვლიანი სწავლა-განათლება, იქ მოემზადნენ თეოლოგისა და ფილოსოფიის, იქაური ტრადიციები დაწერეს ქართულ საეპარქიის (შავ მთაზე, პეტრიწონში, გელათში, იყალთოში). ზოგიერთი მათგანი მანგანის აკადემიაში მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა (არსენ იყალთოელი).

ბიზანტიაში ქართველთა მომრავლებას და ქართული კოლონიების დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. კონსტანტინოპოლის, ათონის, პეტრიწონისა თუ სხვა საეპარქიის ქართველობას ახლო კავშირი ჰქონდა ბიზანტიური კულტურის გამორჩენილ მოღვაწეებთან, მას შეეძლო თვალი მიედევნებინა ბიზანტიური მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისათვის და კვალდაკვალ მიჰყოლოდა მას, ქართული ლიტერატურა გაემდიდრებინა ახალი ორიგინალური შრომებითა თუ ბერძნულიდან თარგმნილი წიგნებით და ეროვნული მწერლობა აემადლებინა ზოგადქრისტიანული ლიტერატურის ღონემდე.

დასავლეთში აღმოცენებულმა ქართულმა კოლონიებმა კარგად გაართვეს თავი რთულ ამოცანას; მათ მიერ შექმნილ კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისათვის. ამასთანავე, დასავლეთში მოღვაწე ქართველმა მწერლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საკუთრივ ბიზანტიური ლიტერატურის განვითარებაშიც.

ათონი. ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთულ კერათა შორის ეჭვგარეშე კულტურის განვითარებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის საეპარქიის. იგი მდებარეობს ათონის მთაზე, ქალკედონის ნახევარკუნძულზე (საბერძნეთში). სამონასტრო მშენებლობა ამ მთაზე საკმაოდ გაშლილი იყო და არაერთ ხალხს ჰქონდა იქ საკუთარი სათვისტომო. მას შემდეგ, რაც საქართველო-

ბიზანტიის ურთიერთობა ვაცხოველდა და ქართველები მომრავლდნენ ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურსა თუ საეკლესიო-სამონასტრო ასპარეზზე, ბუნებრივი იქნებოდა მათ ათონზეც დაედოთ ბინა. მართლაც, ქართველმა მოღვაწეებმა ჭერ ბერძენთა სადგომს შეაფარეს თავი, ხოლო შემდეგ—980—983 წლებში დიდი ტადარი ააგეს და ათონის ივერთა მონასტერიც გააშენეს. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ცნობილმა ქართველმა დიდებულმა იოანემ, — რომელმაც წამოიწყო მშენებლობა, — და სახელგანთქმულმა სარდალმა თორნიკემ, რომელმაც ქართველთა მხედრობით დიდი დახმარება გაუწია ბიზანტიის იმპერატორ ბასილს — დაამარცხა აჯანყებული სარდლის ბარდა სკლიაროსის ლაშქარი, მოიპოვა სასახლო-გამარჯვება (979 წ.) და ხელთ იგდო დიდძალი დავლა, რომელიც მიიტანა ათონის მთაზე და შექმნა რეალური მატერიალური შესაძლებლობა მონასტრის მშენებლობის წამოწყებისათვის.

ათონის ივერთა მონასტერი, რომელსაც ჭერ იოანე ხელმძღვანელობდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, — 14 წლის განმავლობაში (1005—1019), — მისი ვაჟი ექვთიმე, იქცა უდიდეს ქართულ საეანედ დასავლეთში. ამასთანავე, იგი იყო არა მხოლოდ დასავლეთში მყოფ ქართველთა ძირითადი საეკლესიო-სამონასტრო ცენტრი, არამედ ქართული კულტურის მძლავრი კერა.

„ათონის საეანე მუდამ მატარებელი იყო ქართული ეროვნული იდეისა ბიზანტიაში. იგი გადაიტყა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უპარესად განვითარდა X—XI საუკუნეებში, ეს ივერთა მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. იქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. იქ შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტრის. უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ზასიათი მიეღო“ (კ. კეკელიძე).

მართალია, მწიგნობრული ინტერესი ათონის ქართველთა საეანეში ადრევე შეინიშნება, ცნობილია მონასტრის პირველ მოღვაწეთა — იოანესა და თორნიკის თაოსნობით დამზადებული წიგნები, მაგრამ იქ გაჩაღებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, იქაური ლიტერატურული სკოლის საფუძვლისჩამყრელი და მამამთავარი იყო ექვთიმე ათონელი (955—1028). არ დარჩენილა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის არც ერთი დარგი, რომ მის განვითარება-გამდიდრებაში ექვთიმეს აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. იგი წერდა ორიგინალურ თხზულებებს ქართულად და ბერძნულად.

აწარმოებდა ორმხრივ მთარგმნელობით მუშაობას. საეპარსია მოვიხსენიოთ ცნობილი ავოგრაფიულ-მორალური და ასკეტიკურ-დოგმატიკური თხზულება, შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სულთმარებელი ღრმანი „სიბრძნე ბალავარისა“, რომელიც მან ქართულიდან თარგმნა ბერძნულ ენაზე (მაღე გაჩნდა ლათინური თარგმანი, ხოლო შემდეგ ითარგმნა მრავალ ევროპულ ენაზე).

ექვთიმე ათონელმა თავის მთავარ მიზნად ქართულ-ბიზანტიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაძლიერება და ქართული მწერლობის საგანძურის ბერძნული ენიდან თარგმნილი თხზულებებით გამდიდრება დაისახა. იგი ხელმძღვანელობდა საგანგებოდ შემუშავებული მთარგმნელობითი პრინციპებით, გულდასმით არჩევდა სათარგმნელ მასალას, ითვალისწინებდა ქართველ მკითხველთა მომზადების დონესა და მოთხოვნილებას, საჭიროებისდა მიხედვით ცვლიდა ტექსტს და იძლეოდა განსხვავებულ რედაქციას.

ექვთიმეს წამოწყებული საქმიანობა განაგრძო, განავრცო და გააღრმავა მეორე დიდმა აცონელმა მოღვაწემ გიორგიმ (1069—1065). მან თავისი შემოქმედებითი მუშაობით, ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობითა და პრაქტიკული მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა ქართული სულიერი კულტურის საგანძურში; აქვე უნდა მოვიხსენიოთ გიორგი ათონელის მოწაფე და თანამოღვაწე, მისი ბიოგრაფი გიორგი მცირე (XI ს.), აგრეთვე ლეწლმოსილი ათონელი ჰიმნოგრაფები—ეზრა (XI ს.), ბასილი (XI ს.) და ზოსიმე (XI ს.).

შემდგომ ხანაში ათონზე ქართველთა შემოქმედებითი მუშაობა თანდათან შესუსტდა და ბოლოს შეწყდა. იქაური მოღვაწენი მეტწილად ხელნაწერების დამზადებით, კმაყოფილდებოდნენ და ახალი ნუსხებით ამდიდრებდნენ იმ წიგნსაცავს, რომელიც დღესაც ათონის საეპარსიის უდიდეს საგანძურს წარმოადგენს.

ათონის ქართველთა მონასტერში შემოქმედებითი ცეცხლის განვლება და ბოლოს ჩაქრობა შემთხვევითი არ ყოფილა; ეს ბუნებრივი შედეგი იყო იმ ღვეწაშევიწროებისა, რასაც ჩვენი წინაპრები განიცდიდნენ ათონზე ჯერ კიდევ XI საუკუნიდან. შემდეგ ხანაში ბერძნებმა თანდათან ხელთ იგდეს ქართული საეპარსიო და ქართველებს წაართვეს იქ მუშაობის შესაძლებლობა, ხოლო XIX საუკუნეში ისინი მთლიანად დაეპატრონენ მას.

პეტრიწონი. ბულგარეთში, ქ. პლოვდივიდან 28—30 კილომეტრის დაშორებით, როდოპის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ასენიციის მარჯვენა მხარეს, დიდებულ ხეობაში მდებარეობს პეტრიწონის სახელგანთქმული საეპარსიო, რომელიც სიდიდით მეორეა მთელ ბულგარეთში. როდოპის მწვერვალები, ასენიციის მჩქეფარე წყალი, მომხიბვლელი ტყის მასივები ქმნიან მშვენიერ სანახობას და განსაკუთრებული სიდიდით წარმოაჩენენ ქართველთა ცნობილ საეპარსიოსა და ქართველი და ბულგარელი ხალხების მეგობრობის ისტორიული ფესვების დამადასტურებელ კერას. პეტრიწონი, რის მიხედვითაც საეპარსიო პეტრიწონი ეწოდა, მდებარეობდა ოდნავ სამხრეთით, მაგრამ, რადგან უკანასკნელ ხანს

დაწინაურდა სოფელი ბაჩკოვო, საიდანაც მიემართება მთავარი გზა საეანისაკენ, მას ახლა ბაჩკოვოს მონასტერს უწოდებენ.

პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს მონასტერი დააარსა ალექსი კომინოსის კარზე დაწინაურებულმა ქართველმა დიდებულმა, „დასავლეთის დიდმა დომესტიკოსმა“ (ბიზანტიის ჯარების მთავარსარდალმა ევროპაში) გრიგოლ ბაკურიანისძემ 1083 წელს. მან ააგო მთავარი ტაძარი, რომლის ადგილას ამჟამად ახალი (XVII ს.) ნაგებობაა. მასში დღემდე პატივითაა დაცული ქართული ხატი. რომლის წარწერა ადასტურებს ქართველთა მოღვაწეობას პეტრიწონში XIV საუკუნეშიც; მანვე ააგო საძვალე, რომელიც დიდებულად იყო მოხატული და, მიუხედავად ხანდაზმულობისა და დაზიანებისა, ახლაც იპყრობს ყურადღებას თავისი ფრესკებით. რომელთა შორის გრიგოლ ბაკურიანისძის გამოსახულებაცაა.

გრიგოლ ბაკურიანისძემ მონასტერსა და იქვე დაარსებულ სემინარიას, რომელშიც ქართველი ახალგაზრდები სწავლობდნენ, შეუდგინა წესდება—ტიპიკონი, რომელიც გვაცნობს საეანის დაარსების ისტორიას, სემინარიის პროგრამასა და მიზანდასახულობას. როგორც ჩანს, სემინარია ამზადებდა ქართველ მუშაკებს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. „ჩვენ აქ გვაქვს მეტად იშვიათი, შეიძლება ერთადერთი მაგალითი ბიზანტიაში სემინარიის არსებობისა ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით“ (ლ. პტი).

საეანისა და სემინარიის მუშაობას თითქმის ოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი — იოანე ფილოსოფოსი, რომელსაც მოღვაწეობის ადგილის მიხედვით პეტრიწონელი ან პეტრიწი ეწოდა. იგი აქტიური მონაწილე იყო იმ ფილოსოფიური მოძრაობისა, რომელიც გაიშალა ბიზანტიაში მიქაელ პსელოსისა და იოანე იტალოსის ხელმძღვანელობით. თავისი შრავალმხრივი მოღვაწეობითა და თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნებით მან ოფიციალურ-კონსერვატიული წრეების მხრივ დევნა-შევიწროება დაიმსახურა. XII ს. დამდევს მას პეტრიწონის დატოვება მოუხდა. ღრმად განსწავლულმა მეცნიერმა სამშობლოს მოაშურა და გელათის აკადემიაში განაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა.

პეტრიწონის ლიტერატურულ-ფილოსოფიურმა სკოლამ კიდევ უფრო დაუახლოვა ქართული ლიტერატურა ბიზანტიურს, დოგმატიკურ-ფილოსოფიური წიგნების თარგმნითა და კომენტარებით დიდად შეუწყო ხელი ქართული აზროვნების განვითარებას.

პეტრიწონის საეანის ბიბლიოთეკის ხელნაწერთაგან ერთია ცნობილი. ბევრი დაიკარგა, ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად ჩვენი ბულგარელი მეგობრების ძიებისა, ჭერჭერობით მიკვლეული არ არის. ეპკი არაა, პეტრიწონში შექმნილი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოვლენა მეტ ნათელს მოაქვს პეტრიწონელთა საქმიანობას და კიდევ უფრო სრულად წარმოაჩენს ქართული კულტურის ამ საზღვარგარეთული კერის მნიშვნელობას.

უ ე ნ ი უ ვ ნ ე ბ ი

ძველი ქართული მწერლობის ძეგლები ახლო აღმოსავლეთში

უ ე ს ა ვ ა ლ ი

¹ ევაგრე პონტოელის ქართველობა რამდენჯერმე აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, 1913 წელს ევაგრე ქართველად მიიჩნია რ. ჟანენმა (იხ. შ ი ს ი ქართველები იერუსალიმში, სტამბოლი, 1921, გვ. 11). 1952 წელს ასეთივე აზრი გამოთქვა მ. თარხნიშვილმა (იხ. შ ი ს ი ქართული ხელოვნების ნაშთი ეგვიპტეში, „ბედი ქართლისა“, № 11 (1952), გვ. 25; შ ი ს ი ე ე, *Un vestige de l' art géorgien en Egypte*, ВК, № 32—33, N. S. VI—VII (1959), გვ. 24). 1960 წელს ევაგრეს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა კ. კეკელიძემ (იხ. შ ი ს ი მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1960, გვ. 5—17). იხ. აგრეთვე გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VII, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ მ ა, თბ., 1967, გვ. 107—117 (ქვემოთ — გეორგიკა).

² U. Monneret de Villard, *Una chiesa di tipo georgiano nella necropoli Tebana*. Coptic Studies in Honor of Walter Ewing Crum, Boston, Mass., 1950, გვ. 495—500; შ. თარხნიშვილი, ქართული ხელოვნების ნაშთი ეგვიპტეში, „ბედი ქართლისა“, № 11 (1952), გვ. 25—27; შ ი ს ი ე ე, *Un vestige de l' art géorgien en Egypte*, ВК, № 32—33, N. S. VI—VII (1959), გვ. 24—26; გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინაში, თბ., 1960, გვ. 5. შ. დ. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლეულია და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 262—266. იხ. აგრეთვე „ქართული ხელოვნება“, 5(1959), გვ. 262.

³ К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь VII века*, Т., 1912, გვ. 33—39; შ ი ს ი ე ე, *К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви*, წიგნში: ეტიუდები, IV, თბ., 1957, გვ. 358—363.

⁴ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 71; И. Джавахов, *История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века*, ИАН, II, № 6 (1908), გვ. 520—521.

⁵ ბეთლემზე, გეტსიმონიასა და გოლგოთაზე ქვემოთ ენსაუბრებთ.

⁶ ბეთანიისი (იერუსალიმ-იერიქონის გზაზე, ელეონის მთის გადაღმა) თითქოს ქრისტემ დახმარება აღმოუჩინა ლაზარეს (იოანე, XI, 1—45). იხ. ПБЭ, III, П., 1902, გვ. 526—527; К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь VII века*, გვ. 206—207. თბილისის ახლოს დღემდე დაცულია ბეთანიის ტაძარი. იხ. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქარ-

თველოს ვეოგრაფია), თ. ლომოური და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 49; П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, Т., 1866, გვ. 79—80, შებ. 72; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Т., 1875, გვ. 23—24; ა. ქუთათელაძე, ბეთანია, ივერია, 24. X. 1898, № 227; Н. Толмачевская, Фрески древней Грузии, Т., 1931, გვ. 14; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 267—270.

⁷ თაბორი მთა იერუსალიმის ახლოს. იგი რამდენჯერმე იხსენიება ბიბლიაში (ნავ. XIX, 22; დავითნი, LXXXVIII, 13 და სხვ.). „თაბორის მონასტერი ქართველთაგან არსო აღმუშებული“, — გადმოგვცემს ტ. გაბაშვილი (იხ. მისი მიმოსლვა, ტექსტი გამოასაყემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 67). თაბორი ცნობილია თბილისში (ვახუშტი, აღწერა, გვ. 52; АКАК, I, Т., 1866, გვ. 1; თ. ბერიძე; თაბორის ციხე, „ნათობი“, 1972, № 8, გვ. 140—144), მცხეთის ახლოს (А. Муравьев, Грузия и Армения, I, СПб., 1848, გვ. 266; А. Натроев, Михет и его собор Святы-Цховели. I., 1900, გვ. 22—23), დასავლეთ საქართველოში (Ценная археологическая находка. Древнегрузинское евангелие 1060 г., „Кавказ“, 17. IX. 1891, № 245). ამჟამად სოფ. თაბორი შედის ცაგერის რაიონში (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1977, გვ. 104).

⁸ ი. ჭავჭავაძის მიხედვით, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. მუშებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 77—78, 231. იხ. აგრეთვე დ. ბერძენიშვილი, სოფელ სიონის ისტორიიდან, „ძეგლის მეგობარი“, 21 (1970), გვ. 3—7; რ. რამიშვილი, იერის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I. სიონი, თბ., 1970, გვ. 32—33.

⁹ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 64, 75, 97.

¹⁰ Кирин [Садзаглишвили], Иверийцы, как пилигримы и основатели обителей в св. местах Востока, Т., 1905, გვ. 2—5.

¹¹ А. Гарнак, Монашество, его идеалы и его история, СПб., 1908, გვ. 26—34.

¹² П. Казанский, История православного монашества на Востоке, I. Монашество в Египте, М., 1854, გვ. 23; С. Токарев, Религия в истории народов мира, М., 1965, გვ. 558.

¹³ კ. ქეკელიძე, მარტივი ქართველი (VI—VII სს.) და მისი შრომა „სინანულისათვის და სმდაბლსა“, წიგნში: ეტიუდები, XII, თბ., 1974, გვ. 233—234; მისივე, მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, წიგნში: ეტიუდები, VI, გვ. 5—6.

¹⁴ П. Иоселиани, Краткая история грузинской церкви, СПб., 1843, გვ. 15—16, 20—21, 34; М. Сабинин, История грузинской церкви до конца VI века, СПб., 1877, გვ. 36, 86, 91; А. Цагарели, Памятники грузинской старины в святой земле и на Синае, ППС, IV, 1 (1888), გვ. 27.

¹⁵ Леонид, Три статьи по русскому палестиноведению, ППС. 16 (VI, 1), 1889. გვ. 46—47.

¹⁶ ეფრემ მცირე, უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების, ტექსტი გამოცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბერიძემ, თბ., 1959, გვ. 8.

¹⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III (მეტაფრასული რედაქციები XI—XIII სს.), დასაბუქდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკმა, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1971, გვ. 48 (ქვემოთ—ძეგლები, III).

¹⁶ П. Ж у з е, Грузия в XVII столетии по описанию патриарха Макария. Казань, 1905, გვ. 8. იხ. აგრეთვე П. [Успенский], Сирия, ТКДА, 1874, № 6, გვ. 368—369.

¹⁷ ქართლს ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუბუჩიძის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 186, 196—198.

²⁰ კ. კ ე ლ ი ძ ე, კანონიერი წყობილება ძველ საქართველოში, წიგნში: ეტრელები, IV, გვ. 326—357. იხ. აგრეთვე მისი ე, ლიტურგიკული სპრავკა по вопросу об автокефалии грузинской церкви, წიგნში: ეტრელები, VII, თბ., 1961, გვ. 253—258; М. Джанашиანი, История грузинской церкви, I, Т., 1898, გვ. 61—62; К. Цициадзе, Автокефалия церкви грузинской, Т., 1905; გეორგია, VIII, თბ., 1970, გვ. 18—20, 119—120. მკლარ ცნობას აღრეულ ხანაში ქართული ეკლესიის ანტიოქიის პატრიარქზე დამოკიდებულების შესახებ ზოგჯერ უახლესი ლიტერატურაშიც ვხვდებით. იხ., მაგალითად, Краткий научно-атеистический словарь, М., 1964, გვ. 446; Словарь атеиста, М., 1966, გვ. 87.

²¹ Б. Данинг, Русские путешественники на Ближнем Востоке, М., 1965; მისი ე, Ближний Восток в русской науке и литературе, М., 1973. იხ. აგრეთვე Палестина и Синая, I. Библиографический указатель русских книг и статей о святых местах Востока В. Хитрово, СПб., 1876; Указатель к книге, статей, рисунков и карт по Палестине, Сирии и Синая, СППО, ტ. XIV, ნაწ. II, № 2 (1904), გვ. 133—179.

²² ტ. გაბაშვილი, მძიოსლა, გვ. 014—016, 035, 052—057, 093—094, 0136, 0153—0158, 0194—0197, 0215—0238, 0248—0253, 72—90 და შმდ.

²³ იქვე, გვ. 0197.

²⁴ მძიოსლა ანუ მგზავრობა, იონა რუისის მიტროპოლიტისა, თბ., 1852, გვ. 51—52, 58—61 (ქვემოთ — ი. გედეცანიშვილი, მძიოსლა).

²⁵ იქვე, გვ. 52.

²⁶ იქვე, გვ. 90—97.

²⁷ გ. ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმად, ტექსტი გამოაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. შეტრეველმა, თბ., 1967, გვ. 198—204, 211—216, 239—240, 243, 247, 252 და შმდ.

²⁸ იქვე, გვ. 204, 252.

²⁹ [А. Муравьев], Путешествие ко святым местам в 1830 году, II, СПб., 1835, გვ. 33—47, 57—69, 77—82, 192—201, 214—215, 343—353; მისი ე, Письма с Востока в 1849—50 годах, II, СПб., 1851, გვ. 88—113, 179—192, 220—235.

³⁰ П. Иоселиани, Краткая история грузинской церкви, გვ. 21, 27, 63, 76, 80—81, 92, 119—120; მისი ე, Описание Шномгвинской пустыни в Грузии, Т., 1845, გვ. 22; მისი ე, Жизнеописание святых прославляемых православною грузинскою церковью, Т., 1850, გვ. 13—14, 19—20 და შმდ.; მისი ე, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 61—68 და სხვ.

3. იოსელიანი ხშირად წერდა იერუსალიმზე, მაგრამ იქ არასოდეს არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მას ზოგჯერ მიაწერენ იერუსალიმში ყოფნას (ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ყორღანიას მიერ, I, თბ., 1892, გვ. 89, 137 (ქვემოთ — ქრონიკები); 3. იოსელიანის წერილები მ. ბროსელაძის, ს. ყუბუჩიძის რედაქციითა და შენიშვნებით, ბსი შრომები, I (1941), გვ. 197; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ა. ლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 7, შენ. 3). ეს შეცდომა აღრევე ამხილა ა. ცაგარელმა (იხ. მისი Сведения о памятниках грузинской письменности, I, 3, СПб., 1894 გვ. IX, შენ. 1).

³¹ ნ. ჩუბინაშვილისეული აღწერილობა (A № 1767, 141r—143r, 152r—153r; S № 1676) პირველად გამოაქვეყნა და ა. ლორთქიფანიძის მიაკეთენა ა. ქუთათელაძემ (იხ. მისი საისტო

